



ACADÉMIE DES SCIENCES DE LA RSS DE GÉORGIE

---

BULLETIN

DE L'INSTITUT MARR DE LANGUES, D'HISTOIRE  
ET DE CULTURE MATÉRIELLE

X

ÉDITIONS DE L'ACADÉMIE DES SCIENCES DE LA RSS DE GÉORGIE

Тбилиси

1941

Tbilissi



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა  
და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის

მ თ ა მ ბ ე

ИЗВЕСТИЯ

ИНСТИТУТА ЯЗЫКА, ИСТОРИИ и МАТЕРИАЛЬНОЙ  
КУЛЬТУРЫ им. акад. Н. Я. МАРРА

X

3843  
~~1701~~





დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
პრეზიდიუმის განკარგულებით

რედაქტორი აკად. ხიმინჯანაშვილი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების

20 წლისთავის დღეს ისტორიულ თარიღს

უძღვნის ამ კრებულს

ინსტიტუტის კოლექტივი



შ ი ნ ბ ა რ ს ი

1. ილია აბულაძე, „ელინთა ზღაპრობანი“ . . . . .	1— 54
2. არნ. ჩიქობავა, პოლიბერსონალიზმის საკითხი ხუნძურში ერგა- ტიული კონსტრუქციის პრობლემასთან დაკავშირებით . . . . .	55— 74
3. მ. მაქსიმოვა, შუშის მრავალწახნაგოვანი ბეჭდები საქართველოს ტერიტორიაზე . . . . .	75— 92
4. პ. ინგოროყვა, ლეონტი მროველი, ქართველი ისტორიკოსი VIII ს. . . . .	93—152
5. ა. იაცენკო-ხმელევესკი და გ. კანდელაკი, მცენარეულო- ბის ნაშთები პიტიახშ ასპარუკის სამარხში (არმაზი) . . . . .	153—158
6. ლ. მუსხელიშვილი, უკანგორის ისტორიული ნაშთები . . . . .	159—182
7. ს. ელენტი, ლაბიალიზებულ თანხმოვანთა საკითხისათვის ქარ- თველურ ენებში . . . . .	183—192
✓ 8. გ. ახვლედიანი, ისტორიული ცნობა დვალეთისა და დვალეების შესახებ . . . . .	193—196
9. ქ. ლომთათიძე, ერთეულის კატეგორია და მისი მაწარმოებ- ლები აფხაზურში . . . . .	197—208
10. ა. შანიძე, მწკრივის კატეგორია ზმნაში . . . . .	209—230
11. ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში	231—236
12. შოთა ძიძიგური, მესხური დიალექტის აღწერითი ანალი- ზი სხვა კილოებთან მიმართების თვალსაზრისით . . . . .	237—256
13. ელ. ფანჩვიძე, მხოლოობითი რიცხვის მესამე პირის ნაცვალ- სახელოვანი -ნე-   -ტუ- უდურ ენაში . . . . .	257—270
14. გ. როგავა, მქლერი ფარინგალური სპირანტი ჭ ადიდურ ენებში	271—278
15. პ. ხუბუტია, -წ ნაწილაკისათვის მთათურში . . . . .	279—280
16. ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში	281—302
✓ 17. გ. ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში. . . . .	303—322
18. გ. ნიორაძე, არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში . . . . .	323—344
19. სიმონ ჯანაშია, ფასილი . . . . .	345—354
20. არნ. ჩიქობავა, „პრობლემა ენისა, როგორც ენათმეცნიერე- ბის საგნისა, საბჭოთა ენათმეცნიერების ძირითადი ამოცანების ასპექტში“ . . . . .	355—410
21. პ. ინგოროყვა, ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა . . . . .	411—427



## СОДЕРЖАНИЕ

1. И. Абуладзе, Мифологические сказания эллинов . . . . .	1— 54
2. Арн. Чикобава, К вопросу о полиперсонализме в аварском языке в связи с проблемой эргативной конструкции . . . . .	55— 74
3. М. И. Максимова, Стеклообразные многогранные печати, найденные на территории Грузии . . . . .	75— 92
4. П. Ингорюк, Леонти Мровели, грузинский историк VIII в. . . . .	93—152
5. А. А. Яценко-Хмелевский и Г. В. Канделаки, Растительные остатки из гробницы пшавра Аспаврука в Армази . . . . .	153—158
6. Л. Мухелишвили, Исторические памятники Укангори . . . . .	159—182
7. С. Жгенти, К вопросу о лабиализованных согласных в картвельских языках . . . . .	183—192
8. Г. Ахведпани, Историческая справка о Двалети и двалах . . . . .	193—196
9. К. В. Ломтатидзе, Категория единичности и образующие ее аффиксы в абхазском языке . . . . .	197—208
10. А. Г. Шанидзе, Категория ряда в глаголе . . . . .	209—230
11. В. Топурия, Фонетические наблюдения над картвельскими языками. V. Гуттурализация сонанта w . . . . .	231—236
12. Шота Дзидзигури, Описательный анализ месхского диалекта грузинского языка . . . . .	237—256
13. В. Н. Панчвидзе, Местоименные элементы 3-го лица единств. числа -ბჟ-ნე    -ჭჟ-ტი в удинском языке . . . . .	257—270
14. Г. Рогава, Звонкий фарингальный спирант γ' в адыгейских языках . . . . .	271—278
15. П. Хубутиа, Частица <i>с</i> в тушинском говоре груз. языка . . . . .	279—280
16. Н. Бердзенишвили, Вазират в феодальной Грузии . . . . .	281—302
17. Г. Читая, Мотив „древо жизни“ в лазском орнаменте . . . . .	303—322
18. Г. Ниорадзе, Археологические раскопки в колхидской низменности . . . . .	323—344
19. С. Джанашиа, Фасид . . . . .	345—354
20. Арн. Чикобава, Проблема языка, как предмета лингвистики, в свете основных задач советского языковедения . . . . .	355—410
21. П. Ингорюк, Памятники грузинского письма античной эпохи . . . . .	441—427



## TABLE DES MATIÈRES

1. J. Abouladzé, Légendes mythologiques des Hellènes . . . . .	1— 54
2. Arn. Tchikhobava, A propos du polypersonnalisme dans l'avare en rapport avec le problème de la construction ergative . . . . .	55— 74
3. M. J. Maximova, Les cachets en verre polyèdres, trouvés sur le territoire de la Géorgie . . . . .	75— 92
4. P. Ingorokva, Léonti Mrovéli, historien géorgien du VIII <sup>e</sup> siècle . . . . .	93—152
5. A. Yatsenko-Khmélevsky et G. Kandélaki, Les restes végétaux trouvés dans le tombeau du pitiakhche Aspavrouk à Armazi . . . . .	153—158
6. L. Mouskhélichvili, Les monuments historiques d'Oukangori . . . . .	159—182
7. S. Zhghenti, A propos des consonnes labialisées dans les langues kharthvéliennes . . . . .	183—192
8. G. Akhvlédiani, Renseignement historique sur Dvaléti et les dvals . . . . .	193—196
9. Kh. V. Lomthatidzé, La catégorie de l'unicité et les affixes qui la forment en abkhaze . . . . .	197—208
10. A. Chanidzé, Catégorie verbale de la série . . . . .	209—230
11. V. Thopouria, Observations phonétiques sur les langues kharthvéliennes. V. . . . .	231—236
12. Chotha Dzidzigouri, L'analyse descriptive du dialecte meskhe de la langue géorgienne . . . . .	237—256
13. Vl. Phantchvidzé, Les éléments pronominaux de la 3-me personne du singulier -ne    -tu en oudine . . . . .	257—270
14. G. Rogava, La spirante pharyngale sonore dans les langues adyghées . . . . .	271—278
15. P. Khouboutia, La particule -ç dans le parler touchine de la langue géorgienne . . . . .	279—280
16. N. Berdzénichvili, Le vasirat en Géorgie féodale . . . . .	281—302
17. G. Tchitaïa, Le motif „arbre de la vie“ dans l'ornement laze . . . . .	303—322
18. G. Nioradzé, Fouilles archéologiques dans la basse contrée de Colchide . . . . .	323—344
19. S. Djanachia, Phasis . . . . .	345—354
20. Arn. Tchikhobava, Le problème de la langue, comme objet de linguistique, sous le jour des tâches fondamentales de la philologie soviétique . . . . .	355—410
21. P. Ingorokva, Monuments de l'écriture géorgienne de l'époque antique . . . . .	411—427

ილია აბულაძე

**«ელინთა ზღაპრობანი»**

საშუალო საუკუნეების მწერლობის საკმაოდ პოპულარული ნაწარმოები, რომელსაც «ელინთა ზღაპრობანი» ეწოდება, წარმოადგენს კომენტარიებს, რომლებიც დაწერილია გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვების სათანადო ადგილების განსამარტავად. ამ ნაწარმოებში ახსნილ-განმარტებულია ის ადგილები, რომლებშიაც საუბარია ძველ ბერძნულ მითოლოგიაზე, ანდა ნახსენებია რაიმე მხრით რომელიმე მომენტი ამ მითოლოგიის სამყაროსი. ასეთი განმარტებანი კი იმით იყვნენ გამოწვეულნი, რომ საშუალო საუკუნეების მკითხველთათვის ძველი ბერძნული (ე. ი. ელინური) იდეოლოგია, რომელსაც ახლა «წარმართულს» ეძახდნენ, გაუგებარი და უცხო იყო.

გრიგოლ ნაზიანზელი, ანუ ღვთისმეტყველი, როგორც ზმირად მას ეძახიან მისი ღრმა ფილოსოფიური მიდრეკილების გამო, მეტად ნაყოფიერი მოღვაწე იყო (330—390 წ.). მის კალამს მრავალი ნაწარმოები ეკუთვნის.

ძველი ქართული მწერლობა ნაზიანზელის მთავარ ნაშრომებს ადრევე სთარგმნის. ჯერ კიდევ მეათე საუკუნემდე კრებულებში, ე. წ. «მრავალთავებში» შეტანილი მისი რჩეული სიტყვები. მეათე საუკუნიდან კი ათონის ქართული სკოლის მიერ მას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ექვთიმე ათონელმა გრიგოლის ბევრი ნაწარმოები გადმოიღო ქართულად. მაგრამ ყველაზე თვალსაჩინო ღვაწლი ამ მხრივ ეფრემ მცირეს მიუძღვის. ეფრემმა, როგორც მას სჩვეოდა, დედანი დიდის გულსმოდგინებითა და მეცნიერული ზედმიწევნილობით სთარგმნა ქართულად; სქოლიოებიც არ დააკლო, რომლებშიაც საკუთარი შენიშვნებიც არა მცირედი ჩაურთო.

ეფრემ მცირემ ქართველ მკითხველს არა თუ მარტო გრიგოლის შრომები გააცნო, არამედ მისი ზოგიერთი კომენტატორისაც. უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის ნონეც (VI ს.). ნონეს გრიგოლ ღვთისმეტყველის შემდეგ სიტყვათა კომენტარიები მიეწერება: 1. «ეპიტაფიად დიდისა ბასილისთუს»; 2. «ნათლის-ლებისათუს ანუ განცხადებისათუს» («კუალად იესუ ჩემი...»); 3. «ივლიანეს პირველისა განქიქებისა»; 4. «ივლიანეს მეორისა განქიქებისა» და 5. «კპრიანესთუს». ნონეს განმარტება დაურთავს ამ ნაწარმოებთა იმ ადგილებისათვის, რომლებშიაც ნაზიანზელს მოხსენებული აქვს სახელები ძველ ელინთა მითოლოგიიდან. ასეთი სახელები კი ზემოაღნიშნულ სიტყვებში ბლომადაა, კერძოდ «ივლიანეს პირველს განქიქებაში». ამ ადგილების ვრცლად მოცემული განმარტებები

1. ენიმკის მოამბე, ტ. X.





საკმაო წარმოდგენას იძლევიან ძველი მითოლოგიის შესახებ. ელინიზმთან გაცნობას ის დიდად უწყობდა ხელს. ცხადია, ამიტომ, ის დიდი დამსახურება, რომელიც მათი გადმოღებით ეფერებ მცირემ გაუწვია ქართულ მწერლობას.

ნონნეს კომენტარიები, სხვათა შორის, სომხურადც უთარგმნიათ ძველად, XII ს-ში; როგორც აკად. პ. მანანდიანი ფიქრობს, ის შეიძლება ნათარგმნი იყოს არა-ნეოპლატონიკოს დავით ფილოსოფოსის მიერ. ეს ძველი მოკლე წინასიტყვაობით 1903 წელს გამოცა აკად. პ. მანანდიანი<sup>1</sup>.

აღნიშნულია უკვე სათანადო ლიტერატურაში, რომ ნონნეს კომენტარიებს ჩვენი იცნობდა როგორც იოანე პეტრიწი<sup>2</sup>, ისე შოთა რუსთველიც; უკანასკნელი ეფერემის თარგმანით<sup>3</sup>. ამ კომენტარიებთან დაკავშირებით ჩვენი ლიტერატურის ისტორიის მკვლევრები (პროფ. კ. კეკელიძე, პროფ. ს. ყაუხჩიშვილი და პ. ინგოროყვა) აღნიშნავენ, რომ ნონნეს კომენტარიებიდან ქართულად ჩვენამდის შემონახულა გრიგოლ ნაზიანზელის მხოლოდ ზემოთმოყვანილი პირველი ორი სიტყვის „თარგმანება“ ეფერემ მცირის თარგმანით. ესენია: 1. „ზღაპრობანი დიდისა ბასილის ეპიტაფიასა შინა შემოღებულნი“ და 2. „ზღაპრობანი კულად იესუსნი“<sup>4</sup>.

ცნობა, რომ ქართულად კიდევ უნდა არსებულიყო ეფერემ მცირის მიერ ნათარგმნი ნონნეს კომენტარი ნაზიანზელის სიტყვაზე, რომელიც უკანასკნელს „ივლიანეს განსაქიქებლად“ წარმოუთქვამს, მარტო პ. ინგოროყვას მოეპოვება. მას ეს ვითარება რომელიც ხელნაწერში შეუნიშნავს: „შენახულა მხოლოდ ზედწერილი... და მითითება ცალკე „თხრობათა“ შესახებ“-ო, აღნიშნავს თავის გამოკვლევაში პ. ინგოროყვა<sup>5</sup>.

ნონნეს კომენტარიების შემცველი უძველესი ქართული ხელნაწერი, რომელსაც ჩვენი მკვლევრები იცნობენ, საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა A ფონდს (№ 109) ეკუთვნის. ამ ფონდის ხელნაწერთა აღმწერლის თ. ყორდანიას დაკვირვებით ეს ხელნაწერი XII ს-ეს ეკუთვნის<sup>6</sup>. ტექსტი აქ რამდენადმე დაზიანებულად არის შენახული, ამიტომ მის აღსადგენად ამავე ფონდის XVIII ს-ის ერთ სხვა ნუსხას (№ 16) მიჰპართავენ. „ზღაპრობათა“ შემცველი ქართული ხელნაწერების შესწავლის დროს პ. ინგოროყვას შემდეგი მოსაზრება აქვს გამოთქმული: „საქართველოში დაცულ ხელნაწერთაგან ყველაზე ძველი პირია ხელნაწერი „საქართველოს მუზეუმისა A—109“-ო<sup>7</sup>. იგი იქვე დასძენს,

<sup>1</sup> (Nonnos), Die Scholien zu fünf Reden des Gregor von Nazianz, herausgegeben von Agop Manandian, Marburg (Hessen), 1903. ნ. მისივე: *Источниковедческие Записки Закавказья* ქართველთა ენციკლოპედია, ტომი I, გამოც. ს. ყაუხჩიშვილისა, 1940 წ.; გამოკვლევა მისივე, გვ. XXXIX—XLVIII.

<sup>2</sup> იოანე პეტრიწის შრომები, ტომი I, გამოც. ს. ყაუხჩიშვილისა, 1940 წ.; გამოკვლევა მისივე, გვ. XXXIX—XLVIII.

<sup>3</sup> პავლე ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა („რუსთაველის კრებული“), გვ. 48—51.

<sup>4</sup> პროფ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 281, ტფ. 1923.

<sup>5</sup> პ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, გვ. 50 (შენიშნებით).

<sup>6</sup> Ф. Жордания, Описание рукописей Церк. Музея, книга I, гв. 123.

<sup>7</sup> მაგრამ უნდა შევნიშნათ, რომ ხსენებული ხელნაწერის ის ფურცლები, რომლებიც „ზღაპრობებს“ შეიცავენ, ორი ერთნაირი ზომის სხვადასხვა ხელნაწერებიდან არიან აღებული და

რომ ტექსტები (ალბათ, ამ უძველესზე დაყრდნობით) „დამზადებული მაქვს გამოსაცემადო“<sup>1</sup>.

საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციებზე მუშაობისას A ფონდის ხელნაწერთა შორის ჩვენ წაგაწყდით ერთ ფრიალ საგულისხმო ხელნაწერს (№ 1490), რომელიც უმთავრესად გრიგოლ ნაზიანზელის შრომათა ძველ ქართულ თარგმანს (ეფრემ მცირისას) შეიცავს. ხელნაწერის ბოლოს წარმოდგენილია ნონეს კომენტარიებიც, თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ, ეს ხელნაწერი, რომელიც ნუსხა-ხუცურით არის შესრულებული, საგულისხმოა ორი მხრით: 1. ხელისა და ორთოგრაფიის მხრით ის აღინიშნებად მიჩნეულს (№ 109) არ ჩამოუვარდება; 2. იქ მოთავსებულია არა მარტო დღემდის ცნობილი „ელინთა ზღაპრობანი“ — „ბასილის ეპიტაფიასა შინა შემოღებულნი“ და „ზღაპრობანი კულად იესუსნი“<sup>2</sup>, არამედ ისიც, რომელიც დღემდის სხვაგან არსად ჩანდა, მაგრამ, როგორც პ. ინგოროცვა შენიშნავს, უნდა არსებულებოდა, სახელდობრ მის მიერ წოდებული: „ივლიანეს განქიქებასა შინა ვრცელად წარმოთქმული ელინთა მეზღაპრობა“. მის შემცველ ხელნაწერში კი ეს სტატია, რომელიც რიგით უკანასკნელ ადგილზეა, ასე იწოდება: „ივლიანეს პირველისა განქიქებისა ზღაპრობანი“. როგორც ამ სათაურიდან ჩანს, აქ კომენტარია (ნონესი) გრიგოლ ნაზიანზელის მიერ ივლიანეს შესახებ თქმულ მარტო პირველ სიტყვას ეხება. ნონეს მიეწერება გ. ნაზიანზელის ივლიანესადმი მიმართული მეორე სიტყვის კომენტარიც, რომელიც დაკულია ბერძნულად და სომხურად, მაგრამ იგი ჯერ-ჯერობით ქართულად არა ჩანს. მისი თარგმანი რომ ქართულადაც არსებულა, ამაზე მოლწვეული ტექსტების სხვადასხვა ადგილები მიგვითითებენ.

„ზღაპრობათა“ ეს ახლად მოპოებული ნაწილი პირველ ორთან მიმართებით უფრო დიდია და ვრცელი. გამოძახილიც მისი სხვებთან ერთად ქართულ ორიგინალურ მწერლობაში დიდი ჩანს. ასე მაგ., პროფ. კ. კეკელიძის მიერ აღნიშნული ის ადგილები „ისტორიათა და აზმათა“, რომელთა მიხედვით ჩვენი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ამ ისტორიის ავტორს სათანადო ცოდნა ჰქონია ბერძნული მითოლოგიისა, სახელდობრ ამბებისა „პელოპისა და ჰიპოდამის“ და „პლუტონ-პერსეფონას“ შესახებო, ყველა წარმოდგენილი „ელინთა ზღაპ-“

ერთმანეთს გადაბმული ისე, რომ პირველი ხელნაწერის ბოლო გვერდის ტექსტი მეორე ხელნაწერის დასაწყისს გვერდხედაც გვხვდება. ამასთან მელნის გადასვლის გამო ტექსტის ერთი ნაწილი შემდეგში გაუცხოველებიათ; გაუცხოველების გამო ძველი ტექსტი ბევრგან შებღალულია.

<sup>1</sup> პ. ინგოროცვა, რუსთ. ეპოქის სალიტ. მემკვიდრეობა, გვ. 51, შენიშვნა 1.

<sup>2</sup> „ზღაპრობანი კულად იესუსნი“ ამ ხელნაწერში მეტად მოკლეა. ეს იმიტომ, რომ მისთვის პირველი ადგილი მიუკუთვნებია აქ კრებულის შემდგენელს და ის „თბრობანი“, რომლებიც მომდევნო სხვა „ზღაპრობაშია“ ყოფილა შესული, აღარ აუწერია, არამედ ოდენ მათზე მითითებით დაკმაყოფილებულა, ზოგიერთიც შეუმოკლებია და, ანრიგად, თავისებური რედაქცია მიუცია. კომენტარიის თვითველ განმარტებას „თბრობა“ ეწოდება. ამ ხელნაწერში ისინი გამოუყოფლად მისდევნენ ერთმეორეს, ოღონდ თვითველი მათგანის დასაწყისი ასოს გამოირჩევიდა წარმოდგენილი მთავრულად. აშინაზე ალაგ-ალაგ მათი სათვალავიც ჩანს. ეს სათვალავი ჩვენ ტექსტს ყველგან აღვუდგინეთ.





რობათა“ როგორც წინათ ცნობილი ტექსტების, ისე ახლად მიკვლეულების სათანადო თხრობებში<sup>1</sup> (ნ. 2,1 და 1,3=3,65).

ასევე, პ. ინგოროყვას მიერ შემჩნეული „ელინთა მეზლაპრობის“ ერთი თხრობის გავლენა (სადაც საუბარია ორფეოსის მუსიკელობაზე) „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ ადგილზე,

„რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მჭეცნი მოვიდიან,  
მისევე ყმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან“

გამოწვეული უნდა ყოფილიყო არა „მეორე ტექსტის ოცდამესამე თხრობით“<sup>2</sup>, არამედ უფრო ამ ახლად მოპოებული, თუ შეიძლება ითქვას, „მესამე ტექსტით“, რომელიც წარმოადგენს „ივლიანეს პირველისა განქიქებისა ზღაპრობათა“. ზღაპრობათა ამ ახალი ტექსტით ეს ადგილი ასე იკითხება:

„ორფევს იყო ნათესავით თრაკი, მუსიკელი ჯელოვნებით. ესოდენ ტკბილად მომღერალი, ვიდრემდის ჯელოვნებითა გრძნებისაჲთა უსულთათა ნივითა—ქვასა და ძელსა, ხეთა და ნერგთა, ვითარცა სულიერთა ავლინებდა შემდგომად მისა, ვიდრემდის მდინარენიცა მისდევდინ მას“ (3, 79).

ცხადია, შეხვედრა ამ უფრო მეტია, ვიდრე „ზღაპრობათა მეორე ტექსტის ოცდამესამე თხრობისა“:

ესე ორფეოს მუსიკელი ჯელოვნებით, ესოდენ ტკბილად მომღერალი, ვიდრემდის უსულთათა მიიზიდვიდა მიღვენებად მისა“ (ნ. 1, 17).

პ. ინგოროყვას დაკვირვებით, „ზღაპრობათა“ ქართული ტექსტების გავლენის კვალი მოიპოება „შავთელის პოემაში, ჩახრუხაისძის ოდებში და ისტორიათა და აზმათა წიგნში. ასეთი დასკვნის მიღება თუ გრივოდ ნაზიანზელის ორი სიტყვის დღემდის ცნობილი ნონენესული კომენტარიების ქართული თარგმანით შეიძლებოდა, ახლა მით უფრო, როცა ხელთა გვაქვს კიდევ ერთი სიტყვის კომენტარის ეფრემ მცირისავე თარგმანის ტექსტი, რომელიც მოკულობით პირველ ორთან მიმართებით უფრო ვრცელია, გავლენის კვალი, ცხადია, უფრო მკვეთრად შესამჩნევი იქნება ხსენებულ ქართულ ორიგინალურ ქმნილებებში. „ზღაპრობათა“ გავლენის კვალი არა მარტო მათში, არამედ დავით აღმაშენებლის ისტორიაშიც კი შეიძლება შევნიშნოთ. ყველგან, ალბათ, ეს გავლენა ეფრემის თარგმანით არ უნდა იყოს გამოწვეული, ნონენეს ტექსტის გაცნობა XI—XIII ს-ების ქართველ ავტორს ორიგინალშიც შეეძლო, მაგრამ რაგვარადაც უნდა აიხსნას ეს გავლენა, ერთი რამ მაინც უდავოა: ხსენებულ თხზულებათა ზოგიერთი ადგილი, სადაც ელინურ ამბებზეა საუბარი, ანდა მითითება მათზე, ყველა გასაგები ხდება მხოლოდ მაშინ, თუ „ზღაპრობათა“ სათანადო ადგილებს გავუწევთ ანგარიშს. მიგპყვეთ რიგზე:

<sup>1</sup> პროფ. კ. კეკელიძე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ როგორც ლიტერატურული წყარო („რუსთაველის კრებული“), გვ. 153. „ზღაპრობათა“ ტექსტებით „პელოპი“—„პელოპო-პელოპო-სა“ და „პელოპს—პელოფს-ის“ სახით გვხვდება; „ენომოს“ კი—„ენომოსის“ სახით, ხოლო „ჰიოდამი“—„იოდამ-ისით“.

<sup>2</sup> პ. ინგოროყვა, რუსთ. ეპოქის სალიტ. მემკვიდრეობა, გვ. 51. პ. ინგოროყვას მიერ აღნიშნული „მეორე ტექსტის ოცდამესამე თხრობა“ ჩვენი 1, 17 უდრის.

ა. „ზღაპრობანი“ და შავთელი.

1. „აქვს მას ტრიონი სანატრიონი  
საწმისისაგან სამოსად გარედ“ (შავთ. 21, 2)<sup>1</sup>.

«[ანტისთენონ თუ ზინონ]... განძნებასა სამე ზამთრისასა და დამთხუფასა [ნ]ავისა დანთქმისასა» მადლობით თავსმდებელი იქმნა სიგლახაკითა... შემთხუფულისა, და ესრეთ თქუა: „ვაშა, გ ბედო, მადლს აღგიაჩებ, რომელმან ჩემთა დიდთა სიმდიდრეთაგან... ხოლო დამიშთინე ტრიბონი“.

ტრიონი უწოდებდნენ შესამოსელსა ბალნისასა საფილოსოფოდ განწესებულსა» („ზღაპრობანი“ 3, 29).

შავთელთან მოხსენებული ტრიონი რომ ჩვეულებრივი სამოსი არაა, არამედ ფილოსოფოსთათვის ნიშანდობლივი, ამას ნათელყოფს „ზღაპრობაში“ მოხსენებული „ტრიბონ-ის“ განსამარტავად დართული გლოსა. მაშასადამე, „ტრიონი“ იგივე „ტრიბონია“ ოღონდ ახალი ბერძნულის მიხედვით გამოთქმული (β=ვ): τριβων (ტრივონ, აქედან შემდეგ ტრიონ: ვ დაიკარგა ო-ს წინ<sup>2</sup>), რაც გარეთ ჩასაცემელს, მოსასხამს, ნიშნავს. მას იცვამდნენ დატაკები, ხოლო შემდეგში ბერძენი ფილოსოფოსები, საგანგებოდ—კინიკები<sup>3</sup>.

2. „სიბრძნის უფსკრული, ენა-რიტორი,  
მსგავს ხარ მთისა მის ეტონეოსა (შავთ. 59, 4).

„...ხოლო თქუმულ არს [ეტნეოზსა] ცეცხლისა ამისთვს, ვითარმედ—აღმოეცენების საბერველთაგან ეფესტომთა მთასა რომელსამე ზედ, რომელსა ეტნი უწოდებდნენ, და მიერ ველად შთაიზიდვის წყლებრ დენით“ („ზღაპრ.“ 3, 1).

ამ მთიდან „აღმომცენარე ცეცხლზე“, როგორც არაჩვეულებრივ მოვლენაზე, საუბარია აგრეთვე „ზღაპრობათა“ სხვა თხრობებშიც (3, 23, 46). შავთელი რომ ეტონეოს მთას აღარებს თავისი ხოტბის გმირის რიტორობას, ალბათ, ამ მთიდან ნიადაგ „აღმომცენარე და წყლებრ დენით“ მიმავალი ცეცხლი აქვს მხედველობაში.

3. „პირველ წერანი და აწერანი  
პალამიდისგან მოპოვნებულ არს.  
სიტყვის-მგებლობა, ძნელ საგებლობა  
ზინონისაგან შემოღებულ არს.  
ტილისმ-მოგობა, არ ცუდ მბორგობა  
აპოლონისგან დამტკიცებულ არს.  
მისთან ასკლიბოს ველარ მუსიკოს,  
თვთ ქებად შენდა განლიგებულ არს“ (შავთ. 102).

<sup>1</sup> ადგილები შავთელისა და ჩახრუხაძის თხზულებებიდან ნ. მარის გამოცემების მიხედვით მოგვეყვას (TP. კნ. IV, IIБ, 1902 წ.).

<sup>2</sup> ეს მოვლენა პროფ. ა. შანიძემ ამიხსნა, რისთვისაც მადლობას ვსწირავ.

<sup>3</sup> *Μεταίχθη, Ζακχάρης ἀγματολογικῶν ῥητορικῶν*, VI, გვ. 990.





„პალამიდოს ევევიოელი იყო ნათესავითა... ამან მოიპოვა რიცხვ დასხუანი მრავალნი ღონენი...“ („ზღაპრ.“ 3, 60) <sup>1</sup>.

ზინონის სიტყვისმგებლობა, აპოლონის ტილისმ-მოგობა სხვადასხვა თხრობაშია აღბეჭდილი, ხოლო ასკლიპოსზე ჩვენამდის მოუღწეველ „ზღაპრობებში ივლიანეს მეორისა განჭიქებისა-ში“ არის საუბარი, მაგრამ როგორც ბრძენსა და მკურნალ-ხელოვანზე.

როგორც აღნიშნული შემთხვევებიდან ჩანს, შავთელი ბერძნულ მითოლოგიას იცნობს. ნაწილობრივ ეს ცნობა „ზღაპრობათა“ მეოხებით უნდა იყოს მიღწეული.

ბ. „ზღაპრობანი“ და ჩახრუხაძე. აქაც ბერძნულ მითოლოგიურ არსებობათა სახელები, რომლებზედაც საუბარია „ზღაპრობან-ში“, აქა-იქ გვხვდება. ახლობელი გამოძახილის ნიმუშად შემდეგი ადგილის დასახელება შეიძლება:

„ვერა დამატონ სოკრატ და პლატონ,  
გრძნობდეს სამნივე ეფრემის წყებად.  
აპეტოსესგან მოპოვნებულ არს  
ქვეყანის ზომა ქალდეველებად,  
ვარსკვლავთ აღრიცხვა ზოროასტროსგან,  
ვერცა მათ ჯეყვეს შენდა დარებად.  
არისტოტელმან მეძიებელმან  
თავი თვით მისცა საძიებელად“ (ჩახრუხ. XI, 21-24).

სოკრატ და პლატონ ძველადვე საყოველთაოდ ცნობილი პირები იყვნენ. მაგრამ აპეტოსეს, ზოროასტროსა და არისტოტელეს შესახებ ნათქვამი მომენტები კი შეიძლება მხოლოდ ჩვენი კომენტარით გამხდარიყო ცნობილი.

„ითქუმის უკუე, ვითარმედ პირველად ქალდეველთა მიერ მოპოვნებულ იქნა ვარსკვლავთ-მრიცხუელობა და ქუეყანის მზომელობაჲ, ვარსკვლავთ-მრიცხუელობაჲ უკუე ზოროასტროსგან, ხოლო ქუეყანის მზომელობაჲ აქ[ლე]ტ[ს]გან“ <sup>2</sup>.

ახლა არისტოტელეს მეძიებლობა-საძიებლობაზე:

„არისტოტელე ფილოსოფოსი მოწაფე იყო პლატონისი. ესოდენ მიდევნებული ბუნებათა-მეტყუელებასა, ვიდრემდის არა რაჲსა არსთაგანისა ენება დატევებაჲ თუნიერ ცნობისა... გულს იდგინა ევრიპოსსაჲ მოქცევათა პოენად და მიწთომად ბუნებათა-მეტყუელებასა მათსა. ამისთჳს მივიდა ზღუს კიდელ და დაჯდა ადგილსა მას ევრიპოდ სახელდებულსა, სადა იგი დღესა შუდგზის მიიქცევის ზღუაჲ და კულად შუდგზის განჭმების, ხოლო ამისსა ძალსა ვერ უძლო გამოთქუმად არისტოტელე, თუ ვითარ იქმნებოდა. ამისთჳს შთაავადო თავი თჳსი ზღუასა და თქუა: „ვინაჲთგან არისტოტელეს არა აქუს საძიებელი, აქუნდინ

<sup>1</sup> პრაფ. კ. კეკელიძე თავის ლიტ. ისტ-რიის I წიგნში (ნ. გვ. 342) ხსენებულ ტაგში თვითონ გრივოდ ლთისმეტყველის სიტყვების („ივლიანეს მიმართ“) გავლენას მიიჩნევდა, ხოლო შემდეგ (ნ. ტფ. სახ. უნივ. შრომები I, გვ. 120) გიორგი ამარტოლის ბრონაგრაფის ქართ. თარგმანის გავლენა სენო შესაძლებლად.

<sup>2</sup> უკანასკნელი სიტყვა კარგად არ იკითხება; აპეტოსესთან კავშირი კი მას უშეველად აქვს.

საძიებელსა მეძიებელი“, ესე იგი არს, ვითარმედ საძიებელ ჩემდა იყო პოვნამ, თუ ვითარ იქმნებთან მოქცევენი ევრიპოროსანი, და ვინათვან არა მაქუს მე საძიებელი, ვაქუნდე მე საძიებელ“ („ზღაპრ.“ 3, 34).

ზემორე აღნიშნული გარემოება უდაოდ მოწმობს ჩვენი ძველის გავლენას ჩახრუხადის ხოტბებზე. სიტყვიერი შეხვედრები აქაც საკმაოდ თვალსაჩინოა.

გ. „ზღაპრობანი“ და „ისტორიანი და აზმანი“. „ისტორიათა და აზმათა“ ის ადგილი (მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრების“ ნუსხით), სადაც ბერძნული მითოლოგიის გავლენის კვალი ჩანს, პროფ. კ. კეკელიძეს უკვე შესწორებული აქვს და ამასთან ისიც აქვს აღნიშნული, თუ მითოლოგიის რა მომენტებს გულისხმობს ისტორიკოსი, როცა ხსენებულ ადგილს ამ მითოლოგიის ზოგიერთ გმირს ასახელებს. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ „ისტორიათა და აზმანში“ დასახელებული ამ გმირებისათვის დამახასიათებელი ნიშნები ყველაა წარმოდგენილი „ელნთა ზღაპრობანის“ ტექსტების სათანადო თხრობებშით<sup>1</sup>. აქ მათ ამოწერას აღარ გამოვუდგებით, ადგილები მითითებულია და მკითხველს ადვილად შეუძლია ისინი მოძებნოს.

დ. „ზღაპრობანი“ და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. 1. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი დავით მეფეს უბადლო მონადირედ სახავს:

„ვინ იხილა ესოდენ განმარჯუებული ნადირობასა შინა [როგორც დავითით]...; ითქუმის აქილევსი კენტავროსაგან განსწავლულად მოირობისა ელენთა შორის..., გარნა ქეშმარიტად ვერცა ერთი ამათვანი შეუსწორებდა ამას („ქართ. ცხ-ბა“, ზ. კიქინაძის გამოც., გვ. 369).

აქილევსის მოირობაში განსწავლის შესახებ შემდეგია თქმული „ზღაპრობაში“:

„იშვა რად აქილევსს თეტროდოსგან, მიეცა იგი ჰირონს, რაათა იქუმოს იგი ერთბამად მზრდელადცა და მასწავლელად მოირობისა. ხოლო ესე ჰირონი იყო ცხენ-ვაცი... მოიყვანა უკუე ჰირონიან აქილევსს და დასუა იგი უკუანა კერძო ცხენისა სახესა მას... და ესრეთ გამოისცდიდა და ასწავებდა მოირობასა და ზრდიდა მას სძითა და პურითა, არამედ ტუნითა ირემითა და სხუათა ცხოველთათა, ვინაცა აპილევსს სახელ ედვა, რომელ არს უსაზრდლო...“ („ზღაპრ.“ 2, 4).

2. ერთვან კიდევ ისტორიკოსი დავითს სათნოებათაგან აღსავსედ წარმოგვიდგენს. ის ამბობს:

„...სრულ იქმნა იგი ყოველსა შინა, ესრეთ რა აღსავსე იყო ნავი უფასოთაგან ტურითთა სათნოებისათა, და არღარა შემძლებელ წარვლად (სწერია: წარსლვად) დაღირთა...“ („ქართ. ცხ-ბა“, გვ. 379).

ღადირი, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, არის „ქედი გორაკთა წარზიდული“. მაგრამ მარტო ამაზე დაყრდნობით ისტორიკოსის სიტყვები

<sup>1</sup> ნ. ზემოთ გვ. 3-4





გასაგები ვერ ხდება. ხოლო თუ მივმავრთავთ „ზღაპრობათ“, მაშინ ნათელი შეიქნება ტექსტი:

„ლადირნი ადგილი არს კერძოთა დასაეალისათა, და ადგილი იგი დასასრული არს ზღუსაჲ, და რეცა ხერთუსი რაჲმე ჩუენდა მომართისა ამის ზღუსაგან ატლანტიკოსა ზღუად. ვინაჲცა თქუთულ არს, ვითარმედ არღარა თანა წარვიღლებიან ნავებითა ლადირნი, რაჲთამცა შევიდა ვინ ამიერ ჩუენ კერძოთ ზღუთ ზღუსა მას ატლანტიკოსასა...“ („ზღაპრ.“ 2, 16).

ე. „ზღაპრობანი“ და იოანე პეტრიწი. იოანე პეტრიწი, როგორც ეს უკვე დადგენილი აქვს პროფ. ს. ყაუხჩიშვილს მის მიერ გამოცემული „იოანე პეტრიწის შრომების“ I წიგნისათვის დართულს გამოკვლევაში, იცნობს „ელინთა ზღაპრობებს“, რომლებიც ნონნეს მიეწერება. „ზღაპრობათა სათანადო „თხრობები“, რომლებსაც დამოკიდებულება აქვთ პეტრიწის ნაშრომთან, მოჰყავს მას ქართული და ბერძნული ვარიანტებიდან. ნონნეს განმარტებათა ქართული თარგმანის იმ თავებს, რომლებიც დღემდის მიკვლეულ „ზღაპრობათა“ ხელნაწერებით იყვნენ ცნობილი, გამოკვლევის ავტორი უდარებს ნონნეს ბერძნულ ტექსტს, აღნიშნავს, რომ ისინი ხშირად არ ჰვდებიან ერთმანეთს და პეტრიწის სათანადო ადგილებთან მიმართებით იმ დასკვნისაკენ მივყავართ, რომ პეტრიწი ნონნეს უფრო ორიგინალში უნდა იცნობდეს, ვიდრე მისი ქართული თარგმანით, რომელიც ეფერებ მცირეს ეკუთვნისო.

მართლაც ეფერებ მცირის თარგმანის სათანადო ადგილები და მათი შესაბამისი ბერძნული ტექსტები, რომლებიც პროფ. ს. ყაუხჩიშვილს მოჰყავს თავის ნაკვლევაში, ურთიერთს არც სიტყვა-სიტყვითა და, ზოგჯერ, არც მოცულობით ჰვდებიან. ასეთივე მიმართებაა ეფერებ მცირის ახლად მიკვლეულ ქართულ ტექსტთანაც (შდრ. „ზღაპრ.“ 3, 50) იმ ადგილისა (პატრიკული ქიმერის შესახებ<sup>1</sup>), რომელიც პროფ. ს. ყაუხჩიშვილს „ივლიანეს პირველისა განქიქება“ კომენტარიის ბერძნული ვარიანტიდან მოჰყავს. აქედანაც აშკარად ირკვევა, ის, რომ ეფერებ მცირეს ხელთ ჰქონია ნონნეს რამდენადმე თავისებური ბერძნული ტექსტი. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ისიც, რომ, როცა ბერძნულისა და ქართული ვარიანტების ხსენებულ სათანადო ტექსტებს ვუდარებთ ნონნეს კომენტარიების ძველი სომხური თარგმანის შესაფერის ადგილებს, ირკვევა, რომ სომხურს უფრო ახლო დამოკიდებულება ატყვია იმ ბერძნულ ვარიანტთან, რომელიც ცნობილია (PG, 36).

როგორც ვხედავთ, „ელინურ ზღაპრობათ“ (ბერძნული დედნით თუ ქართული თარგმანის მიხედვით) საკმაო გამოძახილი უპოვია ძველ ქართულ ლიტერატურაში. ქართ. ლიტერატურის ძეგლებში, რომლებიც XI—XIII ს-ებში აღმოცენდნენ, ხშირად გვხვდებით ისეთ ადგილებს, რომლებიც ძველი ბერძნული აზროვნების საყაროდან მომდინარეობენ. ზოგჯერ არ ვიცით, თუ საიდან და რა გზით აქვთ მიღებული ამ ხანის ავტორებს ეს ცნობები. ამ ნაწერებში გვხვდება აგრეთვე მრავალი ბერძნული საკუთარი სახელი ამათუიმ მომენტთან დაკავშირებით. ასეთი

<sup>1</sup> იოანე პეტრიწის შრომები, I, გვ. XL.

მოვლენები, ცხადია, მარტო ზეპირი გადმოცემის ნაყოფი არ უნდა იყოს. ისინი უფრო ლიტერატურული ვხვით უნდა იყვნენ შემოსული ჩვენში და იმდენად გავრცელებული, რომ ხსენებული ხანის ავტორის გაკვრითაც კი რომ დაესახელებინა ესა თუ ის პირი, ანდა მოვგონებინა ესა თუ ის ეპიზოდი, გაუგებარი არ დარჩებოდა მაშინდელი მკითხველი წრისათვის. ლიტერატურული ფაქტების ჯეროვნად გაგებისათვის საჭიროა, ვეძიოთ ის ლიტერატურული წყაროები, რომელთაც ძველი დროის მკითხველი იცნობდა. ჯერ კიდევ ადრე წერდა აკად. ნ. მარი: «есть надежда, что мало по малу будут извлечены из рукописей и опубликованы те памятники, которыми зачитывались наши писатели<sup>1</sup>». ახლა უკვე მიკვლეულია ერთი ასეთი ძეგლი, რომელსაც უძველესი ხელნაწერი ნუსხების მიხედვით ქვემოთ ვაჭვევენბთ.

სხვა მხარეებთან ერთად ჩვენი ტექსტების ლექსიკაც მეტად საგულისხმოა. ავიღოთ თუნდაც ომიროსისა და მისი შემოქმედების დახასიათება. ომიროსი თხრობებში „სიტყვს მოქმედად“ (3, 37), ხოლო მისი ნაღვაწი „სიტყვს მოქმედებად“ (3, 81) არის წოდებული. „სიტყვს მოქმედი“ პოეტის ძველი წოდებაა, ხოლო „სიტყვს მოქმედება“ — პოეზიისა<sup>2</sup>. „სიტყვს მოქმედების“ გარდა ომიროსის შემოქმედება თხრობებში ზოგან (3, 84, 86) წოდებულია „სიტყვს მკერვალობადაც“. ეს კი შესაბამისი ჩანს ბერძნული *ῥαψῳδία*-სი, რომელიც წარმომდგარია შემდეგი სიტყვებისაგან: *ῥαψα* (=კერავ) და *ῥῆψ* (=სიმღერა, გალობა, ქება). ასევეა სათანადო სიტყვა ნაწარმოები სომხურშიაც — *რაფსიკიქჩხ* (*რაფს* — კერავა და *სიკ* — სიმღერა, გალობა, ქება)<sup>3</sup>.

გამოცემისათვის უნდა შევნიშნოთ შემდეგი: მესამე ტექსტისათვის მხოლოდ ერთი ხელნაწერი (№ 1490-A) მოგვეპოება; მეორისათვის, ხსენებულს გარდა — კიდევ ორი, მაგრამ ჩვენ ამათგან უძველესით ვსარგებლობთ (№ 109-A) პირველთან ერთად, ხოლო პირველი ტექსტისათვის № 1490-A მოკლე ვარიანტს წარმოადგენს, დანარჩენი ორი (№ 109-A და № 16-A) — ვრცელს. ტექსტი ხელნაწერებში ბევრგან დაზიანებულია; ის სიტყვები, მარცვლები თუ ასოები, რომელთა ამოკითხვა ასე თუ ისე მოვახერხეთ გადაღებულ ადგილებში, ყველა კვადრატულ ფრჩხილებში შევიტანეთ, ხოლო რაც ვერ ამოვიკითხეთ, ის სავანგებოდ აღვნიშნეთ, — ხარვეზი გავავლეთ. ხარვეზის აღსანიშნავად ხაზები იმდენი დაფუსხით, რამდენი ასოც ივარაუდება დაახლოებით.

როგორც მკითხველი შენიშნავს, ერთი და იგივე საკუთარი სახელი სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ფორმითაა მოცემული. ჩვენ ეს ნაირნაირობა დაეტოვეთ, რადგანაც ამ გამოცემას ისე ვუცქერით, როგორც წინასწარს. იმედი გვაქვს, რომ შემდეგში სხვა ხელნაწერებიც აღმოჩნდება, რომლებიც ბერძნულ დედანთან და სხვა ვერსიებთან შედარებით ამ მხრითაც ბევრ რამეს გაარკვევს.

<sup>1</sup> Н. Марр. ТР, IV, кн. ПБ, 1902 г. стр VI.

<sup>2</sup> სომხურში დღესაც კი „პოეტის“ აღსანიშნავი სიტყვა ასევეა შედგენილი: *გან-ა-სისიკ*, ხოლო ძველად ამ სიტყვის გვერდით *სიკიკი*-იც (ქერდოლ-იც) იხმარებოდა.

<sup>3</sup> ახლა ცხადი ხდება, რომ „ბალავარიანში“ ნაზმარი „სიტყვს-მკერავი“ რაფსოღს ნიშნავს და არა „სიტყვით მჭურნალს“, როგორც კაცს შეძლო ვფიქრო.



ზღაპრობანი, რომელნი საწარმოართთა წიგნთაგან  
მოუკსენებინა წიგნთა შინა თჳსთა წმიდასა და  
დიდსა ღმრთისმეტყუელსა გრიგოლის

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

- A=№ 1490—A ფონდი საქ. მუზეუმის ხელნაწერებისა (ფ. 165v 183v.).  
B=№ 109—A " " " " (გვ. 89—98).  
C=№ 16—A " " " " (ფ. 332r--338v).



I

ზღაპრობანი კჷალად იესუჲსნი

1. იტყუან ღმრთისმეტყუელნი წარმართთანი, ვითარმედ კრონოს კმარი-  
ოყო რეაჲსი და რომელიცა შვის მისგან, მყის შთანთქის იგი, ვინაჲცა უშვი-  
ლოდ ეგო რეას. ხოლო რაჲემს შვა დ ი ა, შეეშინა, ნუ უტყუე<sup>1</sup> შთანთქმით  
წარწყმდეს იგიცა<sup>2</sup>. ამისთვის ლოდი წარგრაგნილი მისცა<sup>3</sup>, ვითარცა ჩჩლი,  
ხოლო მისგან შობილი იგი დია დამალა კრიტეს, რამეთუ გარე მოადგინნამას  
კორივანტი<sup>4</sup> და კურიტი, რომელ იგი იყენეს ეშმაკნი, რაჲთა<sup>5</sup> როკვიდენ  
როკვისა აღჭურვილ[თასა], რომელ პირაჲიდ<sup>6</sup> უწოდიან, რაჲთა<sup>7</sup> საჭურველთა  
მათგან და როკვისა და ტყუელვათა<sup>8</sup> იქმნებოდი(ს) ზგერაჲ დამფარველი ვმ(ის)ა  
ჩჩლისა მტირალისა<sup>9</sup> რაჲთა ვერ აგრძნას კრონოს სადა ყოფაჲ მისი და შთან-  
თქას იგიცა. ამისთვის მოძღუარი მამად შვილის მოძღულედ იტყუას კრონოს(ს), ხო-  
ლო შვილად მტირალად დიოსს, [რო]მელსა უწოდიან ზევს. აწ კრიტელთა  
მძღაერად<sup>9</sup> იტყუას, დაღათუ წარმართთა არა სთნავსო, ესე იგი არს, რამეთუ  
არა სთნავს ფილასოფოსთა<sup>10</sup> მათთა, რაჲთამცა კაც გინა მსაჯულ უწოდდეს  
დიოსს, რომელსა იგინი ღმრთად იტყუან, შობილად ღმერთთა კრონოსს და  
რეაჲსგან<sup>11</sup> და ვითარცა ღმერთსა ამსახურებენ ყოველთა მიმდგომთა მათთა,  
რომელი იგი მძღაერ არს და არა ღმერთ.

2. ფრკველნი ჰმსახურებდეს რეას, კრონოსსა უტყუე<sup>12</sup> ცოლსა, ხოლო  
სხუათა ღმერთთა დედასა, რომელი იგი მიდგომილ რაჲ<sup>13</sup> იყო, კორკვანდთა  
(მიერ) [განიკრა] მახლთთა სიმრავლისაებრ<sup>14</sup> სიძეათა მისთაჲსა, რომელსა, რაჲემს  
უზორვიდენ ფრკველნი, მწართა და წელთა თუსთა მახლთთა იპრიან, ხოლო  
სხუანი იმღერიან და განსცხრებიან ნესტუებითა<sup>15</sup> და ქნარებითა, რაჲთა ვნათთა  
მათთა გემოენად და უტკივარად თავს ისხნენ წყლულეზანი, და უფროასად  
განმწიობილ<sup>16</sup> იქმნენ. და დაჭრათა მიმართ ამას ნესტუებითა<sup>15</sup> პატივ-სცემენ  
ტრფილსა მისსა ატიტის. და<sup>17</sup> შემდგომად წყლულეზათა მათ არაწმიდებით ჯელ-  
ჰყოფენ აღრვეად დედათა. ხოლო წარმართთაგანი ვინმე უგუნური ძუელსა<sup>18</sup> მას  
ჩუეღულებასა<sup>19</sup> აწცა იპურობენ აღგილთა შინა მთისა კარიკასათა<sup>20</sup> და ასოთა  
თუსთა მახლთთა დაიპრიან<sup>21</sup>. ესრეთ სიბოროტილედ<sup>22</sup> უწოდეს მოძღუარი რეაჲსთუს

<sup>1</sup> ნუ უტყუე BC; +იგიცა C. <sup>2</sup> იგიცა abs. C. <sup>3</sup> +კრონოს C. <sup>4</sup> კორივანტი C. <sup>5</sup> პირა-  
ჲიდ C. <sup>6</sup> რაჲთა abs. C. <sup>7</sup> ტყუელვათა C. <sup>8</sup> მტირალისა A. <sup>9</sup> მძღუნად B. <sup>10</sup> ფილოსოფოსთა C.  
<sup>11</sup> კრონოს და რეასგან B. <sup>12</sup> უტყუე BC. <sup>13</sup> რომელი B. <sup>14</sup> სიმრავლისათუს C. <sup>15</sup> ნესტუებითა B.  
<sup>16</sup> განმწიობილ B. <sup>17</sup> და abs. C. <sup>18</sup> ძუელსა BC. <sup>19</sup> ჩუეღულებასა BC. <sup>20</sup> კარიკასათა B. <sup>21</sup> იპრიან C.  
<sup>22</sup> სიბოროტილედ C.

მახვლითა დაქრასა და სიბორგილესა<sup>1</sup> მას ზორავთა შინა მისთა აღრევითა<sup>2</sup> დედათაათა. ხოლო «აღსრულება» სახელ სდებს ზორავას მისსა სიტყვთა საწარმათოათა, რამეთუ წარმართნი ზორავასა «სრუ[ლ]ება» და «აღსრულება» უწოდებენ<sup>3</sup>, ვითარ თუეცა საიდუმლოთა მიმღებელ და განწყოფელ იქმნებოდნენ<sup>4</sup>. ამისთვის აღასრულებდენ, თქუა, მესაიდუმლოებისათს, რომელ არს საიდუმლოთ-განწყოფილობა, ხოლო შეისრულებოდინ საიდუმლოთ მიმღებლობისათს<sup>5</sup>.

3. დიმიტრისთვის ზღაპრობენ, ვითარმედ ასული იგი მისი პერსეფონი, რომელსა აწ ქალად უწოდს, წარტაცებულ იქმნა პლუტონისგან, რომლისათს შევტომილი დიმიტრი<sup>6</sup> ატტიკელთა სოფლად მიიწია და დაივიანა სოფელსა რასმე ელევსიდ წოდებულსა<sup>7</sup>. და მუნ ეუწყა ტრიპტოლემოსს და კელემოსსგან, ვითარმედ პლუტონ<sup>8</sup> ეტრფიალა პერსეფონის და წარტაცებით ჰყავს იგი ტუადას<sup>9</sup> შინა. ამის ქველის-მოქმედებისათს მისცნა მათ დიმიტრი<sup>10</sup> თესლნი ქრთილისა და იფქლისა<sup>11</sup> და საწუნეთანი. და მისცნა მათ ვეშაბნი ფრთოვანნი და ამცნო, რაათა უშურველად მიმოვლონ ყოველსა ქუეყანასა და მისცნენ თესლნი იგი. ხოლო ვითარ იგი ზღაპრობენ, პირველ ამისსა მძოვრებით<sup>12</sup> ცხოვნდებოდეს კაცნი სოფლებისანი და მწუფრვალთაგან<sup>13</sup> ხეთადას, თუნიერ ჩუეულებისა<sup>14</sup> ამათ საზრდელთადას. ხოლო რომელსა იქმს, თქუა, ნაცვლად ამისსა, ვითარმედ რომელსამე ქველის-მოქმედებს და რომელსამე შეემთხუევის<sup>15</sup> ამის წილ, ვითარმედ ქველის-მოქმედებისათს ქველის-მოქმედებს და მის ძლით კეთილსა უყოფს, რომელ იგი მას კეთილი შეემთხუა უწყებთა ადგილსა ასულისა მისისასა. ესე-ვითართა ამათ საქმეთა დამისად უწოდს, ვითარცა ბნელისათა და სარცხუნელ<sup>16</sup> ყოფად ესე ვითარისა დღისა დღესასწაულთა<sup>17</sup> შორის შემოვლებად და ბილწებათა საიდუმლოდ სახელის დებად, რამეთუ თუთ მათნივე გამომეტყუელნი ბნელსა შინა დაფარვად ბრძანებენ ესე ვითართა საქმეთა, ვითარ თუეცა არა ღირს იყენეს უღირსნი ცნობად მათდა. ხოლო ელევსის უწყებად ამას იტყვს, ვითარმედ თუთ ადგილი იგი წამებს ბილწებათა ამათ საქმეთასა, რომელსა დიმიტრი ელევსითა<sup>18</sup> უწოდა თუსა მუნ მოსლვისათს<sup>19</sup>.

4. სემელი ასული იყო კადმოისი, რომელსა ეტრფიალა ზევს და თანაეყო მას და მუტლად ილო მისგან დიონუსი. ხოლო ირა ცოლმან ზევსმან იწყო შურობად სემელისსა და შეიცვალა<sup>20</sup> ოცნებით, რეცა დედაბერად მზრდელად, შესწავებულად სემელისგან, და განაზრახა მას ესრეთ, ვითარმედ, ითხოვე(ე) ზევსგან, რაათა ესრეთ თანაგეყოს შენ, ვითარ იგი თანაეყვის ირას. ხოლო ზევს თანაეყო, მსგავსად თხოვისა მისისა, ქუხილითა<sup>21</sup>, მეხის ტეხითა და ელვითა. ხოლო სემელი მყის დაიწუა, რამეთუ მოკუდავი იყო და ირა<sup>22</sup> განიხარა, რაათა არღარავინ აქუნდეს წინააღმდეგომი.

ხოლო მოკუდა რაე სემელი, გამოილო ზევს საშოდასგან მისისა ჩჩული იგი მუტლადღებული დიონუსი, და [განაპო] ბარკალი იგი<sup>23</sup> და შთაიდვა მას

<sup>1</sup> სიბორგილესა C. <sup>2</sup> არევითა C. <sup>3</sup> უწოდენ C. <sup>4</sup> იქმნებოდნენ C. <sup>5</sup> დიმიტრი C. <sup>6</sup> სახელ-დებულსა C. <sup>7</sup> პლატონ C. <sup>8</sup> ტუადას C. <sup>9</sup> ი იფქლისა და ქრთილისა C. <sup>10</sup> მძოვრებით C. <sup>11</sup> მწუფრვალთაგან BC. <sup>12</sup> ჩუეულებისა C. <sup>13</sup> შეემთხუევის BC. <sup>14</sup> სარცხუნელ C. <sup>15</sup> დღესასწაულსა C. <sup>16</sup> ელევსიდ C. <sup>17</sup> შეაცვალა BC. <sup>18</sup> ქუხილითა B. <sup>19</sup> არა B <sup>20</sup> იგი თესი C.

\* შდრ. 3, 6. \*\* შდრ. 3, 65.



შინა და წარიყერა ზედა. ხოლო მეშვდესა თუესა<sup>1</sup> მოვიდა ერმი და განაპო ბარკალი ზევისი. და, ვითარ იგინი იტყვან, მაშინლა იშვა დიონჯსი და წარყვანებულ იქმნა იგი ნჯსსად თრაქი(ი)სა, და მუნ წოვნილ იქმნა სძალთაგან და აღიზარდა. ვინაჲცა აქა მოძღუარი «უსრული ნაშობ» იტყვს დიონჯსის, რამეთუ მუცელსაღა შინა იყო იგი, რაჟამს მოკულდა დედაჲ მისი, ხოლო «ბარკალის ლმობად», რამეთუ, ვითარ იგი ზღაპრობენ, უსრულობად იგი მისი ბარკალსა შთადებითა სრულ ყო ზეეს. ხოლო სხვა «თავით შობად» სხვაგან ითქუშის და ამისსა შემდგომად ღმრთად მამალ-დედლად. ამასვე დიონჯსის უწოდეს, ვითარ იგი მამათასა ჰყოფდავე და დედათაჲცა შეემთხუეოდა<sup>2</sup> და მწყობრ მომთრავლეთა მათვე სატჯროსთა და სეღინოზთა მეძვობით თანამროველთა დიონჯსისთა, რამეთუ იგინივე იყენეს მკედრობა დაქსნილ სიმთრავლისა მიერ, ვითარ შეჰვავს მწყობრსა მომთრავლეთასა. ხოლო უგუჟურებაჲ თივოელთა პატივის მცემლობასა დიონჯსისსა, რომელი ნათესავით თიოელი იყო და არს იგავით-ცა, რომელი იტყვს თივოელთა უგუჟურებისა, რომელნი იგი მეხის ტეხისაცა თაყუანის სცემდეს და უწოდდეს მას სემელისდად, რომელი იგი ზემო ვთქუთ, მეხდატეხილ იქმნა.

ხოლო თავით შობანი ესე არიან, რამეთუ, ვითარ იგი ზღაპრობენ, ეგულეობდა რაჲ დიოსს, რომელი არს ზეეს, თავისაგან თჯსისა შობად ათინაჲსი, მოუწოდა ეფესტოსს მკედელსა, რომელმან შაზრითა ზროხისაჲთა განუპო მას თავი და ესრეთ გამოჯდა მიერ ათინა.

5. აფროდიტი ცოლი იყო ეფესტოსს მკედლისაჲ. და ესე არს სამეძვო საიდუმლო მისსა, რამეთუ ბილწებით შობილ იყო და თვთ მეძავ, რომლისა ტრფიალებისათჯს არე მახით მონადირებულ და შეკრულ იქმნა და განიქიქა ღმერთთა ზედა. ხოლო ბილწებით პატივეცემა აფროდიტისსა არს, რამეთუ არა წოდებით პატივ-სცემდენ<sup>3</sup> დღესასწაულსა მისსა და ვითარცა სიძვისა ზედამდგომელისათჯს სიძვათა აღასრულებენ.

6. ფალლოსნი და ითჯფალლოსნი ბილწ არიან სათქუმელად და სასმენელად, რამეთუ ბილწებისაებრ დიონჯსისა<sup>4</sup> დღესასწაულსა მისსა მზორველნი იგი მისნი დამოიკიდებენ კერპებსა რასმე მამალ-დედალთ სარცხუნელებისასა და ესრეთ უშუერად<sup>5</sup> მზორველობენ.

7. მათათა სკუთელთასა ეწოდების ტავროჲ. ამის ტავროჲსა ქალაქთაგანსა ერთსა შინა იმსახურების არტემი, რომელმან იგი მუნ მიიყვანა იფეგენია<sup>6</sup> ასული აღამემნონისი. და რაჲთა არა განცხადნეს მუნ მიყვანებაჲ მისი, ამისთჯს ჰყოფდეს ტავროელნი უცხოთა კაცთა სხუთ ქუეყანით მათდა მორსულთა მოკლვასა, რაჲთა არა განაცხადონ მათ მუნ ყოფად იფეგენიაჲსი შემდგომად თჯსსა ქუეყანასა<sup>7</sup> მიქცევისა მათისა და რეცა მსხუერპლად შეწირვისა მათსა აზმნიდიან<sup>8\*</sup>.

\* შდრ. 3, 56.

<sup>1</sup> თუშსა BC. <sup>2</sup> შეემთხუეოდა BC. <sup>3</sup> პატივ-სცემენ C. <sup>4</sup> დიონჯსისსა C. <sup>5</sup> უშუერად C.

<sup>6</sup> ეფეგენია C. <sup>7</sup> ქუეყანად C. <sup>8</sup> აზმობდიან C.

8. ლაკონიკელ უწოდს ლაკედემონელთა, რომელთა რაჟამს ენებოს<sup>1</sup> მოქალაქეთა და მჭედართა თქსთა ახოვან ყოფად წყობათა შინა, ამისთჳს დღესასწაულნი შემოკრიბნიან და წინაშე ბომონთა ქაბუქთა წურ-გამოთა<sup>2</sup> გამოსციდიდიან მრავალგზის მიმთხუევითა<sup>3</sup> შოლტებისათა, და რომელმანცა უფროდსი დაითმინოს, უმრავლესი ნიქი მიანიჭიან მას. ვინაჲცა აწ მოძღუარი იტყჳს, ვითარმედ ესევეითართა წესთა სრულ ჰყოფდეს დღესასწაულსა არტემისსა, რომელსა აწ ღმრთად ქალწულად უწოდს, რამეთუ ამისთჳს შოლტითა იცემებოდიან წურ-გამონი<sup>4</sup> ქაბუქნი ვიდრე სისხლთა დათხევამდე ბომონთა ზედა მისთა, ვითარცა ზეშთა ყოვლისა მოშიშებისა მწენდ მოთმინენი, რომელნი სიჩუქენსა პატივ-სცემდეს ამით, რამეთუ საჭმელ მრავალ ჰყოფდეს დღესასწაულსა მისსა და მათ მიერ შუებითა<sup>5</sup> დადედლდებოდეს<sup>6</sup> რომელსა შინა სრულ იქმნებოდა მათგან საცთური ყრმათა მიმართ მპორგნეულობისაჲ, ვითარ იგი უწყით პასანისთჳს და არგილისთჳს მიერ ქონებჲჲ მაპათამელობისაჲ. ხოლო სილაღესა ჰმსახურებდეს სიმწნით თავსდებითა წყალობათაჲთა და გუემათაჲთა<sup>7</sup>.

9. პელოპოსს კორცაქმნიღებჲჲ<sup>8</sup>, ესე არს. რამეთუ ტანტალოს მეფე იყო ფრიველთაჲ, რომელმან მიჰხადა<sup>9</sup> ღმერთთა ოდესმე და სანუვაგედ<sup>10</sup> მათდა<sup>11</sup> დაკლა და დაქრა და შეაგბო და დააგო ძე თჳსი, რომელთაგან დიმიტრი<sup>12</sup> მოიღო მგარი ასოთა მათგან და შექამა. ხოლო სხუათა მათ ღმერთთა შეეწყალეს ტანტალოს და დაუკრდა, ვითარ მიმადლებსითჳს მათისა შურააცხყო ძე თჳსი. ამისთჳს შეაწყენეს ურთიერთას ასონი იგი და განამრთელეს პელოპოსს და ნაცვალად შექმულისა<sup>13</sup> მის მგრისა შეუდგეს ძუალი ბილოჲს ძუალისაჲ, ვინაჲცა ყოველთა პელოპიდთაჲ თითოეულსა მათსა შესასწავებელად მგარსა თჳსსა ჰკიდავეს<sup>14</sup> ძუალი ბილოჲსაჲ\*\*.

10. ექატის ღმრთად ჰგონებენ წარმართნი. და რომელნიმე არტემიდ იტყჳან მას, სხუანი მითოვარედ, სხუანი [თჳ]საგან სხუად ღმრთად ოცნებითა რაჲ(თ)მე და საოცრებითა ადგილთა [შინა] ბნელთა და მღვმოვე[ანთა] გამოჩინებულად, სადა იგინი ხადლიდიან მას. ხოლო ოცნებჲჲ გამოჩინებისა და საოცრებათა მისთა ესე არს, რამეთუ გამოჩნდებიან კაცნი ვეშაპისა<sup>15</sup> თავნი, რომელნი მხოლოდ ხილვითა ოდენ შეაძრწუნებენ მხილველთა მათთა.

11. ტროფონი და ემპედოტიმონ და არისტონ გრძნეულნი იყენეს, ქუეყანით ვიოტიამთ, ქალაქით ლევადიად სახლდებულით. და ესენიცა ცუდად მზუაბრობითა ძლეულნი ზეცად ამალღებისა მგონებელნი ქუესკენელს<sup>16</sup> ქუეყანისასა დაჰდგეს, სადა იგი განიხრწნეს რაჲ და უჩინო იქმნეს, საგრძნეულო იქმნა ადგილი იგი, რომლისათჳს მოიღებვის იგავი რაჲმე ტროფ[ონ]იოჲს მიერ შემზადებული, მქმუნვარეთათჳს და არა ოდეს მოცინართა, ვითარმედ ყოველი საგრძნებავსა მას შთამავალი [გაუცინებელად] აღმოვალს მიერ, რაჲთა ქმუნვიდეს და უფერულობდეს სამარადისოდ სამხილებელად მათდა, ვითარმედ უფერულ არიან და არა ოდეს ღირს სიცილისა, ღირსნი იგი ტორილისანი ხრწნილებსითჳს და სიკუდილისა. ხოლო გრძნებისა გელოვანებჲჲ ამით მოიგეს

<sup>1</sup> ენების C. <sup>2</sup> წურ-გამოთა BC. <sup>3</sup> მიმთხუევითა B, მიმთხუველ C. <sup>4</sup> წურ-გამონი BC. <sup>5</sup> შუებითა BC. <sup>6</sup> დედლდებოდეს C. <sup>7</sup> წყალობათა და გუშაათა B. <sup>8</sup> კორც-ქმნულებჲჲ B. <sup>9</sup> მიხადა C. <sup>10</sup> სანუვაგედ C. <sup>11</sup> მათს C. <sup>12</sup> დიმიტრი C. <sup>13</sup> ბექ-მალისა B, ბექ-მული... C. <sup>14</sup> ვეშაპის C. <sup>15</sup> ქუსსკენელს C. \* შდო. 3, 12. \*\* შდო. 3, 5.



ტროფონიოს<sup>1</sup> და ძმამან მი[ს]მან აღამიდის, რაჟამს [თჳსთა სა]კმართა მიერ [აღუშენეს] აპოლონს [ტაძარ]ი დელფოასა\*.

12. დუ დუნი ქალაქი არს გმელთა<sup>2</sup> ზედა და არა ქალაქთა შინა, რომელსა შინა აღმართებულ იყო ხე მუხისაჲ დიოხსდად<sup>3</sup> სახელდებული. ამას ქალაქსა შინა იყო სამისნოდ დედათა რათმე, რეცა წინადაწარმეტყუელთა, რომელნი შევიდიან ქუეშე<sup>4</sup> კერძო ხისა მის მუხისა და რეცა იძვოდის ხე იგი და მის მიერ იტყვიან დედანი იგი გრძნეულნი, ვითარმედ «ამას იტყჳს ზეცსა»\*\*.

13. სამ-ფერჯისათჳს, არს უკუე<sup>5</sup> სოფლები ელადისაჲ ფოკიდ წოდებული და მას შინა ქალაქი დელფუდ სახელდებული. ამას [ქალაქსა შინა არს ტაძარი] [აპოლონ]ის(ი), [რომელსა] უწოდებენ პუთო. ამას ტაძარსა შინა დგას(ს) სამ-ფერჯი რამე ფიალი და ფიალსა მას<sup>6</sup> შინა კენჭები საგრძნებლები, და რაჟამს მგრძნებავი რასმე ჰკითხავნ<sup>7</sup> გრძნებისათჳს, ხლდებოდინ კენჭნი იგი და მიმოიკვალდებოდინ ფიალსა<sup>8</sup> მას შინა. მაშინ ცრუ წინადაწარმეტყუელი მათი ჰხედავნ და ესმინ, რადეცა იგი ჰნებავნ აპოლონს და წინადაწარმეტყუელებსა მას პუთა<sup>9</sup> ეწოდების.

14. არს წყაროჲ ადგილსა და ფნისასა კერძოთა ანტიოქი(ი)სათა, რომელსა ზედა [ით]ქუმოდა მოსლვა [აპ]ოლონისი, რომელი იგი გამოუცხადებდა გრძნებათა და ოცნებათა ყოველთა, [რომელნი] მოვიდოდინ წყაროსა მას. რამეთუ ესრეთ თქუმულ არს, ვითარმედ ოდეს იწყის ვინმე გრძნებად, ორთქლსა და ქართა აღმოუტევებნ წყაროჲ იგი (და) ესვეითართა მათგან ორ[თქლთა] წყაროსათა აგრძნობ[დი]ან მდღელნი იგი და იტყ[ოდ]ინ ყოველსავე, რა[დ]ეცა რამ [ჰნებავნ] ეშობსა].

15. ვოგუთა მსხუერპ[ლბ]ის ა<sup>10</sup> მიერ წინამცნობელობისათჳს, ვითარ იგი და[კ]ვლეთა მსხუერპლთაჲთა<sup>11</sup> (ჰყოფდეს) წინამცნობელობასა, რომელთაჲ განაპიან [მ]უკელი და ნაწლევეთა შინა და ღძღსა ჰყოფდინ წინამოსწავებასა რასმე, რამეთუ მოგუნი ნათესავ არიან მიდელთა, რომელთაგან გამოვიდეს ღძღის შემტყუებნი<sup>12</sup>. და ამას ნაწლევეთა განუებასა უწოდს მოძღუარი წინაცნობად და განჭირთად<sup>13</sup>.

16. ვარსკულავთ-მრაცხუელობისათჳს ქალდეველთა მიერ მოპოვნებულისა, რომელთა პირველ იყო ზორასტროს და მისგან ასტრომეთიოს<sup>14</sup> და შემდგომი მისი ტანის, აღმნიშვნელნი ძრვისა და მოქცეობისა ვარსკულავთაჲსანი, ვითარმედ ამას რაჲსმე მოქცევისა შობილსა კაცსა, ესე რამე შეენთხუევის<sup>15</sup>. ამიერ ისწავეს მეგაბტელთა და ელენთა<sup>16</sup> და მოძრაობასა ვარსკულავთასა თანა შეატყუებენ<sup>17</sup> კაცთა შობისა დღესა\*\*\*.

17. თრაქელთა საადუ[შ]ლოჲ არს ესე. რამეთუ ორფევს[ს] ნათესავით იყო თრაქელი და მან პირველად ასწავა წარმართთა საიდუმლოჲ ღმერთთა ზორვისაჲ და ზორვასა მას თრისკე უწოდა, ვითარცა თრაქელთა მიერ მოპოვნებულსა და რეცა საიდუმლოდ წინა უყო იგი ვითარ[რ]ცა ღმერთის მხილველობაჲ რამე, რამეთუ თუთ ესე ორფეოს მუსიკელი იყო ჯელოვნებით, ესოდენ ტკბილად მომღერალი, ვიდ-

<sup>1</sup> ტროფონიოს C. <sup>2</sup> გმელსა C. <sup>3</sup> დიოხსდად C. <sup>4</sup> ქუეშე BC. <sup>5</sup> უკუე BC. <sup>6</sup> მას abs. C. <sup>7</sup> იკითხავნ C. <sup>8</sup> ფიალსა C. <sup>9</sup> პუთია C. <sup>10</sup> მსხუერპლბისა BC. <sup>11</sup> მსხუერპლთაჲთა BC. <sup>12</sup> შემტყუებნი B, შემტყუებნი C. <sup>13</sup> განჭირთა B, განჭირთად C. <sup>14</sup> ასტრომეთოს C. <sup>15</sup> შეენთხუევის C. <sup>16</sup> ელენთა C. <sup>17</sup> შეატყუებენ C. \* შდრ. 3, 2. \*\* შდრ. 3, 20 \*\*\* შდრ. 3, 68.

2. ენიკი-ს მთაბე, ტ. X.

4702 4201





რემდის უსულთა ცა მიიზიდვიდა მიდენებად მისა, რომელსა ვიდრე აქ-  
მომღე ქნარის ცემითა პატივ-ს-ცემენ\*.

18. მითრო სპარსთა [მიერ ს]აგონებელ არს, [ვითარმელ თვთ] მზე არს, ხოლო [სხუათა მიერ ზედა]მღვამ ცეცხლისა სახელ იდების, ხოლო სხუათაგან მსა[ჯუ]ლად ძლიერებისა. [და ვერ ვინ შემძლებელ [არს] ზორვად მისა, უ[კუეთუ] არა მრავალ რიცხ[უნ]ი ტანჯვანი თავს ისხნეს და ამით სახითა აჩუენოს მისა მიმართ სიწმიდე და უენებელობად თვის, რაჟამს იტანჯებოდა<sup>1</sup> პირველად უსუბუქესადრე და მერმე უძიმესად და ესრეთ ყოველსავე შინა სრულ<sup>2</sup> იპოოს: ცეცხლისა განლევასა, ყინელისა თავსდებასა და ვიდრე ოც დღემდე, და კუალად ორმოცდამათ დღე შიმშისა და წყურილსა, გზა-მავ-  
ლობასა, და ამით<sup>3</sup> ყოველთა შინა მლოცველობასა. ესევეითართა ამით ტანჯვათა სამართალ<sup>4</sup> უწოდს მოძღუარი, რამეთუ სამართალცა არს ესევეითართა მზორ-  
ველისა<sup>5</sup> ტანჯვად ესევეითართა\*\*.

19. ოსირიდოს მეგვბტელთა მიერ ღმრთად სახელ იდვა, რომელსა ვიეთ-  
ნიმე დიონსედ უწოდენ<sup>6</sup>; სხუანი სხუად რადმე. [ამის ოსირი]დო[მ]ს განჭრად არს [სხ]უა განსაცდელ, პატივის საცემელ მეგვბტელთა მიერ, რამეთუ ვითარ იგი დიონსეი გმირთაგან, ეგრეთვე ამისი ტუფონისა ეშმაკისაგან განჭრად დიდად საგლოველ იქმნა<sup>7</sup> მეგვბტელთა და განჭრისა მის მისისათვს წლითი წლად დღესსაწაულობდიან.

20. ისიდო იგივე არს, რომელსა ეწოდებოდა იო, რომელი აღიტაცა ზეგს და შეეშინა ირავსგან ცოლისა თვისისა. ამისთვის შეცვალა იო ჯარად, რომელსა ფერ-ქეულ ჰყოფნ: ოდესმე სპეტაკად და ოდესმე წითლად, გინა შავად. და ესოდენ<sup>8</sup> სტებობდა მას თანა, ვიდრემდის მივიდა ეგვბტელ, სადა იგი მეგვბტელთა<sup>9</sup> მიერ სამსახურებელ იქმნა იო, რამეთუ კერპსა მისსა გამო-  
სხნეს რქანი, რომლითა მოასწაივებდეს ქალისა ჯარად შეცვალეობასა. ესევეითარსა მას ცთომასა მისსა<sup>10</sup> უბედობა(სა) უწოდს მოძღუარი.

21. ვაც მენდისიელთა უწოდს პანს, რომელსა მენედიტად<sup>11</sup> უწოდენ [მ]ეგვბტელ[ნი, რამეთუ თვისითა სიტყუთა მათითა მენედიტა] ვაცად გამოითარკმანების და თვთ კერპი იგი მათი მენედიტა<sup>12</sup> ყოვლად ვაცის პირ არს, ხოლო პატივის-ცემენ<sup>13</sup> მას ესრეთ, რამეთუ ყოვლადვე არა იხილვენ გემოსა თხისა ჯორცისასა. ამისთვის რამეთუ თხის სახე არს პან, ღმერთი იგი მათი, და მას მიჩიემებენ მშობ[ებ]ლობისა ძალსა, რამეთუ შვილიერად იტქუმის ცხოველი ესე. ამით მენდისიელთა<sup>14</sup> კერპთა შინა არჩევენ უპატიოსნესთა მსგავსებითა რქათადათა, რამეთუ არიან სამსახურებელ მათდა თიკანნიცა მათნი. ხოლო ტაძართა შინა მეგვბტელთასა იყო კერპი ვაცის წყვილი მართლ მქონებელი სხეულისადა უპატიოსნეს საგონებელი მათგან.

22. აპიდოლ<sup>15</sup> ჯბოდ მეგვბტელნი უწოდენ ნიშოვანსა მას სხუა სახეობითა კულისა და ენისათა<sup>16</sup>. ამით უწოდენ აპიდ და იმუთ მოქცევსა მთო-

<sup>1</sup> იტანჯებოდეს B. <sup>2</sup> სრულ abs. B <sup>3</sup> მათ C. <sup>4</sup> ტანჯვასა სამართლად C. <sup>5</sup> მზორველისა ესევეითარი C. <sup>6</sup> დიონოსედ უწოდენ C. <sup>7</sup> ექმნა C. <sup>8</sup> ესრეთ C. <sup>9</sup> მეგვბტელნი C. <sup>10</sup> ცთომასა მისსა abs. B. <sup>11</sup> მენედიტად C. <sup>12</sup> მენედიტა C. <sup>13</sup> პატივისცემენ C. <sup>14</sup> მენდისიელთა C. <sup>15</sup> აპიდო B. <sup>16</sup> ენისათა C. \* შდრ. 3, 67 (ეს თხრობა ვრცელი რედაქციით მე-23-ა, აქ მოკლე რედაქციის მიხედვით გადავსვით). \*\* შდრ. 3. 7.



ვარისასა შობილობისათჳს დიდად დღესასწაულობენ მათთჳს ბაგასა მათსა ვარემო დგომათა მღღელთაჲთა. და ამით იშუებენ<sup>1</sup> მემფიტოელნი, რომელ არიან მეგზბტელნი, უ[გ]უნურებით პატივის [ც]მითა პირუტყუთ[ათა], რამეთუ სიმრავლესა [თითო ფერთა საქმელთა[სა წი]ნა დაუდებენ მათ.

23. ნილოჲს პატივისცემისათჳს იროდოტოს არა რას იტყუს, ხოლო წარმიკითხავს თხრობასა შინა არისტენეტოს რიტორისასა, ვითარ იგი მოგზო-ხრობს, ვითარმედ დღესასწაულობენ მეგზბტელნი ნილო მდინარისათჳს დიდსა დღესასწაულსა<sup>2</sup> და ერ-მრავალსა, და ყოველნი ყოვლით კერძო შემოკრებნიან თეატრონთა ქალაქისათა და მუნ დაჰკლვენ, რაჲცა ჭის აქუნდეს თითოეულსა. და მიიღებენ მამანი და დედანი, რაჲცა<sup>3</sup> ვის ეპოვებოდის სანუგავეთაგანნი<sup>4</sup> და დედანი მემღერთა განაწყობენ და გალობენ ნილოსისათჳს გალობასა, რომელსა<sup>5</sup> იგი გალობდიან დიასთჳს, რამეთუ რეცა იტყვან, ვითარმედ დიას<sup>6</sup> საქმესა აღასრულებს<sup>7</sup> ნილოსი მომრწყველობითა ქუეყანისაჲთა. ამას უგუნურნი მიაჩემებენ პატივისა ღმრთისასა და ნაყოფისა<sup>8</sup> მომცემლობასა მისსა გინებულ ჰყოფენ, რაჲმს ღმრთისა მიერ ქმნილი ნილოსსა მიაჩემონ, ვითარმცა თავით თჳსით ჰყოფდა იგი მომრწყველობასა და არა ბრძანებითა ღმრთისაჲთა.

24. ხოლო<sup>9</sup> წყრთებით<sup>10</sup> განხობა არს, რაოდენსა წყრთასა მოიმაღლოს წყალმან, ეგოდენ უფროჲს საკვრველ ჩენად ნილოჲსა(ა). (ა)მას თანა დაუკვრდების მოძღუარსა მეგზბტელთა იგი მრავალ-ღმრთობაჲ, რომელნი იგი ჰმსახურებენ ქუეწარმძრომელთა<sup>11</sup> მგეტთა: ივის, კოკოდილოს, გუელთა<sup>12</sup> და ელუროსთა და სხუასა სიმრავლესა თევზთასა.

ზღაპრობანი კულად იესუასნი \*

(მოკლე რედაქცია)

1. პარვათათჳს დიოდახთა. კრძნობ ქმარი იყო რეაზი, რძემელსა რადდენა შვილი უშვის რეა, მას შთანთქის კრძნობ. ხოლო რეა შვა რაჲ დიოხ, შეემ[ინ]ა კრძნობაგან, ნუ უკუე<sup>1</sup> შთანთქას ივიდა. ამისთჳს ლოდი შეხუეული<sup>2</sup> მისდა ნაგვალად მისხა, რძემელი იგი ნაგვალად ჩხვლიხა შთანთქა კრძნობ. ხოლო რეა ყოდვასა მათსა ვრიტეს ვარე მადეგინნა ჩხვლსა მას თჳსხა კურ[ი]ტი და კლვიგანდნი, ესე იგი იყვნეს მემღერნი და მრძკვალნი, რაჲთა ჳმითა თჳსითა

<sup>1</sup> იშუებენ C. <sup>2</sup> დღესასწაულსა დიდსა C. <sup>3</sup> რაჲცა C. <sup>4</sup> სანუგავეთაგანი C. <sup>5</sup> რასა C. <sup>6</sup> დიას C. <sup>7</sup> აღასრულებს C. <sup>8</sup> ნაყოფის C. <sup>9</sup> ხოლო abs. C. <sup>10</sup> წყრთებით C. <sup>11</sup> ქუეწარმძრომელთა C. <sup>12</sup> გუელთა C.

<sup>1</sup> ნუ უკუე A. <sup>2</sup> შეხუეული A.

\* ხელნაწერში ამ სათაურს წინ უძღვის ის ზოგადი სათაური, რომელიც მიუღ თხუ-ლებას წინ წარვუძღვანეთ. \*\* შრდ. 3, 6. \*\*\* შრდ. 3, 65.

დაფარენ ტირილი იგი ყრმისაჲ, ნუ უკუ<sup>1</sup> ესმეს კრენღეს და შთანთქას იგი.

2. ზღღღ ფრიკელთა მასჯლითა დაჭრამ ჰბოვო პირველისა ივლიანეს განქიქებასა თსრობათა შინა შეექუსედ ზღაპრობად<sup>2</sup>.

3. ზღღღ ქალისა ადრადგებანი, ივიცა მათვე ზღაპრობათა შინა. ზღღღ პერსეპონისთჳს ქალისა, ჰბოვო ივლიანეს განქიქებასა პირველსა, სამეფო-დამეგრთედ თსრობად<sup>3</sup>.

4. და ხეშელისთჳსცა მეს-დატენილისა ჰბოვო მეღრისა ივლიანეს განქიქებასა თსრობათა შინა მეფეც ზღაპრობად.

თავი დიოჯისი იქმნა თავსა ლმობისა სირყვსაებრ ღმირღისა, რამეთუ მას შინა აქუნდა ათინაჲ და შუა განბებითა იფეხტრეღს მამრისაჲთა, რემელი ეხე ჰბოვო მეღრისა ივლიანეს განქიქებისა თსრობათა შინა ღვდამეღრედ ზღაპრობად.

5. აფრედდისთჳს და უშუერთა ხაიდუმლოთა მისთა და თუკითარ უშუერებით და ბიღწებით შიბილ<sup>4</sup> არს ბიღწე[---] მოძღუარ არს, ესე გნად ყღ<sup>5</sup>.

6. ფ[ალღ]ახთათჳს და ითჳფალღესთა და ვითარ იდღესხაწა[უ]-ღემოდეს დიღწისისთჳს ჩუეუღებისაებრ<sup>6</sup> ლაკით შთანწებისა დედათაჲსა უშუერებისათჳს<sup>7</sup> დუმილით პარტი-იციემებოდენ, ვითარ იგი ხსუათაჲგ ადგილთა ესრეთვე ითქუმის<sup>8</sup>.

7. ტავრღელთა უღწოთ-მკლვეღობისათჳს ჰბოვო<sup>9</sup>—

8. ლაკედემღენელთა მტარჯვეღობისათჳს ბომონთა წინამე ქმნულისა, ჰბოვო პირველსა ივლიანეს განქიქებისა თსრობათა შინა შეათორმეტედ ზღაპრობად<sup>10</sup>.

9. პელეპოჯისთჳს და ტანტალღესთჳს ჰბოვო პირველსა ივლიანეს განქიქებისა მესუთედ ზღაპრობად<sup>11</sup>.

10. ზღღღ ეკატის უღწებათათჳს, რემელნიმე ღმრთად წარმართთა უწოდენ ეკატის, ზღღღ რემელნიმე არტემად ხანელ ხდებენ, და რემელნიმე თათ მთღვარედ. და ესე ყოველი სიმრავლისათჳს უღწებათა მისთაჲსა, ვითარ აღწნებს კაცთა თავ-ვეშაბთა ვრცელთა და ყოვლად გრმელთა, რემელნი ხილვითა ოდენ განაგვრებდეს მსხედველთა.

11. ტრღფენისთჳს და ღანნიმჯდისთჳს, ესეცა ივლიანეს განქიქებასა<sup>12</sup>.

12. დუღუწელისა მის მუნისათჳს, ესეცა ივლიანეს განქიქებისა :ოდ: ზღაპ.<sup>13</sup>—

13. ხამ-ფერჯისა დელდიოჯისათჳს, მუნვე :იე:

14. კახტალღესათჳს, ივლიანეს მეღრესა, შეათექუსმეტედ.

15. მღგუთა მსხუერპლეგებისა შიერ წინამცნობელღობისათჳს, ვითარ იგი დაკლვითა მსხუერპლთაჲთა<sup>14</sup> ჰყოფდეს წინამცნობელღობასა, რემელთაჲ განაბონ მუცელი და ნაწლეკთა შინა და დჳმლსა ჰყოფდიან წინა-

<sup>1</sup> ნუ უკუ A. <sup>2</sup> შობ'ლა A. <sup>3</sup> ჩუშუღებისაებრ A. <sup>4</sup> უშუერებისათჳს C. <sup>5</sup> მსხუერპლთაჲთა A. <sup>6</sup> შღრ. 3, 6. <sup>7</sup> შღრ. 3, 65. <sup>8</sup> შღრ. 3, 89. <sup>9</sup> შღრ. 3, 39. <sup>10</sup> შღრ. 3, 56. <sup>11</sup> შღრ. 3, 12. <sup>12</sup> შღრ. 3, 5. <sup>13</sup> შღრ. 3, 2. <sup>14</sup> შღრ. 3, 20.



მღსნავებასა რასმე, რამეთუ მოვლენი ნათესავ არიან მიდგელთა, რომელთაგან გამოვიდვს დვძლის შემტყუენი<sup>1</sup>.

16. ვარსკულავთ-მრაცხუელღობისათჳს ქალდეკელთა მიერ მიბღენებულისა, რომელთა პირველი იყო ზურფასტროს და შემდგომი მისი ტანის, აღმინწველნი ძრვისა და მოქცეობისა ვარსკულავთაჲსანი\*.

17. თარაკელთა მემსხუერპღეღობისათჳს<sup>2</sup>, რომელთაგან მან ღრფელს პირველად მოიბღვა ხანე და წესი მსხუერპღელთა შეწირვისაჲ\*\*.

18. მითრფელთა ტანჯვისათჳს, ჰბოღ ივლია\*\*\*:—

19. ღხირიდღახს მიმღკუეთებათათჳს. ამას ღხირიდღახს ვიეთ-ნიმე დიდნახად იტყუან, ხოლო სხუანი ღხირად. ეგე განიჭრა ტვღენისა მიერ, ეშმაკისა და დიდი გლოვაჲ დაუტევა მეგპტელთა, ვიდრემდის წელიწად ერთ საწხენებელ ჰყოფდეს მიმღკუეთებასა მას მისხა.

20. იხიდღახსთჳს, რომელსა ვწოდებოდა იო. რამეთუ ზევს ადირადა იო და შეეშინა ირახსგან ცოლისა თჳსისა. ამისთჳს შეგვალა იო ჯარად, რომელსა ფერ-ქნეულ ჰყოფნ: ღდესმე სპეტაკად, ღდესმე წითლად, გინა შავად, და ესრეთ სცებოდა მის თანა, ვიდრემდის მივიდა მეგპტელთა, სადა იგი მეგპტელთა მიერ საშასურებელ იქმნა იო, რამეთუ კერპსა მისხა გამაჯსნეს რქანი, რომლითა მოახწავებდეს ქალისა ჯარად შეგვალებასა.

21. ვაცისათჳს მენდიხიოღახსა, ჰბოღ ივლიანეს განქიქება:—

22. აპიდღახსა ჯბღახსა ბაგათათჳს, რომელი იგი იყო ნიშუან, რაჟამს იშვის სხუა ხანეღობითა ენისა და კუდიხაათა, რომელი იშვის რაჲ. ცნიან აპიდღახსა და დღესასწაულღობიან რაჲ მისთჳს, წინა დაუდჳან ბაგასა ხომრალე საჭმელთად.

23. ნიღღ მდინარისათჳს, რომლისა მომწყველობასა ვითარცა ღმერთსა ეგრეთ უზორვიდიან მეგპტელნი.

24. ეგპტისა ღმერთთათჳს, ვითარ მეგპტელნი<sup>3</sup> კუმღვასათა და ქუეწარმძურღმელთა უზორვიდეს ივის, კროვდიოღახს, გუელთა და ელქურღ-თა და სხუასა ხომრავლესა თევსთასა.

\* შდრ. 3, 68. \*\* შდრ. 3, 67. \*\*\* შდრ. 3, 7.

<sup>1</sup> შემტყუენი A. <sup>2</sup> მემსხუერპღეღობისათჳს A. <sup>3</sup> მეგპტელნი A.

II\*

თხრობანი<sup>1</sup> დიდისა ბასილის ეპიტაფიასა შინა შემოღობულნი

1. პირველი თხრობაა არს პელოპიდთათჳს და კეკროპიდთა და ალკემეონთა<sup>2</sup>, ეკიდთა და ირაკლიდთა.

გარეშენი რიტორნი და ბრძენნი მნებებელ რაჲ იყვნენ მათ შორის გამოჩინებულთა მათ აზნაურებასა შესხმად იტყუან, ვითარმედ «ესე ვინმე მის ვისმე ნათესავისაგან შთამომავალ არს, პელოპოსსა გინა კეკროპოსსა, ანუ ირაკლიოსსა,<sup>3</sup> გინა თუ სხუათა ვიეთმე იროელ საგონებელთა პატიოსანთა და კეთილთა კაცთა». ვინაჲცა აწ იტყუს საკვრველი გრიგოლ[ი], ვითარმედ «მშრომელნი დიდისა ბასილისნი ფრიად უდიდებულეს იყვნეს და უაზნაურეს უფროჲს გარეშეთა მათ აზნაურ საგონებელთა». და ძალი სიტყუათა ამათ შემოღობვისაჲ ამით გულისგმის ყოფითა ჳმნილ არს წმიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა მიერ, ვინაჲცა ჯეროვან არს თქუამად, თუ ვინაჲ<sup>4</sup> იყვნეს ესენი: პელოფს და კეკროპს<sup>5</sup>, ალკემეონ და ირაკლი, რამეთუ ამათგან იწოდებოიან შვილისშვილნი მათნი: პელოპისგან—პელოპიდნი, და კეკროპისგან—კეკროპიდნი, და ალკემეონისგან<sup>6</sup>—ალკემეონნი<sup>7</sup>, ეაკისგან—ეკიდნი, და ირაკლისგან—ირაკლიდნი. აწ უკუე<sup>8</sup> პირველად ვთქუათ, თუ ვინ იყო პელოფს.

ა. პელოფს ძე იყო ტანტალოზის მეფისა ფრვეიასაჲ. ამას ტანტალოს ბრძოლაჲ აქუნდა ილოას თანა, რომელმან აღაშენა ილიონი ტრუაჲსაჲ, და შეეშინა ძლევისაგან და ჰრქუა პელოპს ძესა თჳსსა, რაჲთა წარიხუნეს საჳმარნი და წარვიდეს ჳმელად. და ეტყოდა ესრეთ, ვითარმედ «უკუეთუ ვსძლო, მაშინ კუალად იქცე ფრიგუად. ხოლო უკუეთუ ვიძლიო, დაადგერ ევროპეს. ხოლო პელოფს მიიხუნა საჳმარნი და წაუვიდა ელადად. და მივიდა სოფელსა აპიად წოდებულსა, რომელსა მეფედ აქუნდა ჳნომაოს. ხოლო ჳნომაოსს ესუა ასული სახელით იპოდამია. ამისა შემდგომად ბრძოლა ყო მუნ პელოფს ჳნომაოს თანა ბრძოლითა მკედრობსაჲთა და სძლო მას. და მოიყვანა ცოლად იპოდამია, ასული ჳნომაოსის, და დაიპყრა ქუეყანაჲ მისი, რომელსა იგი ნაცვალად იპოიაჲსა პელოპონისიჲს სახელ სუვა. ვინაჲცა ყოველთა პელოპონისაგანთა პელოპიდ უწოდოიან, ვითარ იგი იყვნეს ატრევს, თჳესტის, აღამემნონ და მენელაოს და უმრწემესი მათი ორესტი. და პელოპოსთჳს ესოდენ იყავნ, რაჲთა ჩუენ ვიტყოდით კეკროპოსთჳს.

\* A. ხელნაწერში საერთო სათაური აქაც გამეორებულია წინ. <sup>1</sup> ზღაპრობანი B. <sup>2</sup> ლაკემეონთა A, ალკემეონთა B. <sup>3</sup> ირაკლიოსსა B. <sup>4</sup> ვინ B. <sup>5</sup> კეკროპსს B. <sup>6</sup> ალკემეონისგან B. <sup>7</sup> ალკემეონნი B. <sup>8</sup> უკუე A.



ბ. კეკროფს მეფე იყო ათინელთაჲ, რომელმან იგი ფრიად რაჲმე შე-  
 ამკო ველოვნებაჲ ატტიველთაჲ; და ესე არს ორ-ბუნება წოდებული, რამეთუ  
 ორთა ენათა სწავლულ იყო: ერთსა ელადელთასა და მეორესა მეგვტელთასა,  
 რამეთუ თქუმულ არს, ვითარმედ ათინელნი ეგვტით წარმოსრულნი არიან,  
 ქალაქისაგან საღაჲსა და დასაბამ მერ მოცვალეებისა მათისა ქმნილ არს ესე  
 კეკროფს, რომელი მოვიდა რაჲ ელადად, ისწავა ენაჲ ელადელთაჲ და თუ  
 პირველთგან აქუნდა მეგვტელთაჲ იგი. ხოლო სიტყუაჲ იგი, რომელი  
 უწოდს ათინელთა თუთ ადგილისად, ზღაპრობაჲ არს, რომელსა შეწმანდა  
 მიუღლებიეს ამიერ, ვითარმედ ვერ ეგების კუალად ცვალეებაჲ ანუ სხუთ ვინაჲ  
 მიცვალეებაჲ, რომელმან ერთგზის დაიმკვდროს ატტიველთა შორის, რამეთუ  
 თხელ არს მიწაჲ [მის] ქუეყანისაჲ და რამეთუ არა ფრიად საშურველ, რაჲთამცა  
 მუნ მყოფნი წარედვენეს ვის, და მათ წილ სხუანი ახალნი დაემენეს. და  
 კეკრომოსთჲს სხუა ჟამ, ხოლო აწ ალკმეონისთჲს ვიტყვიდით.

გ. ესე ალკმეონ ათინელი იყო ნათესავით, ფრიად წარჩინებული და  
 შესწავებული. ხოლო ვინაჲთგან მარადის მნებებელ იყენეს ათინელნი დაცვად  
 თავი[ის]უფლებისა თვისისა და უკუანაჲსკნელ მიიმძღაგრნეს პისისასტრელთა<sup>1</sup>  
 მიერ ათინელნი, ვინაჲთგან ესე ალკმეონ ვერ თავს იდებდა ხილვად დამონე-  
 ბულებასა ქალაქისა თვისისასა, ამისთჲს გამოვიდა მიერ და იწყო ღონის ძიებად,  
 თუ რომლითა სახითა კუალად აგოს მათდავე თავისუფლებაჲ ათინელთაჲ.  
 მივიდა დელფეს ტაძრად აპოლონისსა და მოიძი[ი]ხდა დელფელთაგან ტაძარი  
 იგი და ესრეთ, ვითარცა სასყიდლით მიმღებელსა მთავრობისასა, მის ქუეშე  
 აქუნდეს ყოველნივე მსახური აპოლონისნი; ვინაჲცა არწმუნა მღდელსა ტაძრისასა  
 ხრიზმოს<sup>2</sup> ყოფად ესევეითარსა რასმე, რაჲთა ვინცა მოვიდოდის ლაკედემონელ-  
 თაგანი, არა რას სხუასა უმისნიდეს, თუნიერ ამას ხოლო ეტყოდის<sup>3</sup>, ვითარმედ  
 «ესრეთ გიბრძანებს ღმერთი აპოლონი, რაჲთა წარხვდეთ და გამოიქსნეთ<sup>4</sup>  
 მპყრობელობისაგან მძღაგრთაჲსა ქალაქი ათინაჲ». ამას რაჲ მრავალგზის ჰყოფ-  
 დეს, აღიძრნეს ლაკედემონელნი და ზედა მისლევით განჯადნეს ათინით მძღაგრ-  
 ნი იგი მაჭირებელნი მათნი. ამის ესევეითარისა საქმისა მიერ დიდი ძლევაჲ  
 დაიმკვდრა. და მიერთგან დიდად საქადულ იქმნა ალკმეონ,—ვითარცა სიბრ-  
 ძნითა თვისითა განმათავისუფლებელი ათენისაჲ. გარნა ალკმეონისთჲს აქა და-  
 ვაცადოთ, ვინაჲთგან მეოთხედ ეაკოს წინამდებარე არს ჩუენდა.

დ. ესე ეაკოს<sup>5</sup> ითქუმიდა ძედ დიოჲსსა კაცად ფრიად რაჲმე მართ-  
 ლად, ვინაჲცა ერთგზის ოდესმე იქმნა უწვროებაჲ ქუეყანასა ელადისასა. მოუ-  
 ჳდეს მას მთავარი ქალაქისანი, ევედრებოდეს, რაჲთა ილოკოს<sup>6</sup> მამისა თვისისა  
 მიმართ, რაჲთა იქმნას წვმაჲ. ხოლო მან, დადგა, ილოკა, და ლოკვით დაჰჳსნა  
 უწვროებაჲ და გარდამოჳდა წვმაჲ, მომრწყველი ელადისაჲ, ვინაჲცა, ვითარ  
 იგი ზღაპრობენ, ამით უფროსად გამოჩნდა კეთილად მსახურებაჲ<sup>7</sup> ეაკოსი.  
 ამან ეაკოს შენა შვილნი ორნი: პილეა და ტელამონა, რომელთაგან მან პილეა  
 შვა აქილევ. ხოლო ტელამონ შვა ეან, რომელთა იგი სახელ ედებოდა აკიდევ

<sup>1</sup> პისისატრელთა B. <sup>2</sup> ხრიზმოს B. <sup>3</sup> ეტყოდეს B. <sup>4</sup> გამოიქსნეთ A. <sup>5</sup> ეაკოს B. <sup>6</sup> ილო-  
 კონ B. <sup>7</sup> კეთილ-მსახურებაჲ B.

ბატეისათჳს პაპისა მათისა, ვითარცა ნაშობთა მისთა. და მათ უკუე<sup>1</sup> ესრეთ, ხოლო ჩუენ ირაკლიდა დაგუშთენიეს<sup>2</sup>.

ე. ესე ირაკლი ძედ ითქუმის დიოსისდა, რამეთუ ზევს ემსაგავსა ამფიტრონსა და თანა ეყო ალმინის და იშვა მისგან ირაკლი, რომელმან იგი დიდ-დიდნი ლუაწლნი და წყობანი აღასრულნა. მრავალნი უკუე<sup>3</sup> იშვნეს ირაკლიოვსგან<sup>4</sup>, რომელთა პირველი და უდიდებულესი იყო ჯლოს, რომლისაგან მეფენი ლაქედემონელთანი ირაკლიდად სახელ იღებოდეს.

2. მეორე თხრობაჲ არს ელაფთეოლთათჳს, ორიონთა და აკტეონთა. იტყვან უკუე<sup>5</sup> არტემის, ვითარმედ ვითარცა ზედამდგომელი რამეჲ არს მონადირეთა მოისრობისაჲ, ვიდრემდის ეწოდების არტემის ღმერთი ელაფეოლოჲ, ესე იგი არს ღმერთი ირმის მოისარი, რამეთუ ითქუმის მისთჳს, ვითარმედ ბენდიერ იყო ტყორცებასა ზედა ირემთა მიმართ ისრისასა. ხოლო ორიონ და აკტეონ ესეცა მონადირენი(ა) იყვნეს. აკტეონ უკუე<sup>6</sup> ძალღებითა რაჲ ინადირობდა, იხილა არტემი განწმულელებული, რომელი ესე უწესოჲ იყო ღმრთისა და უფროჲდა დედლისა და ქალწულისა ღმრთისა განწმულელებულისა ხილვაჲ. ვინაჲცა განფიცხნა არტემი და აღაბორგნა ძაღლნი იგი აკტეონისნი გრძნებითა თჳსითა, რაჲთა ხედვიდენ აკტეონს ირმად რქოსნად, და ესრეთ შექმით განბძარული მიმოდართიეს და მოკლეს, ვითარ იგი თქუმულ არს მისთჳს სიკუდილი მიმოდართეით.

ხოლო ურიონ ესე არს, რომელი გამოითხოვა ღმერთთაგან ჳრეოს მეფემან თივოელთამან<sup>7</sup>, რაჲმას იგი სერობად მიუწოდა<sup>8</sup> მათ და დაუკლა საკლველები. და ვითარცა ჳამეს და სუეს<sup>9</sup>, მიიღო ჳრეოს ფსელი მათი კოკითა და დაასხა ჳროხის ტყავსა და ილოცა ღმრთისა<sup>10</sup> მიმართ და მიერ ჳროხის ტყავით მიეცა მას შვილი ფსლისაგან ღმერთთაჲსა და შვილსა მას, ვითარცა ღიღსა ჰასაკითა, ორიონ ეწოდა. და იყო იგი მონადირე. ესე ორიონ ეტრფილაჲ არტემიდის, ხოლო არტემიდი, ვითარცა ღმერთმან, განრისხებულმან აღმოიყვანა მის [ზედა] ქუეყანით ღრიაკალი<sup>11</sup>, რომლისა მიერ ცემითა მოიკლა იგი. ამისთჳს[ცა] აწ არს იგი ჳეცათა შინა ღრიაკალისავეთა<sup>12</sup>.

3. მესამე თხრობაჲ არს ირმისათჳს ნაცვალად ქალწულისა [მიცემულისა, რომელი ესე ივსენების მერვესა თხრობასა შინა პირველისა ელიანეს განქიქებისასა, ესე იგი არს, რაჲმას იგი იქმნა ნაგებითა წიადსლვაჲ ელენთაჲ ელადით ტრვად, ავლიდას<sup>13</sup> გვოტიადსასა<sup>14</sup> მსხუერპლი<sup>15</sup> შეიწირვოდა არტემიდისსა, და ასული აღამემნონისი მიცემულ იქმნა იფიგენიის, რომელი იყო ტძარნი არტემიდის აღშენებული<sup>16</sup> სკუთელთა შორის, რაჲთა მას შინა დაიკლას იგი<sup>17</sup> არტემიდისთჳს. შეეწყალა არტემიდის ქალწული იგი დაკლვისათჳს, აღიტაცა მიერ და მიიყვანა პანტავროს სკუთიადსასა და ყო ოცნებით გამოჩინებჲა ირმისა რაჲსმე, რომელი იგი მიიყვანეს ელენთა და დაკლეს ნაცვალად ქალწულისა მის.

4. მეოთხე თხრობაჲ არს მღჳმეთათჳს თეტტაღიადსათა, ესე იგი არს, იშვა რაჲ აქილევს<sup>18</sup> თეტრიდოვსგან, მიეცა იგი ჰირ[ო]ნს, რაჲთა

<sup>1</sup> უკუე B. <sup>2</sup> დაგუშთენიეს A. <sup>3</sup> ირაკლისგან B. <sup>4</sup> თოელთამან B. <sup>5</sup> მიოწოდა A, მიიწოდა B. <sup>6</sup> სუეს B. <sup>7</sup> ღმერთთა B. <sup>8</sup> ღრიაკალი B. <sup>9</sup> ღრიაკალისავეთა B. <sup>10</sup> ტრუად ავლვდას B. <sup>11</sup> გვოტიადსასა B. <sup>12</sup> მსხუერპლი B. <sup>13</sup> თ აღშენებული არტემისი B. <sup>14</sup> იგი abs A. <sup>15</sup> აქილევს B.



იწუმის იგი ერთბამად მზრდელად(ა და მასწავლელად მოისრობისა, ხოლო ესე პირონ იყო ცხენ-ვაცი მკვდრი მღვმეთა შინა და ქუბათა თეტალიადასათა, მიიყვანა უკუე<sup>1</sup> პირონმან აქილევს და დასუა იგი უკუანა კერძო ცხენის სახსა მას კერძოსა თუსსა ზედა და ესრეთ გამოსცილდა და ასწავებდა მოისრობასა, და ზრდიდა მას არა სძითა და პურითა, არამედ ტუნითა ირემთა და სხუათა ცხოველთადათა, ვინაჲცა აპილევ<sup>2</sup> სახელ ედვა, რომელ არს უსაზრდელთა, რამეთუ პილონ საზრდელსა უწოდიან სიტყვთა გარეშეთადათა.

5. მეხუთე თხრობაჲ არს მოქციეობისათჳს გვგოჯს ბექედის თუალისაჲ. ამის თხრობისათჳს მოვსენებულ არს პირველისა ივლიანეს განქეებისა ორმოცდა მეთხუთმეტისა<sup>3</sup> თხრობასა შინა, ესე იგი არს, იტყვს პლატონ წიგნთა შინა სამოქალაქოთა, ვითარმედ ესე გვგოს მწყემსი იყო და მწყემსობასა შინა თუსსა პოვა ცხენი რვალისაჲ, დაფლული მიწასა შინა, და ცხენსა მას შინა პოვა კაცი მკუდარი, რომელსა ეცუა ბექედი, რომელი იგი განჰჯადა და იპყრა თჳს<sup>4</sup> თანა. და რაჲამს მოაქციის<sup>5</sup> თუალი იგი<sup>6</sup> ბექედისაჲ მის, უჩინო იქმნებოდის კაცთაგან; და რაჲამს კულად აქციის, სახილველ იქმნის მუნ მყოფთა მიერ, რამეთუ საქციელითა შექმნილი<sup>7</sup> იყო თუალი ბექედისაჲ მის. და აქუნდა რაჲ ბექედი იგი, წარვიდა სამეუფოდ ლუდთა<sup>8</sup> და მოქციეთა ბექედის თუალისადათა უჩინო ქმნულმან, შევიდა, და მოკლა მეფე მათი და მიიღო მეფობაჲ მისი. ხოლო იროდოტოს სხუებრ<sup>9</sup> მოგვთხრობს გვგისთჳს<sup>10</sup>, ვითარმედ განზრახვითა დედოფლისადათა მოაკუდინა კანდაელი და მეფე იქმნა თოთ<sup>\*</sup>.

6. მეექვსე თხრობაჲ არს შიდაჲსთჳს. ესე შიდას მეფე იყო ფრუგიაჲსაჲ. ხოლო იყო ვეცხლის მოყუარე და ოქრო-ბორცნეულ, ვითარ იგი საქმემან<sup>11</sup> საცნაურ ყო, რამეთუ ილოცა, რაჲათა ყოველივე, რასაცა შეეხებოდის, ოქრო ექმნებოდის მას. და შესმენილ იქმნა თხოვამ მისი, რამეთუ რასაცა შეეხის ჯელითა გინა პირითა, ყოველივე ოქრო ექმნის მას. და ვინაჲთგან ყოვლისავე ოქროდ შემცვალეებელ იყვნეს პირი და ჯელნი მისნი<sup>12</sup>, ამისთჳს მოკულდა და წარწყმდა სიყმილითა, რამეთუ საზრდელიცა ოქროვე ექმნის მიცემული მისდა.

ხოლო სხუანი მოგვთხრობენ მისთჳს, ვითარმედ ვიდრეღა ცოცხალ იყო<sup>13</sup>, ქმნა ხრიზმოსი<sup>14</sup>, რამეთუ აღწდა<sup>15</sup> ეტლთა და განჩინა, რაჲათა სადაცა დადგეს ეტლი, მუნცა<sup>16</sup> აღაშენოს<sup>17</sup> ქალაქი. და ამით ხრიზმოსითა აღაშენა ანკურაჲ<sup>18</sup> გალატიისაჲ, რამეთუ ანკურა<sup>18</sup> უწოდიან რკინისა ჯიდსა მდინარისასა, სადა იგი დადგა ეტლი მისი და მის<sup>19</sup> ძლით აღაშენა ანკურაჲ.

7. მეშუდე თხრობაჲ არს ავარიდოჯსთჳს<sup>20</sup>. ამას თხრობასა მოიგსენებს იროდოტოს მეოთხესა შინა წიგნსა<sup>21</sup> თუსსა, ვითარმედ ესე ავარიდოს კაცი ვინმე იყო ზემთა ჩრდილოელი. ხოლო ზემთა ჩრდილოელ არიან უშინაგანენსნი იგი ჩრდილოელთა და სკუთელთასა. ამის ავარისთჳს თქუმულ არს, ვითარმედ

<sup>1</sup> უკუე B. <sup>2</sup> აპილევ B. <sup>3</sup> ორმოცდა მეთხუთმეტისა B. <sup>4</sup> თუსსა B. <sup>5</sup> მოაქციეს A. <sup>6</sup> იგი-abs B. <sup>7</sup> შექნილ B. <sup>8</sup> ლუდთა A. <sup>9</sup> სხუებრ B. <sup>10</sup> გვგოჯთჳს B. <sup>11</sup> საქმემანცა B. <sup>12</sup> თქელნი და პირი მისი B. <sup>13</sup> იყო abs B. <sup>14</sup> ხრიზმოზი B. <sup>15</sup> აწდა B. <sup>16</sup> მუნდა B. <sup>17</sup> აღაშენა B. <sup>18</sup> ანკურია B. <sup>19</sup> ამის C. <sup>20</sup> ავადილოჯსთჳს A. <sup>21</sup>+შინა B.

\* ამ თხრობაზეა მითითებული 3; 54-ში.

განცვრებულ იქმნა და გარე შეშოვლო ყოველი ელადად ისრებითა და იტყო-  
 და ხრიზმოსთა რათმე და გრძნებათა, ვითარცა განცვრებულნი. ხოლო ლკურ-  
 ეოს<sup>1</sup> რიტორი სიტყუასა მას შინა თვსსა მენდილიდათვს თქუმულსა მოიკვნიენბს-  
 ავარილიდათვს, ვითარმედ იყო ოდესმე სიყმილი ზეშთა ჩრდილოელთა შორის,  
 მოვიდა ავარ ელადად, ემიზდა აპოლონს და მის მიერ ისწავა სიტყუად ხრიზ-  
 მოსთა. და ესრეთ მიერთებან კელთა ეპყრნიან ისარნი და ესრეთ მიმოვჰლინ<sup>2</sup> ყო-  
 ველსა ელადასა და წარმოუთხრობნ მეტყუელებათა<sup>3</sup> ხრიზმოსისათა. ხოლო  
 პყრობითა მით ისართათა ამას საცნაურ ჰყოფნ, ვითარმედ მოისარ არს ღმერ-  
 თი აპოლონ<sup>4</sup>.

8. მერვე თხრობად არს ანუ<sup>5</sup> პილასოდასათვს ანუ<sup>6</sup> ველღერო-  
 ფანტისთვს<sup>6</sup>, რამეთუ ორივე ესე საეჭუელ<sup>7</sup> არს. ხოლო<sup>8</sup> თხრობად იგი ესე  
 არს. რამეთუ მამულსა ველღეროფანტისსა აღმოეცენა მვეცი რამემ სამცხო-  
 ველი, რომლისა<sup>9</sup> წინა კერძოდ იყო ლომისად და უკუნა კერძოდ მფრინელისად,  
 ხოლო საშუვალნი მისი მფრინველ. ვინადაცა მძუნვარედ განხრწნიდა სოფლებსა<sup>10</sup>  
 მას ლუკიელთასა, სადა იგი მეფობდა პრეტოს, რომელმან უბრძანა ველღე-  
 როფანტის მოკლვად მვეცისად მის, რომელსა ეწოდებოდა ჰიმერა, და შუათა-  
 გან<sup>11</sup> მისთა აღმოეცემოდა<sup>12</sup> ცეცხლი, რომლითა ძნად მოსაკლავ იყო. ხოლო  
 ველღეროფანტი ღმრთისა მიერ განმარჯულებითა<sup>13</sup> პოვა ცხენი პილასოდ, რომ-  
 ლისათვს ითქუმოდა ქონებად ფრთითად და წყალი დაქოსწუთოდა ბჰალთა  
 მისთა, ვინადაცა მის მიერ მოუგდა ბრძოლად მვეცსა მას და თანა შემწედ  
 აქუნდა ფრთოვანობად იგი ცხენისად ფრთოვანობისათვს მვეცისა. და დადვა  
 წუერსა<sup>14</sup> ჰორლისა თვისსა(სა) გრგოლი ტყვისად და შთაუგდო იგი პირსა მვე-  
 ცისა მის ჰიმერად წოდებულისასა, რომლისა მიერ აღმომდინარითა ცეცხლითა  
 განიდნო ტყვი იგი და მყის მოაკუდინა მვეცი იგი.

9. მეცხრე თხრობად არს ალფიოდასათვს. ალფიოდა<sup>15</sup> მდინარე არს  
 არკადიასად. ხოლო არკადია ქალაქი არს პელოპონნისად<sup>16</sup>. არს უკუე<sup>17</sup> წყა-  
 როდ ქალაქსა სიკილიისასა, სახელით არეთუსა. თქუმულ არს, [ვითარმედ ესე  
 მდიწარე ალფიოდ ეტრფილა წყაროსა არეთუსას და მყის განკუეთა<sup>18</sup> უფს-  
 კრული ზღვსად და წილგდა სიკილაად და მიედა წყაროსა არეთუსას და არა-  
 თანა [შე]ერია მარილოვანსა მოწმეხაობასა<sup>19</sup> ზღვსასა, არამედ სიწმიდით] და-  
 იცვა ფერი და სიტკობებად თვისა.

10. მეათე თხრობად არს სალამანდროდასათვს<sup>20</sup>. [სალამანდრო<sup>21</sup>  
 ცხოველი არს სწორი ისავრადსად სიდიდითა ვინა თუ მცირისა კროკოდი-  
 ლოსა(ა), რომელ არს ხუთი ეკელისად, და ზეშთა ბუნებისად სიგრილვე აქუს  
 ცხოველსა მას, ვიდრემდის შევიდეს რად ცეცხლად, თუთ არა დაიწუვის და  
 ცეცხლსა მას დაშრეტს.

<sup>1</sup> ლკურის B. <sup>2</sup> მიმოვლინ B. <sup>3</sup> მეტყუელებათა B. <sup>4</sup> აპოლონ B. <sup>5</sup> ანო A. <sup>6</sup> ველ-  
 ღეროფანტისთვის B. <sup>7</sup> საეჭუელ B. <sup>8</sup> ხოლო რამეთუ B. <sup>9</sup> რომელსა AB. <sup>10</sup> სოფელსა B.  
<sup>11</sup> შუვათავან B. <sup>12</sup> აღმოეცენებოდა B. <sup>13</sup> განმარჯულებითა A. <sup>14</sup> წუერსა B. <sup>15</sup> ალფიოდ B.  
<sup>16</sup> პელოპონნისად B. <sup>17</sup> უკუე B. <sup>18</sup> განკუთავ B. <sup>19</sup> მოწმეხეველობასა B. <sup>20</sup> სალამანდროდასათვს B.  
<sup>21</sup> სალამანდრა B.



11. მეათერთმეტე თხრობაა არს ლუდიელისა ეტლისათჳს და შემოიღებვის სახედ ბრძოლისა მნებებელთა და ვერა რაჲსა შემძლებელთათჳს, რამეთუ მალე იყენეს ლუდიელნი ეტლნი და ვერ შესაძლებელ მისაწვინელად. ხოლო სხუანი იტყჳან, ვითარმედ პილოზომს<sup>1</sup> ეტლისაგან სმენილ არს იგავი ესე, რამეთუ თქუმილ არს ვიეთვანმე, ვითარმედ პელოფს ლუდიელი იყო და არა ფრიგველი<sup>2</sup> და თჳსთა მიერ ეტლთა სძლო ჳნოზომასს და მიერთვან მოიღებვის იგავი ესე ლუდიელთა ეტლთა მიხედვისაჲ.

12. მეათორმეტე თხრობაა არს ორესტოქსის თჳს და ჰჳლადის თჳს. ესე ორესტი ძე იყო აღამემონისი<sup>3</sup> და ესოდენი სიუჳარული აქუნდა ურთიერთას ორესტის და ჰჳლადის, ვიდრემდის მოკულა რაჲ ჰჳლადი მის თანა შთაჰყვა<sup>4</sup> ორესტი ვიდრე ჯოჯოხეთადმდე.

13. მეათცამეტე თხრობაა არს მოლჳონი დთათჳს. იყო ვინმე დედაკაცი თრაკევს<sup>5</sup> დამკჳდრებული, სახელით მოლჳონი. ამას ესხნეს ორნი ძენი ოტონი<sup>6</sup> და ეფიალტი. ესენი რაჲ წელ აღორძინდებოდეს და თითოეულსა მოქცევსა წელიწადისასა<sup>7</sup> შეემატებოდა სიგრძესა წყრთაჲ და სიგრცესა მტკაველი. ხოლო იქმნეს ესენი მაგინებელ და ამპარტავან და ესოდენ შემკადრებელ, ვიდრელა ჳელ ჰყოფდეს ბრძოლისა ყოფად ღმერთთა მათ მიმართ, რომელნი იგი ითქუმიან ჳეცისად. რამეთუ განიზრახეს ორთა მათ მათთა თრაკეთისათაჲ, რომელთა ეწოდებოდა ოსსა და ათო, რაჲთა ოსსაჲ დადგან ათოსა ჳედა და მათ მიერ აღწდენ ჳეცად, რომლისათჳსცა ჳევეს განრისხნა მათ ჳედა და ელვათა მიერ მეზ-დატეხით წარწყმიდნა იგინი. ხოლო იყო პირველ დაწუვისა მათისა ხრიზმოსი, მიცემული დედისა მათისაჲდა, ვითარმედ ამპარტავანებისათჳს მათისა მეხდატეხილ იქმნენ<sup>8</sup>.

14. მეათოთხმეტე თხრობაა არს ლავკრინთოქსისათჳს<sup>9</sup>. ლავკრინთოქსი მათა არს კრიტისაჲ და მას შინა ქუაბი მღჳმოვანი, ძნეოი შთასავალად და აღმოსავალად, სადა იგი შთავდებულ იქმნა მინოტავროს<sup>10</sup>. და ვინაჲთვან ძნელი იყო განვლად [ლა]ვკრინთოქსაჲ, ამისთჳსაცა აწ ღმრთისმეტყუელმან სახედ მ[ოილო] ძლიერებისა და განუვლტოლველობისა დიდისა ბასილ[ის] სიტყუათაჲსა. არა ხოლო ესე, არამედ ბადესაცა რასმე იტყჳს, რომელსა შეიქმან მსხჳლთა საბელთა მიერ სანადიროდ ღომისა<sup>11</sup>, დათჳსა. ირმისა და სხუათა უძლიერესთა მჳეცთა.

15. მეათხუთმეტე თხრობაა არს მინოქსისაჲ და რადამანთოქსისათჳს, ესე იგი არს მინო<sup>12</sup> და რადამანთო<sup>13</sup> ითქუმიან ძედ დიოქსისა<sup>14</sup>. მინო იყო სჯულის მდებელად ჩინებულ<sup>15</sup> მამისაგან თჳისა, ხოლო რადამანთოს<sup>16</sup> მსაჯულ სამართლისა<sup>17</sup>, რომელსა მამისაგანვე ესწავა სიმართლე. ამათჳს უკუე<sup>18</sup> იტყჳან გამომეტყუელნი და თჳთ პლატონცა, ვითარმედ მო-რაჲ-კედეს ესენი, ვერ ეუფლა მათ ბნელი, არამედ ჳალაკმან ნეტართამან და ველ-

<sup>1</sup> პელეოპოს B. <sup>2</sup> ფრეგიელი B. <sup>3</sup> აღამენოსისი A. <sup>4</sup> შთაჰყვე B. <sup>5</sup> თრაკეთს B. <sup>6</sup> ოტონ B. <sup>7</sup> წელიწადისასა A. <sup>8</sup> იქმნენ B. <sup>9</sup> ლავკრინთოქსისათჳს abs A (გადამწერი ჩანს ვადამხტარა მეორე სიტყვაზე, რაც მოწმობს, რომ ეს ხელნაწერი ნუსხა არის). <sup>10</sup> მინოტავროს B. <sup>11</sup> +და B. <sup>12</sup> მინოლა B. <sup>13</sup> რამანთო B. <sup>14</sup> დიოქსა B. <sup>15</sup> ჩენილი B. <sup>16</sup> რადამანთო B. <sup>17</sup> სამართლისა A. <sup>18</sup> უკუე BA.

მან ილუსიოდსამან შეიწყნარა ივინი. ხოლო სახელი ილუსიოდსა, რომელ არს ალუსიოდ, გინა აპოლუსიოდ<sup>1</sup>, ესრეთ გამოითარგმანების, ვითარმედ «განსასუენებელი უჯჯაჟო» ესე იგი არს ადგილი ქსნილი და თავისუფალი ტანჯვითაგან. ხოლო ასფოდელტოდ სახელი არს მწუანვილისა, რომლისა სული სულნელ და ფერი შეენიერ<sup>2</sup> და ძირი მი[სი] წამალ სარგებელ.

16. მეათექუსმეტე თხრობად არს დადიართათჳს. დადირნი ადგილი არს კერძოთა დასავალისათა, და ადგილი იგი დასასრული არს ზღუსა, და რეცა ხერთვისი რამედ ჩუენდა მომართისა ამის ზღუსაგან ატლანტიკოდსა ზღუად. ვინაეცა თქუჳლ არს, ვითარმედ არღარა თანა წარივლებიან ნაეებითა დადირნი, რათამეცა შევიდა ვინ ამიერ ჩუენ კერძოდ ზღუთ ზღუასა მას ატლანტიკოდსასა, რომელი იგი კლდოვან არს და ბნელ. ხოლო დადირ სახელეცა, [რომელ] არს ქელი, რამეთუ ვითარცა ქელი ქუეყანისა არს აგილი იგი დადირისა.

17. მეათჩუდმეტე თხრობად არს ცხენისა მისთჳს, რომელმან განხეთქნა საკრველნი, რამეთუ ომი[როს]ს გამომეტუელსა ენება რად გამოჩინება სიმახლისა და მჭურვალებისა, რომელი აქუნდა დიომიდის ბრძოლათა<sup>3</sup>, იგავით მიამსგავსა იგი იროას და გამოთქუა მისთჳს სიტყუად მარტულელი, ვითარმედ «ამის ვისიმე დგომად ცხენისა სასმენელ იქმნა ბავათა ზედა».

18. მეათრვამეტე თხრობად არს დღითი დღე დათესულთა და აღმოცენებულთა გმირთათჳს. თივას ვიოტუასასა<sup>4</sup> ითქუმის ვითთჳსმე კადმოდგან გინა იასონისგან ანუ სხუსა ვისგანმე, ვითარმედ მიიხუნა კბილნი ვეშპისა დელფინისანი და დასთენსა ქუეყანასა შინა და მიერ<sup>5</sup> აღმოქდეს კაცნი შეჭურვილნი, რომელნი იგი ჩნდეს ქუეყანასა ზედა წელთათგან აღმართ და ესრეთ მდგომარენი ჰბრძოდეს ურთიერთას და სხუათაცა.

19. მეათცხრამეტე თხრობად არს შუდ ბჳეთათჳს თივადსათა და ეგვპტისათა, რამეთუ შუდ ბჳე არიან ბჳენი ელადასანი, აღშენებულნი ამფიონოდს<sup>6</sup> და ზითოდგან<sup>7</sup> ბარბითითა. ხოლო ეგვპტეს და თიბას არს ქალაქი ესეოდენ დიდი, რომელსა ას ბჳე ჰქონან. ამათ თანა საკრველ იქმნებიან ზღუდენი ბაბილოვისანი, აღშენებულნი სემირამისნი<sup>8</sup> საზომითა სიმაღლისათა დიდ, ხოლო სიგრძისათა<sup>9</sup> ოთხას სტადიონ, რომელნი აღიშენეს ალიზითა გამოცხობილითა და ნავითთა განდნობილითა. ესე არიან შუდნი<sup>10</sup> საბილაენი, რომელთათჳს წარმოიტყუს ფილონ ბიზინტიელი [პირველად] სამოთხესა დაკიდებულად<sup>11</sup>, მეორედ პირამიდთა, რომელნი არიან მემფუს, მესამედ ზეს ულკუპიას, მეოთხედ კოლოსსოდ როდოდსა, მეხუთედ<sup>12</sup> ზღუდენი ბაბილოვისანი, მეექუესედ ეფესოდსა ტაძარი არტემისი, მეშუდედ საფლავი მავსოლოდს კარიბოლისა.

<sup>1</sup> გინა აპოლუსიოდ abs B. <sup>2</sup> შეენიერ B. <sup>3</sup> ბრძოლათასა B. <sup>4</sup> ვოტუასასა B. <sup>5</sup> ამიერ B. <sup>6</sup> ამფიონოს B. <sup>7</sup> ზითოდგან B. <sup>8</sup> სემირამისნი B. <sup>9</sup> სიგრძისა მის B. <sup>10</sup> შუდ B. <sup>11</sup> დაკიდებულსა B. <sup>12</sup> მეხუთედ A (არჯერა).



20. მეოცე თხრობაჲ არს საფლავისათჳს მავსოლოჲს კარი-  
ოელისა. მავსოლო იყო მძლავრი კარიაჲსაჲ, რომელმან აღიშენა თავისა  
თჳსისა საფლავი ფრიადითა წარსაგებელითა და ნივთთა სიმძიმითა ლამსა<sup>1</sup>  
ზედა და უყესა<sup>2</sup> და მდებარე არს შინაგან საფლავსა მას გარეშეცეულსა მო-  
რევთა მიერ. ანას თანა მოიჭსენებიან პირამიდნი, რომელ არიან ქალაქნი ეგ-  
ჯპტიისანი, რომელთა იგი<sup>3</sup> ჩუენ ქრისტეანენი უწოდთ საზღვრად იოსებისდა<sup>4</sup>,  
ხოლო წარმართნი საფლავად მეფეთა რომელთამე. და არიანცა ევრეთ თქუმუ-  
ლისაებრ იროდოტოჲსსა, რამეთუ საზღვარი იგი იოსებისი შემდგომად მიერ  
გამოსლვისა ძეთა ესრაჴლისათაჲსა ყვნეს ივინი წარმართთა საფლაგ<sup>5</sup> მეფე-  
თა მეკერბეთა. ხოლო კულუსოჲსთჳს თქუმულ არს, ვითარმედ როდს აღმარ-  
თებულ არს ანდრიანტე რვალისაჲ განსაკურვებელი სიდიდითა<sup>6</sup>.

ამათ უკუე შუდთა სახილავთა, რომელ [არიან] ესე: ეფესოს ტაძარი არ-  
ტემიდისი, ზლუდენი ბაბილოენისანი, პირამიდნი<sup>7</sup> ეგჯპტიისა[ნი], საფ[ლავი]  
მავსოლოჲსი<sup>8</sup>, შუდ ბჳე თებაიდისაჲ, ანდრიანტე კოლოსსოჲსაჲ<sup>9</sup> და ტაძარი  
კზიკოჲსაჲ,—ესე ყოველნი სახედ შემოიხუნა დიდმან გრიგოლი შეენიერები-  
სათჳს და სიდიდისა სასნეულთა მათ დიდისა ბასილის მიერ აღშენებულთა  
ბჳეთა კესარიისათა.

<sup>1</sup> ლამთა B. <sup>2</sup> უყეთა B. <sup>3</sup> იგი abs B. <sup>4</sup> იოსებისა B. <sup>5</sup> საფლავად. B <sup>6</sup> ხოლო კულუსოჲს-  
თჳს... სიდიდითა abs. B. <sup>7</sup> პერამიდნი B. <sup>8</sup> მასაოლოჲსი A. <sup>9</sup> კოლოსოჲსაჲ B.

### III

#### ივლიანეს პირველის განმეორების წლები

1. ემპედოკლი სიკილიელი იყო ნათესავით, პითაგორელი ფილასოფოსობით, რომელი იძლია ცუდად მზუაობრობითა, რაათა აღიტაცოს და სამსხუერპლო იქმნეს, რომლისათუსცა ჰგონებდა რაჲ ზეცად აღტაცებასა, ეტნიომა ცეცხლ[სა] შინა შთააგდო თავი თუსი. ხოლო თქუმულ არს ცეცხლისა ამისთუს, ვითარმედ აღმოეცენების საბერველთაგან ეფესტოასთა მთასა რომელსამე ზედა, რომელსა ეტნი უწოდიან. და მიერ ველად შთაიზიდვის წყლებრ დენით. და მთაჲ იგი არს ქალაქსა სიკილისასა, მეზობელ ქალაქსა კატანისასა. ამას ცეცხლსა შთაიქრა რაჲ ემპედოკლი<sup>1</sup>, ინება ყოველთა ღმერთმან სამხილებელად სილადით დაწუვის ამისისა, შეუწუველად დაცვაჲ სანდალისა მისისა, რაათა ცხად ყოს, ვითარმედ უგუნურებითა თუსითა შეიწუა იგი მიშუებითა ღმრთისაჲთა, რაათა მიეგადოს პატიჲი სილადისაჲ. თქუმულ არს უკუშ, ვითარმედ ამას მთასა ეტნისასა ოდესმე იპოენეს მამაჲ ძითურთ, და მყის წინაშე მათსა იპოვა შთამდინარეობაჲ იგი ცეცხლისაჲ და უღონო იყენეს განვლად. მაშინ ძემან აღიკიდა მამაჲ თუსი, რაათა წარიყვანოს. ხოლო ცეცხლი იგი შეკდიმებულ იქმნა საქმესა ამას ზედა და განიკუეთა ორად, ვიდრემდის უენებელად განვლეს ორთავე მათ.

2. ტროფონი და ემპეოტიმონ და არისტიონ გრძნულ იყვნენ, ქუეყანით ვკოტიათ, ქალაქით ლევიდიად სახელდებულ[ისა]. და ესენიცა ცუდად მზუაობრობითა ძლეულნი, ზეცად ა[მ]ა[ლ]ლებისა მგონებელნი, ქუეყანელს ქუეყანისასა დაჰქედეს, სადა იგი განისრწნეს რაჲ და უჩინო იქმნენ, საგრძნეულო იქმნა ადგილი იგი, რომლისათუს მოიდებვის იგავი რაჲმე ტროფონიოჲს მიერ შემზადებული მკმუნვარეთათუს და არა ოდეს მოცინართა, ვითარმედ ყოველი საგრძნებაესა მას შთამავალი გაუცინებელად აღმოვალს მიერ, რაათა კმუნვიდეს და უფერულობდეს სამარადისოდ სამხილებელად მათდა, ვითარმედ უფერულ არიან და არა ოდეს ღირს სიცილისა ღირსნი იგი ტირილისანი ხრწილებისა და სიკუდილისათუს. ხოლო გრძნებისა გელოვნებაჲ ამით მოიგეს ტროფონიოჲს და ძმამან მისმან ალამიდის, რაჲმეს თუსსა საკმართო მიერ აღუშენეს აპოლონს<sup>2</sup> ტაძარი დელფოასაჲ\*.

3. პრატევეს ნათესავით იყო თრაკი, რომელსა ძე ესხნეს მო[ლო]ნ და ტილელონონ, რომელნი იგი მოსწყუდნა ირაკლი ავაზაკობისათუს მათისა, რო-

<sup>1</sup> ემპედოკლი A. <sup>2</sup> აპოლონს A.

\* ამ თხრობაზე მითითებულია I ტექსტში (ნაზ. 1, 11).



მელსა ზედა მწუხარე იქმნა პროტეა და შთაიგდო ზღუასა თავი თვისი. ხოლო ღმერთთა შეიწყალეს და გარდაცვალეს იგი, რაათა იქმნეს იგი ეშმაკ ზღუს პირისა. ამისსა შემდგომად მივიდა და დაემკვდრა ფარღისონს, ვინაჲცა იქმნა პროტეოს, რომლისათჳს თქუთულ არს, ვითარმედ ფოკოელთა თანა იქცეოდა და მიიყვანა ელენი აღექსანდრესი, რამეთუ მო-რაჲ-ვიდა იგი ელადათ, მიეცა მას კერპი მისი. ხოლო შემდგომად ტროელთა ბრძოლისა მო-რაჲ-ვიდა მენელაოს ეგუბტედ, მიეცა მას ელენი პროტეაჲსგან, ესე პროტეა სხუთი სხუად იცვალეზინ,—რაათა ვერ შეისწაონ იგი მიმავალთა მისსა,—ოდესმე ესრეთ და ოდესმე ევრეთ ქმნითა, [რაათა] არა თავს იდებდა იგი შფოთებასა მისსა მომავალთასა, რომელნი ეძიებდეს მისგან გრძნებათა და ოცნებათა<sup>1</sup>, ვითარცა განთქუმულისაგან მოგობასა ზედა.

4. ირაკლი ითქუმის ძედ დიოქსსა და ალკმინისსა და ვითარცა ირ[ო]კოჲ ადმარსრულეზელად ათორმეტთა ლუაწლთა, რომელსა ესუა ცოლი დიიანირა, რომლისა სიზმრივ თანაყოფითა მიიწია აქელოდ მდინარედ, ვინაჲ იგი შვა ვილდა. და მიჰყვანდა რაჲ მამულად თჳსსა, იხილა იგი ნესოს, ერთმან იპპოკენტავროსთაგანმან, და ეტრფიალა. და ენება მდინარესა თანა რასმე შინა [-----]მისი. რომელი ესე ცნა რაჲ ირაკლი, ისრით განგუმეროდ ყო ნესოს, რომელი იგი მოკუდებოდა რაჲ, სისხლისა თჳსისაგანი მისცა დიიანირას და ჰრქუა მას, რაათა, უკეთუ იხილოს ირაკლი ტრფიალეზულად სხჳსა ვისსამე, სისხლისა მისგანი სცხოს სამოსელთა მისთა და თჳსადვე ტრფიალეზად მოიხიდოს. ხოლო ირაკლი ეტრფიალა რაჲ ირას, ასულსა ევრტოქსსა<sup>2</sup>, რომელი იგი ტყუედ მოყვანებულ მოეზიდა თჳსსა, რომლისათჳს ეშურვა დიიანირა და სისხლისა მისგან ნესოჲსა სცხო სამოსელთა ირაკლისთა. და რამეთუ სისხლი იგი კაცის მკლველისაჲ იყო, ამისათჳს მყის აღეგზნა ირაკლი. და ვითარცა დაიწუგოდა, შთაიგდო თავი თვისი მახლობელსა მას მდინარესა და ყო იგი წყალ ცხელ, ვინაჲ იქმნეს მიერთაგანი ცხელნი წყალნი თერმოპოპლისანი შორის თეტტალი[ი]სა და ფოკიდოჲსა.

5. ტანტალოს მეფე იყო ფრიგველთა, რომელმან მიჰხადა<sup>3</sup> ღმერთთა ოდესმე და სანოაჲდ მათდა დაკლა და დაჭრა და შეაგბო და დააგო ძე თვისი, რომელთაგანმან დიმიტრი მიიღო ასოთა მათგან მჯარი და შექამა. ხოლო სხუათა მათ ღმერთთა შეიწყალეს ტანტალოს და დაუკრდა, ვითარ მომადლებსათჳს მათისა შეურაცხ ყო ძე თვისი. ამისთჳს შეაწყენეს ურთიერთას ასონი მისნი და განამრთოლეს პელოპოს, და ნაცვალად შექჳლისა მის მჯარისა, შეუდგეს<sup>4</sup> მჯარი პილოჲს ძუალისაჲ, ვინაჲცა ყოველთა პელოპიტთა თითოეულსა მათსა შესასწავებელად მჯარსა თჳსსა ჰკიდავს ძუალი პილოჲსაჲ<sup>5</sup>.

6. ფრიგველნი ჰმსახურებდეს რეას, კრონოჲსსა უკუე ცოლსა, ხოლო სხუათა დედასა, რომელი იგი მიდგომილ რაჲ იყო, კორივანდთა მიერ განიჭრა მახვლითა სიმრავლისათჳს სიძეთა მისთაჲსა, რომელსა, რაჲამს უხორციედეს ფრჯვილნი, მჯართა [და წ]ყვილთა თჳსთა მახვლითა დაიჭრიან და

<sup>1</sup> უცნებათა A. <sup>2</sup> ევრტოქსსა A. <sup>3</sup> მიჰხადა A. <sup>4</sup> შეუდგეს A.

\* ამ თხრობაზე მითითებულია I ტექსტში (ნახ. 1, 9).

ამას თანა იმღერიან და განსცხრებიან ნესტუებითა<sup>1</sup> და ქნარებითა; რადათა-  
ვმათა მათთა გემოვნებითა უტკივარად თავს იხსნენ წყლულებანი, და შემდგომად  
ესევითარისა მის ზორვისა არაწმიდებით ჰყოფენ აღრევასა დედათასა. ხოლო  
წარმართთაგანნი ვინმე უგუნური ძუელსა მას ჩუეულებასა აწცა იპყრობენ ად-  
გელთა შინა მთისა კარქიქადასათა და ასოთა თუსთა დაიპყრიან მახვლითა.

7. მითრო(ს) სპარსთა მიერ საგონებელ არს, რადათა ვითარცა მზე  
იმსახურებოდის, ხოლო სხუათა მიერ ზედამდგომ ცეცხლისა სახელ იდების,  
ხოლო სხუათაგან მსაჯულად ძლიერებისა. ხოლო ვერ ვინ შემძლებელ  
არს [წ]ორვად მისსა, უკუეთუ არა მრავალ-რიცხუნი ტანჯვანი თავს იხსნეს და  
ამით სახითა აჩუენოს მისა მიმართ სიწმიდე და უქენებლობადა თუსი, რა-  
ჟამს იტანჯებოდის პირველად უსლუბუქესადრე და მერმე უმძიმესად. და ყოველ-  
სავე შინა სრულ იპოოს: ცეცხლისა განვლასა, ყინელისა თავსდებასა ვიდრე  
ოც დღემდე, და კულად ორმოცდაათ დღე შიმშილსა და წყურილსა, გზა-მავ-  
ლობასა და ზღუ-მავლობასა, და ამით ყოველთა შინა მლოცველობასა.

[შ]ერვე ესე თხრობაჲ ივსენების ზღაპრობასა შინა მესამესა წმიდისა  
ბასილის ეპიტაფიასასა\*.

8. პოლქსენი ასული იყო პრიამოისი, რომლისა ქორწინებაჲ ენება  
აქილესს და შევიდა ტურიად, და ნაპრალისა რადასაგანმე ისრით განგუმერილ  
იქმნა ჯოპარდოვსგან, და მოკუდა ტაძარსა შინა აპოლონისსა. ხოლო უკუა-  
ნადასკნელ განძლიერდა რაჲ ძე მისი პუროს, გამოიწინა მას ჩუენებით და ჰრქუა,  
რადათა დაკლას მისთჳს პოლქსენი, რომლისა ძლით იგი წარწყმდა. ხოლო მან  
მიიყვანა იგი და დაკლა საფლავსა ზედა მამისა თუსისასა.

9. მენჯკეცს ძე იყო კრეონ თ(ი)ველთა მეფისაჲ. ხოლო თიბელნი  
ბრძოლებოდეს რაჲ ზედთა მკედართ-მთავართაგან, უმოგუნა მათ ტირესია მო-  
გუმან, ვითარმედ მიენიჭოს მათ ძლევაჲ ბრძოლასა შინა, უკუეთუ ნათესავისა-  
გან მან მეფეთაჲსამან [-----] თავი თუსი მისცეს სიკუდიდ თუთ თავით  
თუსით აღმოცენებულთა მათ კბილებისა მიერ ვეშაბთაჲსა. ესე რაჲ ესმა მენ-  
ჯკეცს, მიცემითა თავისა თუსისადათა განათავისუფლთა ქალაქი იგი, რაჟამს სი-  
კუდიდ მიეცა თუნიერ [შ]ობისა მამისა<sup>2</sup> მისისა.

10. ლაკედემონელი ბრძოლასა შინა პელოპოსს ქალაკისასა შემ-  
დგომად მძლავრ ძლევისა ათინელთაჲსა, მნებებელ<sup>3</sup> იქმნეს ბრძოლად თანა-  
მებრძოლთაჲცა თუსთა. და მიიწინეს თიბელთა ზედა ზედამისლვითა ლევქტოს  
ქალაქსა თიბაისასა, და ეკუთვნეს რაჲ, ვერ მიემოხზენს კეთილად წინააღდგო-  
მითა თიოელთა მკედართ-მთავართაჲსა. ხოლო ვერ მიმთხუევა მათდა ესე იქმ-  
ნა, რამეთუ სკელასოს ლევქტოელსა სამ ასულ ესხნეს, რომელნი იგი ავინენს  
სერობად მიწოდებულთა მისგან ლაკედემონელთა ვიეთმე. და გინებესავე თა-  
ნა მოსწყუდნ(ს)ცა, რადათა არა მამასა თუსსა განუცხადონ გინებ[ა ყოველი]  
თუსი, რომელმან იგი ისწავა რაჲ, სწყევა ყოველთა ლაკედემონელთა, რადათა

<sup>1</sup> ნესტუებითა A. <sup>2</sup> მამისა + შრ (თავზეა დასმული სხვა ხელით). <sup>3</sup> მნებებელ + თასა (თავზეა დასმული სხვა ხელით).

\* ეს თხრობა იხსნება აგრეთვე „ზღაპრობანი კულად იესუმინი“-შიაც (ნახე 1, 18).



მასვე საფლავსა ზედა ასულთა მისთასა იძლინენ და დაეკუთვნენ, რომელი ესე იქმნადა.

11. ლაკედემონელთა ენება მოქალაქეთა და მკედართა თუსთა ახოვან ყოფად წყობათა შინა, ამისთუს დღესასწაულნი შემოიკრიბნინან და წინაშე ბომონთა ჭაბუკთა თუს[თა] გ[ამო]სკდიდიან მრავალგზის მიმოხუვევითა შოლტებ[ისათა], რომელმანცა უმრავლესა დაითმინოს<sup>1</sup>, უმეტესი ნიჭი[-----].

12. არტიემი ქალწული იყო და წმიდად, ხოლო იხარებდა უც[-----] დაითხოვდიან ბომონსა მისსა ზედა\*.

13. სოკრათი ათინელი იყო ფილოსოფოსი. ამას აბრალეს ანკტოს, კემელიტოს, ვითარმედ მწამლველობითა და მიცემითა კონიასათა მოაკუდინებს და განხრწნის ჭაბუკთა. ამისთუს მისვე კონიასა სუშითა სიკუდილდაისაჯა.

14. ეპიკტიტოს ფილოსოფოსსა შეეკრნეს წვენი მძლავრისაგან მაკედონელისა და იკითხვებოდა მისგან, უკუეთუ ჰნებაგსა განცნადა. მიუგო: რაათა შეკრულ ვარ მი, რომლისა ესე სული ვერა რაათ ოდეს შეიკრვის?

15. ანაქსარხოს ფილოსოფოსი შეპყრობილ იქმნა არქელაოს მძლავრისა მიერ და შეგდებულ ჭურჭელსა დასანაყელსა ქერისასა, შემზადებულსა ძელისა მიერ. ხოლო იგი ეტყოდა: სძევთ<sup>2</sup>, სძევთ ანაქსარხოს კონებსა<sup>3</sup>, რამეთუ ვერ დასძევო ანაქსარხოს. ამას ზედა სიბრძნისმოყუარე<sup>4</sup>, რაათა არა რად ელმოდის ჯორცთათუს.

16. კლეონბროს, ნათესავით ამბრაკიელი, მიემთხვა რად წ[იგნსა] ფედონ სახელდებულსა, რომელ არიან პლატონის თქუმულნი სულისათუს, დაისწავა მათ მიერ, ვითარმედ უმჯობეს არს სულისათუს განშორებად ჯორცთაგან, გარდაიდრო თავი თუსი ზღუდესა და მოკუდა პირუტყულად.

17. პითალორელი ფილოსოფოსნი, რომელთა პითალორ სამიელისაგან მიიღო სახელისდებად, სუულით-ფილოსოფოსობისათა, სახისმეტყუელებით ისწავებდეს, რომე-თაგანი ერთი იყო, ვითარმედ «არა ჯერ არს ჭამა ჭნდურ[ი]-სა სამსაჯვროდასასა, ესე იგი არს, რაათა არავინ [ჰყო]ფდეს ქრთამითგან ცემასა სამართალისასა, რაათა [ათინელ]ნი ძუელნი მსაჯულნი, რაჟამს ენების ქმნად [გ-ნ-ნე-] რადასა ცა ნაცვალად სიტყუსა დამსჯელისა ეს[რეთ რად] დასასაჯელთათუს, ვითარმედ «ჰამეთ ჭნდური». ამისთუს იგავად ითქმის: «არამედ ნუ შკამ ჭნდურსა სამშჯავროდასასა».

18. თეანა, ფილოსოფოსი პითალორელი, შეპყრობილ ოდესმე იქმნა მძლავრისა ვისგანმე და იძულებოდა თქუმად სა[იდუ]მლოთა მამულისა მისისათა. ამისთუს კბილთა გარდაიკუეთა ენად და შესთხია პირსა მისსა, რაათა, მოეკუეთოს<sup>5</sup> რად ორლანოდ ვმისად, არა რად თქუას უჯგროდ.

19. ეპამინონდა, მკედართ-მთავარი თიოფელთად, მოწაფე იყო ფილოლას პითალორელისადა და წარჩინებულ იქმნა ბრძოლასა შინა ლევტრიკოელთასა,

<sup>1</sup> დაითმინას A. <sup>2</sup> სძევთ A. <sup>3</sup> = კონებსა(?) <sup>4</sup> აქ თითქოს რაღაც აკლია: დგა (?).

<sup>5</sup> მოეკუეთოს A.

\* ამ თხრობაზე მითითებულია 1, 8-ში (მოკლელი).

რამეთუ მმარხველ იყო საქმელთაგან და გემოვნებათა და ვნებულებათა<sup>1</sup>. ამის-  
 თუსკა დიდი ძლევამ აღადგინა ლაკედემონელთა ზედა. ამისა წესიერებასა,  
 ებაძვა სკიპონ მკედლართ-მთავარი ჰრომთაჲ, რომლისათჳს მიეცა მსგავსადვე  
 მისსა ძლევამ კარქედონელთა ზედა. ამისთჳს საქმისაგან ეწოდა სახელი ნაც-  
 ვალად სკიპიონ[ის]სა აფრიკანოს, რამეთუ კარქედონელ არიან აფრიკელნი.

20. სელოდ ნათესავი არს დოდონელთაჲ, რომლისაგან გამოირჩეო-  
 დეს მდღელნი ფილოასანი, რომელსა შინა აღმართებულ იყო საგრძნებელი  
 დიოასი, წოდებული<sup>2</sup> მუხად დუდუნეაჲსა. ესენი, ვითარცა ღმრთის მსახურნი  
 განმწმედბოდეს, რამეთუ არცა იბანნიან, არცა ცხედარსა ზედა დაიძინიან, ვი-  
 თარ იგი სიმღერამ ომირული წარმოაჩინებს: «მჩობლ ხარით სელოდ მსა-  
 ხურ ტაძრისა, უბანელ ფერჯით და მწოლ სივმელითა\*».

21. სოლონ სჯულისმდებელი იყო ათენელთაჲ, რომელმან იგი სთხოვა  
 მის მიერ სჯულდებულთა მათ ფიცით დასარწმუნებელი, რაჲთა ათ წელ ოდენ  
 არა გარდაჰქედნენ სჯულისდებასა მისსა და მერმე, უკუეთუ ენებოს დაჰსნაჲ,  
 დაჰსნან. უწყოდა, რამეთუ შემდგომად ესოდენტა წელთა ვერლარა განეყენნენ  
 ჩუფულებად შექმნილსა მას საქმესა. ესე რაჲ სჯულ უდვა, განეშორა მიერ ათ  
 წელ და მიმოვჰლიდა რაჲ სოფლებსა, იხილა ქორწინებად კრისსონ, მეფე  
 ლუდთაჲ. ხოლო კრისსონს ენება, რაჲთა გქანაკურქოს სოლონ. ამისთჳს მიაგ-  
 დინა იგი დიდთა მათ ზედა საუნჯეთა ოქროსა თჳსისათა. და მოიქცა რაჲ  
 მიერ, ჰკითხვიდა, ვითარმედ ვის ჰგონებს იგი უმდიდრე ყოველთა კაცთა?  
 (ჰგონებდა, ვითარმედ მისთჳს თქუას უბირატესობაჲ ყოველთაჲ). ხოლო მან  
 თქუა, ვითარმედ «[ტელლონ ათინელი უმდიდრეს არს ყოველთა: [არცა სი]მ-  
 დიდრესა, არცა წარჩინებულებასა უწყეს დღე-კეთილო[ბა]დ, არამედ უენებე-  
 ლობით ცხორებასა». ვინაჲცა სოლონ [უძღვებ] იწოდა კრიოასგან, ვითარცა  
 უმეტესსა სიმდიდრესა ხილვად წადიერი, უფროს ლუდთა საფასეთაჲსა, ვი-  
 ნა[მთავან] საფასეთაცა დღე-კეთილობა უწოდინ გარეშეთა [მათ], რამეთუ  
 სამნი დღე-კეთილობანი უწყნი სიტყუანი: პირველად სულისა უენებლობისაჲ,  
 მეორედ ჯორცთა აზნაურებისა ანუ სიმართლისაჲ, მესამედ მონაგებათა  
 სიმრავლისაჲ. ჯერ იყო სოლონ[ის]სა ზედა დართავად ესოდენ სიტყუ[თ]ად  
 კრუსსონის მიმართ, ვითარმედ «უკუეთუ ოდენ სულითა მდიდარ ხარ, კმა არს  
 შენდა საფასე ესე უხუებად გარეშეთა მიმართ სიმდიდრეთა».

22. სოკრატის ქმნულკეთილობის და შემკობის მოყუარებაჲ ესე არს.  
 სოკრატი ფილოსოფოსი არს მიმომავალი უზნებსა, და ჰბატუთა უბრძანებლად  
 ფილოსოფოსობად და უფროსლად საგონებელ უზნდა, ვითარმედ ქმნულკეთილ-  
 ნი ჰბატუენი უმეტეს მომხავებელ არიან სწავლ[თ]ათა მიმართ საფილოსოფოსთა,  
 რამეთუ ქმნულკეთილთავე უწოდდა გონება-კეთილთა[ცა], რომლისათჳს სა-  
 გონებელ იქმნა სოკრატი ათინელთა მიერ მამათმავლად, ვითარცა აღმ[რ]-  
 ჩეველი ქმნულკეთილთაჲ. იპოების უკუე პლატონცა თეტიტოსს მიმართ, და  
 ყოველგან ესრეთ მიმწერელთა სოკრატოსგან მოღებითა, ვითარმედ კეთილ

<sup>1</sup> ვნებოლებოთა A. <sup>2</sup> წოდებოლი A.

\* ამ თარობაზე მითითებაა I ტექსტში (ნ. 1, 12).



არს თეტიტოს, კეთილ არს ხარმიდიცა, ესე იგი არს, ვითარმედ სოკრატე საექუელ არს მისთჳს, რასა იგი ზრახვენ მისთჳს. ხოლო სოკრატისთანანი იგი განამართლებენ, ვითარმედ საღმრთო და [ა]რა-ვნებულ იყო ქმნულკეთილობისა მიმართ სიყუარული იგი მისი.

23. პლატონის უძღებებამ ესე არს. რამეთუ პლატონ ფილოსოფოსსა ესმა დიონოსისთჳს მძღავრისა სიცილიელთაჲსა, ვითარმედ მახულ არს [ი]ქითა. ვითარ იგი მის [-----]ბელნი იტყჳან, ორ იყვნეს მიზეზნი მუნ წილსღვისა მისისანი: რაჲთა იხილოს აღმოცენებამ ეტნეო[სა] ცეცხლისა და რაჲთა არწმუნოს დიონოსის ფილოსოფოსობამ. ხოლო ვითარცა დიდი ღმრთისმეტყუელი იტყჳს, ნაყოფანება იყო მიზეზ პლატონის მუნ წარყვანებისა, რამეთუ ასმიოდა მის ტაბლა-დიდობისათჳს დიონოსის(ი)სა, რომლისათჳს მიჰყიდა იგი დიონოსი პოლიდის ნავთ-მთავარსა ლაკედემონის(ა)სა, რომელი მათ ჟამთა მუნ [მი]სრულ იყო, და მიიწია რაჲ მიერ ეგინად, კჳალად მანცა მიჰყიდნა [პლა]ტონ არნიკეროსს მონად.

24. ქსენოკრატის ნოვაგთმოყუარებამ ესე არს. რამეთუ ქსენოკრატე და არისტოტელი მოწაფენი იყვნეს პლატონისნი და მიმთუალველნი მოძღურებისა მისისანი, ვინაჲცა ქსენოკრატე შექმნა წვალებამ სტოელთაჲ, ხოლო არისტოტელი—პერიატელთაჲ. ხოლო ესოდენი სიწმიდე ითქუმის ქსენოკრატისთჳს, ვითარმედ იშუებდა სანუეავითა, ხოლო არა აღიძრვოდა ვნებულობითა, რაჲმეთუ სიტყუერებისა და დემორჩილნეს ვნებანი. არამედ დიდი გრიგოლ(ი) ეგრეთცა განაქიქებს მას ნუვაგთმოყუარებისათჳს, ვითარ არა რაჲსა საქმელთა[გან]ისა მიმართ აჩუენებდა<sup>1</sup> კრძალულებასა, ვითარ იგი წეს არს ფილოსოფოსთა, რაჲთა ა[რა] ხოლო ვნებათაგან, არამედ საქმელთაგანცა მიარხველ იყოს.

25. დიოგენის ენამეტრობამ ესე არს. დიოგენი ფილოსოფოსი იყო კზნიკელი, ხოლო კზნიკოელ ამისთჳს ეწოდებოდა ადგილსა მათსა, რამეთუ ვითარ იგი ძაღლთა წმელისათა აქუს მცველობამ და განპრჩევლობამ, რამეთუ განარჩივენ თჳსთა და უცხოთა, ამით პლიქნიან და მათ სდევნიან, ეგრეთვე ესე მსგავსებითა ძაღლთაჲთა სცვიდა უკუე წესთა ფილოსოფოსობისათა, ხოლო სდევნიდა და ამხილებდა ლიტონობასა და მსოფლურებასა. არამედ ღმრთისმეტყუელი მასცა განაქიქებს ენამეტნად წოდებითა, ვითარმედ ცულად მზუაობრობით ჰყოფდა, რასა იგი ჰყოფდა.

26. დიოგენი ესე იგივე არს, რომელი ქურსა შინა მკვდრობდა, რომელსა შინა ღამე შევალნ სიცივისათჳს და დღივ<sup>2</sup> მზესა გა[მო]ვალნ განტობისათჳს. ვინაჲ ერთგზის ოდესმე ტყებოდა რაჲ მზესა ზედა, მიადგა ალექსანდრე მეფე და ჰრქუა: „რაჲ გნებავს, დიოგენი, და მოგმადლო შენ“. ხოლო მან მიუგო: „სამი ოდენ[---], რაჲთა არა მიჩრდილობდე“.

ამისსავე მსგავს [იყო] პტოლემეოჲს ზე ყოფილი სოტადი ალექსანდრ(ი)-ელ(ი) ფილო[სოფ]ოსი, მდგომარე ადგილსა ერთსა და შემწუარი მზისა მიერ, რომელსა ზეით შთამოხენდა პტოლემეოს და მოვიდა მისა, რაჲთა აღიყვანოს

<sup>1</sup> აჩუენებდა A. <sup>2</sup> დღივ(რ) (რამეთუ) A.

იგი პალატად. ხოლო მან იხილა რად მომავალი, დაემალა მას ნატეხსა ქუეშე ქურისასა. ხოლო პტოლემეოს ზედა\* და პრქუა მას სიტყუად იამბიკონი: „მნებაეს მე [ჩემ]და წუეთი ერთი ბედისად, ვიდრელა საესე ქური ერთი ცნ[ობისადა]“. ქური თქუა ქურის ნატეხსა ქუეშე დამალვისათჳს მისისა [---], არად ერგო მას სიღრმე ცნობისად, ვინათგან ვერ მიემთხვა ბედსა.

27. ეპიკუროს ფილოსოფოსი იყო, რომლისაგან იწოდებოდეს ეპიკურელი<sup>1</sup>. ესე ეპიკუროს შეისმინებოდა სხუათა ფილოსოფოსთაგან ვითარცა უფარისმყოფელი [-]სა განგებათად, ვითარმედ არა ყოველთა საქმეთა ზედა მიიწევის. და აღსასრულად საქმეთა იტყოდა საქმით აღსრულებასა გულისთქუმათასა და არა ღმერთსა, რომელი იგი დასაბამი არს და აღსასრული ყოვლისა.

28. კრატო თიბოელი იყო, რომელსა ენება რად დაწყებაჲ კვნიკოელთა ფილოსოფოსობისად, აღიხუნა მონაგებნი თჳსნი, მი[უ]თხინა ერსა, ჭადაგა და თქუა: „მპყრობელი თჳსთა განუ[ტ]ევებს პყრობილთა, რადათა პყრობილთა ვერ შეიპყრან მპყრობელი“. ხოლო ძალი ამათ სიტყუათად ესე არს, ვითარმედ „მე კრატოტოს, რომლისა სახელი მპყრობელად გამოითარგმანების, მე მპყრობელი განუტევებ პყრობილთა, რომელ არიან მონაგებნი ჩემნი, რადათა არა მათ შემიპყრან მე“. ესე თქუა და [ყო] სახლი თჳსი [ვე]ლ ცხოვართა საძოფენელ, რომელსა ეწოდებოდა მილოვატო, რომელ არს სახალენე, რამეთუ ხალენი ცხოვარისაგან იქმნების.

29. ტრიუნიანობაჲ ითქუმის] კვნიკოელთა ფილოსოფოსთათჳს ანტისტენოას გინა ზინონოასთჳს, რამეთუ ესე საცილობელ არს. ესე, რომელიცა იყო ორთა ამათგანი], განძნებასა სამე ზამთრისასა და დამთხუევასა [ნ]ავისა დანთქმისასა] მადლობით თავსმდებელი იქმნა სიგლახაკითა [---] ეათა მიერ შემთხუეულსა<sup>2</sup>, და ესრეთ თქუა: „ვაშა, შ ბედო, მადლს აღვიარებ, რომელმან ჩემთა დიდთა სიმდიდრეთაგან [--- ხოლო] დამიშთინე ტრიბონი“.

ტრიონი უწოდიან შესამოსელსა] ბალნისასა საფილოსოფოსოდ განწესებულსა.

30. ანტი[ს]ტენო არს ფილოსოფოსი კვნიკოასა, რომელი იგი იცა [ვი]სგანმე და იწყულა პირითა, ხოლო მან მიიღო ქარტად და გამოსახა მას ზედა მცემელი თჳსი და დაიწება პირსა და ეგრეთ მიმოვიდოდა.

31. [პ]ანი[დი]რი? ფილოსოფოსი იყო ჰრომაელი, რომელი იგი დღესა ბარბაროზთა-მიერისა ქალაქისა ბრძოლისასა ესოდენ დადგა [---] ვიდ სიტხესა მზისასა, ვიდრელა გარდამოჭდა ზეცით ცეცხლი [და] შეწუნა ბარბაროზნიცა იგი და ფილოსოფოსიცა.

32. [პ]ო[დი]ეა ქალაქი არს თრაკი[ი]სად, რომელსა შინა იყო ფილოსოფოსი ვინმე, რომელი იგი ჟამსა ზამთრისასა დადგა ლოცვად დაჲე ყოველ და ესოდენ ამაღლდა სულითა, ვიდრემდის ვერღარა იგოდნობდა [ყ]ინელსა ზამთრისასა.

33. არკადიელ საძიებელ ესე არს, რამეთუ ომბროს გამომეტყუელი მიიწია რად არკადიად, რომელ არს სოფელი პელოპონისად, პოენა მესათხეველ-

\* აკლია ზმნა (დაჰხედაჲ).

<sup>1</sup> ეპიკორელი A. <sup>2</sup> შემთხუეულსა A.



ნი, რამეთუ იხილვიდეს. ჰკითხა მათ და ჰრქუა: „# კაც არკადიელნო, ბად-ველოვანნო, ნუ ბადებითა იპყართ რაჲ [-ა-]“? ხოლო მათ მიუგვის: „რანი ვიპყრენით, იგი განგუეველთნეს<sup>1</sup>, ხოლო ვლთოღვილნი ესერა გუყვანან“. ხოლო ძალი სიტყუსაჲ ამის ესე არს, ვითარმედ „მძრომალენი რომელ ვიპყრენით, იგი მოვსწყვდენით, ხოლო რომელ ვერ ვიპყრენით, ესერა გუყვანან“. ესე იგავი ვერ გულისნება ყო ომიროს. ამისთჳს მცირედ რაჲ თანა წარჰჳდა, მოიშთო მწუხარებისაგან. ხოლო თქუმულ არს, ვითარმედ: წინა მოესწავა ომიროსს ხრიზმოსთა მიერ ესრეთ, ვითარმედ ოდესცა [წინა] დაემთხვოს მას საძიებელი ვერ აღსა-ქსნელი, [მყის] მოკუდომად არს.

34. არისტოტელე ფილოსოფოსი მოწაფე იყო პლატონისი, ესოდენ მიღვენებული ბუნებათა-მეტყუელებასა, ვიდრემდის არა რაჲსა არსთაგანისა ენება დატევებაჲ თჳნიერ ცნობისა, [ვითა]რ იგი არიან ნივთნი ცისა და ქუეყანისა, ზღუსა, ჰაერისა, ეთერისა, ცხოველთა, [ნერგთა], წჳმისა, თოვლისა, ძრებისა და კომითაჲ. ამათ [ყოველ]თა თანა გულს იდგინა ევრიპოძსაცა მოქცევთა პოენად და მიწთომად ბუნებათა-მეტყუელებასა მათსა. ამისთჳს მივიდა ზღუს კიდედ და დაჯდა ადგილსა მას ევრიპოდ სახელდებულსა, სადა იგი დღესა შინა შუდგზის მოიქცევის ზღუად და კუალად შუდგზის განქმების. ხოლო ამისსა ძალსა ვერ უძლო გამოთქუმად არისტოტელე, თუ ვითარ იქმნებოდა. ამისთჳს შთააგდო თავი თჳსი ზღუასა და თქუა: „ვინაძთჳნ არისტოტელეს<sup>2</sup> არა აქუს საძიებელი, აქუნდინ საძიებელსა მეძიებელი“, ესე იგი არს, ვითარმედ საძიებელ ჩემდა იყო პოენად, თუ ვითარ იქმნებიან მოქცევენი ევრიპოძსანი, და ვინაძთჳნ არა მაქუს მე საძიებელი, ვაქუნდე მე საძიებელ[სა].

35. ჯურღმული კლეანთოძსაჲ თქუმულ არს ამისთჳს, რამეთუ კლეანთოს ფილოსოფოსი ამის ჯერისათჳს განსაკრვებელ იქმნა ფილოსოფოსთა შორის, ვინაძთჳნ შრომით და სივლახაკით მოთმინე ჯურღმულით<sup>3</sup> აღმოასხმი- [იდა] წყალსა და მისცემდა სასუმლად თანაწარმავალთა და ამით მოირეწდა სასაჭიროსა საზრდელსა თჳსსა.

36. საბლისათჳს ჳამლთა ანაქსალოროძსთა ვერაჲ ვი[---].

37. უშუერისათჳს ძაღლისა ესევითარი თხრობაჲ არს. ომიროს სიტყუს-მოქმედმან ქუდბეტი შეუქმნა დია[ს], რაჲთა ვერვინ იხილვიდეს, ვისი მას არა უნდეს, ღონისძიებისაგებრ წარმართთაჲსა, რომელნი იგი ზღაპრობენ, ვითარმედ თხემი ძაღლისაჲ ზედა დაარქუა მათ ყოვლად განთქუმულმან [პ]ლოტონოს, რაჲთა იყოს იგი სახედ ჳემირთა ჯოჯოხეთისათა.

38. ირაკლიტოს და დიმოკრიტოს არა ერთსა ჟამსა იყენეს, არამედ მ[ასვე] და ერთსა საქმესა მოქმედ იყენეს. დიმოკრიტოს უკუე<sup>4</sup> სიცილით, ხოლო ირაკლიტოს ტირილით მმასრობელ ამოებასა სოფლისასა. იგი იყო ავდარიტელი, ხოლო ესე ეფესოელი.

39. ხოლო ფალლოსათჳს ესე სათქუმელ არს, [ვითარმედ] საზორველნი იყენეს დიონუსისნი, ხოლო შემდგომი ბილწებისა[თჳს] მელა[ნ]პილოს და [ა-იყ-] ირაკლის თანამოდგამ იყენეს ბილწებისათჳს და მის მიერ შეპურობილ და შეკრულ და კუალად განტევე[ბულ].

<sup>1</sup> განგუეველთნეს A. <sup>2</sup> არისტოტელ ესე A. <sup>3</sup> ჯურღმულით A. <sup>4</sup> უკუე A.

40. ხოლო პანაჯს თვს მეორისა ზღაპრობათა სრულად არს, ვითარმედ დამწინდებელთა მიერ პინელოპიდე დაჲ მისი.

41. ირაკლის [ვუთუნოს?] ამისთვის ეწოდა, რამეთუ მიმოვიდოდა ოდეს-მე და ეტკრთა შვილი თვისი ჯლლოს. ხოლო შეეშია რაჲ ყრმისა, ითხოვდა საზრდელსა მამისაგან. ხოლო მან იძია პური ქუეყანის-მოქმედისა ვისგანმე, რომელმან იგი არა ხოლო არა მისცა, არამედ გინებით უკუნ აქცია. ამისთვისცა [ირაკლი მისტაცა მას ჯარი ერთი უღელთაგან მისთა და [დაკლა] და შექამა იგი სრულებით. მცირედი მისგანი სცა ყ[რ]მ[სა] მასცა და საქმისა მისგან სახელ ედვა მას ვუთუნოს, რომელ არს [ჯარის] დამკლველი.

42. ტრიესპეროს უწოდიან ირაკლის ამისთვის, რამეთუ ვითარ იგინი ზღაპრობენ, სამ დამე ოდენ ძლით იშვა. ამისთვის ტრიესპეროს ეწოდა, რომელი ესე სამ დამედ გამოითარებანების. და კუალად თქუმულ არს მიერვე ირაკლისთვის, ვითარმედ ერთსა შინა დამესა შეაგინნა ყოველნი ასულნი თეტიოჲსნი და შვილ ესხნეს მათგან, რომელთა მიერ ყენა ათორმეტნი იგი ბრძოლანი და ძლევენი.

43. ხოლო ვინაჲთგან პატიოსანნი ესე სახელნი ქრისტეანობისანი აღიშურენა ჩვენთვის ივლიანე და ვალილეველ მიწოდა ჩუენ, ამისთვის ღმრთისმეტყუელი ილოლიან უწოდს მას, ვითარცა კერპთმსახურსა, და (პი)სიდიან, რამეთუ პისისს ქალაქსა შინა იმსახურებოდა საყუარელი იგი ივლიანესი ზეგს; და კუალად აღონიელ, ვითარცა მსახურსა აღონიასსა, რომელი იყო კაც ტრფიალ აფროდიტისსა და მოკლულ არეოჲს მიერ, რომელი იყო იგიცა ტრფიალ აფროდიტისსა; და კუალად კავსიტაგროდ, ამისთვის რამეთუ ყოვლად დასაწუველ კერპთა ჰყოფდა კურობესა, რომლისათვს კავსიტაგრო სახელსდებს, ესე იგი არს დამწუველ კუროთა.

44. კერდო ეწოდების მელსა, რომლისა მსგავსებითა მელებრ მცბიერსა კაცსა სახელ ედვა კერდოჲს. ხოლო მინოს ძე იყო დიოჲსი, მართლად სახელდებული. ამისთვის ღმრთისმეტყუელი იტყვს ივლიანესთვის, ვითარმედ მინობითა ჰჳარვიდა კერდობასა, ესე იგი არს მართალ-საგონებლობითა მელისა მხაკუეარებასა.

45. პროტეგს იყო თრაკი, რომლისა ძენი მოსწყვდნა ირაკლი. ესე პროტეგს გრძნეული იყო და [თუალ]-მაქც[ევა]რი. [ამისთვის [თითო]ფერად იცვალბენ, რაჲთა არა აჩუენებ[დენ მას] მიმავალნი მისა მეძიებელნი მისნობისანი. და ამისა[ვე პირის]ათვს მელამჳსცა მეგუბტელი გრძნეული თითო სახელ იქცე[ვა] და ფერსა, რაჲთა დაეფაროს ვიეთი უნდეს [სივე?]რაგითა თუალთ-მაქციერობისაჲთა.

46. სიკილას არს [ქალაქი] კატანად სახელდებული და ზედა კერძო მისსა მთა ეტნეოდ წოდებული, და მას ზედა სამარადისოდ თუთმცენარე ცეცხლი, რომელსა ეტნოჲს ცეცხლ უწოდიან.

47. მითრან არს წარმარ[თთა] მიერ მსახურებული მზე, რომლისა მსახურებად ვერვინ ღირს იქნების, არა თუ პირველად თავს ისხნეს მრავალნი სატან[ჯველ]ნი: ცეცხლი, ყინელი და სიყმილი.



და ესე არს მითროელი [სა]ტანჯველი, რომელი ზემო ვსენებულ არს\*.

48. კეფალარი იყო მძლავრი ვმელისად, უწყალოდ და მომპოვნე-ბქელი მრავალთა და უცხო სახეთა სატანჯველთად, რომლისა მიმართ წარიგ-ლანებოდიან ყოველნი უწყალოებით ტანჯვისა ღირსნი, რომლისათჳს იტყჳს (სიტყჳს)-მოქმედი ვინმე, ვითარმედ მიგიღიეს ფლობად ყოველთად მძლავრო-ბითა მკლველობისათა.

ხოლო ფალარის სიკლიელი იყო ნათესავით, [ერთი] მთავართავანი დიონოსისთა, და იგიცა მომპოვნებელი უცხოთა და ახალთა სატანჯველთად, რომელმან მოიპოვა კუროდ რვალისად, რომელი იგი განაწესა განჯურებად, რადთა მის შორის შთაიგდებოდის დასასჯელი კაცი და ვმად კაცისად მის შემ-წუარისად [პი]რით კუროსადთ გამოვიდოდის და საგონებელ იყოს, ვითარმედ კუროდ იგი ვმობს და კუმინავს დაწუვისა მისთჳს, რომელი ესე იხილა რად დიონოსი, ბრძანა, რადთა კაცთ-მოდულებისა მისისათჳს თუთ იგივე შთადგებულ იქმნეს მის მიერ შექმნილსა მას შინა კუროსა. და ესრეთ შთადგებული დაიწუა და წარწყმდა.

49. ზლაპრობენ მვეციისათჳს, რომელი იყო ლერნის, ვითარმედ ერგა-სის თავ ესხნეს, და კულად სხუანი იტყჳან, ვითარმედ ცხრა [თავ] ესხნეს. ხოლო თავნი იგი იყვნეს გუელისანი. ესევეთარ[სა] ამას მვეცსა მოუწნა ბრძო-ლად ირაკლი თავნა -- ნა-] თჳსით ჯლოდითურთ და მოკლა იგი, რომლისათჳს ამას[ცა] | ზლაპრობენ, ვითარმედ [თავთა მთავანი], რომელიცა მოჰკუეთი[ან], ადგილ[სა] მას მოკუეთილისასა ორნი თავნი სხუანი აღმოეცენნიან, ვიდრემდის ერგასი[სნი] იგი თავნი მისნი ას თავ იქმნეს, ვიდრემდის ჯლოოს მოიპოვა ღონე და ცეცხლითა იწყო დაწუვად მოკუეთილებსა მას თავებსა. და ესრეთ უჩინო ყო მვეცი იგი.

50. პატრად ქალაქი არს ლუკიასად, რომლისა მახლობელად არს მთად, რომელსა ზედა იყო მვეცი ჰიმერად სახელდებულა, რომლისა პირი იყო მვეციისად და ბოლოდ ვეშაპისად. და პირით მისით აღმოეცენებოდა ცეცხლი და განხრწნიდა თანაწარმავალთა გხასათა და მკვდრთა მის სოფლებისათა. ხოლო უკუანადსენელ ველეროფანტის მოიპოვა ცხენი პილასსოდ, და შექმნა გრგოლი ბრენისად და აღატუა წუერსა ჰორლისა თჳსისასა და შთაუგდო პირსა მვეციისასა, და განიდნო [რად] ბრენი ცეცხლ-მცენარეობისაგან მისისა, შეწუნა ნაწლევნი მი[სნი] და მოაკუდინა<sup>1</sup> იგი\*\*.

51. კერვერონ ეწოდებოდა ძალსა მას, რომლისათჳს ზლაპრობდეს სამ თავ სხმასა, რომლისათჳს უწოდდეს მას სამთავოვანი, რომელი ესე სცავს ბქეთა ჯოჯობეთისათა და შთამავალთა მუნ ჰლიქნის და ჰყუარობს, ხოლო აღმო-მავალთა ჰქბენს და არა უტევენს აღმოსლვად. ვინადცა თქუმულ არს, ვითარმედ რაქამს შთაივდა მუნ ირაკლი აღმოყვანებად პირითოვს პერსეფონისსა, მიერ აღმომავალმან მოაკუდინა კერვერონ.

52. ძალ ზღუსა სახელდებული იგი იზლაპრების ყოფად უფსკრულსა ტურინნიკოვასასა. ამისი სახე იყო ვიდრე უბემდე—დედაკაცისა ქმნულკეთილისად

\* 1. 8 უნდა იგულისხმებოდეს.\*\* შდრ. 2, 8.

<sup>1</sup> მუაკუდინა A.

და ამიერ და იმიერ მისსა—თაგნი ძალისანი ექუსნი, ხოლო სხუად გუამი მისი —გუელისა სახე. ესე უწყალოდ და მგეცებრ განპბარვიდა თანაწარმავალთა მისსა ნავებითა.

53. ხარვედა ეწოდების კლდეთა მათ, რომელნი არიან ზღუასა შინა სიკილისასა და ტურანი[კ]ომასასა. და არს ადგილი იგი ძნელ თანაწარსავალად მენავეთათჳს, რამეთუ ოდესმე დაიფარვის წყლითა და ოდესმე განგმების და მიმოქცევ არს. და ესევეთარსა მას ადგილსა ვრაპია სახელ ედების. და მათ ადგილთა იყოფების ძალლიცა იგი ზღუსად ზემოთქუშული.

54. გვგოვას ბეჭდის თუალისად ბას[ილის ებიტაუ.]\*.

55. ლინდოვ ძეგლი ქალაქი არს როდომასად, რომლისა ტაძარსა შინა მემსხურებლეთა ჩუეულეზად აქუნდა წყვეით და გინებითა არაწმიდითა დაკვავად ზუარავისად.

56. ტავროვლთა უცხოთ-მკლველობად ესე არს. მათთა სკვთელთასა ეწოდების ტავროვ. ამის ტავროვსა ქალაქთაგანსა ერთსა შინა იმსახურების არტიმი, რომელმან იგი მუნ მიიყვანა იფიგენია, ასული აღამემნონისი, და, რადთა არა განცხადნეს მუნ მიყვანებად მისი, ამისთჳს ჰყოლდეს ტავროვლი უცხოთა კაცთა სხუთ ქუეყანით მათდა მისრულთა მოკლვასა, რადთა არა განაცხადონ მათ მუნ ყოფად იფიგენიადსი შემდგომად თჳსსა ქუეყანად მიქცევისა მათისა\*\*.

57. ლაკონიკელთა ბომონთა წინაშე ტანჯვისათჳს ზემო მეთათრმეტედ თავად ჰპოო\*\*\*, ხოლო ფრვგელთა მახლითა დაქრად მეექუსედ\*\*\*\*.

58. ხოლო სიტყუად ესე, ვითარმედ «მიუყარენ საექუნნი კუნოსარ[გ]ელთა», ამისთჳს თქუშულ არს, რამეთუ ათინას შინა იყო ადგილი[---]სა კუნოსარკი რომელ არს ძაღლის გორცი. ამისთჳს ეწოდებოდა, [რამეთუ] ოდესმე ძაღლი შვეიდა ტაძრად კერპთა და წარიტაცა მიერ გორცისაგან მსხურებლობასა და მიილო ადგილსა მას, სადა იგი აღაშენეს ტაძარი საკერპოდ, და უწოდეს მას კუნოსარგი, ესე იგი არს კუნოსარკი, რამეთუ დაღრმობისათჳს სიტყუსა განიყვანეს კანი და შემოიღეს განი, რადთა ნაცვალად კუნოსარკისსა კუნოსარგიდ უწოდიან ამას ადგილსა. კუნოსარგისსა განსჯილდეს და განიკითხვილდეს საექუთა, უკუეთუ ჰეშმარიტად მისნი შვილნი არიანა, ვისდად სახელ იდებიან, ანუ სხჳსანი სხჳსა მიწამებულ არიან? ხოლო მონებისაგან განთავისუფლებულნიცა ათინელთა მიერ საექუ იწოდებოდინ და მასვე ადგილსა განიკითხვილდინ თანა-შეტყუებითა შობილთაგან თავისუფალთაათა, უკუეთუ ნამდვლვე ჰეშმარიტებით განთავის[უ]ფლებულ არიან მონებისაგან.

59. ქსანთოს და ხალკიდას კიცხევით ეტყჳს მოძლუარი, რამეთუ ათინელთა ჩუეულეზად<sup>1</sup> აქუნდა, რადთა ვისცა ღმერთთა ქსანთოს უწოდინ, იგინი სკამანდროდ სახელ სდებდენ და როპელ[თა] ღმერთთა ხალკიდა უწოდინ, მას კაცნი კვინდად სახელ სდებდინ.

60. პალამიდოს ეგვკოელი იყო ნათესავითა. ხოლო ევკვად არს ქალაკი პირისპირ ატიკოვსა. ამან მოიპოვა რიცხჳ და სხუანი მრავალნი ღო-

\* შდრ. 2, 5. \*\* ამ თხრობაზე მითითებული 1, 7-ში. \*\*\* 6, 3, 11; შდრ. 1, 8. \*\*\*\* 3, 6.

<sup>1</sup> ჩუეულეზად A.



ნენი. ესე პალამიდი ერთი იყო ილიონად წარსრულთა მგედართაგანი და მუნ მოიკლა განცემითა ოდესეს მიერ, რამეთუ ოდესეას აქუნდა მისა მტერობაჲ ესევეთარისა რასამე მიზეზისათჳს. უბრძანა რად აღამეწნონ ოდესეას წარსლვაჲ ტრად, ხოლო ოდესეას<sup>1</sup> არა ენება წარსლვაჲ, ამისთჳს იჩემა სისულელე, მოიყვანა ჯარი და ვირი და [რე]ცა სიცოფით აწვევედა მათ ერთად. ხოლო პალამიდი ამხილა მას, ვითარმედ ნეფსით იჩემებს სისულელესა და არა თუ სულელ არს. და მიახლებაჲ იგი ესე იყო, რამეთუ მოიყვანა ძე მისი ტელემახოს და წინა დაუდვა იგი წუერსა ერქუნისასა. ხოლო ოდესევეს გარე მიაქცინა უღლეონი იგი, რადთა არა განბძარონ ძე მისი. და ამით საცნაურ იქმნა, ვითარმედ ცნობიერი ჰყოფს, რასა იგი ჰყოფს. ამის პირისათჳს ძვრის მოქსენეობდა ოდესეა და შეჰმზადა წიგნი შინაგანცემისა ელენთაჲსაჲ პრიამიდისსგან პალამიდის მიმართ. და დადვა იგი კარაესა შინა მისსა და ესრეთ ცილი დასდვა მას, ვითარცა შინაგანცემელსა თჳსთა ნათესავთასა და სიკუდილით მოაკუდინა იგი ღონისძიებით შესმენითა.

61. იყო ოდესმე განრჩევაჲ მფრინველთაჲ, თუ რომელი უშუენიერე<sup>2</sup> არს, და მსაჯულ განრჩევისა მის იყო ზევს, და უწინარეს დღისა მის განჩინებულისა განსარჩევლად მათა წინა დღით შეკრბეს ყოველი მფრინველნი მდინარესა ზედა ბანად და განშუენებად<sup>3</sup> თავთა მათთა, რადთა განბანითა ფრთეთათა თითოეულმან ცხა[ნ]დ ყოს ბუნებითი შუენიერებაჲ თჳსი. ხოლო კალჯოსმან, რომელი არს მფრინველი უშეერ<sup>4</sup> და მცირე გუამითა, გარე მოისხა წყალსა შინა დაცვენებული ფრთეები სხუათა მფრინველთაჲ და მით შემკობილი წარმოუდვა ზევს, რადთა მიეცეს მისგან ძლევაჲ უშუენიერესობისაჲ. და ვითარცა მოჰბერა ქარმან და განჰყარა მას უცხო თესლები იგი ფრთეები, მყის შიშუელ იპოვა უცხო თესლისა შუენიერებისაგან<sup>5</sup> და განქიქნა ბუნებითი იგი უშუერებაჲ მისი და ესრეთ სირცხულელ იქმნა.

62. დედაკაცი ვინმე, რომლისა სახელი საცილობელ არს სამ სახედ, ანუ სიბილიად, ანუ ფიმონად, ანუ ფილჯრად, შეირყია ვისგანმე ჰაბუკისა. ხოლო იგი გან[ჟრისხნ]ა ჰაბუკსა მას სიტყუათა რიცხუედითა<sup>6</sup> და მარტულედითა, რომელი იგი სათნო ეყო მუნ მდგომთა. და მიერთვან იწყეს ჩუეულებად და შექმნად მუჯლთა რიცხუედთა და მარტულედთა.

63. კაკლოპნი იყვნეს მწყემს საცხოვართა საზღვართა შინა ჰალაკისა სიკილისათა და ცხონდებოდეს ტა[კ]ებით და მძლავრებით და კაცის მჰამელობით, რომელთა შეჰამნეს [მო]ყუანნი ოდესეოდესნი<sup>7</sup>. იყვნეს უკუე უწარჩინებულენი კაკლოპთანი ვრონტის, სტეროტის და არგის. [---]ნი ველოვნებითა მჰედლობისა თჳსისაჲთა შეუქმნენ[ს] ზევს ელვანი და ქუხილნი. ხოლო კაკლოფს ეწოდებოდა მათ, ვითარ ისიოდოს იტყუს, რამეთუ ერთ თუალ ედგა სიმარგულესა შინა შუბლისასა, ხოლო, ვითარ იგი ტილ[ე]ფანტოს დასწერს, მკვდრობდეს იგინი სიმარგულესა რასმე შინა ჰალაკისასა. ამისთჳს კაკლოფს ეწოდა, რომელ არს მრგულა.

<sup>1</sup> ოდესეას A. <sup>2</sup> უშუენიერე A. <sup>3</sup> განშუენებად A. <sup>4</sup> უშეერ A. <sup>5</sup> შუენიერებისაგან A.

<sup>6</sup> რიცხუედითა A. <sup>7</sup> ოდესეოდესნი A.

64. ნავთსაყუდელსა შინა ტჯროდსსა მიმოვიდოდა ძაღლი სამწყემსოჲ, პოვა კ [ო] ხლი [ო] და შექამა. ხოლო სისხლმან კოხლიოჲსამან შეღებნა შევანი ძაღლისანი, ვინაცა მწყემსმან ჰგონა, თუ წყულუდ არს პირი ძაღლისაჲ, მიიღო მატყლი და წარჰტოცა პირი მისი. და ვითარცა ძიილა იგი უენებელად და მატყლი იგი შეღებულ იყო პორფირის ფერად, საანჯმნო ყო. და მიერთგან ისწავეს კრებაჲ კოხლიოჲსაჲ ზღუთ და შეღებვაჲ სამეუფოჲსა პორფირისაჲ.

65. დიმიტრის ესუა ასული პე(რ)სეფონა, რომელი იგი წარიტაცა პლოტონ და ძიებასა შინა მისსა მისცნა კელეოსს და ტრიბტოლემოს ს[ა]ხლნი ფროთოსანთა ვეშაბთანი, რაჲთა მიმოვიდოდინ არა ხოლო ძიებად პერსეფონისსა, არამედ მიცემადცა თესლთა იფქლისა და ქრთილისათა, რაჲთა მიერ ისწაონ კაცთა მუშაკობაჲ. [ხოლო] [ნავთ]ა მოქმედებასა დიდი ესე ღმრთისმეტყუელი ათინელთა მიერ მოპოვნებულად იტყუს, რამეთუ მიერ ისწავეს კაცთა ნავით ბრძოლებაჲ\*.

66. [-----<sup>1</sup>] კელეოს და ტრიბტოლემოს თესლნი; ეგრეთვე იკარ[ი]ს ღუნოჲ. განუყო მოღებითა დიო[ნ]ქსოჲს მიერ, რამეთუ დიონუსიოს(ს) იტყვან წარმართნი მოპოვნებულად ღუნისა და [მაზგო]ვნებულად ვენაჯისა, რომლისა ვაზი მან მისცა იკარიოსს ათინელსა. ხოლო იკარიოს დაასხა ვენაჯი და შექმნა ღუნოჲ. და პირველად მისგანი ასუა მწყემსთა. ხოლო იგინი, დაითრგნეს [რაჲ], ჰგონეს, ვითარმედ მოუწამლვან იგინი, ამისთჳს ზედა დაესხნეს და მოკლეს იგი, რომლისა ასული ირილონი, გოდებ[და] რაჲ და განიქრებოდა სიკუდილისათჳს მამისა თჳსისა, შეეწყალა იგი ღმერთთა და მიცვალეს. და აჲ არს იგი, ვითარ [იგინი] ზღაპრობენ, ზეცას ვარსკულავთა თანა.

ხოლო ესეცა თქუმილ არს, ვითარმედ არა ხოლო თესლნი ხუარბალთან განეყვნეს კაცთა დიმიტრისგან, არამედ სჯულნიცა რაჲმე დაესხნეს [საწ]არმართნი, და დღესასწაულობენ დღესასწაულთა ელევსიად[ინ]თა და დიმიტრიანთა.

67. ორ ფევეს ნათესავით იყო თრაკელი. და ამან უღმრთისმეტყუელა<sup>2</sup> ელენთა წესი მსახურებისა და მესაიდუმლოებისა ღმერთთაჲსა,—მსახურებაჲ ესრეთ, რაჲთა ღმრთის-მხილველ იქმნენ, ხოლო შესაიდუმლოებაჲ, რაჲთა დაიწუნენ თუალნი ყოველთა მიმართ შფოთთა გარეშეთა აღმამრღუეველთა გონებისათა\*\*.

68. ითქუმის უკუე, ვითარმედ პირველად ქალ დეველთა მიერ მოპოვნებულ იქმნა ვარსკულავთ-მრიცხუელობაჲ და ქუეყანის-მზომელობაჲ; ვარსკულავთ-მრიცხუელობაჲ უკუე<sup>3</sup> ზოროასტროდსგან, ხოლო ქუეყანის-მზომელობაჲ ა[პ]ლე[ტ]სგან\*\*\*.

69. მოგობაჲ უკუე<sup>3</sup> მიღთა მოიპოეს და მი[დ]ელთაგან ისწავეს სპარსთა. ხოლო განიყოფების მოგობაჲ გრძნეულობისაგან, და გრძნეულებაჲ მწამლველობისაგან, რამეთუ მოგობაჲ წოდებაჲ არს ეშმაკთა კეთილის მყოფელთა

<sup>1</sup> მისცნა (?). <sup>2</sup> უღმრთისმეტყუელა A. <sup>3</sup> უკუე A.

\*ამ თხრობაზეა მოთითებული 1, 3-ში. \*\* შდრ. 1, 17. \*\*\* ამ ამბებზეა საუბარი 1, 16-შიც.



ქველის მოქმედებად ვისსამე, ხოლო გრძნეულებად საფლავთა ზედა ქმნილი წოდებად ბოროტთა ეშმაკთაჲ ბოროტის მოქმედებად ვისსამე, ხოლო მწამლველობად, რაკჲს ფარულად მიცემითა წამლისაჲთა მოაკუდინოს ვინმე ანუ შეცვალებად შეამთხვოს.

70. ს ი ზ მ ა რ თ ა მ გ ს ნ ე ლ ო ბ ა მ ო პ ო ვ ე ნ ბ უ ლ ი ქ მ ნ ა კ რ ჯ ს ო ა ს ზ ე პ ლ მ ი ს ო ს შ ი ნ ა ქ ა ლ ა ქ ს ა ბ ა მ ფ ვ ლ ი ა მ ა ს ა ს ა .

71. მ ფ რ ი ნ ვ ე ლ თ მ [ზ] მ ნ ე ლ ო ბ ა მ ო ი ბ ო ვ [ეს ფრ] ვ გ ი ე ლ თ ა ტ ი ლ ი ლ ო ნ ს მ ი ე რ , რ ო მ ე ლ მ ა ნ ი წ ყ ო ა ღ ღ ს ნ ა ლ [----] რ ს ა და ზ ო რ გ ი თ ს ა , მ ა რ ა ჯ უ ე ნ ი თ ს ა და მ ა რ ც ბ ნ ი თ ს ა [ფ--] ნ ე ვ ა ს მ ფ რ ი ნ ვ ე ლ ს ა ს ა .

72. ხოლო ქსენოკრათი შექმნა სახლისა-მზმუნელობად, ესე იგი არს, რადთა [აჰ]ქსნიდეს უკუეთუ [სა]რთულსა ზედა სახლისასა იხილ[ო]ს ვუელი ანუ მფრინველი, ანუ მწერი, და თარგმანებდეს, თუ რაჲსა მო[მას]წავებელ არს მას შინა დათხევად ღვნისაჲ, ანუ [ზეთისა], წყლისა, ანუ თაფლისაჲ.

73. ხოლო გზის-მზმუნელობად მრავალთა აღწერეს, ესე იგი არს, ვითარმედ მისი ვისამე დამთხუვად<sup>1</sup> მას რასმე, და ამის რაჲსმე კიდებაჲ ამას რასმე მოასწავებს.

74. ხოლო ველთ-მზმუნელობად აღწერა ვლენოს, ვითარმედ ე[ეს რაჲ]მე განრთხმად ველთაჲ ამას რასმე მოასწავებს, და კუალად ს[ხუ]ებრი სხუასა; ხოლო ასოთა მღერისაჲ აღწერა პოსიდონ [---], თუ რაჲ რაჲსა მოასწავებს[ს].

75. ნათესავნი ნომადთანი [სკკ] თთაჲ განვიდეს ავაზაკობად და დაუტევენეს მონანი და [---- ნი] სახლთა შინა მათთა მოქმედებად ყველისა. ხოლო ჩუეულებაჲ<sup>2</sup> აქუნდა სკუთელთა, რამეთუ პირველად დააბრწინან მონანი თჳსნი და ესრეთ ველთ უღვიან შემყოფელ[ო]ბ[ა]სა [მათსა]. ვინაჲცა დაეყოვნა რაჲ ავაზაკობად გან[ს]რ[ულ]თა [მათ] სკუთთა, ცოლნი მათნი თანა ეყვნეს დამბრმალთ[ა] მონათა მათთა, და შენეს მათგან შვილნი. ხოლო მო-რაჲ-იქცეს სკუთნი, იპოვნეს მონათაგანნი იგი ძენი ცოლთა მათიანი ჭაბუქად] წუერ-გამოდ და წინაგანმწყობად მათდა. და იქმნა [რაჲ] ბრძოლად, იძლინეს და მეოტ იქმნნეს ავაზაკობით მოსრულნი იგი წინაშე პირსა მონათ-თესლთა მათ თჳსთასა, ვიდრემდის ერთმან სკუთთაგანმან ასწავა მათ ღონე, რადთა არა ჰბრძოდინ მათ საჭურველთა, ვითარცა სწორნი სწორთა, არამედ შოლტებითა ვითარცა უფალნი მონათა. ხოლო ესე რაჲ ყვეს, მყის<sup>3</sup> დაუმდაბლდეს იგინი, ვითარცა მონანი შემინებულნი შოლტებისაგან უფალთა თჳსთაჲსა.

76. ყოველთაჲე ქალაქთა აქუნდა თჳსად განკუთნილი საქმე: თეტალოელთა—ცხენნი, ხოლო ათინელთა—ვეცხლის სადნობი, და ჰინდოთა] —ქვისაჲ ოქროსაჲ. ხოლო ლაკე[დე]მონელთა—ძაღლნი სანდირონი, ვინაჲცა ლაკონიკელთა ძაღლნი ძლიერ დიდ და [მ-ნი], ნენე და ახოვან იყვნეს. ამათ ყოველთა თანა სიკილია[სა]ცა აქუნდა წყაროდ არეთუსი, ფრიად რაჲმე ტკიბილი და სპეტაკი. ამათდა წინააღმდეგობად იტყჳს დიდი გრიგოლი, ვითარმედ ქრისტეანენი არა ესევითარითა უნდოებითა, არამედ უცხოთ-მოყუარებითა და გლახაკთ-მოწყალეებითა შეიმკვები[ან] და განშუენდებიან<sup>4</sup>.

<sup>1</sup> დამთხუვად A. <sup>2</sup> ჩუტულებაჲ A. <sup>3</sup> +მყის A. <sup>4</sup> + განშუენდებიან A.

77. პლატონ სამოქალაქოთა განწესებ[ათა შინა] იტყვს, თუ რაბამ ჯერ არს ქალაქი ანუ რაოდენთა კაცთა მიერ[ი] შემოკრებულნი, ანუ ვითარითა სახითა და წესითა განგებულნი და ვითარმედ ესე ყოველი სიტყვით იპყრობების და წესიერებით განეგების. ამის იტყოდა სიტყუათათვს, ხოლო საქმეთათვს არა ფრიად მოღუაწე იყო, გარნა ესე ხოლო თქვს: ჴემიერებით მე, მოქალაქე[ნი], მეტყუელნი ამის რაჲსმე ესევეთარისთანო, რაჲთა ამის მიერ ვი[ხილ]ოთ აღძრვად სულისად.

78. ისიოდოს აღწერილთა თვსთა შინა, რომელთა სამ საქმე ეწოდების, პირველად დასწერს შობასა ღმერთთასა, და მეორედ საქმედ და დღედ წოდებულსა მას. და შობისათვს ღმერთთაჲსა ესრეთ იტყვს, ვითარმედ იგი ვინმე ჰაერისაგან და ეთერისა იშვა, და კრონოს—ცისაგან და ქუეყანისა, და კრონოსგან—ზევს და პოსიდონ და პლოტუტონ. ამისსა შემდგომად შთამოჰთხზავს სირასა ნათესავთა და ღმერთთა უახლესთასა და ვითარმედ ამა[თ] რომელთამე ღმერთთა მათ ვიეთმე მიმართ ბრძოლა ყვეს, რომელნიმე იძლინეს და რომელთამე ყვეს ესე და ესე რაჲმე, რამეთუ ტიტანთა, რომელთა სახელ იყო კოტოს და ვრიარეოს განჭრეს დიონესი. ტიტან უწოდს მათ, რომელთათვს იტყვს, ვითარმედ იშენეს კაცნი ფერგ-ვეშანი, ხოლო სხუანი ვინმე იყვნეს ას-ველნი, თანამბრძოლნი ღმერთთანი გმირთა მიმართ, რომელნი იგი ეწყვებოდეს ღმერთთა, ვიდრემდის მეხ-დატეხილ იქმნეს ზევისგან, რომლისათვს უწოდა ზევს მენის ტეხა მოსილ. ხოლო მწარე ნაშობ უწოდს სისხლისაგან გმირთაჲსა აღმოცენებულთა მათ ცხოელთა, მაკუდინებელთა [ჯ]რას, რომელი იგი იყო გუელ ცხრა-თავი, რომელი მოიკლა ირაკლის მიერ, და ჰიმერასა, რომლისათვს ზემო გუთუ მს, ვითარმედ [წინა] კერძო იყო ლომ, უკანა კერძო ვეშაპ, და საშუევალ ჰიმერა, ცეცხლ მცენარე, რომელი ესე მოიკლა ველ[ლე]რ[ო]ფან[ტის]ვან. და კუალად სამ-თავი იგი ძაღლი, რომელი მოიკლა ირაკლისგან. ხოლო ღორღო იყვნეს სამნი დედანი, ესოდენ საზარელნი პირითა, რომელ მხილველთა მათთა მეყსა შინა მოაკუდინებდეს. ამათგანი ერთი მოკლა პერსეოს ლახუარმან გულით[-].

79. ორ ფევს იყო ნათესავით თრაკი, მუსიკელი<sup>1</sup> გელოვნებით; ესოდენ ტკბილად მომღერალი, ვიდრემდის გელოვნებითა გრძნებისაჲთა უსულთთა ნიეთთა,—ქვასა და ძელსა, ხეთა და ნერგთა ვითარცა სულიერთა ავლინებდა შემდგომად [თ]ქსა, ვიდრემდის მდინარენიცა მისდევდიან მას, რომლისა იგი [გამო]მეტყუელეზება ზღაპრობისაჲ ღმრთისმეტყუელებად შერაცხილ [არ]იან წა[რ]მართთა მიერ, რამეთუ სიმღერათა მათ თვსთა შინა წარმო [-]მესა და წესსა ქცევისა მათისასა, რომლისა მიერ შემოღე[-]ჰსენეს დიდი ესე ღმრთისმეტყუელი და სიმღერათაჲ[ან მისთა] განაქიქებს წესსა ქცევისა მათისასა.

80. ამისვე ორ ფევს გან განიქიქების ბილწებაჲ რაჲმე საძნაურ აღსაწერელად შვილთ-შთამნთქმელობითურთ კრონოსით.

81. ესევე დიდი ღმრთისმეტყუელი მრავალ სახედ განაქიქებს სიტყვს-მოქმედებასა ომირ ოქსისა, რამეთუ ლიქნის-მეტყუელ უწოდს მას [ა]ლრევისათვს

<sup>1</sup> მოსიკელი A.



სიტყუათა ქებისა და ძაგებისა[თ]ა, ვითარ იგი [იტ]ყუს, ვითარმედ ირა შეი-  
მოსა ბრწყინვალე სამოსელი და ეგრეთ [და] ესრეთ მოსლვითა შეიტყუვა დიოს  
და დაწვა მის თანა, და სხუადცა იგი, რომელი ამისსა უსაცინელეს არს. კუა-  
ლად სიმღერის-მ[ო]ქმედ უწოდს<sup>1</sup>, რამეთუ გლოვასა თანა შეჭრევს სიმღერას,  
ვითარ იგი იფესტოს შთაკიდებულ იქმნა ტბასა, და ვითარ იწყლა აფროდიტი  
დიომიდისგან, ესრეთ უკუ<sup>2</sup> სიმღერა შეუდგენს ცრემლთა, ხოლო ლიქნა საკიც-  
ხევსა<sup>2</sup>.

82. კულად სხუად ზღაპრობად მოაქუს სიტყუს-მოქმედთა, ვითარმედ უკე ა-  
ნოს მამად [არს ყოველთა] ღმერთთად, ხოლო ტითკა დედად. მემრუშედ  
უკუე უწოდენ [უკე]ანოსს და ტვთოსს, რამეთუ პირველ განიტევნეს განყოფითა  
ურთიერთას და კულად შეკრბეს შუამავლობითა ირავსითა. ხოლო [-]ილპარი  
[მე]ტყუელებს ესრეთ, ვითარმედ უკეანო არს ნოტია ბუნება, ხოლო [ტივ]ა  
წმეღ; იგი—სახე ზღუსა, ხოლო ესე—ქუეყანისა. და ვითარმედ არა თუ [- - -]  
[- - - -] ბუნებათა ეყო წმელსა, არა ეგების [ცხრ]ბად ცხელ[-]. [ზევს] შეიწე ექ-  
მნებოდა ტროე[ლ]თა და მინიჭებდა მათ [ძღვევასა] [- - - -] ასა ვეღრებითა თე-  
ტიდომასითა აქილევის[თვს], რა[- - - - -] ელენთა შემდგომად ძღუელებისა.  
[ხოლო ირა] საზრუნველ ექმნა ელენთა, და შეწვევისათვს [- - - -] მისთა დაძი-  
ნებად სცა ზევს, რადათა უცალოვებისაგან [- - -] ვისსა იძლიენ ტროელნი ელინ-  
თა მიერ. ამისთვს სუ[ლ]ნელიბითა ყუავილთადათა და სამკაულითა ფერთამ[თა]  
იგულვა თავი თვისი კროკოდათა და როდოდათა, ლოტოამ[თა] და სხვთა ნივთითა  
ნელსაცხებელთადათა.

83. [ირა ე]შურებოდა ირაკლის. ამისთვს შემდგომად ირაკლის მოქტე-  
ვისა [ტრუ]ადთ გრძნებისა მიერ თვისისა აღუბორგა მის ირა [ზღუა] და დაუნ-  
თქნა ნაენი მისნი აღდგომითა ქართა გრივალთადათა. ხოლო რადათა არა შეე-  
წიოს მას დიოს, ამისთვს სივერაგითა გრძნებისადათა დაძინა მას ირა ვიდრე  
და[ნთ]ქმამდე ირაკლისა. ხოლო დიოს გან-რად-ილუძა და ცნა სივერაგე ირავსი,  
ტანჯა იგი, რამეთუ ჯაჭვთა და ბორკილითა [ოქ]როსადათა შეუკრნა გელნი და  
ფერხნი და ესრეთ დამოქ[კი]და იგი ზეცათა შინა.

84. ომირო მეოთხასესა შინა თავსა სიტყუს-მ[ი]კერვალობათათვს თანა  
დასწერს ესრეთ, ვითარმედ შეე[შ]ინა დიას ახოვნებათაგან აქიელევისთა, ნუ  
უკუე [წ]არმოტყუენოს მან ილუომ. ამისთვს უბრძანა ღმერთთა, რადათა მივი-  
დენ და შეეწინენ, რომელნიმე—ტროელთა და რომელნიმე—ელენთა. ამისთვს  
ზევს ქუხდა ზეცით, ხოლო პოსიდონ ზღვთ. ხოლო [ჯო]ჯ[ოხე]თსა შეეშინა,  
რაცემს ზღუად იძრვოდა და ცითგამო ქუ[ხ]და, ნუ უკუე<sup>3</sup> იძრას ქუეყანად, ცა  
და აღმოიფხურნენ საფუძვილნი [ჯო]ჯ[ოხე]თისანი.

85. ომიროს იტყუს. დიავსთვს, ვითარმედ რაქამს [იგი ევე]დრებოდა-  
თეტიდომასთვს, შეიძრნის რად წა[- - - -] და მი[იწ]ია, შეიძრნიან თმანი მათ  
თანა სწორებით [- - - -] ვად [ცად და] ქუეყანად.

86. არის იწყლა დიომიდისგან, [რასა] იგი [ომიროს] იტყუს მეხუთესა  
შინა სიტყუს-მკერვალო[ბასა]. ხოლო შეიკრა ოტომასგან და ეფილტომასგან,  
რომელნი იკვენეს ძენი მენალაომსნი, მძლავრნი ბუნებით ქუეყანასა [- - - - -]

<sup>1</sup> უწოდს A. <sup>2</sup> ლიქნასა კიცხევასა A. <sup>3</sup> ნუ უკუე A.

-----\*]დ ღმერთთაჲსა. ამით  
 [------] და განეწყო არის [------] ამითვან, რომელთა შეკრეს იგი  
 ქალაქსა შინა ხალკ[-]კერამოჲსა [-], გინა თუ ესრეთ ვთქუა, ვითარმედ  
 ხალკოკერამო, რომელ არს კე[------]ლისაჲ, საკრეველსა რასმე უწოდოიან ძნიად  
 გასაქ[სნე]ლსა. ხოლო ოტოჲს და ეფიალტოჲსთჲს თქუმულ არს, ვითარმედ  
 ცხრა წლისლა იყვეს ჰასაკითა, სიგრძე აქუნდა ცხრა მჯარ და სიბრტყე ცხრა  
 წყრთაჲ.

87. აფროდიტი ცოლი იყო [ეფე]სტო მკედლისაჲ, სხუვან წერილ  
 არს სრულად\*\*.

88. ათინა და ირა შეწევნისათჲს ელენთაჲსა ბოძოლასა ჰყოფდეს  
 აფროდიტ[ის] და არეჲს მიმართ, რომლისათჲს ზემორე უგრეველსად თქუ-  
 მულ არს\*\*\*.

89. ვითარ იგი წარმართნი ზლაპრობენ, კრონოჲს მამად იყო [კა]რა [-]-  
 ნოს, რომლისათჲს ენება რად კრონოსს, რადთა არღა შვილ ესხნენ მამასა მისსა,  
 მოიღო მანგალი და დაჰკუეთნა<sup>1</sup> სარცხუნელნი მისნი და შთაყარნა ზღუად, რო-  
 მელთაგან იქმნა პეროვად, და პერულისა მისგან იშვა აფროდიტი, რომელსა  
 აფროდიტი ამისთჲს ეწოდა, რამეთუ აფროდიტი, პერულისაგანად გამოითარ-  
 გამანების\*\*\*\*.

90. ზევს ისწავა რად შვილთ-მჰამელობად კრონოჲსი, ვანადგა მას და  
 მიუღო მეფობად მისი. რადთა [ვითარ] იგი კრონოს დაჰკუეთნა<sup>2</sup> სარცხუნელნი  
 მამისანი, ეგრეთ[კა] ზევს განკუეთოს მეფობად მამისა თჲსისა კრონოჲსი. ხოლო  
 ღმრთისმეტყუელი «ტკბილ-ქვა» ამისთჲს უწოდს დიას, რამეთუ ნაცვალად მი[სა]  
 ლოდი მისცა საკმლად შვილთ-მჰამელსა კრონ[ოსს] დედამან დიოჲსმან. ხო-  
 ლო მძლავრის-მკლველ უწოდს, [რამეთუ] მის წილ მიცემულითა ლოდითა მოიკ-  
 ლა მძლავრი მამ[-]-.

91. კერდო[ო]ჲს თჲს ჰპოვო მეორესა ივლიანეს განქიქებასა].

92. ზევს არწივ იქმნა გრძნებითა და აღიტაცა ლან[იმედეს], ნა-  
 თესავით თრაკი, რადთა ყოს იგი პირის მწდე სეროპ[ისა] ღმერთთაჲსა. კუა-  
 ლად ესევე ზევს ოქრო მდინარე იქმნა[-] თანაყოფისათჲს დანაჲსსა, და ვაც-  
 აღტაცებისათჲს ვეროპისსა, და კუნოს—ლიდაჲსთჲს ხოლო კუალად ვაც [-  
 სი]იანესთჲს და სატურ და სხუა მრავალფერ თითო [სა]ხეთათჲს მიზნითა არა  
 წოდებისათა.

[.....\*.....]  
 (დაზიანებულია ამ თავის დასასრული, სულ 24 სტრიქონი. ტექსტის აღდგენა ჭირს)

<sup>1</sup> დაჰკუეთნა A. <sup>2</sup> დაჰკუეთნა A.

\* მთელი სტრიქონი არ იკითხება. \*\* შდრ. 1, 5. \*\*\* შდრ. 3, 82-83. \*\*\*\* შდრ. 1, 5  
 (მოკლე რედაქციით).



საკუთარ სსსელთა სამიუბელი

## საკუთარ სახელთან სამიხვამელი

- ადონია (საკვი ტრფიალი აფროდიტისი) 3, 43.  
 ადონიელი (მსახური ადონიასი) 3, 43.  
 ავარ(ი) || ავარიდო (საკვი ... ზემთა ჩრდილოე-  
 ლი) 2, 7.  
 ავღარიტელი 3, 38.  
 ავღიდა (ევკოტიასი) 2, 3.  
 ათენა || ათინა (ქალაქი) 2, 1გ; 3, 58.  
 ათინა (შობილი თავისაგან ზევისა) 1, 4;  
 3, 88.  
 ათინელი || ათენელი 2, 1 ბ-გ; 3, 10, 13, 21,  
 22, 58, 59, 65, 76.  
 ათო (სმთა თრაკეთისა) 2, 13.  
 აქიდე 2, 1 დ.  
 აქტონ (მონადირე... ძაღლებითა... ინადრობ-  
 და) 2, 2.  
 ალექსანდრე (მეფე) 3, 3, 26.  
 ალკმეონ (ათინელი ნათესავით) 2, 1, 1 ბ-გ.  
 ალკმეონი 2, 1.  
 ალ(კ)მინი (ადედა ირაკლისი) 2, 1 ე; 3, 5.  
 ალგისო (ეველი) 2, 15.  
 ალფიო (მდინარე არკადისა) 2, 9.  
 ამბრაკიელი (ნათესავი) 3, 16.  
 ამფიონა 2, 19.  
 ამფიტრიონი 2, 1 ე.  
 ანაქსარხოს (ფილოსოფოსი) 3, 15.  
 ანაქსალორო 3, 36.  
 ანკრა (გალატისა) 2, 6.  
 ანტიოქია 1, 4.  
 ანტიონო (ფილოსოფოსი კნიკოვსა) 3,  
 27, 30.  
 ანუტოს (მამბრალობელი სოკრატისი) 3, 13.  
 აპიდო 1, 19.  
 აქლიტუს 3, 68 (ქალდეველი).  
 აპო(ლ)ლონ (ლმერთი) 1, 13, 14; (სმოსარ არს  
 ლმერთი აპოლონ) 2, 1 გ, 7; 3, 2, 8.  
 აპოლგისო (ეველი) 2, 15.  
 აპპია (სოფელი ელადას) 2, 1 ა.  
 არგილი 1, 8.  
 არგის (სკკლოპი) 3, 63.  
 არეთუხა (წყარო ჭალაკსა სიკილისასა) 2, 9;  
 3, 76.  
 არე || არეო (ტრფიალი აფროდიტისი) 1, 5;  
 3, 43. || არია 3, 88.  
 არის 3, 86.  
 არისტინეტოს (რიტორი) 1, 23.  
 არისტინონ || არისტონ (გრძნული) 1, 11; 3, 2.  
 არისტოტელე || არისტოტელი (ფილოსოფო-  
 სი; „მოწაფე პლატონისი“; „მიდევნებული  
 ბუნებათ-მეტყულებასა“) 3, 24, 34.  
 არკადია (ქალაქი პელოპონისა) 2, 9; (სო-  
 ფელი პელოპონისა) 3, 33.  
 არკადიელ-ი 3, 33.  
 არნიკეროს 3, 23.  
 არტემი (ლმერთი ქალწული; „ზედამდგო-  
 მელი მონადირეთა მოსირობისა“; „ლმერ“  
 თი ელავიფილო“) 1, 7, 8, 10; 2, 2, 19; 3,  
 12, 56.  
 არტემიდი (ლმერთი) 2, 2, 3, 20.  
 არქელაოს (მძლავრი) 3, 15.  
 ახტრომეოზოს (ქალდეველი ვარსკულავთ  
 მრავცხუელი) 1, 16.  
 ახვადელტო 2, 15.  
 ახლანტიკო (ზღუა) 2, 16.  
 ახრევს (პელოპიდი) 2, 1 ა.  
 ატი 1, 2.  
 ატიკო 3, 60.  
 ატიკელი (სატტიკელთა სოფელი) 1, 3; 2, 1 ბ.  
 აფრიკანოს 3, 19.  
 აფრიკელი 3, 19.  
 აფროდიტი (სოლო ეფესტასი) 1, 5; 3, 43,  
 81, 87, 88; („აფროდიტის შობა“) 3, 89.  
 აქელოო (მდინარე) 3, 4.  
 აქილდე || აქილდე || აქილდე || აქილდე  
 2, 1 დ, 4; 3, 8, 82, 84.  
 აღამენონ (ამა იფიგენიასი) 1, 7; 2, 1 ა,  
 3, 7; 3, 56, 60.  
 აღამიდი || აღამიდის (სმა ტროფონიასი“  
 1, 11, 3, 2.  
 აქილდე ნ. აქილდე.  
 ბაზილოენი 2, 19, 20.  
 ბასილი 2, 1, 14, 20; 3, 7.

\* შავი ციფრი ზღაპრობათა ტექსტს აღნიშნავს, ხოლო თეთრი—თხრობას.  
 4. ენიმქის მოამბე, ტ. X.



- გალატია 3, 5.  
 გალილეველი 3, 43.  
 გრიგოლი 2, 1, 20 („დიდი გრიგოლი“), 3, 24, 76.  
 გვგო || გვგოს || გვგო|გვგო („მწყემსი“) 2, 5; 3, 54.
- დანა 3, 92.  
 დაფნი („წყარო“) 1, 14.  
 დელფელი 2, 1 გ.  
 დელფინი („ვეშაპი“) 2, 18.  
 დელფო || დელფე || დელფეო || დელფე („ტადარი“) 1, 11, 13; 2, 1 გ; 3, 2.  
 დია || დიოს („შობილი კრონოს და რეასგან; რომელი არს ზეეს“) 1, 1, 4, 12, 23; 3, 37, 81, 83, 84, 85, 90.  
 დიანირა („ცოლი ირაკლისი“) 3, 4.  
 დიმიტრი („მამა პერსეფონისი“) 1, 3, 9; 3, 5, 65, 66; დიმიტრიანი 3, 66.  
 დიოკრიტოს 3, 38.  
 დიო 2, 1 დ; 3, 20, 44, 90.  
 დიოგენი || დიოგენი („ფილოსოფოსი კენიკელი“) 3, 25, 26.  
 დიომიდი 2, 17; 3, 81, 86.  
 დიონოსი („მთავარი სიკიდიელი“) 3, 23.  
 დიონოსი 3, 48.  
 დიონუსე || დიონოსი || დიონუსიოს 1, 4, 6, 19; 3, 39, 66, 78.  
 დიოს 2, 1 ე; 3, 81, 83.  
 დოდონელი („ნათესავი“) 3, 20.  
 დუდუნე || დუდუნეა („კალაქი“) 1, 12; 3, 20.
- ეაკო || ეაკო || ეაკოს („ძე დიოსისი“) 2, 1, 1 გ-დ.  
 ეან („ტელამონის შვილი“) 2, 1 დ.  
 ეგინა 3, 23.  
 ეგპტე 1, 20; 2, 1 ბ, 19, 20; 3, 3.  
 ეგვპა („კალაქი“) 3, 60.  
 ეგვიფელი 3, 60.  
 ეგრ(ი)პიო (ადგ.) 3, 34.  
 ეგრპე 2, 1 ა; 3, 92.  
 ეგრტო 3, 4.  
 ეკატი („ღმერთი“) 1, 10.  
 ეკიდი 2, 1.  
 ელადა 1, 13; 2, 1 ა-ბ-დ, 3, 7, 19; 3, 3. ელადე-ლი 2, 1 ბ.  
 ელაფივოლი || ელაფივოლოდ („ღმერთი, ისრის მოსარჩი“) 2, 2.  
 ელევსი („სოფელი ატიკეს“) 1, 3.  
 ელევსიანი 3, 66.  
 ელენი („ალექსანდრესი“) 3, 3.  
 ელენი || ელლენი 1, 16; 2, 3; 3, 60, 67, 82, 84, 88.
- ელენოს 3, 74.  
 ემპედელი || ემპედელი 3, 1.  
 ემპედოტიმონ || ემპედოტიმონ („გრძნეული“) 1, 11; 3, 2.  
 ეპამინონდა („მკვდარი-მთავარი“) 3, 19.  
 ეპიკტიტოს („ფილოსოფოსი“) 3, 14.  
 ეპიკუროს || ეპიკუროს („ფილოსოფოსი“) 3, 27; ეპიურელნი 3, 27.  
 ერმი 1, 4.  
 ეტნი || ეტნეო || ეტნიო || ეტნო („მთა ქალაქა სიკილიისასა“) 3, 1, 23, 46.  
 ეტნიო მახა ცეცხლი („აღმთვეცნების საბერველთაგან ეფესტოასთა“) 3, 1, 46.  
 ეფეგენია ნ. იფეგენია.  
 ეფესო 2, 19, 20.  
 ეფესოელი 3, 38.  
 ეფესტო || ეფესტო || ეფესტოს („მკვდელი, ქმარი აფროდიტისი“) 1, 4, 5; 3, 1, 81, 87.  
 ეფიალტი || ეფიალტო 2, 13; 3, 86.
- ველ(ლ)ეროფანტი(ბ) 2, 8; 3, 50, 78.  
 ვილა ნ. კლდოს.  
 ვიოტა || ვვოტა || ვვოტუა 1, 11; 2, 3, 18; 3, 2.  
 ვიარგოს („ტიტანი“) 3, 78.  
 ვრონტი („კვკლავი“) 3, 63.  
 ვუთუნა || ვუთუნოს 3, 41.
- ვეს || ვევ-ი 1, 1, 4, 12, 20; 2, 1 ე, 13; 3, 43, 61, 63, 78, 82, 84, 90, 92.  
 ვითო 2, 19.  
 ვინონ („კენიკელი ფილოსოფოსი“) 3, 29.  
 ვოროასტროს || ვუროასტროს || ვოროასტრო 1, 16; 3, 68.
- თეანა („ფილოსოფოსი პითაღორელი“) 3, 18.  
 თეზადო 2, 20.  
 თეტიტოს(ბ) 3, 22.  
 თერმოპოპლი („წყალი“) 3, 4.  
 თეტალოელი 3, 76.  
 თეტიდო 2, 4; 3, 82, 85.  
 თეტიოს 3, 42.  
 თეტალია 2, 4; 3, 4.  
 თეფი 3, 9.  
 თიზა 2, 19; 3, 10.  
 თიბელი 3, 9, 10.  
 თივა („ვიოტუვასა“) 2, 18, 19.  
 თივოელი || თივოელი 1, 4; 2, 2; 3, 10, 19, 32.  
 თრაკევი || თრაკეთი || თრაკია 2, 13.  
 თრაკ(ი)ელი || თრაკი 1, 17; 3, 3, 45, 67, 79, 92.  
 თვების („ბელვიდი“) 2, 1 ა.

- იახონ 2, 18.  
 ილილიანი 3, 43.  
 ივლიანე 2, 3; 3, 5, 43, 44, 91.  
 იკარი || იკაროს („ათენელი“) 3, 66.  
 ილიონი 2, 1 ა; 3, 60.  
 ილო 2, 1 ა.  
 ილვო 3, 84.  
 ილვხო („ველი“) 2, 15.  
 იო („ისიღო იგივე იო“) 1, 20.  
 იოსებ 2, 20.  
 იპოდამია 2, 1 ა.  
 იპპია 2, 1 ა.  
 ირა („ასული ვერტოასი“) 3, 4.  
 ირა („ცილი ზვისი“) 1, 4, 20; 3, 81, 82, 83, 88.  
 ირაკლი || ირაკლეო || ირაკლიო(ს) 2, 1, 1 დ-ე; 3, 3, 4, 39, 41, 42, 45, 49, 51, 78, 83.  
 ირაკლიდი 2, 1, 1 ე.  
 ირაკლიტოს 3, 38.  
 ირიღონი („ასული იკარიოსისი“) 3, 66.  
 ირია 2, 17.  
 იროდოტო(ს) 1, 23; 2, 5, 7, 20.  
 იროელი 2, 1 ა.  
 ისიდო 1, 20.  
 ისიოდოს 3, 63, 78.  
 ისრაელი 2, 20.  
 იფესტოს ნ. ეფესტოს.  
 იფიგენია || იფიგენია („ასული ალამენონისი“) 1, 7; 2, 3; 3, 56.  
 კადმო („მამა სემელისი“) 1, 4; 2, 18.  
 კახიტავრო 3, 43.  
 კანდავლი 2, 5.  
 კარია 2, 20.  
 კარიკ(კ)ა („მოა“) 1, 2; 3, 6.  
 კარიოელი 2, 20.  
 კარქედონელი || კარქიდონელი 3, 19.  
 კასტალიო 1, 14 (მოკლე რედ.-ში).  
 კატანი („ქალაქი“) 3, 1, 46.  
 კეკროპიდი 2, 1.  
 კეკროპო || კეკროპო || კეკროპო || კეკროპო 2, 1, 1 ბ.  
 კელაფარიდო („მძღვარი“) 3, 48.  
 კელეო(ს) 1, 3; 3, 65, 66.  
 კემელტოს („მაბრალდებელი სოკრატისი“) 3, 13.  
 კერდოს 3, 44, 91.  
 კერვერონ („ძალი, მცველი ჯოჯოხეთისა“) 3, 51.  
 კესარია 2, 20.  
 კეჟალარიდო 3, 48.  
 კლენაო („ჯურღმული“) 3, 35.  
 კლენათოს („ფილოსოფოსი“) 3, 35.  
 კლიონბროს („ნათესავით ამბრაკიელი“) 3, 16.  
 კოლასხო || კულუსო („როდოასა“) 2, 19, 20.  
 კოტოს („ტიტანი“) 3, 78.  
 კრატი || კრატიტოს („თიბოელი“) 3, 28.  
 კრეონ („თველთა მეფე“) 3, 9.  
 კრიო 3, 21.  
 კრისხონ || კრვხონ („მეფე ლუდთა“) 3, 21.  
 კრიტე 1, 1; 2, 18.  
 კრიტელი 1, 1.  
 კრონო(ს) („ქმარი რეასი“) 1, 1, 2; 3, 6, 78, 80, 89, 90.  
 კრვხო 3, 70.  
 კრვხონ ნ. კრისხონ.  
 კულუსხო ნ. კოლასხო.  
 კუზიკო 2, 20.  
 კვინიდა 3, 59.  
 კნიკიელი || კნიკიელი 3, 15, 28, 29.  
 კნოსარგი || კნოსარგი 3, 58.  
 კნოსარ[ე]ლი 3, 58.  
 ლავრინთო („მოა კრიტისა“) 2, 14.  
 ლაკედემონელი 1, 8; 2, 1 გ, ე; 3, 10, 11, 19, 76.  
 ლაკედემონი 3, 23.  
 ლაკონიკელი 1, 8; 3, 57, 76.  
 ლევადა („ქალაქი გვოტაასა“) 1, 11; 3, 2.  
 ლევტრიკიელი 3, 19.  
 ლევქტოს („ქალაქი თიბაასა“) 3, 10.  
 ლევქტიელი 3, 10.  
 ლერნის 3, 49.  
 ლიდა 3, 92.  
 ლინდო („ძველი ქალაქი როდოასა“) 3, 56.  
 ლუდი 3, 21.  
 ლუდიელი 2, 11.  
 ლუკიელი 2, 8.  
 ლუკურნოს („რიტორი“) 2, 7.  
 ლუუდი („საფუფო“) 2, 5 (შდრ. ლუდი).  
 მაკედონელი 3, 14.  
 მავსოლო („მძღვარი კარიასა“) 2, 19, 20.  
 მეგვბტელი 1, 16, 19, 20, 21, 22, 23, 24; 2, 1 ბ; 3, 45.  
 მელამპუს მეგვბტელი 3, 45.  
 მელან[ს]პილოს 3, 39.  
 მემფიტოელი 1, 22.  
 მემფესი 2, 19.  
 მენდისიო 1, 21 (მოკლე რედ.-ში).  
 მენელიო 2, 7.  
 მენდისიელი 1, 21.  
 მენელიბა 1, 21.



- მენელაოს („პელოპიდი“) 2, 1 ა; 3, 3, 86.  
მენეკევ(ს) („ძე კრეონისი“) 3, 9.  
მიდა || მიდა(ს) („მეფე ფრგვიასი“) 2, 5.  
მიდელი || მიდი 1, 15; 3, 69.  
მიორან || მიორო(ს) 1, 18; 3, 7, 47.  
მიორიელი 3, 47.  
მინ(ოს) („ძე დიოასი“) 2, 15; 3, 44.  
მიმოტავროს 2, 14.  
მოგვ („მოგუნი ნათესავ არიან მიდელთა“) 1, 15.  
მოლონ 3, 3.  
მოლონი 2, 13.  
მოლონიდი 2, 13.
- ნესო(ს) („იპოკენტავროსთაგანი“) 3, 4.  
ნილო („მდინარე“) 1, 23, 24.  
ნომადი 3; 75.  
ნესხი („თრაკიასი“) 1, 4.
- ოდეს(ა) || ოდესხეცხე || ოდესხო 3, 60, 63.  
ომირო(ს) („გამომეტყუელი; სიტყვს მოქმედი“, „სიტყუა-მეგრელი“) 1, 4 (მოკლე რედ.-ში); 2, 17; 3, 33, 37, 81, 84, 85, 86.  
ორგები|ორგებო („ძე ალაგმონისი“) 2, 1 ა, 12.  
ორიონ || ურიონ („მონადირე“) 2, 2.  
ორფევს || ორფეოს || ორფეო („მუსიკელი ჯელოვ-ნებიო“) 1, 17; 3, 67, 79, 80.  
ოსირიდოს („მეგებტელთა ღმერთი“) 1, 19.  
ოსხა („მთა თრაკეთისა“) 2, 13.  
ოტიდეა 3, 32.  
ოტო 3, 86.  
ოტონი 2, 13.
- პალამიდი || პალამიდოს 3, 60.  
პამფულია 3, 70.  
პან („ღმერთი მეგეტელთა“) 1, 21.  
პანა 3, 40.  
პანე 3, 92.  
[პ]ანი[დირი] 3, 31.  
პანტავროს („სკეთიასა“) 2, 3.  
პასანი 1, 8.  
პატრა („ქალაქი ლუკიასა“) 3, 50.  
პელმისო („ქალაქი პამფულიასა“) 3, 70.  
პელოპიდი || პელოპიტი 1, 9; 2, 1; 3, 5.  
პელოპო („ქალაქი“) 3, 10.  
პელოპო || პელეპო || პელოპოს || პელოფს||პელოპ 1, 9; 2, 1, 11, 1 ა; 3, 5.  
პელოპონი 3, 33.  
პელოპონისო 2, 1 ა.  
პელოპონი („ქუეყ.“) 2, 13.  
პერიპატელი („წყალებად პერიპატელთა“) 3, 24.  
პერსეოს 3, 78.  
პერსეფონა („ასული დიმიტრისი“) 1, 3; 3, 51, 65.  
პითაგორ („სამიელი“) 3, 17.  
პილა („ეკავას შვილი“) 2, 1 დ.  
პილოპო || პელოპოს 2, 11.  
პინელოპიდე („დადა პანასი“) 3, 40.  
პირითო 3, 51.  
პიხიდიანო 3, 43.  
პიხისატრელი 2, 1 გ.  
პიხისი („ქალაქი“) 3, 43.  
პიდასო || პიდასხო („ცხენი“) 2, 8; 3, 50.  
პლატონ („ეფილოსოფოსი“) 2, 5, 15; 3, 16, 22, 23, 24, 34, 77.  
პლოტონ || პლუტონ („პერსეფონას წარმტაცებელი“) 1, 3; 3, 65.  
პლოტონოს 3, 37.  
პლოტუტონ 3, 78.  
პლუტონი ნ. პლოტონი.  
პოლიდი („ნათე-მთავარი“) 3, 23.  
პოლუქსენი („ასული პრიამოსი“) 3, 8.  
პოსიდონ 3, 74, 78, 84.  
[პ]ოტიდეა („ქალაქი თრაკიასა“) 3, 32.  
პრიამიდი 3, 60.  
პრიაპო 3, 8.  
პროტევს || პროტეა || პროტეოს („გრძნეული“) 3, 3, 45.  
პრტოს 2, 8.  
პტოლემეო(ს) 3, 26.  
პუო („ტაძარი აპოლონისი დელფეს“) 1, 13.  
პულადი 2, 12.  
პუროს 3, 8.
- რადამანთო(ს) („ძე დიოასი“) 2, 15.  
რეა(ს) 1, 1, 2; 3, 6.  
როდ(ოს) 2, 19, 20.  
როლო 3, 55.
- სალამანდრო („ცხოველი სწორი ისავრასა“) 2, 10.  
სამოელი 3, 13.  
სალა („ქალაქი ეგვტისა“) 2, 1 ბ.  
სატვროსი („თანამროკველი დიონუსისა“) 1, 4.  
სელინოზ („თანამროკველი დიონუსისა“) 1, 4.  
სელლო || სიედლო („ნათესავი დოდონელთა“) 3, 20.  
სემელი („ასული კადმოსი“) 1, 4.  
სემირამი 2, 19.  
სიბილია 3, 62.

სიკილია || სიკილა 2, 9; 3, 46, 53, 63, 76.

სიკილიელი 3, 1.

სიკამანდრო 3, 59.

სიკედახოს ლეექტორელი 3, 10.

სიკიპონ („მეცდართ-მთავარი პრომთა“) 3, 19.

სიკუთელი || სიკუთი 1, 7; 2, 3 7; 3, 56, 75.

სიკუთა 2, 3.

სიოკრატი || სიოკრატო („ფილოსოფოსი“) 3, 13, 22.

სიოლონ („სუკულისმდებელი ათინელთა“) 3, 21.

სიოტადი („ალექსანდრელი ფილოსოფოსი“) 3, 26.

სიპარსი 1, 18; 3, 7, 69.

სიტეროტის („ეკკლავი“) 3, 63.

სიტოელი („წვილბეა“) 3, 24.

ტავრო („მთა სკუთელთა“) 1, 7; 3, 56.

ტავროელი 1, 7; 3, 56.

ტანის („ქალდეველი ვარსკულავთ-მორაცხუელი“) 1, 16.

ტანტალი(ბ) („მეფე ფრიგველთა“) 1, 9; 2, 1 ა; 3, 5.

ტელამონ(ა) („ეკაოას შვილი“) 2, 1 დ.

ტელემახოს („ძე ოდესეასი“) 3, 60.

ტელლონ („ათინელი“) 3, 21.

ტილ[ე]ფანტოს 3, 63.

ტილელონონ 3, 3.

ტილილონ 3, 71.

ტირესია („მოგვ“) 3, 9.

ტიფვა || ტვთოს 3, 82.

ტირესპეროს („უწოდან ირაკლის“) 3, 42.

ტირიპტოლემო(ბ) 1, 3; 3, 65, 66.

ტიროელი 3, 3, 82, 84.

ტიროფონი(ოს) („გრძნული“) 1, 11; 3, 2.

ტირვა 2, 1 ა; 3; 3, 60, 83.

ტიუადა || ტოადა 1, 3.

ტიურია 3, 8.

ტივრანიკო 3, 53.

ტივრინიკო 3, 52.

ტივრო 3, 64.

ტივფონი („ეშმაკი“) 1, 19.

კლლო || კლლოს || ვილლა („შვილი ირაკლისი“) 2, 1 ე; 3, 4, 41, 49.

კნომაო(ბ) („მეფე“) 2, 1 ა, 11.

კობაბრიდო 3, 8.

კრეოს („მეფე თივოელთა“) 2, 2.

უკეანო(ბ) („მამა ყვოელთა ღმერთთა“) 3, 82.

ულუშპია 2, 19.

ურიონ 5. ორიონ.

ფალარი („მთავართაგანი დიონოსისთა“) 3, 48.

ფარნიზონ (ადგ.) 3, 3.

ფედონ („წიგნი, პლატონის თქმული სულისათვის“) 3, 16.

ფილოლაოს (პითაღორელი) 3, 19.

ფილონ ბიზინტიელი 2, 19.

ფილგრა 3, 62.

ფიმიონ 3, 62.

ფილო 3, 20.

ფოკი 1, 13.

ფოკილო 3, 4.

ფოკოელი 3, 3.

ფრვგია 2, 1 ა, 6.

ფრიგველი || ფრგველი || ფრვგეელი 1, 2; 2, 11, 3, 6, 57, 71.

ქალდეველი 1, 16; 3, 68.

ქსანთოს 3, 59.

ქსენოკრატი („მოწაფე პლატონისი“) 3, 24.

ქსინოკრატი 3, 72.

ღადირ(ნი) („ხერთვისი“) 2, 16.

ღანიმელი 1, 11 (მოკლე რედ.-ში).

ღანს[იმედეს] 3, 92.

ღმრთისმეტყუელი 2, 14; 3, 15, 43, 44, 65, 90;

დიდი—3, 23, 79, 81.

ღორლონ 3, 78.

ხალკიდა(ბ) 3, 59.

ხალკოკერამო 3, 86.

ხარმიდი 3, 22.

ხარვლა („კლდე“) 3, 53.

ჰინდო 3, 76.

ჰირონ („ცხენ-ვაკი“) 2, 4.

ჰრომაელი 3, 31.

ჰრომი 3, 19.



არნ. ჩიქობავა

## პოლიპერსონალიზმის საკითხი ზნაპურში ეგზატიული კონსტრუქციის პრობლემასთან დაკავშირებით<sup>1</sup>

პოლიპერსონალიზმი ანუ მრავალპირიანობა მორფოლოგიური მოვლენაა. პოლიპერსონალიზმის საკითხი დადებითადაა გადაწყვეტილი იმ შემთხვევაში, თუ ცალკე სიტყვაში ერთზე მეტი პირი აღმოჩნდება, თუ ცალკე სიტყვას ერთზე მეტი სახელი დაუკავშირდება მორფოლოგიური საშუალებით, — აფიქსებით.

აქედან ჩანს, რომ სიტყვა, რომლის პოლიპერსონალიზმის შესახებაც ვლადპარაკობთ, არის ზმნა: პოლიპერსონალიზმი ზმნის მრავალპირიანობას გულისხმობს.

ასეა ჩვეულებრივად და არა ყოველთვის: ქვემოთ მოგვიხდება სწორედ ისეთ შემთხვევათა განხილვა, სადაც ზმნის ნაცვლად ნაზმნარი სახელი, — მიმღობა, — იქნება ერთზე მეტ სახელთან დაკავშირებული, თვით დაკავშირება კიდევ პირთა მიხედვით კი არ იწარმოებს, არამედ კლას-კატეგორიათა აფიქსების მეოხებით: ზმნის მრავალპირიანობის ადგილს დაიჭერს ნაზმნარ სახელთა მრავალკლასიანობა (იხ. ქვევით).

პოლიპერსონალიზმის შემთხვევაში ზმნა აღნიშნავს სუბიექტის პირის გარდა ობიექტის პირსაც. სუბიექტი ერთია, ობიექტი კი შეიძლება იყოს ერთიც და ერთზე მეტიც (ე. წ. პირდაპირი და ირიბი ობიექტი).

აფხაზურსა და ადიღეურ ზმნაში, როგორც ცნობილია, ორი ობიექტის აღნიშვნა ჩვეულებრივი მოვლენაა (ინკორპორაციის წესით აქ ზმნა სუბიექტისა და ობიექტთა პირების გარდა გარემოებებსაც — ადგილისა, დროისა... — აღნიშნავს).

ქართულსა და ქართველურ ენებშიც გვაქვს პოლიპერსონალური ზმნები, რამდენადაც ორპირიანი ზმნა სუბიექტის გარდა ობიექტის პირებსაც აღნიშნავს და რელატიურ ფორმათა წყებას ქმნის, სამპირიანობის საკითხი კი რიგ სირთულესთანაა დაკავშირებული: მორფოლოგიურად ორი ობიექტი ზმნას უკავშირდება, — ეს ფაქტია; მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ორი ობიექტიდან მხოლოდ ერთის პირი შეიძლება იქნეს ზმნაში მოცემული (ან ე. წ. პირდაპირისა

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად ენიმკი-ს ენების განყოფილებათა შერთებულ სხდომაზე 15.X.1937.

ანდა ე. წ. ირიბისა)—ორივე ობიექტის პირები ერთდროულად არ დასტურდებოდა; ზმნის უღვლილების პროცესშიც ერთი ობიექტი იცვლება პირთა მიხედვით, მეორე—არა (შეიძლება სწორედ ამიტომ არა ჩანს მისი პირი ზმნაში). შედეგი:

სამპირიანი ზმნა უღვლილების იმდენსაც ვერ თეულს იძლევა, რამდენსაც ორპირიანი ზმნა; ამ მხრივ ერთპირიანი და ორპირიანი ზმნები მკვეთრად გარჩეულია, ორპირიანი და სამპირიანი კი—არა. სამპირიანობა ამდენადვე პირობითი ხასიათისა<sup>1</sup>.

სამპირიანობის საკითხიც რომ განზე დავტოვოთ, ორპირიან ზმნათა არსებობა ექვემოტანელს ხდის ქართულისა და სხვა ქართველურ ენათა ზმნის პოლიპერსონალიზმს; და ეს მიუხედავად იმისა, რომ ქართველურ ენებში პოლიპერსონალიზმი უფრო მკრთალად არის გამოსახული, ვიდრე აფხაზურსა და ადიღეურ ენებში.

ამაზე გავლენა არ შეიძლება არ მოეხდინოს იმ ფაქტს, რომ ქართულში სახელთა ბრუნება კარგად არის განვითარებული (აფხაზურში კი ძირითადი ბრუნვები—ნათესაობითი, მიცემითი—არ გავავანია)<sup>2</sup>. ჩანს, ზმნის ფორმების შემდგომი ვართულება შეანელა სახელთა ფორმების—ბრუნვათა—ჩამოყალიბებამ.

აფხაზურ-ადიღეურ და ქართველურ ენებთან შედარებით პოლიპერსონალიზმის მხრივ არსებითად განსხვავებული ვითარება ჩანს ურჯულში და დალისტნის ენათა უმეტესობაში, მათ შორის ხუნძურში.

ჯერ ერთი, აქ ზმნა პირის მიხედვით კი არ იცვლება, არამედ კლასთა კვალობაზე: უღვლილების პროცესში კლასი აღინიშნება, გრამატიკული კლასი სუბიექტისა ანდა გრამატიკული კლასი ობიექტისა—პირთა განურჩევლად.

მეორეცაადა, ზმნაში მხოლოდ ერთი გრამატიკული კლასის ნიშანი შეიძლება იყოს მოცემული.

ამის შესაბამისად ხუნძურში შეიძლება ვილაპარაკოთ ზმნის კლასოვნობის (ანუ კლასიანობის) შესახებ, მაგრამ პრინციპში ეს არ ცვლის საკმის ვითარებას: კლასის ნიშანი ხუნძურში ისევე აკავშირებს სახელს ზმნასთან, როგორც პირის ნიშანი ქართველურსა და აფხაზურ-ადიღეურ ენებში.

არას ვამბობთ იმის შესახებ, რომ გამორიცხული არ არის შესაძლებლობა პირის ნიშნები (მაგალ., ქართველურ ენებში) გენეტურად აღიოდნენ კლასის ნიშნებამდის.

ამრიგად, ზმნის კლასოვნობა ხუნძურში თავისი ბუნებით იმავე რიგის მოვლენაა, როგორსაც ზმნის პირიანობა ქართველურსა და აფხაზურ-ადიღეურ ენებში. განსხვავება მაინც არის და ეს განსხვავება უნდა აღინუსხოს უღვლილების პროცესის თავისებურებათა გარკვევისას (იხ. ქვემოთ).

<sup>1</sup> საკითხის სპეციალური განხილვა ცალკე იქნება მოცემული. ზოგადად სამპირიან ზმნათა შესახებ იხ. „ქანურის გრამატიკულ ანალიზში“, § 21, გვ. 87.

<sup>2</sup> ადიღეურში რომ ბრუნვები გვაქვს, ახალი ფორმაციისა უნდა იყოს.



ხუნძურში ამჟამად სამი<sup>1</sup> გრამატიკული კლასი გაირჩევა: პირველი მოიცავს ადამიანს მამრობითი სქესისას, მეორე—ადამიანს დედრობითი სქესისას, მესამე—ყველა დანარჩენ ცხოველებს—განურჩევლად სქესისა—და სხვა საგნებს, მოვლენებს... როგორც კონკრეტულს, ისე განყენებულს.

პირველი კლასის ნიშანია—**ვ** || **უ**, მეორისა—**ჟ**, მესამისა—**ბ**. ეს ნიშნები შეიძლება იყოს პრეფიქსიკა და სუფიქსიკა.

გრამატიკული კლასები გარჩეულია ხუნძური ენის:

**ბ**. ზოგ ნაცვალსახელში: III ბ. ნაცვალსახელში: დო-**უ** „ის“ (ОН), დო-**ჟ** „ის“ (ОНА), დო-**ბ** „ის“ (ОНО); ჩვენების ნაცვალსახელში: ჰა-**უ** „ეს“ (ЭТОТ), ჰა-**ჟ** „ეს“ (ЭТА), ჰა-**ბ** „ეს“ (ЭТО)...

**ბ**. ზოგ სუბსტანტივში: ვ-აც „ძმა“, ჟ-აც „და“... ვ-ას-**რ**—„ვაყიფილი“, ჟ-ას-**რ**—„ქალიშვილი“.

**ბ**. ატრიბუტივებში: კუდიჟა-**უ**, კუდიჟა-**ჟ**, კუდიჟა-**ბ** „დიდი“ (большой, большая, большое)...

**დ**. ზოგ ზმნისართში: ჰანი-**უ**, ჰანი-**ჟ**, ჰანი-**ბ** „აქ“—იმისდა მიხედვით, რომელი კლასის შესახებაა ლაპარაკი (და რომელი კლასია ზმნაში აღნიშნული)...

**მ**. ზმნებში და ნაზმნარსახელებში—ინფინიტივსა, მასდარსა და მიმლობებში,—მასთან მიმლობაში—ყოველთვის, ინფინიტივში მაშინ, თუ სათანადო ზმნა უღვლილების პროცესში დაირთავს ამ ნიშნებს.

ზმნათა მეტწილში გრამატიკული კლასები არ მოგვეპოება. ასეთ შემთხვევაში ზმნის უღვლილება დროთა მიხედვით ცვლას მოასწავებს; ამა თუ იმ დროში მხოლოდ ერთი ფორმა გვექნება: არც რიცხვი, არც კლასი—ზმნასთან შინაარსობრივ დაკავშირებულ სახელთა—უღვლილებისას არა ჩანს (პირის მიხედვით ცვლა ხომ გამოირიცხულია); მხოლოდ სათანადო სახელთა (და ნაცვალსახელთა) დართვით ირკვევა ის, რაც სხვა ენებში ზმნის პირისა და რიცხვის ნიშანმა შეიძლება გამოიჩინოს.

კლასოვან ზმნათა ცვლისას სახელის კლასია ზმნაში წარმოდგენილი.

ასეთ შემთხვევაში უნდა განვასხვაოთ (შინაარსობრივ) **გარდაუვალი** და **გარდამავალი** ზმნა.

პირველის მაგალითი იქნებოდა **ვ-ექერულა** („რბის“)², მეორისა—**ვ-ეცულა** („აქებს“)³, **ბ-იჩულა** („ყიდის“)...

მოქმედი სახელი, რეალური სუბიექტი—**RS**—გარდაუვალ ზმნასთან ყოველთვის სახელობითშია:

დუნ ვ-ექერულა, ჟ-ექერულა, ბ-ექერულა მე ვრბი (I, II, III კლ.)  
მუნ „ „ „ შენ რბი „ „ „

<sup>1</sup> ისტორიულად მეოთხე კლასიც მოეპოებოდა ამ ენას; მისი ნიშანი იყო **-რ-** (ამის შესახებ იხ. „გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში“—„ენიმიკ-ს მოამბე“ I, გვ. 97—106).

<sup>2</sup> სრული თარგმანი იქნებოდა „რბის“, „რბი“, „ერბი“ I კლ. სახელი.

<sup>3</sup> სრული თარგმანი იხ. ქვემოთ.

დო-უ	ვ-ეჭერულა	„ის (I კლ.) რბის“
დო-ჟ	ჟ-ეჭერულა	„ის (II კლ.) რბის“
დო-ბ	ბ-ეჭერულა	„ის (III კლ.) რბის“

ნიჟ    ნილ'	} რ-ეჭერულა	„ჩვენ (ექსკლ., ინკლუზ.) ვრბით“
ნუჟ		„თქვენ რბით“
დოლ		„ისინი რბიან“.

დუნ (მე), მუნ (შენ), დოუ, დოჟ, დობ (ის, он, она, оно), ნიჟ || ნილ'ლ' (ჩვენ), ნუჟ (თქვენ), დოლ (ისინი, они)—ყველა სახელობითს ბრუნვაშია. ამ მხრივ გარდაუვალი ზმნა არაფერს თავისებურს არ წარმოადგენს—ქართულ, რუსულ თუ სხვა მსგავს ენათა გარდაუვალ ზმნებთან შედარებით.

გარდამავალ ზმნებშიც—ვ-ეცულა, ბ-იჩულა—ერთი სახელის კლასი აღი-  
ნიშნება, სახელდობრ, რეალური ობიექტის კლასი:

ვ-ეცულა—	„აქებს, აქებ, ვაქებ“	I კლასის სახელს განურჩევლად პირისა
ჟ-ეცულა—	„ „ „	II კლასის „ „ „
ბ-ეცულა—	„ „ „	III კლასის „ „ „
რ-ეცულა—	„ „ „	ან I, ან II ან III კლ. სახ. მრავლობითს რიცხვში.

ვ-იჩულა—	„ყიდის, ყიდი, ვყიდი“	I კლასის სახელს განურჩ. პირ.
ჟ-იჩულა—	„ „ „	II კლასის „ „ „
ბ-იჩულა—	„ „ „	III კლასის „ „ „
რ-იჩულა—	„ „ „	ან I, ან II ან III კლ. სახელებს მრავლობითს რიცხვში.

თუ ნამყო სრულში ავიღებთ ამ ზმნებს, ერთგვარ ანალოგიას მივიღებთ რუსულ ზმნასთან:

ვ-იჩანა—„გაყიდა, გაყიდე, გავყიდე“ I კლ. სახელი (продал он, ты, я—  
объект I кл.).

რ-იჩანა—„გაყიდა, გაყიდე, გავყიდე“ ისინი (ობიექტ. მრავლ.)—продал  
он, ты, я (их).

რეალური ობიექტი —RO—, რომელიც კლასის ნიშანს აჩენს გარდამავალ ზმნებთან, ყოველთვის სახელობითს ბრუნვაშია, რეალური სუბიექტი —RS— იმ სპეციფიკურ ბრუნვაში, რომელიც ქართული მოთხრობითის რიგისაა და რომელსაც ზოგი ავტორი „მოქმედების“ უწოდებს (უსლარი), ზოგი—„აქტიურ“ ბრუნვას (ეიროკოვი), უფრო ხშირად კი ერგატოვის (ე. ი. „მოქმედის“) სახელწოდებით აღინიშნება.

ეს უკანასკნელი ტერმინი იმაზე მიუთითებს, რომ სათანადო სახელი მოქმედი სახელია, იგი რეალურ სუბიექტს —RS— გადმოგვცემს.



აღქმისა და გრძნობის აღმნიშვნელ ზმნებთან (verba sentiendi) რეალური სუბიექტი -RS- მიმართულებითა და მიცემით ბრუნვებშიც გვხვდება:

ჩუ ბ-ინსულა დიდა — „ცხენს ვხედავ მე“ (უფრო ახლოს იქნება კონსტრუქცია: „ცხენი ჩანს ჩემდა“, „ცხენი დასანახია ჩემდა“)... დიდა — „ჩემდა“, — მიმართულებითი ბრუნვაა.

ჩუ ბ-ოტულა დიდე — „ცხენი მიყვარს მე“; დიდე — „მე“ — მიცემ. ბრუნვაა.  
ემენ ვ-ოტულა დიდე — „მამა მიყვარს მე“;  
ემენ ვ-ოტულა ვაცასე — „მამა უყვარს ძმას“...  
ამგვარი ზმნები რიცხვით მცირეა.

გარდამავალ ზმნებს რომ დავებრუნდეთ, მათთან, როგორც ითქვა, RS — ერგატივში დაისმის, RO — სახელობითში:

ჩუ ბ-ჩანა ინსუცა „ცხენი გაყიდა მამამ“...

ჩუ ბ-იჩულა ინსუცა „ცხენს ყიდის მამამ“ (პირდაპირ: „ცხენი ყიდის მამამ“... შდრ. კან. ცხენი გამაჩამს ბაბაქ“...).

რას წარმოადგენს ამგვარ წინადადებაში რეალური სუბიექტი — RS — ინსუცა („მამამ“) და რეალური ობიექტი RO ჩუ („ცხენი“) გრამატიკული თვალსაზრისით?

თავის მონოგრაფიაში „Аварский язык“ პ. უსლარი სპეციალურად შეჩერდა ამ საკითხზე და გარკვეული დებულებები წამოაყენა.

უსლარის შეხედულება ასე წარმოიდგინება:

1. ქვემდებარე ხუნძურში მხოლოდ სახელობითს ბრუნვაშია და მისი (ქვემდებარის) კლასი ზმნაში ყოველთვის აღინიშნება<sup>1</sup>, გარდაუვალია ზმნა თუ გარდამავალი:

ვ-ექერულა დო-უ „მირბის ის“ (I კლ.)

ბ-ჩანა ჩუ „გაყიდა ცხენი“...

2. რეალური სუბიექტის — RS — აღმნიშვნელი ერგატივი მოქმედებითი ბრუნვაა, მაშასადამე, ირიბი ბრუნვაა; ზმნისათვის ის დამატებას წარმოადგენს (ისევე, როგორც მიმართულებითა და მიცემითი დასმული რეალური სუბიექტები verba sentiendi-სა).

ბუნებრივია, თუ ეს დამატება ზმნაში არ აღინიშნება: ზმნაში სუბიექტი აღინიშნება და არა ობიექტი.

3. რეალური სუბიექტის -RS- მოქმედებითი დასმა და რეალური ობიექტის — RO — სახელობითში დაყენება გამოწვეულია იმით, რომ ხუნძური გარდამავალი ზმნა მოქმედებითი გვარისა კი არ არის, არამედ ვნებითი გვარისაა:

<sup>1</sup> იგულისხმება კლას-ნიშნის ზმნები.

ჩუ ბ-იჩულა ინსუცა უდრის რუსულ გამოთქმას: „лошадь продается отцом“ და არა: „лошадь продает отец“ (ასევე: ჩუ ბიჩანა ინსუცა იქნება: „лошадь продана отцом“ და არა: „лошадь продал отец“...).

4. მოქმედებითი გვარის ზმნიანი კონსტრუქცია—„лошадь (коня) продает отец“—არ შეიძლება არსებობდეს ხუნძურსა, ჩანჭურსა და მათს მსგავს ენებში, რადგანაც ამ ენებს მხოლოდ ვნებითი და საშუალო გვარის ზმნები გააჩნია (იხ. П. Услар. „Аварский язык“, §§ 121, 122, გვ. 120—122).

ამგვარად, ერთი კლასის აღნიშვნა გარდამავალ ზმნაში პირდაპირი შედეგია გარდამავალი ზმნის ვნებითობისა; ეგვევ ვნებითობა იძლევა გასაღებს იმის გასაგებად, თუ, რატომაა, რომ სახელობითი ბრუნვა ზმნაში აღინიშნება, მოქმედებითი (ერგატივი)—არა: ეს სახელობითია ქვემდებარე; ერგატივი კი მოქმედებითი ბრუნვაა, დამატებაა, დამატების ნიშანი ზმნაში არც უნდა იყოს...

ხუნძური ბრუნების თავისებურება—ერგატივის მქონებლობა და აკუზატივის უქონლობა—შინაგან კავშირშია ერთმანეთთანაც და ზმნის თავისებურებასთანაც:

გარდამავალი ზმნა ვნებითი გვარისაა, ამიტომ უადგილოა აკუზატივი (აკუზატივი მოქმედებითი გვარის ზმნასთანაა ობიექტის ბრუნვა: пишет книгу...); ვნებითი გვარის ზმნასთან რეალური სუბიექტი—RS—მოქმედებითს ბრუნვაში უნდა იყოს და ასეც გვაქვს: ერგატივი მოქმედებითი ბრუნვაა. სახელობით ბრუნვაში ქვემდებარე ვნებითი გვარის ზმნისთვისაც სავესებით კანონზომიერია.

ერთი სიტყვით ხუნძური ფრაზა: ჩუ ბიჩულა ინსუცა შინაარსითაც და კონსტრუქციის მხრივაც ეტოლება რუსულ ფრაზას „лошадь продается отцом“<sup>1</sup>.

ასეთია გარდამავალი ზმნის ვნებითობის (პასიურობის) კონცეფცია, უსლარმა რომ წამოაყენა.

გარდამავალი ზმნის ვნებითობის ეს კონცეფცია იმავე დროს ერგატივის გარკვეულ ინტერპრეტაციასაც გულისხმობს და იძლევა. საბოლოო ანგარიშში ესაა ბრუნებისა და უღვლილების იმ პრობლემის ახსნა, რომელიც „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

უსლარის ეს კონცეფცია ისტორიულად პირველი კონცეფციაა გარდამავალი ზმნის პასიურობისა, კონცეფცია ნათელი, მარტივი და თანამიმდევარი.

კავკასიურ ენათა გარდამავალი ზმნის პასიურობას შემდგომში იკავდენ და დამოუკიდებელი უსლარისაგან ასაბუთებდნენ ჰ. შუხარდტი და ნ. მარი.

<sup>1</sup> უსლარი ასკვნი: „В аварском языке так же, как и в чеченском, вовсе нет глаголов действительных, а одни лишь средние и страдательные. Винительного падежа нет в аварском языке по самому существу аварского глагола“—„Авар. яв.“ § 123, გვ. 122—122.



მაგრამ არც ერთი ამ მეცნიერის შეხედულება არაა ისე მარტივი და ნათელი, როგორცაა უსლარის შემოხსენებული გაგება.

რამდენად საფუძვლიანია უსლარის კონცეფცია? უსლარის დებულებათა სასარგებლოდ შეიძლება მივუთითოთ შემდეგს გარემოებაზე:

1. ხუნძური ერგატივი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციებსაც ითავებს: მოქმედებითი ბრუნვისათვის სხვა ფორმა ხუნძურ ენას არ გააჩნია, ამგვარად, ხუნძურს ენაში მოიპოვება საბაზი იმისათვის, რომ ეს სპეციფიკური ბრუნვა, —ერგატივი,—მოქმედებითად მივიჩნიოთ, გავუთანაბროთ ამ ირიბ ბრუნვას, ირიბი ბრუნვის ფუნქციით ამოვწუროთ ერგატივის სინტაქსური ფუნქცია: ბაყულ უნთი დალ'ო ხუნ ვუგო დოუ (იხ. „Авар. яз.“, ქრესტომატია, გვ. 9)—„ციებით („მზის ავადმყოფობით“) მოკვდა ის“... უნთი—ავადმყოფობა, უნთი დალ'ო—ერგატ.—მოქმედებით: „ავადმყოფობით... გოშტოცა ყოტანა დოატ ინსუცა—ნაჯახით მოქრა ხე მამამ“... გაშტი—ნაჯახი, გოშტოცა—ნაჯახით, მოქმედებითიცაა და ერგატივიც...

2. აკუზატივი არც ერთ კავკასიურ ენას არ მოეპოვება; ცხადია, ზმნა მოქმედებითი გვარისა არაა; ყოველ შემთხვევაში, მოქმედებითი გვარი, ვნებით გვარს დაპირისპირებული, ქართველურ ენათა გარდა სხვა კავკასიურ ენებში არა ჩანს ანდა ჩანასახის მდგომარეობაშია.

3. აღქმისა და გრძობის აომნიშენელ ზმნებთან რეალური სუბიექტი მითითებულია და მიცემითა; ეს ბრუნვები ეწვეიან აქ ერგატივის მაგიერობას; ზმნის ფუძე კი ამ ზმნებსა და გარდამავალ ზმნებთან ერთნაირია:

შდრ. დიდე (მიც.) ბ-ოტულა ჩუ	„მე მიყვარს ცხენი“
დიდა (მიმარ.) ბ-იხულა ჩუ	„მე ვხედავ ცხენს“
დიცა (ერგატ.) ბ-იჩულა ჩუ	„მე ვყიდი ცხენს“...

ბ-ოტულა, ბიხულა—არაა მოქმედებითი გვარისა, მაშასადამე, არც ბ-იჩულა- ზმნაა მოქმედებითი გვარისა.

დიდე, დიდა ირიბი ბრუნვებია, დიცა (ერგატ.)—აგრეთვე ირიბი ბრუნვა უნდა იყოს: ასეთია შთაბეჭდილება.

აი ამგვარი გარემოებანი შეიძლებოდა უსლარის შეხედულების სასარგებლოდ მიგვეჩნია, თუ სხვაგვარი ახსნა აქ არ მოხერხდებოდა.

თუ სწორია უსლარის კონცეფცია, ამით წყდება არა მარტო ხუნძური გარდამავალი ზმნისა და ხუნძური ერგატივის, არამედ სხვა კავკასიურ ენათა და, კერძოდ, ქართველურ ენათა, სტრუქტურის ძირითადი საკითხი.

ამიტომ უსლარის კონცეფციის ანალიზს ზოგადი პრინციპული მნიშვნელობა აქვს კავკასიურ ენათა სტრუქტურის გაგების თვალსაზრისით.

არას ვამბობთ იმის შესახებ, რომ უსლარის კონცეფციას დღემდის არ დაუკარგავს აქტუალური მნიშვნელობა.

1928 წელს გამოსულ შრომაში „შესავალი კავკასიურ ენათა შესწავლაში“—Einführung in das Studium der Kaukasischen Sprachen—აღ. დირი იმეორებს უსლარის დებულებებს (იხ. გვ. 170—171).

აღ. დირს მიყვება—ამ საკითხის გაგებაში—კ. ბოლდა K. Bouda (იხ. მისი Subjekt—und Objektkasus beim Awarischen Verbum—„Caucasica“ fasc. 9 (1931), გვ. 41—63.

ჩაჩხური და დალისტური ენების ზმნათა პასიურობის თეზას იზიარებს ნ. ტრუბეცკოვიც, თუმცა იგი დასძენს: ენებითი და მოქმედებითი აქ არ უნდა გავიგოთ ისე, როგორც ეს ინდოევროპულ ენებში გვაქვსო, ჩაჩხური და დალისტური ენების ზმნა უფრო ენებითს მოგვაგონებს, ვიდრე მოქმედებითსაო (იხ. მისი: „Notes sur les désinences du verbe dans les langues tchétcheno-lesghiennes“—„Bulletin de la Soc. Linguist. de Paris“, t, 29, fasc. 3 (1929), გვ. 171.

გ. დეეტერსი თავის ერთ-ერთ ნარკვევში შენიშნავს: „კავკასიურ ენებში ზმნის მკვეთრად „პასიურ კონცეფციასთან“ პასივი (ენებითი) საერთოდ არ გავაჩნიაო“ (იხ. მისი, „ჩერქ. გრამ.“—Caucasica, fasc. 9 (1932), გვ. 136—137). ამგვარად, ენებითი გვარი არა გვაქვს, მაგრამ კონცეფცია მკვეთრად პასიური...

უსლარის კონცეფცია მარტივია: იგი ახერხებს ხუნძური ენის სპეციფიკური კონსტრუქცია დაიყვანოს ევროპულ ენათა ჩვეულებრივ კონსტრუქციამდის, ე. ი. საკითხის ახსნა აქ საკითხის მოხსნას უდრის; მთელი თავისებურება თურმე იმაშია, რომ მოქმედებითი გვარის ზმნა არა გვაქვს; ის, რაც უნდა ყოფილიყო მოქმედებითი გვარისა, თურმე ორდინარული ენებითი გვარია.

რადგანაც ზმნა ენებითი გვარისაა, სუბიექტი გამოდის ის, რაც რეალური ობიექტი—RO—ჩანდა, ამრიგად, ზმნა არა მხოლოდ ერთობიანი („ერთკლასოვანია“), არამედ სუბიექტურიც—უღვლილების ძირითადი თვისების მიხედვით: ერთი პირი გარდამავალი ზმნისა ბ-ჩიულა ისევეა სუბიექტის პირი, როგორც ერთი პირი გარდაუვალი ზმნისა (გ-ეკერულა).

უსლარმა ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა გადაწყვიტა ერთობიანი (ერთკლასოვანი) ზმნის ანალიზის საფუძველზე.

თავისი თვალსაზრისი უსლარს არ შეუმოწმებია იმ ენათა სინამდვილეში, სადაც ზმნა ორპირიანია, სადაც ობიექტის პირი სუბიექტის პირის გარდა ზმნის უღვლილების უტყუარი ფაქტია.

ხუნძური გარდამავალი ზმნის უღვლილებისას კი მხოლოდ ერთი სახელის კლასი ჩანს და ამ ერთი კლასის დაფასებაზეა დამოკიდებული მთელი კონსტრუქციის ინტერპრეტაციის ბედი.

ამრიგად, უსლარის კონცეფციის დაფასებისას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, რისი კლასია გარდამავალ ზმნაში აღნიშნული—ქვემდებარისა თუ დამატებისა ანუ, სხვანაირად რომა ვთქვათ, რას წარმოადგენს ზმნის რეალური ობიექტი,—გრამატიკულ სუბიექტს თუ ობიექტს?



უსლარისათვის, როგორც ვიცით, ესაა გრამატიკული სუბიექტი, ქვემდებარე; ობიექტი, დამატება ის არ შეიძლება იყოს, რადგანაც ზმნა ვნებით გვარისაა, უსლარის ამ ვარაუდს ხაზგასმით აღნიშნავს ად. ღირი შემდეგ სიტყვებში: „სადაც ტრანსიტივი არა გვაქვს, შეუძლებელია ლაპარაკი ობიექტის აღნიშვნის შესახებ“<sup>1</sup>.

სანამ ზმნაში ერთი სახელის კლასილა მოგვებოება, ძნელია იმის ექვემოტანლად ჩვენება, როგორ არის გავებული გარდამავალ ზმნასთან რეალური ობიექტი -RO-: სუბიექტია ეს ვნებითი გვარის ზმნისა თუ ობიექტი არავნებითი გვარის ზმნასთან?

ზოგი რამ მაინც შეიძლება აღინიშნოს:

თუ ხუნძურს მოქმედებითი გვარის ზმნა არ გააჩნია, მას არც ვნებითი შეიძლება ჰქონდეს: მოქმედებითი და ვნებითი კორელატიური ცნებებია, მასთან ვნებითი იწარმოება მოქმედებითისაგან.

მაგრამ თუ ვნებითი არა გვაქვს, ერგატივი არ უდრის მოქმედებითს, თუნდაც რომ კისრულობდეს მის ფუნქციებს (გარკვეულს შემთხვევებში). მაშასადამე, ანალოგია ევროპულ ენათა ვნებითი გვარის ზმნასთან და სათანადო კონსტრუქციასთან თავის თავად იხსნება;—მით უფრო, რომ არც ერთმა ევროპულმა ენამ არ იცის ისეთი შემთხვევა, რომ ვნებითი გვარის ზმნასთან ორი მოქმედებითი ერთად იხმარებოდეს: ინსუცა ზოშტოცა ლოეტ ყოტანა „მამამ ნაჯახით ხე მოჭრა“ (უსლარით გამოვიდოდა: „მამით ნაჯახით ხე მოიჭრა“).

მერე კიდევ: ინსუცა ჩუ ბიჩანა—„მამამ ცხენი გაყიდა“—საესებით ეფარდება თავისი კონსტრუქციით იმავე მნიშვნელობის ქართულ წინადადებას: რეალური ობიექტი ორსავე შემთხვევაში სახელობითშია („ჩუ“—„ცხენი“), რეალური სუბიექტი—ერგატივშია („ინსუცა“—„მამამ“)...

ქართული ერგატივი (მოთხრობითი) კი ირიბი ბრუნვა არაა, როგორც ამას მოწმობს ქართული ენის ისტორია<sup>2</sup>.

Ишпуина Сардуром. Компановка фигур группы сходна с критскими изображениями, с той разницей, что корова здесь не лижет теленка, а поднимает голову кверху. На прорезных бронзовых пластинах Закавказья, относимых обычно к VII—VI вв., встречаются сходные композиции<sup>1</sup>, но их толкование затрудняется условной стилизацией фигур.

Этот сюжет стал также достоянием греческого искусства и часто изображался на геммах и монетах, в том числе и на тесно связанных с восточным Средиземноморьем. Так скарабей, изданный у Furtwängler'a, ук. соч. Taf. VI, 35, и датируемый, примерно, 600 годом, найден был на побережье Сирии, близ Арада. Корова и теленок стоят здесь в густых зарослях папируса; то же можно наблюдать и на несколько более позднем скарабее, изданном у Walters'a, ук. соч. под № 338, найденном на Кипре. Скарабей Walters, ук. соч. № 426 происходит из греко-финикийского некрополя в Тарросе, на Сардинии. Скарабей Richter, ук. соч. № 12 (около 500 г.) из Кипра. На последнем камне в кипрском алфавите вырезана греческая надпись Ζωβόεις—имя собственника печати. Цилиндр из голубого халцедона, хранящийся в Эрмитаже (из собр. Лемме) по стилю и технике резьбы должен быть отнесен к группе восточно-ионийских камней IV в. Наконец, печать, изданная у Furtwängler'a, Beschreibung der geschnittenen Steine in Antiquarium von Berlin № 178, хотя и происходит из Греции и снабжена греческой надписью «Βουός ἐγί:», но несомненно была вырезана на востоке, что явствует из формы печати (каменный многогранник, подобный найденным в Грузии, но с 14 гранями) и из вырезанных над группой животных персидских эмблем—солнца и полумесяца. Можно, следовательно, сказать, что данный сюжет был хорошо известен в Малой Азии в VII—IV вв. и, по всей вероятности, именно оттуда попал в Западное Закавказье, в виде каменной печати местного малоазиатского производства. На такое происхождение непосредственного оригинала разбираемой отливки указывает, как форма многогранника, так и суммарная и неумелая лепка фигур. Интересно, что по компановке группы отливка из Мухета-Самтавро гораздо более близка к традициям критского, нежели греческого искусства. Непомерно вытянутое в длину тело коровы, крутой изгиб ее шеи, положение задних ног и трактовка маленькой фигурки теленка—все это живейшим образом напоминает язык форм критских резных камней, тогда как греческие изображения более натуралистичны в передаче тел животных и их движений и дают более верные пропорции.

Идиллия из жизни животных представлена и на третьей отливке, происходящей из Цалки<sup>2</sup> (рис. 9), где изображена лошадь, играющая с

<sup>1</sup> Материалы по Археологии Кавказа, т. VIII, табл. СXXXIV, № 1, 2.

<sup>2</sup> Гос. Музей Грузии. Инв. Ист. Отд. № 472(в). Дл. 0,019 м, шир. 0,011 м, толщ. 0,007 м. Сохранность хорошая.

жеребенком<sup>1</sup>. Лошадь бежит влево; под ее брюхом находится жеребенок; он бежит в том же направлении, просовывая голову между передними ногами коня. Близких аналогий к данному сюжету, относящихся к интересующей нас эпохе, мне не известно, хотя изображения коней очень часто встречаются на памятниках как греческого, так и персидского искусства V и IV вв. Приходится поэтому прибегнуть к более отдаленным сопоставлениям. На двух прорезных бронзовых пряжках,



Рис. 9.

найденных в Закавказьи, имеются изображения лошади и стоящего под ней маленького животного; третье животное стоит на спине лошади<sup>2</sup>. Если толковать нижнее маленькое животное, как жеребенка, что мне кажется весьма вероятным<sup>3</sup>, то тем самым устанавливается бы факт знакомства Закавказья со сходным мотивом за несколько веков до изготовления разбираемой отливки. Однако, в стилистическом отношении между сильно стилизованным изображением на пряжках и натуралистическим изображением на печати нет ничего общего, не говоря уже о том, что и тематическая аналогия весьма сомнительна.

Живая общая концепция сцены на отливке заставляет нас обратиться в поисках аналогий к греческому искусству. Однако и здесь можно встретить только отдаленно сходные композиции. Так в греческой глиптике геометрической и раннеархаической эпох имеются изображения коней, ведомых под узды, или запряженных в колесницу, где под брюхом коня бегут маленькие животные<sup>4</sup>, но эти изображения настолько схематичны, что определить породу звереныша невозможно. На сохранившихся греческих печатях V и IV вв. нет аналогичных сюжетов. Но зато здесь и особенно в восточно-ионийской глиптике нет недостатка в идиллических сценах из мира животных вообще. Так, на скарабеоиде Furtwängler, ук. соч. XI, 38 представлена корова, поедающая листья с дерева, на камне Perrot et Chipiez, Histoire de l'Art. t. IX, табл. 1, 7—две олени самки на прогулке, на камне Furtwängler, ук. соч. XI, 16—два играющих друг с другом теленка, на происходящем из Кипра скарабеоиде с греческой надписью (Richter, ук. соч. № 41)—конь, сгибающий ноги, чтобы лечь на землю, на камне Furtwängler ук. соч. Taf. XIII 40—конь, валяю-

<sup>1</sup> Определение маленького животного, как жеребенка, а не другого животного, например, собаки, конечно может оспариваться, но по общей ситуации оно кажется мне более вероятным.

<sup>2</sup> Известия Росс. Акад. Ист. Мат. Культуры. Том II, 1922, табл. XXX, 2. Отчет Археол. Комиссии, 1890, рис. 48.

<sup>3</sup> См. также III Международный Конгресс по Иранскому искусству и археологии. Ленинград 1939, стр. 47 (М. М. Дьяконов).

<sup>4</sup> A. Furtwängler, ук. соч., Taf. IV, 29, 34, 44, 45, VI, 24.



щийся по земле, на камне в собрании Arndt (Symbolae in honorem Julii de Petra, Taf. 2, 15)—два играющих кабана. Возможно, поэтому допустить, что именно резной камень восточно-ионийского происхождения мог послужить образцом при изготовлении каменного оригинала стеклянного многогранника. Прямая отливка последнего с греческого камня невероятна вследствие стилистических особенностей изображения. На данной отливке наблюдается такая-же застылость движений и поз (ср. особенно передние ноги коня и его безжизненный хвост) и такая-же суммарная и приблизительная передача форм природы, какие уже известны нам по рассмотренным отливкам и какие совершенно не соответствуют греческому искусству эпохи. Резчики местных малоазиатских печатей, как мы увидим ниже, в отличие от резчиков греко-персидских гемм, пользовались в своих изделиях греческими мотивами и поэтому в нашем предположении о том, что цалкинский многогранник отлит с камня местного малоазиатского происхождения, в свою очередь возникшего под греческим влиянием, нет ничего невероятного.

Самые большие трудности для толкования и определения представляет последняя отливка нашей серии, также происходящая из Цалки (рис. 10)<sup>1</sup>. Причиной этому является как необычность сюжета, так и плохая сохранность памятника. В середине имеется глубокая поперечная трещина, искажившая до неузнаваемости голову и переднюю часть туловища животного и кроме того, вследствие неясности отливки, многие детали фигур ускользают от нашего внимания. Представлена, повидимому, борьба человека с нападающим на него животным, судя по формам задней части его тела—быком. Человек отличается огромным ростом и массивным грузным телосложением. Поза его кажется неуклюжей и мало понятной при напряжении всего тела в борьбе: он как-будто приседает, согнув колени. Но возможно, что это впечатлительное обманчиво и, что неполучившаяся в отливке левая нога давала туловищу более надежную опору. Руки человека, вероятно, были притянуты к шее быка.



Рис. 10.

Единственный сюжет, который мог-бы объяснить данную сцену—это греческий миф о борьбе Геракла с Ахелоем—речным богом, изображавшимся в виде быка с человеческой головой. К сожалению, отливка попорчена именно в том месте, где находилась голова Ахелоя, и это лишает нас возможности установить самую в данном случае существенную деталь изображения. Наше предположение остается поэтому догадкой, но оно подтверждается и некоторыми побочными

<sup>1</sup> Гос. Музей Грузии. Инв. Ист. Отд. № 472(6). Дл. 0,02 м., шир. 0,01 м., толщ. 0,003 м.

ского, в поле зрения местных резчиков попадают явно греческие мифологические и художественные мотивы, которые, так же как и персидские сюжеты, переделываются местными мастерами на свой лад. Так греческий кентавр на многограннике, изображенном на рис. 11, повидимому, снабжен крыльями на манер восточных мифических существ, а действующими лицами в сценах охоты и войны почти всегда являются не персы, как это обычно на греко-персидских камнях, а воины и охотники, одетые в короткую одежду и с высокими остроконечными шапками малоазиатского образца на головах (см. рис. 12)<sup>1</sup>.



Рис. 12.

На глубокое различие между греко-персидскими и местными малоазиатскими камнями в том, что касается приемов резьбы и художественного стиля изображений, было уже подробно указано при анализе стеклянных многогранников. В этом отношении между обеими группами печатей не существует ничего общего. Местные резчики знакомы с резцом, но очень далеки от той виртуозности, с которой греко-персидские мастера пользуются этим инструментом. Их технические приемы столь же наивны, как и их художественный стиль. На рис. 13 мы воспроизводим типичный образец местной малоазиатской печати—многогранник из халцедона-агата, хранящийся в Гос. Эрмитаже<sup>2</sup>. Изображена конная охота на кабана или медведя. По наивной непосредственности в передаче реального мира эта сцена напоминает детскую игрушку. Простое сопоставление данного камня с аналогичными композициями на греко-персидских печатях<sup>3</sup> показывает, какая пропасть отделяет друг от друга обе категории гемм.



Рис. 13.

Основываясь на вышеизложенных наблюдениях, мы, как нам кажется, имеем право считаться с наличием в Малой Азии позднесаксенидской эпохи печатей местного производства и относить к этой категории гемм оригиналы большинства изучаемых стеклянных отливок по признакам тождества формы печатей, сходства приемов резьбы и стиля изображений. Для наших целей чрезвычайно важно было бы более точно локализовать мастерские, изготовлявшие местные печати и связать их с определенными этническими группами, населявшими Малую Азию, но вряд ли возможно дать удовлетворительный ответ на этот вопрос до углубленной проработки всего относящегося сюда материала. Поэтому мы ограничимся здесь только предположением о том, что родину данных печатей надо искать в восточных районах Малой Азии, предположением, основанным на преемственности формы

<sup>1</sup> Скарабеонд из голубого халцедона. Гос. Эрмитаж. Античн. Отдел. Инв. № 460.

<sup>2</sup> Инв. I-го Отделения Отдела Востока № 6614. Дл. 0,021 м.

<sup>3</sup> Ср. напр. A. Furtwängler, ук. соч. Taf. XI, 1—3, XII, 10.



многогранников от хеттских каппадокийских печатей и на обилии стеклянных копий с каменных местных печатей, находимых на территории Грузии.

Нам остается еще рассмотреть вопрос о месте изготовления самих стеклянных отливок. По нашему мнению, и здесь преждевременно было-бы стремиться к окончательному выводу, так как опубликование неизданных памятников, хранящихся в музеях Кавказа и Закавказья, а также будущие археологические находки могут расширить район распространения отливок, который пока ограничен территорией Грузии. Однако, с другой стороны, нельзя закрывать глаза и на ряд фактов, которые говорят о том, что в этих памятниках мы имеем изделия племен, населявших древнюю Грузию. Прежде всего, тождество материала, техники и формы отливок определенно свидетельствует об одном районе производства, обслуживавшем, вероятно, сравнительно небольшую территорию. Если аналогичные отливки и будут обнаружены в других районах Кавказа и Закавказья<sup>1</sup>, то вряд ли сфера их распространения углубится далеко на юг и запад Малой Азии. Против этого говорит то обстоятельство, что в обширных собраниях гемм музеев и частных собраний Европы и Америки, где в изобилии представлены и все категории печати передней Азии, не хранится, насколько мне известно, ни одного экземпляра многогранников из синего стекла, подобного найденным на территории древней Грузии<sup>2</sup>.

С другой стороны, в раскопках, производимых в северо-западном Закавказья, в частности—в Мцхета-Самтавро, в большом количестве находятся бусы и пронизи, изготовленные из того-же самого темносинего стекла, из которого вылиты изучаемые многогранники, а так как в этих изделиях вряд ли можно видеть привозные товары, то отсюда ясно, что племена, населявшие древнюю Грузию, освоили производство мелких поделок из синего стекла, вероятно, задолго до позднеахеменидской эпохи, и отливка копий с каменных печатей не могла представлять для них никаких трудностей. Таким образом, если пользование стеклянными многогранниками в общественной среде древних грузинских племен не подлежит никакому сомнению, то и гипотеза о том, что

<sup>1</sup> Уже после того как настоящая работа была закончена, Б.А. Куфтин указал мне на ускользнувшую от моего внимания пропись, изданную в Материалах по Археологии Кавказа, VIII, табл. СХХVІІІ, № 43. Судя по воспроизведению и краткому описанию (стр. 183), данный памятник принадлежит к изучаемой категории печатей. Место его находки в Северной Осетии (Корца), конечно, не противоречит нашей гипотезе о производстве стеклянных десятигранников в Иберии.

<sup>2</sup> Единственная известная мне печать из синего стекла позднеахеменидской эпохи, происходящая из Малой Азии, находится в Берлинском музее (Furtwängler, Beschreibung, N 190), но это не многогранник, а конус с изображением персидского льва—грифона.

население обслуживалось в данном отношении местной промышленностью, приобретает большую убедительность.

Рассмотренные памятники позволяют сделать ряд выводов и наблюдений. Прежде всего, мы видим, что потребность в печатях у племен, населявших древнюю Грузию, уже в позднеахеменидскую эпоху породила местную промышленность по изготовлению стеклянных отливок, пользовавшихся в данной области широкой популярностью. Каменные печати, служившие оригиналами для отливок, завозились в северо-западное Закавказье из Малой Азии, что свидетельствует о наличии постоянных торговых связей между этими странами в V—IV вв. до н. э. Наиболее тесное общение наблюдается между Грузией и пока еще точно неопределимым районом изготовления местных малоазиатских печатей. Через торговый обмен с Малой Азией в Грузию проникали культурные и художественные веяния и из более отдаленных от нее областей, в частности из Греции. Ассимиляция внешних влияний способствовала росту собственной материальной и духовной культуры древней Грузии.

---



პირველი ინფორმაცია

## ლეონტი მროველი

ქართველი ისტორიკოსი «ჰამბავთა-მწერალი»  
მე-8 საუკუნისა

1

საისტორიო „ჰამბავთა“ ჟანრი  
ძველ-გარეთულ ისტორიოგრაფიაში

ძველ-ქართულ მწერლობაში—ვიდრე მე-11 საუკუნემდე—საისტორიო დარგის თხზულებას ჩვეულებრივ ეწოდება „ცხოვრება“. ეს ტერმინი „ცხოვრება“ („ცხოვრება“) აღნიშნავდა იმ ცნებას, რომელსაც ჩვენ გამოვხატავთ სიტყვით: „ისტორია“.

მაგრამ ძველი ქართული საისტორიო მწერლობის შემკვიდრობაში ორი ნაწარმოები წარმოადგენს ერთგვარს გამოჩაღისს; მათ ეწოდება არა მხოლოდ „ცხოვრება“, არამედ ამავე დროს მათ მიემართება მეორე სახელწოდებაც: „ჰამბავი“.

ეს სახელწოდება „ჰამბავი“, როგორც ირკვევა, სპეციფიკური ლიტერატურული ტერმინია, იგი აღნიშნავს ამ ძეგლების გარკვეულს ჟანრობრივს თავისებურებას.

პირველი ნაწარმოები, რომელიც წარმოადგენს ამ ჟანრს,— ისტორიულ „ჰამბავთა“ დარგს,—ეს არის ლეონტი მროველის თხზულება.

სახელწოდება ლეონტი მროველის თხზულებისა ორი ვარიანტით არის წარმოდგენილი:

პირველი სახელწოდება არის: „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთგანთა მამათა და ნათესავთა“.

მეორე სახელწოდებაა: „ჰამბავი ქართველთა მეფეთა და პირველთგანთა მამათა და ნათესავთა“; (ამ მეორე სახელწოდებიდან მომდინარეობს ამ ძეგლის შემოკლებული სახელი: „ჰამბავი მეფეთა“)<sup>1</sup>.

ჩვენთვის ამ შემთხვევაში იმდენად საინტერესო არაა, თვით ავტორმა უწოდა თავის ნაწარმოებს „ჰამბავი“, თუ ამ ნაწარმოებს ეს სახელი „ჰამბავი“

<sup>1</sup> ასე, ძველი ქართველი ავტორის არსენი მეტაფრასტის თხზულებაში ლეონტი მროველის ნაწარმოები მოხსენებულია ამ შემოკლებული სახელით: „ჰამბავი მეფეთა“ (იხ. ქვემოთ, გვ. 111).

შემდეგ მიაკუთვნეს. თუ სახელი „ჭამბავი“ შემდეგ არის მიკუთვნებული ამ ძეგლისათვის, რასაკვირველია ეს საქმეს არა სცვლის; შემდეგი ხანის ქართული მწიგნობარნი ჩანს კარგად არჩევენ, რომ თხზულება ლეონტი მროველისა ეს არის არა „ცხოვრება“, ე. ი. არა ისტორია ჩვეულებრივის გაგებით, არამედ „ჭამბავი“—ისტორიული ნაწარმოები ეპიკური სტილისა<sup>1</sup>.

მეორე ნაწარმოები ამ ეპოქისა, რომელსაც აგრეთვე ეწოდება არა მხოლოდ „ცხოვრება“, არამედ „ჭამბავი“, — ეს არის საისტორიო-ეპიკური თხზულება უჯარმელისა, შემდეგის სათაურით:

„ჭამბავი ვახტანგ გორგასარისა მშობელთა, და შემდგომად თვთ მისი, დიდისა — მეფისა, რომელი უმეტესად სხუთა განთქმულად გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართლისათა“<sup>2</sup>.

\*

წინამდებარე ნარკვევში ჩვენ ვეხებით პირველ ძეგლს, — ლეონტი მროველის თხზულებას.

ნარკვევში ჩვენ სპეციალურ მიზანს ვისახავთ: დავადგინოთ ამ ძეგლის თარიღი, და აგრეთვე გავარკვიოთ ძეგლის ტექსტის შესახები ზოგიერთი სპეციალური საკითხები.

ხოლო წინასწარ, ვიდრე ამ სპეციალურ საკითხებზე გადავიდოდეთ, საქირო იქნება გავცნოთ, ზოგადად მიანიც, ამ ძეგლის სპეციფიკურ ფინრსა და სტილს.

2

ლეონტი მროველის თხზულება:

„ჭამბავი (ცხოვრება) კართველთა მეფეთა  
და პირველთაბანთა მამათა და ნათესავთა“

ლეონტი მროველის დასახელებულ თხზულებაში მოთხრობილია საქართველოს ისტორია მითითური ხანიდან მოკიდებული.

<sup>1</sup> აღვნიშნავთ ამასთან, რომ არ არის გამოჩენილი, — ეს ორმაგი სახელწოდება „ცხოვრება“ და „ჭამბავი“ თვით ლეონტი მროველისაგან მომდინარეობდეს. ამას გვაფიქრებინებს ლეონტი მროველის თხზულების ტექსტი. პირველი თავი მროველის თხზულებისა სრულდება ასეთი დასკვნითი უწყებით:

„აქამომდე დაწერეთ ჭამბავი ესე რვათავე ძმითა“ (გვ. 1).

მეორე თავი ლეონტი მროველის თხზულებისა იწყება ასეთი ზედწერილით:

„აქათგან ვიწყით და წარმოვთქვით ჭამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა...“ (გვ. 5).

ამას გარდა, აღსანიშნავია შემდეგიც. როგორც ცნობილია, ჩვენ დრომდე მოღწეულია ლეონტი მროველის თხზულების მხოლოდ ქართლის-ცხოვრების კრებულში შეტანილი ტექსტი. ხოლო ერთადერთი ცნობა ლეონტი მროველის თხზულების ისეთი ტექსტის შესახებ, რომელიც არ ყოფილა შეტანილი ქართლის-ცხოვრების კრებულში და ცალკე ნაწარმოების სახით არსებულა, დაუცავს — როგორც აღვნიშნეთ — ძველ ქართველ მწერალს არსენი მეტაფრასტს (13 საუკ.). არსენის ზელთა ჰქონია როგორც ქართლის-ცხოვრების კრებული (იგი მოიხსენებს ამ კრებულსაც), ისე ლეონტი მროველის თხზულების ცალკეული დედანი. და აი ამ ცალკეულად არსებულს ლეონტი მროველის თხზულებას რქმევია: „ჭამბავი“ („ჭამბავი [ქართველთა] მეფეთა...“). ამის გამო მით უფრო საფიქრებელი ხდება, რომ სახელწოდება „ჭამბავი“ ავთენტური უნდა იყოს და თვით ლეონტი მროველისაგან უნდა მომდინარეობდეს.

<sup>2</sup> ამ მეორე ძეგლსაც ზოგ დედნებში ეწოდება „ცხოვრება“, ზოგში „ჭამბავი“.



მოთხრობა იწყება ზღაპრული ნებროთ გმირის ამბავით, რომელმაც ააშენა ბაბილონის გოდოლი, და როდესაც ვითომც მოხდა ენათა განყუფა და ერებად დანაწილება. ავტორი ეხება კავკასიის ხალხთა („თარგამოსიანთა სახლის“) წარმოშობის საკითხს. ამას მისდევს ლეგენდარული თხრობა საქართველოს ისტორიის უძველესი ხანის შესახებ („ჰამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა“) — რომელიც მოყვანილია ნებროთ გმირის დროიდან ვიდრე ალექსანდრე მაკედონელის ეპოქამდე, მე-4 საუკუნემდე ჩვენი წელთ-აღრიცხვის უწინარეს.

აქ სრულდება ერთი ციკლი ლეონტი მროველის მოთხრობისა.

ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ ჩვენ გადმოვდივართ მითითური ხანიდან ისტორიულ ხანაში. ლეონტი მროველის თხზულების შემდეგს ნაწილებში მოთხრობილია საქართველოს სამეფოს ჩამოყალიბება ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლის შემდეგ (მე-4—3 საუკუნეთა მიჯნაზე). ხოლო ამას მოსდევს მოთხრობა საქართველოს მომდევნო ისტორიის შესახებ შვიდ საუკუნენახევრის განმავლობაში.

მოთხრობა სრულდება მე-5 საუკუნის 20-იან წლებზე ჩვენი წელთ-აღრიცხვისა.

თვით ლეონტი მროველი, როგორც ირკვევა, მე-8 საუკუნის მწერალია; მისი თხზულება — როგორც ეს ქვევით იქნება დადგენილი — დაწერილია მე-8 საუკუნის პირველ ნახევარში.

ლეონტი მროველის თხზულება ლეგენდარულ ხასიათს ატარებს. ეს ეხება ლეონტი მროველის თხზულების არა მარტო პირველ მითითურ ნაწილს, არამედ ისტორიულ ნაწილსაც, ე. ი. ხანას ალექსანდრე მაკედონელის დროიდან ვიდრე მე-5 საუკუნემდე.

ლეონტი მროველს, როგორც ირკვევა, ხელთა ჰქონია უძველესი ქართული საისტორიო წყაროები; მაგრამ ლეონტი მროველის თხზულებაში მეტ წილად შერჩენილია მხოლოდ ძირითადი ქარგა ისტორიისა, და მოთხრობა ისტორიულ პირთა შესახებ გახვეულია სხვადასხვა ლეგენდების საბურველში.)

მაგრამ მთავარი დამახასიათებელი ხაზი ლეონტი მროველის თხზულებისა არის არა ის, რომ იგი ლეგენდარულ ხასიათს ატარებს. ლეგენდარული ხასიათის თხზულებანი ქართულს ლიტერატურაში არა ერთია და ორი.

(მთავარი აქ ის არის, რომ ლეონტი მროველის თხზულება წარმოადგენს საერო მხატვრული მწერლობის სტილის ნაწარმოებს, ეპიკურ ხაზებში გაშლილს, საგმირო რომანის ელფერით.)

ლეონტი მროველის თხზულებას, და აგრეთვე ამავე ეპოქის მეორე ნაწარმოებს, უჯარმელის თხზულებას („ჰამბავი ვახტანგ გორგასარისა“) — ცხადად ეტყობათ ვაგლენა საგმირო რომანების ჟანრისა. როგორც ირკვევა, ქართულ საერო მწერლობას აღრიდანვე შეუთვისებია ტრადიციები ძველი ფაპლური საგმირო ეპოსისა. ირკვევა ამასთან, რომ ამ ეპოქაში, მე-8—9 საუკუნეებში, ქართულად, ჩანს, უკვე იწერებოდა საგმირო რომანები იმ ტიპისა, როგორც იყო მაგალითად შემდეგდროინდელი „ამირან-დარეჯანიანი“. მთელი რიგი ეპიზოდები ლეონტი მროველისა და უჯარმელის ისტორიულ-ეპიკურ მოთხრობებში დამუშავებულია ასეთი რომანების სპეციფიკური სტილით.

ასე, ლეონტი მროველის თხზულებაში საგმირო რომანის ყაიდაზე არის აწერილი თარგამოსიანთა და ნებროთიანთა ომი; ისტორია ქართველი მეფის მირვანისა; ისტორია არბაკისა და ადეროკისა; ისტორია არზუკისა და არმაზაგერის და სუმბატ ბიერატინის ლაშქრობათა; თავგადასავალი ქართველი მეფეების ფარსმან ქველისა, მირდატისა და მხედართმთავრის ფარნავაზისა; ისტორია ამაზასპისა და სხვ.

რომ მკითხველმა წარმოდგენა იქონიოს ლეონტი მროველის სპეციფიკურ ეპიკურ სტილზე, მოგვყავს აქ სანიმუშოდ ეპიზოდი, სადაც აწერილია ბრძოლა ქართველი მეფის არბაკისა და სამეფო ტახტის პრეტენდენტის ადეროკისა. ჩვენ აქ თითქო საგმირო რომანის ფურცელს ვკითხულობთ, ფეოდალური ხანის ტურნირის აღწერილობას:

„ითხოვა ბრძოლა არბაკ ადეროკისა.

„ხოლო ადეროკ სიხარულითა აღიჭურვა საჭურველითა შეენიერითა და აღჯდა ტაიქსა და პრქუა სპათა მისთა: „განმიმაგრეთ ზურგი კერძი ჩემი და ნუ შეძრწუნდებით!“ განვიდა ეგრეთვე არბაკ, შეიქურა და განვიდა განწყობილთა შორის.

„აღიზახნეს ორთავე გმითა სასტიკითა, და მიეტევნეს ურთიერთას. და იწყეს ორთავე გუმერა ჰოროლითა და ვერა ჰკუთეთეს საჭურველსა ერთმანერთისასა. და ბრძოლისა სიგრძესა შინა განუტყდა ჰოროლები, და აღმოიღეს ჩუგლუგები, და იწყეს ბრძოლა ჩუგლუგებითა. ოდეს უხეთქნიან ჩუგლუგები იგი საჭურველსა ზედა მათსა, ჰგვანდის ჯმა იგი ჯმასა მას უროსა მკედლისასა, რომელი ეცემის გურდემლსა; და ჯმა ზახილისა მათისა მსგავს იყო ქუხილისა.

„მაშინ ვერ სძლეს ურთიერთას, დაშურეს და უკუ-დგეს იმიერ და ამიერ. შეღამდა დღე იგი და განისუენეს ორთავე.

„და დილას კულად გამოვიდეს, და აღიღეს მშულდები, და იწყეს რბევა და სრვად ერთმანერთისა. ჰკრა ადეროკ ისარი მკერდსა არბაკისსა, და ვერღარა უფარა სიმაგრემან საჭურველისამან, და განვარდა ზურგით, და ჩამოვარდა არბაკ ცხენისაგან“<sup>1</sup>.

ან-და ავიღოთ მეორე ეპიზოდი ლეონტი მროველის თხზულებიდან, სადაც აწერილია ბუმბერაზობა ქართველთა მეფის ამაზასპისა, მისი ბრძოლა კავკასიის მთიელებთან (ოგებთან)<sup>2</sup>. აქაც ჩვენ გვაქვს არა ისტორიული მოთხრობა, არამედ საგმირო „ჰამბაგი“, საგმირო რომანების სპეციფიკური სტილით:

„და იწყეს ბრძოლა ბუმბერაზთა.

„და განვიდა ამაზასპ (მეფე ქართველთა) მშულდითა, და იწყო ბრძოლად გულითა ფიცხელითა, და მკლავითა ძლიერითა. ეზომ შორით ისროდა, რომელ

<sup>1</sup> იხ. ქართლის-ცხოვრება, მარიამ დედოფლის ხელნაწერი, ე. თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 28—29. (აღნიშნავთ ამასთან, რომ ქვემოთ ყველგან ამ გამოცემის მიხედვით გვაქვს ნაჩვენები გვერდები როგორც ლეონტი მროველის თხზულებისა, ისე ყველა იმ ისტორიკოსთა თხზულებებისა, რომლებიც წარმოდგენილი არიან ქართლის ცხოვრების კრებულში).

<sup>2</sup> გვ. 41.



დამართებითა მდგომთა ოვსთაგან არა შეიტყუებოდა, და არცა ინახოდა სი-  
შორითა, თუ ყოვლად აქუს მშულდი. და მან ჰკრის ისარი, რომელსა ვერა  
დაუდგის სიმაგრემან საქურველისამან.

„და მას დღესა მოკლა ამაზასპ თავთავი ბუმბერეზი ათხუთმეტი რჩეული,  
და ცხენი მრავალი. — და სხუათაცა ბუმბერეზთა ამაზასპისთა მოკლნეს ბუმბე-  
რეზნი მრავალნი ოვსთანი, და დასდგეს დიდი ენება ოვსთა ზედა.

„მას დღესა შემოვიდა ამაზასპ მვედრითა ქალაქად, ხოლო ქუეითნი  
იგი დღეს ადგილსავე თჳსსა კართა შინა...“

(უკანასკნელი ფრაზა: „...შემოვიდა ამაზასპ მვედრითა ქალაქად, ხოლო ქუეითნი  
იგი დღეს ადგილსავე თჳსსა კართა შინა“—მეორდება მოთხრობაში რეფერენის  
სახით).

„და ვითარ განთენდა, განვიდა შემდგომად ამაზასპ მუნვე და აღიხუნა  
ჰოროლნი. და გამოვიდა ოვსთაგან კაცი ერთი სახელით ხუანხუა, ურჩეულესი  
სპათაგან ოვსთასა. აღიზანხეს ორთავე და მიეტყვენეს ურთიერთას. და პირველ-  
სავე მოსგლასა სცნა ჰოროლნი ამაზასპ, განავლო ზურგით, და მოკლა იგი. და  
აღმოიხანდა გრმალი და მიეტყვა სხუათაცა ბუმბერეზთა და მოკლა ორნი სხვა-  
ნი ბუმბერეზნი.

„შემოიქცა და შემოვიდა [ამაზასპ] ქალაქად მვედრებითურთ, [ხოლო]  
დღეს ქუეითნი იგი მუნვე, კართა შინა...“<sup>1</sup>.

\*

განსაკუთრებით ტიპიურია ისტორია ფარსმან ქველისა, რომელიც  
შეტანილია ლეონტი მროველის თხზულებაში, და რომელიც ცალკე დამთავ-  
რებულს ეპიკურ მოთხრობას წარმოადგენს, დაწერილს საგმირო რომანის კო-  
ლორიტული სტილით.

სურათის სისრულისათვის, რომ უფრო ახლო გავითვალისწინოთ ლეონტი  
მროველის მოთხრობის ხასიათი და სტილი, ჩვენ აქ უფრო დაწვრილებით  
შევეჩერდებით ამ ეპიზოდზე.

ეს მოთხრობა ფარსმან ქველის შესახებ, (რომელსაც, აღენიშნავთ ამას-  
თან, არაფერი აქვს საერთო—არსებულის სახით — ნამდვილ ისტორიასთან, და  
რომელიც ლეგენდარულ ასპექტშია მოცემული)— შემდეგს ქარგაზე არის აგე-  
ბული:

საქართველოში მეფობენ ორნი ზეფენი. ერთი მათგანი ზის მცხეთას,  
და მის სამფლობელოს შეადგენს მკვერის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანა. ხო-  
ლო მეორე მეფის სატახტო ქალაქია არმაზი და მას უჭირავს მტკვრის სამხ-  
რეთით მდებარე ქვეყნები.

არმაზელი და მცხეთელი მეფეები დიდს მეგობრობაში იყვნენ, ვიდრე არ  
გამეფდა მცხეთაში მირდატ, ხოლო არმაზში — ფარსმან ქველი. მცხე-  
თის მეფე მირდატ, მოთხრობის სიტყვით, — „იყო კაცი ურვილი და მოსისხლე“.

<sup>1</sup> მეორდება ზემოთაღნიშნული რეფერენი მოთხრობისა; „შემოვიდა ქალაქად მვედ-  
რებითურთ“—„დღეს ქუეითნი იგი მუნვე, კართა შინა“.

ფარსმან ქველი კი ნამდვილი რაინდი იყო და იგი საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდა. „ხოლო ფარსმან ქუელი,—ნათქვამია მოთხრობაში,—იყო კაცი კეთილი, უხუდად მომნიჭებელი და შემნდობელი, ჰასაკითა შუენიერი, ტანითა დიდი და ძლიერი, მკნე მკვდარი და შემმართებელი ბრძოლისა, უშიში ვითარცა უჯორცო, ყოვლითავე უმჯობესი ყოველთა მეფეთა ქართლისათა... ამისთჳსცა უყუარდათ ესე მირდატის კერძთაცა ქართველთა“.

მცხეთის მეფემ მირდატმა მოიყვანა ცოლი სპარსეთიდან, ნათესავი სპარსთა მეფისა. სპარსელების შთაგონებით მირდატ გადაემტერა ფარსმან არმაზელს და განიზრახა მისი ვერაგულად დაღუპვა. „განიზრახა მუხთლად სიკუდილი ფარსმან ქუელისა არმაზელისა, და მოჴადა [ე. ი. მოუწოდა]—სახლსა შინა თჳსსა რეცა მეჯლიშად და განცხრომად“. ვინმე ერთგული წინდაწინვე გააფრთხილებს ფარსმანს განსაცდელის შესახებ, რომელიც მას ელის მეჯლიშის დროს. ფარსმან აღარ წავა წვეულებაზე.

ამის შემდეგ მირდატსა და ფარსმანს შორის აშკარა მტრობა ჩამოვარდება. მირდატის ქვეშევრდომნი, შეწუხებულნი მათი მეფის მესისხლეობისა და გულ-ბოროტებისაგან, განუდგებიან მირდატს და მიემხრობიან ფარსმან ქველს; მირდატს გადაადგებენ ტახტიდან და იგი გადაიხვეწება სპარსეთში. ფარსმან გააერთიანებს ორსავე ქართულს სამეფოს, არმაზისას და მცხეთისას. მცხეთაში იგი გამგედ დასვა მთავის „ძუძუს-მტეს“ (ძიძის-შვილს) ფარნაევს. ეს ფარნაევი აგრეთვე დიდი რაინდია—„ეგრეთვე ქუელი და გოლიათი, სარწმუნო და ერთგული“.

მირდატი გამოიყვანს სპარსეთიდან დიდს ლაშქარს და მოადგება საქართველოს. ფარსმან შეპკრებს ქართულს ჯარს, შემოიერთებს სომხებსაც, და შეეგებება მტერს რკინის-ხევის ვიწროებში.

ბუმბერაზობა და ბრძოლები, რომლებიც იმართება ამ ორ ჯარს შორის, აწერილია საგმირო რომანების ასეთი სპეციფიკური სტილით: 1

„და იწყეს ბრძოლა ბუმბერგზთა დღეთა მრავალთა.

„და რომელი გამოჩნდის ბუმბერგზი სპარსთა შორის მძლედ ბუმბერგზთა ზედა ქართლისათა და სომხითისათა, მის ზედა განვიდის თვთ ფარსმან მეფე ანუ სპასპეტი მისი ფარნაევზ, და ესრეთ აჯობიან და სძლიან. ხოლო მოკლა ფარსმან ათშუღმეტი ბუმბერგზი სპარსთა, ხოლო სპასპეტმან ფარნაევზ მოკლა ბუმბერგზი ოცდასამი.

„მაშინ იყო სპარსთა შორის კაცი ერთი გოლიათი, სახელით ჯუმბერ, რომელი ლომსა ჯელითა შეიბჳრობდა. და მან სთხოვა ბრძოლა მეფესა ფარსმანს.

„ხოლო ფარსმან ქუელი სიხარულითა აღიჭურვა და განვიდა. და აღიზახნეს ორთავე ვმითა სასტიკითა, და მიეტევნეს ურთიერთას და იწყეს ბრძოლა გრმლითა. და ზაჳმი ბრძოლისა მათისა ემსგავსა ზაჳმსა ქუხილისასა და [შეხის] ტეხისასა. [და] აჯობა ფარსმან, ჩამოაგდო და მოკლა. და მიიქცა სპისა მისისა კერძო, და ჴმა უყო ვმითა დიდითა, და ჰრქუა: „ჰა, ლომნო მძვნვარენო, ცხოვარნი დასეტყულნი!“.

სპარსთა ჯარი სასტიკად დამარცხდება, „აოტნეს, მოსწყვდეს და ტჳუმყვეს ურიცხუნი“, და მირდატ ისევ გარდაიხვეწება სპარსეთში.



მაგრამ მირდატ არა ჰყრის ფარ-ხმალს. განვლის ხანი და მირდატ ისევ შემოდის ქართლში სპარსთა დიდი ლაშქართ, „სპითა უძლიერესითა“. ფარსმანს თუმცა ნაკლები ჯარი ჰყავს, „არა ჰყვეს სპანი მირდატისა სპათა ოდენი“, მაგრამ მაინც მხნედ ხედება მტერს.

იწყება ისევ ბრძოლები და ბუმბერაზობა, „ყოველთა დღეთა იბრძოდინ ბუმბერაზნი“.

ფარსმან ქველი კვლავ ამარცხებს სპარსთა ლაშქარს:

„სიფიცხოთა გულისა თვისისათა ფარსმან მეფემან ქუელმან არღარა განახა სიმრავლე სპარსთა, არამედ განვიდა ჟამსა განთიადისასა სპითა თვისითა, და დაესხა, და მოსცა სუემან მისმან ძლევა, აოტა ბანაკი მათი, და მოსწყვდა ურიცხვ. და წარვიდა მირდატ მეოტი სპარსეთადვე“.

ამის შემდეგ ფარსმან ქველი და მისი მხედრობა შიშის ზარს დასცემს თვით სპარსეთსაც.

„და მიერთვან განითქუა სახელი ფარსმან ქუელისა და სპასპეტისა მისისა ფარნავაზისა, და წინამძღუარ ექმნა იგი სპათა ქართლისა და სომხითისათა და იწყო ბრძოლად სპარსთა, და შესლვად სპარსეთს, და ვერღარა-ოდეს ვინ წინააღუდდა ფარსმან ქუელსა“.

მაგრამ სპარსელები მუხანათურად შურს იძიებენ ფარსმანზე, ფარსმანს მოსწამლავს სპარსელების მიერ მოგზავნილი, მოსყიდული მზარეული.

ფარსმანის სიკვდილს ჰგლოვობს მთელი ერი.

„ყოველთა შინა ქალაქებითა და დაბნებთა დასხდიან მგოსანნი გლოვისანი, და შეკრბიან ყოველნი, და იქსენებდიან სიქუელესა და სიმწენსა, და სიშუენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქუელისასა, და იტყოდეს ესრეთ:

„ვაჲ ჩვენდა,  
რაჲ მოგვძინა სვემან ბოროტმან!

და მეფე ჩვენი,—  
რომლისგან ქსნილ-ვიყვენით—მონებისგან მტერთასა,—

მოიკლა იგი—  
კაცთაგან მგრძნებელთაგან,

და აწ მივეცენით  
ჩვენ წარტყვენვად ნათესავთა უცხოთა!“<sup>1</sup>

\*

ჩვენ ასე დაწვრილებით შევჩერდით ლეონტი მროველის თხზულების ცალკეულ ეპიზოდებზე, რათა გაგვეცნო ლეონტი მროველის „ჰამბაეთა“ წიგნის, ქართული საერო მწერლობის ამ უძველესი ძეგლის, ეპიკური სტილი.

<sup>1</sup> იხ. გვ. 37—39.

აქ საჭიროა აღნიშნოთ ამასთან შემდეგი.

ლეონტი მროველის თხზულების ეპიკურ ეპიზოდებში ორმაგი გავლენა შეიმჩნევა:

ერთის მხრით აქ ჩვენ გვაქვს, როგორც აღნიშნეთ, გავლენა საგმირო რომანებისა. ეს უშთავრესად.

მაგრამ ამის გვერდით ლეონტი მროველის თხზულებაში არის კვალი ძველ-ქართული ფოლკლორული პოეზიის, ხალხურ ეპოსის გავლენისა.

ხალხური ეპოსის გამოძახილი ჩვენ გვაქვს ნაწილობრივ იმ საგმირო მოთხრობაში ფარსმან ქველის შესახებ, რომელსაც ზევით შევხებით. (ფარსმან ქველი, ლეონტი მროველის მოთხრობისა, ეს არის ლეგენდარულ ასპექტში წარმოდგენილი იბერიის ცნობილი მეფე პირველის საუკუნისა ფარსმან, რომლის დროსაც, როგორც ეს კარგად ცნობილია ანტიური ხანის საისტორიო წყაროებით, იბერია წარმატებით უწყევდა მეტოქეობას სპარსეთს, პართევლთა იმპერიას. ფარსმანის სახე გადასულა ლეგენდაში, და მის შესახებ, როგორც ირკვევა, ხალხური თქმულებანი არსებულა, რომელსაც რაფსოდები, „მგოსანი“ მოუთხრობდნენ).

კიდევ უფრო მეკეთრად მოჩანს ხალხური ფოლკლორული სახის გამოძახილი ლეონტი მროველის თხზულების იმ ნაწილში, სადაც გადმოცემულია პირველი ქართველი მეფის ფარნავაზის (ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებლის) თავგადასავალი.

ასე, მაგალითად, სიზმარი ფარნავაზისა:

„მაშინ იხილა ფარნავაზ სიზმარი, რეცა იყო იგი სახლსა შინა უკაცურსა, და ეგულვებოდა განსლვა, და ვერ განვიდა;

„[და შემოვიდა] სარკუმელსა მისსა შუქი მზისა, და მოერტყა წელთა მისთა გაზიდინი, და გამოიყვანა სარკუმელსა მას;

„[და] ვითარ განვიდა ველად, იხილა მზე ქუე მდაბლად; მიჰყო კელი მისი, და მოჰყოცა ცუარი პირსა [მზ]ისასა და იცხო პირსა მისსა“<sup>1</sup>.

ამ თქმულებაში პირდაპირ შერჩენილია ძველი მითოსის ანარეკლი.

ფოლკლორიდან, ჩანს, მომდინარეობს აგრეთვე თხრობა ფარნავაზის ნადირობისა და განძის პოვნის შესახებ. ეს ამბავი ხალხური საგის სტილით არის მოთხრობილი, ზღაპრის კილოთი (—უძველესი ნიმუში ამ სახის თხრობისა ქართულ ენაზე):

„ხოლო მას დღესა შინა განვიდა [ფარნავაზ], და ნადირობდა მართოდ, და დევნა უყო ირემთა ველსა დიდომისასა; და ივლტოდეს ირემნი ღირღალთა შინა ტფილისისათა;

„[და] მისდევდა ფარნავაზ, სტყორცა ისარი, და ჰკრა ირემსა; და მცირედ წარვლო ირემმან და დეცა ძირსა კლდისასა;

„მოვიდა ფარნავაზ ირემსა ზედა, და დღე იგი მწუხრი გარდაჯდა; და დაჯდა ირემსა მას თანა, რათამცა დაჰყო მუნ ღამე, და დილეულმცა წარვიდა.

<sup>1</sup> იხ. გვ. 17.



„ხოლო კლდისა მის ძირსა ქუაბი იყო, რომლისა კარი ამოქმნილ იყო ქვითა ძუელად, და სიძუელითა შექმნილად დარღუევა შენებულსა მას.

„მაშინ დაასხა წვა მძაფრი; ხოლო ფარნავაზ აღმოიღო ჩუგლუგი, და გამოარღვია კარი ქუაბისა მის, რათა მუნ-შინა დაიმშრალა წვისისა მისგან;

„და შევიდა ქუაბსა მას, და იხილა მუნ-შინა განძი მიუტდომელი, ოქრო და ვეცხლი მიუწდომელი...“<sup>1</sup>.

ხალხური ეპოსის გავლენა მოსჩანს არა მარტო თქმულებათა შინაარსში, არამედ ზოგჯერ თითონ გარეგან ფორმაში, არქაულობით აღბეჭდილ რიტმულ წყობაში და ხალხური ეპოსისთვის დამახასიათებელ სახეების პარალელიზმში. ასეთია მავალითად აღწერა იმ ბრძოლისა, რომელსაც აწარმოებს მეფე მირვან, „ტანითა სრული, შუენიერი, ძლიერი, ქუელი“.

მირვან გაილაშქრებს კავკასიის მთიანეთში, დურძუკეთში. ქართველთა და დურძუკთა ჯარი შეხვედებიან კავკასიონის უღელტეხილზე, მთის კართან. აღწერა ბრძოლისა მოცემულია შემდეგს არქაულს ეპიკურ ფრაგმენტში, რომელიც რიტმიზებულ წყობას (რიტმულს კადანსირებულ პროზას) შეიცავს და სახეების პარალელიზმზე არის აგებული:

„მაშინ მირვან გარდაჯდა ცხენისაგან,  
[და] მივიდა ქუეითთა მისთა თანა;

და წარუძღვა წინა ქუეითთა,  
[და] ზურგით შემოადგინნა მგედარნი;

და მივიდა კართა მათ შინა  
—ვითარცა ჯიქი სიფიცხლითა,

[მივიდა] ვითარცა ვეფხვ სიმწინთა,  
—ვითარცა ლომი ზახილითა...

ხოლო მირვანს ვერ ჰკუეთდა მახვლი დურძუკთა  
—ვითარცა კლდესა სიპსა,

და დგა [იგი] უძრავად  
—ვითარცა კოზვი მტკიცედ“<sup>2</sup>.

ხალხური ეპოსიდან მომდინარეობს აგრეთვე ერთი ეპიკური ფრაგმენტი, რომელშიაც აღწერილია თარგამოსიანთა და ნებროთიანთა მითიური ბრძოლა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ. გვ. 17—18.

<sup>2</sup> იხ. გვ. 24.

<sup>3</sup> იხ. გვ. 4.—ამ ტექსტს არავითარი კავშირი არა აქვს იმ მწიგნობრულ წყაროებთან, რომლის მიხედვითაც შედგენილია ლენტი მროველის თხზულების სათანადო თავი ნებროთის შესახებ. (ეს ცხადია ძველი ქართული ხალხური ეპოსის ქვემოთნაჩვენები პარალელებიდან).

მოგვეყავს აქ ეს დიდად მნიშვნელოვანი ეპიკური ფრაგმენტი, რომელიც წარმოადგენს ქართული ფოლკლორული პოეზიის უძველეს ნიმუშს, შემონახულს უცვლელად, პირველადის სახით:

„იქმნა მათ შორის ბრძოლა სასტიკი,—რომელი ემსგავსა სასტიკებასა ჰაერისასა;  
„რომეთუ მტვერი ფერხისა მათისა,—ვითარცა ღრუბელი სქელი;  
„ელვა აბჯრისა მათისა,—ვითარცა ელვა ცისა;  
„ხმა პირისა მათისა,—ვითარცა ხმა ქუხილისა;  
„სიმძლავრე ისრისა მათისა,—ვითარცა [ტეხა მეხისა];  
„ტყორცა ქვისა მათისა,—ვითარცა სეტყვა ხშირი;  
„და დათხევა სისხლისა მათისა,—ვითარცა [წვიმისა] ღვარი“.

რომ ეს ეპიკური ძეგლი უძველესი ხალხური ეპოსის ნაშთს წარმოადგენს, ამას უჩვენებს ჯერ მარტო მისი წყობა, რომელიც თავიდან ბოლომდე აგებულია სახეების პარალელიზმზე. ხოლო რაც მთავარია, ხალხურ ეპოსთან მას აკავშირებს თვით მითოლოგიური მისი შინაარსი. აქ გადმოცემულია—მითოსის ასპექტში—სურათი კეთილი და ბოროტი სულების ბრძოლისა ტაროსის შეცვლის დროს.

ეს სჩანს ამ ტექსტის მეორე პარალელური მწკრივიდან, რომელშიაც აღბეჭდილია ტაროსის თანდათან შეცვლა. სურათი ტაროსის შეცვლისა აქ თანამიმდევრად იშლება ასეთის თანდათანობით:

ჯერ იწყება „სასტიკება ჰაერისა“,  
გამოჩნდება „ღრუბელი სქელი“,  
ღრუბელში გამოჰქრთება „ელვა ცისა“,  
შემდეგ „ხმა ქუხილისა“,  
მას მოჰყვება „ტეხა მეხისა“,  
მას უკან „სეტყვა ხშირი“,  
და ბოლოს „წვიმისა ღვარი“.

ამრიგად, ბუნება აქ მოცემულია ორგანიულს მთლიანობაში, როგორც „ჰაერის სასტიკების“ ერთი მთლიანი სურათის თანდათან გაშლა; ხოლო ამის გვერდით მისი შესაფარდი პარალელური სურათი ადამიანთა ბრძოლისა მითოლოგიურ ასპექტში არის გადატანილი.

აღსანიშნავია, რომ ამ ეპიკურ ფრაგმენტში არის ერთგვარი შეხვედრა უძველეს ქართულ ეპიკურ თქმულებასთან ამირანის შესახებ.

ამირანს ძველი ეპოსის ერთი ლექსი ადარებს საავდროდ გამზადებულს ღრუბელს; ემსგავსაო—

„ამირან—შავსა ღრუბელსა,  
საავდროდ გამზადებულსა“.



ლეონტი მროველის თხზულებაში დატული ეპიკური ფრაგმენტი იძლევა გარკვეულს პარალელიზმს ამირანის ეპოსის იმ ეპიზოდთან, სადაც აწერილია ტაროსის ღვთაების („ღრუბელთა ბატონის“) ასულის კამარ-ქალის მოტაცება ზეციური კოშკიდან ამირანის მიერ. ამირანს მოჰყავს მოტაცებული კამარ და მათ გზაში პირველად „წამოეწია ღრუბელი“; ქალი ამბობს: „ეს მამა-ჩემის ჯარი წამოვიდა და მისი ჩრდილია“. შემდეგ „წამოეწიათ წინწყალი“; ქალი ამბობს: „მამა-ჩემის ჯარი ზღვას გამოვიდა, იმათი ფეხის ნამია“. შემდეგ დაიწყება „კოკისპირული წვიმა“. იწყება ბრძოლა ამირანსა და კამარის მამას (ტაროსის ღვთაებას) შორის, და ეპოსის სიტყვებით—„ამირანის ხმალი კამარის მამის მუზარადს რომ მოხვდებოდა, ნაპერწყლის ცეცხლი ენთებოდა“.

\*

ჩვენ აქამდე ვეხებოდით ლეონტი მროველის თხზულებას—როგორც წმინდა ლიტერატურულ ძეგლს.

ხოლო არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ლეონტი მროველის თხზულება როგორც საისტორიო ძეგლი.

ის გარემოება, რომ ცალკე ეპიზოდები ლეონტი მროველის მოთხრობისა დამუშავებულია ეპიკურს ქანში, ის გარემოება, რომ მოთხრობა აქ შეფერილია და შეგნებული ლეგენდებით,—არ უკარგავს ამ ძეგლს საისტორიო ტექსტის მნიშვნელობას. მნიშვნელობა ლეონტი მროველის თხზულებისა, როგორც საისტორიო ძეგლისა, უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ ლეონტი მროველს, როგორც ირკვევა, ხელთა ჰქონია უძველესი ხანის ქართული საისტორიო წყაროები, რომლებიც ჩვენ დრომდე არ მოღწეულა, და რომელთა გადმონაშთები ჩვენ გვაქვს ლეონტი მროველის თხზულებაში.

3

ლეონტი მროველის თხზულების თარიღის საკითხი

ლეონტი მროველის თხზულების მეცნიერული შესწავლისას პირველ რიგში გამოსარკვევია ამ ძეგლის ეპოქა, მისი თარიღი.

როდის არის დაწერილი ლეონტი მროველის თხზულება?

ქართულ ისტორიოგრაფიაში, მას შემდეგ, რაც აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა თავისი ეპოქალური გამოკვლევა—„ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“,—მიღებულია შეხედულება, რომ ლეონტი მროველის თხზულება მე-11 საუკუნეს ეკუთვნის.

მაგრამ ეს დათარიღება, როგორც ირკვევა, გადასინჯავს საჭიროებს. ლეონტი მროველის თხზულება, როგორც ირკვევა, ბევრად ადრინდელი ძეგლია, იგი დაწერილია სამი საუკუნით ადრე, მე-8 საუკუნეში.

ლეონტი მროველის თხზულების თარიღის ზუსტად განსაზღვრას მნიშვნელობა აქვს თავისთავად. მაგრამ ამ ძეგლის თარიღის საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კერძოდ იმის გამო, რომ ლეონტი მროველის თხზულების თარიღთან დაკავშირებულია მთელი წყება, ძირითადი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხებისა.

ასე, კერძოდ ლეონტი მროველის თხზულების თარიღის საკითხთან დაკავშირებულია ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორც არის ქართული საერო მხატვრული მწერლობის გენეზისი.

ჯერ ერთი, ლეონტი მროველის თხზულება არის უძველესი, ჩვენ დრომდე მოღწეული, ძველი საერო მწერლობისა, რომელიც დაწერილია მხატვრული ლიტერატურის დიდი ვაგლენის ქვეშ. ასე, როგორც აღვნიშნავდით, ლეონტი მროველის თხზულებაში აშკარად შეინიშნება ვაგლენა საგმირო რომანების ჟანრისა. ზემოთწარმოდგენილი ზოგადი განხილვის შემდეგ მკითხველისათვის რასაკვირველია ცხადი გახდა, რომ ცალკე ეპიზოდები ლეონტი მროველის თხზულებისა დამუშავებულია ასეთი საგმირო რომანების სპეციფიკური სტილით. ირკვევა რომ ქართულ ენაზე ამ ეპოქაში უკვე არსებობდა და იწერებოდა საგმირო-ეპიკური რომანები.

ხოლო ამას ერთვის ის გარემოებაც, რომ ლეონტი მროველის თხზულებაში პირდაპირ გამოყენებულია და ციტირებული უძველესი ხანის ქართული მხატვრული სალიტერატურო ძეგლები. ასე, ირკვევა, რომ ლეონტი მროველს ხელთა ჰქონია ირანული ნაციონალური ეპოსის „უფალთა წიგნი“-ს ძველ-ქართული ვერსია, რომელიც ნაწილობრივ ლექსადაც ყოფილა გადაღებული. ლეონტი მროველის „უფალთა წიგნი“-ს ექსცერპტთა შორის მოყვანილია ციტატი ლექსით, დაბალი შაირით დაწერილი, უძველესი ჩვენ დრომდე გადარჩენილი ნიმუში ქართული შაირის ლექსთწყობისა ძველ-ქართულ პოეზიაში<sup>1</sup>.

როდესაც ვითვალისწინებთ ზემოთაღნიშნულს, და აგრეთვე ვავითვალისწინებთ იმასაც, თუ რაოდენ ფრაგმენტარულად არის მოღწეული ჩვენ დრომდე სწორედ უძველესი ხანის ქართული საერო მხატვრული ლიტერატურა, — ლეონტი მროველის თხზულების ზუსტ დათარიღებას ცხადია განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ვიდრე ლეონტი მროველის თხზულების თარიღი დადგენილი არ არის, შეუძლებელია სწორი გაშუქება მთელი რიგი იმ ძირითადი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხებისა, რომელთაც ჩვენ წინაშე ლეონტი მროველის თხზულება აღძრავს.

ეს რაც შეეხება ლეონტი მროველის თხზულებას, როგორც წმინდა ლიტერატურულ ძეგლს.

ხოლო ამასთან ერთად ლეონტი მროველის თხზულების თარიღის საკითხი არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ძველი ქართული ისტორიოგრაფიისათვის. რასაკვირველია მხოლოდ თარიღის დაზუსტების შემდეგ ჩვენ გვეძლევა საშუალება სათანადოდ, სწორი ისტორიული პერსპექტივის დაცვით, გამოვიყენოთ ლეონტი მროველის თხზულება როგორც საისტორიო ხასიათის ტექსტი, გამოვიყენოთ მასში დაცული ძველი ქართული საისტორიო წყაროების გადმოწამული ნიმუშები.

ამას გარდა, ლეონტი მროველის თხზულების დროის საკითხი გადაბმულია სხვა ქართული საისტორიო ძეგლების თარიღის საკითხებთანაც, და გვეხ-

<sup>1</sup> იხ. 3. ინგოროყვა. ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა (ჟურნალი მნათობი, 1939 წ. № 4, გვ. 95—96).



მარება უფრო მეტის სიზუსტით განესაზღვროთ ამ უკანასკნელთა წარმოშობის ეპოქა.

ამიტომაც, იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, რომელსაც წარმოადგენს ლეონტი მროველის თარიღის საკითხი, ჩვენ აქ მოგვიხდება ამ საგანზე დეტალურად შევჩერდეთ.

4

ლეონტი მროველის თხზულების დედნის დაცულობა

წინასწარ, ვიდრე ლეონტი მროველის თხზულების თარიღის განხილვას შევეუდგებოდეთ, აქ საჭიროა ჯერ განვიხილოთ თვით ტექსტის დაცულობა, თუ რა სახით არის მოღწეული ჩვენ დრომდე ლეონტი მროველის ნაწარმოები.

ლეონტი მროველის თხზულება შეტანილია ქართული საისტორიო ძეგლების იმ დიდ კრებულში, რომელსაც ქართლის-ცხოვრება ეწოდება. ლეონტი მროველის თხზულებას ქართლის-ცხოვრების კრებულში პირველი ადგილი უჭირავს. კრებული იხსნება ლეონტი მროველის ამ ნაწარმოებით.

ლეონტი მროველის თხზულება ქართლის-ცხოვრების კრებულის გარეშე, ცალკე ხელნაწერის სახით, ჩვენ დრომდის არ მოღწეულა. ასეთი ხელნაწერები რასაკვირველია თავის დროზე არსებობდა, და ჩვენ გვაქვს ცნობა, რომ ასეთი ცალკე ხელნაწერი ლეონტი მროველის თხზულებისა ხელთაჲ მკინია მე-13 საუკუნის ქართველ მწერალს არსენი მონაზონს (მეტაფრასტს). არსენის ამ ცნობას, რომელიც ბევრნაირად არის საყურადღებო, ჩვენ ქვემოთ ცალკე ვებხებით.

თუ რამ გამოიწვია ლეონტი მროველის თხზულების ცალკე ხელნაწერების თანდათან შემცირება და შემდეგ ხმარებიდან გამოსვლა, ეს გასაგებია. ეს გამოიწვია სწორედ ქართლის-ცხოვრების კრებულის შედგენამ. რაკი არსებობდა რჩეულ ქართულ ისტორიულ ძეგლთა ეს მთლიანი კრებული ქართლის-ცხოვრება, რომელმაც ფართო გავრცელება მიიღო, და რომელიც იძლეოდა ერთგვარს მთლიანს სურათს საქართველოს ისტორიისას, მას შემდეგ ცალკე ისტორიული თხზულებანი (რომლებიც ეხებოდნენ ცალკეულ პერიოდებს საქართველოს ისტორიისას)—აღარ სარგებლობდა იმდენი ყურადღებით. მათ იშვიათად თუ გადასწერდნენ ხოლმე, და ასეთი ცალკეული თხზულებები თანდათანობით გამოვიდა ხმარებიდან. ასეთი ბედი ეწია მთელ წყებას ძველ ქართველ ისტორიკოსებისას, და მათ შორის ლეონტი მროველსაც.

\*

ამის შემდეგ გასარკვევია ძირითადი მნიშვნელობის საკითხი, თუ რა სახით არის მოღწეული ლეონტი მროველის თხზულება ქართლის-ცხოვრების კრებულში: არის იგი აქ დაცული მთლიანად და შეურყენელად?

როგორც ირკვევა, არა.

ქართლის-ცხოვრების ჩვენ დრომდე შენახულს ხელნაწერებში ლეონტი მროველის თხზულება შეცვლებული სახით არის მოღწეული: ლეონტი მროველის თხზულებაში ჩართულია დამატება, რომელიც დაწერილია სულ სხვა ეპოქაში და ეკუთვნის მეორე ავტორს—იოანე დეკანოზს.

ბიბლიოგრაფიული უწყება ლეონტი მროველისა და იოანე დეკანოზის შესახებ

რომ ლეონტი მროველის თხზულებას შეჰხებია შემდეგი დროის მწერლის იოანე დეკანოზის ხელი, რომელსაც ლეონტის თხზულებაში ჩაურთავს გარკვეული ხასიათის ტექსტი,—ამის შესახებ მოიპოვება ბიბლიოგრაფიული უწყება თვით ქართლის-ცხოვრების ხელნაწერებში.

ეს ბიბლიოგრაფიული უწყება დღემდე არ ყოფილა სათანადოდ შეფასებული და ახსნილი.

დასახელებული ბიბლიოგრაფიული უწყება ქართლის-ცხოვრების ხელნაწერებში წარმოდგენილია სამი ვარიანტით. პირველსა და მეორე ვარიანტში ტექსტი დაზიანებულია, ხოლო მესამე ვარიანტში ტექსტი სრულად შენახულია.

ა) პირველი ვარიანტი ამ ბიბლიოგრაფიული უწყებისა დაცულია ქართლის-ცხოვრების მარიამ დედოფლისეულ ხელნაწერში. აქ ვკითხულობთ:

„არჩილის წამება, მეფეთა ცხოვრება და ნინოს ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან“.

აქ, როგორც ვხედავთ, ფრაზა დაუსრულებელია და ცხადია ტექსტს აკლია გაგრძელება.

ბ) მეორე ვარიანტი ამ უწყებისა წარმოდგენილია ქართლის-ცხოვრების ანა-დედოფლისეულ ხელნაწერში. ფრაზა აქ თუმცა დამთავრებულია, მაგრამ, როგორც ირკვევა, ტექსტი აქაც არ არის სრული. ამ მეორე ვარიანტში ვკითხულობთ:

„არჩილის წამება, მეფეთა ცხოვრება და ნინოს ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა“.

გ) სრული ტექსტი ამ ბიბლიოგრაფიული უწყებისა მოიპოვება ქართლის-ცხოვრების ორ ხელნაწერში (მათ შორის თეიმურაზისეულ ხელნაწერში, რომელიც, როგორც ცნობილია, ძველი ხანის ტექსტების გადმონაშთებს შეიცავს). სრული ტექსტი ამ ბიბლიოგრაფიული უწყებისა აქ იკითხვის შემდეგნაირად:

„არჩილის წამება, მეფეთა ცხოვრება და ნინოს ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა და ახლა(დ) იოანე დეკანოზმან აღწერა“.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ეს ბიბლიოგრაფიული უწყება ეხება ორს თხზულებას: 1. არჩილის წამება და 2. მეფეთა ცხოვრება და ნინოს ქართლის მოქცევა.

ამათგან პირველ თხზულებას, რომელსაც „არჩილის წამება“ ეწოდება, ჩვენ ჯერ-ჯერობით გვერდზე დავტოვებთ და მას ცალკე შევხებებით.

აქ კი ჯერ საუბარი გვექნება მეორე თხზულებაზე, რომელსაც ეწოდება „მეფეთა ცხოვრება და ნინოს ქართლის მოქცევა“. ეს მეორე თხზულება არის ის ძველი, რომელიც შეადგენს ჩვენი გამოკვლევის საგანს, ე. ი. ლეონტი მროველის სახელით ცნობილი „მეფეთა ჰამბავეი“, ანუ „მეფეთა ცხოვრება“. (ეს ნაწარმოები მარიამ დედოფლის ხელნაწერში ატარებს ასეთს საერთო სათაურს: „ცხო-



რება... მეფეთა“, ხოლო მისი ერთი ცალკე ნაწილის ზედწერილია: „მოქცევა... ქართლისა... ნინო მოციქულის მიერ“).

\*

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი ბიბლიოგრაფიული უწყება შეიცავს მეტად საყურადღებოსა, და ამასთან გარკვეულ ცნობას ჩენი ძეგლის შესახებ. „მეფეთა ცხორება“ (ნინოს ქართლის მოქცევის აღწერითურთ) დაუწერია ლეონტი მროველს, ხოლო შემდეგ განუახლებია ანუ შეუვსია იოანე დეკანოზს.

მიემართოთ ამის შემდეგ თითონ ძეგლს.

6

ლეონტი მროველის ძირითადი ტექსტისა  
და იოანე დეკანოზის დამატების მოცულობა

თუნდაც ჩვენ არ გეჭონოდა ეს ბიბლიოგრაფიული ცნობა, რომ ქართლის-ცხოვრების კრებულში წარმოდგენილია ორი ავტორის ტექსტი, თითონ ნაწარმოების ტექსტუალურ ანალიზს უნდა მოვეყვანეთ ამავე დასკვნამდე.

„მეფეთა ჰამბავში“ („მეფეთა ცხორებაში“) მართლაც წარმოდგენილია ორი სხვადასხვა ეპოქის ტექსტი. ეს ორი ტექსტი ისე არსებითად განსხვავდება ერთმეორისაგან, რომ ჩვენ გვაქვს საშუალება ზედმიწევნით გავარკვიოთ, თუ სად თავდება ერთი ტექსტი, და სად იწყება მეორე.

რომ მკითხველი უფრო ადვილად გაერკვეს ქვემოთ ანალიზის დროს, ჩვენ წინდაწინ გავაცნობთ მკითხველს გამოკვლევის რეზულტატს, თუ რა ეკუთვნის „მეფეთა ჰამბავში“ პირველ ავტორს—ლეონტი მროველს, და რა არის აქ დამატებული მეორე ავტორის იოანე დეკანოზის მიერ.

\*

მეორე ავტორს—იოანე დეკანოზს—„მეფეთა ჰამბავში“ ჩაუმატებია ის ნაწილი, რომელიც ეხება ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში.

რით იყო გამოწვეული ეს დამატება?

საქმე ის არის, რომ საქართველოში სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ოფიციალური შეხედულება იყო მიღებული იმის შესახებ, თუ საიდან და რა გზით გავრცელდა ქრისტიანობა საქართველოში. ძველი გადმოცემები ამ საგანზე რამდენჯერმე იქნა გადამუშავებული და შეცვლილი.

ეს შეცვლა და გადამუშავება ძველი ტრადიციებისა გამოწვეული იყო დოგმატიკური მოსაზრებებით. საქართველოს ისტორიის საკითხთა შორის საგანგებოდ სწორედ ეს საკითხი—ისტორია ქრისტიანობის გავრცელებისა საქართველოში—განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა საშუალ-საუკუნეთა საეკლესიო წრებში; ეს საკითხი იყო არა უბრალო აკადემიური ინტერესის საგანი, არამედ უაღრესად აქტუალური საპირბოროტო კითხვა, რომლის გარშემო გამწვავებული პოლემიკა წარმოებდა ხოლმე, რადგან ამასთან დაკავშირებული იყო საეკლესიო პოლიტიკის ხაზი ამა თუ იმ ეპოქაში.

უძველეს ხანაში არსებობდა გადმოცემა, რომ ქრისტიანობა საქართველოში დასავლეთიდან (საბერძნეთიდან) გავრცელდა. შემდეგ ხანაში, გარკვეულ

ისტორიულ გარემოში (როდესაც -საქართველო, სომხეთთან ერთად, მოექცა აღმოსავლური ირანული იმპერიის უშუალო გავლენის ქვეშ), შემუშავდა შეხედულება, რომ ქრისტიანობა საქართველოსა და სომხეთში ერთი წარმოშობისაა, აღმოსავლეთიდან მომდინარე. ხოლო უფრო გვიან ხანაში, როდესაც საქართველო ეკლესიურად საბოლოოდ დაუკავშირდა დასავლეთის მსოფლიოს, ბიზანტიის ორთოდოქსალურ ქრისტიანობას, ეს ძველი შეხედულება, რომ ქართული და სომხური ქრისტიანობა ერთი წარმოშობისა არის, უკვე სარწმუნოებრივ საცთურად იყო მიჩნეული, ქართული ქრისტიანობის სიწმიდის შეზღვევად ითვლებოდა. ამით აიხსნება, რომ გადმოცემა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ არა-ერთგზის იქნა გადამუშავებული, და სხვადასხვა ეპოქაში ამ სავანზე სხვადასხვა ოფიციალური თვალთახედვა იყო მიღებული.

კერძოდ, ამით ყოფილა გამოწვეული იოანე დეკანოზის ეს შრომა. იოანე დეკანოზი რამდენიმე საუკუნით გვიან ცხოვრობდა ვიდრე ლეონტი მროველი. ლეონტი, როგორც ქვემოთ გამოიჩვენება, მე-8 საუკუნის მწერალია, ხოლო იოანე დეკანოზი მე-11 საუკუნეში მოღვაწეობდა. უნდა გვახსოვდეს ამასთან, რომ ეს ეპოქა, მე-8 საუკუნიდან მე-11 საუკუნემდე, არის სწორედ ის ხანა, როდესაც ქართულმა ეკლესიამ მტკიცედ და საბოლოოდ აიღო ორიენტაცია დასავლეთზე, წარმოებდა განსაკუთრებით გამწვავებული პოლემიკა აღმოსავლეთის ქრისტიანობასთან, და ამასთან დაკავშირებით რამდენჯერმე იქნა ჩატარებული ძველი ისტორიული გადმოცემების გადამუშავება - შესწორება და შეესება. ბუნებრივია ამიტომაც, რომ მე 11 საუკუნისათვის აღარ იქნებოდა დამაკაყოფილებელი ის გაშუქება ქრისტიანობის გავრცელების ისტორიისა, რომელსაც შეიცავდა მე-8 საუკუნის მწერლის ლეონტის მროველის ნაწარმოები. საფიქრებელი იყო ამის გამო, რომ იოანე დეკანოზის კუპიურა სწორედ ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას უნდა შეჰხებოდა. და ეს ასეც მომხდარა. იოანე დეკანოზს ამოუღია ლეონტი მროველის თხზულებიდან ის ნაწილი, რომელიც ქრისტიანობის გავრცელების შესახებ მოუთხრობდა და მის ადგილას ჩაუმატებია ახალი დამატება. აი ამ კუპიურას გულისხმობს ბიბლიოგრაფიული უწყების ავტორი, როდესაც აღნიშნავს, რომ „მეფეთა ცხოვრება და ნინოს ქართლის მოქცევა“ ლეონტი მროველიან აღწერა, და ახლად იოანე დეკანოზიან აღწერა“-ო. იოანე დეკანოზის დამატებას „მეფეთა ცხოვრების“ ტექსტში უქირავს გარკვეული ადგილი.

მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრების გამოცემაში ლეონტი მროველის ტექსტი—იოანე დეკანოზის დამატებით—მოიცავს საერთო რიცხვით 116 გვერდს (იწყება 1 გვერდიდან და სრულდება 116 გვერდზე).

ხოლო რაც შეეხება კერძოდ იოანე დეკანოზის დამატებას, იგი იწყება 55 გვერდიდან და სრულდება 109 გვერდზე<sup>1</sup>. ეს დამატება იოანე დეკანოზის ატარებს ასეთს საზოგადო სათაურს: „მოქცევა მირიან მეფისა და მისთანა ყოვლიხა ქართლისა ნინო მოციქულის მიერ“. გარდა ამ მთავარი დამატებისა,

<sup>1</sup> სახელდობრ იწყება 55 გვერდის მე-14 სტრიქონიდან და სრულდება 109 გვერდის მე-20 სტრიქონით.



რომელიც შეიცავს საერთო მოცულობით 54 გვერდს, იოანე დეკანოზს ეკუთვნის კიდევ რამდენიმე პატარა ჩანართი, რომლებიც ეხება იმავე საკითხს—ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში და რომლებიც საერთო რიცხვით 2 გვერდს მოიცავს<sup>1</sup>.

ამით, ამ 56 გვერდით ამოიწურება ის დამატებანი, რომელიც იოანე დეკანოზს შეუტანია „მეფეთა ჰამბავეში“.

ამ დამატების გამოკლებით, რომლებიც ქრისტიანობის გავრცელებას ეხება, ჩვენ გვრჩება „მეფეთა ჰამბავეს“ პირვანდელი ძველი დედანი, რომელიც ეკუთვნის ლენტი მროველს. ეს პირვანდელი ძირეული ტექსტი ლენტი მროველისა შეიცავს საკუთრივ ისტორიულ მოთხრობას საქართველოს შესახებ უძველესი ხანიდან დაწყებული ვიდრე მე-5 საუკუნემდე ჩვენი წელთაღრიცხვისა. (ეს პირველი ძირითადი ტექსტი ლენტი მროველისა შეიცავს სულ 60 გვერდს).

ქვემოთ გამოკვლევაში ამ პირველს ძირითად ნაწილს, რომელიც ლენტი მროველს ეკუთვნის, ჩვენ ვუწოდებთ პირველ ტექსტს, ხოლო იოანე დეკანოზის დამატებას მეორე ტექსტს.

\*

ამის შემდეგ ჩვენ გავაცნობთ მკითხველს იმ ნიშნულობათ, რომელთა მიხედვით ირკვევა ამ ორი ტექსტის სხვაობა და მათი თარგმები.

ჯერ ამ ორი ტექსტის საზოგადო ხასიათის შესახებ.

1. წყაროებით სარგებლობის წესი.

პირველი, რაც იქცევა ყურადღებას ამ ორი ტექსტის შედარების დროს, ის გარემოებაა, რომ პირველი და მეორე ავტორი სრულებით სხვადასხვა სახით სარგებლობენ პირველ-წყაროებით.

მეორე ტექსტი იოანე დეკანოზისა, რომელიც ქრისტიანობის გავრცელებას ეხება, წარმოადგენს უბრალო კომპილაციას, იგი ძირითადად პირდაპირ გადმოწერილია ფსევდო-ეპიგრაფული ნინოს ცხოვრებიდან, რომელშიაც აქაიქ მექანიკურად არის ჩაკერებული სხვა წყაროებიდან ამოღებული ცნობები. ამასთან ეს კომპილაცია შესრულებულია ისე უწყსრივოდ და უხეიროდ, რომ არავითარი შეფარდება ნაწარმოების საერთო ხასიათთან და თხრობის საერთო მდინარებასთან აქ დატული არ არის.

ასეთი კომპილაციური ხასიათი ამ მეორე ტექსტისა სრულებით არ უდგება პირველი ტექსტის ავტორის სალიტერატურო მანერას. პირველი ტექსტის

<sup>1</sup> სახელდობრ:

ა) გვ. 30, 1 სტრიქონიდან—19 სტრიქონამდე (ექსცერპტი ქრისტეს ჯვართის მცხეთაში მოტანის შესახებ).

ბ) 30 გვერდის მე-22 სტრიქონიდან—31 გვერდის მე-2 სტრიქონამდე (ექსცერპტი ანდრია მოციქულის მიმოსვლის შესახებ).

გ) 101—111 გვერდებზე საერთო რიცხვით შემატებულია—21 სტრიქონი (ის ტექსტი, რომელიც მომდინარეობს ფსევდო-ეპიგრაფული ნინოს ცხოვრებიდან, სახელდობრ 110 გვერდზე—სტრიქონები: 22—23, 26—28; 111 გვერდზე—სტრიქონები: 1—6, 11—12).

ავტორი ლეონტი მროველი სარგებლობს სხვადასხვა თხზულებებით, მაგრამ ყველა ეს წყაროები მას საფუძვლიანად გადაუმუშავებია იმ სახით, რომ შეუფარდებია ისინი თავისი თხზულების საერთო გეგმასთან და აგრეთვე თხრობის საერთო ანსამბლთან. ასე, ლეონტი მროველს ხელთა ჰქონია წყაროები:

ა) ძველი ქართული ისტორიული ტექსტები;

ბ) ირანულიდან (ფაჰლავურიდან) თარგმნილი „ხვატაჟ-ნამაკი“ — „უფალთა წიგნი“ („ხორება სპარსთა“);

გ) სომხური—მოსე ხორენელის ისტორია;

დ) ასურული—„შობა მამათმთავართა“ („განძი ქებათა“) და სხვანი.

ამ წყაროებით ლეონტი მროველს უსარგებლნია, მაგრამ არა კომპილაციის წესით, არამედ ამ ძეგლთა ტექსტები არსებითად გადაუკეთებია, დაუმუშავებია თავის საერთო კონცეფციასთან შეფარდებით, შეუხამებია თავისი თხზულების მაგისტრალურ ხაზთან, საერთო გეგმასთან, თხრობის ქარგასთან. მაჩვენებელია ამ მხრივ, მაგალითად, თუ როგორ სარგებლობს ლეონტი მროველი მოსე ხორენელის ტექსტით. ამ ძეგლს ლეონტი მრავალჯგის მიმართავს თავის თხზულებაში, მაგრამ ვერც ერთ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვიპოვივთ კომპილაციის რაიმე კვალს, ტექსტი აქ სრულებით გადახალისებულია და შერწყმული სხვა წყაროებთან. ეგვევ ითქმის აგრეთვე „განძთა ქებათა“-ს შესახებ, რომლის ტექსტი ჩვენ დრომდისაც შენახულა და ამის გამო ამ შემთხვევაშიაც შესაძლო ხდება შედარების ჩატარება ლეონტი მროველის ტექსტთან. აქაც არც ერთ შემთხვევაში აღვნიშნავთ არა აქვს კომპილაციის რაიმე კვალს, არამედ ეს ძველი გამოყენებულია მხოლოდ როგორც წყარო, საიდანაც ავტორი იღებს თავისი ისტორიული კონცეფციისათვის გამოსაყენებელს ცალკეულ ზოგად დებულებებს.

## 2. სტილი.

ამ კერძო გარემოების, წყაროებით სარგებლობის წესის გაცნობის შემდეგ, გავეცნოთ ამ ორი ტექსტის საერთო სტილს. სტილის სახელით აქ ვგულისხმობთ არა უბრალო ლექსიკალურ მხარეს, არამედ ამ ძეგლების საერთო ლიტერატურულ ტონს, მათ საერთო სალიტერატურო ხასიათს.

პირველი ტექსტის ავტორი ლეონტი მროველი—ინდივიდუალური სახის მქონე მწერალია, და ამასთან—შეიძლება ითქვას—მაღალი რანგის მწერალი. მას აქვს გარკვეული, მკაფიოდ გამოკვეთილი სტილი. ლეონტი მროველის ენა თავისუფალია სასულიერო მწერლობის სქოლასტიკური იერისაგან. ლეონტის სტილი სადაა და ნათელი, თხრობის წესი მარტივი, და ამასთან ერთგვარი ეპიკური მონუმენტალობით აღბეჭდილი.

უნდა ხაზი გავუსვათ აქ იმ გარემოებას, რომ ეს ეპიკური მონუმენტალური სტილი თავიდან ბოლომდე გასდევს ამ პირველ ტექსტს: ამ პირველი ტექსტის სახით ჩვენ აშკარად ერთი მთლიანი ნაწარმოები გვაქვს, რომელიც თითქო ერთი მთლიანი ზოდიდან არის გამოკვეთილი, არც ერთ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვხედავთ ამ პირველი ტექსტის მანძილზე ცალკეულ ეპიზოდებს, რაც ორგანიულად არ იყვეს შერწყმული მთლიანთან, ვერ ვპოულობთ რაიმე ისეთს გადახვევას, რაც არღვევდეს ამ მწყობრი ეპიკური მოთხრობის საერთო მდინარებას.





ასეთია ეს პირველი ტექსტი ვიდრე 55 გვერდამდე; ხოლო 55 გვერდიდან, საიდანაც იწყება მეორე ტექსტი, უეცრად ხდება გადატეხა. ეპიკური სტილი პირველი ტექსტისა აქ მოულოდნელად იცვლება, ამასთან ირღვევა ის სიმწყობრე და მკაფიოდ ჩამოყალიბებული თანამიმდევრობა, რომელიც ახასიათებს პირველ ტექსტს. მოთხრობის ტექსტი ამ მეორე ტექსტისა სრულებით არეულია და არაა შეხამებული წინა-მოთხრობის ქარგასთან.

აღსანიშნავია, რომ ამას კარგად ამჩნევდნენ ძველი ქართველი მწერლებიც. ასე, ერთი მწერალი მე-13 საუკუნისა—არსენი მონაზონი—შემდეგსა სწერს ამ მეორე ტექსტის ანუ ნინოს ცხოვრების შესახებ, რომელიც შეუწყობელად არის ჩაკერებული „მეფეთა ჰამბავში“ (ე. ი. ლეონტი მროველის თხზულებაში).

„ესე ნეტარისა ნინოას ცხოვრებაჲ“—ამბობს არსენი—„შეუწყობელად და განზნეულად... ჰანბავსა მეფეთასა თანა (ე. ი. ლეონტი მროველის „მეფეთა ჰამბავში“) აღრეულად სწერია, ვითარცა თქუენ უწყით; რომელნიმე თვთ მის წმიდისაგან მოთხრობილად, რომელიმე მეფის მირიანისაგან, სხუად იაკობ მღდელისაგან, სხუად აბიათარისაგან, სხუად კულად სიდონიასაგან, გარნა წინად უკუანა და უკუანად წარ (ე. ი. მოთხრობის წესი ირღვევა, იგი ხან პირველი პირით წარმოებს, ხან მესამეთი, და ამასთან ერთი და იგივე ამბავი სხვადასხვა ადგილას მეორდება). „ამისთჳს—ამბობს არსენი—მკითხველთათჳს ფრიად საწყინო იყო და მსმენელთათჳს უჭმარ და ვერ საცნაურ“. არსენის შეფასებით—მოთხრობას აკლია „ძალი სიტყუსად და გამოცხადებაჲ საქმისად“, „მოკლედ და მარტივად წარმოთქუმაჲ“; აქ არის „მრავალ-კეცობაჲ და თანააღრეულობაჲ ამბავისაჲ“<sup>1</sup>.

ფსევდო-ეპიგრაფული ნინოს ცხოვრება, რომლითაც უსარგებლია იოანე დეკანოზს,—როგორც ცნობილია, დაწერილია ცალკე პირთა თხრობის სახით (ასეთი კომპოზიციის შეფარდებული იყო ამ ტექსტის გარკვეულ მიზანდასახულობასთან). ცალკე აღებული ფსევდო-ეპიგრაფული ნინოს ცხოვრება არაა მოკლებული ერთგვარს შინაგანს კომპოზიციურ მთლიანობას. მაგრამ იოანე დეკანოზის კომპილაციაში იგი მართლაც „შეუწყობელ“ სახეს ღებულობს. იგი სრულიად უხერხულად და უწყესრიგოდ არის ჩართული ლეონტი მროველის „მეფეთა ჰამბავში“, და არსენის სიტყვები რომ გავიმეოროთ—„შეუწყობელად და განზნეულად ჰანბავსა მეფეთასა თანა აღრეულად სწერია“. არავითარი ორგანიული დაკავშირება ლეონტი მროველის მოთხრობასა და ამ ჩამატებულ ტექსტს შორის ჩატარებული არაა, ისინი უბრალოდ, მექანიკურად არის გადამბული ერთმანეთს. ამისგან წარმოსდგება, ძველი ავტორის შეფასება რომ გავიმეოროთ—„მრავალკეცობაჲ და თანააღრეულობაჲ ამბავისაჲ“.

ცხადია, ჯერ მარტო ამის მიხედვითაც, რომ ეს მეორე ტექსტი არ ეკუთვნის პირველი ტექსტის ავტორს ლეონტი მროველს. ლეონტი მროველი, როგორც მოვიხსენეთ ხელოვანი მწერალია, მოთხრობის დიდი ოსტატი; მისი ტექსტი მკაფიოდ ჩამონაკეთილს, მწყობრად ჩამოსხმულს თხრობას შეიცავს, და ყველა

<sup>1</sup> იხ. ცხოვრება წა ნინოსი, ტფ. 1902 წ., გვ. 51—52.

ის წყაროები, რომლითაც ლეონტის შესარგებლნია, მას არსებითად გადაუმუშავებია, შეუფარდებია თავისი მოთხრობის საერთო ხასიათთან, დაუმუშავებია ერთი მთლიანი ეპიკური სტილით. და თუ ეს მეორე ტექსტიც მას ეკუთვნოდეს, ცხადია იგი აქაც გადახალისებდა მოთხრობას, შეუფარდებდა თხრობის საერთო ქარვას, და აიცდენდა იმ „მრავალეკეცობას და თანააღრეულობას ამბავისა“, რომლითაც ამჟამად ხასიათდება მეორე ტექსტი.

### 3. არქიტექტონიკა.

ამის შემდეგ შევხებით ერთ დეტალს, რომელიც აგრეთვე მაჩვენებელია ამ ორი ტექსტის სხვაობისა და დამოუკიდებელი წარმოშობისა.

პირველი ტექსტი, ლეონტი მროველის თხზულება, აგებულია გარკვეული არქიტექტონიკით. მოთხრობა დაყოფილია ცალკე თავებად. არაა ზედმეტი აღნიშნოთ ამასთან, რომ ლეონტი მროველი პირველი ავტორია ძველ-ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელსაც დაცული აქვს მკაფიოდ ჩამოსხმული არქიტექტონული წყობა ცალკე კარებად დაყოფის სახით. ამასთან ეს კარებად დაყოფა არ არის შემთხვევითი, არამედ იგი შეფარდებულია სპარტელოს ისტორიის პერიოდიზაციასთან.

ლეონტი მროველის ტექსტის შესწავლიდან ირკვევა, რომ ლეონტი მროველის თხზულება ვიდრე 55 გვერდამდე დაყოფილი იყო ხუთ კარად ანუ თავად<sup>1</sup>.

თავი პირველი. „**ჰამბავი პირველითანთა მამათა და ნათესავთა**“ ანუ „**ჰამბავი რვათა ძმათა**“ (აქ გადმოცემულია კავკასიელ ტომთა გენერაცია და მათი დასახლება კავკასიაში<sup>2</sup>).

თავი მეორე. „**ჰამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა**“ (აქ აღწერილია საგმირო ეპოქა ვიდრე ერთ-მეფობის დამყარებამდე<sup>3</sup>).

თავი მესამე. „**შემოსლვა ალექსანდრესი [და მეფენი ქართლისანი ფარნავაზიანი]**“ (აღწერილია საქართველოს ისტორია ფარნავაზიანთა დინასტიის დროს, წარმართობის ხანაში<sup>4</sup>).

<sup>1</sup> თუ სად იწყებოდა თვითული თავი ლეონტი მროველის თხზულებაში, ეს ირკვევა იმის მიხედვით, რომ ქართლის-ცხოვრების მარიაშ-დელოფლისეულ ხელნაწერში ყოველი თავის დასაწყისი აღნიშნულია სინგურით. (ყვრილ მესამე და მეოთხე თავებს პირდაპირ შერჩენილი აქვთ ზედწერილები: „თავი მესამე. შემოსლვა ალექსანდრესი...“ „თავი მეოთხე. ქართლს შემოსლვა სპარსთა და [გა]მეფება მირიანისი“). ამას გარდა, ყოველი თავის დასაწყისი და დასასრული ირკვევა თვით ტექსტის მიხედვითაც (ყოველი თავის დასაწყისსა და ბოლოში ჩვენ გვაქვს მსაზღვრელი ხასიათის უწყება).

<sup>2</sup> პირველი თავი იწყება 1 გვერდიდან (სიტყვებით „პირველად ვაჟსენოთ“ და სრულდება 5 გვერდზე, სიტყვებით: „აქამოდის დაესწერეთ ჰამბავი ესე რვათავე ძმათა“).

<sup>3</sup> მეორე თავი იწყება 5 გვერდიდან, სიტყვებით: „ხოლო აქათგან ვიწყეთ და წარმოვთქუათ ჰამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა“, და სრულდება 13 გვერდზე (რომლის შემდეგაც აღნიშნულია: „თავი მესამე“).

<sup>4</sup> მესამე თავი იწყება 13 გვერდიდან (ზედწერილით: „თავი მესამე...“ და სრულდება 44 გვერდზე, სიტყვებით: „ხოლო დაესრულნეს მეფენი ქართლისანი ფარნავაზიანი“ (რომლის შემდეგაც იწყება ახალი თავი, —ზედწერილით: „მეოთხე“).



თავი მეოთხე. „შემოსლვა სპარსთა ქართლს და [გა]მეფება მირიანისი“ (აღწერილია ფარნავაზიანთა დინასტიის შეცვლა და ახალი სასანიანთა დინასტიის გამეფება<sup>1</sup>).

თავი მეხუთე. „ცხოვრება მირიანისა, ძისა ქასრე არდაშირისა“ („ცხოვრება“, ე. ი. ქრისტიანობის მიღება მირიანისა და ქართლის მიერ<sup>2</sup>).

ამრიგად არის დალაგებული მოთხრობა 55 გვერდამდე, სადაც თავდება პირველი ტექსტი (ლენტი მროველისა) და იწყება მეორე ტექსტი (იოანე დეკანოზისა). ამის შემდეგ ხდება უეცარი ცვლილება და მეორე ტექსტში ეს არქიტექტონული წყობა უკვე დაკული აღარ არის. ამ მეორე ტექსტში აქა-იქ მექანიკურად არის შერჩენილი ფსევდო-ეპიგრაფული ნინოს ცხოვრების თავების სათვალავი, რომელიც სულ სხვა ხასიათისაა. ამასთან, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, თავების სათვალავი ამ მეორე ტექსტში არეულია და არ უდგება ლენტი მროველის თხზულების თავების თანამიმდევრობას.

ასე, მაგალითად, მეორე ტექსტის ერთ კარს, რომელსაც ეწოდება „თქუმული სიღონია დედაკაცისაჲ“ აწერია „თავი მეშვიდე“. მაგრამ თუ ჩვენ აქ სათვალავს გაავარძლებთ ლენტი მროველის თხზულების უკანასკნელი მეხუთე თავიდან, ეს „თქუმული სიღონია დედაკაცისაჲ“ უნდა იყოს არა თავი „მეშვიდე“, არამედ თავი „მეცხრე“. ეს ზედწერილი „თავი მეშვიდე“ მექანიკურად არის შერჩენილი იოანე დეკანოზის კომპილაციის პირველ წყაროდან—ფსევდო-ეპიგრაფული ნინოს ცხოვრებიდან, სადაც „თქუმული სიღონია დედაკაცისაჲ“ „მეშვიდე თავის“ სახით იყო წარმოდგენილი.

ამრიგად, სრულებით ცხადი ხდება, რომ ეს მეორე ტექსტი შემდეგ არის ჩაკერებული ლენტი მროველის თხზულებაში და ამასთან საკმაოდ უხეირო მწერლის მიერ. ამ დამატების ავტორს იოანე დეკანოზს პირდაპირ გადმოუწერია ამ შემთხვევაში ფსევდო-ეპიგრაფული ნინოს ცხოვრება, მაგრამ იმდენად უმეცრულად და უგულისყურად, რომ თავების სათვალავიც კი არ შეუცვლია და არ შეუფარდებია იგი ძირეული მოთხრობის თავებად დანაწილების თანამიმდევრობისათვის.

პირველი და მეორე ტექსტების სხვაობის მაჩვენებელია აგრეთვე შემდეგი გადმონაშთი, რომელიც ეხება თავების განწივრებას.

ლენტი მროველის თხზულებაში, როგორც აღნიშნული გვექონდა, მეხუთე თავი ატარებს ასეთს სათაურს: „ცხოვრება მირიანისა, ძისა ქასრე არდაშირისა“. „ცხოვრება“—აქ ნიშნავს გამოხსნას, ჰუმარითი სარწმუნოების მიღებას, გაქრისტიანებას; „ცხოვრება“ აქ არის სინონიმი მეორე ძველი ქართული ტერმინის „მოქცევა“<sup>3</sup>. ამნაირად, ამ სათაურის თანახმად

<sup>1</sup> მეოთხე თავი იწყება 44 გვერდიდან (ზედწერილით: „თავი მეოთხე...“) და სრულდება 48 გვერდზე.

<sup>2</sup> მეხუთე თავი იწყება 48 გვერდიდან (მარიამ დედოფლის ხელნაწერში დასაწყისი აღნიშნულია სინჯურით, ისევე, როგორც ყველა დანარჩენი თავების დასაწყისი).

<sup>3</sup> ლენტი მროველის ტექსტში ტერმინი „ცხოვრება“ რომ ამ შემთხვევაში. აღნიშნავს არა „ისტორიას“, არამედ „მოქცევას“—ეს ცხადია შემდგომის მიხედვით: 1. ეს ირკვევა ჯერ ერთი, თვით თავების თანამიმდევრობიდან ლენტი მროველის თხზულებისა. (მირიანის ისტორია ლენტი მროველის თხზულებაში იწყება არა მეხუთე თავიდან, არამედ უკვე მეოთხე.

ამბავი მირიანის მოქცევისა და ქართლის გაქრისტიანებისა პირველ ავტორს მოთხრობილი ჭკონდა ამ მეხუთე თავში.

ასეა ეს პირველ ტექსტში, ლეონტი მროველის დედაწიში. მიგმართოთ ამის შემდეგ მეორე ტექსტს, იოანე დეკანოზის დამატებას. ჩვენ ვხედავთ, რომ მეორე ტექსტში ეს სათაური ხელახლა განმეორებულია. ჩვენ აქ პირდაპირი მოწმე ვხედებით იმისა, თუ როგორ შეაქვს მეორე ავტორს თავისი დამატება. ამ მეორე ავტორს „მეფეთა ჰამბავი“-ს მეხუთე თავიდან ამოუღია ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა ქრისტიანობის გავრცელებას და მის ნაცვლად მას ჩაუყვებია ეს ახალი მეორე ტექსტი, რომლისათვის მას გაუყვებია სათაურად: „მოქცევა მირიან მეფისა...“; მაგრამ მას აღარ მიუქცევია ყურადღება იმისათვის, რომ მეხუთე თავის ის დასაწყისი ნაწილი, რომელიც მან დასტოვა ტექსტში, უკვე ატარებს ამ საზოგადო სათაურს: „ცხოვრება (=მოქცევა) მირიანისა“.

გადავიდეთ ამის შემდეგ სხვა რეალიების განხილვაზე, რომელთა მიხედვითაც აგრეთვე დასტურდება ეს დასკვნა, რომ მეორე ტექსტი (იოანე დეკანოზისა) არ არის ორგანიზული ნაწილი ამ ძეგლისა, არამედ შემდეგ არის ჩართული ლეონტი მროველის თხზულებაში.

#### 4. გეოგრაფიული ცნობები.

ამ ორი ტექსტის სხვაობას ნიშანდობლივ ამჟღავნებს კერძოდ ის გარემოება, რომ გეოგრაფიული ცნობები, რომელიც წარმოდგენილია მეორე ტექსტში, არ უდგება ლეონტი მროველის თხზულების ტექსტს. ასე მაგალითად:

ა) მეორე ტექსტში სისტემატურად მეორდება ცნობა, რომ დაბა ბოდინი (ბოდბე) მდებარეობს კახეთში, ე. ი. საკუთრივ „ქართლის“ (იბერიის) ტერიტორიაზე. (ცნება „ქართლი“ აქ აღებულია ზოგადი მნიშვნელობით „იბერია“-ს. ხოლო ეს არსებითად ეწინააღმდეგება პირველი ტექსტის (ე. ი. ლეონტი მროველის თხზულების) ჩვენებას. ლეონტი მროველის ტექსტის თანახმად ბოდინი მდებარეობს არა ქართლში, არამედ ჰერეთში, საზღვარი ქართლისა და ჰერეთისა ლეონტის ჩვენების თანახმად არის გულგულა, თელავის ჩრდილოეთით, ასე რომ არათუ ქიზიყი და ბოდბის მხარე, არამედ დიდი ნაწილი ეხლანდელი კახეთისა აქ იგულისხმება ჰერეთის ტერიტორიაზე<sup>1</sup>.

ბ) მეორე ტექსტში ჩვენ გვხვდება ტერმინი „აფხაზეთი“ (გლოსსა ანდრია მოციქულის შესახებ)<sup>2</sup>. ხოლო პირველ ტექსტში ტერმინი „აფხაზეთი“ სრულებით უცნობია და მთელი დასავლეთი საქართველო აქ სისტემატურად მოხსენება „ეგრისი“-ს სახელით<sup>3</sup>.

დანარჩენი გეოგრაფიული ცნობებიც მეორე ტექსტისა აგრეთვე არ უდგება პირველი ტექსტის ჩვენებას. ასე მაგალითად, ტერმინი „კავკასია“, „კავკასე თავიდან“. 2. ეს ირკვევა აგრეთვე თვით ლეონტი მროველის ტექსტის ჩვენებიდან, სადაც ცნება „მოქცევა“ გადმოცემულია ტერმინით „ცხოვრება“ (იხ. გვ. 52, სადაც ავთანელოსის მოთხრობას—„მოქცევა სომხითისა“-ს ეწოდება „ცხოვრება სომხითისა“).—აღნიშნავთ ამასთან, რომ სხვა ძველი ქართული ტექსტების მიხედვითაც დასტურდება, რომ ტერმინი „ცხოვრება“ აღნიშნავდა ცნებას „მოქცევა“.

<sup>1</sup> ამ საყურადღებო ცნობას, რომელსაც მნიშვნელობა აქვს ლეონტი მროველის თხზულების თარიღის საკითხისათვის, უფრო დაწვრილებით ვხვებით ქვემოთ.

<sup>2</sup> იხ. გვ. 30.

<sup>3</sup> ამ პოლიტიკურ-ტომობრივი ტერმინების „ეგრისი“-ს და „აფხაზეთის“-ს შესახებ, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლეონტი მროველის თხზულების თარიღის დასადგენად, დაწვრილებით საუბარი გვექნება ქვემოთ.



სიანნი“ (—პირველ ტექსტში „კავკასიანნი“ აღნიშნავს ჩერქეზთა მოდგმის ტომებს), ცნობა ჭარბალთა შესახებ, ცნობა ჯავახეთზე და მტკვრის სათავეებზე<sup>1</sup> და სხვ.

ასეთი განსხვავება ამ ორი ტექსტისა გეოგრაფიული ცნობების ხაზით მეტად საგულისხმოა. საჭმე ის არის, რომ პირველი ტექსტის ავტორი ლენტი მროველი განსაკუთრებულად გამოწველილვით ეხება გეოგრაფიას, საკუთრივ ისტორიულ გეოგრაფიას, ეს დარგი მას განსაკუთრებულის ზედმიწევნობით, პრეციზულად აქვს დამუშავებული. ამის გამო, თუკი მეორე ტექსტი ლენტი მროველს ეკუთვნოდეს, შეუძლებელია მას არ მოეხდინა გეოგრაფიული ცნობების უნიფიკაცია, არ შეეფარდებინა თავისი მოთხრობის ძირითად ტექსტთან.

### 5. დანარჩენი რეალიები.

ამ ორი ტექსტის სხვაობის მაჩვენებელია აგრეთვე მთელი რიგი სხვა რეალიებისა.

ა) მეორე ტექსტში მირიანის „თანამედროვე“ სპარსთა მეფის სახელი უცნობია; იგი მოიხსენება მხოლოდ ეპითეტებით: „ხუარა“, „ხუარან ხუარა“. (იხ. გვ. 94). ხოლო პირველ ტექსტში ეს სპარსთა მეფე მოხსენებულია „ბარტამი“-ს (sic) სახელით (იხ. გვ. 51).

ბ) მეორე ტექსტში—სისტემატურად იხსენება ქართველთა სამლოცველო ოთხი კერპი. ხოლო პირველი ტექსტი ახსენებს შვიდ კერპს (იხ. გვ. 49 და სხვ.).

გ) მეორე ტექსტში აღნიშნული დეტალები კერპების გაცის და გაცას (გაიმის) შესახებ—განსხვავდება პირველი ტექსტის ჩვენებიდან<sup>2</sup>.

დ) მეორე ტექსტში ex abrupto ჩნდება ახალი პერსონაჟი, რომლის ვინაობის შესახებ პირველმა ტექსტმა არაფერი იცის (—პეროჟავრა სინეილი, რომელიც მეორე ტექსტში მნიშვნელოვან პიროვნებად არის წარმოდგენილი, და რომელიც სწერს ნინოს ბიოგრაფიას სალომე უჯარმელთან ერთად).

ე) მეორე ტექსტში არაფერია ნათქვამი ჰერეთის გაქრისტიანების შესახებ. ხოლო პირველი ტექსტის ერთი გადმონაშთის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ლენტი მროველს მოთხრობილი ჰქონია არა მარტო ქართლის (იბერიის), არამედ ჰერეთის (დასავლეთ ალვანიის) გაქრისტიანების ამბავიც. სახელდობრ მას შემდეგ, სადაც თავდება იოანე დეკანოზის ჩართული დამატება და ხელახლა იწყება ლენტი მროველის ძირითადი ტექსტი, აქ ამ შემდგეს მოთხრობაში, ჰერეთი უკვე გაქრისტიანებულ ქვეყნად იგულისხმება და მოთხრობის

<sup>1</sup> ასე, კერძოდ ცნობა მტკვრის სათავეს შესახებ. მეორე ტექსტის ჩვენებით მტკვრის სათავე არის ჯავახეთში; მტკვარი იწყება ფარაენის ტბიდან, ე. ი. მტკვრის სათავედ აქ იგულისხმება მისი შემდინარე ფარაენის-წყალი. ხოლო ლენტი მროველი მტკვრის სათავეს იგულისხმებს არტაანის მხარეში.

<sup>2</sup> პირველი ტექსტის ჩვენების თანახმად კერპები გაცი და გამი ვერცხლისაგან იყო გამოქანდაკებული (იხ. გვ. 16). ხოლო მეორე ტექსტის ავტორს ეს ავიწყდება და პირდაპირ იმეორებს ფსევდო-ვიკრატული ნინოს ცხოვრების ცნობას გაცის ოქროს კერპის შესახებ (იხ. გვ. 71).

ბოლოსიტყვაობის სახით აღნიშნულია: „მირიან მეფემან განამტკიცა ყოველი ქართლი და ჰერეთი სარწმუნოებასა ზედა“<sup>1</sup>. ზევით კი, მეორე ტექსტში, როგორც აღვნიშნეთ, ჰერეთის გაქრისტიანების შესახებ არაფერია ნათქვამი. უნდა გვახსოვდეს ამასთან, რომ ლეონტი მროველს ქართლი (იბერია) და ჰერეთი (დასავლეთი ალვანია) ორ სხვადასხვა ქვეყნად მიაჩნია, სხვადასხვა ეროვნულ-კულტურულ კოლექტივად (იხ. ამის შესახებ უფრო დეტალურად ქვემოთ). ცხადი ხდება ამის მიხედვით, რომ ჰერეთის გაქრისტიანების შესახებ საუბარი ყოფილა იმ პირველ ძველ ტექსტში, რომელიც ეხებოდა ქრისტიანობის გავრცელებას, და სადაც, როგორც ჩანს, მოთხრობილიყოფილა არა მარტო ქართლის (იბერიის), არამედ ქართლთან დაკავშირებული ჰერეთის (დასავლეთ ალვანიის) გაქრისტიანების ამბავიც. ხოლო იოანე დეკანოზი თავის ახალ დამატებაში ქართლისა და ჰერეთის ქრისტიანობის საერთო შთამომავლობის შესახებ არას ამბობს (—ცხადია დოგმატიკურ მოსაზრებათა გამო, რადგან შემდეგ ხანაში ქართული ქრისტიანობის კავშირი ალვანურ და სომხურ ქრისტიანობასთან—სარწმუნოებრივ საცთურად ითვლებოდა) და დუმილით უვლის ჰერეთის გაქრისტიანების ამბავს.

ვ) რომ ლეონტი მროველის პირველი ძველი ტექსტის ის ნაწილი, რომელიც ქრისტიანობის გავრცელებას ეხებოდა (და რომელიც შემდეგ იოანე დეკანოზს ამოუღია და რომლის ნაცვლად მას თავისი მეორე დამატება ჩაუკერებია), — რომ ეს პირველი ძველი ტექსტი ლეონტი მროველისა სხვანაირად აგვიწერდა ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას, ეს ჩანს აგრეთვე სხვა გადმონაშთების მიხედვითაც. ასე, იოანე დეკანოზის ამ მეორე ტექსტის მიხედვით ქრისტიანობის გავრცელების პირველ ხანაში—მირიანის დროს—ეკლესიები აშენებულ იქნა შემდეგს სამ პუნქტში: მცხეთაში, ერუშეთში და მანგლისში<sup>2</sup>. ხოლო მას შემდეგ, როდესაც თავდება იოანე დეკანოზის დამატება და ხელახლა იწყება ლეონტი მროველის ძველი ტექსტი, აქ სრულიად მოულოდნელად ვიგებთ, რომ ეკლესია აგებული ყოფილა გარდა დასახელებული სამი პუნქტისა აგრეთვე წუნდშიაც<sup>3</sup>. ამრიგად, როგორც ვხედავთ, იოანე დეკანოზს, რომელიც უბრალო კომპილატორი ყოფილა, მექანიკურად ამოუღია ლეონტი მროველის ისტორიიდან ის ნაწილი, რომელიც ქრისტიანობის გავრცელებას ეხებოდა, და მის მაგიერ ჩაუკერებია ახალი დამატება, ძირითადად დაშვებული ფსევდო-ეპიგრაფულ ნინოს ცხოვრებაზე, ხოლო ის კი შემუმჩნევლად დარჩენია, რომ ლეონტი მროველის შემდეგი მოთხრობის ზოგიერთი დეტალები (—და კერძოდ ცნობა წუნდის შესახებ, ისევე როგორც ცნობა ჰერეთის გაქრისტიანების შესახებაც)—ეწინააღმდეგებოდა მის მიერ დამატებული ტექსტის მოთხრობას. როგორც ვნახეთ, ეს პირველი შემთხვევა არ არის. იოანე დეკანოზი არც კი ცდილა თავისი დამატება ბოლომდე შეეფარდებინა ლეონტი მროველის მოთხრობასთან და პირდაპირ შეიმჩნევა ის

<sup>1</sup> იხ. გვ. 109.

<sup>2</sup> იხ. გვ. 99.

<sup>3</sup> იხ. გვ. 113.



თეთრი ძაფები, რომლითაც მისი დამატება მიკერებულია ლეონტი მროველის ტექსტთან. (ტექსტების ერთიმეორისაგან დაცილება იქამდისაც კი მიდის, რომ, როგორც ეს ზემოთ გვქონდა აღნიშნული, იოანე დეკანოზს არც კი შეუცვლია ფსევდო-ეპიგრაფული ნინოს ცხოვრების თვით თავების სათვალავიც კი და არ შეუფარდებია იგი ლეონტი მროველის ძირითადი ტექსტის თავების სათვალავთან).

\*

ჩვენ შეგვეძლო კიდევ გაგვეგრძელებინა სია ამგვარ ნიშნულობათა, რომელთა მიხედვით ირკვევა ამ ორი ტექსტის სხვადასხვადროინდელი წარმოშობა. მაგრამ ჩვენი დებულების ცხადსაყოფად მოყვანილი მაგალითებიც საკმარისად უნდა ჩაითვალოს.

ირკვევა მაშასადამე შემდეგი:

1. ერთის მხრით ბიბლიოგრაფიული უწყება „მეფეთა ჰამბავი“-ს შესახებ ვადმოგვცემს, რომ აქ ორი ავტორის ტექსტია წარმოდგენილი, ძველი—ლეონტი მროველისა და ახალი—იოანე დეკანოზისა.

2. მეორე მხრით თითონ ნაწარმოების ანალიზი გვიჩვენებს, რომ აქ წარმოდგენილია ორი განსხვავებული ტექსტი, ორი განსხვავებული პლასტი. ძირეული ნაწილი „მეფეთა ჰამბავისა“ ეკუთვნის ერთ ავტორს, ხოლო მეორე ტექსტი შემდეგ არის ჩამატებული სხვა ავტორის მიერ.

ამრიგად, ასეთი შეხვედრა ამ ორი დამოუკიდებელი ჩვენებისა ჩვენ გვაძლევს მკვიდრ საბუთს დავასკვნათ, რომ ავტორი ამ ძეგლის პირველი ძირეული ნაწილისა არის ლეონტი მროველი, ხოლო ავტორი შემდეგ დამატებული მეორე ტექსტისა არის იოანე დეკანოზი.

ეს პირველი დებულება ავტორების შესახებ.

შემდეგ: ჩვენ ვნახეთ, რომ ამ ორი ავტორის ტექსტი იმდენად არსებითად განსხვავდება ერთიმეორისაგან, რომ ჩვენ შეძლება გვაქვს ზედმიწევნით გამოვარკვიოთ მათი ფარგლები, თუ სად თავდება ერთი ავტორის ტექსტი და სად იწყება მეორე. ირკვევა შემდეგი:

1. შემდეგი დროის ავტორს, ე. ი. იოანე დეკანოზს, როგორც ვნახეთ, ეკუთვნის განსაზღვრული ნაწილი „მეფეთა ჰამბავი“-სა, სახელდობრ ის ნაწილი, რომელიც ეხება ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში. იოანე დეკანოზს, როგორც ირკვევა, არ აკმაყოფილებდა ის გაშუქება ამ საკითხისა, რომელიც წარმოდგენილი იყო „მეფეთა ჰამბავი“-ს პირველ დედანში, ამიტომ მას მექანიკურად ამოუღია ეს ნაწილი ქრისტიანობის გავრცელების შესახებ და მის ნაცვლად ჩაუმატებია თავისი ახალი დამატება.

იოანე დეკანოზის ეს ნაშრომი, როგორც აღვნიშნეთ, არ არის ორიგინალური, არამედ წარმოადგენს უბრალო კომპილაციას; იგი ძირითადადში იმეორებს ფსევდო-ეპიგრაფული ნინოს ცხოვრების ტექსტს, და ამას გარდა ნაწილობრივ გამოყენებულია ცნობები სხვა წყაროებიდანაც (რიფსიმეანთა ცხოვრებიდან, ქართლის მოქცევის მატანიდან, ანდრიას მიმოსვლიდან და სხვ.).

2. იოანე დეკანოზის ამ მექანიკური დამატების გამოკლებით ჩვენ გვრჩება „მეფეთა ჰამბავე“-ს ძირეული ტექსტი, რომელიც ეკუთვნის ლეონტი მროველს. ეს ტექსტი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორ-სამ პატარა ინტერბოლაციას, უცვლელად შენახულა, იგი ერთს განუკვეთელ მთლიან წარმოადგენს. მთელი ეს ძირეული ტექსტი დაწერილია ერთის მონუმენტალური ეპიკური სტილით, რომელიც თავით ბოლომდე გასდევს ამ ნაწარმოებს; ნაწარმოების ყველა ნაწილში სრული იგივეობაა—როგორც ფორმით, სალიტერატურო მანერით, კომპოზიციური აღნაგობით, ისე საისტორიო მეთოდებით, ისე მსოფლმხედველობით. ეს თხზულება ლეონტი მროველისა შეიცავს ერთს მთლიან ისტორიულს, ანუ უფრო სწორედ ისტორიულ-ეპიკურ მოთხრობას საქართველოს შესახებ უძველესი მითიური ეპოქიდან დაწყებული ვიდრე მე-5 საუკუნემდე ჩვენი წელთაღრიცხვისა. აქედან დაკარგულია ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში და რომელიც ამოუღია იოანე დეკანოზს<sup>1</sup>.

\*

ამრიგად, ჩვენს წინაშე არის ორი ნაწარმოები: 1. ლეონტი მროველის „მეფეთა ჰამბავე“; 2. იოანე დეკანოზის კომპილაციური დამატება—ქრისტიანობის გავრცელების შესახებ საქართველოში.

ამის შემდეგ ჩვენ შევუდგებით იმის გამორკვევას, თუ როდის არის დაწერილი ლეონტი მროველის თხზულება და იოანე დეკანოზის დამატება.

7

### თარიღი იოანე დეკანოზის დამატებისა

მეორე ტექსტის—იოანე დეკანოზის შემატების შესახებ ჩვენ შეგვიძლია დავამყაროთ ილდეთ მოკლე შენიშვნით, რადგან ეს კითხვა შედარებით მარტივია.

იოანე დეკანოზის კომპილაცია შეტანილია „მეფეთა ჰამბავეში“ საკმაოდ გვიან, სახელდობრ მე-11 საუკუნეში.

იოანე დეკანოზის შემატება, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად ამოკიდებულია ფსევდო-ეპიგრაფული ნინოს ცხოვრებიდან. ფსევდო-ეპიგრაფული

<sup>1</sup> აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან შემდეგი, როგორც ირკვევა, ზოგიერთი ფრაგმენტი ლეონტი მროველის თხზულების იმ ნაწილისა, რომელიც ქრისტიანობის გავრცელებას ეხებოდა, ჩართულია ექსცერპტულად იოანე დეკანოზის დამატებაში. იოანე დეკანოზს ეს ძველი ტექსტი ლეონტი მროველისა გამოუყენებია როგორც ერთ-ერთი წყარო. იოანე დეკანოზს ფუძედ თავისი დამატებისათვის აუღია ფსევდო-ეპიგრაფული ნინოს ცხოვრება, ხოლო ცალკეული ნაწყვეტები ლეონტი მროველის ძველი ტექსტიდან, რომელიც მისაღებად მიუჩნევია იოანე დეკანოზს, ამოუკრებია ლეონტის ამ ძველი ტექსტიდან და ჩაუყერებია აქა-იქ თავის დამატებაში (იოანე დეკანოზი აქ მიმართავს თავის ჩვეულებრივს მეთოდს, კომპილაციის წესს).—თუ სახელდობრ რა ნაწილები არის შემონახული ლეონტი მროველის ამ ძველი ტექსტიდან იოანე დეკანოზის დამატებაში, ეს ცალკე საკითხია, და ამას სპეციალურად სხვა ადგილას ვუხებთ.



ნინოს ცხოვრება საკმაოდ ძველი თხზულებაა. (როგორც ეს დადგენილი გვაქვს სპეციალურ ნარკვევში, — ფსევდო-ეპიგრაფული ნინოს ცხოვრება, ტექსტში და-  
ცული კალენდარული ჩვენების მიხედვით, „დაწერილია“ „დიდი კანონი“-ს ანუ  
„იერუსალიმის წესისა და განჩინების“ გამოქვეყნების წინ, მე-8 საუკუნის შუა  
წლებში)<sup>1</sup>. მაგრამ იოანე დეკანოზს თავისი კომპილაციის შედგენის დროს ხელ-  
თა ჰქონია არა პირვანდელი დედანი ამ თხზულებისა, არამედ მისი გვიანდელი  
რედაქცია, რომელიც უკვე შევსებული ყოფილა შემდგომი ხანის დამატებით  
(სახელდობრ იოანე დეკანოზის ტექსტში უკვე მოიპოვება დანართი თავი: „ად-  
მატებამ პატრიონისა ჯუარისა მცხეთისა და მერმე კუალად გამოჩინებამ  
მისი“<sup>2</sup>).

შემდეგ: იოანე დეკანოზი უკვე იცნობდა ლეგენდას ანდრია მოციქულის  
ქადაგების შესახებ საქართველოში. მართალია ამ ლეგენდას ქართული ლიტე-  
რატურული წრეები გაცნობილი ყოფილან ჯერ კიდევ მე-9 საუკუნეში (როგორც  
ეს ირკვევა „აბუჯურაჲ“-ს ქართული ტექსტიდან), მაგრამ ეს ლეგენდა  
საბოლოოდ განმტკიცდა ქართულს მწერლობაში და მან საყოველთაო გავრცე-  
ლება მოიპოვა მე-11 საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც ვანთქმულმა ქართველ-  
მა მწერალმა ეფთიმე იბერიელმა (მთაწმინდელმა) დაამუშავა ქართულს ენაზე  
„მოსაჯსენებელი მიმოსლვათათჳს და ქადაგებათა მოციქულისა ანდრეასი“. იოანე  
დეკანოზი, როგორც ამას გვიჩვენებს ტექსტუალური შეხვედრა, დამოკიდებუ-  
ლია ეფთიმე იბერიელის ტექსტიდან.

იოანე დეკანოზი იცნობდა აგრეთვე ჯუანშერის სახელით წარწერილს  
მატიანეს— „წიგნი ქართველთა ცხოვრებისა ვახტანგ მეფისითგან ვიდრე არჩილ  
მეფედმდე“. (იოანე დეკანოზის დამოკიდებულება ჯუანშერისეული მათიანიდან  
ცხადი გახდება, როდესაც ქვემოთ განვიხილავთ იოანე დეკანოზის მიერ განახ-  
ლებულს მეორე ტექსტს: „წამება არჩილისი“). ხოლო ჯუანშერისეული მათიანე,  
როგორც ირკვევა, დაწერილია 872—912 წლებს შორის<sup>3</sup>.

როდესაც ვითვალისწინებთ ზემოთაღნიშნულს, და კერძოდ კი იმ გარე-  
შეობას, რომ იოანე დეკანოზი გაცნობილი ყოფილა ეფთიმე იბერიელის ტექსტს  
მე-11 საუკუნის დასაწყისისა („მოსაჯსენებელი მიმოსლვათათჳს და ქადაგებათა  
მოციქულისა ანდრეასი“), ცხადი ხდება, რომ იოანე დეკანოზი მე-11 საუკუნის  
დასაწყისზე ადრინდელი ხანის მწერალი არ არის.

მეორე მხრივ იოანე დეკანოზის მოღვაწეობა მე-11 საუკუნეზე გვიან  
დროსაც ვერ მიეკუთვნება:

1. იოანე დეკანოზს არა აქვს გამოყენებული ეფრემ მცირის „უწყება მი-  
ზეზსა ქართველთა მოქცევისსა“, რომელიც მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში  
გამოქვეყნდა და რომლის დებულებანი მას შემდეგ ოფიციალურად იქნა მიღე-  
ბული ქართული ეკლესიის მიერ.

<sup>1</sup> იხ. პ. ი. ნ ვ ო რ ო ყ ვ ა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა (ყურანალი  
„მნათობი“, 1939 წ. № 10—11, გვ. 269—271).

<sup>2</sup> ამ დანართი თავის შესახებ იხ. იქვე, გვ. 269—271.

<sup>3</sup> თაბრილის საკითხი ჯუანშერის სახელით წარწერილი მათიანისა განხილული გვაქვს  
ცალკე ნარკვევში.

2. რომ იოანე დეკანოზის დამატება არ ეკუთვნის მე-11 საუკუნეზე გვიან დროს, ეს ჩანს თვით ტექსტის ენობრივი ნიშნების მიხედვით. იოანე დეკანოზის ტექსტებში, არც იმ დამატებაში—რომელიც მან „მეფეთა ჰამბავში“ შეიტანა და არც „არჩილის წამების“ განახლებულ ტექსტში,—არ არის არავითარი კვალი იმ ხელოვნური ენობრივი ნორმებისა, რომელიც განმტკიცდა საეკლესიო მწერლობის ენაში მე-11 საუკუნის დასასრულიდან (არსენი იყალთოელისა და იოანე ფილოსოფოსის სკოლა).

3. იოანე დეკანოზის შემატება მოიპოება ქართლის-ცხოვრების კრებულის ძველ-სომხურ თარგმანში. ხოლო ქართლის-ცხოვრება, ჩანს, ითარგმნა ქართულიდან სომხურად მე-12 საუკუნის პირველ ნახევარში.

4. იოანე დეკანოზის ტექსტებს, ჩართულს ქართლის-ცხოვრების კრებულში, იცნობენ მომდევნო ხანის მწერლები: ნიკოლოზ გულაბერისძე ქართლის კათალიკოზ-პატრიარქი (მე-12 საუკუნე) და არსენი მონაზონი (მე-13 საუკუნე); ხოლო „არჩილის წამების“ განახლებულ ტექსტს იცნობს არჩილის მეტაფრასტი. (12—13 სს).

ამრიგად, როდესაც შევაჯამებთ ზემოთაღნიშნულს, ჩვენ საფუძველი გვეძლევა დავასკვნათ, რომ იოანე მე-11 საუკუნის მწერალია.

## 8

## თარიღი ლეონტი მროველის თხზულებისა

ამის შემდეგ განვიხილავთ ძირითადს საკითხს, თუ როდის არის დაწერილი თვით ლეონტი მროველის თხზულება „ჰამბავი მეფეთა“ ანუ „ცხოვრება მეფეთა“, ძველი, რომლის სრული სახელწოდება შემდეგია:

„ჰამბავი (ცხოვრება) ქართველთა [მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“.

ძველი, როგორც ირკვევა, დაწერილია მე-9 საუკუნეში, უფრო ზუსტად მე-8 საუკუნის პირველ ნახევარში.

ძველის ეპოქა ირკვევა შემდეგ სათარიღო მაჩვენებელთა მიხედვით.

\*

1. ლეონტი მროველის ნაწარმოებში პირველ ყოვლისა ჩვენს ყურადღებას იპყრობს ქართველ-სომეხთა კულტურული ურთიერთობის გაშუქება. ლეონტის „მეფეთა ჰამბავ“-ში ჩვენ ვერ ვამჩნევთ ვერავითარ ანარეკლს იმ გამწვავებულ დამოკიდებულებისა, რომელიც არსებობდა ქართველთა და სომეხთა შორის სარწმუნოებრივ ნიადაგზე (და აგრეთვე პოლიტიკურ ნიადაგზედაც). პირიქით, ამ ნაწარმოებს ახასიათებს გარკვეული კეთილგანწყობილი დამოკიდებულება სომეხეთის მიმართ<sup>1</sup>.

ეს ნიშნულობა იძლევა გარკვეულს სათარიღო მიჯნას, რომლის უგვიანეს არ დაწერილა ეს თხზულება. ის ახლო კულტურული ურთიერთობა ქართველთა და სომეხთა შორის, რომლის ანარეკლს ჩვენ ვხედავთ ლეონტი მროველის

<sup>1</sup> იხ. „მეფეთა ჰამბავი“-ს სხვადასხვა ადგილები: განსაკუთრებით გვ. 3 და 47; აგრეთვე 1; 2<sub>4-7</sub>; 6; 12—13; 13<sub>25</sub>; 29<sub>25</sub>; 31; და სხვ.



თხზულებაში, არსებობდა არა უგვიანეს მე-7—8 საუკუნეებისა. მომდევნო ეპოქაში, მე-8 საუკუნიდან მოკიდებული (როდესაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა განხეთქილება ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის), და მით უფრო მე-9—11 საუკუნეებში (როდესაც საეკლესიო განხეთქილებას თან დაერთო გამწვავება პოლიტიკური ურთიერთობისა) ყოვლად წარმოუდგენელია ასეთი ნაწარმოების დაწერა. ამ მომდევნო ეპოქაში არათუ არ იწერებოდა ამგვარი ხასიათის თხზულებანი, პირიქით ამ დროს ცდილობდნენ მოესპოთ ყოველგვარი ნაშთი იმისა, რაც უჩვენებდა ქართველთა და სომეხთა კულტურულ ერთობას წარსულში. ამრიგად, აქ ჩვენ გვაქვს სრულიად გარკვეული სათარიღო მაჩვენებელი.

\*

შემდეგ, ლენტი მროველის „მეფეთა ჰამბავის“ დასათარიღებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურს, ეთნოგრაფიულს და გეოგრაფიულ ცნობებს, რომელსაც შეიცავს ეს თხზულება. ძეგლში წარმოდგენილია სწორედ ის მდგომარეობა, რომელიც არსებობდა მე-7—8 საუკუნეებში.

საქართველოს გეოგრაფიის მიმოხილვას დავიწყებთ სამხრეთიდან.

## 2. ცნობა პროვინცია ტაო-სპერის შესახებ.

ლენტი მროველს ტაო-სპერის პროვინცია სომხურ ქვეყანად მიაჩნია. „მეფეთა ჰამბავის“ ერთ ადგილას აღნიშნულია, რომ სახლვარი საქართველოსი და სომხეთისა არის მთა, რომელიც მდებარეობს „შორის კლარჯეთსა და ტაოსა, ვიდრე ზღუამდის“ (იხ. გვ. 218). სხვა ადგილას კიდევ ლენტი აღნიშნავს, რომ „ქუეყანა პარხისა, რომელ არს ტაო“, სომხურ პროვინციას შეადგენს (იხ. გვ. 354).—ასევე იგულისხმება ეს „მეფეთა ჰამბავის“ მთელი ტექსტის მანძილზე.

ასეთი შეხედულება ტაო-სპერის პროვინციის შესახებ გარკვეულ ეპოქას უჩვენებს. ტაო-სპერი, რომელშიაც თაობიდანვე ქართული მოსახლეობა იყო (აქ ქანურ-ქართული ტომები მოსახლეობდნენ), მე-7—8 საუკუნეებში მართლაც სომხეთის გავლენის ზონაში იყო მოქცეული, პოლიტიკურად და ეკლესიურად. ხოლო მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან ტაო-სპერი ისევ საქართველოს ფარგლებში შემოვიდა; მე-9 საუკუნის დასაწყისიდან მოკიდებული ტაო-სპერი, კლარჯეთთან ერთად, ვახდა ციტადელი ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინებისა, აქ გაიშალა დიდი კულტურული მშენებლობა, და ამ დროიდან მოკიდებული ტაო და სპერი ქართულს წყაროებში ყოველთვის მოიხსენება როგორც ძირეული ქართული თემი.

ამნაირად, ლენტის თხზულება გადმოგვცემს იმ მდგომარეობას, რომელიც არსებობდა მე-7—8 საუკუნეებში, და ამის მიხედვით იგი შეუძლებელია დაწერილი იყოს მე-8 საუკუნის მეორე ნახევარზე უფრო გვიან.

## 3. პროვინციები გარდაბანი და გაჩიანი.

იმ დროს, როდესაც ლენტი მროველს ტაო-სპერი სომხურ პროვინციად მიაჩნია, იგი ამავე დროს ძირეულ ქართულ ქვეყნებად სთვლის პროვინციებს: გარდაბანი და გაჩიანი.

გარდაბანის პროვინციის აღმოსავლეთი მიჯნა იყო მდინარე ბერდუჯი, იგივე საგიმი (ცხლანდელი ზაგამი შამქორის ახლო), ხოლო დასავლეთის

მხრით გარდაბანი ესაზღვრებოდა ტაშირის ქვეყნებს. ამის მიხედვით გარდაბანი მოიცავდა ცოტა-მეტნაკლებობით იმავე ტერიტორიას, რასაც შემდეგდროინდელი ყაზახ-შამშადილი.

რაც შეეხება გაჩიანის პროვინციას, იგი შეიცავდა ტაშირსა და მის მიმდებარე ტემებს. ქართული წყაროების ჩვენების თანახმად გაჩიანის პროვინციაში შედიოდა: ლორე-ბამბაკი, აბოცი (მდინარე არფაჩაის სათავეში მდებარე თემი) და ბორჩალო.

პროვინციები გარდაბანი და გაჩიანი ეს არის სამხრეთი ანუ ქვემო ქართლი, „ქართველთა საპიტიახშო“.

გაჩიან-გარდაბანი ვიდრე მე-7—8 საუკუნეებამდე საქართველოს ნაწილს შეადგენს როგორც პოლიტიკურად, ისე მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობის მხრითაც.

ხოლო მე-8 საუკუნიდან მოკიდებული მდგომარეობა შეიცვალა. არაბთა მფლობელობის საბოლოო განმტკიცების შემდეგ ტფილისში, ქართლის ამ სამხრეთ თემებში—ყაზახ-შამშადილსა და ლორე-ბამბაკში—თანდათან მცირდება ქართული მოსახლეობა (რომელიც გადმოდის შიდა-ქართლში, მესხეთში და დასავლეთ-საქართველოში). ამავე დროს ტაშირის ქვეყნებში, ლორე-ბამბაკსა და ყაზახ-შამშადილში თანდათან ძლიერდება სომხური ემიგრაცია, ხოლო მე-9 საუკუნის დასასრულიდან სომხები აქ პოლიტიკურ უპირატესობასაც ღებულობენ. ამ დროიდან იმ პროვინციების მიმართ განმტკიცდა სახელწოდება „სომხითი“.

აღსანიშნავია ამასთან ისიც, რომ გაჩიან-გარდაბანში მონოფიზიტობა თავიდანვე ძლიერი იყო და ადგილობრივი ქართული მოსახლეობის ნაწილი, ჩანს, მონოფიზიტობას აღიარებდა; ამან თავის მხრივ ხელი შეუწყო ამ პროვინციებში სომხური ვავლენის გაძლიერებას.

ამით იყო გამოწვეული, რომ ქართველი ავტორები მე-9 საუკუნის დასასრულიდან—ვიდრე მე-11 საუკუნემდე ამ ქვეყანას სომხურ თემებს მიაკუთვნებენ. ასე, მაგალითად, მე-10 საუკუნის დასაწყისის ქართველ მწერალს სტეფანე მტბევეარს, თხზულებაში „მარტვილობა გობრონისი“, რომელიც 914—918 წლებშია დაწერილი, სომხეთის პროვინციების ჩამოთვლის დროს ტაშირის თემები აღნიშნული აქვს სომხეთის ნაწილად.

ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა მე-11 საუკუნემდე. ხოლო მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-12 საუკუნის დასაწყისში ქართველებმა ხელახლა დაიბრუნეს და შემოიმტკიცეს ეს თემები, და მას შემდეგ ეს თემები საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა.

ამრიგად, ის ჩვენება ლეონტი მროველისა, რომ არა მხოლოდ გაჩიანი (ლორე-ბამბაკის ჩათვლით), არამედ თვით გარდაბანიც (ე. ი. ყაზახ-შამშადილი) ქართულ პროვინციებს წარმოადგენდნენ, გადმოგვცემს სამხრეთ-საქართველოს იმ ეთნოგრაფიულსა და პოლიტიკურ რუკას, რომელიც არსებობდა მე-7—8 საუკუნეებში. ლეონტი, ჩანს, მე-8 საუკუნეზე გვიანი დროის მწერალი არაა. ლეონტი, როგორც ირკვევა, მიუღვამელი ავტორია, და თუკი, თანახმად იმდროინდელი პოლიტიკური გეოგრაფიისა, ლეონტი ტაო-სპერის პროვინციას სომ-



ხურ ქვეყანას ექახის, იგი ცხადია ამასვე იტყოდა გაჩიან-გარდაბანის შესახებაც, თუ რომ მის დროს ეს პროვინციები სომხების გავლენის ზონაში ყოფილიყო მოქცეული.

4. მეტად არაქულია ლენტი მროველის წარმოდგენა ჰერეთის შესახებ. ჰერეთი, როგორც ცნობილია, ერქვა ალვანიის დასავლეთ მხარეს, რომელიც შემდეგ საქართველოს შემადგენლობაში შევიდა.

აღსანიშნავია, რომ ლენტი მროველს ჰერეთი ჯერ კიდევ მიაჩნია საქართველოდან—„ქართლი“-ს ქვეყნიდან (ე. ი. იბერიიდან) განკერძოებულ მხარედ. საინტერესოა შემდეგი პარალელი. ლენტი მროველს კავკასიის ხალხთა გენეალოგიურ შტოში ცალ-ცალკე ჰყავს წარმოდგენილი (ენებისა და დილექტების მიხედვით) მამათათავარი ქართლისა, ეგრისისა და ჰერეთისა. მაგრამ ეგრისი ითვლება საქართველოს განუყოფელ ნაწილად, ჰერეთი კი არა. ასე, ლენტი მროველს ეგრისის თემები შეტანილი აქვს უძველესი დროიდან განწესებული ქართული საერისთავოების სიაში (იხ. გვ. 20—21); ხოლო ჰერეთი ქართულ საერისთავოთა სიაში შეტანილი არაა.

აღსანიშნავია აგრეთვე შემდეგი ადგილი „მეფეთა ჰამზავისა“, სადაც ვკითხულობთ: „და დაუტევა ორმოცი ათასი მხედარი (სპარსთა მეფემან), და არა დასხნა ქართლის საზღვარსა სპარსნი იგი ფიცისა მისთჳს, რომელი ფუცა ქართველთა; არამედ დასხნა ჰერეთს, და მოვაქნეთს, და სომხითს“ (იხ. გვ. 49).

ასეთი შეხედულება შეუძლებელია გამოეთქვა ქართველ მწერალს მე-7—8 საუკუნეზე უფრო გვიან ხანაში.

მე-8 საუკუნიდან მოკიდებული ჰერეთი საბოლოოდ შედის ქართული კულტურის გავლენის ზონაში, ქართული ქვეყნების კოლექტივში.

მე-8 საუკუნის მეორე მესამედში, 744—759 წლებს შორის, ქართლის (იბერიის) მეფე არჩილ, რომელიც არაბთა მფლობელობის „ქამთა-სიავის“ ხანაში დამკვიდრდა და გამაგრდა კახეთ-ჰერეთის სანაპიროზე, აწარმოებს ჰერეთში დიდ კულტურულ მშენებლობას.—მე-9 საუკუნის ქართველი ავტორი—„ვახტანგ გორგასარის ცხოვრების“ აღმწერელი ჰერეთს უკვე ძირეულ ქართულ პროვინციად სთვლის (ქართული საერისთავოების იმ სიას, რომელიც მოყვანილი აქვს ლენტი მროველს, „ვახტანგ გორგასარის ცხოვრება“-ში დამატებული აქვს „ჰერეთი“<sup>1</sup>).—ხოლო მე-10 საუკუნის ნახევარში ჰერეთი ეკლესიურის მხრივაც საბოლოოდ შეუერთდა ქართულ ეკლესიას.

ამრიგად, აქაც ჩვენ გვაქვს იგივე სათარიღო ჩვენება ლენტი მროველის თხზულების შესახებ: დრო არა უგვიანესი მე-7—8 საუკუნეთა.

5. დამოუკიდებელ ინტერესს წარმოადგენს, თუ როგორა აქვს ლენტი მროველს წარმოდგენილი ჰერეთისა და კახეთის საზღვარი. ჯერ კიდევ ანტიკური ხანის წყაროებში საზღვარი იბერიისა და ალვანიისა ნაჩვენებია „კამბიზენე“—ე. ი. კამბეჩანი, ეხლანდელი ქიზიყი. ეს ეთნოგრაფიული საზღვარი არსებობდა ადრეულ საშუალ საუკუნეებშიაც, ქრისტიანობის ეპოქაში. ასე, მე-7 საუკუნის ქართული მატთან „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ავგიწერს რა მე-4 საუ-

<sup>1</sup> იხ. გვ. 165—166 (შდრ. გვ. 20—21).

კუნის პირველი ნახევრის ამბებს (ნინოს ქადაგებას „ქართლის“—იბერიის პროვინციებში), საზღვარს ჰერეთისა და ქართლს შორის აღნიშნავს იმავე ქიზიყის სექტორში. ჩრდილოეთი ნაწილი ქიზიყისა, დაბა „ბოდინი“ (ე. ი. ბოდბე) ნაჩვენებია „ქართლში“—იბერიაში (კახეთის თემში) და არა ჰერეთში<sup>1</sup>.

მიემართოთ ამის შემდეგ ლეონტი მროველის თხზულებას. ჩვენ აქ ვხედავთ არსებითს განსხვავებას სხვა ქართულ წყაროებთან შედარებით. ლეონტი მროველს ჰერეთისა და კახეთის საზღვარი ნაჩვენებია აქვე ბევრად უფრო ჩრდილოეთით, სახელდობრ გულგულა, ე. ი. თელავის მიდამოებში<sup>2</sup>. ამრიგად ჰერეთის ფარგლებში აქ იგულისხმება არა მარტო ქიზიყი და ბოდინის (ბოდბის) მხარე, არამედ დიდი ნაწილი საკუთრივ კახეთისა.

რასაკვირველია არ არის საჭირო სიტყვის გავრცელება იმის შესახებ, რომ ლეონტის თხზულებაში ამ შემთხვევაში ნაჩვენებია პოლიტიკური საზღვარი და არა ეთნოგრაფიული.

ეთნოგრაფიული საზღვარი ქართული მოსახლეობისა ყოველ შემთხვევაში მე-4—7 საუკუნეებში აღწევდა ქიზიყამდე. ამის მომდევნო ეპოქაში ჰერული ენა თანდათან ჰკარგავდა ტერიტორიას ქართული ენის წინაშე და მე-9—10 საუკუნეებში ჰერეთი ეთნოგრაფიულად და ენობრივად უკვე მთლიანად გაქართველბული უნდა ყოფილიყო. ამიტომ ყოველგვარ შესაძლებლობას ვწინააღმდეგება, რომ ეთნოგრაფიული მიჯნა ჰერეთისა მე-4—7 საუკუნეთა შემდეგ ხელახლა გადაწულყო ჩრდილოეთით—ბოდბის სექტორიდან ვიდრე თელავამდე.

ხოლო როდის არსებობდა ასეთი პოლიტიკური საზღვრები ჰერეთისა? როგორც ირკვევა, ასეთი მდგომარეობა იყო სწორედ მე-8 საუკუნის ნახევარში. ასე, მეფე არჩილის დროს, მე-8 საუკუნის შუა წლებში (744—759 წლებს შორის), ჰერეთის ბაგრატიონთა სამფლობელო ნაჩვენებია შაკიხიდან (ე. ი. ნუხიდან) დაწყებული „ვიდრე გულგულამდის“ (იხ. მე-8 საუკუნის მატთანე, რომელიც ექსცერპტის სახით არის დაცული ჯუანშერის სახელით წარწერილს ქრონიკაში. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 210).

ამრიგად, ლეონტი მროველის თხზულება აქაც უჩვენებს იმავე გარკვეულ ეპოქას, მე-8 საუკუნეს.

ხოლო შემდეგ საუკუნეებში ჰერეთის პოლიტიკური საზღვარი ისევ სამხრეთით გადაწულა. ასე, მე-10 საუკუნის დასაწყისში ჰერეთისა და კახეთის პოლიტიკური საზღვარი იყო არა გულგულა, არამედ ვეჯინი<sup>3</sup>.

6. ქართალი. ცნობები რომელსაც შეიცავს ლეონტი მროველის თხზულება ქართლის მთიულეთის ეთნოგრაფიის შესახებ, აგრეთვე, არქაული ეპოქის მაჩვენებელია. ლეონტის ცნობის თანახმად „ქართალში“ (არაგვის მთიულეთის ერთ-ერთ კანტონში) შერჩენილი იყო მოსახლეობა „კავკასიანთა“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> იხ. მოქცევა ქართლისა, ე. თაყაიშვილის გამოცემა, OP, II, 717—718.

<sup>2</sup> იხ. გვ. 2—3.

<sup>3</sup> იხ. მატთანე ქართლისა, გვ. 228.

<sup>4</sup> იხ. „ჰამბავი მეფეთა“, გვ. 23: „ქართალს მსხდომნი კავკასიანნი“. იხ. იქვე გვ. 24: „კავკასიანნი თუნიერ ქართალთა“.



ლეონტი მროველის ეთნოგრაფიული ტერმინოლოგიით „კავკასიანნი“ აღნიშნავს დასავლეთ-კავკასიის მთიელებს ჩერქეზთა ტომისას.

როგორც იყო ეთნოგრაფიული შემადგენლობა მთიულეთისა მე-8 საუკუნეში, რა დროსაც, როგორც ირკვევა, დაწერილია ლეონტის თხზულება, ამის შესახებ ჩვენ სხვა პირდაპირი საისტორიო ცნობები არ მოგვეპოვება. მაგრამ ჩერქეზთა ტომის მოსახლეობა რომ უძველეს ხანაში კავკასიის ქედის სამხრეთითაც გადმოდიოდა, ამისი მაჩვენებელია კერძოდ გეოგრაფიული ნომენკლატურა.

ჩვენი საკითხისათვის ლეონტის თხზულების თარიღის შესახებ აქ საგულისხმოა ის გარემოება, რომ არც ერთს ქართულ საისტორიო ძეგლს მე-8 საუკუნის შემდეგ უკვე აღარ ახსოვს „კავკასიანთა“ მოსახლეობის ნაშთი მთიულეთში.

### 7. აფხაზეთი.

ლეონტი მროველის თხზულებაში დასავლეთ საქართველოს ვიდრე ლიხის მთამდე ეწოდება სახელი: „ეგრისი“. (სახელწოდება „ეგრისი“, როგორც პოლიტიკური ტერმინი, არის ქართული შესატყვისი ბერძენი ავტორების სახელწოდებისა: „ლაზიკე“).

ეს სახელწოდება „ეგრისი“ ლეონტი მროველის თხზულებაში მიემართება დასავლეთ საქართველოს არა ერთ-ორ ადგილას, არამედ სისტემატურად, მთელი თხზულების მანძილზე. ლეონტი არ იცნობს შემდგომი ხანის პოლიტიკურ ტერმინს „აფხაზეთი“. ხოლო მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოში აფხაზთა დინასტია დამკვიდრდა და ამ დროიდან მოკიდებული მთელ იმიერ-საქართველოს მიეკუთვნა „აფხაზეთი“-ს სახელი.

ქართული საისტორიო წყაროების ჩვენებათა მიხედვით შესაძლოა სრულეობით ზუსტად განვსაზღვროთ, თუ სახელდობრ რა დროს მოხდა აფხაზთა დინასტიის დამკვიდრება ლიხთ-იმერეთში, და რა დროიდან ლეულლობს გავრცელებას ეს ახალი პოლიტიკური ტერმინი „აფხაზეთი“.

იმ ცნობების მიხედვით, რომელსაც გადმოგვცემენ ძველი ქართული საისტორიო ძეგლები „მატიანე ქართლისაჲ“, „დივანი მეფეთა“ და მე-8 საუკუნის ქართველი მწერალი იოვანე სამანის-ძე, ირკვევა შემდეგი:

„მე-8 საუკუნის 50-იან წლებში აფხაზეთის თემის (ეთნოგრაფიული აფხაზეთის) მფლობელი ხდება ლეონ, „ეგრისთავი აფხაზთა“, შემდგომ მთელი ლიხთ-იმერეთის გამაერთიანებელი<sup>1</sup>.

მას შემდეგ, მე-8 საუკუნის 70-იან წლებში (არა უადრეს 771 წლისა და არა უგვიანეს 781 წლისა) ლეონ გახდება მპყრობელი მთელი ლიხთ-იმერეთისა, ვიდრე ლიხის მთამდე<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ლეონ გარდაიცვალა 800 წლის ახლო, ხოლო „მეფეთა დივანი“-ს ცნობით ლეონის მფლობელობა გაგრძელდა 45 წელი. ამის მიხედვით ლეონის მფლობელობის დასაწყისი უწყებს მე-8 საუკუნის 50-იან წლებს.

<sup>2</sup> „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობით ლეონ გახდა მპყრობელი ლიხთ-იმერეთისა არა უადრეს 771 წლისა (ეს მომხდარა ჯუანშერის ხახართა ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა 771 წელს). ამავე დროს ისიც ირკვევა, რომ ლეონის დამკვიდრება ლიხთ-



დაწყებული ამ დროიდან, მე-8 საუკუნის 70-იან წლებიდან ვიდრე 90-იან წლებამდე ლეონ მფლობელი ლიხთ-იმერეთისა ატარებს ჯერ „მთავრის“ (აფხაზთა მთავრის) სახელს, ხოლო მე-8 საუკუნის 90-იან წლებში იგი მიიღებს „აფხაზთა მეფის“ ტიტულს<sup>1</sup>.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ჯერ კიდევ მე-8 საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც მთელი იმიერი საქართველო ფაქტიურად გაერთიანდა აფხაზთა დინასტიის მფლობელობის ქვეშ, დასავლეთ საქართველოს უკვე ამ დროიდანვე მიეკუთვნა ეს ახალი პოლიტიკური შინაარსის სახელწოდება „აფხაზეთი“. მე-8 საუკუნის ქართველი მწერალი იოვანე საბანის-ძე, ავგიწერს რა ნერსე ქართლის ერისმთავარის ვადასვლას იმიერ-საქართველოში 781 წელს, ლიხთ-იმერეთს უკვე მოიხსენებს მხოლოდ ამ ახალის სახელწოდებით „აფხაზეთი“.

ამრიგად, დაწყებული ამ ეპოქიდან, მე-8 საუკუნის 70-იანი წლებიდან მოკიდებული, ძველი პოლიტიკური ტერმინი „ეგრისი“ გამოდის ხმარებიდან და საყოველთაო გავრცელებას ღებულობს ეს ახალი პოლიტიკური ტერმინი „აფხაზეთი“.

მაშასადამე აქ ჩვენ ვღებულობთ სრულიად გარკვეულს დამატარიღებელს ჩვენებას. ის გარემოება, რომ ლეონტი მროველი დასავლეთ საქართველოს სისტემატურად მოიხსენებს მხოლოდ სახელწოდებით „ეგრისი“ და ჯერ კიდევ არ იცნობს ახალი პოლიტიკური შინაარსის სახელწოდებას „აფხაზეთი“, — გვიჩვენებს რომ ლეონტი მროველის თხზულება არ არის დაწერილი მე-8 საუკუნის 70-იან წლებზე გვიან დროს.

\*

მაგრამ ეს სათანადო ჩვენება შესაძლოა კიდევ უფრო დაზუსტდეს.

საქმე ის არის, რომ ლეონტი მროველი არ იცნობს სახელწოდებას „აფხაზეთი“ არა მხოლოდ მისი ფართო პოლიტიკური მნიშვნელობით, როგორც დასავლეთ საქართველოს სინონიმს, არამედ ლეონტი მროველი მთელი თხზულების მანძილზე საერთოდ არ მოიხსენებს აფხაზთა ტომს. ეს გარემოება განსაკუთრებით საგულისხმოა, თუ გავითვალისწინებთ ლეონტი მროველის თხზულების მიზანდასახულობასა და საერთო გეგმას. ლეონტი მროველი თავის თხზულებაში მიზანდასახულობასა და საერთო გეგმას. ლეონტი მროველი თავის თხზულებაში მიზანდასახულობასა და საერთო გეგმას. ლეონტი მროველი თავის თხზულებაში მიზანდასახულობასა და საერთო გეგმას. ლეონტი მროველი თავის თხზულებაში მიზანდასახულობასა და საერთო გეგმას.

ა) ქართველები და მისი ცალკე ტომები: „ქართველნი“ (იბერიელები), მეგრელები, სუანნი;

იმერეთში მომდარა არა უგვიანეს 781 წლისა, რადგან ამდროს, 781 წლისათვის, ლეონ უკვე მთელი ლიხთ-იმერეთის მფლობელად მოიხსენება (იხ. იოანე საბანის-ძე).

<sup>1</sup> 781—786 წლებში, როგორც ეს ჩანს იოანე საბანის-ძის თხზულებიდან, ლეონ ჯერ კიდევ „მთავრის“ ტიტულს ატარებდა. ამის მიხედვით, მეფის ტიტული ლეონს მიუღია 786 წლის შემდეგ, 786—800 წლებს შორის.

პროფ. ს. ჯანაშია, ნარკვევი „О времени и условиях возникновения абхазского царства“, ლეონის მიერ მეფის ტიტულის მიღებას აგრეთვე ამავე ხანას (მე-8 საუკუნის 90-იან წლებს) მიაკუთვნებს (იხ. ენიციკ-ს მოამბე, VIII, გვ. 137—152).



- ბ) ქართველთა მონათესავე ალვანთა ტომი: ჰერნი;
- გ) შიდა-ალვანიის ტომები: რანნი და მოვაკენლი;
- დ) სომხები;
- ე) დაღისტანის მთიელები: ლეკები, ხოზონიხები (—ხუნზები), დი-ლოელები;
- ვ) ჩრდილო-კავკასიის მთიელები: დურძუკნი (—ჩაჩანთა ტომები) „კავ-კასიანტი“ (—ჩერქეზთა ტომები), ჯიქნი, პაქანიგნი (—ქანიგები);
- ზ) ჩრდილო-კავკასიის ირანული და თურქული ტომები: ოვსნი და ხა-ზარნი.

მიუხედავად იმისა, რომ ლენტი მროველი ასე დაწვრილებით განიხილავს კავკასიის ეთნოგრაფიას, და კერძოდ კავკასიის მთიელთა ტომობრივ დაყოფას, ლენტი არათუ აფხაზთა წარმოშობის საკითხს არ ეხება, არამედ მთელი თხზულების მანძილზე ერთხელაც არ მოიხსენებს აფხაზებს. ცხადია, აფხაზთა ტომი ამ ხანაში ჯერ კიდევ არ თამაშობდა ზაიმე მნიშვნელოვან როლს კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში. ამის მიხედვით ლენტი მროველის თხზულება დაწერილია უფრო ადრე, ვიდრე დაიწყებოდა აფხაზთა ტომის ის დიდი მოძრაობა და პოლიტიკური ექსპანსია, რამაც ასეთი მნიშვნელოვანი კვალი დასტოვა ძველი საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში, რომლის შედეგად აფხაზთა ტომი ჩაება საქართველოს საერთო ცხოვრებაში და ძველი საქართველოს სახელმწიფოებრივ მშენებლობის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ამ სათარისლო ჩვენების თანახმად ლენტი მროველის თხზულება მე-8 საუკუნის ოცდაათიან—სამოცდაათიან წლებზე გვიან დროს ვერ მიეკუთვნება<sup>1</sup>.

## 8. ეგრისი.

ლენტი მროველის თხზულების თარიღის საკითხისათვის დამოუკიდებელ ინტერესს წარმოადგენს ცნობები დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ტომობრივი შემადგენლობის შესახებ.

ლენტი მროველი, როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველოს უწოდებს სახელს: „ეგრისი“. ეს არის პოლიტიკური ტერმინი, რაც გამოხატავს იმავე ცნებას, რასაც ბერძენი ავტორების „ლაზიკე“ (კლასიკური „კოლიდა“).

<sup>1</sup> დამატებით აღვნიშნავთ შემდეგს გარემოებასაც. ლენტი მროველი როგორც ქვემოთ გამოიკვევა, არჩილ მეფის თანამედროვე იყო (ლენტი მროველს აღუწერია არჩილის წამების სენიქსარია). ხოლო მურვან-ყრუს (მურვან თმეიადის) დიდი ლაშქრობის დროს მე-8 საუკუნის 30-იან წლებში. — არჩილ, და არჩილთან ერთად მთელი ქართული არისტოკრატია და იბერიის სახელმწიფოს ხელმძღვანელი წრეები („ყოველნი შთავარნი პიტიაზნი, ნათესავნი ერისთავთანი და წარჩინებულთანი“ — როგორც აღვნიშნავს მემპატონაზე) — გადახვეწნენ აფხაზეთში, და აქ, ანაკოფიის ციხესთან, ქართველმა და აფხაზმა ჯარებმა შეერთებული ძალებით ისტორიული ბრძოლა მისცეს არაბებს. ამის შემდეგ აფხაზთა სახელი განსაკუთრებით პოპულარული უნდა გამხდარიყო და გამხდარა კიდევ ქართულ წრეებში. და ის გარემოება, რომ ლენტი მროველი, არჩილის თანამედროვე მწერალი, რომელიც საგანგებოდ ეხება თავის თხზულებაში კავკასიის ყველა ხალხს, და კერძოდ კავკასიის მთიელთა ტომებს, ხოლო ამავე დროს არას ამბობს აფხაზთა შესახებ, იმის მაჩვენებელია, რომ ლენტი მროველის თხზულება ჩანს დაწერილია ანაკოფიის ბრძოლის უწინარეს, ე. ი. 730-იან წლებამდე.

განვიხილოთ ამის შემდეგ, თუ როგორ აქვს ლეონტის წარმოდგენილი ეგრისის მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობა.

ლეონტი მროველის ცნობით—ეგრისი,—გარდა ჩრდილოეთი ზონისა, სადაც მოსახლეობენ სვანები,—დასახლებულია მეგრული ტომით.

რომ გასაგები იყვეს ის ტექსტები, რომელსაც ქვემოთ მოვიყვანთ, ჯერ საჭიროა ზუსტად განვმარტოთ, თუ რა ტერიტორიებს გულისხმობს ლეონტი მროველი ზოგადი სახელწოდებით „ეგრისი“, და ცალკე პროვინციების სახელწოდებით—„შინა-ეგრისი“ და „მარგვისი“.

ეგრისის ქვეყნის საზღვრები ლეონტის ასე აქვს აღნიშნული: „ხოლო ეგროსს მისცა ქუეყანა ზღვს ყურისა, და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰრქვან ლიხი; დასავლით ზღუა; [ჩრდილოთ] მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წასწუდების წუერი კავკასიისა“ (იხ. გვ. 3). ამრიგად, „ეგრისი“ უმეტესადაა შეიცავს მთელ დასავლეთ საქართველოს.

„ეგრისი“ (—ე. ი. დასავლეთი საქართველო), ლეონტის ცნობით თავის მხრივ განიყოფება ორ პროვინციად, ანუ როგორც ლეონტი ეძახის „საერისთაოდ“. პირველი პროვინცია არის—„შინა-ეგრისი“ (სვანეთთან ერთად), ხოლო მეორე პროვინცია არის „მარგვისი“.

საზღვრები პირველი პროვინციისა („შინა-ეგრისისა“ და სვანეთისა) ლეონტის ასე აქვს განმარტებული: „და მისცა ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვთგან მთამდე, რომელ არს შინა-ეგრისი და სუანეთი“ (გვ. 20<sup>1</sup>). ამ საერისთაოში სვანეთს სჭერია კავკასიონის მთის სანაპირო ზონა; ხოლო საკუთრივ „შინა-ეგრისის“ ფარგლებში მოქცეული ყოფილა: ეხლანდელი სამეგრელო მთლად, და ამას გარდა იმერეთის ის თემი, რომელსაც ეწოდება „ვაკე“ (ტერიტორია ცხენისწყალსა და რიონს შუა).

რაც შეეხება მეორე პროვინციას—მარგვისის საერისთავოს—მისი საზღვრები ნაჩვენებია შემდეგნაირად: „მცირის მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუამდე, რიონს ზემოთ“ (იხ. გვ. 20).—ამრიგად, „მარგვისის“ პროვინციაში შედიოდა მთელი ეხლანდელი იმერეთი ვიდრე რიონამდე (ე. ი. გარდა ვაკისა), და გურია.

ამის შემდეგ სიკითხავია, თუ როგორ აქვს ლეონტის წარმოდგენილი ეგრისის ამ ორი პროვინციის ეთნოგრაფიული შემადგენლობა: მარტო „შინა-ეგრისი“ მიაჩნია მას მეგრულ მხარედ, თუ ორივე პროვინციები—როგორც „შინა-ეგრისი“, ისე „მარგვისი“.

ლეონტის თხზულების შესწავლა არ სტოვებს არავითარ ეჭვს, რომ ლეონტის მეგრულ მხარედ ორივე პროვინცია მიაჩნია.

ეს ნათლად ჩანს, მაგალითად, იმ აჯანყების აღწერიდან, რომელიც მოწყობილი იყო მეფე ამაზასპის წინააღმდეგ; ლეონტი სწერს:

<sup>1</sup> მზრამ დედოფლისეულ ზელანწერში ტექსტი დამახინჯებულია და სწერია: „რომელსა შინა არს ეგრისი“—„რომელ არს შინა-ეგრისი“. ამ პროვინციას „ვახტანგ გორგასარის ცხოვრება“—ში ეწოდება „შიდა-ეგრისი“ (იხ. გვ. 166).



„მოიძულეს იგი (მეფე ამაზას) ერმან ქართლისამან... მაშინ აღდგეს ერის-  
თავნი დასავლეთისანი ხუთნი: ო რნი ერისთავნი ეგ რისისანი (—ე. ი.  
შინა-ეგრისისა და მარგვისისა), ერთი ოძრჯისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი  
წუნდისა... და ეზრახნეს ოვთაცა და ოვსნი სიხარულით წარმოვიდეს; და გარ-  
დამოვლეს (ოვსთა) გზა თაკურისა და მოვიდეს ერისთავთა თანა მეგ-  
რისათა (—შინა-ეგრისისა და მარგვისისა).

„მაშინ ოვსთა და მეგრელთა (შინა-ეგრისელთა და მარგვისელთა) გარ-  
დამოვლეს მთამკირე (ლიხი); და შეკრბეს იგინი (მეგრელნი) და ერისთავნი ქართ-  
ლისა განდგომილნი (ოძრჯისა, კლარჯეთისა და წუნდის ერისთავნი)“ (იხ. გვ. 42).

ამნაირად, ლევონტი მროველის ცნობის თანახმად, როგორც შინა-ეგრისი  
(ე. ი. ეხლანდელი სამეგრელო და ვაკე) ისე მარგვისი (ეხლანდელი იმერეთი და  
გურია) დასახლებულია მეგრული ტომით.

ლევონტი მროველის თხზულების მეორე ადგილასაც ასევე ნიშანდობლივ  
არის აღნიშნული, რომ მარგვისი (—იმერეთი და გურია) მეგრული ქვეყანაა.  
ოძრჯის ქალაქის (აბასთუმანის) მოსახლერე თემში, (ე. ი. ეხლანდელ ხანის-  
წყლის ხეობაში და ბაღდათის რაიონში, ნაჩვენებია მეგრული მოსახლეობა.  
ლევონტი წერს: „იყო ოძრჯის ქალაქსა ერისთავი მეფისა... და მას შეეწოდას  
მეგრელნი“ (იხ. გვ. 34).

სხვა ადგილას კიდევ აღნიშნულია: „მივიდის (საქართველოს მეფე) ეგ რისს  
(შინა-ეგრისისა და მარგვისის) და კლარჯეთს და მოიკითხნის მეგრელნი  
და კლარჯნი“ (იხ. გვ. 22).

ამრიგად ლევონტი მროველი დასავლეთ საქართველოს მეგრული ტომით  
დასახლებულ ქვეყანად წარმოგვიდგენს.

საკითხავია, რა დროს ეკუთვნის და რა დრომდე გაგრძელდა ამგვარი  
ეთნოგრაფიული შემადგენლობა იმიერი საქართველოსი.

საისტორიო წყაროების მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ გავრცელებ-  
და იბერიული (ქართლური) ელემენტისა დასავლეთ საქართველოში უნდა და-  
წყებულიყო ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, რა დროიდანაც დასავლეთ საქართვე-  
ლოს ერთი თემი (შორაპნის აღმოსავლეთით მდებარე კუთხე) პოლიტიკურად  
იბერიის გავლენის ზონაში იყო მოქცეული. შემდეგ, მე-8 საუკუნეში, როდესაც  
აღმოსავლეთი საქართველო სპარსთა უფლების ქვეშ მოექცა, წარმოებდა  
ემიგრაცია აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოში. მაგრამ  
მე-8 საუკუნემდე ამ ემიგრაციას, ჩანს, მაინც სპორადიული ხასიათი ჰქონდა.

ხოლო ემიგრაცია აღმოსავლეთიდან დასავლეთ საქართველოში განსაკუთ-  
რებით გაძლიერდა და ფართო მასობრივი ხასიათი მიიღო მე-8 საუკუნიდან  
როდესაც ქართლის მოსახლეობა, შევიწროებული არაბთა მფლობელობის  
„ჟამთა-სიავით“, იყრებოდა ძველი ადგილებიდან და პოულობდა თავშესაფარს  
დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე.

განსაკუთრებით დიდი ტალღა ქართლის მოსახლეობისა, ჩანს, დაიძრა  
ლიხთ-იმერეთისაკენ მურვან-ყრუს გამანადგურებელი ექსპედიციების შედეგად  
(მე-8 საუკუნის 30-იან წლებში), როდესაც მემეტაინის სიტყვით, „განრყუნილ  
იყო ქუეყანა ქართლისა“, მთელი პროვინციები „უშკვდრო“ იქმნა, „რამეთუ

არღარა იპოვებოდა არცა ნაშენები, არცა შექამადი კაცთა და პირუტყუთა ყოვლადვე<sup>1</sup>. წდასავლეთ საქართველოში გადასული ქართლის მოსახლეობა, ჩანს, ესახლებოდა ზემო-იმერეთში, ხოლო უმთავრესად კი რიონის სამხრეთ რაიონებში, სადაც მე-6 საუკუნეში წარმოებული ბიზანტია-ირანის ომების შედეგად, ძველა მკვიდრი მოსახლეობა საგრძნობლად შემცირებული იყო და ბევრი დაუსახლებელი და გავერანებული ადგილები მოიპოვებოდა.

მე-8 საუკუნის მანძილზე წარმოებული ამ მუდმივი ემიგრაციის შედეგად (განსაკუთრებით-კი 30-იანი წლების დიდი გადასახლების შემდეგ), იბერიული (ქართლური) მოსახლეობა იმდენად გაზრდილა, რომ მე-8 საუკუნის 70-იან წლებში იბერიული მოსახლეობა, ჩანს, უკვე უმრავლესობას შეადგენდა თანამედროვე იმერეთის დიდ ნაწილში—ვიდრე ქუთაისამდე და გურიამი. ეს ჩანს თუნდაც იმის მიხედვითაც, რომ აფხაზთა დინასტია, რომელიც დამკვიდრდა ქუთაისში მე-8 საუკუნის 70-იან წლებში, ქართლელდება, ქართულს ენაზე გადადის, იმთავითვე ქართული კულტურული პოლიტიკის გამტარებელი ხდება.

ამრიგად, ის ეთნოგრაფიული სურათი, რომელიც აღბეჭდილია ლეონტი მროველის თხზულებაში, უჩვენებს დროს არა უგვიანეს მე-8 საუკუნის პირველი ათეულებისა.)

9. საქართველოს კულტურული და სახელმწიფოებრივი მთლიანობის იდეა.

ქართული კულტურის ისტორიის თვალსაზრისით განსაკუთრებულს ინტერესს წარმოადგენს ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ლეონტი მროველის თხზულებაში მკვეთრად არის გატარებული იდეა ქართველი ტომების—ქართვების (იბერიელების) და მეგრელ-სვანების ეროვნულ-კულტურული და სახელმწიფოებრივი მთლიანობისა.

პირველ ყოვლისა, აქ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას ერთს მეტად დამახასიათებელ გარემოებაზე. ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ ლეონტი მროველის თხზულებაში წარმოდგენილია კავკასიის ხალხთა გენეალოგიური შტო, რომელშიაც, ენებისა და დიალექტების მიხედვით, ცალკე ერთეულებად არიან წარმოდგენილნი: ქართვები (იბერები), ეგრისელები (მეგრელ-სვანები) და ჰერები.

ეროვნულ-კულტურული და სახელმწიფოებრივი ურთიერთობა ამ ტომებისა ლეონტი მროველს ასე აქვს წარმოდგენილი: ჰერების ქვეყანა, ლეონტი მროველის შეხედულებით, არ არის ნაწილი ქართლისა, ჰერეთი ცალკე სახელმწიფოებრივ-კულტურული კოლექტივია; ხოლო ეგრისი, რა სახელითაც ლეონტი მროველი იგულისხმებს მთელს დასავლეთს საქართველოს,—განუყოფელი ნაწილია ქართლისა (იბერიისა), ამიერი და იმიერი საქართველო ერთი მთლიანი ეროვნულ-კულტურული და სახელმწიფოებრივი ერთეულის სახით არის წარმოდგენილი.

<sup>1</sup> იხ. მე-8 საუკუნის მატიანე, ექსცერპტულად ჩართული ჯუანშერის სახელით წარწერილ ქრონიკაში, გვ. 205.





ეს შეხედულება ამიერი და იმიერი საქართველოს კულტურული და სახელმწიფოებრივი ერთობის შესახებ გატარებულია ლეონტი მროველის თხზულებაში თავიდან ბოლომდე (იხ. განსაკუთრებით გვერდები—18—19, აგრეთვე 22, 27, 29, 34, 39-40, 51 და სხვა).

რა დროს ეკუთვნის და რა ეპოქაში შემუშავდა ეს შეხედულება?

ჩვეულებრივ ჰფიქრობენ, რომ ამიერი და იმიერი საქართველოს კულტურული და სახელმწიფოებრივი ერთობის იდეა მას შემდეგ წარმოიშვა და განმტკიცდა, როდესაც მოხდა პოლიტიკური გაერთიანება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსი მე-10—11 საუკუნეთა საზღვარზე. ამრიგად, ეს იდეოლოგია, რომელიც გატარებულია ლეონტი მროველის თხზულებაში, თითქოს უჩვენებს ნაგვიანვე ხანას, მე-10—11 საუკუნეებს.

მაგრამ, როგორც ირკვევა, ასეთი დასკვნა უსაფუძვლოა. იდეა ქართველი ტომების კულტურული და სახელმწიფოებრივი ერთობისა ჩანს მომდინარეობს უძველესი ხანიდან, ამას—როგორც ირკვევა—ხანგრძლივი ისტორია აქვს.

აღსანიშნავია ამასთან, რომ ქართულ საისტორიო მწერლობაში ლეონტი მროველის თხზულება არა დღას ამ მხრივ განმარტობებით, არამედ ესევე იდეოლოგია ქართველ ტომთა კულტურულ-სახელმწიფოებრივი ერთიანობისა გატარებულია ყველა ძველ-ქართულ საისტორიო ძეგლში გამოუკლებლივ.

ასე, ამგვარი შეხედულება გატარებულია აგრეთვე ძეგლში „ჰამბავი ვახტანგ გორგასარისა“, რომელიც, როგორც ირკვევა, მე-9 საუკუნეს ეკუთვნის, და ჯუანშერის სახელით ცნობილ საისტორიო თხზულებაში („წიგნი ქართველთა ცხოვრებისა ვახტანგ გორგასართვან—ვიდრე არჩილისადმდე“), რომელიც დაწერილია 872—912 წლებს შორის.

ხოლო, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ეგევე შეხედულება გატარებულია ჩვენ დრომდე მოღწეულს უძველეს ქართულს ქრონიკაში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომლის ძირითადი ტექსტი მე-7 საუკუნეს ეკუთვნის, და რომელიც შეიცავს უფრო ადრინდელი ხანის ქართული საისტორიო წყაროების გადმონაშთებს. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ამ ქრონიკაში ეკითხულობთ, რომ როდესაც მე-4—3 საუკუნის საზღვარზე (ჩვენი წელთაღრიცხვის უწინარეს) ჩამოყალიბდა „ქართლი“-ს იბერიის სახელმწიფო, იმდროიდანვე „ქართლის“-ს იბერიის საზღვრად დადგენილ იქმნა: „ჰერეთი, და ეგრის-წყალი, და სომხითი, და მთაჲ ცროლისაჲ“<sup>1</sup>. ამრიგად, „ქართლი“-ს—იბერიის დასავლეთ საზღვრად ამ უძველეს საისტორიო წყაროში ნაჩვენებია ეგრის-წყალი, ე. ი. მთელი ლიხთ-იმერეთი ვიდრე შავ-ზღვამდე და ეგრის-წყალის მიჯნამდე აქ წარმოდგენილია ერთიანი საქართველოს განუყოფელ ნაწილად.

საქართველოს ეს სახელმწიფოებრივი გაერთიანება „ქართლი“-იბერია, ძველი ქართველი ისტორიკოსების შეხედულების თანახმად, ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სახელმწიფო სახით ალექსანდრე მაკედონელის ხანაში.

რა საფუძველი აქვს ამ გადმოცემას? ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს უძველესი ხანიდან მომდინარე ტრადიციასთან,

<sup>1</sup> იხ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ე. თაყაიშვილის გამოცემა, OP, II, გვ. 709.

რაც, სჩანს, ნაწილობრივ სინამდვილის ელემენტებს შეიცავს. „ქართლის“—იბერიის ძველ ისტორიაში ცხადია მნიშვნელოვანს ეტაპს წარმოადგენდა ის დიდი ისტორიული ტეხილი, რაც გამოიწვია ირანის ძველი იმპერიის დაშლამ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა დროს, ხოლო შემდეგ, ალექსანდრეს დიადოხოსთა ეპოქაში, ახალ სახელმწიფოებრივ ერთეულთა წარმოქმნამ აღმოსავლეთში.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ქართული ნაციონალური ერა (რომელიც საფუძვლად უდევს ქართული ქრონიკონის აღრიცხვას) იწყება 284 წლიდან (ძველი წელთაღრიცხვისა). ეს, თარიღი 284 წელი, არის გამოსავალი თარიღი ქართული ნაციონალური ერასი.

უარესად მნიშვნელოვანია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ამ ქართულ ნაციონალურ წელთაღრიცხვას ეწოდება „ალექსანდრეს (ალექსანდრობითი) წელი“. ეს სახელწოდება, როგორც ეს გამორკვეული გვაქვს სპეციალურ ნარკვევში, შემდეგი წარმოშობისაა. დიადოხოსთა ეპოქის ყველა დინასტია, რომელთაც ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დანაწილების შემდეგ გამოაცხადეს დამოუკიდებლობა, როგორც ცნობილია—ხელისუფლების პირველსათავედ ალექსანდრე მაკედონელს სთვლიდნენ, როგორც იმპერიის დამაარსებელს, ხოლო თავის-თავს აღიარებდნენ ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრედ ანუ მოსაყდრედ თავიანთ სამფლობელოში. აქედან წარმოსდგება ეს სახელწოდებაც ძველი ქართული წელთაღრიცხვისა—„ალექსანდრეს წელი“. ეს თარიღი, 284 წელი, საიდანაც იწყება ქართული ნაციონალური ერა, როგორც ირკვევა, არის თარიღი „ქართლი“-ს იბერიის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და ფარნავაზიანთა დინასტიის გამეფებისა იბერიაში.

რა საზღვრებს მოიცავდა „ქართლი“-ს—იბერიის სახელმწიფო ამ უძველეს ხანაში—„ალექსანდრობით“-ს ეპოქაში, ამის შესახებ ჩვენ პირდაპირი ცნობები არა გვაქვს.

მაგრამ უარესად საყურადღებოა ის ტრადიცია, რომელიც დაუტყვევებს ქართულ საისტორიო ძეგლებს, და რომლის მიხედვით „ქართლი“—იბერია უძველეს ხანაში მოიცავდა როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ისე დასავლეთ საქართველოს ვიდრე ეგრის-წყლამდე: ეს საზღვარი „ეგრის-წყალზე“—ძველქართველ ისტორიკოსთა შეხედულების თანახმად განწესებულია „ალექსანდრობითგან“, იმ დროს, როდესაც ფარნავაზიანთა დინასტია გამეფდა ქართლში. ასე, საისტორიო ძეგლში „ცხოვრება ვახტანგ გორგასარისა“ ვკითხულობთ: „ეგრის-წყლითგან ვიდრე მდინარემდე მცირისა ხაზარეთისა ესე საზღვარი არს საბერძნეთისა ალექსანდრობითგან“, ხოლო ეგრის-წყალს ქვემოთ უკვე იწყება ქართლის საზღვარი, აგრეთვე „ალექსანდრობითგან“ განწესებული<sup>1</sup>.

სწორედ ამანიადადვე ლეონტი მროველის თხზულებაშიაც ქართლის ისტორიულ საზღვრად „ალექსანდრობის“ დროინდელ ხანაში ნაჩვენებია იგივე „ეგრის-წყალი“<sup>2</sup>. უძველესი ქართული ქრონიკაც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომ-

<sup>1</sup> იხ. გვ. 157.

<sup>2</sup> იხ. გვ. 20 (და შენიშვნა 1).



გორც მოვიხსენეთ, უჩვენებს იმავე ისტორიულ საზღვარს ქართლისას ეგრის-წყალზე, განწესებულს „ალექსანდრობის“ ეპოქაში.

ეს შეხედულება, რომ ქართლის სახელმწიფოს ისტორიული საზღვარი არის ეგრის-წყალი, შეუძლებელია გამოუმჯავებელიყო გვიან ხანაში. დაწყებული I საუკუნიდან (ძველი წელთაღრიცხვისა)—ვიდრე მე-7 საუკუნემდე (ახალი წელთ-აღრიცხვისა) ამიერი და იმიერი საქართველო ცალკე სახელმწიფოებრივ ერთეულებს წარმოადგენდა. და თუ ძველი ქართული საისტორიო ძეგლები და მათ შორის მე-7 საუკუნის ძველი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, აგრეთვე ლეონტი მროველი, რომელიც, როგორც ირკვევა, მე-8 საუკუნის პირველი ნახევრის მწერალია, იმ შეხედულებას ატარებენ, რომ ამიერი და იმიერი საქართველო ერთი ქვეყანაა, და რომ იმიერი საქართველო „ქართლი“-ს განუყოფელ ნაწილს შეადგენს—„ქართლის“ სახელმწიფოს დაარსების დროიდანვე, „ალექსანდრობითგან“ მოკიდებული, —აქ ცხადია ჩვენ გვაქვს ძველი ტრადიციის გამოძახილი.

როგორც ირკვევა, საქართველოს კულტურული და სახელმწიფოებრივი ერთობის იდეა უძველეს ხანაშივე არის წარმოშობილი და დამკვიდრებული. ეს შეხედულება განმტკიცებული ყოფილა არქაული ხანის ქართულ მწერლობაში, გრძელდება შემდეგდროინდელ ქართულ მწერლობაშიაც, რომელიც ქრისტიანობის ხანაში წარმოიშვა, აქ ჩვენ გვაქვს ერთი განუწყვეტელი ტრადიციის რგოლი.

და კერძოდ ის ნიშნობილი ჩვენება, რომ „ქართლი“-ს ისტორიული საზღვარი „ალექსანდრობის“ ხანისა არის ეგრის-წყალი, რაც სისტემატურად მეორდება ქართულ საისტორიო ძეგლებში, —ჩანს მომდინარეობს ადრინდელი, წინა-ქრისტიანული ეპოქის ქართული მწერლობიდან.

#### 10. გეოგრაფიული ტერმინოლოგია.

ჩვენ აქამდე ვიხილეთ ეთნოგრაფიის საკითხებს, და იმ საერთო კულტურულ-პოლიტიკურს კონცეფციას, რომელიც წარმოდგენილია ლეონტის თხზულებაში. —ამის შემდეგ შევჩერდებით „მეფეთა ჰამბავის“ გეოგრაფიულ ტერმინოლოგიაზე.

ლეონტის თხზულებაში, როგორც ცნობილია, განსაკუთრებულის პრეციზობით არის დამუშავებული გეოგრაფიული ნაწილი. ლეონტის გეოგრაფიული სახელები ხშირად აღნიშნული აქვს ორგვარად: მოყვანილია ძველი სახელწოდება, და შემდეგ განმარტებულია, თუ რა ეწოდებოდა მას თვით ლეონტის დროს. და ხშირად ჩვენ ვხედავთ, რომ ეს „ახალი“ სახელი მეტად ძველია, და იგი უკვე მე-9—10 საუკუნეებიდან აღარ გვხვდება. აღნიშნავთ ამის რამდენიმე მაგალითს.

ა) „ქალაქი არტანისა, რომელსა მამინ ერქუა ქაჯთა-ქალაქი, და აწჳრქვან ჰურ ი“ (იხ. გვ. 7, 19).

ბ) ციხე ქალაქი „ჩელეთი“ — „რომელსა ბერ ერქუა პირველ-შენებულსა კახეთისასა“ (გვ. 6).

გ) „ალაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელსა ორთავე ალაზანთასა და უწოდა სახელი თვისი ჰერეთი, და აწ მას ადგილსა ჰრქვან ხორანთო“ (გვ. 3).

აქ ჩამოთვლილი ქალაქები და მათი „ახალი“ სახელები უკვე აღარ მოიხსენება მე-9—11 საუკუნის ძეგლებში. არტაანის ქალაქს შემდეგ ეწოდებოდა არაჰური, არამედ პირდაპირ „არტაანი“. — ციხე-ქალაქი „ჩელეთი“ აგრეთვე უცნობია მე-9—11 საუკუნის წყაროებში<sup>1</sup>. ასევე სახელწოდება „ხორანთა“ შემდეგ ჩვენ აღარ გვხვდება.

დ) ლეონტი მოიხსენებს კახეთის ციხე-ქალაქს—ასეთის სახელწოდებით: „დედა-ციხე“ (გვ. 6, 14). — ეს სახელიც აგრეთვე უცნობია მე-9—11 საუკუნეებში.

ე) იმერეთის პროვინციას ლეონტი, როგორც ვნახეთ, უწოდებს: „მარგვისი“. ხოლო შემდეგ ეპოქაში მიღებულია სხვა სახეობა ამ ტერმინისა: „არგუეთი“.

ვ) მე-9—11 საუკუნის ძეგლებში ჩვენ არ გვხვდება ტერმინი „ქუყყანა ოძრევისა“ როგორც საერთო სახელი სამცხისა და აქარისა (იხ. გვ. 34, 31; შეადარე: „ოძრეველი“, გვ. 34).

ეს რაც შეეხება საქართველოს გეოგრაფიას.

კავკასიის დანარჩენი ქვეყნების შესახებაც აღვნიშნავთ ასეთსავე მაგალითებს:

ზ) ტერმინი „მოვაკანი“. ლეონტის თხზულებაში ჩრდილო აღვანიას ეწოდება: „მოვაკანი“, და ეს სისტემატურად მთელი თხზულების მანძილზე (იხ. გვ. 9, 48, 49, 59, 52, 55; იხ. აგრეთვე „მოვაკენელი“ გვ. 1; ქალაქი „მოვაკენით“, გვ. 2). ცხადია, ეს ტერმინი ლეონტის დროს ცოცხალი სახელი ყოფილა. — ესეც ამ ტექსტის სიძველის მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს<sup>2</sup>.

თ) ლექთა ტომი—„ხუნები“ (ე. ი. ავარიელები) ლეონტის მოხსენებული ჰყავს სახელით: „ხოზანიხი“, „ხოზანიხის ნათესავნი“ (იხ. გვ. 9, 11). მე-8 საუკუნის ნახევრიდან ქართულ საისტორიო მწერლობაში მიღებულია მეორე ტერმინი: „ხუნნი“<sup>3</sup>.

ამრიგად, გეოგრაფიული ტერმინები, რომელსაც ავტორი ხმარობს როგორც „ახალს“, თანამედროვე სახელებს, — როგორც ვხედავთ, მეტად ძველია.

### 11. სხვა ისტორიული რეალიები.

ისტორიული რეალიებიდან აღვნიშნავთ კიდევ ერთს მნიშვნელოვანს გარემობას—ბაგრატიონთა გვარეულობის შესახებ. ლეონტის თხზულების გაცნობა გვიჩვენებს, რომ „მეფეთა ჰამბავის“ დაწერის დროს ბაგრატიონთა დინასტია ჯერ კიდევ არ ყოფილა წამოწყებული საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების პირველ პლანზე და არ ატარებდნენ „ქართველთა მეფის“ ტიტულს.

<sup>1</sup> „ჩელეთი“ მოიხსენება სამეხთია ისტორიკოსის ლევანდის „ხალიფების ისტორიაში“ მე-8 საუკუნისა. — ის გარემობა, რომ ჩელეთი მე-8 საუკუნის შემდეგ აღარ მოიხსენება, გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ ჩელეთი აოხრდა არაბთა მფლობელობის პირველ ხანაში.

<sup>2</sup> შემდეგ დროს ეს სახელი გვხვდება მხოლოდ რაჭორც მწიგნობრული რემინისცენცია, შეთვისებული ლეონტი მრაველიდან.

<sup>3</sup> იხ. მე-8 საუკუნის ქართული მატანე, ექსცერპტის სახით დაცული ჯუანშერის სახელით წარწერილს ქრინიკაში (გვ. 210).



მართლაც ავტორი არავითარ ინტერესს არ იჩენს საქართველოს ბაგრატიონთა გვარის ისტორიისადმი; არც ერთ ლეგენდაში საქართველოს ბაგრატიონები მას მოხსენებული არა ჰყავს.

მაგრამ ეს ცოტაა: „მეფეთა ჰამბავში“, როგორც ცნობილია, ვრცლად არის აღწერილი სუმბატ „ბივრატინის“ ამბავი, იგი დიდ რაინდად და სახელოვან გმირად არის წარმოდგენილი (იხ. გვ. 31—36). მაგრამ ლეონტი ამ ტექსტში სუმბატს სისტემატურად მოიხსენებს „ბივრატინის“, ე. ი. ბივრატინძის სახელით,—და არც ერთხელ არ აღნიშნავს, რომ ეს სახელოვანი გმირი სუმბატ გვარით ბაგრატიონი არის. რომ ეს სუმბატ ბაგრატიონთა გვარს ეკუთვნოდა, ლეონტიმ ეს კარგად იცოდა იმ წყაროდან, საიდანაც მან ამოიღო თავისი ცნობები<sup>1</sup>; მაგრამ აღნიშვნა სუმბატის ბაგრატიონთა გვარიდან შთამომავლობისა ლეონტის არც კი მიაჩნია საინტერესოდ ქართველი მკითხველისათვის. აშკარაა, რომ ამ დროს ბაგრატიონთა გვარი საქართველოში ჯერ კიდევ არ ყოფილა იმდენად ამაღლებული, ისინი, ჩანს, ჯერ კიდევ არ ატარებდნენ „ქართველთა მეფის“ ტიტულს; თუკი ბაგრატიონები ამ დროს „ქართველთა მეფის“ ხარისხით ყოფილიყვნენ მოსილნი, ცხადია ლეონტი მროველის თხზულებაში ასეთი სახელოვანი რაინდის სუმბატის შთამომავლობა ბაგრატიონთა გვარიდან ხაზგასმით იქნებოდა აღნიშნული ad maiorem gloria ბაგრატიონთა დინასტიისა.

ბაგრატიონთა გვარეულობა, რომლებიც თავდაპირველად ქოროხის ხეობის ქანურ თემთა მფლობელები იყვნენ (მათი ძირითადი საგვარეულო სამფლობელოა მესხეთის სანაპირო მხარე—სპერის პროვინცია, რომლის ძირეულ მოსახლეობას ქანები შეადგენდნენ)—საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში თუმცა ადრევე თამაშობენ როლს (ყოველ შემთხვევაში მე-6 საუკუნიდან)<sup>2</sup>, მაგრამ ბაგრატიონთა გვარის განსაკუთრებული ამაღლება საქართველოში, მათი აღზევება და პოლიტიკურ ასპარეზზე პირველ პლანზე წამოწევა მე-8 საუკუნეში მოხდა.

მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში ბაგრატიონთა გვარის დინასტიები არიან ქართული ნაციონალური ხელისუფლების წარმომადგენლები ტფილისის არაბული საამიროს კარზე „ქართლის ერისმთავარის“ ტიტულით<sup>3</sup>.

<sup>1</sup> შეუდარეთ მოსე ხორენელის ტექსტი (წიგნი II, თავები 37, 43—46, 48, 50, 52, 53, 55, 63), საიდანაც დამოკიდებულია ლეონტი მროველი. სუმბატ აქ ბაგრატიონად მოიხსენება.

<sup>2</sup> გვაქვს საბუთი დავასკენათ, რომ პირველი ორი დიდი ერისთავი ქართლისა გურამგურგენ კურაპალატი (6 ს.) და სტეფანოზ I პატრიკიოზი (6—7 ს.) ბაგრატიონთა დინასტიას ეკუთვნოდნენ. (მემბრანე სუმბატ დავითისძის გადმოცემა კერძოდ აღ ორი დიდი ერისთავის შესახებ, როგორც ირკვევა, სინამდვილეს შეეფერება).

<sup>3</sup> ირკვევა, რომ ტფილისის საამიროს ერისმთავარი მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში: ნ ერ ს ე ერისმთავარი ძე ა დ ა რ ნ ე რ ს ე კურაპალატისა, და იმავე „სახლის“ (გვარეულობის) წევრი ს ტ ე ფ ა ნ ო ზ ერისმთავარი ძე გ უ რ გ ე ნ ერისთავისა,—ბაგრატიონთა დინასტიას ეკუთვნოდნენ. (გურგენ ერისთავი—არის ძმა აშოტ I-ისა, რომელიც მე-8—9 საუკუნეთა მიჯნაზე აგრეთვე ტფილისის საამიროს „ქართლის ერისმთავარი“ იყო, ხოლო შემდეგ არტანუჯში დამკვიდრდა და გახდა დამპარსებელი ქართლ-მესხეთის ახალი ფეოდალური სამთავროსი. იხ. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ჩვენი ნარკვევი: „გეორგი მერჩული“.)

როდესაც მე-8—9 საუკუნეთა მანძილზე საქართველოს ახალი ფეოდალური სამთავრო-სამეფოები ჩამოყალიბდა, აღმოსავლეთ საქართველოში გამოავრდა სამი შტო ქართველ ბაგრატიონთა: ქართლ-მესხეთში, კახეთში და ჰერეთში.

მთავარი შტო, ქართლ-მესხეთის ბაგრატიონები, რომელთა რეზიდენცია იყო არტანუჯი, გორგასლიანთა ძველი დინასტიის მემკვიდრეებად გამოდიან და ლეზღოლებს „ქართველთა მეფის“ ტიტულს.

ჯერ კიდევ აშოტ I დიდი, მე-9 საუკუნის დასაწყისში, ჩანს უკვე ატარებდა „ქართველთა მეფის“ სახელწოდებას<sup>1</sup>. ხოლო მე-9 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართლ-მესხეთის ბაგრატიონებმა საბოლოოდ დაიმკვიდრეს ეს ტიტული „ქართველთა მეფე“.)

ამრიგად, ის გარემოება, რომ ლეონტი მროველი „მეფეთა ჰამბავში“ არას ამბობს ბაგრატიონთა გვარეულობის შესახებ, რომელთა განსაკუთრებული აღზევება უკვე მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება, აგრეთვე გარკვეულ დამატარიღებელ ჩვენებას წარმოადგენს ამ ძველისათვის.

12: „მეფეთა ჰამბავის“ წყაროები.

„მეფეთა ჰამბავის“ თარიღის საკითხისათვის დამოუკიდებელ ინტერესს წარმოადგენს ის წყაროები, რომლითაც სარგებლობს ლეონტი მროველი. არც ერთი წყარო „მეფეთა ამბავისა“ არ ეკუთვნის მე-8 საუკუნის დასაწყისზე უფრო გვიან დროს.

აქ ცალკე აღსანიშნავია, რომ ლეონტი მროველს უსარგებლნია ირანული ნაციონალური ეპოსის „უფალთა წიგნი“-ს („ხვატაჲ-ნამაკი“-ს) ძველ-ქართული ვერსიით. მაგრამ ის ვერსია „უფალთა წიგნისა“, რომელიც ხელთა ჰქონია ლეონტი მროველს, დამოკიდებული ყოფილა უშუალოდ ძველი ფაშლაური ტექსტიდან, და არა შემდეგი დროის არაბული და სპარსული თარგმანებიდან<sup>2</sup>.

ცალკეა აღსანიშნავი აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ლეონტი მროველი ჯერ კიდევ არ იცნობდა ფსევდო-ეპიგრაფულ ნინოს ცხორებას, — საქართველოს გაქრისტიანების ამბავი ლეონტის სხვა ძველი წყაროების მიხედვით ჰქონია მოთხრობილი. სწორედ ამ გარემოებას გამოუწვევია შემდეგ ეპოქაში იოანე დეკანოზის დამატება. (იოანე დეკანოზის ინტერპოლაცია, როგორც აღვნიშნავდით, ძირითადად აღებულია ფსევდო-ეპიგრაფული ნინოს ცხორებიდან; მაშასადამე, ლეონტის პირვანდელი ტექსტი, რომელიც არ აკმაყოფილებდა ინტერპოლატორს, და რომელიც მას შეუცვლია ფსევდო-ეპიგრაფული ნინოს ცხორებით, ცხადია სხვა წყაროებზე ყოფილა დამყარებული).

რომ ლეონტი არ იცნობდა ფსევდო-ეპიგრაფულ ნინოს ცხორებას, ამის მაჩვენებელია აგრეთვე ერთი ძირეული განსხვავება ქრონოლოგიაში. ლეონტი მროველის თანახმად ქრისტიანული წელთაღრიცხვის დასაწყისში საქართველო-

<sup>1</sup> იხ. მატინე ქართლისა:—„შემდგომად სიკუდილისა ადარნერსესა განადიდა უფალმან მეფეობა აშოტ კურაპალატისა“—(გვ. 219). შდრ. გრიგოლ ხანძთელის ცხორება:—„მეფესა აშოტ კურაპალატსა“ (გვ. ივ 6, ით 18).

<sup>2</sup> იხ. ჩვენი „ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“ (ეურნალი მნათობი, 1939, № 4, გვ. 95—96).



ში მეფობდა ადეროკი (ადერკი): 1—57 წლებს შორის.—ხოლო ნინოს ცხოვრებით—ამ დროს მეფობს ამაზაერი<sup>1</sup>.

ამრიგად, ყველა ნიშნით, ლეონტი არ იცნობდა ფსევდო-ეპიგრაფულ ნინოს ცხოვრებას.—მაგრამ აქ შეიძლება აღიძრას ასეთი კითხვა: იქნებ ლეონტი იცნობდა ნინოს ფსევდო-ეპიგრაფული ცხოვრების ტექსტს, მაგრამ მან შეგნებულად არ ისარგებლა მისი ცნობებით? ასეთი ეჭვი უსაფუძვლო იქნებოდა. უნდა ვიცოდეთ, რომ ფსევდო-ეპიგრაფული ნინოს ცხოვრება თავისი საერთო მსოფლ-მხედველობით სავსებით უდგება ლეონტის თხზულების ტენდენციას. ამასთან ლეონტი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს სწორედ ასეთი ლეგენდარული ხასიათის მოთხრობების მიმართ. და თუ კი ლეონტის დროს არსებულყოფი ამგვარი სახით დამუშავებული ნინოს ბიოგრაფია, ძნელი დასაშვებია, რომ ლეონტის არ ისარგებლნა ამ ტექსტით. ხოლო ფსევდო-ეპიგრაფული ნინოს ცხოვრება, როგორც ეს დადგენილი გვაქვს სპეციალურ ნარკვევში, მე-8 საუკუნის შუა წლებს ეკუთვნის<sup>2</sup>.

### 13. ენობრივი ნიშნები.

რა ჩვენებას იძლევა „მეფეთა ჰამბავი“-ს თარიღის შესახებ ენა ამ ძეგლისა?

როდესაც განვიხილავთ ამ ნაწარმოების ენას, მხედველობაში მისაღებია შემდეგი: ლეონტი მროველის თხზულება—საერო მხატვრული მწერლობის ტრადიციას წარმოგვიდგენს. ხოლო ამ ეპოქიდან, მე-8—9 საუკუნეებიდან, საერო მხატვრული მწერლობის ტრადიციის შემცველი სხვა ძეგლები, გარდა ლეონტი მროველის ამ ნაწარმოებისა და „ვახტანგ გორგასარის ჰამბავისა“, სხვა არ შენახულა, ამის გამო ჩვენ არ გვაქვს საშუალება სათანადო სისრულით გავითვალისწინოთ საერო მწერლობის ენობრივი ისტორია. მე-8—9 საუკუნეებიდან ჩვენ დრომდე მხოლოდ სასულიერო მწერლობის ძეგლებია მოღწეული. რასაკვირველია ლეონტი მროველის თხზულების ენობრივ თავისებურებათა განხილვა იმ ნორმების თანახმად, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ სასულიერო მწერლობის მიხედვით, გამოუსადეგარია; სასულიერო მწერლობა ენის საკითხებში დიდ კონსერვატულობას იჩენდა, იგი საუკუნეთა განმავლობაში უცვლელად ინახავდა ისეთ ელემენტებს, რაც ცოცხალ ენაში უკვე კარგა ხანია რაც მოისპო, ხოლო საერო მწერლობა ამ შემთხვევაში უფრო ახლო იდგა სასაუბრო ენასთან.

ამიტომ ლეონტი მროველის თხზულებაში, რომელიც აშკარად საერო მწერლობის ტრადიციას წარმოგვიდგენს, ცხადია არ არის მოსალოდნელი იმ ტიპის არქაიზმები, რომელიც ამ ეპოქის სასულიერო მწერლობის ენას ახასიათებს. და სწორედ ამის გამო ლეონტი მროველის თხზულების თარიღისათვის მნიშვნელობა ეძლევა იმ ფაქტს, რომ თუმცა ლეონტის ენა თავისუფალია სასულიერო მწერლობის ენის სქოლასტიკური იერისა და ფსევდო-არქაიზმებისაგან, მაგრამ იგი მაინც ატარებს სიძველის ნიშნებს.

<sup>1</sup> იხ. ჰამბავი მეფეთა, გვ. 29.—ფსევდო-ეპიგრაფული ნინოს ცხოვრება ე. თაყაიშვილის გამოცემა, OP, II, გვ. 766.

<sup>2</sup> იხ. პ. ი ნ ვ ა რ თ ყ ვ ა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა (ქურნ. მნათობი, 1939 წ., № 10—11, გვ. 269—271).

აღნიშნავთ აქ რამდენიმე ლექსიკურ მაგალითს:

სტევი. „და იპყრეს მახვლნი ლესულნი საწუმარსა ქვეშე სტევედსა“ (იხ. გვ. 46).—ეს სიტყვა სტევი (—აქედან სტევედი) დადასტურებულია სახარების ძველს ვერსიაში და აგრეთვე არქაულს ჰაგიოგრაფიულ ტექსტში მე-5 საუკუნისა („წამება იაკობისი“); არსებობა ამ იშვიათი სიტყვისა ცოცხალ სალიტერატურო ენაში მე-8 საუკუნის შემდეგ ძნელი წარმოსადგენია.

ჩუგლუგი (—საომარი იარაღი).—„ფარნავაზ აღმოიღო ჩუგლუგი და გამოარღვა კარი ქუაბისა“ (გვ. 18).—„იწყეს ორთავე გუმერა ორორითა და ვერა ჰკუეთეს საჭურველსა ერთმანეთისასა: და აღმოიღეს ჩუგლუგები და იწყეს ბრძოლა ჩუგლუგებითა; და ოდეს უხეთქნიან ჩუგლუგები იგი საჭურველსა ზედა მათსა, ჰგვანდის ვმა იგი ვმისა მას უროსა მჭედლისასა, რომელი ეცემის გურდემლსა“ (გვ. 29).—ეს ტერმინი „ჩუგლუგი“ ჩვენ სრულიად არ გვხვდება მე-9—11 საუკუნის ძეგლებში.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ლეონტი მროველის თხზულებაში მოხსენებული ტურვილობა და საომარი იარაღები ამ ძეგლის სიძველის მაჩვენებელია.

არქაულის მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე ტერმინი „ჭევი“ (ქვეყნის, მთელი მხარის მნიშვნელობით). „ჭევი კახეთისა“—ე. ი. ქვეყანა კახეთისა (გვ. 114, 116), „ჭევი კლარჯეთისა“ (გვ. 114), „ჭევი კავკასიანთანი“ (ე. ი. კავკასიის მთიელთა ქვეყნები—გვ. 49), „ჭევი ნიზიზინისა“ (გვ. 51).

განსაკუთრებით საყურადღებოა სოციალური ტერმინოლოგია. იგი თავით ბოლომდე სიძველის ნიშნებს ატარებს.

\* \*

ჩვენ ამით დავამთავრებთ ლეონტი მროველის ეპოქის საკითხის განხილვას სია ამგვარ ნიშნეულობათა, რომლებშიაც აღბეჭდილია ეპოქა, ჩვენ შეგვეძლო კიდევ გავვეგრძელებინა, მაგრამ აღნიშნულიც საკმაოა იმისათვის, რათა გამოვიტანოთ შემდეგი ორი დასკვნა:

1. ლეონტი მროველის „ჰამბავი მეფეთა“ დაწერილია არა უგვიანეს მე-8 საუკუნის ნახევრისა.

2. ლეონტი მროველის „ჰამბავი მეფეთა“, ჩვენ მიერ გარკვეულ ფარგლებში, წარმოდგენს ერთს მთლიანსა და განუყოფელ ნაწარმოებს. ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ლეონტი მროველის თხზულება, ალებული ამ ფარგლებში, დაწერილია ერთის მონუმენტალურის სტილით, რომ ტექსტის ყველა ნაწილებში სრული იგივეობაა როგორც ფორმით, ლიტერატურული მანერით, ისე ისტორიული მეთოდით, მსოფლმხედველობითა და საერთო კონცეფციით. ხოლო აქ წარმოდგენილი განხილვა ამ ნაწარმოების სათარიღო მაჩვენებელთა ერთხელ კიდევ ადასტურებს ამ დასკვნას ტექსტის მთლიანობის შესახებ. ჩვენ ვნახეთ, რომ თითქმის ყოველი გვერდი ამ ნაწარმოებისა ატარებს ერთი და იმავე ეპოქის ბეჭდს.



«წამება არჩილისი»

ამის შემდეგ ჩვენ განვიხილავთ მეორე ლიტერატურულ ძეგლს, რომელიც დაკავშირებულია ლენტი მროველის სახელთან: „წამება არჩილისი“.

ამ ძეგლის განხილვა ჩვენ მოგვცემს საშუალებას კიდევ უფრო მიახლოვებით განვსაზღვროთ ლენტი მროველის ცხოვრების დრო.

\*

ჩვენ ზემოთ მოხსენებული გვექონდა, რომ ბიბლიოგრაფიული უწყების თანახმად, რომელიც დაცულია ქართლის-ცხოვრების კრებულში, ლენტი მროველს დაუწერია ორი თხზულება:

1. „ჰამბავი (ცხოვება) ქართველთა მეფეთა და პირველითანთა მამათა და ნათესავთა“, —ის დიდი საისტორიო ნაწარმოები, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ გვექონდა საუბარი;

2. მეორე პატარა ტექსტი: „წამება არჩილისი“.

ლენტი მროველის თხზულებებს გაუვლია იოანე დეკანოზის რედაქციაში. იოანე დეკანოზი, როგორც ირკვევა, დაინტერესებული ყოფილა სპეციალურად საეკლესიო ისტორიის საკითხებით. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ლენტი მროველის მთავარ თხზულებაში („მეფეთა ჰამბავ“-ში) იოანე დეკანოზს ჩაუმატებია ის ნაწილი, რომელიც ქრისტიანობის გავრცელებას ეხებოდა. ამას გარდა, იოანე დეკანოზს გადაუმუშავებია აგრეთვე ეს მეორე ტექსტიც, რომელიც ინტერესს წარმოადგენდა საეკლესიო ისტორიის თვალსაზრისით: „წამება არჩილისი“.

რომ კერძოდ ეს მეორე ტექსტი—„წამება არჩილისი“ გადაუმუშავებულია იოანე დეკანოზის მიერ, ამის შესახებ დაცულია პირდაპირი ცნობა იმ ბიბლიოგრაფიულ უწყებაში, რომელსაც უკვე იცნობს მკითხველი. ეს ბიბლიოგრაფიული უწყება მოთავსებულია სწორედ „არჩილის წამების“ წინ და აქ ვკითხულობთ: „ესე არჩილის წამება... ლენტი მროველმან აღწერა, და ახლად იოანე დეკანოზმან აღწერა“.

\*

რას წარმოადგენდა ლენტი მროველის მიერ აღწერილი „წამება არჩილისი“ და რაში გამოიხატა იოანე დეკანოზის გადაუმუშავება.

ლენტი მროველის აღწერილი „არჩილის წამება“, როგორც ირკვევა, პატარა მოკლეობის ტექსტს შეიცავდა და თავდაპირველად ქართლის-ცხოვრების კრებულში ლენტი მროველის ეს მოკლე ტექსტი ყოფილა შეტანილი. „არჩილის წამება“-ს ბოლოში დართულია შემდეგი შენიშვნა ქართლის ცხოვრების კრებულის პირველი რედაქტორისა, რომელიც ლენტი მროველის ამ მოკლე ტექსტს ეხება:

„წიგნი ესე წამებისა მისისა (არჩილისი) იბოვა ესრეთ სულ მცირედ აღწერილი, რომელ ჟამთა-შლილობით ჯერისაებრ ვერაეის აღწერა“<sup>1</sup>.

ხოლო „არჩილის წამება“ არსებული სახით, ე. ი. შევსებულ-გადამუშავებული იოანე დევანოზის მიერ, შეიცავს 5 გვერდს. მაშასადამე პირვანდელი ტექსტი ლეონტი მროველისა მართლაც „სულ მცირედ აღწერილი ყოფილა; ლეონტის ტექსტი, როგორც ირკვევა, წარმოადგენდა ეგრეთწოდებულს „სჯანაქსარს“ ანუ „მოსავსენებელს“, რომელშიაც მოკლე უწყებების სახით, ჰაგიოგრაფიული შაბლონების გარეშე, აწერილი ყოფილა არჩილის წამების ამბავი.!

ფაქტიური ნაწილი „არჩილის წამებისა“, რაც, ჩანს, ლეონტი მროველის ტექსტიდან მომდინარეობს, შემდეგია:

„წამება... არჩილისი,

რომელი ესე იყო მეფე ქართველთა.

„მოვიდა კიჭუმ, ძე მოჰმედისი, მოაოჯრა და შემუსრა ყოველი შენებული ქართლისა, და მიმართა შესლვად კახეთად, რათამცა მოაოჯრა და ყოველთურთ უმკვდრო ყო. და იყო შიში დიდი მეფეთა და მთავართა და ყოვლისა ერისა, და არა შემძლებელ იყვნეს წინააღმდეგობად...“

„ხოლო წმიდამან არჩილ განიზრახა გონებასა თუსსა სიმწნითა გულისა მისისაჲთა, რათა მივიდეს და ნახოს და ითხოვოს მისგან მშჯღობა ქუეყანისა... მინდობითა ღმრთისაჲთა აღირჩია თავისა თუსისა და სულისა დადება სასწრაღ ქრისტეანეთა. აღდგა და მივიდა კიჭუმის თანა, რომელსა ეწოდა ასიმ. ხოლო მან ვითარცა ცნა მისლვა მისი, მიეგება სიხარულითა და მოიკითხა დიდითა დიდებითა... შემდგომად მცირედთა დღეთა იწყო სიტყუად ლიქნით, აღუთქუმიდა ნიჭთა და აწუევდა დატევებასა ქრისტეს სჯულისასა და მიტევებასა სარკინოზად, ხოლო წმიდამან არჩილ ყოვლადვე არა თავს იღვა... და უბრძანა შეპყრობა მისი და შეყენება საპყრობილესა...“

„მაშინ უკუე წარმოდგა წინაშე ასიმისა მთავარი ერთი გარდაბანელი, მიტყუული სარკინოზად, რომლისა მამის-ძმა მოეკლა წანართა და მკლველნი მისნი განერივნეს მშჯღობით პაპასა არჩილისასა...“.

(გარდაბანელმა მთავარმა შური იძია არჩილზე, დაასმინა არჩილ კიჭუმის წინაშე და დაარწმუნა არაბთა მხედართმთავარი, რომ არჩილი არ არის ნდობისა და შეწყალების ღირსი, როგორც მონაწილე არაბთა საწინააღმდეგო მოქმედების წარსულში. კიჭუმმა ბრძანა არჩილის სიკვდილით დასჯა).

„და უბრძანა თავისა მოკუეთითა აღსრულება წმიდისა არჩილისი... განიყვანეს გარე და მოკუეთეს თავი მისი მახვლითა თთუესა მიჰრკინისასა, რომელ არს მარტი, ოცსა მის თთუსასა...“

„ხოლო ვითარცა აღსრულა წმიდა მოწამე არჩილ, მოვიდეს დამესა მას გოდერძიანი ტბელნი, მათ თანა სხუანიცა აზნაურნი მამეანნი, მოიპარეს გუამი წმიდისა მოწამისა არჩილისი, წარმოიღეს და შე-

<sup>1</sup> იხ. გვ. 215.



მურეს დიდითა პატივითა და დამარხეს ნოტკორას, მის მიერ აღწენ-  
ბულსა ეკლესიასა. ხოლო ცოლმან მისმან მიუბოძა სოფლები მათ,  
რომელთა მოიღეს გუამი წმიდისა მოწამისა არჩილისი, კახეთს შინა  
სამკვდრებელად<sup>1</sup>.

\*

ასეთია ფაქტიური ქარგა „არჩილის წამებისა“, რაც, ჩანს, ლეონტი მრო-  
ველის პირვანდელი დედნიდან მომდინარეობს. აი ეს სჯნაქსარი ანუ მოკლე  
„მოსაჯენებელი“. რომელიც აღუწერია ლეონტი მროველს, შემდეგ იოანე დე-  
კანოზს შეუვსია ჰაგიოგრაფიული შაბლონის მიხედვით, როგორც ეს გვიანი  
დროის წმიდათა ცხოვრებებში იყო მიღებული, ე. ი. ჩაურთავს დიალოგი ჰი-  
ქუმ-ასიმსა და არჩილს შორის (—რომელშიაც ასიმი არწმუნებს არჩილს მიიღოს  
მაჰმადიანობა, რისთვისაც ჰპირდება არჩილს დიდი პატივის მინიჭებას, ხოლო  
არჩილი უარს ამბობს ქრისტიანობიდან განდგომაზე) და სხვა ამგვარი „შაბლო-  
ნური რიტორიული აქსესუარები“.

როდესაც ჩვენ ვეცნობით „არჩილის წამების“ ამ ძირითად ქარგას, რო-  
მელიც ლეონტი მროველის მიერ ყოფილა აღწერილი, ჩვენ იმ დასკვნას უნდა  
დავადგეთ, რომ ლეონტი არჩილის თანამედროვე ყოფილა, რომ ეს ძირითადი  
ტექსტი თანამედროვის კალამს ეკუთვნის.

ჯერ ერთი, მოთხრობა შეიცავს ისეთს ფაქტიურ მასალას, ნიშანდობლი-  
ვი ხასიათის ცნობებს, რაც თანამედროვეობის მაჩვენებელია; ასე, ცნობა იმის  
შესახებ, რომ არჩილის დამასმენელმა გარდაბანელმა მთავარმა იმის გამო  
უმტროო არჩილს, რომ გარდაბანელის ბიძა (მამის-ძმა) მოეკლოა წანარებს,  
რომლებიც მშვიდობით ვადაარჩინაო არჩილის პაპამ. სხვა წყაროებიდან ჩვენ  
ვიცით, რომ, არჩილის ხელისუფლება მართლაც ვრცელდებოდა წანარეთზე  
(ამის შესახებ იხ. ქვემოთ).—ან მეორე ცნობა, თუ ვინ იყვნენ ის პირნი, რო-  
მელთაც ღამით მოიპარეს არჩილის გვაში („გოდერძიანი ტბელნი, მათ თანა  
სხუანიცა აზნაურნი მამეანნი“). ან, კიდევ ცნობა იმის შესახებ, რომ არჩილის  
ცოლმა მიუბოძა ჯილდოდ არჩილის გვამის მომღებელთ მამულები კახეთში.

ხოლო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტორის დროის გამოსარკვევად  
შემდეგი დეტალი. არჩილის წამებაში ჩვენ გვხვდება გარკვეულ ეპოქაში მიღე-  
ბული კალენდარული აღრიცხვა, სახელდობრ თვეების ორმაგი სახელწოდება  
ძველ-ქართული კალენდარისა და რომაული კალენდარის მიხედვით. (არჩილის  
წამება დათარიღებულია ამრიგად: „თთუესა მიჰრ აკნისასა, რომელ არს  
მარტი“). ასეთი ორმაგი ძველ-ქართული და რომაული სახელწოდება თვეებისა  
მიღებული იყო სწორედ მე-7—8 საუკუნეებში, ხოლო მე-8 საუკუნის მეორე  
ნახევრიდან მოკიდებული ძველ-ქართული კალენდარის თვეების სახელწოდებანი

<sup>1</sup> იხ. ქართლის-ცხოვრების კრებული, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 211—215.

<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ იოანე დეკანოზს თავისი ჩანართების შედგენისას უსარგებლნია  
ჯუანშერის მატთანში წარმოდგენილი ანაქრონისტული ცნობებით.

საბოლოოდ გამოდის ხმარებიდან, და მათ მაგიერ საყოველთაოდ მიღებულია თევების მხოლოდ რომაული სახელწოდება. ამრიგად აქ ჩვენ გვაქვს სრულიად გარკვეული ჩვენება იმის შესახებ, რომ არჩილის წამების ძირითადი ტექსტი მე-8 საუკუნეზე გვიანი დროისა არ არის<sup>1</sup>.

\*

არჩილის წამების ტექსტის განხილვას ჩვენ, მაშასადამე, მივყევართ იმ დასკვნამდე, რომ ლეონტი მროველი, არჩილ მეფის თანამედროვე ყოფილა, იგი მოსწრებია არჩილის წამებას და აღუწერია „მოსავსენებელი“ არჩილის მარტივობისა.

როგორც ვხედავთ, ეს ცნობა სავსებით ეთანხმება ლეონტი მროველის მთავარი თხზულების „მეფეთა ჰამბაეის“ იმ თარიღს, რომელიც ჩვენ ზემოთ, ტექსტის ანალიზის საფუძველზე დავადგინეთ. „მეფეთა ჰამბაეი“, როგორც გამოიჩინა, ეკუთვნის დროს არა უგვიანეს მე-8 საუკუნის პირველი ნახევრისა; ხოლო არჩილი, როგორც ეს შემდეგი მიმოხილვიდან ცხადი გახდება, მთავრობდა სწორედ ამ ხანაში, მე-8 საუკუნის 30-იან წლებიდან—50-იან წლებამდე.

10

#### არჩილის მთავრობის ისტორიისათვის

ვინ იყო, რა დროს მთავრობდა, და როდის აწამეს არჩილი, ეს საკითხი დღემდე არ ყოფილა სათანადოდ გაშუქებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამის გამო ჩვენ მოგვიხდება არჩილის ვინაობაზე და მისი მთავრობის ქრონოლოგიაზე უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ.

არჩილი, როგორც ირკვევა, მნიშვნელოვანი ფიგურაა მე-8 საუკუნის საქართველოს ისტორიისა.

<sup>1</sup> დამატებით აქ საჭიროა აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოებაც, რაც ზემოთ-წარმო-დგენილს დასკვნებს ეთანხმება. საქმე ის არის, რომ თვით ქართლის-ცხოვრების პირველი რედაქტორიც, როგორც ირკვევა, ლეონტი მროველს სთვლიდა არჩილის თანამედროვედ. რედაქტორი, როგორც მოხსენებული გვქონდა, არჩილის წამების ბოლოში ურთავს ასეთს შენიშვნას: „წიგნი ესე წამებისა მისისა (არჩილისი) იპოვა ესრეთ სულ-მცირედ აღწერილი, რომელ ქამთა-შლილობით ჯერისაებრ ვერავის აღეწერა“-ო. ამრიგად, ქართლის ცხოვრების პირველ რედაქტორის ამ ცნობის თანახმად, ლეონტი მროველს (არჩილის წამების მოკლე მოსახსენებლის აღმწერელს) უცხოვრია „ქამთა-შლილობის“ ხანაში, როდესაც აწამეს არჩილი.

ხვეთვის ამ შემთხვევაში რასაკვირველია საინტერესოა არაა, თუ რა იყო მისი ნამდვილი მიზეზი, რომ ლეონტი მროველმა არჩილის წამების ამბავი „სულ მცირედ“ აღწერა, იყო თუ არა ეს მართლა იმით გამოქვეული, რომ „ქამთა-შლილობამ“ ხელი შეუშალა ლეონტის სალიტერატურო მუშაობაში. იქნებ ლეონტის არც კი ჰქონდა განზრახვა დაეწერა ვრცელი მოთხრობა არჩილის წამების შესახებ, არამედ ვერეთ-წოდებული „სჯანქსარი“ (მოკლე „მოსავსენებელი“). აქ ჩვენი საკითხისათვის ეს არაა იმდენად საინტერესო, არამედ ის, რომ ქართლის-ცხოვრების კრებული პირველი რედაქტორი ლეონტი მროველს არჩილის თანამედროვედ სთვლიდა.





არჩილი მე-8 საუკუნეში უკანასკნელად აცოცხლებს იბერიის („ქართლი“-ს) ერთიანი სამეფოს ტრადიციას. ხოლო არჩილის შემდეგ საბოლოოდ „დაესრულა“ იბერიის („ქართლი“-ს) ერთიანობა, და ახალ ისტორიულ ვითარებაში, რაც არაბთა მფლობელობის დროს შეიქმნა, ძველი იბერია („ქართლი“)—მე-8 საუკუნიდან მოკიდებული ვიდრე მე-11 საუკუნემდე, ნაწილდება მესხეთის, საკუთრივ ქართლისა და კახეთ-ჰერეთის ცალკე სამფლობელოებისა და თემების სახით.

აღსანიშნავია, რომ არჩილ „ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მ ე ფ ი ს“ ტიტულს ატარებდა<sup>1</sup>. როგორც ცნობილია, მე-6 საუკუნიდან მოკიდებული, როდესაც სპარსელებმა მოსპეს მეფობა ქართლში (იბერიაში), ვიდრე მე-9 საუკუნემდე, როდესაც არტანუჯის ბაგრატიონებმა ხელახლა მიიღეს ეს სახელწოდება „ქართველთა მეფე“, არც ერთი ქართველი მფლობელი არ ატარებდა „ქართველთა მეფის“ ტიტულს. თავისთავად ჯერ მარტო ეს გარემოება იქცევა ყურადღებას და მაჩვენებელია იმ მნიშვნელოვანი როლისა, რომელიც არჩილს მე-8 საუკუნის ისტორიაში ეკუთვნოდა.

რომელი დინასტიის წარმომადგენელი იყო არჩილი? ძველი საისტორიო ძეგლის „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობის მიხედვით არჩილი იყო „შვილთაგან ვახტანგ გორგასლისათა“, ე. ი. იბერიის ძველი დინასტიის, ფარნავაზიან-გორგასლიანთა გვარეულობის შთამომავალი (იხ. გვ. 217). „მატიანე ქართლისაჲ“-ს ეს ცნობა, როგორც ირკვევა, სინამდვილეს შეეფერება<sup>2</sup>.

რა დროს ეკუთვნის არჩილის მთავრობა? ვახუშტი ბატონიშვილის ქრონოლოგიით არჩილის მთავრობა მიეკუთვნება 668—718 წლებს და არჩილის წამების თარიღად 718 წელი არის მიჩნეული. სხვა ქართველი ისტორიკოსები არჩილის წამების თარიღის განსაზღვრის დროს მერყეობენ მთელი 70 წლის მანძილით: 718 წლიდან—მე-8 საუკუნის ოთხმოციან წლებამდე.

პირველწყაროების ანალიზის საფუძველზე შესაძლო ხდება საკმაო ზედმიწევნობით დადგენილ იქნეს არჩილის მთავრობის წლები: მე-8 საუკუნის 30-იანი წლებიდან—50 წლებამდე (ანუ უფრო მიახლოებით 732—759 წლები).

ჩვენ დრომდე მოღწეულა თვით არჩილის ეპოქის მე-8 საუკუნის ქართული მატიანის უაღრესად საყურადღებო ტექსტი, რომელიც ექსცერპტულად არის ჩართული ჯუანშერის სახელით ცნობილს ქრონიკაში. ეს ძველი ექსცერპტულად დაცული ტექსტი, რომელიც ჩვენ ქვემოთ მოხსენებული გვაქვს სახელწოდებით „ჯუანშერის მატიანის პირველწყარო“—იწყება მურვან ომეიადის (მურვან ყრუს) ლაშქრობის აღწერილობით და მოყვანილია იმ დრომდე, როდესაც არჩილი დამკვიდრდა კახეთ-ჰერეთში<sup>3</sup>.

<sup>1</sup> რომ არჩილი ატარებდა „ქართველთა მეფის“ ტიტულს, ეს დასტურდება როგორც ქართლის-ცხოვრების საისტორიო ძეგლებიდან (ჯუანშერის სახელით წარწერილი მატიანე, წამება არჩილისი), ისე „დიდი კანონი“-ს („ერუსალიმის წესისა და განჩინების“) ვერსიიდანაც, რომელშიაც არჩილი აგრეთვე მეფის ზედწოდებით არის მოხსენებული.

<sup>2</sup> ამას ადასტურებს თვით ონომასტიკონი. სახელი არჩილ, და აგრეთვე სახელი არჩილის ძმისა მიჰრ,—ფარნავაზიანთა დინასტიის საგვარეულო სახელებია და სხვა ძველ მფლობელ გვარეულობებში არ გვხვდება.

<sup>3</sup> ამ ტექსტს ჩვენ საგანგებოდ ვეხებით ცალკე ნარკვევში.

ამ ძველი ავთენტიური ტექსტის ჩვენების თანახმად არჩილ ყოფილა თანამედროვე მურვანისა. ხოლო მურვან, როგორც ეს კარგად არის ცნობილი, ხალიფას ნაცვალის თანამედრობაზე იყო კავკასიაში ხალიფა ჰიშამის დროს, 732 წლიდან ვიდრე 744 წლამდე.

არჩილი გამთავრებულია თავის ძმის მიჰრის გარდაცვალების შემდეგ, რომლის თანამფლობელიც არჩილი ყოფილა. ხოლო მიჰრ დაღუპულა მურვან-ყრუს ექსპედიციის დროს დასავლეთ საქართველოში, ე. ი. მე-8 საუკუნის 30-იან წლებში. ამრიგად, არჩილის ერთპიროვნული მთავრობა იწყება მე-8 საუკუნის 30-იანი წლებიდან.

ხოლო არჩილის მთავრობა გაგრძელებულა მე-8 საუკუნის 50-იან წლებამდე, არა უგვიანეს. ეს დასტურდება მეორე ქართული საისტორიო ძეგლის „მატიანე ქართლისაჲ-ს“ ჩვენებით. „მატიანე ქართლისა“ 761 წლისათვის არჩილს უკვე გარდაცვალებულად მოიხსენიებს; ამ წელს, 761-ში, უკვე მთავრობენ არჩილის მემკვიდრენი—ჯუანშერ და იოანე.

ამ ზოგადი ქრონოლოგიური რკალის განსაზღვრის შემდეგ ჩვენ შევეცდებით, პირველწყაროების ჩვენებათა საფუძველზე, აღვადგინოთ ისტორია არჩილის მთავრობისა.

\*

ცნობილია, თუ რა გამანადგურებელი შედეგები მოჰყვა მურვან-ყრუს ლაშქრობას კავკასიაში, რომელმაც ცეცხლითა და მახვილით გაიარა საქართველოს მიწა-წყალზე.

მურვანმა მკვიდრად განამტკიცა არაბთა მფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში. მურვანმა, როგორც ირკვევა ქართული წყაროებიდან, ილაშქრა აგრეთვე დასავლეთ საქართველოშიაც. მაგრამ საბოლოოდ დასავლეთი საქართველო მაინც არაბთა გავლენის ზონის გარეშე დარჩა.

732—744 წლებში, ვიდრე მურვანი ხალიფას ნაცვალი იყო კავკასიაში, არჩილი გამაგრებულია ეგრისის (ლაზიკის) აღმოსავლეთ-სამხრეთ ნაწილში, რომელიც იბერიას (ქართლს) ეკვროდა.

ამის შემდეგ, მე-8 საუკუნის 40-იან წლებში, ხალიფატში, როგორც ცნობილია, იწყება დიდი შინაგანი აღრეულობა, რაც უფრო გვიან ომეიადების დინასტიის დამხობით დასრულდა. მურვანი, ომეიადების დინასტიის წევრი, 744 წელს, კავკასიაში 12 წელს ყოფნის შემდეგ, მიდის სირიაში და ბრძოლების შემდეგ იქერს ხალიფას ტახტს. მაგრამ მღელვარება და არეულობა ხალიფატში ამით არ დასრულებულა და თანდათან უფრო ძლიერდებოდა. ამით ისარგებლებს არჩილი და თავის ძალა-უფლებას აგრცელებს იბერიის პროვინციებზე.

ძველი ქართული მატიანე მე-8 საუკუნისა (ჯუანშერის მატიანის პირველწყარო) მოგვითხრობს:

„წარჳდა ამას შინა წელიწადი ათ ო რ მ ე ტ ი (—მურვანის ყოფნისა კავკასიაში) და იწყო შენებად ქართლსა. ხოლო განრყუნლიყო საყოფელად მცხეთა, გარდმოვიდა არჩილ ეგრისით და დაჯდა ნაციხარსა კიდრისასა“<sup>1</sup>. ამრიგად, ეს მომხდარა მე-12 წელს მურვანის მმართველობისა

<sup>1</sup> გვ. 209.



კავკასიაში, ე. ი. 744 წელს.—ეს თარიღი, რომელიც დაუცავს ძველ ქართველ მემკვიდრეს (მე-12 წელი მურვანის მმართველობისა) სრულიად ზუსტად უდგება უცხო საისტორიო წყაროების თარიღს—744 წელს, როდესაც მურვანმა, 12 წლოვანი მმართველობის შემდეგ, დასტოვა კავკასია.

ამის შემდეგ არჩილი გადადის კახეთში და თავის გავლენას ავრცელებს მთელ კახეთ-ჰერეთზე, ვიდრე შაკიხის (ნუხის) თემამდე. მე-8 საუკუნის საისტორიო ტექსტი (ჯუანშერის მატიანის პირველწყარო) დაწვრილებით მოგვითხრობს არჩილის მიერ წარმოებული მშენებლობის შესახებ კახეთ-ჰერეთის ქვეყნებში (საძმურში—შიდა-კახეთში—სადაც არჩილი აგებს ტაძარს; ლაკვასტის-ჰევში—სადაც არჩილი აგებს ციხეს; წუქეთში—ჰერეთის თემში—სადაც არჩილი ქურუმის ხეობაში აგებს „კასრს“, ე. ი. ციხეს; ნუხატაოში, სადაც არჩილი აშენებს ციხე-ქალაქს)<sup>1</sup>. ჰერეთის სანაპიროს შემოშტრეკების მიზნით არჩილი ავრცელებს ქრისტიანობას ნუხატაოს (ნუხის) თემში<sup>2</sup>.

მე-8 საუკუნის ამ მემკვიდრის (ჯუანშერის ქრონიკის პირველწყაროს) ცნობით არჩილის მფლობელობის ქვეშ თანდათან გაერთიანებულა საქართველოს ძირითადი პროვინციები,—როგორც კახეთ-ჰერეთი, ისე ქართლი (—გარდა ტფილისის მხარისა, სადაც არაბები ისხდნენ), და აგრეთვე ნაწილი ეგრისისა<sup>3</sup>. არჩილის გავლენა ვრცელდებოდა ნუხის მხარიდან დაწყებული ვიდრე დასავლეთ საქართველომდე და ტაო-კლარჯეთამდე<sup>4</sup>.

არჩილის სამფლობელოს გავლენის ზონაში ყოფილა მოქცეული აგრეთვე ნაწილობრივ იმიერ-კავკასიის მთიელებიც, კერძოდ ხუნზები, ე. ი. ავარიელები. (იმავე მე-8 საუკუნის ტექსტში, ჯუანშერის მატიანის პირველწყაროში, მოიხსენება არჩილის ვასალი აბუხუასრო „რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა“<sup>5</sup>).

ძირითადი ცენტრი არჩილის სამფლობელოსი ამ ხანაში ყოფილა კახეთი, სადაც არჩილს ჰქონია რეზიდენცია. (რეზიდენციის გადატანა კახეთში ცხადია იმით იყო გამოწვეული, რომ კახეთის მთიანეთი უფრო დაცულ მხარეს წარმოადგენდა, ნაკლებ მისაწვდომს ტფილისში მსხდომ არაბთათვის).

არჩილი, რომელმაც ამრიგად გააერთიანა საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი, განაახლებს ძველი ერთიანი იბერიის სახელმწიფოებრივ ტრადიციას იმიტაც, რომ ღებულობს „ქართველთა მეფის“ ტიტულს<sup>6</sup>.

<sup>1</sup> გვ. 210.

<sup>2</sup> მემკვიდრე მოგვითხრობს: „ხოლო ნუხატელნი უწინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი... არამედ ყოუსა (მურვანსა) მოესრა სიმრავლე იგი მათი და იძულებით მონათლნა არჩილ“.

<sup>3</sup> რომ არჩილის მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა ნაწილი ეგრისისა (ლახიკისა), ეს ჩანს როგორც ჯუანშერის ქრონიკიდან (—ჯუანშერის მატიანის პირველწყაროდან), ისე მეთრე ძველი-ქართული საისტორიო თხზულებიდან „მატიანე ქართლისაჲ“, რომელიც არჩილის მემკვიდრეებს—ჯუანშერსა და იოანეს ეხება. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობით, არჩილის სიკვდილის შემდეგ იოანე დამკვიდრებულა ეგრისში (იხ. გვ. 216, 2 8).

<sup>4</sup> იხ. ჯუანშერის მატიანის პირველწყარო, გვ. 211.

<sup>5</sup> იხ. გვ. 210.

<sup>6</sup> რომ არჩილი მეფის ტიტულს ატარებდა, იხ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 143.

არჩილს, ფართო მასშტაბის სახელმწიფოებრივ მშენებლობასთან ერთად, როგორც ირკვევა, ჩაუტარებია დიდი მნიშვნელობის საეკლესიო რეფორმაც.

სახელდობრ არჩილის დროს მოხდა საქართველოს საკათალიკოსოს გამოყოფა ანტიოქიის პატრიარქატისაგან დამოუკიდებელი (ავტოკეფალური) ეკლესიის სახით. (ეს მომხდარა კონსტანტინე კობრონიმის კეისრობისა და თეოფილექტეს პატრიარქობის დროს, ე. ი. 745—751 წლებს შორის) <sup>1</sup>.

ამ ფაქტს, საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას, — ცხადია ჰქონდა არა მარტოოდენ ვიწრო-საეკლესიო მნიშვნელობა, არამედ ეს პირველ რიგში განსაკუთრებული მნიშვნელობის ზოგად-პოლიტიკურს ფაქტს წარმოადგენდა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცებას მოასწავებდა.

\*

არაბებს ამ-ხანად საქართველოსათვის აღარ ეცალათ. შინაგანი არეულობა ხალიფატში დასრულდა ომეიადების დინასტიის დაცემით. მურვანი, უკანასკნელი ხალიფი ომეიანთა დინასტიიდან, მოკლულქმნა 750 წელს. ახლად დამკვიდრებული აბასიდების დინასტია ჯერ კიდევ ვერ იცლიდა ხალიფატის შორეულ სანაპიროზე მდებარე საქართველოსათვის.

ასეთი მდგომარეობა გავრძელებულა დაახლოებით თხუთმეტი წელი, 744 წლიდან (—როდესაც მურვანი წავიდა საქართველოდან), ვიდრე ორმოცდაათიანი წლების ბოლომდე (ხალიფა მანსურის მეფობამდე). არაბები ისხდნენ მხოლოდ სამხრეთ-ქართლში (ტფილისის საამიროში) და კმაყოფილდებოდნენ ხარკის მიღებით. ძველი ქართული მატთანე (ჯუანშერის მატიანის პირველწყარო) მოგვითხრობს:

„ჟამთა მათ დაეცადნეს სარკინოზნი შემოსლვად ქართლად, ყრუსა წარსლვითაჲნ წელიწადსა [ი'ე'] არღარა შემოვიდეს, არამედ მიიღებდეს ხარკსა ერისთავთაგან“ <sup>2</sup>.

მდგომარეობა იცვლება მეორე აბასიდი ხალიფას მანსურის მეფობაში, არაბთა ისტორიკოსი იაკუბი მოგვითხრობს, რომ ხალიფა მანსურის დროს ორგზის იყო გამოგზავნილი დამსჯელი ექსპედიციები საქართველოში. არაბული და ქართული წყაროების შეფარდებიდან ირკვევა რომ აღნიშნული ექსპედიციებით გამოგზავნა მომხდარა 754—761 წლებს შორის.

(ექსპედიციები დაწყებული არა უადრეს 754 წლისა, რადგან ამ წელს გამეფდა მანსური. ხოლო ექსპედიციები დასრულებულა 761 წელზე ადრე, რად-

<sup>1</sup> იხ. ეფრემ მცირე, „უწყება მიხვსსა ქართველთა მოქცევისსა“ (ქრონიკები, I, გვ. 75).

<sup>2</sup> იხ. გვ. 211. აღნიშნავთ ამასთან, რომ ტექსტში დაცული სათარღო ჩვენება დაზიანებულია. თავდაპირველად ტექსტი, ჩანს, ამრიგად იკითხვოდა: „... ყრუსა წარსლვითაჲნ წელიწადსა ი'ე არღასა შემოვიდოდეს“. შემდეგ ეს თარიღი „ი'ე“, ანუ ასომთავრული დამწერლობით „I“ დაზიანებულია გვიანდელი დროის გადამწერთა ხელში როგორც „I“.

რომ თავდაპირველ დედანში უნდა ყოფილიყო „ი'ე“ (ე. ი. 15 წელი), ეს დასტურდება იმ სინქრონიზიდან, რომლის შესახებაც აქვე გვაქვს საუბარი. მე-15 წელი მურვან-ყრუს წასვლითაჲნ უდრის 759 წელს (744 + 15). ხოლო არაბთა ახალი ლაშქრობა საქართველოში როგორც ირკვევა, მართლაც ამ დროს დაწყებული, არა უადრეს 754 წლისა და არა უგვიანეს 761-სა.



ვან 761 წელს არჩილ უკვე გარდაცვლილად მოიხსენება და არჩილის ნაცვლად იბერიაში ზის არჩილის მემკვიდრე ჯუანშერი, ხოლო ეგრისში არჩილის მეორე შვილი იოანე<sup>1</sup>.

არაბული საისტორიო წყაროს ცნობით, საქართველოში ჯერ შემოსულა დამსჯელი რაზმებით არაბთა მეფის-ნაცვალი კავკასიაში ჰასან (ალ-ჰასან კახტაბის-ძე). ჰასანის ამ ლაშქრობას იგულისხმებს ქართული წყარო „წამება არჩილისი“, როდესაც მოგვითხრობს ასიშის ლაშქრობის შესახებ საქართველოში: „მოვიდა ჭიჭუმ, რომელსა ეწოდა ასიმ, ძე მოჰმედისი, მოაოგრა და შემუსრა ყოველი შენებული ქართლისა, და მიმართა შესვლად კახეთად, რათამცა მოაოგრა და ყოვლითურთ უმკვდრო ყო. და იყო შიში დიდი მეფეთა და მთავართა და ყოვლისა ერისა და არა შემძლებელ იყვნეს წინააღდგომად“<sup>2</sup>.

როდესაც არაბთა ჯარი მოადგა კახეთს (არჩილის სამფლობელოს ძირითადი ცენტრი, როგორც აღვნიშნეთ, კახეთი იყო), არჩილი გამოცხადებულა არაბთა სარდლობის წინაშე, რათა როგორც გადმოგვეცემს არჩილის წამების აღმწერელი, — „ეთხოვა მშვლობა ქუეყანისა“. არჩილს, რომელიც მომსწრე იყო მურვან-ყრუს შემოსევისა, რამაც ნანგრევებად აქცია საქართველო და „გარყუნა“ ქუეყანა, კარგათ ჰქონდა გათვალისწინებული, თუ რა ძალას წარმოადგენდა არაბობა და რას ნიშნავდა არაბთა დამსჯელი რაზმების თარეში.

მაგრამ არჩილმა ვერ მიაღწია მიზანს, ვერ დაიმსახურა არაბთა ნდობა, და არჩილი არაბებმა სიკვდილით დასაჯეს.

მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. არჩილის მიერ შექმნილი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, ჩანს, არ იყო ეფემერული, არჩილის სამეფო, ჩანს, მნიშვნელოვანს ძალას წარმოადგენდა. არაბებმა ვერ შესძლეს კახეთში შესვლა და, როგორც ირკვევა, არაბთა ეს პირველი ექსპედიცია დამარცხდა.

<sup>1</sup> ჯუანშერის პირველწყაროს თარიღის იმ კონიექტურის თანახმად, რაც ზემოთ აღვნიშნეთ ეს ექსპედიცია დაწყებულია 759 წელს.

<sup>2</sup> ქართულ წყაროში მოხსენებული ასიმ შესაძლოა არის იგივე არაბული წყაროების ასან (ჰასან). ასეთი გადაკეთება უცხო არაბული სახელებისა ხალხურ გამოთქმაში ჩვეულებრივი მოვლენაა და ამის მაგალითები არა-ერთგზის არის დამოწმებული ამ ეპოქის ქართულ-სომხურ წყაროებში. მაგრამ არა გამორიცხული ისიც, რომ ასიმი იყო არა თვით ამირა ჰასან, არამედ ჰასანის ერთი მხედართმთავართაგანი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ქართლ-კახეთის თემებში გაგზავნილ დამსჯელ ექსპედიციას. (ამის ეჭვს აძლიერებს ის გარემოება, რომ ასიმს, არჩილის წამების ტექსტში, არ მიემართება ტიტული „ამირა“, არამედ უბრალოდ სახელით მოხსენება).

ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღვნიშნათ, რომ არაბულ და სომხურ წყაროებში (იაკუბი, ლეონტი) შემდეგ ხანაში მოხსენებულია ამირა ჰუსეინ ჰაზიმის-ძე, რომელიც ხალიფის ნაცვალი იყო კავკასიაში ხალიფ მუსას დროს და ჰარუნ-არ-რ-რაშიდის ხალიფობის დასაწყისში, 785—786 წლებში. შესაძლოა ეს ჰუსეინ ჰაზიმის-ძე (ასიმის-ძე) არის შვილი იმ ასიმისა, რომელმაც ოცდაათი წლით ადრე, არჩილის დროს, საქართველოში ილაშქრა. თუ მოვიგონებთ, რომ არაბთა კავკასიელი მოღვაწეები გვარობით, ზოგჯერ მთელი თაობების მანძილზე, დაკავშირებული იყვნენ კავკასიასთან, და ერთი-და-იმავე ოჯახის წევრებს თანამიმდევრობით ეტირათ ხოლმე სამხედრო და ადმინისტრაციული თანამდებობანი კავკასიაში, გამორიცხული არ არის, რომ ამირა ჰუსეინ ჰაზიმის-ძე (ასიმის-ძე) იყვეს შვილი არჩილის წამებაში მოხსენებული ასიმისა.

არაბთა მოწინააღმდეგე ძალად არაბულ წყაროებში მოხსენებული არიან წანარები, წანარები ეს არის ზოგადი სახელწოდება კახეთ-ჰერეთის მთიელებისა (იორ-ალაზნის ზემო ხეობათა და ალაზნის გაღმა მხარის მოსახლეობისა ვიდრე ნუხბატომდე. ჯუანშერის ქრონიკაში, შესათარდად ამ ზოგადი სახელწოდებისა „წანარნი“ იხმარება მეორე ზოგადი სახელწოდება: „მთეულნი კახეთისანი“<sup>1</sup>. ხოლო არაბულ წყაროებში „წანარები“ ეწოდება არა მხოლოდ კახეთის მთიელებს, არამედ საერთოდ კახეთის (და აგრეთვე ქართლის მთიანეთის) მოსახლეობასაც.

არაბთა ისტორიკოსი იაკობი მოგვითხრობს: „აბუჯაფარის (მანსურის) ხალიფობის დროს წანართა (კახეთის) წინააღმდეგ გაილაშქრა თვით მმართველმა... ალ-ჰასანმა კახტაბის-ძემ, შეებრძოლა მათ, მაგრამ ვერა გააწყო რა“. ამის შემდეგ, როგორც მოგვითხრობს იგივე ისტორიკოსი იაკუბი, ჰასანმა აცნობა ხალიფას მღვდმარებობის გართულება, წანართა ძლიერება, და—როგორც გადმოგვცემს იაკუბი—მათი მრავალრიცხოვანობა, რისთვისაც ითხოვდა ხალიფა საგან დამხმარე ჯარს. ხალიფამ გამოგზავნა დამხმარედ 20.000 მხედრობა ამირა ალ-ჰარასი ისმეელის-ძის სარდლობით. ალ-ჰარასი არაბთა ჯარით შევიდა კახეთში და გაიმართა სისხლისმღვრელი ომი. გადამწყვეტი ბრძოლა არაბებსა და კახეთის (წანარების) ჯარს შორის რამდენიმე დღე გავრძელებულა და ბოლოს არაბების გამარჯვებით დასრულებულა. იაკუბის სიტყვით კახეთის (წანარების) ჯარის მხრით ამ ბრძოლაში დახოცილა 16.000 კაცი, გარდა ტყვეებისა, რომლებიც არაბებს წამოუყვანიათ. იაკუბი გადმოგვცემს, რომ გამარჯვებული ალ-ჰარასი გამოემართა ტფილისსაკენ, გზაში ამოსწყვიტა ყველა ტყვე, ხოლო არაბთა რაზმები სათარეშოდ მიუშვა კახეთის (წანარეთის) თემებზე.

ასე დასრულდა ეს უსწორო ბრძოლა.

როგორც მოვიხსენეთ, არაბთა ეს დამსჯელი ექსპედიციები და „ეთმა-შლილობა“, რაც არჩილის წამებას მოჰყვა, მე-8 საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ბოლოს ეკუთვნის. ექსპედიციები დასრულებულა 761 წელზე ადრე, რადგან 761 წელს, როგორც აღვნიშნეთ, არჩილი უკვე გარდაცვლილად მოიხსენება, და მის ნაცვლად მთავრობენ არჩილის შვილები ჯუანშერ და იოანე, რომელთაგან პირველი—ჯუანშერ—კახეთის მთიანეთში გამაგრებულა, ხოლო იოანე გადასულა ეგრისში (ლაზიკაში).

ჩვენ ამით დავამთავრებთ განხილვას იმ საკითხებისას, რომელთა მიხედვით შესაძლო ხდება განვსაზღვროთ ეპოქა ლეონტი მროველის სალიტერატურო მოღვაწეობისა.

წარმოდგენილი მიმოხილვის შემდეგ დაგვრჩენია გავაკეთოთ საბოლოო დასკვნები:

1. ლეონტი მროველი, როგორც ირკვევა, ყოფილა თანამედროვე არჩილ მეფისა, მოსწრებია იმ „ეთმა-შლილობას“, როდესაც აწამეს არჩილი, და ალუწერია არჩილის წამების „სვინაქსარი“ („მოსახსენებელი“).

<sup>1</sup> იხ. ჯუანშერის ქრონიკა, გვ. 186.



2. არჩილ მეფე, როგორც გამოირკვა, აწამეს მე-8 საუკუნის 50-იან წლებში და ლეონტი მროველის ეს სვინაქსარი-მოსახსენებელი ამ თარიღის ახლო ხანებში არის დაწერილი.

3. რაც შეეხება ლეონტი მროველის მთავარ თხზულებას, „ჰამბავი მეფეთა“, იგი, როგორც ირკვევა, დაწერილია უფრო ადრე. რეალიები, რომლებიც დაცულია ამ ნაწარმოებში, და რის შესახებაც წემოთ გვქონდა დაწვრილებით საუბარი, გვიჩვენებენ, რომ „ჰამბავი მეფეთა“ ეკუთვნის დროს არა უგვიანეს მე-8 საუკუნის პირველი ნახევრისა. ჩვენ შესაძლოდ მიგვაჩნია ეს თარიღი კიდევ უფრო მეტის მიახლოვებით განვსაზღვროთ, და ლეონტი მროველის „ჰამბავი მეფეთა“ მივაკუთვნოთ დროს მე-8 საუკუნის 30-იან წლებამდე (იხ. ამის შესახებ წემოთ, განსაკუთრებით გვ. 127, 129—130).

„მეფეთა ჰამბავის“ ტექსტის დასასრულზე

„მეფეთა ჰამბავის“ ტექსტის შესახებ აქ საჭიროა დასასრულ შევხვით კიდევ ერთ კითხვასაც, სახელდობრ—თუ რა დრომდე იყო მოყვანილი თავდაპირველად ლეონტი მროველის თხზულება.

ჩვენამდე მოღწეული ტექსტი „მეფეთა ჰამბავისა“ დასრულებულია მე-5 საუკუნის ოციანი წლებით. ხოლო ლეონტი მროველი, როგორც გამოირკვა, მე-8 საუკუნის მწერალია. ამიტომ უნებლიეთ იბადება კითხვა, თუ რად არის შეწყვეტილი „მეფეთა ჰამბავი“ მე-5 საუკუნეზე. საქმე ის არის, რომ ავტორს ეს თხზულება ფართო მასშტაბით აქვს განზრახული, მას აწერილი აქვს საქართველოს ისტორია მთელი თავისი მოცულობით, იწყება იგი მითიური ბიბლიური ხანიდან და შემდეგ ავტორი, გადმოდის რა ისტორიულ ხანაში, მოჰყავს თავისი მოთხრობა განუწყვეტელი ხაზით მე-5 საუკუნის მიჯნამდე; ხოლო რით უნდა აიხსნას, რომ მას აღუწერლად დაუტოვებია სწორედ მისი უახლოესი დრო მე-5 საუკუნიდან მე-8—საუკუნემდე? რომ ლეონტი ახლო დროის ისტორიითაც იყო დაინტერესებული, სჩანს თუნდაც იქედან, რომ მას აღუწერია მოსახსენებელი არჩილის მარტვილობისა, ე. ი. მე-8 საუკუნის ნახევრის ამბავი. ამიტომ უნებლიეთ იბადება ეჭვი, ხომ არ აკლია „მეფეთა ჰამბავს“ ბოლო, სადაც აწერილი იქნებოდა საქართველოს ისტორია მე-5—8 საუკუნეთა.

ეს ეჭვი კიდევ უფრო ძლიერდება, როდესაც ვეცნობით „მეფეთა ჰამბავი“ არსებულ დაბოლოებას. უნდა ვიცოდეთ, რომ ლეონტი მროველი არ არის უბრალო მემკვიდრე, არამედ მწერალი-ისტორიკოსი, რომელსაც გარკვეული შეხედულება აქვს შემუშავებული საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის შესახებ, მას თავის ისტორიაში დაცული აქვს გარკვეული არქიტექტონიკა საქართველოს ისტორიის პერიოდებად დაყოფასთან შეფარდებით. და ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ თუკი ავტორს არ ჰქონდა განზრახვა მოეყვანა „მეფეთა ჰამბავი“ თავის დრომდე, იგი ასეთ შემთხვევაში დაასრულებდა თავის მოთხრობას რაიმე ეპოქალურ საზღვართან. ხოლო „მეფეთა ჰამბავის“ არსებული დაბოლოება არაფერს ამის მსგავსს არ შეიცავს. მოთხრობა აქ მექანიკურად სწყდება მირდატ მეფის ტყვედ წაყვანით.—ისტორიულ მოთხრობას აკლია წინაგანი დასრულება.

და მართლაც ერთი ადგილი „მეფეთა ჰამბავისა“ ჩვენ გვიჩვენებს, რომ ამ თხზულებას აკლია ბოლო. ლეონტი მროველი თავისი თხზულების პირველ თავში ეხება კავკასიელ ტომთა წარმოშობის საკითხს; ხოლო მეორე თავიდან იგი იწყებს საკუთრივ საქართველოს ისტორიის აღწერას და შესავალში ამბობს: „ხოლო აქათგან ვიწყო ჰამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა ვიდრე დღეთა ჩუენთამდე“ (იხ. გვ. 5). ამის მიხედვით ლეონტი მროველს განზრახული ჰქონია მოეყვანა თავისი მოთხრობა „ვიდრე დღეთა ჩუენთამდე“, ე. ი. მე-8 საუკუნემდე.

როგორღა აეხსნათ, რომ თხზულება არსებული სახით მე-5 საუკუნეზე სწყდება? ეს რასაკვირველია შესაძლოა ბევრნაირად აიხსნას. შესაძლოა ლეონტის დაუწერილი დარჩა უკანასკნელი ნაწილი თავისი შრომისა. მაგრამ მეორე გაერმოვებაც არის დასაშვები.

საქმე ის არის, რომ ლეონტი მროველის თხზულება არ მოღწეულა ჩვენ დრომდე ცალკე ხელნაწერის სახით, არამედ იგი დაცულია მხოლოდ ქართლის-ცხოვრების კრებულში. ხოლო ქართლის-ცხოვრების კრებული შედგენილია ქრესტომატიის წესით. კრებულის შედგენისას მიზნად დაუსახავთ მოეცათ საქართველოს ისტორია მთლიანი გაბმული სახით და შეურჩევიათ ტექსტები სხვადასხვა ისტორიკოსებიდან: ვარკვეული ეპოქა წარმოდგენილია ერთი ისტორიკოსის თხზულებით, მომდევნო ეპოქა მეორე ისტორიკოსის თხზულებით და ასე შემდგომ. ხოლო როდესაც ერთი საისტორიო თხზულების ბოლო ეხებოდა იმავე საკითხს, რასაც მეორე საისტორიო თხზულების დასაწყისი (ან მეორე საისტორიო თხზულება მთლიანად), ასეთ შემთხვევაში, განმეორების თავიდან ასაცილებლად, აღარ შეუტანიათ შეხვედრილი ტექსტები, თვითველი ეპოქის შესახებ მხოლოდ ერთი ტექსტი დაუტოვებიათ. ამის გამო შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ასევე მოქცეულან ლეონტი მროველის თხზულების მიმართაც. ქართლის-ცხოვრების კრებულში შეუტანიათ ძირითადი ნაწილი ლეონტის თხზულებისა ვიდრე მე-5 საუკუნემდე, ხოლო მომდევნო ეპოქა ქართლის-ცხოვრების კრებულში წარმოდგენილია უკვე სხვა ისტორიკოსთა თხზულებებით: ასე, მე-5 საუკუნე წარმოდგენილია ძეგლით: „ჰამბავი (ცხორება) ვახტანგ გორგასარისა“; მე-6—8 საუკუნეები წარმოდგენილია მატანიით, რომელიც ჯჯანშერის სახელით არის წარწერილი; ეპოქა მე-8 საუკუნიდან მოკიდებული ვიდრე მე-11 საუკუნემდე წარმოდგენილი საისტორიო ძეგლით „მატიანე ქართლისაჲ“, და ასე შემდგომ. ამიტომაც საფიქრებელია, რომ ლეონტი მროველის თხზულების ბოლო (თუკი, რასაკვირველია, ავტორს თავისი თხზულება დაუმთავრებელი არ დარჩა), ეს ბოლო—რომელიც იმავე მე-5—8 საუკუნეებს ეხებოდა—დაიკარგა იმის გამო, რომ იგი არ მოხვდა ქართლის-ცხოვრების კრებულში.

„მეფეთა ცხოვრების“ ავტორის ლეონტი მროველის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები არ შენახულა. მხოლოდ მისი ზედწოდება „მროველი“ გვაძლევს



საშუალებას დავასკვნათ, რომ იგი იყო ქართლიდან, რუისიდან. (ზედწოდება „მროველი“, ნაწარმოებია გეოგრაფიული პუნქტის სახელიდან: „რუსი“).

ლენტი ამ ზედწოდების—„მროველი“-ს—მიხედვით ჩვეულებრივ ჰფიქრობენ, რომ ლენტი სასულიერო პირი, „მროველი“ ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო. ეს აზრი პირველად გამოხატა მე-12—13 საუკუნის ერთმა ქართველმა მწერალმა (არჩილის მეტაფრასის ავტორმა)<sup>1</sup>, და ეს შეხედულება გავრცელებულია დღესაც.

მაგრამ ბევრი რამ საეჭვოდ ხდის იმას, რომ ლენტი, ავტორი „მეფეთა ჰამბავი“-სა, სასულიერო პირი იყვეს.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თითონ ეს სახელწოდება „მროველი“ თავისთავად სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ლენტი უთუოდ ეპისკოპოსი ყოფილიყო. ადგილის მიხედვით ნაწარმოებს სახელს ატარებდნენ როგორც ეპისკოპოსნი, სასულიერო პირნი, ისე საერო პირები, მფლობელთა გვარეულობანი (როგორც, მაგალითად, რუსთველი ეპისკოპოსი, და პოეტი შოთა რუსთველი, ერისკაცი, რუსთავის მფლობელი).

პირიქით, რომ ზედწოდება „მროველი“ არ უნდა აღნიშნავდეს ამ შემთხვევაში ეპისკოპოსს, ამას გვაფიქრებინებს შემდეგი. ძველ-ქართულ ტექსტებში როცა ეპისკოპოსის ტიტულს თან ახლავს ადგილის მიხედვით ნაწარმოები სახელი, აქ ჩვეულებრივ ემატება ხოლმე თვით სიტყვა „ეპისკოპოსი“. იტყვოდნენ: „მროველი ეპისკოპოსი“, და არა „მროველი“.

მართალია, მე-11 საუკუნიდან მოკიდებული ასეთი წესი ირლვევა, და ადგილის სახელს ზოგჯერ ემატება ეს სიტყვა „ეპისკოპოსი“, ზოგჯერ კი არა; მაგრამ ძველ-ქართულ ძეგლებში მე-7—8 საუკუნეებიდან მოკიდებული ვიდრე მე-11 საუკუნემდე (ე. ი. სწორედ იმ ეპოქაში, როდესაც სცხოვრობდა ლენტი მროველი) ადგილის სახელს ჩვეულებრივ ყოველთვის ემატება ხოლმე ეს სიტყვა „ეპისკოპოსი“.

ასე, მაგ., გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში; აქ ვკითხულობთ: „სტეფანე მტბევარი ეპისკოპოსი“, „ეფრემ მაწყურელი ეპისკოპოსი“, „ზაქარია ანჩელი ეპისკოპოსი“, „ეზრა ანჩელი მამათმთავარი“, „ერუშნელი ეპისკოპოსი“ (იხ. გვ. ლა, მე, ნგ, გ, თ).

ასევეა საკუთრივ საისტორიო თხზულებებშიაც:

ჯუანშერის სახელით წარწერილს მატთანში: „აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსი, რომელმან მოაქცივნა უმრავლესნი მთეულნი“ (გვ. 197; შეად. თვით „მეფეთა ჰამბავის“ ტექსტი: „აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსი“, გვ. 107).

სუმბატ დავითის-ძის მატთანში: „აღაშენა სიმაგრე საბა მტბევარ ეპისკოპოსმან... და შევიდეს მას შინა თუთ საბა მტბევარი ეპისკოპოსი და ეზრა ანჩელი ეპისკოპოსი“ (გვ. 360).

<sup>1</sup> იხ. შესხმა და წამება არჩილისი (მ. ჯანაშვილის გამოცემა, ქართული მწერლობა, I, 258).

საისტორიო ძეგლში—„მატიანე ქართლისაჲ“: „შეიპყრეს წმიდაჲ გობრონ... რომლისა წამებაჲ ვრცელად აღწერა.. სტეფანე მტბევარმან ეპისკოპოსმან“ (გვ. 207).

ძველ-ქართული ეპისტოლოგრაფიის ძეგლებში:

„მიწერილი დაჩისი მროველ ეპისკოპოსისა ანტონისა“; „მიწერილი დაჩისი სტეფანესა ნეტარისა მტბევრელ ეპისკოპოსისა“ (იხ. შატბერდის კრებული), და სხვანი.

გადავიკითხოთ ამის შემდეგ ის ერთად-ერთი პირველადი ბიბლიოგრაფიული ცნობა, რომელიც ჩვენ ლეონტის შესახებ მოგვებოვება. აქ ნათქვამია: „არჩილის წამება და მეფეთა ცხორება.. ლეონტი მროველმან აღწერა, და ახლად იოანე დეკანოზმან აღწერა“. ამ ტექსტის მიხედვით საფიქრებელია, რომ ლეონტი არ უნდა ყოფილიყო ეპისკოპოსი; ჯერ ერთი, მას არ მიემართება ტიტული ეპისკოპოსისა, რაც, როგორც ვნახეთ, მიღებული წესია ამ ეპოქის ძეგლებში (ეწოდება არა „მროველი ეპისკოპოსი“, არამედ „მროველი“); და ამას გარდა უცნაურია, თუკი ლეონტი მართლა ეპისკოპოსი ყოფილიყო, როგორ მოხდა, რომ ამ უწყების ავტორმა საჭიროდ დაინახა აღნიშნა იოანეს სასულიერო ხარისხი დეკანოზობა, ხოლო ის კი აღარ მოიხსენა, რომ ლეონტი ეპისკოპოსი იყო.

ეს რაც შეეხება ბიბლიოგრაფიული უწყების ტექსტის ინტერპრეტაციას. ხოლო დამოკიდებულად ამისგან, გადაკითხვა თვით ლეონტის თხზულებების „მეფეთა ჰამბავი“-სა აგრეთვე იმას გვაფიქრებინებს, რომ ავტორი საერო პირი უნდა ყოფილიყო. მისი თხზულება გამსჭვალულია საერო მსოფლმხედველობით. „ჰამბავი მეფეთა“ დაწერილია საერო ხასიათის საგმირო-ეპიურ თხზულებათა გავლენის ქვეშ და მას არ ეტყობა გავლენა საეკლესიო მწერლობის ტრადიციებისა. ავტორს, ჩანს, უფრო გულდასმით ჰქონია გადაკითხული ირანული ნაციონალური ეპოსი „ხვატად-ნამაკი“ და საგმირო-ეპიური რომანები, ვიდრე საეკლესიო წიგნები. ამასთან თითონ ენაც ლეონტი მროველის თხზულებისა დაშორებულია სასულიერო მწერლობის ენობრივ ნორმებსა და ხასიათს, აქ დაცულია საერო მხატვრული მწერლობის ენის თავისუფალი წყობა, დაცილებული სასულიერო მწერლობის ენის სქოლასტიკურ იერს.

ყოველივე აღნიშნულის მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ ლეონტი მროველი ერის-კაცი უნდა ყოფილიყო, ალბათ რუისის მფლობელი, საიდანაც მას მიუღია სახელწოდება „მროველი“.

რასაკვირველია, არაა ისიც გამორიცხული, რომ ლეონტი მოხუცების ეპოს ბერად შემდგარიყო და შემდეგ ეპისკოპოსობაც მიეღო. მაგრამ ყოველ შემთხვევაში—როდესაც ლეონტი მროველი სწერდა თავის მთავარ თხზულებას „ჰამბავი მეფეთა“—უფრო ის არის საფიქრებელი, რომ ლეონტი მროველი ამ დროს ჯერ კიდევ ერისკაცი იყო, წვერი იმ საერო ფეოდალური საზოგადოებისა, რომლის იდეებისა და მსოფლმხედველობის გამომსახველი არის ჩვენი მწერალი თავის ისტორიულ-ლიტერატურულ ნაწარმოებში.



А. А. ЯЦЕНКО-ХМЕЛЕВСКИЙ и Г. В. КАНДЕЛАКИ

## РАСТИТЕЛЬНЫЕ ОСТАТКИ ИЗ ГРОБНИЦЫ ПИТИАХША АСПАВРУКА В АРМАЗИ

(Материалы к познанию истории древесной флоры Закавказья в антропогене)  
Сообщение третье<sup>1</sup>

В конце октября месяца прошлого года ныне покойным академиком Иваном Александровичем Джавахишвили нам были переданы некоторые растительные остатки, найденные в гробнице питиахша Аспаврука в Армази (III-й век нашей эры).

Всего нами было получено 12 образцов:

1. (47/I)<sup>2</sup>—8 истлевших кусочков дерева, темно-коричневого цвета, от ножки ложа.
2. (47/II)—8 истлевших кусочков дерева, коричневого цвета, от ножки ложа.
3. (47/III)—трухлявый кусочек дерева, размером  $2,1 \times 2,2$  см темно-коричневого цвета от ножки ложа.
4. (47/IV)—земля, древесный тлен и маленькие истлевшие кусочки дерева из рельефно-орнаментированной серебряной обкладки ножки ложа.
5. (46)—истлевшие кусочки дерева оранжевого цвета от ножен (или обкладки) железного оружия (меча).
6. (46)—небольшой кусок ( $1,8 \times 1,2 \times 0,9$  см) неопределенной формы, бурого цвета от ножен (или обкладки) железного оружия (меча).
7. (48)—два истлевших кусочка дерева, один светлый, другой темный, из коробки с древесными остатками и кусками серебра и железа.
8. (59)—небольшой кусок ( $1,0 \times 0,9$ ) желтовато-розового цвета от ножен железного ножа.
9. (44)—куски дерева (размером  $3 \times 2,2$  и  $2,1 \times 1,4$  см) найденные на серебряном блюде.

<sup>1</sup> Сообщение второе см. „Сообщения Груз. Филиала АН СССР“, т. 1, № 5.

<sup>2</sup> Номера инвентарной описи Музея Грузии.



10. (55)—земля из серебряного сосуда с двумя ручками; в земле—остатки совершенно истлевшего дерева, кусочки истлевшей ткани, золотые нити, личинки насекомых, кусочки костей и семена.

11. (54)—земля из маленького сосуда с двумя ручками; в песке безформенные органические остатки.

12. (41)—земля из золотой обкладки меча; в земле различные органические остатки: остатки семян, жилки листьев и т. д., осколки зеленого стекла.

Весь переданный древесный материал был в очень плохой сохранности; отчасти это следует приписать тому, что он находился в серебряных или золотых обкладках, не дающих окислов и, следовательно, не консервирующих материал в противоположность деревянным изделиям, заключенным в бронзу.

Изготовление шлифов, достаточно удовлетворительных для микроскопического определения, представило большие трудности, которые были преодолены только частично; тем не менее удалось, с той или иной степенью достоверности, определить все полученные образцы.

Ножки от ложа (№№ 1—43), на котором находился труп птиахша Аспаврука, были исследованы в первую очередь. Все они оказались изготовленными из древесины одной породы, микроскопическую характеристику которой приводим ниже.

Древесина рассеяносудистая, хотя сосуды отчетливо преобладают у весенней границы годичного слоя, значительно превосходя по размерам и количеству сосуды поздней древесины; число и размер сосудов, по направлению к поздней границе годичного слоя, уменьшаются постепенно. Просветы сосудов вытянуты в радиальном направлении и собраны в цепочки по 2—3 и более. Тангентальный диаметр просветов 150—200  $\mu$  („средний“, по стандартной терминологии). Перфорации сосудов повидимому простые. Поровость сосудов ни разу не могла быть рассмотрена.

Древесные волокна тонкостенны (если не предположить, что вся вторичная оболочка истлела). Лучи обычно одно-двух-трехрядные, реже четырехрядные; при встрече с сосудами несколько изгибающиеся. На тангентальном срезе лучи отчетливо гомогенные, невысокие (в среднем 12—14 клеток в высоту). На радиальном срезе краевые клетки луча несколько менее вытянуты в радиальном направлении чем внутренние клетки. Древесная паренхима (совершенно не различима на поперечном срезе) на тангентальных и радиальных срезах обильная, метатрахеальная (в виде тонких полосок, расположенных параллельно границе годичного слоя) и вазикентричная.

Описанное строение позволяет отнести исследованную древесину к ореху— *Juglans regia* L., хотя строение некоторых образцов (3—47/III) и не вполне характерно для этой породы.

Микроскопическое исследование показывает что, хотя все четыре ножки и были бесспорно изготовлены из одной породы, тем не менее материалом служил, повидимому, не один кусок дерева, а два или даже три различных куска, может быть от разных деревьев. Рост дерева, там где состояние материала позволяет это установить, хороший—годовой прирост размером в 1 см или даже более.



Куски дерева, найденные в серебряном блюде (№ 9—44) оказались также остатками ореховой древесины *Juglans regia* L. По указанию археолога А. Н. К а л а н д а д з е, эти обломки дерева вероятно попали на блюдо из обкладки ножи при вскрытии погребения.

Из коробки с различными деревянными, железными и серебряными фрагментами (№ 7—48), нами было исследовано два куска дерева, относящихся к двум разным породам.

Первый кусок без труда определяется, подобно предыдущим — как ореховая древесина.

Второй кусок (находившийся в исключительно плохой сохранности) показал при микроскопическом исследовании следующее строение:

Древесина рассеяннососудистая, диаметр просветов довольно малый (приблизительно 60  $\mu$ ); просветы большей частью одиночные, иногда собраны по два (в радиальном направлении). Лучи двух- и трех(?)рядные, на тангентальном срезе не высокие; краевые клетки многорядных и однорядных лучей стоячие. Перфорации, повидимому, простые — *Mespilus germanica* L.?

Общий тип структуры очень напоминает структуру розоцветных; наличие стоячих клеток по краям лучей в этом семействе характерно (вместе с другими признаками, отмеченными в исследованном куске) только для мушмулы — ზღმარტლი — *Mespilus germanica* L. Состояние материала, не позволившее получить удовлетворительные препараты, не дает возможности определить породу с полной достоверностью. Поэтому определение даем со знаком вопроса.

Истлевшие кусочки дерева из ножен железного оружия (5—46), были также исследованы под микроскопом.

Древесина рассеяннососудистая, сосуды разбросаны в годичном кольце беспорядке, только незначительно уменьшаясь в величине и количестве по направлению к поздней границе годичного слоя. Просветы сосудов в группах или цепочках, реже одиночно.

Тангентальный диаметр просветов сосудов довольно малый, перфорации простые (?). Сосуды с отчетливо выраженными спиральными утолщениями. Древесные волокна с крупными полостями. Лучи одно-двух и трехрядные — *Tilia* sp.

Описанное строение вполне характерно для липы — ცაცხვი — *Tilia* sp. (различные кавказские виды липы по строению древесины нами не различаются).

Куски неопределенной формы от ножен меча (6—46) и кинжала (8—59) оказались неорганического происхождения и представляют собой, повидимому, в одном случае проржавевшее железо (6—46) и в другом — песчаник.

Анализ земли из серебряных сосудов (10—55 и 11—54) показал значительную бедность ее растительными остатками: совершенно истлевшие остатки дерева, не поддающиеся определению, кусочек ткани, повидимому, растительного происхождения, обломки семян (по определению проф. Д. И. Сосновского — семена *Celtis* sp. — каркаса — აკაკი),



также как и ракушки<sup>1</sup> и золотые нити—все это следы предметов, случайно попавших в сосуд, или в течение веков, прошедших с момента захоронения или же в момент раскопок от ближайших предметов.

Таким же случайным представляется и состав песка (земли), в котором находились все перечисленные остатки.

Минералогический анализ, любезно произведенный по нашей просьбе канд. геол. наук Т. Г. Казахишвили, показал наличие в нем целого ряда минералов—кварца, лимонитизированного биотита, хлорита, мусковита, амфибола, полевого шпата, апатита, лимонита, оглинившегося плагиоклаза и магнетита, глинисто-лимонитовых масс и т. д. Эти минералы попали в сосуд из земли, главным образом с глыб песчанника, из которых было сложено погребение.

Бесформенные органические вещества, находящиеся в сосудах, в значительной степени минерализованы и судить об их происхождении мы не имеем возможности.

На содержимое сосудов указывает с некоторой вероятностью только нахождение в них ложнококонов мух, что позволяет предположить, что в момент захоронения сосуды были наполнены пищей, вероятнее всего мясной.

Растительные остатки, обнаруженные в земле, взятой из золотой обкладки кинжала (№ 12—1)—семена *Celtis*, жилки истлевших листьев также повидимому случайного происхождения.

Таковы результаты анализа некоторых растительных (и отчасти зоологических) остатков, найденных в Армази.

В ботанико-географическом отношении эти данные не представляются неожиданными. Липа, мушмула и каркас и поныне являются обитателями облесенных склонов, окружающих Армазское ущелье и присутствие их в могильнике вполне закономерно. Интересным является обнаружение деревянных изделий из ореха *Juglans regia* L., по общему мнению всех ботаников<sup>2</sup>, является на Кавказе породой одичавшей, завезенной к нам повидимому из Ирана. Хотя не исключена возможность, что древесина для изготовления погребального ложа была привезена издалека, все же это предположение представляется мало вероятным. Гораздо более естественно предположить, что ножки ложа были сделаны из дерева, растущего на месте, в той же стране. В таком случае, срок интродукции к нам ореха датируется не ближе чем III-им веком нашей

<sup>1</sup> Определение зоологического материала любезно произвел проф. А. А. Садовский (Зоосектор Груз. Филиала АН). Одна из ракушек принадлежит к *Helicidae*, другую определить пока не удалось.

<sup>2</sup> См. А. А. Гроссгейм, „Реликты восточного Закавказья“. Баку, 1940.



эры, когда были, следовательно, известны не только пищевые свойства его плодов, но и превосходное качество древесины.

Нахождение остатков древесины липы в ножнах меча вполне естественно. До наших дней кустари-оружейники Закавказья употребляют древесину липы для этих целей. Условия сохранения остатков древесины мушмулы таковы, что назначение этой породы в нашем материале представляется неясным. Однако, мушмула довольно часто используется в крестьянском быту для различных столярных работ. Вероятно и здесь кусок древесины мушмулы—это остаток какого-нибудь изделия.

### LES RESTES VÉGÉTAUX TROUVÉS DANS LE SÉPULCRE DU PYTHYAKHCHE ASPAVRUK à ARMAZI

[Matériaux pour l'histoire de la flore forestière de la Transcaucasie durant l'anthropogène.  
Communication 3-ème\*]

Par ANDRÉ A. YATSENKO-KHMÉLÉVSKY et GALINA V. KANDELAKI

Les auteurs ont étudié les restes végétaux trouvés dans le sépulcre du pythyakhche Aspavruk [III siècle de notre ère].

Ont été analysés les morceaux de bois, provenant des pieds du lit funéraire, le bois tiré de la gaine de l'arme en fer [le glaive?], de la gaine du poignard et les restes contenus dans la vaisselle d'argent, trouvée dans le tombeau.

L'analyse microscopique a montré la présence du bois de noyer [*Juglans regia* L.], du tilleul [*Tilia* sp.] et du bois d'une Rosacée, que nous déterminons comme le mérlier—*Mespilus germanica* L.? Dans la vaisselle d'argent ont été reconnus les fruits déformés de *Celtis* sp.

Les trois essences forestières dernières [*Tilia* sp., *Mespilus germanica* L. et *Celtis* sp.] sont très répandues dans les environs d'Armazi et leur présence dans le sépulcre est tout à fait naturelle. La trouvaille du bois de noyer est intéressante, car les botanistes sont d'accord à affirmer que le noyer [*Juglans regia* L.] est une essence introduite au Caucase dans les temps historiques. Notre étude montre donc que l'introduction de cette plante date, au moins, du III siècle de notre ère.

\* Communication seconde v. dans «Сообщения Груз. Филиала АН», т. I, № 5.

## ლ. მუსხელიშვილი

### უკანგორის ისტორიული ნაშთები<sup>1</sup>

დამბლუტის წყალი, რომელზედაც უკანგორი მდებარეობს, ლუქსემბურგის რაიონში, ლოქის მთაში გამოდის და მარჯვნიდან ერთვის მაშავერს კაზრეთისა და ბალიქის ხეობებს ზემოთ. დამბლუტის ხევის შესართავს უკანგორი დაშორებულია შვიდიოდე კილომეტრით. მე გორუნჯუკიდან მომიხდა უკანგორში ასვლა<sup>2</sup>. აქ მანძილი სულ მცირეა, 4—5 კილომეტრს არ აღემატება.

დამბლუტის ხეობა ჯერ ისევ-ისე თითქმის სრულებით უკაცრიელია. უკანგორამდე მთების კალთები შემოსილია ხშირი ფოთლოვანი ტყით. სახნავი მიწები უჭირავთ გორუნჯუკელებს, რომლებმაც დიდი ხანი არ არის რაც ტყე გაჰკაფეს მდინარის გასწვრივ. უკანგორში ამ რამდენიმე წლის წინათ დასახლებულა ვარდისუბნიდან გამოსული გლეხობა (17 კომლი). სოფლის ზემოთ ამათ მცირე სახნავი მიწები აქვთ. არის ვენახებიც. მერმე იწყება უფრო ხშირი და უღრანი ტყე და ვიდრე თათრებით დასახლებულ ჯანდარამდე მოსახლეობა აღარაა.

ვახუშტის რუკა ამ ხეობაში უჩვენებს, უკანგორს ვარდა, რამდენსამე დასახლებულ ადგილს (ვანი, კოკონი, ტანძია და სხვ.), რომლებიც დღეს ადგილობრივ აღარ ახსოვთ. ნაშთების მიხედვით ცხადია, რომ მოსახლეობა აქ, ყოველ შემთხვევაში უკანგორამდე, ოდესღაც მჭიდრო უნდა ყოფილიყო. ამასთან, აქ ძველთა-ძველი ნაშთები ჩანს. ზოგიერთი ადგილების სახელები, რომლებიც ადგილობრივ მკვიდრთ ახსოვთ, უთუოდ ძველი გადმონაცემია, ზოგი კი შეიძლება ახლად შერქმეული იყოს.

გორუნჯუკიდან დაახლ. 1.5 კმ-ის მანძილზე დამბლუტის ხევის მარცხნიდან ერთვის მალაროს ხევი, რომლის ზემოთ მარაბდის ნანგრევები მდებარეობს<sup>3</sup>. აქ ჩანს ნასოფლარი (ქვის საძირკვლების ნაშთები), რომლის ერთნაგვიანი მცირე ეკლესია, ნაგები უბრალო ქვით ქვიტკირზე (თლილი ქვა

<sup>1</sup> თავი ხელნაწერი შრომიდან: „არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავერის ხეობაში“.

<sup>2</sup> 1937 წ.; შემდეგ იქ იყვნენ არქიტექტორები ც. გაბაშვილი და რ. მეფთისა-შვილი, რომლებმაც ძველი გაზომეს.

<sup>3</sup> 1721 წლ. ხალხ. აღწ. დავთარში რომ მე-179 გვერდზე მარაბდა იხსენიება, სწორედ ეს შეიძლება იყოს, რადგან იგი ჩატანილია ბოსტნების და დამბლუტის გვერდით, როგორც „დბანისის ხეობაში“ მდებარე (შდრ. იქვე, გვ. 335, საცა იგივე სოფელი უკვე ვანისა და წყნეთის გვერდით გვხვდება).



მხოლოდ კუთხეებშია ნახმარი), საინტერესოა იმით, რომ შიგ ბოლნური მედალიონიანი ქვა გდია, უფრო ნიშანი ამ ნასახლარის დიდი სიძველესა. კიდევ ორიოდ კილომეტრით უფრო ზევით დამბლუტის წყალს მარცხნიდანვე ერთვის რიყის ხევი, რომლის ცოტა ზემოთ მარჯვნიდან, ე. ი. აღმოსავლეთიდან ჩამოდის წოწოლაველის ხევი. მის ზემოთ დვას ერთნავიანი მცირე ეკლესიის ნანგრევი კვრინჩხიანისა, რომელიც მე არ მინახავს. ცოტა უფრო ზემოთ დამბლუტის წყალს მარჯვნიდან ერთვის კაზრეთის ხევი<sup>1</sup>. აქედან უკანგორამდე დაახლოვ. 1 კმ-ია. მთელ ამ ადგილს კაკლიანს ეძახიან ნიგვზის ხის სიმრავლის გამო. კაკლიანის თავში, დამბლუტის წყლის მარცხენა ნაპირას დვას უკანგორი. უკანგორს ზემოთ ტყეში უჩვენებენ რალაც ძველ მიდნებს და საყდრის ნანგრევს, რომელსაც წიწვიანს უწოდებენ და რომელიც, ვითომ, საინტერესო „ლაწეროლ“ ქვებს უნდა შეიცავდეს.


უკანგორში ორი ეკლესია ყოფილა. ერთი, წყლის მარცხენა ნაპირას, სრულებით დაუნგრევიათ და მისი ქვა აბანოს ასაშენებლად გამოუყენებიათ ოქროს მაძიებლებს; რომლებიც უკანასკნელ დროს რამდენიმე წლის განმავლობაში რეცხავდნენ აქ ოქროს ქვიშას, რომელიც მცირედ ჩამოაქვს დამბლუტის წყალს. შენობის დანგრევისას თვალს მოეფარა ერთი წარწერიანი ქვა, რომელიც, ადგილობრივთა მოთხრობის მიხედვით, მეტად საინტერესო იქნებოდა, მით უმეტეს, რომ, როგორც ენახავთ, ეს შენობა ძალიან ძველი უნდა ყოფილიყო. რამდენადაც მახსოვს, შენობა ისე საფუძვლიანადაა დანგრეული, რომ თითქმის მისი კვალიც კი აღარა ჩანს. თუმცა, ყველა ნიშნებით, იგი მეორე ეკლესიაზე უფრო პატარა უნდა ყოფილიყო, რომელიც წყლის მარჯვენა ნაპირასა დვას და რომელსაც „ოკარიან ეკლესიას“ უწოდებენ. ეს უკანასკნელი, ი. სტრიგოვსკის ტერმინოლოგიით, სიგრძივ მიმართულს ერთნავიან ცილინდრულ შენობას წარმოადგენს<sup>2</sup>, ორიენტირებულს სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ (სურ. 1). იგი ორსაფეხურიან ხარისზე დვას<sup>3</sup> და გარედან მისი ძირითადი ოთხკუთხედი სიგრძით 14,10 მ-ს, ხოლო სიგანით 7,40 მ-ს შეადგენს. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მას აკრავს ოთხკუთხედი საღიაკენო, რომლის სიგრძე 6,00 მ-ს, ხოლო სიგანე 3,00 მ-ს უდრის და რომელსაც შესავალი მხოლოდ ეკლესიის შიგნიდანა აქვს.

კედლები ძალიან სქელია (საშუალოდ, 1,25 მ) და როგორც გარედან ისე შიგნიდანაც შემოსილია თლილი ქვის პერანგით, რომლის შიგნით ჩასხმულია ჭკორდუღები (ბეტონი). პერანგის ფილაქნები სხვადასხვა ზომისაა, მაგრამ სკარბობს დიდი ზომის ქვები (1,00×0,70 მ და მისთ.). წყობაში კარგადაა დაცული თარახულობა (სურ. 2). მასალა ერთფეროვანია, ლამაზი მოყვითანო ქანისაა,

<sup>1</sup> ეს კაზრეთი ნასოფლარია მთაში, უკანგორიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. აწ ცნობილ სოფ. კაზრეთთან, რომელსაც ჯალდამსაც და ტაბახმელასაც ეძახიან და რომელიც უფრო მოშორებით მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, თითქმის ზედ მაშვარის პირას, მას, საზეუს გარდა, საერო არა აქვს რა.

<sup>2</sup> J. Strzykowski. Die Baukunst der Armenier und Europa, Wien, 1918, Bd. I, S. 71, Abb. 49.

<sup>3</sup> ზედაპირულად ხარისხი მხოლოდ NO- და NW- მხრიდანა ჩანს, სხვაგან კი მიწითაა დაფარული. შესაძლებელია, მისი საფეხურების რიცხვი ორზე მეტიც იყოს.



სურ. 1.



სურ. 2.

11. ენიმკი-ს მოამბე, ტ. X.



მაგრამ აქა-იქ სხვა მასალის მოჩუქურთმებული ქვებიცაა ჩადგმული კედლებში, თუმცა არც ერთი თავის თავდაპირველ ადგილზე არ იმყოფება.

რით იყო დაფენილი ორფერდა სახურავი, აღარა ჩანს, რადგან მისი უდიდესი ნაწილი, ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, დაფარულია მიწითა და მცენარეულობით, ხოლო სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი სულაც ჩაქეულია და აქ შენობის კედლებიც (განსაკუთრებით, ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლები) ნაწილობრივ ჩამონგრეულია. სხვაფრთვ შენობა ჯერ-ჯერობით კარგადაა დაცული. მას ორი კარი აქვს (აქედან მისი სახელწოდება—რა თქმა უნდა, ახლახან შექმნილი), ერთი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, მეორე სამხრეთ-დასავლეთიდან, ორივე განით 0,70 მ და სიმაღლით 1,97 მ. სარკმელი სამია: სამხრეთ-დასავლეთიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელს, აფსიდის სარკმელს, განის კედლები გარეთკენ ჩვეულებისამებრ კი არ უფიწროვდება, არამედ პარალელური აქვს. ეს თავდაპირველად მაღალი და განიერი სარკმელი (1,30×0,60 მ) მერმე ქვემოდან 0,50 მ-ის სიმაღლეზე ამოშენებული წყობით დაუმოკლებიათ და ვიწრო ტიხრით გაუყვიათ ორად.

შიგნით ეკლესია წარმოადგენს მოგრძო ოთხკუთხედს, სიგრძით 9,10, სიგანით 4,90 და სიმაღლით 6,65 მეტრისას, რომელიც გადახურულია ცილინდრული კამარით და შუაზედ დანაწევრებულია ნახევარფარგლოვანი სართავი თალით, და რომელსაც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან საკურთხეველის მომრგვალება ამთავრებს. უსწოროდ მრგვალი აფსიდა სიგანით 3,35, ხოლო სიღრმით 2,70 მეტრისაა. აღსანიშნავია, რომ აფსიდის მარცხენა მხარე ნალისებურადაა მოღუნული (თუმცა შეიძლება ეს შემთხვევითი გარემოებითაც იყოს გამოწვეული).

ზღვე ერთი საფეხურით ორსავე კარზე უფრო დაბალია და ეხლა მიწითა და ნაგვითაა დაფარული.

ამბიონი შემალღებულია ერთი საფეხურით. საკურთხეველის უკანა კედელზე, სარკმლის ქვეშ, მიშენებულია ქვის ტრაპეზი, სიმაღლით 0,75 მ.

შემკულობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უადგილო ადგილას ჩაშენებულ ორნამენტირებულ ქვებს, ეკლესიას, როგორცა ჩანს, არც გარეთა ჰქონია და არც შიგნით. შიგნით მხოლოდ 0,70 მ-ზე წინ გამოშვებული და 0,65 მ-ის სიგანის პილასტრების ხარისხებითაა პროფილირებული<sup>1</sup>.

სადიაკვნო, რომლის სიგრძე შიგნით 3,50 და სიგანე 1,80 მ-ს შეადგენს, მართკუთხედს კი არ წარმოადგენს, არამედ ცოტათი უფრო განიერია სამხრეთ-დასავლეთისაკენ, მაგრამ თვალისთვის ეს შეუმჩნეველი რჩება. მას ერთი სარკმელი აქვს ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელში და ამ სარკმლის განის კედლებიც პარალელურია<sup>2</sup>.

„ორკარიანი ეკლესია“ ძირითადად ძალიან ძველი შენობის შთაბეჭდილებას ახდენს, თუმცა მას, ალბათ, არა ერთგზისი შეკეთებაც განუცდია, რომლის

<sup>1</sup> აღმოსავლეთის ფასადზე სარკმელთან მოთავსებულია მერმინდელი ჯვარი.

<sup>2</sup> უცნაურია, რომ ეს ვიწრო სარკმელი, რომელიც უფრო ხერხულს ჰგავს, ცერადა სჭრის კედელს.

ერთი ნიშანი, სხვათა შორის, ზემოხსენებული ორნამენტირებული ქვებიცაა, რომლებიც უადგილო ადგილებშია მოქცეული კედლის წყობაში.

დიდ სიძველეზე მიგვითითებს: ჩემის აზრით, უკვე არაჩვეულებრივი სისქე კედლებისა, მათი მძიმე, მკვიდრი წყობა, დიდი ზომის ფილაქნები.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ შენობა აღმოსავლეთისაკენ არაა ორიენტირებული. ეს მოვლენაც გვხვდება უძველეს ქართულ ეკლესიებში. ასე, მაგ., სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენაა ორიენტირებული ძველი გავაზის ტეტრაკონქი (VI ს.)<sup>1</sup> და კიდევ უფრო უსწოროდაა მიმართული ნეკრესის უძველესი ტაძარი (IV ს.)<sup>2</sup>.

კიდევ ერთი დეტალი შეიძლება იყოს დამახასიათებელი. უკვე მოვიხსენიე, რომ აფსიდის სარკმლის კედლები პარალელურია. ეს მოვლენაც, რამდენადაც შემოწმება შემეძლო, მხოლოდ უძველეს ტაძრებში გვხვდება, სომხეთშიც და საქართველოშიც. ასეთი ქეშო კედლებიანი სარკმლის მქონე აფსიდა აქვს დირაკლარის IV ს-ის ტაძარს<sup>3</sup>. ერერუიქის ბაზილიკას, რომელსაც ი. სტრიგოვსკი V ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებს<sup>4</sup>, ქსახის იმვე საუკუნის შუახანებში აშენებულ ტაძარს<sup>5</sup>, აშტარაკის ტაძარს, რომელიც აგრეთვე იმავე საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება<sup>6</sup>, ხოლო საქართველოში ძველი გავაზის უკვე ხსენებულს VI ს-ის ტეტრაკონქს<sup>7</sup>.

ამგვარად, ის პარალელები, რომლებიც ზემოთ იქნა დასახელებული, ყველა IV—VI საუკუნეების ფარგლებში თავსდება.

თავისი გეგმითაც უკანგორის ტაძარი უძველეს ერთნაგიან შენობებს უნდა მიეკუთვნოს<sup>8</sup>.

ამ მხრით განსაკუთრებით დამახასიათებელია სამხრეთიდან მიშენებული სადიაკვნო, რომელსაც შესავალი მხოლოდ ეკლესიის შიგნიდანაა აქვს და რომელსაც სტრიგოვსკი ძველი აღმოსავლური (მესოპოტამიური) ტრადიციის ზეგავლენას მიაწერს.

დაბოლოს, მორთულობის უქონლობაც შეიძლება უძველეს ეკლესიას ახასიათებდეს.

<sup>1</sup> იხ. გ. ჩუბინაშვილის ქართ. ხელოვნების ისტორია, ტ. I, ტფილისი, 1935, გვ. 57, სურ. 35.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 25, სურ. 1.

ტაძრების არაკანონიური ორიენტაცია, მართალია, მერმეცა გვხვდება გამოწკნისის სახით. ასე, შორეთის მონასტერი მესხეთში, რომელსაც ე. თაყაიშვილი XII—XIV საუკუნეებით ათარიღებს, და კალმახის ტაძარი, რომელიც გეგმის მიხედვით XI ს-ის ძველი ჩანს, ორიენტირებულია სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ (იხ. ე. თაყაიშვილის გამოც. ქართ. ხუროთმოძღვრების ალბომი, ტფილისი, 1924, ტაბ. 1 და 15 და Материалы по Археологии Кавказа, вып. XII, стр. 13); ხუჯაბის ტაძარი (XIII—XIV ს.) ორიენტირებულია ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ (გეგმა ინახება შ. რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმში); შდრ. აგრეთვე ქვემოთ კიანეთის გეგმა.

<sup>3</sup> Strzygowski, დასახელ. ნაშრ., გვ. 140, სურ. 52.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 153, სურ. 177.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 150, სურ. 172.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 147, სურ. 167.


<sup>7</sup> გ. ჩუბინაშვილი, ნახსენ. ადგ. და გვ. 59, სურ. 38.

<sup>8</sup> შდრ. დირაკლარის და დღევარდისა გეგმები Strzygowski-ს ნახსენებ შრომაში.



გარდა იმ ორნამენტირებული ქვებისა, რომლებიც ტაძრის კედლებშია ჩადგმული, უკანგორში აღმოჩნდა წარწერიანი და მოჩუქურთმებული ფრაგმენტების მთელი კომპლექსი, რომლის განხილვასაც ჩვენ ეხლა შევუდგებით და რომელიც, ჩემის აზრით, საშუალებას გვაძლევს ტაძრის ქრონოლოგია უფრო ნიშანდობლივადაც განვსაზღვროთ.

ეკლესიის გარშემო პატარა სასაფლაოა. აქ გვია წარწერიანი ჯვრის კვარცხლბეგი (სურ. 3). რომელიც დიდ ქვის კუბს წარმოადგენს, ზომით  $0,70 \times 0,47 \times 0,35$  მ.. ზემოდან ამ ქვაში ამოღებულია მრგვალი ბუდე ჯვრის



სურ. 3.

ჩასადგმელად. ბუდის ნაპირები სანახევროდ ჩამოტეხილია, ისე რომ მისი დიამეტრის გამორკვევა ზუსტად არ შეიძლება. ბუდის ფსკერში, შუა ადგილას, ამოღებულია პატარა ფოსო, ცხადია, ლითონის ღერძის ჩასადგმელად, რომელზედაც ჯვარი იყო ჩამოცმული.

კვარცხლბეგის ერთ გრძელს პირზე გამოქანდაკებულია 6-სტრიქონიანი მთავრული წარწერა, რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

1. [ქ] პეტრ[ს] ხო[ვ]სობას[ა]
2. მე თათვარაზ ალხო
3. [მ] [ა]რთე ესე ჯოვარი სახე
4. [ლითა] ღ[ა]თა] შე[წ]უენითა იმ<sup>1</sup>----
5. \_\_\_\_\_
6. \_\_\_\_\_

<sup>1</sup> ან „ღმ“?

რადგან ქვის ქანი რბილია, წარწერა ძალზე დაშავებულია ატმოსფერული ზეგავლენით. ზოგან გადარეცილი ასოების ნაკვალევი ჯერ კიდევ კარგად ჩანს (ასე, მე-4 სტრიქონში). სამაგიეროდ მე-5 და მე-6 სტრიქონები სულ აღარ იკითხება.

სასვენ ნიშნებს ჩვენი წარწერა არ იცნობს. ქარავმა მხოლოდ ერთხელაა ნახმარი (სტრ. 4 ლ[თა]) და წარმოადგენს მარტივ პატარა ხაზს.

პალეოგრაფიულად დამახასიათებელია ტანდაბალი, განიერი ასოები და შეკრული „ჟ“ და „ბ“<sup>1</sup>. „შ“-ინი თავგახსნილია.

ყველა ზემოჩამოთვლილი ნიშნებით და ხანმეტობით<sup>2</sup> ეს წარწერა ენათესავება ბოლნისის უძველეს წარწერებს, რომლებიც VI ს-ის დამდეგით, სახელდობრ, 502/3 წლით და მისი ახლო ხანითაა დათარიღებული<sup>3</sup>.

აღსანიშნავია, რომ „ჟ“-ს ხმარება სიტყვაში „შეწყნითა“ კიდევ უფრო უახლოვებს ამ წარწერას ბოლნისის ორ უძველეს წარწერას, სახელდობრ, 502/3 წლისას და დავით ებისკოპოზისას, საცა ანალოგიური მართლწერა გვაქვს სიტყვებში „თაჟყანისცეს“ და „თაჟყანისმცემელნი“<sup>4</sup>.

მგონია არ შეეცდებით, თუ თათვარაზის წარწერასაც VI ს-ის დამდეგით განესაზღვრავთ.

სახელი „თათვარაზ“, ცხადია, სპარსული უნდა იყოს<sup>5</sup>.

საგულისხმოა ხუცესობის ინსტიტუტის არსებობა დამძლუტის ხეობაში ამ უძველეს ხანაში. ჩვენს წარწერას უთუოდ საერო ან ნახევრად საერო პირი, ჰყავს მხედველობაში პეტრე ხუცესის ქვეშ. ეგებ აქ ხევისბირობის მსგავს მოვლენასთან გვქონდეს საქმე.

შიგ ეკლესიაში გდია უფრო პატარა ჯვრის კვარცხლბეკი მოვარდისფრო ქვისა, ზომით 0,39×0,355×0,31 მ, რომლის ერთ პირზე გამოქანდაკებული იყო 7-სტრიქონიანი მთავრული წარწერა. წარწერის უდიდესი ნაწილი სრულებით ჩამოტეხილია. დაცულია მხოლოდ შემდეგი:

<sup>1</sup> „ბ“-ანი კარგად აღარა ჩანს, მაგრამ ნაკვალევის მიხედვით იგი თავშეკრული იყო.

<sup>2</sup> საინტერესოა, რომ უკანგორის ხანმეტი ფორმა პირველი პირისა: „აღხოვართე“, ჰამეტი სახით გვხვდება წყისის წარწერაში („აღხოვართე“), რომელიც 616—619 წლებით თარიღდება (იხ. ა. შანიძე, ძვ. ქართ. ქრესტომათია I, ტფილისი, 1935, გვ. 25 და 108).

<sup>3</sup> იხ. ჩემი „ბოლნისი“, მარის სახ. ინსტ-ტის მოამბე III, თბილისი 1938, გვ. 326 წმ. 502/3 წლის წარწერიანი ქვა საქ. კულტ. ძეგლთა დაცვის განყოფილების მიერ ჩამოტანილია თბილისში და ინახება საქ. მუზეუმის ისტორიულ განყოფილებაში. შენიშვნაში (ნახსენ. ადგ., შენ. 1) მე მომავს პროფ. ა. შანიძის მიერ წამოყენებული წინადადება წარწერის აღდგენისა, რომელსაც მე არ ვეთანხმებოდი. ახალი დაკვირვების შემდგომ მე ვფიქრობ, რომ პატივცემული მეცნიერის ცდა სწორი უნდა იყოს, მაგრ. პ. ინგოროვყვას მიერ შემოტანილი არსებითი ხასიათის კორექტივის მიხედვით, წარწერა უნდა დათარიღდეს არა 492/3 წლ., არამედ 502/3 წლ.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 326 და 328.

<sup>5</sup> არ ვიცი, არის თუ არა ცნობილი ეს სახელი თვით სპარსული წყაროებიდან, F. Justi, Iranisches Namenbuch, ასეთ შედგენილ სახელს არ იცნობს.



1. \_\_\_\_\_
2. თა \_\_\_\_\_
3. და 'მ' \_\_\_\_\_
4. 'ა'ლხ'ო' \_\_\_\_\_
5. ესე ჯ'ო' \_\_\_\_\_
6. ლოცვე \_\_\_\_\_
7. 'ჩ'ნდა \_\_\_\_\_

წარწერის გამოქანდაკებულობა, ასოთა მოხაზულობა (იგივე დაბალი-განიერი ასოები), დაბალყელიანი „ღ“-ონი, ხანმეტობა (სტრ. 4) იმდენად აკავშირებს მას პირველ წარწერასთან, რომ საგულვებელი ხდება მათი თანადროულობა. თუ ასეა, მაშინ მეორე სტრიქონში შეიძლება იმავე თათვარაზის სახელი ამოვიკითხოთ, ხოლო მესამე სტრიქონში მისი მეუღლის სახელი ვიგულვოთ და მთელი წარწერა აღვადგინოთ შემდეგნაირად <sup>1</sup>:

1. [სახელითა ღმრთისაჲთა<sup>2</sup> მე]
2. თა[თვარაზ]
3. და 'მ'[არიაჲ]<sup>3</sup>
4. 'ა'ლხ'ო'[უმართეთ]
5. ესე ჯ'ო'[ვარი სა]
6. ლოცვე [ლად]
7. 'ჩ'ნდა

მეორე, დანგრეული ეკლესიის ადგილას აღმოჩნდა ჯვრიანი ქვა (სურ. 4) <sup>4</sup>. ზომით 0,39×0,325×0,07 მ რომელზედაც ჯვარის ქვეშ გამოქანდაკებული ყოფილა 2-სტრიქონიანი მთავრული წარწერა. უდიდესი ნაწილი წარწერისა გადარეცხილია, რადგან ქვის ქანი ძალიან რბილია, დაცულია მხოლოდ ორივე სტრიქონის ბოლო ასოები:

1. \_\_\_\_\_ - ოვ
2. \_\_\_\_\_ ან


<sup>1</sup> აღდგენისას გათვალისწინებული მქონდა სტრიქონების სიგრძე—ისინი ძალიან მოკლეა რაც თვით ქვის ზომიდანაც ჩანს. რა თქმა უნდა, ჩემი აღდგენის ცდა მხოლოდ პირობითია..

<sup>2</sup> ეს ორი სიტყვა, რა თქმა უნდა, დაქარავემებული იქნებოდა.

<sup>3</sup> სინამდვილეში აქ, შესაძლებელია: სულ სხვა, მაგ. სპარსული სახელი ეწერა, რაც იმ დროისათვის ადვილი წარმოსადგენია.

<sup>4</sup> სურათზე ქვის ზემო ნაწილი, ფოტოგრაფირების დროს მომხდარი შეცდომის გამო, სამწუხაროდ, კარგად აღარა ჩანს: ზედ დამთხვეულია წერეთ ქვის გადანალები.

„ზ“ შეკრულია. პალეოგრაფიული ხასიათი შემონახული ასოებისა ისევე ისე VI ს-ის დამდეგზე მივითითებ. ამასთან, წარწერა ჩასმული ყოფილა საგანგებოდ ამოღებულ ჩარჩოში, მსგავსად ბოლნისის უძველესი წარწერებისა<sup>1</sup>.



სურ. 4.

ამ ქვაზე ყველაზე უფრო საინტერესოა ჯვრიანი მედალიონი: ტოლმკლავებიანი, ფართო და შეზნექილ-კიდეებიანი გამოქანდაკებული ჯვარი ჩასმულია მრგვალს, აგრეთვე გამოქანდაკებულ ჩარჩოში. ასეთი მედალიონები კარგადაა ცნობილი ბოლნისიდან. ჯვარი, ჩვეულებრივად, ორკანტიანია, მკლავების გუ-

<sup>1</sup> იხ. ჩემი „ბოლნისი“, გვ. 326—331.

რადგან ქვა VI ს-ის დამდეგისაა შესაძლებელია რომ ის დანგრეული ტაძარიც, საიდანაც ეს ქვა მოტანილი იყო, მაგ ხანის შენობა ყოფილიყო.

„ჩარჩოს“ შესახებ უნდა შევნიშნო შემდეგი: იგი შექმნილია იმის წყალობით, რომ გამოქანდაკებული ასოების შესაღებად წარწერის გრუნტი მთლიანად არის ხოლმე ამოღებული და მხოლოდ კიდეებზე არის დატოვებული სწორხაზოვანი ქიმი. თუ გრუნტის ამოღებისას ასო შემთხვევით გაუფუჭდებოდათ, მას სულაც ამოჭკვეთავდნენ და ახალ ადგილას გააკეთებდნენ ხოლმე. ამის გამო ერთი და იგივე სიტყვის ასოები ზოგჯერ ძალზე დაშორებულია ხოლმე ერთიერთმანეთს, რაც განსაკუთრებით ხშირად ეტყობა ბოლნისის 502/3 წლის წარწერას და რაც დაზიანებული ადგილების აღდგენისას ასოთა რაოდენობის ვარაუდს აძნელებს.





ლები ამოღებული აქვს ცერადკვეთით<sup>1</sup>, ჩარჩოსა და მკლავების ჩაზნექილ ნაპირებს შორის დარჩენილი მახვილი ოვალური ღრმული შეუმკობლად დატოვებული, ხოლო მკლავებშიორისი, სფერული სამკუთხედის მოყვანილობის მქონე არე ან აგრეთვე ჩადრმავეებულია და გლუვი<sup>2</sup>, ან ბურცულია, სიგრძივ შუაზე წიბო გაუდის და დაფარულია ქდეული წიწვოვანი ორნამენტით, რომელიც ფოთლების ან ნაქვების შთაბეჭდილებას იძლევა<sup>3</sup>.

მრგვალი ჩარჩო, რომელშიც ჩასმულია ეს ჯვარი, ჩვეულებრივად, ორი კონცენტრული წრისაგან შედგება, რომელთა შორისი ვიწრო ოლე დატიხრულია ცერად დადგმული, ცერადკვეთით ამოღებული თხელი ძვიდებით, ისე რომ იქმნება მოპირისპირე ღრუ სამკუთხედების უსასრულო მწკრივი<sup>4</sup>.

ვარიანტებს უფრო ჩარჩო გვიჩვენებს, ვიდრე თვით ჯვარი. მაგ., დავით ბოლნელის მედალიონის ჩარჩო სამი კონცენტრული წრისა და ორი სამკუთხედებიანი მწკრივისაგან შედგება, ხოლო „ვარსკენ ნახაპეტის“ ჯვარს, ასეთი ჩარჩოს მაგიერად, გარშემო ამკობს ოთხად დახვეული, ირიბი ქდეებით დასერილი რტო, რომლის ბოლოები სამყურა ყვაილებით მთავრდება—ჯვარი თითქოს მცენარეულ ხოიში არის ჩასმული.

ჯვარი ზოგჯერ ვიწრო და დაბალ სადგარზე დგას ჩარჩოს შიგნით<sup>5</sup>.

იშვიათ გამოჩაყლისებს გარდა, აღწერილი მედალიონი, რომელსაც მე, სიმოკლისათვის, ბოლნურს ვუწოდებ<sup>6</sup>, ყოველთვის მეტად გულმოდგინედ და

<sup>1</sup> ამ ტერმინს მე ვმარობ იმ ტექნიკის აღსანიშნავად, რომელსაც ი. სტრიგოვსკი «Schrägschnitt»-ს უწოდებს (იხ. მისი Altai-Iran und Völkerwanderung, Lpz, 1917, S. 136 ff.) ცერად-ანუ ელმადკვეთით იმას ნიშნავს, რომ რელიეფის კიდეები შევლად კი არაა ჩაჭრილი, არამედ ცერად განხეა წაღებული, ისე რომ ორნამენტის ვზო არსებითად გაუქმებულია ანუ მიჩქმალულია. სტრიგოვსკის ეს ტექნიკა ტორვეტიკიდან გამოჰყავს (იხ. იქვე). ჩემში იგი გავრცელებული იყო უძველეს ხანაში ქვაზე, მერმე კი ხეზე გვხვდება (იხ. მაგ., ჩუქურთმისი კარი სვანეთიდან, Матер. по Археол. Кавказа, вып. X, табл. XXXVIII: 65, საცა რთვეტების გულგება ამოღებული ამ წესით). კართული ხისმკეთებლობის ნიმუშები V—VI საუკუნეებისა, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება. შდრ. ხევისტურული ტერმინი „ცერად ჩაჭრა“ ირიბად ამოღარული ორნამენტისათვის ხეზე (ვ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია, კართ. ხალხ. ორნამენტ. I, ხევისტურული, თბილისი 1939, გვ. 25).

<sup>2</sup> ასეთია, მაგ., დავით ბოლნელის ჯვარი (იხ. გ. ჩუბინაშვილი სკართ. ხელოვნ. ისტ., გვ. 42, სურ. 26) და აგრეთვე ერერუიქის სამხრ. კარის ბალავარზე მოთავსებული ჯვარი (იხ. J. Strzygowski, Baukunst der Armenier und Europa, S. 413, Abb. 442).

<sup>3</sup> ასეთია, მაგ., „ვარსკენ ნახაპეტის“ ჯვარი ბოლნისში (იხ. ჩემი „ბოლნისი“, გვ. 330, სურ. 14), რომლის მკლავებს შორის გამოყვანილი ორნამენტის ფოთლოვანი შთაბეჭდილება იმიოთა გაზრდილი, რომ წიბოზე ქდეა გატარებული (აღსანიშნავია, რომ ამ ჯვარის მკლავებში ბურთულები ყოფილა ჩასმული), ასეა დამუშავებული უკანგორის მოცემული ჯვარიც.

<sup>4</sup> ასეთი ჩარჩო აქვს „ძნაას“ ჯვარს ბოლნისში (ნახსენ. ადგ., გვ. 331, სურ. 15), რომელიც, სხვებზე, საკმაოდ მქისდაა შესრულებული, ისე რომ ჩარჩოს გარეთი წრე თითქმის სულ გამოუვლინებელია. ერერუიქის ზემოხსენებულ ჯვარსაც იგივე ჩარჩო ამკობს და ასეთივე უკანგორის მოცემული ჯვარის ჩარჩო.

<sup>5</sup> იხ., მაგ., ჩემი „ბოლნისი“, გვ. 338, სურ. 18. ეს მედალიონი საინტერესოა იმიოთაც, რომ ჯვარის მკლავებშიორისი უბეტიც ცერადკვეთითაა დამუშავებული და წიბოვანია, ისე რომ უბეტი თითქოს ცაცხის ნაყოფის მოყვანილობის ბურცულებითაა ამოვსებული.

<sup>6</sup> შდრ. ჩემი „ბოლნისი“, გვ. 323, სადაც ლაპარაკია „ბოლნურ (ბოლნისურ) ჯვარზე“. მართლაც ამ გამოხატულებას მთლიანად „ჯვარი“ ერქვა ძველად. ახლა, რა თქმა უნდა, გამონათქვამი „მედალიონი“ აჯობებს.

დიდის ხელოვნებითაა დამუშავებული. ამასთან, ყველა მრუდების წინასწარი ნახაზი ქვაზე, როგორც ეს განსაკუთრებით კარგად „ვარსკენ ნახაპეტის“ ჯვარს ეტყობა ადგილზე და როგორც ჩანაზომები ადასტურებენ, ფარგლითაა ხოლმე გაკეთებული. რელიეფი ღრმად და მკვეთრადაა ამოღებული, ქდეები კი მკრთადაა დასმული.

უკანგორის ქვაზე მედალიონის ზემოთ აშიაა გავლებული, რომელზედაც რელიეფით გამოსახულია ჰორიზონტული მწკრივი ლოტოსის ყვავილებისა<sup>1</sup>. ყვავილის ფურცლები ცერადკვეთითაა ამოღებული. უბეები ყვავილებს შორის შეესებულია ისეთივე ბურცული წიწვოვანი ორნამენტით, როგორც მოთავსებულია ჯვარის მკლავებს შორის.

ამ ქვის დანიშნულება ისეთივე უნდა იყოს, როგორც „ძნაჲს“ ჯვრიანი ქვისა, რომელიც ჩასმულია ბოლნისის ტაძრის კედელში<sup>2</sup>. ეს სამახსოვრო ძეგლია. ასეთივე ხასიათი აქვს „ვარსკენ ნახაპეტის“ ჯვრიან მედალიონს. რომელიც ცალკე ქვაზე კი არაა გაკეთებული და მერმე ჩასმული კედელში. არამედ პირდაპირ სვეტზეა გამოქანდაკებული. ტაძრის კედელში ჩასმულად შეიძლება წარმოვიდგინოთ უკანგორის ქვაც.

მეორე მხრით, ჩვენ გვაქვს ბოლნური მედალიონით შემკული სტელები, რომლებიც უფრო საფლავის ძეგლებსა ჰგავს<sup>3</sup>. უკანგორშიც არის ერთი ოთხწახნაგა პრიზმული მოყვანილობის, ბოლნური მედალიონით შემკული უწარწერო ქვა<sup>4</sup>, რომელიც აგრეთვე საფლავის ძეგლი უნდა იყოს. შესაძლებელია ჩვენი ქვაც, რომლის ქვემო ნაწილი ცოტაზე ჩამოტეხილია, თავის დროზე საფლავზე იდგა.

მისი თარიღი მოცემულია მისივე წარწერით. ასევეა დათარიღებული მთელი რიგი ბოლნური მედალიონებისა თვითონ ბოლნისში<sup>5</sup>.

მართლაც, ეს მედალიონი მხოლოდ უძველეს სომხურსა და ქართულ ძეგლებზე გვხვდება: იგი ამკობს ერერუჟის ტაძრის (V ს.) სამხრეთი და დასავლეთი კარების ბალაგრებს<sup>6</sup> და ბოლნისის სამეკლესიანი ბაზილიკის (VI ს.)

<sup>1</sup> ლოტოსს ამ ყვავილს მხოლოდ პირობით ვეძახი. მოტივი ისეა სტილიზებული, რომ მისი რეალური სახის გამოცნობა შეუძლებელია.

<sup>2</sup> იხ. ჩემი „ბოლნისი“, გვ. 332.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 338, სურ. 18.

<sup>4</sup> ამ ქვის უფრო ნიშანდობლივ აწერა, სამუშაოდ, აღარ მოესწრო. არის ფოტოგადაწარმოებული. ჯვარი სამკუთხედებთან ჩარჩოშია ჩასმული, რომელიც მრგვალ სადა ბუნზე დგას. რაზე იდგა თვითონ ბუნი, აღარა ჩანს, ორნამენტი გადარეცხილია. ეგებ აქ ქვემოთ პალმეტებიანი კვარცხლბეკი იყო. მთელი კომპოზიცია, როგორც ეტყობა, ჩასმული იყო კიდევ სწორხაზოვან ჩარჩოში.

<sup>5</sup> გამოსავალი წერტილი 502/3 წლის წარწერაა. ეს ბალავარიც შემკული ყოფილა ბოლნური მედალიონით, რომლის ქვემო ნაწილია მხოლოდ შენახული (იხ. „ბოლნისი“, გვ. 325, სურ. 11). შემდეგ, წარწერები ათარიღებს დაეით ეპისკოპოსის ქვაზე გამოსახულ ჯვარს და აგრეთვე „ვარსკენ ნახაპეტის“ ჯვარს.

<sup>6</sup> J. Strzykowski, დასახელ. ნაშრ., გვ. 413, სურ. 442 და გვ. 414, სურ. 443 (ამ უკანასკნელზე ჯვარის ჩარჩო კარგად არა ჩანს, შესაძლებელია იგი ჩვეულებრივისაგან განსხვავებულად). ასეთივე მედალიონები უნდა ამკობდეს ტეკორის ტაძრის (V ს.) ჩრდილო-კარის ბალავარსაც (იქვე, გვ. 323, სურ. 368), მაგრამ სურათზე იგი კარგად არა ჩანს.



კელებს<sup>1</sup>. უფრო მოგვიანო ხანაში იგი სხვანაირადაა ხოლმე გამოსახული. უკვე VII ს-ის დამდეგის ძეგლის, (მცხეთის ჯვრის ცნობილი ძლევაშოსილების ჯვარი<sup>2</sup> თუმცა ძალიან გვეგონება ზოგიერთ ბოლნურ ჯვრებს, განსაკუთრებით, თავისი ნახევარპალმეტებითა და ცერადკვეთილობით, მაგრამ ამავე დროს იგი თვალსაჩინოდ განსხვავდება იმით, რომ მას აკლია ტიპური, სამკუთხედებით თუ სხვა ორნამენტით შემკული ჩარჩო და მკლავებშორისი უბეების შეესება<sup>3</sup>. ამგვარად, ბოლნური მედალიონის თარიღად თამამად შეგვიძლია V და VI საუკუნეები დავლოთ<sup>4</sup>.

უკანგორში აღმოჩნდა ერთი ქვის ფრაგმენტი, რომელიც ბოლნური მედალიონის მეტად საინტერესო და თავისებურ ვარიანტს იძლევა<sup>5</sup>.

ორნამენტის შემონახული ნაწილი საშუალებას გვაძლევს იგი მთლიანად აღვადგინოთ (სურ. 5)<sup>6</sup>.

ცერადკვეთით ამოღებული ჯვარი ჩასმულია გლუვ მრგვალ სალტეში. მკლავებს შორის „ფოთლებია“. ეს პატარა მედალიონი ჩაწერილია ოთხნაწილედ როზეტში, რომელიც ტეტრაკონქის გეგმას მოგვეგონება. მედალიონი ისეა ჩაწერილი როზეტში, რომ ამ უკანასკნელის აფსიდები ერთმანეთს არ ემთხვევა და შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს იგი ზემოდან იყოს როზეტზე დადებული. აფსიდებში ჩაწერილია ნახევარჯვრები, „ფოთლებით“ მკლავებს შორის. ჯვრებიცა და აფსიდებიც თვალისთვის შეესებას მოითხოვს—თითქოს ოთხი პატარა, სიმეტრიულად დალაგებული მედალიონი ერთმა უფრო დიდმა შუაზე ზემოდან სანახევროდ დაჰფარაო. აფსიდებშორისი უბეები ამოვსებულია პალმეტებით. მთელ ამ კომპოზიციას გარშემო უვლის ბრტყელი და განიერი სალტე, რომელიც ერთ დიდ მთლიან მედალიონსა ჰქმნის.

შემდეგი სამი ფრაგმენტი მხოლოდ ფოტოგრაფიულად იქნა გადაღებული, ხოლო მათი აღწერა ვერ მოესწრო. სამივე სტელებს წარმოადგენდა. მათგან ორი, შესაძლებელია, საფლავის ძეგლი იყო.

<sup>1</sup> შდრ. „ბოლნისი“, გვ. 323.

<sup>2</sup> იხ. J. Baltrusaitis, Etudes sur l'Art Médiéval en Géorgie et en Arménie, P. 1929, Pl. LXXVI: 125, შდრ. გ. ჩუბინაშვილი და ნ. სევეროვი, ქართული არქიტექტურის გზები, ტფილისი, 1936, გვ. 27 (ქვემოთ).

<sup>3</sup> სომხეთში საინტერესო ვარიანტს გვაძლევს ერთი კაპიტელი არუჭიდან, რომელზედაც სამი წრისაგან შემდგარი სადა ჩარჩო სიმეტრიულად ოთხ ნაკვეთადაა დანაწევრებული, ხოლო, ჯვარის მკლავებს შორის ჩასმულია დამოუკიდებელი მახვილი ოვალები (Strzygowski, დ. 5., გვ. 411, სურ. 440). არა მგონია ეს ქვა VII ს-ზე უფრო გვიანდელი იყოს.


<sup>4</sup> ბოლნური მედალიონის მსგავსი გამოსახულება უცნაურად გვხვდება ერთ სომხურ XVI—XVII ს-ის მინიატურაზე (В. Стасов, Славянский и восточный орнамент, ПБ. 1887, табл. 148 :4): კვარცხლბეკზე დგას ჯერ მაღალი და ვიწრო ჯვარი, რომელზედაც ზემოდან დადგმულია ტომკლავებიანი წითელი ჯვარი მწვანედ შეფერადებული კიდვებით, ჩასმული მრგვალ ჩარჩოში. ჩარჩო ყვითელია, გარდვიარდმო ოვალური მწვანე ირიბი ხოლვებით და შემკული რვა წყვილ-წყვილად სიმეტრიულად განაწილებული მწვანე ჭაკვებიანი წითელი ბოლქვებით, ისე რომ გრებილი ხორის შთაბეჭდილებას ახდენს.

<sup>5</sup> სამწუხაროდ, ამ ფრაგმენტის გაზომვა ვერ მოვასწარი, იგი დიდი არაა.

<sup>6</sup> ნახაზი შესრულებულია მხატვრის მ. ხუციშვილის მიერ. ფრაგმენტის მიხედვით საფიქრებელია, რომ მთელი ქვის ორნამენტი მარტო ამ აღდგენილი ნახაზით არ ამოიწურებოდა. შესაძლებელია, მედალიონი ორნამენტულ კვარცხლბეკზე იდგა.

ერთ პატარა ფრაგმენტზე შენახულია ვერტიკალურად განლაგებული რელიეფური ორნამენტის, ალბათ, ძირა ნაწილი: მართკუთხედში ჩასმულია სამყურა პალმეტი, მსგავსი იმისა, რომელიც როზეტიან ფრაგმენტზე (სურ. 5) აფსიდებში ორის უბეებს ავსებს, ოღონდ ნაკლებად გადაშლილი; კუთხეები ამოვსებულია ბურცული წიწვოვანი ორნამენტით („ფოთლებით“); ზემოდან ამ მართკუთხედზე მეორე, უფრო ვიწრო მართკუთხედი იდგა, ასევე შევსებული, რომლისაც მხოლოდ მცირე ნაწილია შენახული. შესაძლებელია ამ მართკუთხედებზე დადგმული იყო ბოლნური მედალიონი.

მეორე, უფრო მოზრდილს, ოთხწახნაგა პრიზმისებურ ქვაზე სწორხაზოვან ჩარჩოში ვერტიკალური განლაგებით ჩასმული იყო მცენარეული ორნამენტი: ფოტოსურათზე კარგად განირჩევა მხოლოდ შუალა სახე, რომელიც სტილიზებულ ლოტოსის ყვავილს წარმოადგენს (უფრო შროშანსა ჰგავს); მის ქვემოთ კიდევ რაღაცა სახის მისით ჩანს; დანარჩენი ჩამორეცხილია. ორივე ფრაგმენტის რელიეფი იმავე კარგი ტექნიკითაა დამუშავებული, როგორც ზემოთ აღწერილი სხვა V—VI საუკუნეების ძეგლებისა.



სურ. 5.

მესამე ქვა შესაძლებელია სწორედ ის ჯვარი იყოს, რომელიც თათვარაზს აღუმართავს (სურ. 6)<sup>1</sup>. ეს მეტად მძიმე, გრძელი ოთხკუთხედიანი სტელა (სიგრძით 2,50, სიგანით 0,35, სისქით 0,31 მ) ეკლესიის სამხრეთი შესავლის ახლოს გდია და სამად არის გადატეხილი. სხვაფორი იგი კარგადაა დაცული, მხოლოდ აქა-იქ ანახეთქები აქვს. სამივე, ან ეგების ოთხივე პირი<sup>2</sup> ამ ქვისა შემკულია მთელ სიგრძეზე სხვადასხვა გამოქანდაკებული ორნამენტით. ერთ პირზე ერთიერთმანეთის ზემოდან გამოსახულია პალმეტებიანი ბოლნური მედალიონები კვარცხლ-

<sup>1</sup> ამ ქვის ძირა ნაწილი (სიგრძით 0,385, სიგანით 0,36, სისქით 0,345 მ) მკისედ და უორნამენტოდაა დატოვებული. ეს ძირი ჩადგმული იყო კვარცხლბეჭში. ძირის ნერჩში ამოღებულია ფოსო ლერძისათვის. ასეთივე ფოსო აქვს, როგორც ვნახეთ, თათვარაზის კვარცხლბეჭის ბუდე ფსკერში. მაგრამ სვეტის ძირი ოთხკუთხედიანი და მისი სისქე თითქოს აღემატება კვარცხლბეჭის მრგვალად ამოჭრილი ბუდის დიამეტრს, ისე რომ ნამდვილად არ ითქმის, ერთად ეკუთვნის ეს ორი ქვა თუ არა.

<sup>2</sup> დიდი სიძიმის გამო ამ ქვის გადაბრუნება ვერ მოვახერხეთ.



ბეკებზე. სრულებით (ქაბაღია, რომ თუ ეს ქვა მაინც და მაინც თათვარაზის კვარცხლბეკზე არ იდგა, იგივე დაახლოვებით იმავე ხანისა უნდა იყოს.

მეტად საინტერესოა სამი კიდევ სხვა ბარელიეფიანი ქვა.

ერთი სვეტიცთავის ფრაგმენტს უნდა წარმოადგენდეს<sup>1</sup>. იგი მტკიცე ლევა ქანისაა, გვერდებზანეკილი ოთხწახნაგა პრიზმისებური მოყვანილობის (ზომით  $0,19 \times 0,105 \times 0,105$  მ). თავსა და ძირზე მას ოთხივე მხრით ამოღებული აქვს ვიწრო და დაბალი ქანები, ისე რომ ორსავე ბოლოში დაბალი ოთხკუთხი შვერილები იქმნება. ძირა შვერილი ძალიან მჭისედაა ქანებით გამოყოფილი, სიმაღლითა არა უმეტეს 2 სანტიმეტრისაა (ზოგ მხარეზე კიდევაც ნაკლებია) და



სურ. 6.

მთელი უნდა იყოს. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ქვა ამ ნაწილით რაღაც ბუდეში უნდა მჯდარიყო და ნერჩსაც ეტყობა, რომ იგი რაღაც მტკიცე საგანზე, ალბათ ქვაზე დგომით გადახეხილ-გადაღესილა. თავის შვერილის პირები კი უკეთაა ჩამოჭრილი და სიმაღლით 2,5 სმ-ს აღწევს, მაგრამ შვერილი თითქოს ჩამოტეხილი უნდა იყოს, თავდაპირველად იგი უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო. ამ მხარეზე, მაშასადამე, ქვას ყელი ჰქონია.

ბარელიეფებით შემკული იყო ქვის მხოლოდ სამი პირი.

წინა პირზე მეტად თხელი რელიეფით და მჭისედ გამოსახულია ბორბალი ანუ თვალი, რომელიც ძალზე გადახეხილა. მისი დიამეტრი უდრის 0,08 მ-ს. განირჩევა ფერსო, ხშირი სოლები და ცენტრში მორგვი. ეს ის ორნამენტია, რომელსაც „მზის ნიშანს“ ეძახიან. მის ზემოთ 0,03 მ-ის სიგანის აშიაა გავლებული, ამოვსებული უფრო ღრმად ამოღებული, მონაცვლეობით დაპირისპირებული სამკუთხედების უსასრულო მწკრივით, როგორც ბოლნური მედალიონების ჩარჩოებზე გვხვდება.

<sup>1</sup> ეს ქვა ჩამოტანილია თბილისში და ამჟამად შ. რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმში ინახება.

აქედან მარცხენა პირზე ისევ-ისე თხელი და მქისე რელიეფით გამოსახული ყოფილა რალაც გეომეტრიული ფიგურა, რომლის ქვემო ნახევარი სრულებით ჩამოტეხილია. ფიგურა თითქოს ასე შეიძლება აღვადგინოთ: კონცენტრულად ორ წრეში ჩასმული იყო სამი რომბი (მათგან შიგნითა უფრო მომხსო ხაზები-თაა გამოყვანილი), ხოლო ცენტრში მრგვალი (?) ღილი იჯდა. მთელი ფიგურის დიამეტრი უდრის 0,067 მ-ს. ზემოდან აქაც სამკუთხედებიანი აშია იყო გავლებული, რომლის მარცხენა ნახევარი მთლად ჩამოტეხილია.

მარჯვენა პირზე კი მოთავსებულია ფარშევანგი (სურ. 7). აქაც რელიეფი თხელია, ფიგურის დამუშავება მეტად მქისე. სიგრძით და სიმაღლით მთელი ფიგურა 0,09 მ-ისაა. ფარშევანგს ახასიათებს ქოჩორი, რომელიც აქ სამღეროიანია. სხვაფრივ ძნელი მისახედრი იქნებოდა თუ რის გამოსახვა უნდოდა მხატვარს, მით უმეტეს რომ ტანი ძალიან მილეულია, ფრთა და განსაკუთრებით კუდი ძალიან მოკლეა. პროპორციები სრულებით არაა დაცული: განსაკუთრებით დიდია თავი და ქოჩრის ბოლოები და ნამეტანი უშნოდ გრძელია ფეხები, რომლებიც ამასთანავე მეტის-მეტად წინაა მოთავსებული სხეულზე. ფრთები აღნიშნულია თხელი და წვრილი დიაგონალური ქდეებით. ქოჩრის თავები დაწვრილი იყო (წერტილი შენახულია კარგად მხოლოდ უმოკლესი ღეროს თავზე). დაწვრილია თვალიც და ბიბილოც მის ქვეშ. ბრჭყალები თითო ფეხზე სამ-სამია და ეტყობა, რომ ფრინველს დეზებიც ჰქონია. ფრთა აწეულია და მის ზემოთ კიდევ რალაც გრძელი და ვიწრო ფიგურაა, რომელსაც ორი ბოლო აქვს და რომელიც ფრინველის კისერზეა მიბჯენილი და თითქოს თავისუფლად დაკიდებული ჰაერში.



სურ. 7.

როგორც აღვნიშნე, ყველა რელიეფი ამ ქვაზე მეტად მქისედაა შესრულებული და უფრო ნახაზსა ჰგავს ვიდრე ნამდვილ რელიეფს (ფარშევანგიც). ფარშევანგის გამოსახულება უკვდავებისა და გაზაფხულის ძველი ქრისტიანული სიმბოლოა. კერძოდ, ჩვენშიც იგი ძალიან ადრე გვხვდება ბოლნისში, სადაც იგი სვეტისთავზეა გამოხატული რელიეფით<sup>1</sup>. მაგრამ აქ იგი ვაცილებით უკეთაა შესრულებული—რელიეფიც უფრო მაღალია, პროპორციებიც უკეთაა დაცული და დეტალებიც ვაცილებით უფრო სუფთად და ხელოვნურადაა დამუშავებული. აქაც ფარშევანგებს სამღეროიანი ქოჩრები ამკობს.

<sup>1</sup> შდრ. გ. ჩუბინაშვილი, ქართ. ხელოვნ. ისტ., გვ. 42.



გავრცელებული იყო ფარშევანგის გამოსახულება VIII—X საუკუნეების სპარსულ ვერცხლის ჭურჭელზე<sup>1</sup>, მაგრამ აქაც ყველგან გამოსახულება გაცილებით უფრო უკეთ და სულ სხვა სტილითაა შესრულებული და უკანგორისას არ უდგება. მხოლოდ ერთი გამოსახულებაა, ზერელედ ამოფხაჭნილი ლენინგრადის ერმიტაჟში დაცული ერთი ვერცხლის თევზის ფსკერზე<sup>2</sup>, რომელიც თავისი სიმქისითა და სამღეროიანი ქოჩრით უკანგორის გამოსახულებას მოგვაგონებს შორეულად.

უფრო მოგვიანო ხანაში, X—XIII საუკუნეებში, ფარშევანგის გამოსახულება ძალიან იყო გავრცელებული მინიატურულ მხატვრობაში<sup>3</sup>, მაგრამ აქაც ანალოგიებს ვერ ვპოულობთ.

გავრცელებული იყო ფარშევანგის გამოსახულება ქსოვილებზეც. ასე, მაგ., იგი გვხვდება უკვე VI ს-ის ბერძნულ აბრეშუმის ქსოვილზე<sup>4</sup>. შემდეგში, XI—XIII საუკუნეებში ხომ ეს გამოსახულება ხშირად გვევლინება. განსაკუთრებით, მავრიტანულ ესპანეთში<sup>5</sup>, სიცილიაში<sup>6</sup> და იტალიაში<sup>7</sup>. მაგრამ ვერსად ვერ ვპოულობთ თვითონ ფრინველის გამოსახულებისათვის ანალოგიას და მხოლოდ ერთი დეტალი აახლოვებს უკანგორის ფარშევანგს იმ გამოსახულებას, რომელიც ერთს XI—XII ს-ის სპარსულ ქსოვილზე გვხვდება<sup>8</sup>. აქ ერთი მეორის პირისპირ ფარშევანგების წყვილი დგას. მათ შორის ორნამენტული ხეა დადგმული. კომპოზიცია წმინდა ჰერალდიკური ხასიათისაა. ფრინველებს თავი აუწევიან და ნისკარტი დაუღიათ, თითქოს ხესა ჰკორტნიანო. ორივეს ცალი ფეხი აწეული აქვს, სამღეროიანი თავიდიდი ქოჩრები ჰაერში ფრიალებს. ეს გამოსახულება არაფრით არ ჰგავს უკანგორისას, გარდა ერთი დეტალისა: ეს არის შარფი, რომელიც ფრინველს თავისუფლად აქვს მოხვეული ყელზე და

<sup>1</sup> იხ. Я. Смирнов, Восточное серебро, მაგ., табл. LXVI. 111 და LXVII: 116.

<sup>2</sup> Смирнов-ის დასახელ. ალბომი, ტაბ. LXI: 98.

<sup>3</sup> იხ. Стасов-ის დასახელ. ალბომი, ტაბ. 134, სურ. 12 და 13 (კოფტური), ტაბ. 141, სურ. 24 და ტაბ. 142, სურ. 1 (სომხური), ტაბ. 53, ტაბ. 57, სურ. 1 და ტაბ. 60, სურ. 17 (რუსული).

<sup>4</sup> იხ. O. v. Falke, Kunstgeschichte der Seidenweberei, B. 1913, Bd. I, Abb. 43. აქ ფარშევანგები წვეილ-წვეილად არიან ქსოვილზე დასმული, უკან მიბრუნებული თავით; ქოჩრები სამღეროიანია, ნისკარტში თითოს პატარა რტო უჭირავს. სტილი, გამოსახულება და პოზა არაფრით არ ჰგავს უკანგორისას.

<sup>5</sup> იქვე, ტ. I, სურ. 176 (XI ს.: ფარშევანგი ორთავიანია, დგას en face, კლდი გაშლილი აქვს), სურ. 178 (XI ს.: აქაც ფარშევანგები დგანან en face, მიბრუნებული თავით, გაშლილი კლდით).

<sup>6</sup> იქვე, ტ. I, სურ. 207 (XII ს.: ფარშევანგები დგანან ერთი-ერთმანეთის პირისპირ, ჰერალდიკურად; მათ შორის ორნამენტული ხე დგას; ორღეროიანი ქოჩრები ჰაერში ფრიალებს), სურ. 209 (XII ს.: აქაც ჰერალდიკური კომპოზიცია; ქოჩრები სამღეროიანი, დაწერილი თავებით; კლდები გაშლილი; სულ სხვა სტილი).

<sup>7</sup> იქვე, ტ. I, სურ. 205 (XI—XII ს.: აქაც წვეილ-წვეილი ფრინველები, ხით მათ შორის, დაკიდებული ორღეროიანი ქოჩრებით, გაშლილი კლდებით; კომპოზიცია ძალიანა ჰგავს სიცილიურ ქსოვილისას, სურ. 207), ტ. II, სურ. 282 (XIII ს.: ისეთივე კომპოზიცია; სამღეროიანი ქოჩრები).

<sup>8</sup> იქვე, ტ. I, სურ. 155.

რომლის ბოლოები უკანაა გადადებული და ჰაერში ფრიალებს. როგორც აღვნიშნე, უკანგორის ფარშევანგსაც აწეულ ფრთას ზემოთ კისერზე რალაც გრძელი და ვიწრო, ორბოლოიანი ფიგურა აქვს მიბჯენილი. რომელიც თითქოს ჰაერში თავისუფლად ჰკიდია. ეს უცნაური ფიგურა, ვკონებ, ჰპოულობს თავის ახსნას ზემოხსენებული სპარსული ქსოვილის ფარშევანგის ყელსახვევში. უკანგორელ მოქანდაკეს სწორედ ასეთი ყელსახვევი უნდოდა გადმოეცა თავისი უმწეო უღრეკი ფიგურით, რომელიც მას ყელზე შემობმულად არც კი გამოუხატავს. სხვანაირად ამ მოტივის გაგება ძნელია. თუ ასეა, მაშინ სხვა ანალოგიებსაც ადვილად მოვძებნით. საქმე ისაა, რომ ეს მოტივი ძველი სპარსულია, სახელდობრ, სასანური და სასანური სამეფო ტანისამოსიდანაა გადასული ბირუტყეებზედაც. როგორც წმინდა ორნამენტი<sup>1</sup>. სპარსეთიდან იგი გავრცელდა დასავლეთისკენაც — აქ იგი გვხვდება უკვე VI ს-ის ბიზანტიურ ქსოვილებზე<sup>2</sup>, და აღმოსავლეთისკენაც, საცა მას გხვდავთ კედლის მხატვრობაზე ჩინეთის თურქისტანში<sup>3</sup>. უფრო გვიან, X—XI საუკუნეებში, ბიზანტიიდან ეს მოტივი დასავლეთ ევროპაშიც შევიდა<sup>4</sup>. თვით სპარსული მაგალითებიც ბლომად მოიპოვება, როგორც სასანური, ისე ადრეულ-ისლამური ხანისა<sup>5</sup>. განსაკუთრებით სწორედ ფრინველებს ამკობდნენ ასეთი შარფებით და ამ სახით გადაიღეს ეს მოტივი, კერძოდ, ბიზანტიაშიც<sup>6</sup>.

რაც შეეხება იმას რომ უკანგორის ფარშევანგს შარფი ყელზე შემოხვეული არა აქვს, ესეც შეიძლება მოქანდაკის გარკვეულ სურვილს ვადმოგვეცემდეს. თავდაპირველად ეს სამკაული შეფეთა თავსაბურავის შემადგენელი იყო და სასანურ ჭურჭელზე იგი ქუღზეა ხოლმე მიმაგრებული თავისუფლად უკანიდან<sup>7</sup>. ფრინველებსაც ზოგჯერ შარფი ყელზე კი არა აქვთ მოხვეული, არამედ თავზე ქორის ქვემოთ აქვთ თავისუფლად დამაგრებული<sup>8</sup>. შესაძლებელია ამის გამოხატვა ჰსურდა უკანგორელ მოქანდაკესაც, რომელსაც, მართალია, თავზე კი არა, ყელზე მიუკრავს ეს სამკაული თავისი ფრინველისათვის. მაგრამ მაინც სწორედ ეს გარემოება შეიძლება გამოსახულების სიძველის მანიშნებელი იყოს.

ყველა ზემოხსენებული პარალელი თავსდება VI—X საუკუნეების ფარგლებში. უკანანკნელად მოხსენებული გარემოება შარფის ყელზე შემოუხვევლობის შესახებ და ზემოხსენებული სამკუთხედებიანი აშიები, რომლებიც ამ ქვის ორ დანარჩენ ბარელიეფს ამკობს და ბოლნური ჯგერების ჩარჩოების მოტივის

<sup>1</sup> Falke, დასახელ. ნაშრ., ტ. I, გვ. 39.

<sup>2</sup> იქვე, ტ. I, სურ. 48 და 49 (შარფიანი რაშები), სურ. 50 (შარფიანი ჯიხები).

<sup>3</sup> იქვე, სურ. 100 (შარფიანი იხები); (შდრ. А. Ю. Якубовский, Культура и искусство Востока, Липр. 1937, стр. 25).

<sup>4</sup> იქვე, სურ. 137 (შარფიანი მტრედები?).

<sup>5</sup> ხოსრო II-ის ნადირობის რელიეფზე ტაკობოსტანში (ციტირ. Falke-ს მიხედვით, ტ. I, გვ. 39, შენ. 4), ევრცხლის ჭურჭელზე (გამოცემული აქვს Смирнов-ს თავის აღბომში, სურ. 108, 109, 128, 134, 152. ციტირ. Falke-ს მიხედვით, ტ. I, გვ. 97, შენ. 5), ქსოვილებზე (Falke, ტ. I, სურ. 136) და სხვ.


<sup>6</sup> Falke, დასახელ. ნაშრ., ტ. I, გვ. 98.

<sup>7</sup> იხ. მაგ. იქვე, სურ. 47.

<sup>8</sup> იხ. იქვე, გვ. 82, სურ. 101.



იმეორებს, გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი ქვის თარიღი აღნიშნული პერიოდის უფრო დასაწყისთან უნდა დავდეთ ვიდრე დასასრულთან. დაბოლოს, თვით ქვაც, თუ კი იგი ნამდვილად სეცტისთავს წარმოადგენს, თავისი მოყვანილობითა და სიმარტივით ქართული ხუროთმოძღვრების უძველეს ხანას გვაგულვებინებს.



სურ. 8.

ორი დანარჩენი ბარელიეფი, სამწუხაროდ, ძალიან დაზიანებული ფრაგმენტების სახითაა შენახული. ორივეზე ადამიანის ფიგურა იყო გამოსახული (სურ. 8). ერთს (ზომით 0,33×0,17×0,075 მ), ალბათ, თუ მეტი არა, მთელი ნახევარი უნდა აკლდეს. აქ გამოსახული იყო მამაკაცი, როგორც ეტყობა, en face: ჩანს მისი მოგებშემოსილი თუ მესტებ-საცვთებიანი ფეხები და წამოსახამის ქვემო ნაწილი, ხოლო მის ქვეშ კაბის ქობა მოჩანს<sup>1</sup>, რომელიც თხელი და წვრილი ირიბი ქდეებითაა დამუშავებული, რაც, ალბათ, ორნამენტს ვადმოგვემს. ადამიანის ფიგურის მარჯვნივ, ალბათ ჯვარის კვარცხლბეკი დგას.

<sup>1</sup> აქ შეიძლება კაბა და პერანგი გვეგულისხმა, და არა წამოსახამი და კაბა, მაგრამ ასე უფროა საფიქრებელი მეორე ბარელიეფის ანალოგიით (იხ. ქვემ.).

რომელიც აგრეთვე ჰდებებითაა დამუშავებული: შენახულია კვარცხლბეკის ძირა ნაწილი, რომელზედაც მოკლე ბუნი დგას და შემდეგ, შესაძლებელია, პალმეტები მოდიოდა, რომლებიც ჯვარს ქვემოდან ევლებოდნენ. მაინც და მაინც ნამდვილად არაფერი ითქმის, რადგან ბუნს ზემოთ ორნამენტის მხოლოდ მცირე ნაშთილა დარჩენილი. კიდევ უფრო მარჯვნივ, ფრაგმენტის კუთხეში, აგრეთვე რაღაც გაურკვეველი ორნამენტის ნაშთია შენახული. აქეთა პირიც ქვას ჩამოტეხილი აქვს. კვარცხლბეკის ქვემოთ ჰორიზონტულად ერთსტრიქონიანი მთავრული წარწერა იყო გამოქანდაკებული, რომელიც ისეა გადარეცხილი, რომ აღარ იკითხება—ცალკეული ასოების გარჩევა შეიძლება მხოლოდ, ისიც სათაოდ: კვარცხლბეკის ქვეშ ორი თავშეკრული ასო („ბ“ და „ყ“?) და თითქოს „ნ“, ფიგურის მარცხნივ ორი „ა“-ნი? ასოების პალეოგრაფიული ხასიათი თითქოს ბოლნისის უძველეს წარწერებს მოგვაგონებს.

მეორე ფრაგმენტზე (ზომით  $0,21 \times 1,15 \times 0,13$  მ) დაცულია მხოლოდ ერთი ფიგურა, რომელსაც თავი აკლია. აქ უნდა დაკარგული იყოს ქვის უდიდესი ნაწილი, ხოლო ნიშანდობლივ რამდენი, არა ჩანს. რელიეფი ჩანს მული იყო სწორხაზოვანი ჩარჩოში. ფიგურის ტანისამოსი აქ უკეთ განირჩევა, ვიდრე პირველ ფრაგმენტზე: ესეც შამაკაცია და მას აცვია მოგრძო სახელოიანი მოკლე წამოსასხამი, რომლის ქვეშაც კაბის ქობა მოჩანს<sup>1</sup>. კაბაც მოკლეა, ცოტაზე ჰფარავს მუხლებს, ისევე როგორც ეს პირველ ფიგურაზეა. წამოსასხამი წელში ვიწროა, მერე კი ორმხრივ რკალივით ჩამოდის ქვევითკენ. კაბაც მის ქვეშ ასეთი მოყვანილობისა ჩანს და თან მისი კალთა ამოჭრილია რკალად ზევითკენ, რაც პირველ ფიგურასაც ეტყობა, თუმცა უფრო ნაკლებად. წამოსასხამის ერთი კიდე, სახელდობრ მარჯვენა, მეორეზეა გადადებული. სახელო არაა მაინც და მაინც გრძელი, მაგრამ შიგ კაცს ხელი არა აქვს გაყრილი. გამოსახულია მხოლოდ მარჯვენა სახელო, მარცხენა კა არა ჩანს. ფეხზე ამ ფიგურას აცვია საცვეთები და რბილი და კობტა უქუსლო წულები. სახელდობრ, რელიეფს კარგად რომ დაეაყვირდეთ, შეეამჩნევთ, რომ კოჭებთან იგი პროფილირებულია: ეს უნდა მიგვითითებდეს იმაზე, რომ მოქანდაკეს მოგვების გადმოცემა კი არ ჰსურდა, არამედ წულებზე ჩამოცმული საცვეთებისა<sup>2</sup>.

ეს ფიგურაც, როგორც ჩანს, იდგა en face და მარცხენა ხელი მას ზევითკენ განზე გაწვდილი უნდა ჰქონოდა<sup>3</sup>.

ორივე ბარელიეფი ძალიან მქისედაა დამუშავებული, სქემატურად და, განსაკუთრებით პირველი, ყოველგვარი მოდელირების უიმისოდ, მაგრამ მეო-

<sup>1</sup> დღიურში მიწერია, რომ ამ ფიგურის ქობაც, მსგავსად პირველი ფიგურისა, ირიბი ჰდებებით არის დამუშავებული. ფოტოსურათზე ეს აღარა ჩანს.

<sup>2</sup> პირველი ფიგურის ფესსაცმელიც კოჭებთან პროფილირებულია, თუმცა უფრო უმწვოდ, უბრალო ხაზით. აქაც, მაშასადამე, მესტები და საცვეთები უფრო უნდა ვიგულვოთ, ვიდრე მოგვი.

<sup>3</sup> ეს საეულელებელია ამ ხელის ნაშთის მიხედვით, რომელიც ქვის ზემო მარცხენა კუთხეში ჩანს.



რე მანც ბევრით სჯობია პირველს. მეორე ფრაგმენტზე ფიგურას საგანგებო მიწა აქვს შექმნილი ქვის გრუნტის ამოღების საშუალებით და იგი აქ გაცილებით უფრო თავისუფლადა დგას, რაც მას განსაკუთრებით ფეხებზე ეტყობა, რომლებიც პერსპექტივაშია მოცემული, იმ დროს როდესაც პირველი ფიგურის ფეხები უმწეოდ ბრტყლად არის შესრულებული. რელიეფის ზედაპირიც მეორე ფრაგმენტზე უფრო სუფთაა. ამასთან, თუმცა ორივე ბარელიეფი თხელია, მაინც მეორე ფიგურა უფრო მაღალი რელიეფითაა გამოყვანილი და ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს ის გარემოება, რომ იგი სიღრმეში ზის და ჩარჩოთია შემოვლებული.

პირველი ფრაგმენტის თარიღი ასე თუ ისე განსაზღვრულია მისი წარწერის ნაშთებით: დაახლოებით, იგი უნდა ეკუთვნოდეს უკანგორის უძველესი ნაშთების ხანას.

მეორე ფრაგმენტის ქრონოლოგიურად განსაზღვრა უფრო ძნელია, მაგრამ, მე მგონია, ძალიან არ შეეცდებით, თუ ამასაც იმავე ხანას მივაკუთვნებთ. მიახლოებითი თარიღის დასადგენად მნიშვნელობა აქვს აქ გამოსახული ფიგურის კოსტუმის სამ დეტალს:

ასეთივე, ან ამის მსგავსი ფეხსაცმელი გვაქვს მცხეთის ჯვარის ერთ-ერთ ბარელიეფზე. სახელდობრ, დემეტრე ჰატოსს აცვია სწორედ ასეთივე რბილი, წოპწოპა უქუსლო წულები და კოჭებთან ვიწრო, მუხლისკენ ძაბრისებურად გაგანივრებული საცვეთები (სურ. 9). მართალია, აქ საცვეთები ფეხზე დამაგრებულია კიდევ ე. წ. საკოჭურებით ანუ პაქანაგებით, მაგრამ ეს ხომ ყოველთვის საჭირო არ იყო.

ანალოგია დემეტრე ჰატოსის გამოსახულებასთან იმით ძლიერდება, რომ მასაც წამოსასხამი აცვია, რომლის სახელოშიც მას ხელი არა აქვს გაყრილი. მართალია, სახელო აქ გაცილებით უფრო გრძელია ვიდრე უკანგორის ბარელიეფზე და თვით წამოსასხამიც ხალვათია, წელში არაა მოჭერილი როგორც უკანგორში, მაინც იქაც და აქაც ერთნაირი დანიშნულების და ერთნაირად ხმარებული ტანსაცმელი გვაქვს<sup>1</sup>.

თუ უკვე წამოსასხამი და ფეხსაცმელი VI—VII საუკუნეზე მივითითებ, ჩვენი ბარელიეფის კაბის დეტალიც, სახელდობრ, ზევითკენ რკალად ამოჭრილი კალთა, ანალოგიას ჰპოულობს იმავე ხანის ერთ სომხურ ძეგლზე. ეს არის, ბალტრუსაიტისის განსაზღვრით, V—VI საუკუნეების სტელა, რომლის

<sup>1</sup> გრძელსახელიანი ხალვათი წამოსასხამი ერთ დროს, უძველეს ქრისტიანულ ხანაში და ვიდრე X ს-მდე, ძალიან გავრცელებული ყოფილა ჩვენშიც და სომხეთშიც. იგი გვაქვს მცხეთის ჯვარის მეორე ბარელიეფზეც (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტ., ტ. II, გვ. 218=Strzygowski, *Baukunst der Armenier*, Bd. I, S. 87, Abb. 73=გ. ჩუბინაშვილი, ქართ. ხელოვნ. ისტ., გვ. 109, სურ. 80), ატენის ბარელიეფებზე (VII ს.; ჯავახიშვილი, გვ. 394), კუმურდოში (X ს.; Baltrusaitis, ტაბ. LXXXIII: 140=Matsep. no Apx. Kavk. XII, ტაბ. VII), ჯავახეთის ზეგანში (X—XI ს.; Mat. no Apx. Kavk. XII, გვ. 67, სურ. 40), თალინში (V—VI ს.; Baltrusaitis, ტაბ. LXXXI: 135), მრენში (VII ს. Strzygowski, Bd. I, S. 430, Abb. 469 u. 470).

კვარცხლბეკზე გამოხატულია დანიელი ლომების ხნარცვში<sup>1</sup>. სტრიგოვსკის აზრით, ამ დანიელს სპარსული სამოსელი აცვია<sup>2</sup> და იგი თუმცა სხვაფრივ განსხვავდება უკანგორის ბარელიეფის ტანსამოსისაგან, მაგრამ ჰგავს მას



სურ. 9.

იმით, რომ იგიც მოკლეა. წელში ვიწრო (დანიელს წელზე ქამარი აქვს შემორტყმული), წელსქვემოთ რკალად ჩამოდის და განსაკუთრებით იმით, რომ მის კაბასაც კალთა ზემოთკენ რკალად ამოჭრილი აქვს<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ. J. Baltrusaitis, დასახელ. ნაშრ., ტაბ. LXX:115=J. Strzygowski დასახელ. ნაშრ., ტ. I, გვ. 718, სურ. 682.

<sup>2</sup> Strzygowski, იქვე.

<sup>3</sup> უკანგორის ბარელიეფების დეტალები ძალიან გვაგონებს დმანისის სიონის საკურთხევლის სამხრეთ კედელში ჩაშენებული ქვის ბარელიეფის ზოგიერთ დეტალს (იხ. ჩემი „დმანისი“, გვ. 367—371 და სურ. 29). უკანგორის პირველი ფრაგმენტის კომპოზიციაც შორეულად დმანისისეული ქვის კომპოზიციას მიემსგავსება. ამისდა მიხედვით შეიძლება დმანისის ბარელიეფის ქრონოლოგიურად განსაზღვრა, ფიგურების თავსაბურავი და განსაკუთრებით გრძელბოლოებიანი ქამარი (რომელიც ჩვენში, რამენადაც ვიცი, გვიან, არა უადრეს XV ს-ისა შემოდის სპარსეთიდან) რომ სიფრთხილეს არ გვიკარნახებდეს. შდრ. ენიკი-ს მოამბე IX, გვ. 92, სურ.60.



ამ ბარელიეფების დანიშნულების შესახებ ძნელია გადაჭრით რისიმე თქმა, რადგან დაზიანებულობის გამო მათი შინაარსი ნათელი არაა. ყოველ შემთხვევაში, ეს უნდა ყოფილიყო ბატარა ლორთინები, მსგავსი დმანისის სიონის საკურთხეველის სამხრ. კედელში ჩადგმული ბარელიეფიანი ქვისა და შეიძლება მასავით ტაძრის კედელში იყო მოთავსებული.

დასასრულ, აღვნიშნავ კიდევ, რომ უკანგორის „ორკარიანი ეკლესიის“ სასაფლაოზე არის ერთი საფლავის ქვა, რომელზედაც მდარე რელიეფით გამოსახულია გულხელდაკრეფილი კაბიანი ფიგურა მაღალქუსლიანსა და ქინტებიან ჩექმებში. ეს ქვა XVII—XVIII ს-ის ნაშთი უნდა იყოს.

ამგვარად, უკანგორში ჩვენ გვაქვს მეტად საინტერესო და მდიდარი კომპლექსი საქართველოს ისტორიის უძველესი ხანისა. მეორე მხრით, უკანასკნელად ხსენებული საფლავის ქვა გვიჩვენებს, რომ ეს ადგილი XVIII ს-შიც ჯერ კიდევ დასახლებული ყოფილა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> უკანგორის შესახებ ისტორიული ცნობები არ მოგვეპოვება. იგი, როგორც აღვნიშნე, დატანილია ვახუშტის რუკაზე. გარდა ამისა, 1738 წლის ორი საბუთიდან, რომლებიც გამოცემული აქვს ე. თაყაიშვილს (საქ. სიძე, II, გვ. 392 და 393), ვტყობილობთ, რომ აქ მიწები სპერიათ თურქისტანიშვილებს, რომლებიც იძულებული ყოფილან მიეყიდათ ისინი ვაჟდანიშვილებისათვის, ე. ი. ორბელიანებისათვის. უკანგორი იხსენიება 1721 წლ. ხალხის აღწერის დავთარშიც (გვ. 79, 80, 81, 83, 84).

ნაშთები უკანგორში იმაზე მეტია, რაც ზემოთ არის აწერილი. დროის უქონლობის გამო ბევრი საინტერესო ჩუქურთმიანი ქვა, განსაკუთრებით ის, რაც თვით ტაძრის კედლებშია ჩაშენებული, ფოტოგრაფიულადაც ვერ იქნა გადაღებული, ზოგი კი ფოტოგრაფიულად გადავიღეთ, მაგრამ ვერც გავხომეთ და ვერც ავწერეთ ადგილზე. აუცილებლად საჭიროა უკანგორში ზელმეორედ წასვლა არა მარტო ყველა ფოტოსურათების გადასაღებად და ნაშთების უფრო ნიშანდობლივი აღწერილობის შესასრულებლად, არამედ მათი უნიშვნელოვანესი ნაწილის თბილისში ჩამოსატანად, რათა ეს ძვირფასი განძი მუზეუმში იქნას შემდგომი განადგურებისაგან დაცული. განსაკუთრებით საინტერესოა, თათვარაზის წარწერას გარდა, დიდი „ჯვარი“. შესაძლებელია აგრეთვე რომ აღმოჩნდეს ის წარწერიანი ქვა, რომელიც მეორე ეკლესიის დანგრევის დროს დაკარგულა.

Л. МУСХЕЛИШВИЛИ

## ИСТОРИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ УКАНГОРИ

(РЕЗЮМЕ)

Сел. Укангори лежит в ущелье р. Дамблутис-цхали, правого притока Машавери, в Люксембургском районе Грузии. Здесь сохранились развалины древней церкви. Судя по плану (рис. 1), необычной толщине стен, тяжелой, прочной кладке из крупных каменных плит (рис. 2), затем по отсутствию правильной ориентации на восток и форме восточного окна, имеющего параллельные боковые стенки, постройка эта должна быть отнесена к древнейшим христианским памятникам Грузии. Параллели ко всем перечисленным признакам находим на армянских и грузинских памятниках, датирующихся в пределах IV—VI веков (Дираклар, Егевард, Еереруйк, Кассах, Аштарак, Гавази, Некреси).

Отсутствие всякого декоративного убранства также может являться признаком глубокой древности этого здания. Однако здесь было найдено большое количество фрагментов стел и плиток, сохранивших надписи и характерные орнаменты, которые, относясь в большинстве к концу V-го или началу VI века, позволяют предположить, что и постройку можно точнее датировать именно этой эпохой. Надписи (рис. 3 и 4) хорошо датируются и палеографически и по языковым признакам (т. н. «ханмети»), имея точно фиксированные параллели из Болниса.

Орнамент из характерных медальонов с крестами (рис. 4, 5 и 6), повторяя известные болнисские и ереруйские образцы, датируется V—VI веками. Медальон этот имеет, обычно, следующий вид: рельефный равносторонний крест, рукава которого имеют вогнутые края и сильно расширяются к концам, вписан в рельефную же круглую рамку. Крест кантован, рукава его выемчаты, причем выемки сделаны косыми срезами. Островальные углубления, образующиеся между вогнутыми концами рукавов и рамкой, оставлены, обычно, пустыми, а межрукавные пазухи, имеющие вид сферических треугольников, либо также углублены и гладки, либо же выпуклы, профилированы продольным ребром и гравированы «ёлочкой», так что получается впечатление листьев или же хвойных шишек. Рамка, в которую вписан этот крест, состоит, обычно, из двух кругов. Узкая полоска между ними разбита на ряд противопоставленных полых треугольников, углубленных также косыми срезами.

Орнамент варьируется. При этом рамка показывает больше вариантов, чем самый крест, стоящий иногда на низкой подставке. Нужно заметить, что укангорийские камни представляют чрезвычайно интересные и своеобразные варианты этого орнамента и ряд композиций его с пальметками и проч., имеющих большую научную ценность.



Один камень с грубо выполненным барельефом павлина (рис. 7) представляет из себя, вероятно, часть капители. Рисунок птицы с шарфом на шее находит себе аналогии в изображениях птиц и других животных на сасанидской серебряной посуде, персидских, византийских и западноевропейских шелковых тканях и т. д. Мотив с шарфом, происходящий от головного убора сасанидских царей, был очень распространен в VI—XII веках. Архаичность укангорийского камня и его орнамента, заставляет отнести его скорее к началу означенного периода.

Два других барельефа с фигурными, тоже довольно грубыми изображениями (рис. 8), судя по деталям костюма, находящим себе аналогии на известных джварских барельефах VI—VII веков (рис. 9: накидка с неиспользованным рукавом, мягкие полусапожки с острыми носками и растреды на ногах) и на одной армянской стеле V—VI веков (J. Baltrusaitis, табл. LXX: 115: вырезанный скобкой подол платья), являются тоже очень древними памятниками. На V—VI века указывают и остатки надписи на одном из них.

Все эти камни, кроме капители с павлином, представляют из себя либо надгробные памятники, либо памятные плитки, в свое время, вероятно, заложенные в стены храма, как это мы наблюдаем в Болниси.

ბ. ჟღერბი

**ლაბილიზეზულ თანხმომანთა საკითხისათვის  
ქართულურ ენეზოი<sup>1</sup>**

ქართულ და კავკასიურ ენათა თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის გასარკვევად ფონეტიკურ ძიებებს დიდი დახმარება შეუძლია გავვიწიოს.

ის ფონეტიკური მოდელი, რომელიც დღეს კავკასიურ ენებს გააჩნია, უნდა ვივარაუდოთ, რომ გააჩნდა ოდესღაც ქართველურ ენებსაც. ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში მეცნიერთა მიერ ქართულ და კავკასიურ ენათა თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის შესახებ მეტად საყურადღებო მოსაზრებანია გამოთქმული. აკად. ნ. მარი ფიქრობდა, რომ ენობრივი განვითარების ის სტადია, რომელზედაც ახლა აფხაზური ენა იმყოფება, ქართულს უკვე განვლილი აქვს. აკად. ივ. ჯავახიშვილის კაპიტალურს ნაშრომში [1] ნათქვამია, რომ მსგავსად კავკასიური ენებისა ქართულს ერთ დროს სქეს-კატეგორიებიც უნდა ჰქონოდა. „ქართულ-ქართველური ენების განვითარების ისტორიაში ორი დიდი ხანის არსებობა უნდა გვეკონდეს გათვალისწინებული: პირველი და უძველესი ის ხანაა, როდესაც გრამატიკული სქეს-კატეგორიები ამ ენათა ძირითადს დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა, მეორე, მომდევნო ხანა კი იმ დროითგან იწყება, როდესაც გრამატიკული სქეს-კატეგორიები გაქრა და, დროა ცვლილებებთან დაკავშირებით, ქართულ-ქართველურის ახალი სახე ჩამოინაკეთა“ (გვ. 623).

ცნობილი ენათმეცნიერი Ginneken-ი თავის 1938 წ. გამოცემულს ნაშრომში [2] სპეციალურად ეხება რა კავკასიურ ენათა ე. წ. ლატერალ თანხმონებს, შესაძლებლად თვისის ლატერალ თანხმომანთა არსებობას ქართულშიც და ამ მიზნით სპეციალურად შერჩეულ საკმაოდ დიდი რაოდენობის მასალებსაც ითვალისწინებს.

ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს: ახასიათებდა თუ არა ქართველურ ენებს ე. წ. ლაბილიზებული თანხმონები?

ამ საკითხის შესახებ ლიტერატურაში ვაკვრით უკვე გამოთქმულია აზრი. კერძოდ, ნ. იუ შმანოვის თავის სტატიაში [3] ამ საკითხის სასარგებლო მოსაზრება აქვს გამოთქმული. მისი აზრით, ისეთი კომპლექსები, სადაც დღეს გვაქვს

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად ენიმკი-ს ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების სხდომაზე 28.III.1940 წ.



თანხმოვანი +ვ უნდა მიუთითებდეს ლაბიალიზებულ თანხმოვნებზე, რომლებიც ოდესღაც წარმოადგენდნენ მთლიან ფონემებს, ხოლო შემდეგ ორად დაიშალნენ (გვ. 36).

როგორც ცნობილია, ლაბიალიზებული თანხმოვნები დღეს ზოგიერთ კავკასიურ ენასა და დიალექტს ახასიათებს—და არა ყველას. მაგ., იგი ახასიათებს: აფხაზურს, ყაბარდოულს, კიახურს, უბიხურს, აბაზურს; არ ახასიათებს იგი: ჩაჩნურსა და დაღისტნურ ენებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზურს დღეს ლაბიალიზებული ჯ, ჩ, ჭ არ ახასიათებს [4]. ეს თანხმოვნები დღეს აფხაზურში წარმოდგენილია მხოლოდ პალატალიზებული სახით, მაშინ როდესაც აბაზური ენის ზოგიერთ დიალექტში, მაგ., ფსიქ-ერზურგულში და კუბინოინჯიკქუნში ისინი ლაბიალიზებულია, ხოლო იმავე ენის აულ „Красновосточный“-ს მეტყველებაში იგივე ჯ, ჩ, ჭ დელაბიალიზებული ფორმითაა წარმოდგენილი. აბაზური ენის აულ აფსუას მეტყველებას შემოუნახავს სამი ლაბიალიზებული კბილბაგისმიერი აფრიკატი: დი, თი, ტი [5].

როგორც ჩანს, ამ მხრივ კავკასიურ ენებშიაც არ გვაქვს ერთნაირი სურათი. ზოგ მათგანს ახასიათებს ლაბიალიზებული თანხმოვნები, ზოგს კი დაუკარგავს; დიალექტების მიხედვითაც კი სხვადასხვა სურათია.

როგორია ვითარება ქართველურ ენებში?

ქართველურ ენებში განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ვ(ჟ) მსგავსად კავკასიური ენებისა ხშირად თავს იჩენს ჩქამიერ თანხმოვნებთან.

უძველეს ქართულში ხშულებისა და სპირანტების შემდეგ იწერებოდა უმარცვლო უ, ხოლო უ, სრული ხმოვანი, ვადმოიცემოდა ორი ასოთი: ოვ. მთელ რიგ შემთხვევაში ძველ ქართულში იწერებოდა უმარცვლო უ, მაგრამ იგი დღეს არც იწერება და არც წარმოითქმის, მაგ.: თქუმა; მისგან ნაწარმოებ სიტყვებში: თქუმულნი, თქუმად, გამოუთქუმელთა, აღთქუმა და სხვ. სარკუმელი; კუმევა—საკუმეველი; საძირკუმელი; შერწყუვიდის; ზაკუმეა—მზაკუმეარი; უკუანა—უკუანაძსკნელ და სხვ. მსგავსი მოვლენა გვაქვს სპირანტ ხ-სთან სიტყვაში: სუმა—სასუმელი; წინანენის მიერ აფრიკატ ც-სთან: ცუმა, ჯუარცუმული და სხვა. გარდა ამისა, ძველ ქართულში იქ, სადაც იწერებოდა უ (უმარცვლო უ), მის ნაცვლად დღეს ყველგან ვ-ს ვწერთ. ახალმა ქართულმა უმარცვლო უ და ვინი გააერთიანა. მაგ., ძველი ქართულიდან: ექუსი—ათექუსმეტი; საყუარელნო—სიყუარული; წულილნი; განვისუენო, ჩუენ; თქუენ; ძუალი; ჯუარი; თუალი; მიმითუალეს; ყუავილი; კუეთა—განკუეთა, სასოწარკუეთა; კუამლი; გუამი; მარცუალი; წუერი—მწუერი ვალი; მწუანე; ცუარი; ძუელი; ძღუნად; შიშუელი; შუენიერი; განრღუეული; გუემა; ჩუენება; სიკუდილი; რიცხუთა; ლახუარი; მისწულები; კუნესაჲ, კუერთხითა, დაშურობა და სხვ.

ძველ ქართულში, თუ უმარცვლო უ-ს უშუალოდ ი მოსდევდა, მას ვადმოიცემდნენ ვ ასოთი. მაგ.: ხუთქი, ცკლი, გკრგკნი, იკჳ, ნაძჳ, რიცხჳ, ლედჳ

და სხვ. ცხადია, რომ ძველ ქართულში არსებობდა უმარცვლო უ და მის გვერდით ვინიც. ზემოთდასახელებულ მაგალითებში: კუმევა, საკუმეველი, შერწყუვიდის, საძირკუველი, ზაკუვა, მზაკუვარი, ყუავილი, მწურერავი და სხვ. იწერება უმარცვლო უ და ვინიც. იმისი დაზუსტებაც არის შესაძლებელი, რა შემთხვევაში იწერებოდა უმარცვლო უ და რა შემთხვევაში ვინიც.

ძველ ქართულში უმარცვლო უ დადასტურებულია ხშულებთან და სპირანტებთან (იხ. ზემოთ), ვინი კი გვხვდება: 1. რ ლ ნ-სთან (წინ ან შემდეგ): რ-სთან: რვალი, რვა—მერვე, მწურვალი, პირველი, სურვილი, აურვებდეს, ბევრი. ლ-სთან: სწავლა, მიაღლინა, სივლტოლა და სხვ. ნ-სთან: მძვნეარე, ყინვა, გზაგნა, სიმინენე, ვნება, დევნა და სხვ. 2. ხმოვნებს შორის: მგვეალი, ტკივილი, ახოვანი, დავარდნა, დასიგება, მრავალი, ყუავილი, თავი, თავად, თავადი, უვარის (ყოფა), ყოველი, ზუავი, აღეტევება და სხვ. 3. თავკიდურად ან პრეფიქსად: ვედრება, ვიდრე, ვინ, ველთა, ვეტყოდი, ვკამოთ, ვთქუ, დავწერე, ვარეუ და სხვ. ან კიდევ: სიტყვის შიგნით სპირანტებისა და ხშულების წინ: აღვსება, სავსე, ნავთსადგური, პატივცემულნი და სხვ. 4. მასდარის მაწარმოებელ სუფიქსებში: მოკითხვა, მარხვა (დამარხვა), ზრახვა, შეღწევა. შერაცხვა, შეწირვა და სხვ. 5. ნარედუქციალ ფუძეებში ხშულებთან: დევ: იღვა, დაიღვის, ეღვა. ყავ/ყვ: ეპყვანდი, გამოპყვანდა, მოპყვანდა, მოიყვანდა, წარიყვანეს, წარმოიყვანეს და სხვ. შევ/შვ: იშვა: შვილი, შვილიერება და სხვ.

ეს უკანასკნელი მაგალითები განსაკუთრებით საყურადღებოა. როგორც ვხედავთ, ნარედუქციალ ფუძეში, მიუხედავად იმისა, რომ ვ ხშულებისა და სპირანტების შემდეგაა, იგი არაა გადმოცემული უმარცვლო უ-თი (შდრ. სიყუარული და წარიყვანეს; შუენიერი და შვილი).

ძველ ქართულში უმარცვლო უ-სა და ვინის სხვადასხვა პოზიციაში ხმარებას მივყავართ იმ დასკვნამდის, რომ უმარცვლო უ, როდესაც იგი ხშულებთან და სპირანტებთან გვაქვს დადასტურებული, უნდა მიუთითებდეს წინამავალი თანხმოვნის ლაბიალობაზე. დღეს რომ კავკასიურ ენებს (აფხაზურს, ადიღურს, აბაზურს) ლაბიალური თანხმოვნები ახასიათებს, იგივე თანხმოვნები წარმოდგენილია იმავე ენებში არა ლაბიალური ფორმითაც. ანალოგიური შემთხვევები დასტურდება ძველ ქართულშიაც. ზოგიერთ სიტყვებში ხშულებთან და სპირანტებთან არ იწერებოდა უმარცვლო უ, მაგ.: ქვა, ხვალ, რვა და სხვ. ვფიქრობთ, რომ ვინი ამ შემთხვევაში არ გამოხატავდა წინამავალი თანხმოვნის ლაბიალობას.

ქართული კილოებიც ამ მხრივ საყურადღებო მასალებს იძლევიან. მაგ.: ხეისურულში დასტურდება ასეთი მაგალითები: ჩვიჩვილი (ჩვილი), (შდრ. ძვ. ქართ. ჩჩვლი), თვირთვილი (თრთვილი), ბუზვი (ბუზი), ბოზვი (ბოზი), რამთვენი (რამდენი), ცვარცვა (ცარცვა) და სხვ. [6]. მითიურულში გვაქვს: წვისქვილი, ტვიტველი, სვირცხვილი, აჩუქვა, სიმგვრგველივ [7]<sup>1</sup>.

<sup>1</sup> შდრ. გურ. კვარკვალი -კანალი (მეგრ. კვარკვალი). გურ. ხვარხვალი 'წყლის დუღილი' ტან. ხარხალერი წყარი 'ადუღებული წყალი'.



აქვე გასათვალისწინებელია ერთი მოვლენა, რომელიც ყველაზე უფრო მასობრივად ვავრცელებული ზოგიერთ მთის კილოში (მაგ.: მთიულურში, მოხუერში). სპორადულად გვხვდება იგი ბარის კილოებშიც; თანხმოვანი +გ (ჟ) იწვევს ბაგეების მონაწილეობის საფუძველზე მომდევნო ხმოვნის გალაბილიბას და ვლუბულობით -ლ-ს (ან უ-ს), ვ (ჟ) კი უკვალოდ იკარგვის ამ ხმოვანთან შერწყმით. პროფ. არნ. ჩიქობავა ამ მოვლენის შესახებ წერს: „ვა—ო მთიულურში მეტწილად იქა გვაქვს, სადაც ძველ ქართულში—უა-ს ვხვდებით (უმარცვლო უ+ა)“ ([7], გვ. 45) მაგ. თოლი (შდრ. მეგრ. თოლი), გორი, კოლი, თქო, ჩაუტომ და სხვ. მსგავსი მოვლენა ახასიათებს კახეთიდან და ქიზიყ-საინგილოდან აყრილ და ფერეიდანში გადასახლებულ ქართველთა მეტყველებასაც, მაგ.: ცხორი, თოლი, ძოლი, ქორტლი, წოდი, ზოვი, მწონე, ცორცავს და სხვ. [8] შდრ. ქართულ ისტორიულს ძეგლებში დადასტურებული: დილუამი—დილომი: ან კიდევ: როგორი (—რაგორი—რაგვარი).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იმავე ფერეიდნულში უცხო ენობრივი (სპარსულის) ვავლენის გამო მომხდარა დელაბილიზაცია,—ვინის გაქრობა. ამას ადგილი აქვს ისეთ კომპლექსებში, სადაც ძველ ქართულში უმარცვლო უ იწვერებოდა. სხვა შემთხვევაში ვინი ფერეიდნულში დაცულია, თუმც იგი წყვილბაგისმიერობისაკენაა გადახრილი. მაგ., თქეს (თქვეს, ძვ. ქ. თქუეს), შეემელნენ (შეემვლნენ, შდრ. ძვ. ქ. შუელა), წერი (წვერი, ძვ. ქ. წუერი), წეთი (წვეთი, ძვ. ქ. წუეთი), კერცი (კვერცი, ძვ. ქ. კუერცი), მტერი (მტვერი, ძვ. ქ. მტუერი), გერდი (გვერდი, ძვ. ქ. გუერდი), თე (თვე, ძვ. ქ. თთუე), ქევი (ქვევი, ძვ. ქ. ქუევი), ნაკერცხალი (ნაკვერცხალი, ძვ. ქ. ნაკუერცხალი), შენიარი (შმვენერი, ძვ. ქ. შვენერი), ლედი, (ლედი, ძვ. ქ. ლედჰ), თავი (თავვი, ძვ. ქ. თავჰი), გაკირდა (გაკვირდა, ძვ. ქ. გაკურდა), ტინი (ტეინი, შდრ. ძვ. ქ. განტუნა), ექსი (ექჰსი, ძვ. ქ. ექჰსი), მოკდა, (მოკვდა, ძვ. ქ. მოკუდა), ჩილი (ჩვილი, ძვ. ქ. ჩჰილი, ხეგს. ჩვიჩვილი), გატიტლდა (გატიტვლდა, შდრ. მთიულ. ტეტიტველი) და სხვ. ([7], 202, 205). ვინი დაცულია ფერეიდნულში მსგავსად ძველი ქართლისა:

1. ხმოვნებს შორის: კირისთავი, ზოვი, მწოვე, წავართით, მოგუვიდა და სხვ.
2. ხშულებსა და სპირანტების წინ: დავცივდით (დავცივიდით), ვთქით (ვთქვიით), მოვსწყითოთ (მოვსწყვიტოთ), დავხრეტოთ (დავხრეცეტოთ), 3. მასდარის მაწარმოებელ სუფიქსებში: გაკითხვა, გაღეწვა, მორწყვა, თიბვა და სხვ. 4. ნარედუქციალ ფუძეებში: ჰყვანდა, მოუყვანეს, დეედვა, დოუდვა, წვანან და სხვ.

მსგავსი მოვლენა ახასიათებს აგრეთვე უცხო ენობრივი (აზერბაიჯანულის) ვავლენის ქვეშ მოქცეულ ინგილოურს. ვინი ინგილოურში, მსგავსად ფერეიდნულისა, იკარგვის ისეთ შემთხვევებში, სადაც ძველ ქართულში უმარცვლო უ არის დადასტურებული, მაგ., კდარ (მკედარი, ძვ. ქ. მკუდარი), ინგილოურში უე—ჰ-ს მაგ. გერლ (გვერდი, ძვ. ქ. გუერდი), მარქენა (მარჯვენა, ძვ. ქ. მარჯუნა), მახეტა (მოიხვეტა, ძვ. ქ. მოიხუეტა), ხნუა (ხვეწა, ძვ. ქ. ხუეწა), მეჩენა (მოეჩენა, ძვ. ქ. მოეჩუნა), შეზერ (მოხვერი, ძვ. ქართ. მოხუერი), გელ (გველი, ძვ. ქ. გუელი), გელეშა (გველეშაპი, ძვ. ქ. გუელეშაპი), მექვერე (მექვერე შდრ. ძვ. ქ. ქუევი), საწელ (საწველი შდრ. ძვ. ქ. წუელა), წელა (წველა), სელ (სველი, ძვ. ქ. სუელი), სტენა (სტვენა, ძვ. ქ. სტუნა), შენიერ

(მშვენიერი, ძვ. ქ. შუენიერი), წერ (წვერი, ძვ. ქ. წუერი), და სხვ. ინგილოურში ვინი დაცულია; სიტყვის თავში: ვაშლი, ვაშაკ, ვარიად, ვარდი, ვაზირობა; ხმოვნებს შორის: თავი(თავი), ჟევედ (მჟავე), სიველ (სოველი), აყიევა, ყოვლად (ყვაილი), უვეზირა (უბრძანა) და სხვ. [9].

როგორც ზემოთაღსახელებული მაგალითებიდან ჩანს, ფერეიდნულში და ინგილოურში ვინი იკარგვის ხშულებთან და სპირანტებთან იმ შემთხვევაში, როდესაც იგი წინამავალი თანხმონის ლაბიალობაზე უნდა მიუთითებდეს. ის, რაც ქართველურ ენებში ნაშთის სახითაა შემონახული, ფერეიდნულსა და ინგილოურში უცხო ენობრივი გავლენის გამო სრულიად გამქრალა.

ქართველურ ენებში ლაბიალიზებულ თანხმონათა არსებობის საკითხის გასარკვევად ნაწილობრივ დაგვეხმარება ვათვალისწინება იმ სიტყვებისა, რომლებიც ქართულიდან აფხაზურშია შესული. იმის გამო, რომ აფხაზურს დღესაც ახასიათებს ლაბიალიზებული თანხმონები, ქართულიდან შესული სიტყვების ხშულები ლაბიალურ თანხმონებად იქცევიან, ხოლო ლაბიალური ხმოვნები იქცევიან არალაბიალურ ხმოვნებად, მაგ., ა-გირგაძენ (გვირგვინი), ა-ყებარ (ყვიბარი, ყუბარი), ა-გავაბარა (-გოგორა), ა-ქებარგა (-ქოლგა), ა-ყებარბან (-ყორბანი), ა-ქყებარტატ (-მეგრ. ჰყორტოტი 'შწყერის ფეხა' ბალახ.) ა-ყებარვლ (-ყვერული); ა-ჩხაბაბა (-მეგრ. ოხჰამე 'სალოცავი') და სხვ. [10].

საინტერესოა, რას იძლევა ამ მხრივ მეგრულ-ქანურში?

მეგრულში კიდევ უფრო ნათლად ჩანს ლაბიალიზებულ თანხმონათა ნაშთები, ვიდრე ქართულში. მაგ., მეგრ. ყვანა ა 'ყანა'; სენაკურ დიალექტში დადასტურებულია: ყონა (შდრ. ქართ. ყანა). მეგრ. ყუნ|ყონ|ყვენ ნიშნავს: 'ყვანა, წყყვანა' მეგრ. მოყვენჯი || ქართ. მომყოლი. ქართ. „ყოლ“ მეორეული ჩანს, შდრ. მოყვანა. მეგრ. ხორავა (გვარია) პარალელურად დადასტურებულია: ხვარავა. მეგრ. ხვამარდი || ქართ. ხომალდი (შდრ. ხვარბალი || ხორბალი). მეგრ. ხვარხვი || ქართ. ხახვი. მეგრ. მარწვენი || ქართ. მაწონი (შდრ. ნათ. ბრ. მაწენის<sup>1</sup>), მეგრ. ძვადვადი || ძვადვალი || ძვანძვალი || ქართ. ძანძალი, ძუნძული. მეგრ. ძავვარი || ქართ. ძავარი. მეგრ. შვიშველი || ქართ. შიშველი. მეგრ. ქვაქვათანა || ქან. ქვათანა || ქართ. ქოთანა. მეგრ. ტოტი || ტვატვი || ქართ. ტოტი || სვან. ტუეტ. მეგრ. კვაკვი || ქართ. (იმერ. გურ.) კაკვი. მეგრ. თოლი ქართ. თვალი. მეგრ. თვათვი || ქართ. თათი. მეგრ. ოჩეჩეჩე 'ახლად ამოღებული ყველის საწური' შდრ. გურ. ჩოჩო. მეგრ. წკვარწკვალი || ქართ. წკარწკარი და სხვ. [11].

რაც შეეხება ქანურს, როგორც უცხო ენობრივი (თურქულის) გავლენის ქვეშ მოქცეულ ენას, მას ბევრ შემთხვევაში ვ (ჴ) დაცული აქვს ხშულებთან და სპირანტებთან იმ პოზიციაში, რა პოზიციაშიაც მას ჩვენ ქართულსა და მეგრულში ვხვდებით. ქანურში დღეს ვ-ს რყევა ახასიათებს, მაგ.: ქან. ჩხვინდი 'ცხვირი'; პარალელურად გვხვდება: ჩხინდი. ქან. ლაკი || მეგრ.

<sup>1</sup> ეს ქართველურ ენებში, ჩვენი აზრით, მეორეულია. იგი ლაბიალიზაციის საფუძველზე მიღებული ჩანს. ამის შესახებ ცალკე.





(ლაშხ.) || ჭქემ (ბ. ზ.) || ჭემ (ბ. ქვ.) || ჭქემ (ლნტ.). გოჭ (ლაშხ.) || გქემ (ბ. ზ.) || გემ (ბ. ქვ.) || გქემ (ლენტ.). ტოტ (ლაშხ.) || ტქემ (ბ. ზ.) || ტემ (ბ. ქვ.) || ტქემ (ლნტ.). უსქუ (ლაშხ.) || უსქუ (ბ. ზ.) || უსგ || (ბ. ქვ.) || უსქუ 'ვაშლი'. როგორც ვხედავთ, ბალს ქვემოთურისათვის დამახასიათებელია დელაბიალიზებული ფორმები. გარდა ამისა, მთელ რიგ შემთხვევაში ქართ. ო სვანურში ე-ს გვადლევს. მაგ.: ქართ. გოდორი || სვან. გოდერ. ქართ. ქოლოკი || სვან. ქოლეკ. ქართ. ბოლოკი || სვან. ბოლეკ. ქართ. კოლოდი || სვან. კოლეფ. ქართ. კალაპოტი || სვან. კალპეტუ (14). ესა და სხვა მსგავსი მაგალითები ექვს ბადებენ სვანურში (და სხვა ქართველურ ენებში) ო-ს პირველადობის შესახებ. იგი მეორეული ჩანს. ხშირ შემთხვევებში ო მიღებულია ე და ა-ს ლაბიალიზაციის ნიადაგზე. სვანურშივე, მსგავსად აფხაზურისა, მთელ რიგ კომპლექსებში დასტურდება ლაბიალიზებული ჰ (ჰა). როგორც ცნობილია, დღეს ქართველურ ენებში ჰავს ხმარება მეტად შესუსტებულია, ხმოვნების წინ იგი საესებით გადაშენდა, სვანურში კი ჰ-ავს დღესაც, შედარებით სხვა ქართველურ ენებთან, ყველაზე მეტი ძალა აქვს.

მაგ. სვან. მაჭურენე 'უმცროსი'; ლიჭურე 'შემცირება'; „დიჰარდ ადპურ მუჰანდო“ — პურმა დაიკლო გამოცხობის შემდეგ. სვან. ლიჭუდი 'გაყიდვა'; ლეჭუდი 'გასაყიდი'; „ეჯა ჰრდი (ჭუდი)“ — ის ყიდის. ლიჭუდი 'მიცემა'; ლაჯჭუდენე 'მოგცემ', მაჭუდია 'მადლევ'; ჰერ 'ხმა' — ლხჭუნარ 'ყური უგდე'; ლიჭუნარი 'მოსმენა'. ყველა ამ შემთხვევაში ჰავ აკუსტიკურად სტოვებს ლაბიალიზებული ჰავს შთაბეჭდილებას და მომდევნო ფ-ც ამაზე უნდა მიუთითებდეს. შესაძლებელია სხვა მსგავსი მაგალითებიც იქნეს დასახელებული, მაგ., სვან. ჰულ ნიშნავს 'ჯორს'. თავრ-ში ეს სიტყვა წარმოდგენილია დელაბიალიზებული ფორმით: ჰილ. ჰრლ (უშგ.) ნიშნავს: 'დაუდნობელ თოვლს', ბარალელურად გვხვდება: ჰილ 'ყინული' (ხალდ. ჩოლ. თავრ.) და სხვ. [15].

С. ЖГЕНТИ

К ВОПРОСУ О ЛАБИЛИЗОВАННЫХ СОГЛАСНЫХ В КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

РЕЗЮМЕ

Фонетическая модель, имеющаяся в нынешних кавказских языках, предполагается, имелась некогда и в картвельских.

Лабиялизованными согласными характеризуются в настоящее время лишь некоторые (напр., абх., кабард., кяхский, убых., абаз.), но не все Кавказские языки (напр., чеч. и дагестанские).

В картв. языках ვ(ჭ)-ვ(w) обнаруживается, сходно с кавказскими, при шумных согласных; но в таких случаях лабიაлизованный согласный Кавказских языков представлен в картвельских языках в виде двух фонем.

Некоторые указания на существование лабიაлизов. согласных в картв. языках имеются в др.-грузинском, напр.: თქუმა — tquma 'сказать'; ცუმა —



cuma 'одевать'; სუმა—suma 'пить'; სარკუმელი—sarkumeli 'окно'; კუმევა—kumeva 'курить, воскуривать'; ზაკევა—zakuva 'строить козник'. В говорах: хевсур.: ჩვივილი—čvičvili 'младенец'; თვირთვილი—tvirtvili 'иней'; ბუზვი—buzvi 'муха'; ცვარცვა—svarcva 'грабить'. В мтиულском: ტვიტველი—tvitveli 'голый'; სვირცხვილი—svircxvili 'стыд'; წვისქველი—čvisqveli 'мельница' ვა—ო—va—o и т. д. В ферейданском и ингилойском диалектах ვ (ჟ)—v(y), под влиянием иноязычного окружения, выпадает при шумных в тех случаях, где он должен был указывать на их лабиализацию.

В мегрельском еще яснее, чем в грузинском, пережитки лабиализации согласных, напр.: ხვარხვი—xvaxvi 'лук' (раст.); ძვაძვაფი—zvažvari 'шатайся, таскаться, бегать'; ტოტი || ტვატვი—ṭoṭi || ṭvatvi 'лапа, рука'; კვაკვი—kvaqvi 'палка с крючком, шест'; თვათვი—tvatvi 'лапа' и т. д. В чанском ვ (ჟ)—v(w) неустойчив напр.: მ-გურეო || მ-გერი—m-gveri || m-geri 'волк'; შქვიო || შქიო || šqvit || šqit 'семь' и т. д.

Можно думать, что развитие специфич. комплексов (ჩქ—ძკ; ჰკ—ღკ; ჯგ—წგ) происходило на основе лабиализации. Из картвельских языков лабиализация, как согласных так и гласных, яснее сказывается в сванском: напр. ტრტ || ტეტ | ṭoṭ || ṭet 'рука'; თტენა || თეთნე twetna || tetne 'белый' и т. д.

В сванском, подобно абхазскому, имеется в целом ряде комплексов лабиализованный ჰ (ჰი)—h (ho), напр.. ლიჰუდი—lihwdi 'пролавать'; ეჰა ჰოდი—eža hōdi 'он продает'; ჰერი—her 'голова'; ლიჰუნარი—lihwñari 'слушать'; ჰულ || ჰილ—hul || hil 'мул, лошак' и т. д.

S. ZGENTI

## A PROPOS DES CONSONNES LABIALISÉES DANS LES LANGUES KHARTHVÉLIENNES

(RESUMÉ)

Il est à présumer que le modèle phonétique existant dans les langues caucasiennes d'aujourd'hui existait autrefois dans les langues kharthvéliennes.

Actuellement les consonnes labialisées ne caractérisent que quelques—unes d'entre les langues caucasiennes (abkhaze, kabardien, kiakh, oubykh, abasien). Toutes ne sont pas dans cette condition (tchetchène, les langues du Daghestan).

Dans les langues kharthvéliennes ვ(ჟ)—v(w) ainsi que dans les langues caucasiennes se fait sentir auprès des consonnes bruyantes; mais dans ces cas-là, la consonne labialisée des langues caucasiennes figure dans les langues kharthvéliennes sous la forme de deux phonèmes.

Quelques indications sur l'existence des consonnes labialisées dans les langues kharthvéliennes existent dans l'ancien géorgien: თქუმა—tquma 'dire'; ცუმა—cuma 'habiller'; სუმა—suma 'boire'; სარკუმელი—sarkumeli 'fenêtre'; ზაკევა—zakuva 'tendre des embûches'. Dans les parlers: khev. ჩვივილი—čvičvili



'nourrisson'; თვრთვილი—tvrtvili 'givre'; ბუზვი—buzvi 'mouche; ცვარცვა—cvarcva 'piller'; Mthul.: ტვტველი—tvitveli 'nu'; სვირცხვილი—svircxvili 'honte'; წვისქვილი—cvisqvili 'moulin'; ვა > ო—va—o etc.

Dans les dialectes phéréidane et innguiloï, sous l'influence de l'entourage étranger ვ(წ)—v(y) échappe auprès des bruyantes dans les cas où elle devait indiquer leur labialisation.

Les vestiges des consonnes labialisées sont plus claires encore en mégrelie qu'en géorgien: ხვარხვი—xvarxvi 'oignon'; ძვაძვაფი—dvaḡvafi 'courir la prêtantaine'; ტოტი|ტვატვი tot|tvatvi 'patte', main'; კვაკვი—kvaqvī 'gaffe'; თვათვი—tvatvi 'patte'. En tchane (laze) ვ(წ)—v(w) instable: მ-გუერი|მგერი—m-gweri|mgeri 'loup'; შქვით|შქით—šqvit|šqit 'sept'.

On est porté à croire que les complexes spécifiques (ჩქ-ცყ; ქკ-ცქ; ჯგ-ჭგ) se développaient sur la base de la labialisation. Parmi les langues kharthvéliennes la labialisation des consonnes comme des voyelles est la plus distincte en svane: ტოტი|ტეტ—tot|tet 'main'; თუტინა|თუნენ—tvetna|tetne 'blanc' etc.

De même qu'en abkhaze la labialisée existe en svane dans toute une série des complexes: ჰ(ჰი)—h(hi); ლიჰუდი—lihwdi 'vendre'; ჰერ—her 'voix'—ლიჰუნარი 'écouter'; ჰულ|ჰილ—hül|hil 'mulet'.

#### ციტირებული ლიტერატურა

1. ივ. ჯავახიშვილი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. 1937 წ.
2. J. Ginneken. Contribution à la grammaire comparée des langues du Caucase, Amsterdam, 1938.
3. Н. В. Юшманов. Фонетические параллели африканских и яфетических языков, AFRICANA, I, 1937 г.
4. Г. С. Ахвледиани. Звуковые возможности Кавказских языков, I. Принцип классификации согласных абхазского языка. „Сообщения Груз. Фил. АН СССР“ том I, № I.
5. Г. П. Сердюченко. Об абазинских диалектах, „Сб. Памяти акад. Н. Я. Марра“, 1938 г.
6. ბესარიონ გაბურია, ხევსურული მასალები, პრაღ. აკ. შანიძის რედაქციით, „წელიწადული“, 1923—1924 წ.
7. არნ. ჩიქობავა. მთიულურის მთავარი თავისებურებანი, ენიმკის „მომამბე“ II.
8. არნ. ჩიქობავა. ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, ტფ. უნივერსიტეტის „მომამბე“, VII; მისივე, ვინის რედუქციები ფერეიდნულში, „ჩვენი მეცნიერება“, № 2—3.
9. მ. ჯანაშვილი. საინგილო, „ძველი საქართველო“, ტ. II, 1911—1913 წწ.
10. Н. Я. Марр. Абхазско-Русский словарь, 1926 г.
11. И. Кипшидзе. Грамматика мингрельского (инверского) языка, 1914 г.
12. არნ. ჩიქობავა. ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938 წ.
13. აკ. შანიძე. უმლაური სვანურში, „არილი“, 1925 წ.
14. ვ. თოფურია. კვლავ უმლაურისათვის სვანურში, ტფ. უნივერ. „მომამბე“, VII.
15. Н. Я. Марр. Извлечение из сванско-русского словаря, 1922 г.



### 3. ახვლედიანი

## ისტორიული ცნობა დვალეთისა და დვალეზის შესახებ

სამხრეთ ოსეთში (და საქართველოს ზოგიერთ სხვა კუთხეში, სადაც ოსები სახლობენ) ოსურად მოსაუბრეთა შორის ცნობილია დიალექტური განსხვავებანი. ისიც ცნობილია, რომ განსხვავება მეტადრე შესამჩნევია კოშკა-ჯავა-კუდაროსა, ერთი მხრით, და დანარჩენ ოსურ მოსახლეობას შორის, მეორე მხრით. ამიტომ ზოგიერთი (უმთავრესად ფონეტიკური) მონაცემის საფუძველზე კოშკა-ჯავა-კუდაროს მეტყველება, რომელსაც აღმოაჩნდა ზოგიერთი თვისება დიგორულისაც, გამოვყავით ოსური ენის ცალკეულ დიალექტურ ერთეულად—დიგორულისა და ირონულის გვერდით—დვალური დიალექტის სახელწოდებით, ხოლო დანარჩენებში ვცანით ირონული დიალექტის (ჩრდ.-ოსეთში) ქვედიალექტები<sup>1</sup>.

დვალურის დიალექტური დამოუკიდებლობის საბუთები იმის შემდეგ გამრავლდა და კიდევ უფრო გამრავლდება, ვფიქრობ, დიალექტური კვლევის შედეგად. ამაზე—შემდეგ. აქ კი მოვიყვან ისტორიულ ცნობებს, მართალია, გვიანდელს, მაგრამ, ჩვენის აზრით, მნიშვნელოვანს, დვალეთისა და დვალეზის შესახებ.

მხედველობაში მაქვს სათანადო ცნობები ვახუშტისა („საქართველოს გეოგრაფია“, ტფ. 1904), გიულდენშტედტისა (Reisen durch Russland, I, 1787) და კლაპროთისა (Reisen in den Kaukasus und nach Georgien, II, 1807—1808). ვახუშტით (444 გვ.): „ვალაგირისა და ფაიქომის დასავლით არის კასრის ჯეობა, რომელი იწოდების აწცა დვალეთად და აქვს სიგრძე დვალეთის ზეკარის კავკასილამ ვიდრე ჩერქეზამდე“. თუ მოვიგონებთ, რომ იმავე ვახუშტით (428 გვ.) დვალეთია: კასრის-ჯევი, ზრამაგი, ჟღელე, ნარა, ზოგო და ზახი, დავინახავთ, რომ ტერიტორიას „ვალაგირისა და ფაიქომის დასავლით... ჩერქეზამდე“ მხოლოდ ეწოდება ვახუშტის ცნობით, დვალეთი. ხოლო ნამდვილად დვალეთი დვალურივე მოსახლეობით ჩამოთვლილი ადგილებისაგან (კასრის-ჯევი, ზრამაგი...) შესდგება. ამ დასკვნის ნებას გვაძლევს აწცა. მაგრამ ჩვენთვის ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი ადგილი (448): „არამედ ხეობანი ესენი, რომელნი აღუწერეთ, მალრან დვალეთითურთ არიან დვა-

<sup>1</sup> ავტორის „ოსური ენის ისტორიისათვის“ I. გვ. 317 და შემდეგ (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე V, 1925).

ლეთი: და კვლად დიდის ლიახვისა, პატარა ლიახვისა. ქსნის ჯევისა და კუ-  
 დაროს მოსახლენიცა არიან დვალნივე, ამ დვალეთიდან გარდასულნი, რჯული-  
 თა, წესითა და ზნითა ერთი და დღესაც მონათესავენი ურთიერთთა“. აქედან  
 ჩანს, რომ დვალები ჩრდილო-დასავლეთიდან მოდიან: ჯერ დვალეთი (დვალუ-  
 რივე მოსახლეობით) ერქვა კასრის-ჯევის და დასავლეთით ჩერქეზამდე. შემდეგ,  
 ვახუშტის დროს, კასრის-ჯევის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხოლო, როგორც ჩანს,  
 შემდეგ მალრან-დვალეთსაც. სრულიად ბუნებრივია, რომ სახელწოდება „დვალე-  
 თი“ მიეღო ტერიტორიას დვალური მოსახლეობის გამო, რომელიც თანდა-  
 თან სამხრეთისაკენ მიიწეოდა. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა ვახუშტის  
 ცნობა, რომ ორივე ლიახვისა, ქსნის-ჯევისა და კუდაროს მოსახლენიც დვალები  
 ყოფილან (იხ. ზემოთ), დვალეთი კი ვახუშტის დროს არ ეწოდებოდა.

მაგრამ გიულდენშტედტი საესებით გარკვეულად მიუთითებს კუდა-  
 როს, როგორც დვალეთს და დაწვრილებითაც ასწერს მას. საყურადღებოა  
 ამასთანავე, რომ გიულდენშტედტს კუდარო (Dwaleth, შეცდომით Dwa-  
 neth), რომელიც მელანდებდა მის მიერ დასახელებული პუნქტების სახელწო-  
 დებებში (ნადარბაზევი, შეცდ. Nudarbas-yew, ნაკრება, შეცდ. Naksebaw და  
 სხვ.), უფრო ფართოდ აქვს წარმოდგენილი, ვიდრე სინამდვილეშია; სახელ-  
 დობრ, ქველთა, ზამთარეთი, ჯავისთავი და სხვა, რომლებიც მას დასახელე-  
 ბული აქვს, როგორც კუდაროში შემავალნი, ჯავის ხეობაშია. აქედან ჩანს,  
 რომ ამ მიდამოებს უკვე გიულდენშტედტის დროს დვალეთი ერქვა.  
 ამაზე მეტადაა დამახასიათებელი, რომ კლაპროთი მთელ სამხრეთ-ოსეთს  
 (ცხადია, მაშინდელს) დვალეთს ეძახის, მაგრამ ასხვავებს მისგან საკუთრივ  
 დვალეთს კუდაროს სახით (383): „Dwalethi in weiteren Sinne des Wortes,  
 die allgemeine Benennung aller südlichen Osseten... Das eigentliche Dwalethi aber  
 liegt am Flusse Dshedsho (იგულისხმება ჯოჯორა, ვახუშტის ჯეჯორი) und Wird  
 mit zu Imerethi gerechnet...“. სახელწოდებისათვის, ვფიქრობ, ეს ცნობებიც  
 საკმარისია.

ოსური ენის ისტორიისათვისაც, ჩვენი აზრით, ფრიად საყურადღებო  
 ცნობები აქვს ვახუშტის თავის ხსენებულ შრომაში. თავისდროინდელი დვალე-  
 თის აღწერისას ვახუშტი ამბობს (428): „...გვარიანთა მათ უწოდებენ ოსად,  
 ხოლო სხვათა უგვართთა კვლად დვალადვე“, ან (436): „არამედ დვალნი უმ-  
 დაბლესნი არიან გვართთა... ენა აქუთ ძველი დვალური (ფრანგ. თარგმანში: ils  
 parlent l'ancienne langue dwale,—Brosset) და აწ უზნობენ ოსურსა საკუთრად,  
 ვინაითგან ჩერქეზთა ენა სხვა არის“.

ამ ადგილიდან ირკვევა როგორც წოდებრივი ურთიერთობა ოსთა (ალბათ,  
 ირონთა) და დვალთა, ისე ენობრივიც.

როგორც ჩანს, ოსნი (ირონები) შემოჭრილან დვალეთში და გაბატონე-  
 ბულან დვალეზზე. ეს დვალებია, რომელნიც გადმოდიან ქედს გადმოდმა მა-  
 ლრან-დვალეთით და შემდეგ უფრო სამხრეთ-დასავლეთისაკენ; ეს დვალე-  
 ბია, რომელთა შესახებ ვახუშტი ამბობს (434): „სარწმუნოებით არიან ძველად  
 ქრისტიანენი და სამწყსონი ნიქოზისანი, და უფროს დვალნი“. რაც შეეხება  
 „ენა აქუთ ძველი დვალური და აწ უზნობენ ოსურსა საკუთრად...“, ეს იმას



მოწმობს, ჩვენი აზრით, რომ დვალეზი, საკმაოდ განსხვავებულ დიალექტზე (და არა სხვა ენაზე, შეიძ. „ჩერქეზთა ენა სხვა არის“) მოლაპარაკენი, ითვითებენ ირონულ დიალექტს („ოსურსა საკუთრად“). არა ნაკლებ საყურადღებოა „ძველი დვალური“, რაც შესაძლებელია გაგებულ იქნეს ან როგორც „ძველი, დვალური“, ე. ი. რომელზეც ისინი ირონთა შემოჭრამდის ლაპარაკობდნენ, და ან როგორც „ძველი დვალური“, ე. ი. ახალ დვალურთან დაპირისპირებით. თუ მეორე აზრით გავიგებთ, უეჭველია, რომ ვახუშტისთვის ცნობილი იყო რაიმე სახის ტრადიციული გადმოცემა ძველი „დვალურის“ (ოსურის) შესახებ. შესაძლოა, თვით იალღუზიძემდისაც მოაღწია ასეთმა ცნობამ და თავისი ცნობილი თარგმანები<sup>1</sup> ამიტომ მან დვალურ დიალექტზე შეასრულა<sup>2</sup>.

Г. АХВЛЕДИАНИ

## ИСТОРИЧЕСКАЯ СПРАВКА О ДВАЛЕТИ И ДВАЛАХ

### РЕЗЮМЕ

Приводятся сведения грузинского историка и географа первой половины XVIII в. Вахушти, Гюльденштедта и Клапрота о Двалети и двалах, доказывающие, по мнению автора, что двалы, будущие поселенцы района Кошка-Джава-Кударо, двигаются с северо-запада и, пройдя ущелья Касрис-хеви, Зарамаг, Нар и т. д., через Магран-Двалети достигают указанного района. Те же сведения указывают, по мнению автора, на сословные и языковые взаимоотношения между осами (иронами) и двалами; автор допускает, что по Вахушти двальский являлся диалектом осетинского языка.

<sup>1</sup> იხ. ავტორის Zur Geschichte des Ossetischen, II. Johannes Jalgusidse... (ტფ. უნ-ტის მოამბე VI, 1926).

<sup>2</sup> შრდ. В. Абаев, О языке южных осетин. (Языки Сев. Кавказа и Дагестана I, 1935, გვ. 87—89), აგრეთვე გ. ახვლედიანი, გემინირებული... აფრიკატების შესახებ ოსური ენის დვალურ დიალექტში (ტფ. უნივერსიტეტის შრომები V, 1936, გვ. 263—264).

ქ. ლომთათიძე

ერთეულის კაბეზობრივი და მისი მაწარმოებლავი აფხაზურში<sup>1</sup>

ერთეულის გამომხატველი რიცხვითი სახელის ვარდა, აფხაზურ ენას ხშირად სახელებში, ზმნისართებში და ზოგჯერ ზმნათა ფუძეებშიაც გამოაჩნდება ერთეულის გამომხატველი ელემენტები. როგორც მოსალოდნელი იყო, აქა-იქ ამ ელემენტებში „ერთის“ გაგება უკვე დაჩრდილულა და მათ სხვა სემასიოლოგიური ნიუანსების გადმოცემა დაკისრებულია. ჩვენ აქ შევეცდებით ასეთ მაწარმოებელთა სახეებს თავი მოუყაროთ და მათი პირვანდელი მნიშვნელობა, შეძლებისდაგვარად, განვსაზღვროთ.

ერთეულის ცნების გამომხატველად, პირველყოვლისა, თანამედროვე აფხაზურში არსებული სიტყვა აკჭ („ერთი რამ“) და ამავე სიტყვისაგან მომდინარე ერთადერთი მოქმედი სუფიქსი კ წარმოვადგება.

აკჭ-თი აფხაზური არაფონიერთა კლასის რიცხვითს სახელს გადმოსცემს. ბზიფურს დიალექტში მისი აკა სახეობაც ხშირად დასტურდება. „ართი“ ს გვერდით ეგვეე სიტყვა ამ სახით გვხვდება მეგრულშიაც: „აკა ხვალე один только, აკაშა, აკაშახз однажды, раз ... აკაბურცხა не много, ср. гр. ერთი ფინჩხა, ერთი ფრჩხილის ოდენა“ (იხ. იოს. ყიფშიძე, Грамматика мингрельского языка გვ. 193; გვ. 210)<sup>2</sup>.

ამ სიტყვისაგან მომდინარე ერთადერთი ცოცხალი აფიქსი გამოყენებულია სახელთა განუსაზღვრელი, გერმანული ein, eine, ein-ისა და ფრანგული un, une-ს შესატყვისი ფორმის საწარმოებლად. თუ მაგ., „ვაჟიშვილის“, „ძის“ გამომხატველი ზოგადი ფორმა მხოლოობითს რიცხვში იქნება ა-ფხ, „ერთი რომელიღაც ვაჟიშვილი“ იქნება ფჰ-კ; ა-ზნგ—სახლი, ჳნგ-კ—„ერთი სახლი“, „ერთი რომელიღაც სახლი“ და სხვა.

მართალია, დღევანდელს აფხაზურში, როგორც რიცხვითი სახელი და როგორც აფიქსიც, ერთეულის კატეგორიის გამომხატველი ხსენებული აკჭ სიტყვაა, მაგრამ იქვე ამ ფუნქციით სხვა მაწარმოებლებიც უნდა ყოფილიყო.

კერძოდ, არა ერთგზის აღნიშნულა, რომ აფხაზურში გვხვდება ერთის გამომხატველად ჳ (ნ. მარი, დიუმეზილი, ს. ჯანაშია). არც თუ მცირეა იმ სიტყვათა რიცხვი, როშლებშიაც ეს უკანასკნელი გვევლინება.

<sup>1</sup> წაკითხულ იქნა ენიშვილის კავკ. ენათა განყ. სხდომაზე 1938 წ. 1 ივლისს.

<sup>2</sup> ეს ძირი თავისიანებს შეიძლება ჭართულშიაც არ იყოს მოკლებული, მაგრამ მათ განხილვას აქ არ შევეუდგებით.



ცალკე რიცხვითს სახელში აფხაზურს ეს ელემენტი აღარ დაუცავს, მაგრამ საყურადღებოა, რომ გაუღღენ შტედტისა და კლპართის ჩანაწერებში (ეს ჩანაწერები ეხება პირიქითა აფხაზურს) ერთი გადმოცემულია ასე: seke, რაც, ალბათ, უნდა წაევიკთხოთ: ზაკკ-დ და, მართლაც, დღევანდელს აბაზურს (პირიქითა აფხაზურს) დიალექტებში ერთი რამ<sup>1</sup> (არაგონიერთა კლასის წარმომადგენელი) მხოლოდ და მხოლოდ ზაკკ-თი გამოითქმის; „ერთი ვინმე“ (გონიერთა კლასის წარმომადგენელი) იქნება—ზა-ძიგ<sup>1</sup>.

იგივე ზა აფხაზურს მოეპოება თერთმეტის სახელში. თერთმეტი არის ქ<sup>1</sup>ე-მ-ზა. ქ<sup>1</sup>ა—აქ ათს ნიშნავს (შდრ. ქ<sup>1</sup>ა-ბა „ათი“), მ—ი კავშირია, ზა—ერთის გამომხატველი.

იგივე ზა—ზ გვხვდება ზმნისართებში: ზ-ნ-კ „ერთჯერ“. აქ ჯერობის შემცველი ნ უნდა იყოს, კ—განმეორებით დართული ერთეულის ელემენტი; ზნკკაწიგკ „ცოტახნით“; ზა-წიგ-კ „ერთად ერთი“; ზაა, ზაანაწ „ადრე“—„პირველად“ („ვიდრე პირველი“).

ფორმისა. პრინციპულად აქ არათერია უჩვეულო.

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ფერეიდულის მთავარი თავისებურებანი, „ტფ. უნივ. მოამბე“, VII, გვ. 200.

<sup>2</sup> ვ. თაფურია, ქართლური, „არლი“, 1925, გვ. 129.

<sup>3</sup> ა. შანიძე, S<sub>2</sub> და O<sub>2</sub> ქართულ ხნებში.

<sup>4</sup> არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, „ენიშის მოამბე“, II, 1938, გვ. 52.

ამგვარად, ასიმილაციის პროცესის შედეგად ჩვენს დიალექტებში შემდეგ პრევერტებს ვღებულობთ: გე-, დო-, დუ-, მე-, გადო-, გამე-, გემე-, შემე-, ჩემე-, წემე-.

ესა ასიმილაცია პრევერტებში.

ფუძეში ასიმილაციის ნიმუშებია: შეშე (-შეშა), სამახარაბლო, დანუშნული, მოორეები (-მეორეები), შაშველი, ნანაირი (-რანაირი).

ზემოხსენებულ ფორმულებიდან ესენი: აი - ეი, ოი - ეი ძირითადად შეიძლება ჩაითვალოს დასავლურ კილოთათვის სპეციფიკურად. ამ ხაზით მესხური დასავლურ დიალექტების რიგში დგას. სხვა ფორმულები კი (აუ - ოუ, აე - ეე, ოე - ეე, ოუ - უუ, აოე - აეე - ეეე) მეტნაკლებობით დამახასიათებელია როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ კილოებისათვის.

საზოგადოდ ვიწრო ხმოვნებს დასავლურ კილოებში დიდი ძალა გააჩნიათ ფონეტიკურ პროცესებში, წინააღმდეგ აღმოსავლურ კილოებისა, სადაც ფართო ხმოვნობისკენაა მიდრეკილება. [დასავლურ კილოთა ეს ნიშანდობლივი თვისება შინაგან კავშირში უნდა იყოს უმლაუტის მოვლენასთან—უმლაუტისა, რომელიც დასავლეთ საქართველოს ენობრივ წრეშია ეგზომ მოქმედი (სვანური)]. მესხურის ბუნებისათვის დამახასიათებელია ორივე რიგის თვისება: აქ ადგილი აქვს როგორც ვიწრო ხმოვნების გავლენას, ისევე ფართო ხმოვნებისკენ მიდრეკილებასაც (იხ. „მორფოლოგია“ # 5).

2. დისიმილაცია.

ყურადღებას იპყრობს დისიმილაცია ასიმილაციის შემდეგ; ფუძის თავიღური ე იმსგავსებს წინამაჟალ პრევერტისეულ ა-ს ან ო-ს. ვღებულობთ ეე-ს, რის შემდეგაც ადგილი აქვს განმსგავსებას,—საბოლოოდ ვღებულობთ იე-ს. ნიმუშები: გაე - გე - გიე; გიექანოს, გიეპარა, გიერეკა, გიეცინა, გიეტეხა, გიეზდენ, გიეწყობა; დაე - დეე - დიე; დიელია, დიეტიოსო, დიეძინა, დიეპატრონებოდა, დიეკიდეო, დიეწია, დიეწვა, დიეცა, დიეშურა; მოე - მეე - მიე; მიეწონენ, მიეკლენო, მიექეციო, მიეხმარა; გამოე - გამეე - გამიე; გამიეგზაენა, გამიეკიდენ, გამიეებენ, გამიელეძება. ეს მოუღის სხვა პრევერტებსაც. აქვე აღვნიშნავ ორი რიგის მოვლენას: ა) შემონახულია იმ გარდამავალი საფეხურის ფაქტები, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დისიმილაცია მომხდარი იმ ნაასიმილაციარ ე-ს (ეე კომპლექსში) გამოუწვევია პრევერტისეული წინა ხმოვნის ასიმილაცია,—მაშასადამე, ამჟამად გვაქვს შეხამება ადრე გამოწვეული ასიმილაციისა და შემდეგ გაჩენილი დისიმილაციისა: გემიეკი-და (-გემეეკი-და -გამეეკი-და -გამოეკი-და), გემიექანენ (-გემეექანენ -გამეექანენ -გამოექანენ); ბ) დისიმილაციით მიღებული ი (იე კომპლექსში) იწვევს რთული პრევერტის წინამავალი ხმოვნის—ე-ს—სრულ ასიმილაციას, და ეს ე კი, როგორც ა პუნქტიდან ჩანს, თავისთავად ნაასიმილაციარია: გამოეწყო (-გამეეწყო -გემეეწყო -გემიეწყო -გი-მიეწყო). მაშასადამე, ეს წარმოება შემდგომ საფეხურს წარმოადგენს. ასე გადაჯაჭვულია ერთმანეთთან რამდენიმე პროცესი!

16. ენაიკი-ს მოაბე, ტ. X.





შეგრამ გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც იე წარმოქმნილია არა ასიმილაციის ნიადაგზე (როგორც დისიმილაციური მოვლენა), არამედ მიღებულია პრეფერბისეულ ე-სა და მომდევნო ე-ს შეხვედრის საფუძველზე. ნიმუშები: შიეშინდა, შიეხვეწნენ, შიეჟამა, შიეძლოს, შიებრალა, შიეძინა, შიეყარა.

დისიმილაციის შედეგად ვლბულობთ შემდეგ პრეფერბებს: გი-, დი-, მი-, გამი- || გემი-, და მისთ.

იე — ეე დამახასიათებელი დასავლური კილოებისათვის: იმერხევული:<sup>1</sup> შიეძლება, შიებრალა, შიეხვეწა, შიეყარა; გურული:<sup>2</sup> დიესიზმა, დიეკითხა, დიემშვიდობა; აჭარული:<sup>3</sup> დეძინა, წდეგება, მდეწყინა; გვხვდება მთარაჭულშიც<sup>4</sup>, რომელიც ძირითადად აღმოსავლურ კილოდ ივარაუდება: მიეწყინა, მიეცალა, გადიეგლო, გიელანძლა, გამიეტანა.

უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც მარის იმერხევული ტექსტებიდან ჩანს, ამას: ეე—იე ადგილი აქვს არა ასიმილაციის შემდეგ, არამედ მხოლოდ პრეფერბისეულ ე-სა და ფუძის თავიკიდური ე-ს შეხვედრის პირობებში (ასეთ პრეფერბად გამოდის შე-).

იე — იე [-ჟე: აჭარ.] უნდა იქნეს ახსნილი, როგორც ერთი კერძობითი გამოვლენა დიფთონგიზაციისაკენ მიდრეკილებისა ენაში (გ. ახვლედიანი). ეე-ში ეს ტენდენცია კომპლექსის ერთერთი კომპონენტის ღ-დ ქცევისაკენ მიემართება. გარდამავალი საფეხურია ე-ს დაიწროვება ი-დ, და ამ საფეხურზე ღგას უმეტესობა იმ დიალექტურ ერთეულებისა, რომელთაც იგი ახასიათებს; მხოლოდ აჭარულს მიუღწევია ჟე-მდის. აქვე აღინიშნავ, რომ ამავე რიგისაა ოა — უა [სანდროა — სანდრუა etc. (დაცული ჩვენს დიალექტშიც: § 5)] || ოე — უე [გოგოები — გოგუები etc. (დაცული ჩვენს დიალექტშიც: § 5)] — ჟა — ვა [\*გოგოაძე — გოგუაძე — გოგუაძე — გოგვაძე, \*ბოცოაძე — ბოცუაძე — ბოცუაძე — ბოცვაძე etc.] — უე — ვე (მაგალიტები ამჟამად არა მაქვს); ეა — ია [ქრისტეანი — ქრისტიანი, მეამა — მიამა, etc.], და სხვ. ამაზე სხვა დროს.

3. მეტათეზისი. ამის ნიმუშებია: ქვთენ (— თქვენ), ქვთენისთანა, ბლენა (— ბნელა), შხირი (მოუშხირეს), ქფილი (დაექფა, დაფქი), დაასხნევინოს, ნიმუტი.

4. ბგერის ჩამატება. ნიმუშები: დაჩანგრული, გამოიდვინძა, დაანგვრიეს.

5. სუბსტიტუცია. ნიმუშები: ნ—მ: ჩამდეს, გაამთავისუფლეს; მ—ბ: ბზე, ბზეთუნახავი; მ—ნ: ნეფე; ვ—მ: მასკვლავი; დ—ტ: იმოტონი, ამოტოლი, რამტენი; რ—ლ: ჯელ (=ჯერ); ზ—ძ: ძის;

<sup>1</sup> Mapp, Tr. VII, გვ. 61, 62, 64, 69.

<sup>2</sup> ჯღენტო, გურული კილო, გვ. 51.

<sup>3</sup> ნოლაიდელი, დასახ. შრ., გვ. 8.

<sup>4</sup> ძიძიგური, დასახ. შრ., გვ. 72.



ბ—ჭ: კვირთი (დაკვირთა); ვ—ბ: აბდრიანი (დღე); ძ—ზ: ზალიან; კომპლექსები: უი—უ: შენთუნ, შენთუს, ურჯულოებისთუნა, დევისთუნ, ვისთუნ, მაგისთუნ, სხვისთუნ, თუთონ, ქურთი (—კვირთი—ტვირთი), წუმა; ვა, უა—ა: ცოდო, ვსო; ვე, უე—ა: წოულობა, შემოხოვა, ქოყანა, გადახოული, ხოვნა-კოცნა; ოვა—უა || ოვე—უე (ჯერ ვ იკარგება): მუა, ქსუვა, ითხუე, მათხუე, ჩატუე. ახსნისათვის იხ. § 2; ოვი—ოი: მოიდა, მოიცადა.

მაშასადამე, ვადასტურებთ კომპლექსების ცვალების შემდეგ ფორმულებს: უა, ვა—ა, უე, ვე—ა, უი, ვი—უ, ოვა—უა—უ, ოვი—ოი. ყველა ესენი დამახასიათებელია როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კილოებისათვის, გარდა ოვი—ოი<sup>1</sup>-სა, რომელიც აღმოსავლური კილოების კუთვნილებაა მხოლოდ (კახური, ქიზიყური, ინგილოური, ფერეიდნული, მთიულური, მოხეური). ოღონდ ეს კი უნდა ითქვას, რომ თვს თანდებულში ვ—უ-ს სისტემატური მოქმედება ჩვენი დიალექტის სპეციფიკად ჩაითვლება.

ძ—ზ საგულისხმო ფაქტია. ცნობილია, რომ ინგილოურში (რამდენადაც ჯანაშვილის მასალებიდან ჩანს: „ძვ. საქართველო“, II, 1913) ეს შენაცვლება ხუნძორის გაღენით სისტემად იქცა: ძ განიდეგნა მეტყველების მიერ სივრცეზე და მისი ადგილი ზ-მ დაიჭირა. იმერხვეულშიც ვამჩნევთ ამ ტენდენციას, ოღონდ ძალზე მკრთალად, სპორადულად,—რამდენადაც ეს მარის მასალებიდან ჩანს. ნიმუშები: ზალიან და ვრჩი მოწყენილი<sup>2</sup>; ზალიან სიცოცხლე მინდა; ზალიანაც გეგვიხარდა<sup>3</sup>; მოზებნა ბუხავის კლიტე<sup>4</sup>. მაგრამ შიგადაშვიც ეს შენაცვლება დარღვეულია თუნდაც იმავე ფორმებში: ძალიან კარკათ ხიზმეთი უქნია<sup>5</sup>; ეძება საღები<sup>6</sup>. ჩვენს დიალექტებში გვხვდება ზალიან და ისიც არასისტემატურობით. ამგვარად, ინგილოური, იმერხვეული და მესხური ამ მხრივ ერთ ხაზს მიჰყვებიან. ამის სათავეა უცხო ენა, რომლის გარემოცვაშიც ისინი იმყოფებიან.

ბერის შენაცვლება ფართოდაა ფეხმოკიდებული დრო-კილოთა I სერიის თემატიკურ ნიშნებში, მაგრამ ამის განხილვა გადატანილი მაქვს მიმოხილვის მორფოლოგიურ ნაწილში (იხ. სათანადო ადგილას)<sup>7</sup>.

6. ბერის დაკარგვა. ნიმუშები: ვ: ნახოთ (=ვნახოთ), ახოლო, მოაღ, ვიცნია, თქენთან, აქს, წამოა, გაგზანეს, გამკეთოს, მომკდარა, გამოარდა; რ: ძალი, შეეჩით, ფთა, ჭინახული, დაფთხა, ძიელ, ბძანება, გამზდელი; ნ: სათკე, ნაჩალიკი, მაშივე, ვიც-

<sup>1</sup> М а р р, ТР. VII, გვ. 48.  
<sup>2</sup> Ib. გვ. 63.  
<sup>3</sup> Ib. გვ. 63.  
<sup>4</sup> Ib. გვ. 63.  
<sup>5</sup> Ib. გვ. 63.

<sup>6</sup> კაცმა რომ თქვას, სათანადო რიგის მოვლენები ფონეტიკაში უნდა მიმოიხილა, მაგრამ ფაქტების პრაცესობრივ ანალიზს აქ (და სხვაგანაც) არ მივსდევ,—მითუმეტეს ამ შემთხვევაში, როდესაც ფონეტიკური სახეცვლების ნიადაგზე წარმოქმნილი მორფოლოგიური თავისებურება ერთობ დემონსტრირებულია.



ხა, ძმისთვი; მ: ტერი, თორე, შიერი, თა, კობალი, გელი, ძინა-რე; ხ: ჩემკენ, პიჩკაჲ, მყავ. აგრეთვე იკარგება, როგორც მიცემითისა და ნათესაობითის თანხმონითი ელემენტი (იხ. სინტაქსი); დ: უნა, საილი; ც: დასხო, გასა და სხვა.

ძალიან გავრცელებულია მთელი მარცვლის ამოვლებით ზმნის შეკვეცა. ნიმუშები: დაიქი[რე], ამოვვიტა[ნე]ო, დაუძა[ხე]თ, ჩავტოვე[ვბ], დავტოვე[ვბ], მომიყვან[ნე], მოიყვან[ნე], წაიყვან[ნე], გააბრუ[ნე]თ, (აბა, აბჯარი უკან გააბრუთ), [უნ]და (კონტექსტში: რა... დავაჩუქო, რა... დავქნა).

ასეთი მაგალითები აღმოსავლურ კილოებში გვხვდება ჩვეულებრივ-ოღონდ დავტოვ გურულ-აჭარულ-იმერხვეულშია გავრცელებული.

### ბ. მ ო გ ფ ო ლ ო ბ ი ა

1. **ბრუნვათა წარმოებიდან აღსანიშნავია შემდეგი:** სახელობითი ბრუნვის ნიშანი ი-ჲ ხშირად ერთვის ხმოვან-ფუძიან სახელებს (ნიმუშები იხ. ფონეტიკის ნაწილში: „ბგ. შედგენ.“).

2. **სიტყვათწარმოებიდან:** ა) მონაცვლეობა მიმდებარის სუფიქსთა: შემოტანული, მოყვანულია, გამოგზანული, — დასვენილი, დანგრავილია (— დანგრეულია); ბ) გარკვევებული ფუძის (კომპოზიტების) ასეთი ფორმები: არაბი-მარაბი, ჯინქარ-მინქარი, კაქკით-მაქკით; გ) კნინობითი წარმოება ა-ს მეშვეობით: ვაჟა, ქალა.

3. **თანდებულები.** ა) -დამ (— დაღმა || დაღმე): მადლიდამ, ცილდამ, პირიდამ, სოფლიდამ. ამით ჩვენი დიალექტი იმ კილოთა წრეს უნდა მიეკუთვნოს, სადაც განვითარდა ეს ახალი თანდებულები<sup>1</sup>; ბ) -თვის წარმოდგენილია შემდეგი პარალელური სახეობებით: -თვინ, -თუნ: ნიმუშები: ხემწიფისთვინ, მურთქეთვინ, ჩემთვინ. -თუნ-ის ნიმუშები იხ. ფონეტიკურ ნაწილში—სუბსტიტუციის მუხლში; გ) -მდისინ (— მდის, — მდე): სამხრეთამდისინ, სანამდისინ, იმამდისინ, ყურებამდისინ; დ) ლოკატივის შინაარსი გადმოცემულია სუფიქსით: -შიგან. ნიმუშები: ფიქრებშიგან, სანდუქაშიგან, მოკლაშიგან (ამ მოკლაშიგან ისოვლ დაფიქრდა), სახლშიგან, ომშიგან, ხევშიგან, ჩვენშიგან არის, ჩხუბშიგან, ჯამშიგან, ბოსტანშიგან; ე) -ზე გავრცობილია წინა შემთხვევისებურად -გან — ან ელემენტით: ცხენზეგან, ჩხუბზეგან, შტოლზეგან, საღამოზეგან, ორივეზეგან, — შინდებზეგან, ყამაზეგან, ბიქებზეგან.

4. **შრავლობითი რიცხვი.** როგორც წესი, — ებ სუფიქსის დართვისას წინ ჩნდება -ი- ელემენტი. უკეთუ მოვიგონებთ დისიმილაციის კანონს — ეე — იე, რომელიც ეგზომ მოქმედია ჩვენს დიალექტში, ამ ი-ს ასეთ ახსნას ვუპოვით:

<sup>1</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ეს თანდებული დასავლურ კილოებისათვისაც არ უნდა ყოფილიყო სულ უცხო. მაგალ., ქვემოიმერულის წინი დამე (— წინიდან) ამის მაჩვენებელია.

იგი უნდა იყოს მიღებული ე- ბოლოკიდურიან და ა- ბოლოკიდურიან სახელე-  
ბისა და -ებ სუფიქსის შეხვედრის ნიადაგზე: ... ეებ... — იებ, ... აებ — ... ეებ —  
... იებ. კერძოდ, ა- ბოლოკიდურიანებში -იებ მიღებულია ასიმილაციის საფე-  
ხურის ვავლით. ო- და ე- ბოლოკიდურიანთ ეს, რასაკვირველია, არ მოუღიოთ.  
თანხმოვანფუძიანები კი, ანალოგიით, -იებ-ს ატარებენ<sup>1</sup>. ესაა წარმოების ძი-  
რითადი ტიპი, — მაგრამ შემონახულია პირველადი სახეობაც: -ებ პირდაპირ  
ეკერის ა- (და ე-) ბოლოკიდურიან სახელებს წინამავალი ხმოვნის შეუბღალ-  
ველად: ა-ს რედუქცია არ მოსდის, მაგრამ ჯერ არც ასიმილაცია მოსვლია. ასე-  
თი ფორმები უფრო იშვიათია. ნიმუშები: ე: რამიებღ, საქმიებღ, ტყიე-  
ბი, კლდიებღ; ა: დიებღ, ფრთიებღ, მთიებღ, ბრმიებღ, გზიებღ,  
ვინცხიებღ; თანხმ.: რძლიებღ, კლიებღ, (— მკლავებღ), მტრიებღ,  
თვლიებღ, მხრიებღ, ძვლიებღ, საქმლიებღ, ცხვრიებღ, წყლიებღ,  
ხარიებღ; ... აებ: შენობაებღ, მალაზიაებღ, მელაებღ.

ანალოგიური მდგომარეობაა იმერხეველ-აქარულშიც. მაგალ., იმერხ.<sup>2</sup>:  
ტყიებღ, თმიებღ, — ცრემლიებღ, — სოფლიებღ; აჭარ.<sup>3</sup>: ძმიებღ,  
ტყიებღ, ღელიებღ, — ქალიებღ. სპორადულად ვადასტურებთ გურულშიც<sup>4</sup>.  
... აებ უშიავრესად მთარაქულში<sup>5</sup> გვხვდება; იქ ასიმილაციის საფეხურიც არის:  
... ეებ.

გადავიდეთ ზმნაზე.

5. პრევერბები მო-, შე-, გამო- (შემო- etc.), ამო- წარმოდგენილია მა-,  
შა-, გამა (შემა, etc.), ამა-ს სახით: მა-: მამცამ, მამიქირე, მამქრან,  
მამქალი, მამყეო; შა-: შამეშინა, შავხედე, შაჰყარა, შავიძი-  
ნეო, შადგება, შავაბამო. გამა-: გამამიცხეთ, გამაუცხადა, გა-  
მამიტანოს, გამამიგზავნე, გამამატანა; ამა-: ამამიყვანეთ,  
ამამისხან.

ამ მოვლენით ჩვენი დიალექტი ძირითადად აღმოსავლური კილოების  
რიგში დგას, მაგრამ, აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ფაქტი აქარულისა და  
იმერხეველისთვისაც არაა სულ უცხო. იმერხეველ-აქარულ-მესხურ-აღმოსავლური  
კილოები ამ მხრივ ერთ ზოლზე ექცევიან. უნდა ვიფიქროთ, რომ აქარულ-  
იმერხეველში ეს თავისებურება მესხურის შენატანია.

6. ზოგჯერ S<sub>2</sub> და O<sub>3</sub>-ად გვევლინება ას — ა: მოხსთხვია || მოდთ-  
ხვია; მოხსტაცა || მოდტაცა; ყ- თავკიდურიან ზმნაში ჰ (O<sub>3</sub>, S<sub>2</sub>) ასიმი-  
ლაციით ხ-დ იქცევა: ახყვა, წავხყეები, მიჰყოლოდა, ხყრიდენ,  
მიხყეო. ას || ა ქართლურს და მთიულურს ახასიათებს ძირითადად, ხოლო  
შეორე რიგის მოვლენა მრავალი კილოსთვისაა.

<sup>1</sup> მაქ. ხუბუა აქარულში ანალოგიური ფაქტების განხილვისას ... იებ-ში ი-ს ინფიქსად  
შიჩნევს („ხუმოაჭრის ენობრივი მიმოხილვა“, გვ. 13). ცხადია, ეს არაა სწორი.  
<sup>2</sup> Магр, Тр. VII, გვ. 50.  
<sup>3</sup> ხუბუა, დასახ. შრ., გვ. 13—14.  
<sup>4</sup> ქლენტი, დასახ. შრ., გვ. 60.  
<sup>5</sup> ძიძიგური, დასახ. შრ., გვ. 79.



7. ე. წ. I სერიის მაწარმოებელი სუფიქსები ანუ I სერიის თემატიკური ნიშნები საყურადღებოა როგორც მასალობრივად, ისე ფუნქციურად. სალიტერატურულიდან განსხვავებით გამოყენებულია შემდეგი მასალა: -ამ, -ემ, -ან, -ენ, -ონ, -ინ<sup>1</sup>.

მათი ფუნქციები არეულია; სალიტერატურო ნორმები აქ ხშირად დარღვეულია. ეს ამ სუფიქსების „ფუნქციური დაბნელების“ მაუწყებელია.

ფონეტიკური ვარიანტები:

-ავ	-ამ	
<p>უკეთავს გაგავევინავ</p>	<p>I   გაიცინამს გამოვასწორამთო ატირამ შეკრუტუნამს იცხოვრამდა ფუტირამ გაგაფუჭამს ვიცოცხლამ ვადირსამ წავიღამ აღვიძამს მოგახსენამს გააშორამს ვაკოცამ დავაბრმავამ ვალაპარაკამ გამოვიმეტამ დაგასახლამ ინადირამს გაჯობამო გავიჯამთ ათამაშამს გაალამ გააფურთხამს დააგვიანამ მოვაფუფულამ</p>	<p>II   ვვეტამთ უბერამს დაკრამს მოვგლიჯამ სწევამს უზიდამდა გაჟანგამს ისრისამს</p> <p>III   იცნამო დაგიზნამ გამოვიძრამ ევხოვრამთ აქრამს</p> <p>IV   დამწყველამ ვიპოვნამ იშოვნამ</p>

ფუნქციური ანალიზი:

I რიგი (-ავ): სუფიქსი შეესატყვისება სალიტერატურო ენის -ებ-ს-;

<sup>1</sup> ჩემს მასალებში -ინ-იანი ფორმა მხოლოდ ერთგან გვხვდება (სწავლინდა) და შეიძლება ინდივიდუალური იყოს.

- II რიგი (-ამ): I ტეხილი ხაზის ქვემოთა ფორმებში სუფიქსი შეესატყვის-  
სება სალიტერატურო ენის -ებ-ს;  
II ტეხილი ხაზის ქვემოთა ფორმებში ავ-ს;  
III ტეხილი ხაზის ქვემოთა ფორმებში -ობ-ს;  
IV ტეხილი ხაზის ქვემოთა ფორმებში -ი-ს.

ფონეტიკური ვარიანტები:

-ემ	-ებ
I   ეფუჟურემდი	შეინფდებენ
აკაჟუნემს	შეინახებენ
იჯერემდა	ამოასხებენ
აჯობემ	დაგრიხებენ
დაუძახემდა	დაჰკლებენ
იტაცემდა	დანიახებენ
ანადგურემდა	დაგაკრებს
უძლემდა	მოგკლებ
ახურემდა	მამკლებს
ახსენემდა	დაგვიხაცებენ
აცხოვრემდა	გვიკეტებენ
მაბრმავემო	სწვიტებენ
	ჩაეკრებ
II   ცხოვრემდა	სწერებენ (ჯვარს)
ათებმდა	
III   კეტემდა	
დანიახემს	
მოესთიბემდი	
სწეემდი	
გკაფემდი	
მკლემდი	
ნახემდი	
ეკრიფემდი	
შეიხედემს	
დაგნიშნებდიო	

ფუნქციური ანალიზი:

- I რიგი (-ემ): I ტეხილი ხაზის ქვემოთა ფორმებში სუფიქსი შეესატყვის-  
სება სალიტერატურო ენის -ებ-ს;  
II ტეხილი ხაზის ქვემოთა ფორმებში -ობ-ს;  
III ტეხილი ხაზის ქვემოთა ფორმებში -ავ-ს.  
II რიგი (-ებ): სუფიქსი შეესატყვისება სალიტ. ენის -ავ-ს.

ფონეტიკური ვარიანტები:

-ომ	-ობ
გულაომს	
დაგახომო	
სცხოვრომს	
თხოულომს	



## ფუნქციური ანალიზი:

- I რიგი (-ომ): სუფიქსი შეესატყვისება სალიტერატურო ენის -ომ-ს,  
 II რიგი (-ომ): თავისებურებას არ შეიცავს.

## ფუნქციური ვარიანტები (5 მახალის):

-ან	-ენ	-ონ
I   ხნანს თესანს	I   ვხარშენდით კვეცენდი	გმუშაონთ ქეიფონთ სწავლონდა
II   გამიშვანს ინანანთ გაგაფუჟანს აკეთანს იღანს მატირანს ატარან	II   გამოიმეტუნდა ათამაშენს	
III   კოკლანხარ ქეიფანს	III   დავთმენ მახჩენ	

## ფუნქციური ანალიზი:

- I რიგი (-ან): I ტეხილი ხაზის ქვემოთა ფორმებში სუფიქსი შეესატყვი-  
 სება სალიტერატურო ენის -ავ-ს;  
 II ტეხილი ხაზის ქვემოთა ფორმებში -ებ-ს;  
 III ტეხილი ხაზის ქვემოთა ფორმებში -ომ-ს.  
 II რიგი (-ენ): I ტეხილი ხაზის ქვემოთა ფორმებში სუფიქსი შეესა-  
 ტყვისება სალიტერატურო ენის -ავ-ს;  
 II ტეხილი ხაზის ქვემოთა ფორმებში -ებ-ს;  
 III ტეხილი ხაზის ქვემოთა ფორმებში -ომ-ს.  
 III რიგი (-ონ): სუფიქსი შეესატყვისება სალიტერატურო ენის -ომ-ს.

გათვალისწინებული სუფიქსების მანიანი ფორმები ქართულურშიც გვხვდებ-  
 ა<sup>1</sup>. ნარიანი ფორმები ჯერჯერობით დასტურდება ბორჯომის ხეობის ქართ-  
 ლურში; სუფიქსების გამოყენებაშიც აღრევა იქ. უნდა ვითქვოდეთ, რომ ამ  
 მოვლენის კერა მესხური არის. როგორც ჩანს, სათანადო თავისებურება გა-  
 ვრცელებულა ჩრდილოეთის მიმართულებით.

I სერიის თემატიკური ნიშნების შემოგანხილული თავისებურების ფესვის  
 გამოსარკვევად საჭიროა ამ თვალსაზრისით შევისწავლოთ ყველა კილოს მონა-  
 ცემები ზანური ენის სათანადო ვითარებათა გათვალისწინებით. აქ ამას მაინც  
 ვიტყვი, რომ მესხურის ამ თავისებურების განხილვა უშუალოდ უკავშირდება

<sup>1</sup> ვ. თ. ოფურიძე, დასახ. შრ., გვ. 141, 142.

მეგრულ-ქანურის სათანადო წარმოების გათვალისწინებაც. მესხურის ფორმებში უნდა ვხედავდეთ ზანურის ანალოგიურ ფორმათა დამოუკიდებლად აღმოცენებულ გამოხმარებას, თუ აქ გენეტიკური მიმართებაა, — ეს დამოუკიდებელი მნიშვნელობის საკითხია. მაგრამ რა მიმართულებაც უნდა მიიღოს მომავალმა ძიებამ, ამთავითვე ის კი ნათელია, რომ ჩვენი დიალექტის მონაცემები საკითხების ამ მწკრივში განსაკუთრებულ სიცხოველეს შეინარჩუნებენ.

8. ე — დაბოლოებიან ზმნებს ერთვის ვი — ი მარცვალი: შეევუხევიევი, მოვსპევი, დავხოცევი, შინჯევი, ნახევი, წამოიღევი, გააკეთევი და მისთ.

ეს მოვლენა უმთავრესად დამახასიათებელია ქართლურისთვის<sup>1</sup> და მთარაქულისთვის<sup>2</sup>. დასავლურთაგან ვიდასტურებთ აქარულ-იმერხეულში. ეს მესხურის შენატანად ივარაუდება.

9. მრავლობითი რიცხვის ობიექტური წყობის ზმნებში გამოყენებულია -ენ (-ენენ), -ან სუფიქსები: შიე შინდენ, მიეკლენ, ქონდენ, უყვარდენ, სჯერამდენ, ეშინოდენ, ეძინენ, დაულამდენენ, ეყოლნენ, ჰყავდენენ, დეგემართენენ; — უტირავან, გაუბედიან, მოუკვდებიან, ხყავან, მიხყავან, უწყენიან, სძინავან, შესძენიან, გიქირვან<sup>3</sup>. ეს მოვლენა დასავლ. კილოების კუთვნილებაა.

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ვ პ. სუბიექტის მრავლობითობა გადმოცემულია ნან, ან სუფიქსით (ნენ, ენ-ის ნაცვლად): გაფრინდნან (გაფრინდნენ), გასცილდნან (=გასცილდენ, გასცილდნენ).

გადავიდეთ კერძობით შემთხვევებზე.

10. Varia: ა) გარკვეულ ზმნებში, რომელთაც ოგ სუფიქსად მოუღიოთ, წინამავალი ხმოვანი ო ეკარგებათ და ანალოგიით ვ-ს შემდეგ ი უჩნდებათ; ზოგჯერ ეს ვ-ც ჩამოეცლებათ: გაგითხვიებია (-გაგითხოვებია), გამათხვიეს (-გამათხოვეს), ითხვიეს (-ითხოვეს), ითხვიე || ითხიე (-ითხოვე), მიატვია (-მიატოვა), დავსტიოთ (-დავტოვოთ), დაუტვია || დაუტია (-დაუტოვა)<sup>4</sup>, მოწვიონ [ძუძუ] (-მოწოვონ), გამიქსვიე (-გამიქსოვე), მოვქსიო (-მოვქსოვო); ბ) ეგვევი-ჩაემატება სხვა შემთხვევაშიაც: მატყვილიებო, დამატყვილიე; გ) ჯღომა ზმნის გარდამავალი ფორმებია: დააჯდუნა, შეაჯდუნა; დ) ჩაბარება და დაბარება გვევლინება ფორმით: ჩაგაბრი (=ჩაგაბარებ: ვირან შენ მზეს არ ჩაგაბრი), გიბრიოთ (=გიბარებთ: ხემწიფე გიბრიოთ); ე) გაგება: გაიგნეს, გაიგნო (=გაიგეს, გაიგო)<sup>5</sup>; ვ) ხმო-

<sup>1</sup> ვ. თოფურია, დასახ. შრ., გვ. 143.

<sup>2</sup> შ. ძიძიგური, დასახ. შრ. გვ. 80

<sup>3</sup> არის ასეთი ფორმებიც: უნდანან (=უნდათ: შენი დეიდებს უნდანან იგო), აქვანან (=აქვთ: იმათ ბალით იმისთანა შემოტყმულია აქვანან), მიგაქვანან (ემუშაონთ და თქვენ მიგაქვანან).

<sup>4</sup> შდრ. დასავლური კილოების: მიატია, დატია, დაატოთ. ესენი შემდეგ საფეხურს წარმოვიდგენენ, ისევე, როგორც ითხიე და მისთ.

<sup>5</sup> ასევეა მთარაქულშიც.



ვანი არ ეცვლება თხლეშა ზმნას: თხლეშა (=სთხლიშა) ამ ბიქსა: ზ) გვანან: გავან; თ) ჭრა: მოსქარი, დასქარი<sup>1</sup>.

11. მეტყველების სხვადასხვა ნაწილში აღსანიშნავია უცხო ფორმების გამოყენება: აჯაბ (არაბ.)—ნეტავ, ზათი (არაბ.)—ისედაც, ანჯახ (თურქ.)—მხოლოდ, თახ || თალ (სომხ.)—დეე, ოლონდ, ჰანი (თურქ.)—სადაა, ნიმუშები: აჯაბ: ოქრო-ვერცხლია, აჯაბ რა არის? ზათი შვილი არა მყავსო, ერთ ცხენზე დავატიოთო; სამი ცხენის ძუ რო დამახვიო, ანჯახ იმან დამიმაგროსო; მე ანჯახ დამიმაგრდესო სხვილი ჯაქვიო<sup>2</sup>; თახ გვიპოვნე შვილი და ოქრო ჰალალი იყოსო; თახ მოდი, ეს ძროხა წაიყვანე; თალ მაგან წაიღოს; ჰანი ჩვენი ძმაო? ჰანი შენი ნიშანი, თუ ნახე?

### С. ს ი ნ ტ ა ძ ს ი

1. წინადადებაში ხშირად დაკარგულია მიცემითი ბრუნვის ნიშანი: პირველ უთხრა; გენარლებ მისცა; ძაღლ გადავაფინე; საქმლებ მოწამლავ და სუნთელ შაისმაილ მოუტანო; უთხრა ხემწიფემ ლალაებ; ბიქი წინ წაუძღვა ცხენ; აკეთამს საქმლიებ; აქლემ ვაჩუქამ; რათ ატირამ ბოვშე თაყვან არ მიცემ მეო; დედოფალ ფეხებზე ეხოვა; ბატებ აძოვებინებდნენ; არაბ კისერი მოკვეთესა; დევებ ეძინენ; როდესაც სიკვდილს უნდა ესწრო; ჩიტ არ აფრინებენ; რახარუხ უყენამს; შენ წონა ოქრო მოქცემო.

2. ასევე მოკვეცილია ნათესაობითი ბრუნვის თანმოვნითი ელემენტი: მამიჩემი სურათი ნახევი; მზი ამოსვლასა; თავი ქმრებსაც; ენი ქვეშ; მივიდა ხი ძირასა; თიბათვი დღეა; ამ მთი ტოლა არი მებადურის შვილი; მებადურე შვილსაო; ქალაქი კიდურას ბებერი ნახა; ხრმალი ყამა; ბრინჯი ფლავი; გოგო ჩიტთან.

როგორც მიცემითი ნიშნის, ისევე ნათესაობითის ს-ს მოკვეცა დამახასიათებელია ძირითადად აღმოსავლურ კილოებისათვის (მთიულური, ქართლური, კახური, ინგილოური, მთარაქული...).

3. დამახასიათებელია ერთი სინტაქსური კონსტრუქცია: დაძახება ზმნა წყვეტილში დამატებას სახელობით ბრუნვაში მოითხოვს, ნაცვლად მიცემითისა: დაუძახა ჯალათები; ერთი ბიქი დაუძახეთო; დედა მისი დაუძახა; დაუძახა ლალაი; დაუძახეს მესამე ამხანაკიც; ლალა დაუძახა ხემწიფემ; დაუძახა ხემწიფემ მაჰმუდი; დაუძახეს ძღნაბი.

<sup>1</sup> ასევე გურულ-აჭარულ-იმერხვეულშიც.

<sup>2</sup> შღრ. იმერხვეული: ანჯახ მახსოვდა ბებერ კაცს ამტოლი დუნისის სიტყვა (Марр, Дневник поездки, ТР. VII, გვ. 70).

ეს მოვლენა იმერხეველს ახასიათებს: დუჟუძახა ჰასან ფაშამა ქე-  
როლიანი (Map, Дневник поездки: TP. VII, გვ. 61). გვხვდება ქართ-  
ლურშიაც.

4. როდესაც გარდაუვალ ზმნას გარდამავალი მოსდევს უშუალოდ, წყვეტილ-  
ში სუბიექტი გარკვეულ შემთხვევაში მოთხრობითში დგას ხოლმე: ამ ბიქმა  
მივიდა, ააყენა; მოვიდა ამ ბიქმა, ჩაიძინა კალთაში; მივიდა  
პატარა გოგომ, ქაში გარეცხა; გამოარდა ბიქმა, უთხრა; მი-  
ვიდა ეშმაკმა და ხელით გაასუფთავა; ამ ბიქმა წავიდა, ერთი  
შხირი ტყეშივანა გაიკეთა ქოხი; გამოარდა ვაჟამ და თავი  
მოსკრა.

მაგრამ არის შემთხვევები, როცა გარდაუვალ ზმნას ისევ გარდაუვალი  
მოსდევს, მაგრამ სუბიექტი მაინც მოთხრობითშია. ამან ადგა და წავიდა;  
ადგა იმან, ავიდა სახში; წამოდგა მძინარე დევმა; ადგა, მი-  
ვიდა ეთერმა. მაგრამ ვაცილებით მეტია ისეთი შემთხვევები.

ვათვალისწინებული სინტაქსური თავისებურება ყველა კილოს კუთვნილე-  
ბაა, მაგრამ მეორე რიგის მოვლენები, როგორც ეს გამორკვეულია (ვ. თო-  
ფურია, სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების  
მიხედვით), ნამეტურ ქართლურისთვისაა დამახასიათებელი. ჩვენი დიალექტი  
აქაც ქართლურს მისდევს.

5. კრებითი შინაარსის ქვემდებარესთან შემასმენელი მრავლობით რიცხვში  
დგას: გადირნიენ ერთიან ეს ხალხი; დაკრეს ხალხმა; ჩემი ძვე-  
ლი დედ-მამა მომაგონდენ.

6. სტილისტიკურ თავისებურებებიდან აღსანიშნავია შემდეგი: თურქულის  
ძლიერი გავლენით იცვლება მეტყველების ფსიქოლოგია; ფრაზები ხშირად აგე-  
ბულია თურქულის ყაიდაზე (კალკა): დიდი ომი გააკეთეს ცხენებმა;  
აეჯობას (=ნადირობა) ვიზამ; ქარგას შერება; სალამი აიღო;  
ხორწილი უყო, და სხვა მრავალი.

ამ მხრივ მესხური იმ კილოთა წრეს მიეკუთვნება (იმერხეველი, აჭარული,  
ფერეიდნული, ინგილოური), რომელიც უცხო სისტემის ენათა ძლიერი გავლენის  
ზოლშია მოთავსებული; და ეს გავლენა ისე შორს მიდის, რომ იჭრება მე-  
ტყველების ფსიქოლოგიაშიც, იცვლება „სული ენისა“.

### დასკვნითი დებულებები

1. ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის პრობლემატიკის საკვანძო  
საკითხთაგანია სამხრეთ საქართველოს მეტყველების პროფილის განსაზღვრა, —  
მეტყველებისა, რომელიც, მიუხედავად გარკვეულ ეპოქებში პოლიტიკური  
მთლიანობისა, ძირითადად ორ სხვადასხვა ნაკადს წარმოადგენს ტომობრივი  
სხვადასხვაობის შესაბამისად.

2. ზოგადად მაინც ნათელია, რომ „მესხური“, როგორც პოლიტიკურად  
და კულტურულად მოწინავე მხარის მეტყველება, სალიტერატურო ქართულის  
განვითარების უდიდესი ელემენტია. საგანგებო ინტერესის შემცველია ამ



დიალექტური სინამდვილის მიმართება უცხო ენობრივ სამყაროსთან. ზეპირის (და აგრეთვე მწიგნობრულის) გზით შემოსული ბერძნულ-თურქულ-სპარსულ-სომხური ლექსიკური ტიპები უწინარესად ამ ენობრივი წრის მეშვეობით ინერგებოდა საზოგადო ქართული ლექსიკონის ნიადაგში.

3. სამხრეთ საქართველოში ცნობილი ისტორიული ცვლილებების შედეგად ამ მხარის ქართული მეტყველება გადაშენდა თავის არსებით ნაწილში. „ნამსხვრევების“ სახით-ღა შემორჩა იგი, ერთი მხრივ, იმერხევულისა და, მეორე მხრივ, ახალციხურ-ახალქალაქურის სახით.

4. ავტორის დაკვირვებები ემყარება ახალციხის ახლო რაიონის მეტყველებას (სოფლები: უდე, არალი, ვალე, ღრელი), რომელსაც იგი სწავლობდა 1932—33 წლ. ესაა ქართველ მესხ-კათოლიკეთა მეტყველება, რომლისთვისაც ავტორი ადგენს ტერმინს „მესხური დიალექტი“.

5. მესხურისა და იმერხევულის მკვეთრი სხვადასხვაობა რამდენადმე გეგარძნობინებს წინა საუკუნეებში მტკვრისა და ჭოროხის ხეობებში მობინადრე ქართველთა დიალექტურ დიფერენციაციას (მხოლოდ რამდენადმე, რადგანაც ანგარიშგასაწევია უკანასკნელ ხანებში ქართულთა მიგრაცია საზღვრებით და საზოგადოდ მტკვრის ხეობის მცხოვრებთა მეტი კონტაქტი ქართლთან, წინა ხანებთან შედარებით). ყოველშემთხვევაში, ამ მიმართულებით მტკიცე საყრდენს წარმოადგენს ისტორიული ფაქტი მათი ტომობრივი სხვადასხვაობისა.

6. იმერხევული უნდა მიეკუთვნოს დასავლური კილოების ჯგუფს (უმთავრესად აჭარულ-გურულს), ხოლო მესხური—აღმოსავლურ კილოებს (უმთავრესად ქართულს). ასეთი დაყოფა ისტორიულადაც გამართლებულად უნდა იქნეს მიჩნეული.

7. მესხურის დაფენებაში გამოიყოფა რამდენიმე ძირითადი მნიშვნელობის ნიშანი, რომლებითაც ეს დიალექტი მჭიდროდ უკავშირდება დასავლურ კილოებს. ეს სიმპტომატური შეხამება წმინდა „ქართლურის ტიპის“ ფორმებისა „ტიპიურ დასავლურ“ ნიშნებთან საგულისხმოა ჩვენი დიალექტის საბოლოო კვალიფიკაციისათვის.

8. დასავლურ კილოებთან საზიარო ფორმები ჭოროხის ხეობის მეტყველების ნაყოფია მესხურში (ამ ფარგალში „აჭარულიც“ შემოდის).

9. მესხურს თავის მხრივ გარკვეული წვლილი უნდა შეეტანა ისტორიულად დასავლურ კილოებში იმერხევულ-აჭარულის გზით. ეს საკითხი მოითხოვს შესწავლას. ჯერჯერობით აღსანიშნავია ფართო ხმოვნობისკენ მიდრეკილება, ე- დაბოლოებიან ზმნაზე -ვი მარცვლის დართვა, და სხვ.

10. აღმოსავლურ კილოებთან საერთო მოვლენებია: ა) ბგერის დაკარგვის, ჩამატების, მეტათეზისის, სუბსტიტუციის, ასიმილაცია-დისიმილაციის საერთო ფაქტები; ბ) კომპლექსების ცვალების ტიპები: ვა — ო, ოვი — თი; გ) თანდებულთავან: -ღამ, -მდისინ, -შივან, -ზევან; დ) S<sub>2</sub> და O<sub>2</sub> (ღს — ძ); ე) ე- დაბოლოებიან ზმნაზე -ვი მარცვლის დართვა; ვ) წინადადებაში ნათესაობითი ბრუნვის თანხმონიითი ელემენტისა და მიცემითის ნიშნის მოკვეცა; ზ) გარდაუვალ ზმნებთან სუბიექტის მოთხრობითი დასმის სპეციალური შემთხვევები; თ) დაძახება ზმნასთან დამატების სახელობითი დასმა.

11. დასავლურ კილოებთან საერთო მოვლენებია: ა) დიფთონგები; ბ) ასიმილაციის ტიპები: აი — ეი, ოი — ეი; გ) დისიმილაციის ტიპი: ეე — იე; დ) ვე — ოხ საერთო ტიპები; ე) მრავლობითი რიცხვის წარმოების ტიპები: ა- ბოლოკიდურიანთა შემთხვევაში ურედუქციობა (... აებ) ან ასიმილაცია (... აებ — ეებ); უკანასკნელთაგან დისიმილაცია (... აებ — იებ); ანალოგიით თანხმობიან ფუძიანების ასეთივე წარმოება; ვ) მრავლ. თ-ს ნაცვლად -ენ-ის გამოყენება.

12. სპეციფიკურ ნიშნებად (პირობით) ჩათვლება: ა) -თვის თანდებულში ვი — უ-ს სისტემატური მოქმედება; ბ) I სერიის თემატიკურ ნიშნებად სისტემატური გამოყენება შემდეგი ნიშნებისა: -ამ, -ემ, -ომ, -ან, -ონ (სპორადულად -ინ); მათი ფუნქციური შენაცვლება; გ) თურქიზმები ლექსიკაში; დ) თურქიზმები მეტყველების ფსიქოლოგიაში.

შოთა დიდიგური

ОПИСАТЕЛЬНЫЙ АНАЛИЗ МЕСХСКОГО  
ДИАЛЕКТА ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

РЕЗЮМЕ

1. Одним из узловых вопросов грузинской исторической диалектологии является определение профиля речи Южной Грузии. Несмотря на подитическое объединение этой части страны в определенные эпохи, „южно-грузинская речь“ все-таки представляла собою две диалектальные единицы соответственно с племенной и географической дифференциацией данного края.

2. Месхская речь, исторически являющаяся диалектом передового в политическом и культурном отношении края Грузии, представляла собою главнейший элемент формирования и развития грузинского классического языка (Марр, Шанидзе). Специальный интерес представляет выяснение иноязычного вклада в месхском. Впрочем, лексические типы греческого, турецкого, а также персидского и армянского языков вменялись в наслоение грузинского словаря в первую очередь через эту диалектальную среду.

3. В результате известных исторических изменений Южной Грузии диалекты данного края в основном исчезли. В виде пережитков сохранились они в лице имерхевского (в Чорохском ущельи), с одной стороны, и ахалцихско-ахалкалакского (в бассейне р. Куры), с другой.

4. Автор основывает свое исследование на материалах, собранных им в 1932—1933 гг. в Ахалцихском диалектальном районе (в селениях Удэ, Арალი, Валэ, Грели).



5. Для диалекта исследуемого края установлен термин — месхский.

6. Месхский диалект в основном принадлежит к восточным говорам грузинского языка. Но его наслоение содержит значительные особенности, типичные для западных говоров грузинского языка. Совокупность этих элементов является главным аргументом для выделения месхского, как самостоятельной единицы наряду с другими специфическими чертами. В этом отношении не менее существенным является влияние языков других систем на месхский диалект.

7. Резкое отличие месхского диалекта от имерхевского на современном состоянии развития языка, дает основание предполагать, что исторически диалект бассейна Куры (юго-восточная Грузия) отличался от диалекта бассейна Чорохи (юго-западная Грузия). Но в этом отношении нельзя не учесть исторический факт миграции, собственно передвижение картлийцев (т. е. карталинцев) в южную сторону и более тесный, по сравнению с прежними эпохами, контакт между Месхетией и Карли. А этот факт небезынтересен в смысле определения месхско-картских диалектальных сходящих в последующие века.

8. Общие формы с западными говорами в основном возникли в результате влияния диалекта Чорохского ущелья на месхский диалект. Предполагается и обратное влияние (на это указывает несколько симптоматических фактов), — хотя здесь не исключается независимое возникновение тождественных форм по части определенных диалектальных норм.

9. Параллельными с восточными говорами формами являются:

- а) Общие факты вставления и выпадения звуков, субституции, метатеза, ассимиляции и диссимиляции;
- б) типы изменения комплексов:  $va \rightarrow o$ ,  $ovi \rightarrow oi$ ;
- в) послелогои:  $-dam$ ,  $-mdisin$ ,  $-šigan$ ,  $-zegan$ ;
- г) прибавление слога  $-vi$  на глаголы с исходом на  $e$ ;
- д) исчезновение показателя дательного падежа и согласного элемента родительного падежа в предложении;
- е) специальные случаи постановки субъекта в Narrativus'e при переходных глаголах;
- ж) постановка дополнения в именительном падеже при глаголе  $da\zaxeba$  — позвать;
- з) использование  $ys \rightarrow u$  в качестве показателя субъекта 2 л. и объекта 3 л.

10. Параллельными с западными говорами формами являются:

- а) Дифтонги;
- б) типы ассимиляции:  $ai \rightarrow ei$ ,  $oi \rightarrow ei$ ;
- в) тип диссимиляции:  $ee \rightarrow ie$ ;

- გ) общие факты изменения комплекса:  $ve \rightarrow o$ ;  
 დ) типы образования множественного числа.  
 11. Специфическими признаками (условно) являются:  
 а) систематическое изменение комплекса  $vi - \pi$  в послелого  $-tvis$ ;  
 б) систематическое использование, тематических суффиксов 1-ой серии:  $-am, -em, -om, -ap, -op$ ;  
 в) турецкие элементы в лексике;  
 г) турецкие элементы в фразеологии.

CHOTHA DZIDZIGOURI

L'ANALYSE DESCRIPTIVE DU DIALECTE MESKHE  
 DE LA LANGUE GÉORGIENNE

RÉSUMÉ

1. La définition du profil de la parole de la Géorgie Méridionale est un des points cruciaux de la dialectologie historique géorgienne. Malgré l'union politique de cette part du pays en certaines époques, „la parole géorgienne du Sud“ présente tout de même deux unités dialectales conformément à la différenciation de tribu dans ce pays.

2. La parole meskhe qui apparaît historiquement comme dialecte de la région de Géorgie avancée quant à la politique et à la culture est le principal agent de la formation et du développement du géorgien classique (Marr, Chanidzé). On prendra intérêt tout spécial à débrouiller les apports étrangers dans le meskhe. D'ailleurs les types lexiques du grec, du turc ainsi que du persan et de l'arménien se sont inculqués dans les couches du vocabulaire géorgien tout d'abord par ce milieu dialectal.

3. En résultat de certains changements historiques de la Géorgie Méridionale les dialectes de ce pays ont disparu. Comme vestiges ils se sont conservés en imerkhève (col de Tchorokhe), d'une part, en akhaltsikho-akhalkalake (bassin de Mtkvar), d'autre part.

4. L'auteur base son exploration sur les matériaux rassemblés par lui en 1932—1933 dans l'erayon dialectologique d' Akhaltsikhe (villages d'Oudé, Arali, Valé, Gréli).

5. Pour le dialecte du pays exploré on a établi le terme „meskhe“.

6. Dans ses grandes lignes le dialecte meskhe appartient aux parlers orientaux du géorgien. Mais ses couches contiennent des particularités considérables, typiques pour les parlers occidentaux du géorgien. La totalité de ces éléments caractéristiques pour les deux groupes fondamentaux constitue l'argu-



ment principal pour la séparation du meskhe comme unité indépendante à côté d'autres traits spécifiques. Sous ce rapport l'influence des autres systèmes sur le meskhe n'est pas moins essentiel.

7. La différence prononcée du meskhe et de l'imerkhève sur l'étape moderne de la langue nous autorise à supposer que le dialecte du bassin de Mtkvar (Géorgie Sud-Est) différait historiquement de celui du bassin de Tchokhe (Géorgie Sud-Ouest). Mais sous ce rapport il n'ya pas à dédaigner le fait historique de la migration, à proprement parler du déplacement des Kharthlis (resp. Kharthaliniens) vers le sud ainsi que le contact plus étroit, en comparaison avec les époques précédentes entre la Meskie (resp. Meskhétie) et la Kharthlie. Et ce dernier fait n'est pas sans intérêt pour la définition des rencontres dialectales meskho-kharthlies dans les siècles suivants.

8. Les formes coexistantes dans les parlers occidentaux ont surgi comme résultat de l'influence de la gorge de Tchokhe sur le dialecte meskhe. L'influence réciproque est aussi à présumer (ce qui est indiqué par quelques faits symptomatiques). Mais on n'exclue pas la naissance spontanée des formes identiques dans le sens de certaines normes dialectales.

---

3ლ. ზანჩვიძე

**მხროლოგიური რიტულის მესამე პირის ნაცვალსახელოვანი  
-ნე- || -ბუ- უღურ მნაში<sup>1</sup>**

1. ნაცვალსახელთა ფორმების შედგენილობა და ისტორია ყველა ენაში საყოველთაოდ პრობლემას წარმოადგენს. როგორც ვარაუდობენ, ნაცვალსახელები უნდა წარმოადგენდნენ ენობრივი განვითარების უძველესი საფეხურის განძს, და ამდენად მათში შემორჩენილია ენის ისტორიის უძველესი ფაქტები. ნაცვალსახელებში ჩვენ გვაქვს ფორმათა მრავალფეროვნება და სირთულე, რაც თავისებურ ელფერს აძლევს ენის მორფოლოგიურ აგებულებას. ამასთან ნაცვალსახელები შედარებით ნაკლებად განიცდიან უცხო ენობრივი სისტემის გავლენას. ისინი ინარჩუნებენ ენის დამახასიათებელ თავისებურებებს უცხო ენის ძლიერი ზემოქმედების დროსაც.

ეს უკანასკნელი გარემოება განსაკუთრებით საყოველთაოდ უღური ენისათვის, რამდენადაც იგი რამდენიმე ენის გავლენას განიცდის დღესაც, თავი რომ დავენებოთ ისტორიულ წარსულს. ზოგი მეტად მნიშვნელოვანი მორფოლოგიური მოვლენა უღურში შემორჩენილი გვაქვს მხოლოდ ნაცვალსახელებში (მაგალ. სახელობითის და მოთხრობითი ბრუნვის ფორმათა დიფერენციაციის უქონლობა პირველსა და მეორე პირში) და მათი ისტორიის გათვალისწინება უუქს მოჰყენს, ერთი მხრით, თვით უღურის აგებულებას, ხოლო, მეორე მხრით, მის მიმართებას სხვა მონათესავე კავკასიურ ენებთან.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ამ მხრივ უღურში ვითარება მესამე პირის ნაცვალსახელისა, რომელსაც ამ წერილში ვეხებით.

2. თანამედროვე უღურში ჩვეულებრივად ხმარებული 3 პირის ნაცვალსახელი: მხოლ.: **შენო** || **შონო**, —ის (იგი)', მრავლ.: **შონორ** —'ისინი', როგორც სხვა მრავალ ენათა შემთხვევაშიც გვაქვს, ნასესხებია ჩვენებით ნაცვალსახელთაგან. უღურის ვართაშნულ კილოში (სადაც იგი თავდაპირველ ვითარებას უნდა წარმოგვიდგინდეს) ბრუნების დროს ეს ნაცვალსახელი იძლევა შემდეგ ფორმებს (მოგვეყავს ძირითადი ბრუნვები):

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად ენიშვი-ის კავკასიურ ენათა განყოფილების სხდომაზე 25.II.1939.



მხოლ. რ.:

მრავლ. რ.:

სახ.	შონო    შენო (-*შენ-ო)-ის, იგი'	შონორ (-*შენო-ურ) <sup>1</sup>
მოთხრ.	შე-ტ-ინ	შე-ტ-რლ-ონ    შოტრლონ
ნათ.	შე-ტ-ად	შე-ტ-რლ-ოჲ    შოტრლოჲ
მიც.	შე-ტ-უ	შე-ტ-რლ-ო    შოტრლო
ე. წ. აკუზ.	შე-ტ-უხ	შე-ტ-რლ-ოხ    შოტრლოხ

მაგალითად: <sup>2</sup>

ისა შენო კელალ, უქალლე. R 14<sub>1-6</sub>—'ახლა იგი გამოვა, შეგკამს'...  
 შონო ადნეზერი, ანეყი ალახ. მთ. 2,21—'იგი ადგა, აიყვანა ყმაწვილი'...  
 გაბუნახ აკესხოლან შონო რ მუჯყუნბაქი, მთ. 2,10—'ვარსკვლავის და-  
 ნახვისთანავე ისინი გამხიარულდნენ'...

შონო რ იჩლო მურადა-ყა-ყუნ-ბაფი, დან-ალ ბეშემურადა. ა. დირი,  
 Грамм., 86<sub>8</sub>—'მათ (ნამღვ. ისინი) თავიანთ სურვილს მიაღწიეს-მცა, ჩვენც  
 ჩვენ სურვილს'...

შეტი რ ჰაშეთარ წილინება. R11<sub>11</sub>—'მან იმგვარად დაიწვილა'...

შეტაბახტინ თე შეტინ ჩხარკესტალლე აღამაროხ. მთ. 1,21—'იმისთვის  
 რომ ის (მან) განათავისუფლებს აღამიანთ'...

კოდა შეტად იჩ ქებ-ნე. მთ. 3<sup>1</sup>12—'ნიჩაბი მისი მის ხელს(ში) არის'...

ბუტყუი ქჰჰკინ ბარკანეი შოტუხ. მთ. 1,19.—'უნდოდა ფარულად გაეშვა  
 იგი'...

შოტლონ ფასჩალა იმუხლახი, თაყუნცი. მთ. 2,9 —'მათ მეფეს მოუსმი-  
 ნეს, წავიდნენ'...

<sup>1</sup> -ურ მრავლობითის ჩვეულებრივი სუფიქსია უდურში—სახელობით ბრუნვაში. სხვა ბრუნვებში მრავლობითობას გამოხატავს -უხ--ოლ || -ლ; შდრ. ჩვენი: „სახელთა ბრუნებისათვის უდურ ვნაში“, «ენიშკის მოამბე», I, გვ. 134.

<sup>2</sup> შემოკლებანი:

1. ა. დირი, Грамм.=А. Дирр, Грамматика удийского языка. Тифлис, 1903 (Сб. МОМПК, XXXIII, 1903).
2. მთ., შრკ., ლ., იოჰ.—მიუთითებს უდური ოხთავის სათანადო თავებს: დიდი ციფრი თავს, პატარა—მუხლს: Сб. МОМПК, XXX, 1902.
3. ა. დირი, Einführ.=А. Дирр, Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen. Leipzig, 1928.
4. R=ხლაპარი: Рустам: Сб. МОМПК, VI, 1888.
5. ა. შიფნერი, Versuch=А. Schiefner, Versuch über die Sprache der Uden. St.-Petersburg, 1863.
6. როცა წყარო მითითებული არაა, ყველგან ვემყარებით საკუთარ დაკვირვებებსა და ჩანაწერებს სოფ. ოქტომბერსა (საქ. სსრ) და სოფ. ვართაშენსა და ნიჟში (აზერბ. სსრ) უდურზე მუშაობისას 1937 და 1938 წელს.

ნიმუშები მოგვყავს ქართული ტრანსკრიპციით მაშინაც კი, როცა ასეთები ამოღებული გვაქვს სხვა ავტორთა შრომებიდან.

ვა იაყაბი შოტლოხ ვიჭლემა, ფინე... მთ. 2,8 — 'და გააგზავნა ისინი ბეთლემს, უთხრა'...

როგორც ჩანს, ბრუნების დროს ეს ნაცვალსახელი იცვლის ფუძის შედგენილობას: მხოლოდ. რიცხვი: სახელ.—**შე-ნო** || **შონო**, მოთხრ.—**შე-ტ-ინ**, ნათეს.—**შე-ტ-აჲ**... მრავლობითში: სახელ.—**შონორ** (\***შე-ნო-ურ**), მოთხრ.—**შე-ტ-ოლ-ონ**, ნათეს.—**შე-ტ-ოლ-ოჲ**... ეს გარემოება აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ამ ნაცვალსახელის ფუძე რთული შედგენილობისა უნდა იყოს და სვამს ჩვენ წინაშე საკითხს: რას წარმოადგენენ აღნიშნული ფუძის შემადგენელი ნაწილები და რა ფუნქცია აქვს განკუთვნილი თითოეულ მათგანს? ფუძის შედგენილობის თვალსაზრისით ანალოგიური ვითარება უნდა ვეჭონდეს საერთოდ ჩვენებით ნაცვალსახელებში (3 პ. ნაცვალსახელი ნასესხებია ჩვენებითისაგან). ამიტომ ამ საკითხის გასარკვევად საჭიროა ზოგადად გაირკვეს ჩვენებით ნაცვალსახელთა ბუნება და შედგენილობა უღღრ ენაში.

3. უღღრში ჩვენ ვვაქვს სამგვარი ჩვენებითი ნაცვალსახელი (მსგავსად ქართულისა), რომელნიც შედგენილობასა და ბრუნებაში ერთგვარ ვითარებას ამჟღავნებენ (ერთგვარია ყველგან მეორე შემადგენელი ნაწილი). ეს ნაცვალსახელებია:

მხოლოდ. რ.:

**მე** || **მენო** (**შონო**)—'ესე' (1 პ. დაკავშ.)  
**ქა** || **ქანო** —'ეგე' (2 პ. „ )  
**ტე** || **შენო** (**შონო**)—'იგე' (3 პ. „ )

მრავლობ. რ.:

**მე** || **შონორ** (—\***შე-ნო-ურ**)  
**ქა** || **ქანორ** (—\***ქა-ნო-ურ**)  
**ტე** || **შონორ** (—\***შე-ნო-ურ**)

ეს ნაცვალსახელები ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით იცვლებიან, თუ ისინი ცალკე იხმარებიან და გაგებულნი არიან სუბსტანტივად (თავისებურებას ვეჩვენებს **ტე** და **შენო**: (იხ. აქვე, გვ. 213). სახელდობრ ვვაქვს:

მხოლოდ. რიცხვი:

სახ.	<b>მენო</b>    <b>შონო</b> —'ესე',	<b>ქანო</b> —'ეგე'
მოთხრ.	<b>მე-ტ-ინ</b>	<b>ქა-ტ-ინ</b>
ნათეს.	<b>მე-ტ-აჲ</b>	<b>ქა-ტ-აჲ</b>
მიც.	<b>მე-ტ-უ</b>	<b>ქა-ტ-უ</b>
ე. წ. აკუზ.	<b>მე-ტ-უხ</b>	<b>ქა-ტ-უხ</b>

მრავლ. რიცხვი:

სახ.	<b>შონორ</b> (—* <b>შენო-ურ</b> ),	<b>ქანორ</b> (— <b>ქანო-ურ</b> )
მოთხრ.	<b>შო-ტ-ოლ-ონ</b>	<b>ქა-ტ-ოლ-ონ</b>
ნათეს.	<b>შო-ტ-ოლ-ოჲ</b>	<b>ქა-ტ-ოლ-ოჲ</b>
მიცემ.	<b>შო-ტ-ოლ-ო</b>	<b>ქა-ტ-ოლ-ო</b>
ე. წ. აკუზ.	<b>შო-ტ-ოლ-ონ</b>	<b>ქა-ტ-ოლ-ონ</b>

შდრ. **შენო** ( || **შონო**)—'ის (იგი)' აქვე, გვ. 210.



ხოლო როდესაც ჩვენებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად არის გამოყენებული, მაშინ იგი წარმოდგენილია მარტივი ფუძით და ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით არ იცვლება. გვაქვს:

მხოლოებითი რიცხვი:

სახ.	მე ადამარ—'ეს ადამიანი',	ქა ლარ—'ეგ შვილი',
მოთხრ.	მე ადამარენ	ქა ლარენ
ნათეს.	მე ადამარი	ქა ლარი
მიცემ.	მე ადამარა	ქა ლარა
ე. წ. აკუზ.	მე ადამარახ	ქა ლარახ

სახ.	თე იშუ—'ის კაცი' (მამაკაცი).
მოთხრ.	თე იშენ
ნათეს.	თე იშეჲ
მიცემ.	თე იშე
ე. წ. აკუზ.	თე იშეხ...

მრავლობითი რიცხვი:

სახ.	მე ადამარუხ—'ეს ადამიანები',	ქა ლარმუხ—'ეგ შვილები'
მოთხრ.	მე ადამარლონ	ქა ლარმულონ
ნათეს.	მე ადამარლოჲ	ქა ლარმულოჲ
მიცემ.	მე ადამარლო	ქა ლარმულო
ე. წ. აკუზ.	მე ადამარლოხ	ქა ლარმულოხ

სახ.	თე იშყარმუხ—'ის კაცები' (მამაკაცები)
მოთხრ.	თე იშყარმულონ
ნათეს.	თე იშყარმულოჲ
მიცემ.	თე იშყარმულო
ე. წ. აკუზ.	თე იშყარმულოხ

მაგალითად:

მე ჩობანი ბატაქედ სა ჩუბუხ. R 7<sub>2</sub>—'ამ მწყემსს ჰყავდა (ერთი) ცოლი'...  
შდრ. ხიბ ღი ჰამეთარ ბითი-ნე-ბაქსა. R 13<sub>9</sub>—'სამ დღეს სწორედ ამ გვადრად ეგლო'...

მე ბიხოლო ჭარიშტა აკეცი შეტუ ნეპე ბონ. მთ. 1,20—'ამ ღვთის ანგელოზმა აჩვენა მას ძილში'...

რუსტაშენ ეხნე: „ბართა ქა ფეშაგახ, ექე დახოლ, თაღენ“. R 9<sub>16</sub>

—'რუსტაში ეტბნება: „მიატოვე ეგ საქმიანობა, წამო ჩვენთან, წავიდეთ'...'

ფასქალენ ეხნე, თე ჰაქა აშლახ ზა თე-ზა-ბაქო. R 14<sub>18</sub>

— 'მეფე ეტბნება, რომ სწორედ ეგ საქმე მე არ შემიძლია'...

- ფასქაღენ ტე ჩობანი ჩუბღობ თანეშსა იჩ კუა. R 7,  
— 'შეფეს იმ მწყემსის ცოლი მიჰყავს თავის სახლში'...  
რუსტამ ტე საჰათ ადნესსა. R 194 — 'რუსტამი იმ საათს დგება'...  
ტელან ტე ჩიო თაცი, ატუჰი შოტუ ყეფრი პაე ვიჩიმღობ. მთ. 2, 16  
— 'იქიდან იმ მხარეს წავიდა, დაინახა მისი სხვა ორი ძმა'...  
ტე აიღახ თე ბოყუნსი, სა ნანენა-ბოშ ლამინელი. ა. დირი, Грамм. 913  
— 'ის ბავშვი რომ გადააგდეს, ერთ ნავში ჩავარდა'...

ყურადღებას იქცევს აქ ის გარემოება, რომ ყველა ამ ნაცვალსახელს აქვს ორი—სრული და შეკვეცილი სახე: მე... მენო (მონო), ქა... ქანო, შე, ტე... შენო...

როგორც ზემოთ ითქვა, სრული სახით ნაცვალსახელი მაშინ გვევლინება, როდესაც იგი დამოუკიდებლად, სუბსტანტიური მნიშვნელობით გვხვდება წინადადებაში, ხოლო შეკვეცილი სახით მაშინ, როდესაც იგი მსაზღვრელად არის გამოყენებული. ფუძე ყველგან განვრცობილია ერთი და იმავე—ნო ელემენტით: მე-ნო ქა-ნო, შე-ნო...

გამონაკლისს წარმოადგენს ტე, რომელიც მხოლოდ მსაზღვრელად გამოიყენება, ცალკე, სუბსტანტიური გავებით არ იხმარება და არც ფუძის განმავრცობელი ელემენტი აქვს. მის მაგივრად სუბსტანტიური მნიშვნელობით მუდამ იხმარება შე-ნო. იმავე დროს ეს უკანასკნელი მსაზღვრელად არსად გვხვდება<sup>1</sup> და ამიტომ ცალკე შე- მსაზღვრელის ფუნქციით მე, ქა და ტე-ს მსგავსად აღარ დასტურდება. ამდენად შეიძლება გვეფიქრა, რომ შენო || შონო არ იშლება შემადგენელ ნაწილებად; მაგრამ ასეთი ვარაუდი სწორი არაა, რადგანაც შე- ცალკე ფუძე მაინც დასტურდება ზმნისართში, სადაც მე, ქა, ტე-ს მსგავსად იხმარება და ტე-ს პარალელურ ფუნქციას ამკლავებს; სახელდობრ გვაქვს:

- მე-თარ—'ამგვარად'  
ქა-თარ—'მაგვარად'  
ტე-თარ—'იმგვარად', შე-თარ—'იმგვარად'  
ჰა-შე-თარ—'სწორედ იმგვარად'.

მაგალითად:

- უნ სა შე თარ სანდულ სერბესტა, R 17<sub>11</sub>  
— 'შენ ერთი იმგვარი (ისეთი) ყუთი შემაშაღე'...  
მეტა ბელ-ალ შე თარ ოინ-ნე-ესა. R 10<sub>11</sub>—  
— 'ამის თავსაც იმგვარად მოხდა'...  
შეტინ ჰა შე თარ წილინება R 11<sub>11</sub>—  
— 'იგი სწორედ იმგვარად წივის'...

<sup>1</sup> შდრ. ქართ. იგი, რომელიც ახალ ქართულში მხოლოდ დამოუკიდებლად იხმარება, ძველ ქართულში კი მსაზღვრელადაც გამოიყენებოდა.



ეთარ თე ეხნე, ჰაშეთარ-ალ ბესანე.

— ‘როგორც რომ ეუბნება, სწორედ იმგვარად აკეთებს’...

შდრ. რუსტამენ ნაღვლღეფსა, თე მეთარ აშნებაქე. R 11,

— ‘რუსტამი მოუთხრობს, რომ ამ გვეარი საქმე მოხდა’...

ამრიგად ირკვევა, რომ ამ შემთხვევაშიც უნდა გამოიყოს ცალკე შე-  
 ელემენტი, ხოლო -ნო აქაც ფუძის განმავრცობელი ნაწილია.

4. რას წარმოადგენს ჩვენებით ნაცვალსახელთა -ნო ელემენტი? აღნიშ-  
 ნული ელემენტი, უნდა ვიფიქროთ, თავის მხრივ, წარმოადგენს აგრეთვე რთულ  
 მონაცემს: იგი უნდა იშლებოდეს „-ნე-ო“-დ, სადაც -ო მასუბსტანტივებელი  
 სიტყვაწარმოების სუფიქსია; ეს სუფიქსი ჩვეულებრივად გვხვდება სხვა მეტ-  
 ყველების ნაწილებშიც (ზედსართავში და რიცხვით სახელში...), როდესაც ისინი  
 სუბსტანტივის ფუნქციით არიან გაგებულნი<sup>1</sup>.

რაც შეეხება -ნე-ს, იგი ცალკე, დამოუკიდებელ სიტყვად არსად გვხვდე-  
 ბა, მაგრამ იგი შემორჩენილი უნდა გვქონდეს ზმნის ფორმებში. როგორც ცნო-  
 ბილია, უდურ ზმნაში პირის ნიშნებად გვევლინება სათანადო პირის ნაცვალ-  
 სახელი, ზოგ შემთხვევაში მთლიანად წარმოდგენილი შესატყვის ბრუნვაში.

მაგალითად:

ა შ ბ ე ს უ ნ — „მუშაობა“

a. ა შ მ ყ ო I:

ზუ აშზუბსა

დან აშჰანბესა

უნ აშნუბსა

ვან აშნანბესა

შეტინ აშნებსა

შოტროლონ აშყუნბესა.

b. ა ო რ ი ს ტ ი I:

ზუ აშზუბი

დან აშჰანბი

უნ აშნუბი

ვან აშნანბი

შეტინ აშნები

შოტროლონ აშყუნბი

ზმნის ფორმათა მხოლოობითის 3 პირის ფორმანტი -ნე- უნდა წარმოად-  
 გენდეს ჩვენებითს ნაცვალსახელში გამოყოფილს -ნე-ს, რაც, ვფიქრობთ, უნდა  
 იყოს ნამდვილად 3 პირის ნაცვალსახელის პირველადი ფუძე. იგი გამოყენე-  
 ბულია ჩვენებით ნაცვალსახელთან და ერთგვარი დეტერმინანტის<sup>2</sup> როლს უნდა  
 ასრულებდეს:

<sup>1</sup> შდრ. ჩვენი „უდური ენა და მისი კილოები“: «ენიმკი-ს მოამბე», ტ. II, გვ. 300.  
 თავის თავად საყურადღებო საკითხია ამ -ო ელემენტის გენეზისი და ვითარება როგორც  
 უდურში, ისე სხვა ლეზგიურ ენებში, მაგრამ ამას აქ ვერ შევეხებით.

<sup>2</sup> ამ დეტერმინანტის ბუნების გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ სხვა ლეზგიურ ენათა  
 მონაცემების გათვალისწინებით. ამის შესახებ ცალკე გვექნება მსჯელობა.

\*მე-ნე-ო — მენო (მონო)...

\*ქა-ნე-ო — ქანო...

\*შე-ნე-ო — შენო (შონო)...

საყოველთაოდ გავრცელებული საბოლოო ფორმები მიღებულია ფონეტიკურ პროცესთა საფუძველზე: ჯერ ფუძის ბოლოსმოენის შეკვეცით (მენო, ქანო, შენო...), ხოლო შემდეგ წინა ხმოენის მომდევნო ბაგისმიერ ხმოვანთან ასიმილაციით (ე — ო) ვლტულობით — მონო, შონო. მე, შე — ფუძეში -ე- რომ პირველადია, ამას მოწმობენ ირიბი ბრუნვები, სადაც -ე- მუდამ შენახულია, თუ ფუძეში ბაგისმიერი ხმოვანი არაა; მაგალითად:

მოთხრ. მე-ტ-ინ, შე-ტ-ინ...

ნათეს. მე-ტ-აჲ, შე-ტ-აჲ...

5. ძირითადად ამგვარივე ვითარება გვაქვს ჩვენებით ნაცვალსახელთა გამოყენებისას ნიჯურ კილოშიც. საყურადღებოა მხოლოდ ორი თავისებურება, რომელიც აქ გვაქვს. თავისებურებანი შეეხებიან ფუძის ცვალეზადობას, რაც ფონეტიკურ ნიადაგზე აიხსნება.

a. სახელობითში ფუძე მარტივდება-ნე ელემენტის მოკვეცით და ჩვეულებრივ გვაქვს:

მხოლოდ. რიცხვი:

მოო || მო (— \*მე-ო) — 'ესე'

ქოო || ქო (— \*ქა-ო) — 'ეგე'

შოო || შო (— \*შე-ო) — 'იგი'...

მაგალითად:

აჲ ჩუტუხ, მოო ჰე ქოჲ-ე? — 'ეი ქალო, ეს რა ქეიფია?'...

მო ჰე შაპატ აშაბაქეჲ, ზუალ ვი დოლდამ

— 'ეს რა კარგი საქმეა, მეც შენი ამხანაგი (ვიქნები)'...

... ქო ჰეთაჲ ამდარა? — 'ეგ როგორი ადამიანია?'...

შოო ბეზ ჯოშტან-ე-ტიტერი — 'ის ჩემ უკან გამოიქცა'...

შოო მათა ბაქსა? ჰეფანენ სოლო-ნე — 'ის რა არის? ცხოველის მსგავსია'...

b. პირველადი ფუძე (ე და ა ხმოენით) მე, ქა, შე შერჩენილი გვაქვს მხოლოდ მსაზღვრელის ფუნქციით, სხვა შემთხვევაში კი უკვე ბატონდება მო, ქო, შო ფუძე; იხმარება ირიბ ბრუნვებშიც. იმავე დროს -ტ- ელემენტი მკვიდრად არის შენახული ირიბ ბრუნვებში.



## მაგალითად:

მია სა შშ ბუნე, მოტაჲ ჩოჲა ხამკალხუ  
 — ‘აქ (ერთი) საქმე არის, ამის სახეს გავპარსავ’...  
 შაჲრ ქოტინ ქა უჭაჲ ქჷაინიჲ, ზუ ქოტო ბესგზბი  
 — ‘თუ ეგ მაგ თაფლს შექამდა, მაგას მოგვლავდი’...  
 შინ უსუნ შაითჲაინ, შოტინ-ყა-ნ- ოჭჷხა ხე თადა—  
 —‘ვინც ადრე დაილაპარაკებს, იმან მისცეს ხარს წყალი’...  
 ექინან, თაღენ შოტაჲ კოჲა—‘მოდით, წავიდეთ მის სახლში’...

ამრიგად ირკვევა, რომ ნიჯურშიც ჩვენ გვაქვს მე, ქა, შე მარ-  
 ტივი ფუძე, სახელობითის დამატებითი ელემენტი -ნე- ჩვეუ-  
 ლებრივ აღარ გვაქვს, -ტ- ელემენტი კი მკვიდრადაა წარმო-  
 დგენილი ირიბ ბრუნვებში.

6. საყურადღებოა ამ -ნე- ელემენტის ბუნების გასათვალისწინებლად ის, რომ ქართულ ენაშიც ნაცვალსახელებში გამოიყოფა მსგავსი ფუნქციისა და, შესაძლებელია, გენეტიკურად მასთან კავშირის მქონე ელემენტი. სახელობრ, პროფ. არნ. ჩიქობავა ქართველურ ენებში პირის ნაცვალსახელთა ანალიზის შემდგომ მიდის იმ დასკვნამდის, რომ: „ქართულში პირველი პირის სახელს ბოლოში -ნ არ გააჩნია (მე), მეორე პირისას -ნ აქვს (შენ). დიალექტებში შენახული მენა სრული ანალოგია შენა-სი და მრავლობითის ჩვენა და თქვენა-სთან ერთად საბუთს იძლევა ყველგან გამოიყოს სადეტერმინაციო -ნა- ელემენტი; უამელომენტოდ გვექნებოდა: მე-, შე-, ჩვე-, თქვე“<sup>1</sup>.

მართალია, აქ ეს -ნა ელემენტი 1 და 2 პირის ნაცვალსახელთან გვაქვს, უდურში კი -ნე- ჩვენებით ნაცვალსახელებში გვხვდება, მაგრამ ეს გარემოება დაბრკოლებას არ უნდა წარმოადგენდეს. მეგრულში ამ ფუნქციის ელემენტი ჩვენებით ნაცვალსახელებში გვხვდება: „ჩვენებით ნაცვალსახელებად გვაქვს ე-ნა, თ-ენა „ეს“, ინა, თ-ინა „ის“, აგრეთვე ათე-ნა, „ეს, აი ეს“, ეთინა „ის, აი ის“; მსაზღვრელად ხმარებისას ჩვენებითის სახელს -ნა ეკვეცება: ... -ნა ნა-წილაკი ისეთივე (თუ იგივე) სადეტერმინაციო ელემენტი ჩანს, რაც მენა, შენა, ჩვენა, თქვენა-ში გამოიყვით“<sup>2</sup>.

ვარდა ამისა შესაძლებელია სათანადო მონათესავე ენებთან შედარების საშუალებით უდურ 1 და 2 პირის ნაცვალსახელებშიც გამოიყოს მსგავსი ფუნქციის თუ იგივე ელემენტი<sup>3</sup>.

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 72.

<sup>2</sup> op. cit., გვ. 74.

<sup>3</sup> ეს საკითხი ცალკე უნდა გაირკვეს. უდური -ნე-სა და ქართ.-მეგრ. -ნა-ს შორის არსებული ურთიერთობის გასარკვევად უნდა გადაიჭრას საკითხი, რა მიმართებაშია ერთმანეთთან ხმოვნითი ელემენტი. ყურადღებას იქცევს ამ მხრივ დიალექტური, —იმერული— ფორმები: შე-ნე, ... ა-ქა-ნე, ი-ქი-ნე, მა-ღა-ნე...

ზემოთქმულის მიხედვით ირკვევა ამრიგად, რომ სახელობით ბრუნვაში უღურის ჩვენებით ნაცვალსახელებში გვაქვს ფუძის მეორე ნაწილში დეტერმინანტი -ნე- (რომელიც უნდა წარმოადგენდეს თავდაპირველ 3 პირის ნაცვალსახელს) და მასუბსტანტივებელი -ო ელემენტი.

7. გასარკვევი რჩება საკითხი, თუ რას წარმოადგენს ირიბ ბრუნვებში გამოვლენილი -ტ- ელემენტი. ამ საკითხის მნიშვნელობას აფართოვებს ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ელემენტი საერთოდ გვხვდება ზედსართავებისა და რიცხვით სახელთა ბრუნებისას, როდესაც ისინი წარმოდგენილი არიან სუბსტანტივებად (რასაც სახელობითში გამოხატავს -ო ელემენტი).

აღნიშნული მოვლენა შემჩნეულია უკვე ა. შიფნერის მიერ. იგი ამბობს: „როდესაც ზედსართავი და მიმღობა სუბსტანტივად არიან გავებული, მაშინ ისინი იმგვარად იბრუნებიან, რომ მიცემითის ნიშნად ტუ გვევლინება, ხოლო ნათესაობითის დაბოლოებად ტაი“<sup>1</sup>.

ამ დებულებას სჭირდება დაზუსტება იმ მხრივ, რომ -ტ- ელემენტი არ უნდა წარმოადგენდეს ბრუნვის ნიშნის კუთვნილებას, იგი ცალკე ფუნქციის მატარებელი უნდა იყოს, ხოლო ბრუნვის ნიშნებად უნდა გვევლინებოდეს ჩვეულებრივი აფიქსები: ნათეს. -აჲ (-აი), მიცემ. -\*ა- -უ(?)<sup>2</sup> გვაქვს შემდეგი ბრუნვა:

მხოლოდობ. რიცხვი:

სახ.	ქალოო (-*ქალო)-'დიდი';	უკალო-'მთქმელი'
მოთხრ.	ქალო-ტ-ინ	უკალო-ტ-ინ
ნათეს.	ქალო-ტ-აჲ	უკალო-ტ-აჲ
მიცემ.	ქალო-ტ-უ	უკალო-ტ-უ
ე. წ. აკუზ.	ქალო-ტ-უხ	უკალო-ტ-უხ

სახ.	სოო (-*საო)-'ერთი';	ხიბ-ო —'სამი'
მოთხრ.	სო-ტ-ინ	ხიბ-ტ-ინ
ნათეს.	სო-ტ-აჲ	ხიბ-ტ-აჲ
მიცემ.	სო-ტ-უ	ხიბ-ტ-უ
ე. წ. აკუზ.	სო-ტ-უნ	ხიბ-ტ-უხ

<sup>1</sup> ა. შიფნერი, Versuch..., § 67, გვ. 20: „Die Declination der Adjectiva und Participia geht, wenn diese zu Substantiven erhoben werden, so vor sich, dass als Dativcharakter ტუ eintritt, der Genitiv aber die Endung ტაი (§ 24,2) hat“. ამგვარსავე აზრს იმეორებს ა. დირიცი; შდრ. მისი Грамм., გვ. 28.

<sup>2</sup> -ა- -უ: ეს ფონეტიკური მოვლენა ცალკე ახსნას მოითხოვს; ჯერხნობით მისი საფუძველი არა ჩანს და წარმოდგენილი სქემა წინასწარ ვარაუდს შეიცავს.



მაგალითად:

ალახო პაჲ ეშჷ-ყუნ-სურუკბესა; სოჲ უკალ-ტ-ენქ, სო-ალ ცამკალ-ტ-ენქ—“ზემოთგან ორი ვაშლი ვარდება: ერთი მთქმელისათვის, ერთი ცდამწერელისათვის” (ვართ)...

ჲან უჲანკესა ღენახუნ საჰალუნ ბიბო-ტ-უ. ა. დირი, Грамм., 28<sub>7</sub>—“ჩვენ ვჰამთ ყოველ ღღე საათის ოთხზე”...

შოჷმ ქჷიტუხო ოშჷა ფაჩჷალუნ ღარ ბანეკესა. ა. დირი, Грамм., 29<sub>1</sub>—“პურის ჰამის შემდეგ მეფის შვილი იძინებს”...

გოლო-ტ-ულონ უკალ-ყუნ ზატე ღი. მთ. 7<sub>2</sub>—“ბევრნი მეტყვიან მიმღეს” (ვართ)...

ოშჷა სა ჩობანენ იჩ ქალო-ტ-უხ ეხენ—“შემდგომ ერთი მწყემსი თავის უფროსს (დიდს) ეუბნება” (ვართ)...

ქალო-ტ-ინ ეხენ: „ეკა ბალლუ“—“უფროსი ეუბნება:—“რას იზამ?” (ვართ)...

ვაჲ ეხენ ისუსენ ბაჩინა ქალატუ...

—“და ეუბნება იესო ასეულის უფროსს („დიდს“)...

ამრიგად ცხადია, რომ აქაც ეს -ტ- ელემენტი ისეთსავე ვითარებაში გვევლინება, როგორც ის გვქონდა ნაცვალსახელებში.

ბუნებრივია, რომ ირიბ ბრუნვებში გამოვლენილი -ტ- ელემენტი დაუკავშირდეს ტე ჩვენებით ნაცვალსახელს, რომელიც ამჟამად მხოლოდ მსაზღვრელად გვაქვს გამოყენებული უღღურში, ეს -ტ-, ისევე როგორც -ნე-, უნდა წარმოადგენდეს ნაცვალსახელთა, ზედსართავთა და რიცხვით სახელთა დეტერმინანტს ირიბ ბრუნვათათვის, ხოლო თავდაპირველად იგიც უნდა ყოფილიყო 3 პირის ნაცვალსახელი. ამას უეჭველად ადასტურებს ამ ელემენტის გამოვლენა მიცემით-სუბიექტიან ზმნათა უღღვილებაში<sup>1</sup> მე-სამე პირის ნიშნად. სახელდობრ გვაქვს:

მასდარი: ბუყსუნ—“ნღობა”, ‘სიყვარული’; აკსუნ—‘ხედვა’

აწყყო:	ზა ბუჲაყსა—მე მიყვარს	ზა აჲაკსა—‘მე ვხედავ’ და ა. შ.
	ვა ბუჲაყსა—და ა. შ.	ვა აჲაკსა—
	შოტუ ბუ-ტუ-ყსა	შოტუ ა-ტუ-ქსა

აორისტი:

ზა ბუჲაყი—‘მე შევიყვარე’,	ზა აჲაკი—‘მე დავინახე’
ვა ბუჲაყი	ვა აჲაკი
შოტუ ბუტუყი...	შოტუ ატუკი...

<sup>1</sup> ამ ზმნათა შესახებ შდრ. ჩვენი: „მიცემით-სუბიექტიანი ზმნები უღღურში“...

მაგალითად:

ფაშჩაღუნ ღარა გრღორ მე გჳდინახ ბუ-ტუ-ყი. ა. დირი, Грамм., 66 4.  
— ‘მეფის შვილს ძლიერ უყვარდა ეს მსახური’...

ტელან ტე ჩოო თაცი, ა-ტუ-კი შოტუ ყეფრი პაა ვიჩიმლობ. მთ. 4,21  
— ‘იქიდან იმ მხარეს წავიდა, დაინახა ნისი სხვა ორი ძმა’...

მესამე პირის ფორმაში გამოვლენილი «-ტ-უ» უნდა წარმოადგენდეს 3 პირის ნაცვალსახელს, აღებულს მიცემით ბრუნვაში; ეს ნაცვალსახელი სხვა ნაცვალსახელებთან, ზედსართავთან და რიცხვით სახელთან იჩენს დეტერმინანტის ფუნქციას ირიბ ბრუნვაში მსგავსად იმისა, როგორსაც იჩენს -ნე- ნაცვალსახელი სახელობითში.

როგორც -ნე-, ისე -ტ-უ (|| ტე) უღურში გამხოლოებულად გვხვდება, მათი ხმარება ვიწროდა შემოფარგლული. მათი ფუნქციისა და გენეზისის სრული გათვალისწინება ამიტომ შესაძლებელია მხოლოდ შედარებითი გზით: საქიროა სხვა კავკასიურ ენათა (პირველ რიგში ლეზგიური ჯგუფის ენათა) მონაცემების გათვალისწინება. ამ მონაცემთა განხილვა და აგრეთვე ამ მორფოლოგიურ ოდენობათა შესახებ არსებულ შეხედულებათა კრიტიკული შეფასება სხვაგან იქნება მოცემული.

დასკვნითი დებულებები

1. უღურში ამჟამად ხმარებული მესამე პირის ნაცვალსახელი: **შენო** || **შონო**—‘ის’; **შონორ**—‘ისინი’, ნასესხებია ჩვენებით ნაცვალსახელთაგან და ამ უკანასკნელთა მსგავსად წარმოადგენს რთულ მონაცემს. ამას მიუთითებს უპირველეს ყოვლისა ის გარემოება, რომ ირიბ ბრუნვებში იგი ფუძეს იცვლის (მაგ. ნათ.: **შე-ტ-აა...**).

2. მსაზღვრელის ფუნქციით ჩვენებითი ნაცვალსახელი, საერთოდ, იძლევა ნარტივს (**მე**—‘ეს’, **ქა**—‘ეგ’, **ტე**—‘ის’...), ხოლო არსებითი სახელის ფუნქციით რთულ ფუძეს (**მენო** || **მონო**—‘ეს’, **ქანო**—‘ეგ’, **შენო** || **შონო**—‘ის’...): უკანასკნელ შემთხვევაში ფუძე განვრცობილია -ო მასუბსტანტივებული ფორმანტით და -ნე- ელემენტით, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ფუძის დეტერმინანტს (\***მე-ნე-ო**, \***ქა-ნე-ო**, \***შე-ნე-ო**).

3. „-ნე“ ელემენტი გვხვდება აგრეთვე ზმნის 3 პირის ფორმანტად (აშ-ნე-ბსა —‘მუშაობს’...), და ეს გარემოება უნდა მიგვითითებდეს იმაზე, რომ იგი წარმოადგენს მესამე პირის პირველადს ნაცვალსახელოვან ფუძეს.

4. ირიბ ბრუნვებში მარტივ ფუძესა და ბრუნვის ნიშანთა შორის ამ ნაცვალსახელებში ჩაერთვის -ტ- ელემენტი, რომელიც აგრეთვე დეტერმინანტს უნდა წარმოადგენდეს (მაგალ. ნათეს.: მე-ტ-აა, ქა-ტ-აა, შე-ტ-აა...)-ამგვარივე ფუნქციით ეს -ტ- ელემენტი გვაქვს ზედსართავთა და რიცხვით სახელთა ბრუნვაშიც.



5. იგივე **-ტ-** ელემენტი გვხვდება მიცემით-სუბიექტიან ზმნათა მესამე პირში (ა-ტუ-ქსა—'ხედავს...'), სადაც იგი „-უ“ ხმოვნით (მიცემითი ბრუნვის ნიშნით: -უ — -ა?) მესამე პირის ნიშანს წარმოადგენს.

6. **-ტ(უ)** ელემენტი უკავშირდება დღევანდელ **ტე** ჩვენებით ნაცვალსახელს (იხმარება მხოლოდ მსაზღვრელად), ხოლო მისი მესამე პირის ფორმანტად გამოვლენა უნდა იმაზე მიგვითითებდეს, რომ წარმოშობით იგიც წარმოადგენს 3 პირის პირველად ნაცვალსახელოვან ფუძეს.

В. Н. ПАНЧВИДЗЕ

### МЕСТОИМЕННЫЕ ЭЛЕМЕНТЫ 3-ГО ЛИЦА ЕДИНСТВ. ЧИСЛА

-ბე-ნე- || -ტე-ტუ В УДИНСКОМ ЯЗЫКЕ<sup>1</sup>

(РЕЗЮМЕ)

1. Распространенные в современном удинском яз. личные местоимения 3-го лица (შენო ჰეო || შონო ჰოო—'он', შონორ ჰოოტ—'они') заимствованы от указательных местоимений и подобно этим последним представляют собою сложные основы. На это указывает в первую очередь то обстоятельство, что они изменяют основу в косвенных падежах (напр. Род. შე-ტ-აჲ ჰე-ტ-აჲ —'его'...).

2. Указательные местоимения в функции определений представляют собою простые основы (შე მე—'этот', ქა კა—'этот (в связи со 2 лицом), ტე ტე—'тот'), а в функции существительного—осложненные основы (შენო მეო || მონო მოო—'этот', ქანო კაო—'этот' (в связи со 2 лицом), შენო ჰეო || შონო ჰოო—'тот'): в этих последних случаях основа осложняется формантом существительности -ო -ო и элементом **\*ბე-ნე**, который является детерминантом основы (\*მე-ნე-ო — მენო \*მე-ნე-ო — მეო, \*ქა-ნე-ო — ქანო \*ka-ne-o — kano, \*შე-ნე-ო — შენო \*še-ne-o — šeno...).

3. Элемент **-ბე-ნე** встречается и в глаголе, как формант 3-го лица един. числа (აშ-ნე-ბსა აშ-ნე-ბსა—'он работает'), и это обстоятельство должно указывать на то, что элемент **-ბე-ნე** является первичной местоименной основой третьего лица единств. числа.

4. В косвенных падежах между основой и падежным окончанием в этих местоимениях вставляется **-ტ- -ტ-** элемент, который должен представлять также детерминант основы (напр. род. შე-ტ-აჲ მე-ტ-აჲ, ქა-ტ-აჲ ka-ტ-აჲ, შე-ტ-აჲ ჰე-ტ-აჲ). В подобной же функции выступает этот **-ტ- -ტ-** элемент в склонении имен прилагательных и числительных.

<sup>1</sup> Доложено на заседании Отдела Кавказских языков ИЯИМК им. Н. Я. Марра 25.II.1939 г.

5. Тот же -ტ- -ტ- элемент появляется в третьем лице у глаголов с субъектом в дательном падеже (ა-ტუ-კა a-tu-ka—'он видит'), где он— в сочетании с гласным -უ -и представляет аффикс третьего лица единств. числа.

6. -ტ- -ტ- элемент связывается в современном удинском яз. с указательным местоимением ტე te—'tot' (употребляется только в роли определения), использование же этого элемента в роли аффикса 3-го лица должно указывать на то, что этот -ტ- (-უ)-ტ(-ი) (resp. ტე te) также является первичной основой личного местоимения третьего лица единств. числа.

Тбилиси  
XII.1938 г.

#### VL. PANTCHVIDZÉ

### LES ÉLÉMENTS PRONOMINAUX DE LA 3<sup>ME</sup> PERSONNE DU SINGULIER -ნე-NE// -ტუ-ṬU EN OUDINE\*

#### (RÉSUMÉ)

1. Les pronoms personnels de la 3<sup>me</sup> personne შენო šeno||შონო šono... შონორ šonor en usage dans l'oudine moderne sont empruntés aux pronoms démonstratifs: ce sont, à l'instar de ces derniers, des thèmes compliqués. Ceci est indiqué en premier lieu par ce fait qu'ils changent le thème dans les cas obliques (par exemple au génitif შე-ტ-აჲ še-ṭ-aj).

2. Les pronoms démonstratifs fonctionnant comme déterminatifs sont des thèmes simples მე me—'celui-ci ქა ka—'celui-ci' (en rapport avec la 2<sup>me</sup> personne), ტე-te—celui-là), et fonctionnant comme substantifs ce sont des thèmes composés მენო||მონო meno||mono—'celui-ci', კანო kano 'celui-ci' (se rapportant à la 2<sup>me</sup> personne), შ.ნო||შონო šeno||šono—'celui-là'; dans ces derniers cas le thème est compliqué par la formante de substantivité -ო -o et l'élément -ნე -ne qui est la déterminante du thème (\*შე-ნე-ო→მენო me-ne-o→meno, \*ქა-ნე-ო→კანო ka-ne-o→kano, \*შე-ნე-ო→შენო še-ne-o šeno...).

3. L'élément -ნე-ne se rencontre aussi dans le verbe comme formante de la 3<sup>me</sup> personne du singulier (აშ-ნე-ბსა aš-ne-bsa—'cil travaille', ce qui doit indiquer que l'élément -ნე-ne est le thème pronominal primaire de la 3<sup>me</sup> personne du singulier.

\* Rapporté à la séance de la Section des Langues Caucasiennes de l'Institut Marr du 25.II.1939.



4. Dans les cas obliques c'est -ტ-ჲ qui est intercalé entre le thème et la terminaison casuelle de ces pronoms, lequel élément est aussi la déterminante du thème (par exemple, génitif მე-ტ-აჲ me-ტ-aj, ქა-ტ-აჲ ka-ტ-aj, შე-ტ-აჲ še-ტ-aj).

Cet élément -ტ-ჲ figure dans la même fonction pour la déclinaison des adjectifs et des noms de nombre.

5. Le même élément -ტ-ჲ apparaît à la 3<sup>me</sup> personne des verbes avec le sujet au datif (ა-ტუ-კსა a-ტუ-კსა-'il voit') où il est—en connection avec la voyelle -უ -u—l'affixe de la 3<sup>me</sup> personne du singulier.

6. L'élément -ტ-ჲ s'unit dans l'oudine moderne avec le pronom démonstratif ტე te 'celui-là' (s'emploie comme déterminatif seulement). L'utilisation de ce suffixe comme affixe de la 3<sup>me</sup> personne doit indiquer que ce -ტ(-უ)-ტ(-u) (resp. ტე te) est aussi le thème primaire du pronom personnel de la 3<sup>me</sup> personne du singulier.

Tbilissi, XII, 1938.

## 8. როგვანა

### მჟღერი ფარინბალური სპირანტი \* ადილეურ ენებში

ადილეურ ენებში ვხვდებით მედერ ფარინგალურ \* სპირანტს. ეს ბგერა იხმარება მხოლოდ არაბული ენიდან შესულ სიტყვებში, არაბული მედერი სპირანტი წინის შესატყვისად. მაგალითები: ჭალჭმ 'ნასწავლი', მანჯან 'მნიშვნელობა', ჭალმშთ 'საინტერესო', ჭაყელ (ყაბარდ.) 'ქკუა, ქკვიანი', ჭაზან 'წამება, წვალება', ჭაისა 'შამაკაცის სახელია' და სხვა...

არც ერთ ადილეურ სიტყვაში ეს ბგერა არ გვაქვს. ამის გამო ის მიჩნეულია არაბულიდან ნახესხებ ბგერად, იმავე არაბულ წაინად. ადილეური ენების მკვლევარი ლობატინსკი წერს ამ ბგერის შესახებ: „Звук *ʕ*, арабское *ع*, встречается только в словах позаимствованных из арабского языка. Примеры: *ʕ*алим—ученный, *ʕ*акил—ум, *ʕ*амеји—молитвенник“ იხ. „Краткая кабардинская грамматика“ СМОМПК, XII, განუ. II, გვ. 5.

ყაბარდოულისა და ქვემოადილეური ენების არაბულ ანბანებში ფარინგალური სპირანტი \* გადმოცემული იყო არაბული წაინით (ع).

ათაყუკინის მიერ შედგენილ ყაბარდოული ენის საანბანო წიგნში *qabardue alqinse* (кабардинская азбука), რომელიც 1865 წელს გამოვიდა ქალტფლისში, \* სპირანტი გამოხატულია სათანადო ნიშნით.

შენიშვნა: ათაყუკინის საანბანო წიგნი შედგენილია რუსული ანბანის საფუძველზე, ოღონდ *ʕ* და *h* ბგერებისათვის გამოყენებულია ქართული ასოები *წ* და *ჰ*.

ტამბიევის ყაბარდოული ენის საანბანო წიგნში (кабардинская азбука), რომელიც გამოვიდა 1906 წელს ქალ. თბილისში, \* სპირანტს ნიშანი არ გააჩნია.

ტამბიევის ამ წიგნში მხოლოდ ერთი სიტყვა აქვს ნახმარი (ჭალმშთ), რომელშიაც ურევია \* სპირანტი. აქაც ეს ბგერა გადმოცემული აქვს *ჰ* ყრუ სპირანტის ნიშნით (ჩ). ჭალმშთ გადმოცემული აქვს *ჩალმშთ*-ით.

ტამბიევის საანბანო წიგნში \* ბგერისათვის ნიშნის უგულებელყოფა უთუოდ შედგეგია ლობატინსკის გავლენისა.

ლათინურის საფუძველზე შედგენილ ანბანებში მხოლოდ ყაბარდოულში იყო გამოხატული \* სპირანტი სათანადო ნიშნით.



იმის გამო, რომ სპირანტი ზ მიჩნეულია არაბულიდან ნასესხებ ბგერად, ადილეური ენების თანამედროვე ანბანებში, რომლებიც რუსულის საფუძველზეა შედგენილი, მისთვის (ჰ-სთვის) გამოსახატავი ნიშანი—ასო—არ მიუჩენიათ. მაგალითად, ყაბარდოულად სიტყვა ჰალაშთ იწერება алашт, ჰაყღლ იწერება акыш და სხვა.

არის შემთხვევა, როცა მჟღერი ჰ-ს მაგიერ იწერება ყრუ სპირანტი ჰი (სიტყვის შიგნით). მაგალითად, მჰჰიანჰ იწერება მჰჰანჰ-ს მაგიერ.

ამნაირად, ყაბარდოულისა და ქვემოადილეურის სალიტერატურო ენებისათვის გარკვეული მიზანია დასახული: გამოირიცხოს ფარინგალური მჟღერი სპირანტი ჰ, როგორც ეგზოგენური ბგერა.

მიუხედავად ამისა, ეს ბგერა მეტად მტკიცედა და ცუდი ორსავე ენაში. განსაკუთრებით ეს ითქმის ყაბარდოულის შესახებ. ყაბარდოული ენის როგორც თერგის, ისე ყუბანის კილოკავებში სპირანტი ჰ თანაბრადაა ცოცხალი ახალისა და ძველი თაობის წარმომადგენელთა მეტყველებაში.

ყაბარდოულში ჰ სპირანტის უფრო მეტ შემთხვევაში ხმარება (ქვემოადილეურთან შედარებით) გამოწვეულია მით, რომ აქ (ყაბარდოში) უფრო ძლიერი იყო არაბული წიგნური მეტყველების გავლენა.

ჩვენი აზრით, ადილეური სპირანტი ჰ არ უნდა იყოს არაბული ენიდან ნასესხები ბგერა. იგი ჩვენ მიგვაჩნია თვით ადილეურ, ენდოგენურ ბგერად.

ჰ სპირანტის არაბული წარმოშობილობის უარსაყოფად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი საბუთი:

1. ადილეური ჰ, რამდენადაც შეიძლება ადამიანი დაეყრდნოს მხოლოდ სმენითს შთაბეჭდილებას, არ არის იდენტური ბგერა არაბული ცაინისა. მას (ჰ-ს) აკლია ძლიერი შემართვის აკუსტიკური შთაბეჭდილება. იგი უფრო მეტად სტოვებს სპირანტი ღ-ს შთაბეჭდილებას.

თვით არაბული ენის საკმაოდ კარგი მცოდნე ადილელებიც კი, რომელთაც უდავოდ მიაჩნიათ ადილეური ჰ სპირანტის არაბული წარმოშობილობა, ამჩნევენ არაბულ ცაინსა და ადილეურ ჰ-ს შორის განსხვავებას.

(ამ მხრივ საჭიროა ექსპერიმენტალურად შემოწმდეს არაბულ ცაინსა და ადილეურ ჰ-ს შორის მსგავსება-განსხვავება).

მაშ, თუ ადილეური ჰ სავსებით არ ეტოლება არაბულ ცაინს, ასეთ შემთხვევაში ბგერის სესხება უთუოდ საეჭვოდ უნდა ჩაითვალოს. ყოველი ნასესხები ბგერა წარმოიდგინება, ცხადია, ზუსტად გადმოღებულად. წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნება არა ბგერის სესხება, არამედ ბგერათა შენაცვლება.

2. უფრო არსებითია შემდეგი გარემოება:

ერთი ენიდან მეორე ენაში ამა თუ იმ ბგერის გადასვლა ხერხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ენის წარმომადგენლები ორენოვანები (ბილინგვალურნი) არიან. ეს წარმომადგენს აუცილებელ პირობას. მაგალითად, ქართველური ენებიდან ორენოვანობის საფუძველზე მიიღო ჰანურმა ჰ ბგერა თურქულისაგან. ჰანური ფ-ს შესახებ წერს პროფ. არნ. ჩიქობავა: „ფ უცხო ენებიდან—ბერძნულიდან, თურქულიდან... ნასესხებ სიტყვებში იხმა-

რება: ფუკარა—ლარიბი, არაბული სიტყვაა თურქულის გზით შემოსული, ეფნდი—ბატონი (თურქულია), ფესი „ფესი“ (თურქ. ძველებური ქული) და სხვა.“ (იხ. „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“ გვ. 15).

ცნობილია, რომ ჭანებისათვის თურქული ენა წარმოადგენს მეორე დედაენას.

სხვა კავკასიური ენებიდან ორენოვანობის ფაქტს ვხედავთ აბაზურში. აბაზების მთელი მოსახლეობა თავისუფლად ლაპარაკობს ყაბარდოულად, რის შედეგად არის რამდენიმე თანხმოვანი ბგერის გადასვლა ყაბარდოულიდან აბაზურში.

ორენოვანობის საფუძველზე, შესაძლოა, მიიღეს ინდოევროპულმა ენებმა—სომხურმა და ოსურმა სპეციფიკური კავკასიური ბგერები; აგრეთვე, ძველმა ინდურმა ენამ დრავიდული ენებისაგან მიიღო ინდოევროპული ენებისათვის უცხო ბგერები და სხვა...

შეეძლო თუ არა ამ გზით ადილეურ ენებსაც ვადმოვლოთ არაბული ენიდან რომელიმე ბგერა? ცხადია, არ შეეძლოთ, ვინაიდან ასეთი მჭიდრო ენობრივი კავშირი ადილეებს არაბებთან არასოდეს არ ჰქონიათ.

ადილეში არაბების პოლიტიკურ გავლენაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ისლამის მოძღვრება ადილეებში ვრცელდებოდა განსაკუთრებით XVII—XVIII საუკუნეებში. ამ ხანებში კი ადილეები დაკავშირებული იყვნენ უფრო თურქებთან, ყირიმის სახანოსთან.

ადილეებზე უფრო ახლო ურთიერთობა არაბებთან ჰქონდათ ქართველებს. ხანგრძლივი იყო არაბთა ბატონობა საქართველოში და მრავალი არაბული სიტყვა დამკვიდრდა ქართულში, მაგრამ, როგორც ვიცით, არც ერთი არაბული ბგერა არ მიუღია ქართულ ენას. ეს უთუოდ იმიტომ, რომ მაშინ ქართველობა არ იყო ორენოვანი.

არც ირანელების, არც თურქებისა და არც ბერძნების ბატონობის დროს ყოფილან ქართველები ორენოვანები. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა არა იყოს რა, ფ ბგერა მაინც გადავიდოდა ქართულში ზემოდასახელებული ენებიდან.

ზემოთქმულიდან ვასკვნით: ადილეური ზ სპირანტი არ შეიძლება ვივარაუდოთ არაბულიდან ნასესხებად, თუნდაც რომ იგი იდენტური ბგერა იყოს არაბული ენისა.

მაგრამ თუ ადილეურ ენებში ზ არ არის ეგზოგენური, არაბული წარმოშობისა, ის უნდა ჩაითვალოს ენდოგენურ, ადილეურ, კავკასიურ ბგერად.

ამას ადასტურებს ადილეურის ფონეტიკური სისტემა: ზ მუდგერი სპირანტი ადილეურ ენებს უნდა ჰქონოდათ; ეს ბგერა არის ფარინგალური ყრუ სპირანტის—ჰ-ს მედიკური კორელატი. ორსავე ადილეურ ენას შემონახული აქვს ჰ სპირანტი, როგორც ნასესხებს, ისე თვეთ ადილეურ სიტყვებში. მაგალითად, ჰიან ‘ძალი’, სეჰიანთ ‘საათი’ და სხვა.

აფხაზურ-ადილეურ ენებიდან წყვილეული ჰი—ჰ როგორც ლაბიალიზებული, ისე არალაბიალიზებული სახისა, შემონახული აქვს აბაზურს. მაგალითები:



არაბიალიზებული ზ სიტყვებში:

აზწჳარა — 'შეკითხვა'  
 აცჳაჳრა — 'გათხოვება'  
 ა-ჳან — 'ხანი', 'ღრო' და სხვა;

ლაბიალიზებული ზ სიტყვებში:

აჩმაზაჳიგ — 'ავადმყოფი'  
 ალჳია — 'კვამლი'  
 აჳიგენ — 'საზღვარი, კიდე' და სხვა<sup>1</sup>.

სხვა კავკასიური ენებიდან მეღერი ფარინგალური სპირანტი ზ (დაახლოებით ისეთი, როგორც ადიღეურის ზ) გააჩნია ჩაჩურ-ინგუშურ ენებსა და ზოგიერთ დაღისტნურ ენას.

ასე რომ, ეს ბგერა უნდა ვიგულოთ საერთო-კავკასიურ მონაცემად.

ეს ბგერა (ზ) ადიღეურმა ენებმა გამოიყენეს არაბული წაინის გადმოსაცემად არაბულიდან ნასესხებ სიტყვებში.

თუ ზ ადიღეური ბგერა იყო, ისმის კითხვა: რატომ თვით ადიღეურ სიტყვებში არ გვხვდება ამჟამად იგი?

ამას შეიძლება მეტად მარტივი ახსნა ჰქონდეს: ადიღელად შესაძლებელია, რომ ზ ყაბარდოულსა და ქვემოადიღეურში თითო-ოროლა სიტყვაში ყოფილიყო შემონახული იმ ხანებში, როცა არაბული სიტყვები შედიოდა ამ ენებში. ამ სიტყვების შემთხვევითი დაკარგვის შედეგი უნდა იყოს ზ ბგერის დაკარგვა. ეს სრულებით ბუნებრივია ადიღეური ენებისათვის. ადიღეურ ენებში ჩვენ გვაქვს არა ერთი შემთხვევა, როცა ესა თუ ის ბგერა სიტყვათა მეტად განსაზღვრულ რაოდენობაშია ნახვარი.

მაგალითები: 1. ქვემოადიღეური ჯჳ აფრიკატი (მაგარი) მხოლოდ ორ სიტყვაშია დაღისტურებული: აზზანჯჳ 'ინტიალე', ლჳჳანჯჳ 'მუხლი'; 2. ქვემოადიღეური ხჳო (ლაბიალიზებული ხ) გვხვდება თითო-ოროლა სიტყვაში, შახჳან 'დიდი'; 3. ქვემოადიღეურში ლაბიალიზებული ძი ბგერა მხოლოდ ერთ ძირშია დაღისტურებული — ძიჳ 'შეახვიე'.

ასეთ პირობებში ადიღელად შეიძლება სათანადო სიტყვის დაკარგვამ ამ სიტყვაშილა დაცული ბგერის დაკარგვა მოგვეცეს.

ამგვარად, ადიღეური ენების ფონეტიკური მარაგის ცვლილება დიდად არის დამოკიდებული ლექსიკურ ცვლილებაზე. მაშინ როდესაც, ვთქვათ, ქართველურ ენებში სიტყვათა მასობრივი დაკარგვა თითქმის არავითარ ცვლილებას არ მოახდენს ენის ბგერითი შედგენილობის შეცვლაზე, ადიღეურ ენებში ამ მხრივ განსაკუთრებული მდგომარეობაა.

საკუთარ სიტყვებში, როგორც ვთქვით, ადიღეურმა დაკარგა ზ ბგერა, მაგრამ ნასესხებში შემოინახა: ესაა მეტწილად ადამიანთა სახელები (საჳიდ—

<sup>1</sup> აბაზურის მაგალითები მომწოდა დოც. ქ. ლომთათიძემ.

საიდი, ჳაისა—აისა და სხვა) და სარწმუნოებრივი ტერმინები (ჳაზაზა—‘წამება’, დუჳა—‘ლოცვა’ და სხვა).

ამ სიტყვების ზუსტად გამოთქმა კი, ცხადია, საეაღდებულო იქნებოდა ყოველი მართლმორწმუნე ჩერქეზისათვის. უდავოა, ამ გარემოებაზე ხელი შეუწყო ადილეურ ენებში არაბულიდან შესულ სიტყვებს შეენარჩუნებინათ სპირანტი ჳ.

შესაძლებელია, როგორც დოც. ქ. ლომთათიძე<sup>1</sup> თქვობს, ჳ სპირანტი ადილეურმა ენებმა დაკარგეს დ სპირანტში გადასვლის შედეგად. ეს პროცესი (ჳ ბგერის ლ-ში გადასვლა) შესამჩნევია თანამედროვე აბაზურში. აფხაზურს კი ეს ბგერა დაუკარგავს, აბაზურს შეუნარჩუნებია.

ცხადია, ამ გზით ჳ სპირანტის დაკარგვა ადილეურ სიტყვებში სრულებით შესაძლებელი არის. ჳ-ს გადასვლა ლ-ში დასაშვებია და ბუნებრივია. ოლონდ, ჩვენ მაინც არ გვგონია, რომ არაბული სიტყვების ადილეურ ენებში შესვლის პერიოდში ჳ მასობრივად ყოფილიყო გამოყენებული. ამ დროს იგი (ჳ სპირანტი) უკვე დაკარგულად ანდა ლ-ში გადასულად უნდა ვიგულოვოთ.

წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ე. ი. რომ ჳ სპირანტი ჩრდილო-კავკასიაში მაჰმადიანობის დამკვიდრების პერიოდში მასობრივად ყოფილიყო ადილეური ენებისათვის დამახასიათებელი, არაბული ენიდან შემოსულ სიტყვებში ჳ-ს განმტკიცება საერთოდ გაამაგრებდა ჳ-ს პოზიციას ადილეურ ენებში. ჳ შედარებით უცვლელი, მტკიცე დარჩებოდა თვით საკუთარ ადილეურ სახელებშიც.

Г. РОГАВА

## ЗВОНКИЙ ФАРИНГАЛЬНЫЙ СПИРАНТ ʕ В АДЫГЕЙСКИХ ЯЗЫКАХ

### РЕЗЮМЕ

В адыгейских языках (в нижне-адыгейском и кабардинском) встречается звонкий фарингальный спирант ʕ. Этот звук ныне встречается лишь в словах заимствованных из арабского языка, заменяя арабский звонкий фарингальный звук айн (ع), напр., ʕaləm ‘ученый’, ʕaqəl ‘умный’ (кабард.), saʕ’id ‘Саид’ (имя мужчины) и т. д.

Ни в одном коренном адыгейском слове звук ʕ не встречается. По этой причине этот звук считается заимствованным из арабского языка, точнее арабским аином. (Латинский и др.).

В современных адыгейских алфавитах ʕ звук не представлен отдельным знаком, напр., ʕaqəl (кабард.) пишется—акъл [aqəl], ʕaləm пишется—алъм [aləm] и т. д.

<sup>1</sup> ეს წერილი წარმოდგენილი იყო ცალკე მოხსენებად „ენიმიკი-ს“ კავკასიურ ენათა განყოფილების სხდომაზე 1939 წ.



В старых же (XIX века) алфавитах адыгейских языков (на основе арабского и русского)  $\gamma'$  звук обозначался отдельным знаком.

По нашему мнению адыгейский спирант  $\gamma'$  не должен быть заимствованным из арабского языка. Мы его считаем адыгейским звуком по следующим соображениям:

1.  $\gamma'$  фарингальный спирант адыгейских языков, насколько можно судить по слуховым впечатлениям, не идентичен с арабским  $\xi$ .

2. Вообще, заимствование звука из одного языка в другой мыслимо в результате тесного контакта лишь в том случае, когда представители заимствующего языка двуязычны (билингвалы). Черкесы же никогда не были в такой тесной связи с арабами, чтобы это повело к заимствованию звука.

Таким образом, в адыгейских языках  $\gamma'$  спирант нельзя предполагать заимствованным из арабского языка;  $\gamma'$  собственно адыгейский звук.

Это подтверждается следующими соображениями:

Звук  $\gamma'$  является звонким корелатом спиранта  $\beta$ . Последний же звук— $\beta$  глухой фарингальный спирант имеется в обоих адыгейских языках, как в коренных, так и в заимствованных словах. Следовательно, звук  $\gamma'$  в фонетической системе адыгейских языков явление закономерное.

Из языков абхазско-адыгейской группы  $\beta$ — $\gamma'$  как в нелабиализованном, так и лабиализованном виде, сохранился лишь в абазинских диалектах.

Из других кавказских языков  $\gamma'$  спирант имеется в чечено-ингушских и в некоторых дагестанских языках.

В адыгейских языках  $\gamma'$  спирант в коренных словах был налицо, видимо, в то время, когда в Кабарду и Адыгей стал проникать Ислам (XVII—XVIII вв). С распространением магометанства было связано заимствование массы слов с арабского языка в адыгейские языки. Арабский спирант  $\xi$  в адыгейских языках передавался спирантом  $\gamma'$ . Таким образом, адыгейские языки сохранили в заимствованных из арабского языка словах спирант  $\gamma'$ .

Это заимствование не было опосредствовано турецким языком, поскольку в самом турецком языке арабс.  $\xi$  при заимствованиях из арабского языка не сохраняется.

Почему же в коренных адыгейских словах не встречается в данный момент спирант  $\gamma'$ ?

В адыгейских языках нередки случаи, когда та или иная фонема встречается лишь в нескольких словах. Таковы напр., в нижне-адыгейском твердая шипящая аффриката  $\zeta$ , или лабиализованная аффриката  $dzo$  и т. д.

Исчезновение этих слов из лексического состава, естественно, повело бы к исчезновению соответствующих фонем из звукового состава данных языков.

По всей вероятности, так обстояло дело и с звуком  $\gamma'$ .

Не исключена и другая возможность: звук  $\gamma'$  исчез в адыгейских языках вследствие того, что он ( $\gamma'$  звук) перешел в задне-язычный звонкий спирант  $\gamma'$  (как то предполагает доц. К. Ломтатидзе). Но и в этом случае надо допустить, что к моменту заимствования арабских слов этот звук был наличен лишь в некоторых словах, иначе, трудно было бы объяснить дальнейшее ослабление его позиций при массовом использовании этого звука в заимствованных словах.

---



### 3. ხუბუბია

#### -V ნაწილაკისათვის მთათუზურში

მთის კილოებში შემონახულია არქაული ფორმები. მათს გამოკვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ბუნების გაგება-შესწავლისათვის. თუშურიც მთის კილოთა რიცხვს ეკუთვნის და თავისი ენობრივი გარდმონაშთებით თუ ახალი მოვლენებით საკმაო მასალას იძლევა ქართული ენის განვითარების ისტორიის შესასწავლად.

ამჟამად გვიანტერესებს თუშურში მოქმედი ნაწილაკები: -ც, -ლ, -წ. ესენი წინადადების რომელიმე წევრს დაერთვიან; მაგ.: „შენ იმას სუც ვერ მაყ (ა)წყობ“ „შენ იმას (საქმეს) სრულებით ვერ მოაგვარებ“ (სიტყვა-სიტყვით; „შენ იმას სულაც ვერ მოაწყობ“).

„სუც ომობაშიად მეკობრობაში წავეიდ ხანა-დროჲ“ სულაც ომებსა და მეკობრობაში (ყაჩაღობაში) წავეიდა დრო-ხანა...“

„პატაილ ყურძენ ამოვთაროთათ, მეტაყ მინდათ“ 'ცოტალა ყურძენი ამოვიღოთო, ძალიან მინდაო'.

„ამად ქელის ზალტეებს შეხედ“ 'ამ ხელის ბორკილებს შეხედე'.

„ა იმად მთასა გაჰხედე“ 'აი იმ მთას გახედე' და სხვა. აქ -ლ და -ც ნაწილაკები იმავე ფუნქციით გვევლინება, როგორც სალიტერატურო ქართულში -ცა და -ლა (პატარალა, ამასლა, სულაც, ერთიცა....).

-ლ ნაწილაკს სხვა ფუნქციაც აქვს დაკისრებული წინადადებაში, სახელდობრ, იხმარება თხოვნითს ბრძანებითში; მაგ.:

„დაჯედილ, ივანე დაჯედილ!“ „აქალ მოდი, გარსო, აქალ მოდი!“

„ქამაილ ქამე“ 'საქმელი ქამე' და სხვა; კატეგორიული ბრძანებითი კი ასე იქნებოდა: „დაჯედი, აქ მოდი, ქამაჲ ქამე“ და სხვა.

განსაკუთრებით ჩვენს ყურადღებას იქცევს -წ ნაწილაკი; მისი მაგალითები:

„ეე, იჩუ, შენი მოსატყუებელიც გაეხდი, სტყუიწ!“ 'ეე, იჩო, შენი მოსატყუებელიც გაეხდი, სტყუი სწორედ'.

„ზალტეებს შეხედ, ჯელზეავეწ მაქუ!“ 'ხელის ბორკილებს შეხედე, ხელზედვე მაქვს'.

„ვერ უყურებ, თუშურაყ ქუდ თავზეავეწ მაქუ!“ 'ვერა ხედავ, თუშური ქუდი თავზედვე მაქვს?'

„წყალსაწ შენ გამომიყვანე,  
 ლურჯას შემისვი გავასა...“ და სხვა.

როგორც მგალითებიდან ჩანს, —წ ნაწილაკი დადასტურებას, დამტკიცე-  
 ბას გამოხატავს ისე, როგორც ხეცურულსა და რაჭულში ქვე, დასავლურ კი-  
 ლოებში ქე ან ქი, მეგრულში ქო და სვანურში ჩუ, მაგრამ გენეტურად იგი  
 უკავშირდება ინგილოურში დატულ ნაწილაკს წათუ || წათდს; მაგ., „—ჰაბა  
 ახლა ჩემ ეკალ მამი! —აბა ახლა ჩემი ეკალი მომე!“

„—შენ ეკალ თორნეში დავწ წათუ!“ —შენი ეკალი თორნეში დავწვი  
 უკვე (სიტყვა-სიტყვით: დავწვი, წავიდა).

„—ჰაბა ჩემი ჰურები? —აბა ჩემი ჰურები?

„—ეკომით წათუ!“ —ეკამეთ წავიდა, ე. ი. ეკამეთ უკვე.

„ჩიტ მოსულ, ყოჩებ მოუთხოვნი“. —ჩიტი მოსულა, ყოჩები  
 მოუთხოვია.

„—დოეკალით წათდაუ, —ჰუთქომე<sup>1</sup> —დაეკალით უკვეო, —  
 უთქვამთ“.

ინგილოური წათუ || წათდ —ა ე<sup>2</sup> წარმოშობით იგივე წავიდა<sup>ა</sup> და გამო-  
 ხატავს მოქმედების დასრულებას, გათავებას, ან როგორც მ. ჯანაშვილი  
 განმარტავს, „წარსულ შესრულებულის მაჩვენებელი ნაწილაკი“ —ა.

ასეთი მნიშვნელობით ეგ ზმნა დღესაც იხმარება ქართულში; მაგ.:

—არ გახსოვს რომ დამპირდი?

—ეი, წავიდა, ჩემო ძმავო! და სხვა.

ამგვარად, წავიდა-ს შემოკლებული გარდამავალი სახეა ინგილოური  
 წათუ || წათდ. ამ გზის გავლით არის მიღებული მთათუშურის -წ. უკანას-  
 კნელი დღეს ნაწილაკს წარმოადგენს და ამდენად ცალკე არ იხმარება. მას აქვს  
 მტკიცებითი ნაწილაკის ფუნქცია.

<sup>1</sup> მ. ჯანაშვილი, საინგილო: ძვ. საქართველო, ტ. II, გვ. 194—195.

<sup>2</sup> -ავ სხვათა სიტყვის -ა.



## 6. ბეჩინოზილი

### სავაზირო ფიოდალურ საქართველოში

მონღოლ-მწიგნობართუხუცესი

#### II

მწიგნობართუხუცესთა ზეობა-ვინაობის ქრონოლოგიური განხილვის შემდეგ ჩვენი ამოცანაა გაეარკვიოთ: იმთავითვე იყო მწიგნობართუხუცესი ასეთი აღზეებული, თუ როდის მოხდა მისი ამაღლება; შემთხვევითი იყო თუ გეგმიითი მისი გაქყონდილება; როგორი იყო მწიგნობართუხუცესის ხელი და როგორი იყო ამ ხელის ურთიერთობა ამირსპასალარის, აფხაზეთის კათალიკოზის, ქართლის კათალიკოზის და ათაბაგის ხელთან; როდის, როგორ და რა მიზეზით მოხდა მწიგნობართუხუცესის ხელის დამცრობა; როდის გაქრა მწიგნობართუხუცესობა?

ყველა აქ ჩამოთვლილ საკითხზე ამომწურავი პასუხის გაცემა ადვილი საქმე არ არის. საკითხთა სირთულეს მასალის სიმცირე და შეუსწავლელობა აორკეცებს. ამავე დროს აქ წამოჭრილ დამატებით საკითხთა უმრავლესობა ჯერჯერობით შეუსწავლელია. თითოეული მათგანი კი სპეციალური მონოგრაფიული კვლევის ღირსია. ასეთი რამ, რათქმუნდა, აქ ვერ მოხერხდება. მიუხედავად ამისა, ჩვენ იძულებული ვართ მთავარ საკითხს არა-ერთხელ გადაუხვიოთ და, წინამდებარე ნაშრომის ტექნიკური მხარის საზიანოდ, ამ „დამატებით საკითხებზე“ ვიმსჯელოთ. თავისთავად ცხადია, რომ ჩვენი ასეთი სახელდახელო პასუხები ზემოთ დასმულ კითხვებზე ნაკლულევანობასთან ერთად შეცთომებისაგანაც ვერ იქნება დაზღვეული.

წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ მწიგნობართუხუცესის უფლება-მოვალეობა იმთავითვე ისეთი რთული და მრავალმხრივი არ იქნებოდა, როგორიც ის XII—XIII ს-ში ჩანს.

XI საუკუნესთან შედარებით XII—XIII საუკუნეებში საქართველოს სახელმწიფოს თითქმის ყოველი ხელისუფლის უფლება-მოვალეობა გართულდა და გაიზარდა. ეს გამოწვეული იყო სახელმწიფოს იმ სწრაფი ზრდით, რომელსაც ამ დროს ჩვენი ქვეყანა განიცდიდა. მაგრამ არც ერთ ხელს ისეთი ცვლილება არ განუცდია, როგორიც მწიგნობართუხუცესობამ განიცადა.

ჯერჯერობით დავაცადოთ იმ დიდმნიშვნელოვან მოვლენაზე საუბარი, რომელმაც მწიგნობართუხუცესობა XII ს-ის დასაწყისიდან მოყოლებული ერ-

თის დაკვრით არსებითად განასხვავა XI საუკუნის მისი პირველსახისაგან (ვგულისხმობთ ჭყონდიდლობის შვირთებას მწიგნობართუხუცესობასთან).

მწიგნობართუხუცესის ხელის განსაკუთრებული ცვლილების მიზეზი თვით ამ ხელის განსაკუთრებულ ბუნებაში უნდა ვეძიოთ. ფეოდალური პოლიტიკური წესწყობილების ხანაში მწიგნობართუხუცესობა არსებითად განსხვავდებოდა სხვა საღარბაზისკარო ხელთაგან. ცნობილია, რომ თითოეული ხელი ამ ეპოქაში მიწის-მფლობელობასთან იყო დაკავშირებული. სამსახურის სამაგიეროდ ხელისუფალთ მეფისაგან წყალობად ეძლეოდათ მფლობელობის ამათუიმ სახით მთელი მხარეები, ქალაქები, ციხეები, სოფლები. მაგრამ ამ „საპატიო“ თუ „სახელო“ ქონებას გარდა თითოეულ ხელისუფალს, როგორც დიდგვარიანს, „სამამულო“ ქონებაც დიდი ჰქონდა.

ამის შესაბამისად ფეოდალური პოლიტიკური წყობილებისას ყოველი სახელმწიფო ხელი ორბუნება იყო. თუ ერთის მხრით ხელისუფალი დამოკიდებული იყო მეფის წყალობისაგან და ამდენადვე მეფის „მორქვა-გაძლიერებისათვის“ თავდადებული უნდა ყოფილიყო, მეორეს მხრით ის, როგორც დამოუკიდებელი „მემამულე“, სახელმწიფოს საშინაო საქმეებში მეფის ხელისუფლების გაძლიერების აგრე ერთგული მომხრე როდი იყო. ამიტომ ფეოდალურ ხელისუფალთა მეფისადმი ერთგულება პირობითი და საექვეო იყო. აქვე უნდა აღინიშნოს ფეოდალური ეპოქის ხელის კიდევ ერთი დამახასიათებელი მხარე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული ხელი აღნიშნულ ხანაში სამემკვიდრეოდ გარდაქცევის მიდრეკილებას ატარებს.

არც ერთი ამათავანი არ ახასიათებდა მწიგნობართუხუცესობას. მიწის-მფლობელობასთან მის კავშირზე ზედმეტია ლაპარაკი მას შემდგომ, რაც ჩვენ ვიცით, რომ მწიგნობართუხუცესი მონაზონი იყო, ხოლო მონაზონს ქვეყნის (ქალაქის, ციხის, სოფლის) საკუთრებად თუ სახარაჯოდ ქონება არ შეეძლო. ასევე ვერ გამოიჩინდა მწიგნობართუხუცესობა სამემკვიდრეოდ გარდაქცევის მიდრეკილებას, რადგან მონაზონს მემკვიდრეები არა ჰყავდა.

ჩვენ არ ვიცით, როდის ან საიდან გაჩნდა ჩვენში მწიგნობართუხუცესობა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ მისი ასეთი თუ ისეთი არსებობა სათანადო „ბიუროკრატიულ“ მართვა-გამგეობას ჰგულისხმობს. მწიგნობარი სამწიგნობაროს თანამშრომელია, ხოლო მწიგნობართუხუცესი—ამათი უფროსი. რაც უფრო ძლიერი იყო ცენტრალური ხელისუფლება, რაც უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული სახელმწიფოს თითოეული ნაწილი მეფის უფლებასთან, მით უფრო რთული და მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო სახელმწიფო სამწიგნობრო (თუ სამწიგნობრონი). ამ დაწესებულებების მნიშვნელობის ზრდასთან ერთად კი იზრდებოდა მნიშვნელობა თვით დაწესებულებების მეთაურისა, მწიგნობართუხუცესისა.

მწიგნობართუხუცესობა სავსებით ცენტრალური ხელისუფლებისაგან იყო დამოკიდებული. ამ ხელსა და მეფის უფლების ძლიერებას შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება იყო: რაც უფრო ძლიერი იყო მეფე (და სამეფო კარი) მით უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანი იყო მწიგნობართუხუცესობა და პირუტყუ. ბუნებრივია, ამიტომ, რომ მწიგნობართუხუცესი ცენტრალური ხელის-



უფლებების გაძლიერება-განდიდების თავდადებული მომხრე და მოღვაწე უნდა ყოფილიყო.

იმ ხანგრძლივი ბრძოლის დროს, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებასა და ლიდგვარიან აზნაურებს შორის იყო გაჩაღებული ბაგრატ III-დან მოყოლებული ვიდრე დავით აღმაშენებლამდის, საქართველოს მეფეს საკმაოდ რო ჰქონდა დარწმუნებულყოფი მწიგნობართუხუცესის ხელის საფასვლით სანდოობაში. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ბრძოლაში მწიგნობართუხუცესებს მცირე მონაწილეობა არ მიუძღოდათ ცენტრალური ხელისუფლების გასამარჯვებლად. სამწუხაროდ, საამისო ისტორიული ცნობები თავდაპირველად სრულიად არ გავაჩინია, ხოლო შემდეგ—მეტად მცირე. მაგრამ გამოთქმული მოსაზრების ზოგადი დამტკიცებისათვის ეს ნაკლებადი ცნობებიც საკმაოა.

როგორც ეს ზემოთ აღნიშნული გვაქვს, 1045—6 წელს ჩანს მწიგნობართუხუცესი ეფთჳმი. ეს არის ღრტილას საერო-საეკლესიო კრებაზე, სადაც სომეხ სოსთენსა და ქართველ ეფთჳმე გრძელს შორის „სიტყვისგება“ გაიმართა. ბაგრატ IV აქ ბანაკად იღვია. მას ლიდგვარიანი აზნაური, მისივე ხელისუფალი ქართლის ერისთავი და სპასალარი ლიპარიტი ებრძოდა. ჩვენ არა ვიცით რა ეფთჳმე მწიგნობართუხუცესის საქმიანობის შესახებ მეფის გასამარჯვებლად, მაგრამ ის კი ჩანს, რომ მწიგნობართუხუცესი მეფის მომხრეთა ბანაკშია და მეფეს ახლავს. არაფერი ვიცით, აგრეთვე, ეფთჳმეს ჩამომავლობის შესახებ. ცხადია მხოლოდ, რომ ის ქართველია და მონაზონი, მაგრამ ანტი-ქალკედონური მოძღვრების მიმდევარი, თუ აშკარად არა, ფარულად მაინც<sup>1</sup>. თავი რომ დავანებოთ მ. ბროსეს სამართლიან ექვს პეტრე პეტრიკ-ყოფილის კავკასის-ძეობის შესახებ<sup>2</sup> (რათქმაუნდა, იმ მცთარი მსჯელობის გამოკლებით, რომელიც პეტრე პეტრიკ-ყოფილს იოანე პეტრიწონელთან აიგივეებს), ჩვენ პეტრე ვესტისა და მწიგნობართუხუცესის შესახებ მაინც გაცილებით მეტი ცნობები გვაქვს პირველ ცნობილ მწიგნობართუხუცესთან შედარებით. ზემოთ ჩვენ დავამტკიცეთ, რომ 1085 წლის მინაწერში მოხსენებული პეტრე ვესტი და მწიგნობართუხუცესი იგივე პეტრე პატრიკია, რომელიც გიორგი მთაწმიდელის ცხორებაში მოიხსენიება. უეჭველია, აგრეთვე, რომ ამავე პეტრიკ-ყოფილს და მის ძმას იოანეს შეეხება ათონის ქართ. მონასტრის აღაპი № 15. აღნიშნული აღაპიდან ჩანს, რომ 1054 წელს ბიზანტიაში მოსულ ბაგრატ IV-ს თან ახლავს პეტრიკი, ჯერ კიდევ ერის-კაცი. თავის თავად იგულისხმება და ეს აღაპიდანაც ნათლად ჩანს, რომ პეტრიკი მეფესთან დაახლოებული და სამეფო კარზე წარჩინებული პირია. აქ მისი თანამდებობა, ისევე როგორც მისი ძმის იოანესი, აღნიშნული არ არის. საფიქრებელია, რომ ისინი „საკუთარინი მეფისანი“ არიან, ე. ი. არა სახელმწიფო მოხელენი, არამედ „ხელშინაურნი“<sup>3</sup>. რაღა თქმა უნდა, რომ ბაგ-

<sup>1</sup> შეიძლება სწორედ ამით აიხსნებოდეს ის მოვლენა, რომ გიორგი ხუცესმონაზონი არც ერთხელ არ იხსენიებს საქართველოს მწიგნობართუხუცეს ბაგრატ IV-ის დროს მიუხედავად იმისა, რომ ბევრს გვამცნობს საქართველოს ისეთ საერო და საეკლესიო საქმეებზე, რომლებთანაც მწიგნობართუხუცესი მათთან კი თითქმის უშუალო კავშირი უნდა ჰქონოდა.

<sup>2</sup> M. Brosset, Voyage archéologique en Transcaucasie, second rap. p. 185 n. 2.

<sup>3</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. II ნაკვ. II, გვ. 217—218.

რატის ლიპარიტთან ბრძოლაში პეტრიკი მეფის მომხრეა. 1065 წელს პეტრიკი უკვე შემონახონებულია; იწოდება პეტრე პეტრიკ-ყოფილად და პატრიკის პატრიკით არის დაჯილდოებული. ბიზანტიის ეს მაღალი საკარისკაცო პატივი თავისთავად მოწმობს პეტრეს წარჩინებულობას როგორც ბაგრატ IV-ის, ისე ბიზანტიის სამეფო კარზე. ამის შესაფერისია მისი საქმიანობაც: ბაგრატმა პეტრე პატრიკი წამოაბრუნა მხლებელთა მეთაურად უფლისწულს მართას, რომელიც მომავალი იმპერატორის მიხეილ დუკას საცოლოდ იყო თხოვილი ბიზანტიის კეისრის მიერ. რატიქაუნდა, პეტრე პატრიკი ბაგრატის განსაკუთრებული ნდობით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი.

მეტად საინტერესო და, ვფიქრობთ, ჩვენი საკითხისათვის არაუმნიშვნელო ჩანს ის გარემოება, რომ პეტრე პატრიკი ბერია. მისი საქმიანობა კი უმთავრესად საერო ხასიათისაა, რასაც სავსებით შეეფერება მისი საკარისკაცო საერო პატივი პატრიკისა. 1065 წლის შემდეგ პეტრე მთელი ოცი წლის განმავლობაში უბრალო მონაზონი დარჩა, ხოლო ამავე დროს საერო პატივის გზით მან ორი საფეხურით კიდევ მაღლა აიწია: 1085 წელს ის ევსტის პატივს ატარებს<sup>1</sup>. როგორც ჩანს, პეტრეს მონაზვნობა მხოლოდ მისი მოღვაწეობისათვის საკერო გარეფორმაა. შემონახვენება აუცილებელი პირობა უნდა ყოფილიყო მწ.-უხუცესობის მიღებისათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ პეტრე მწ.-უხუცესი იქმნა 1065 წლის შემდეგ ახლოდროში. მისი მაღალი მდგომარეობა სამეფო კარზე, უაღრესი ნდობით აღჭურვილობა მეფის მიერ და მონაზვნად აღკვეცილობა საკმაო პირობები იყო საამისოდ.

კიდევ უფრო შინაარსიანი ცნობები მოგვეპოვება მესამე მწიგნობართუხუცესის შესახებ. განსვ. თ. ჟორდანია ფიქრობს, რომ გიორგი მწიგნობართუხუცესი დავით აღმაშენებლის დედის ძმა შეიძლება ყოფილიყოს. მკვლევარის აზრით ასეთი მოსაზრების გამოთქმის საბუთს იძლევა: გიორგის დამარხვა გელათს („—მონასტერსა ახალსა“); ამავე „აზრს თითქმის ამოწმებს ბნელი ფრასაც მემატინანსი (ქ. ცა 1, 252): „ზედამხედველად საქმეთა მანდაურთა (შარვანისთა) აჩინა (მეფემან) მწიგნობართუხუცესი თვისი სუმონ ჭყონდიდელი, მაშინ ბედელ-ალავერდელი, მიმსგავსებული გიორგი დედის ძმისა თვისისა (მეფისა თუ სვიმონისი?)“. უკანასკნელი სიტყვა „თვისისა“, — „მისისა“ მაგიერ, — აზრს ჰბადავს, რომ გიორგი ყოფილა დედის ძმა დავით აღმაშენებლისა... და ამ მეფის თვსტომობით შეიძლება აიხსნას ის დიდი გავლენა, რომელიც ჰქონდა გიორგის და სუმონ ჭყონდიდელთა მაშინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში (ქ. ცხ. 1, 244—7)<sup>2</sup>. შემცთარი აზრია, ასეთივე საფუძველზე აგებული.

საქმე ის არის, რომ „მემატინანს ბნელი ფრასა“ არც აგრე „ბნელია“ და, ვფიქრობთ, არ „ჰბადავს“ განს. მკვლევარის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას. პირიქით, ის ცხადად ამოწმებს, რომ გიორგი მწიგნობართუხუცესი დედის ძმა

<sup>1</sup> Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI в. гл. 154. უნდა ვიფიქროთ, პეტრე დიდად პატივცემული იყო მართა ბაგრატის ასულის მიერ და ბიზანტიის დედოფლად ყოფნისას მანვე დააჯილდოვა მამის ერთგული ხელისუფალი ამ მაღალი პატივით.

<sup>2</sup> თ. ჟორდანი, ქრონ. 1, 242.



იყო სუმონ ჭყონდიდლისა. ზემომოყვანილ ამონაწერში განმარტება: „მომს-  
გავსებული გიორგი დედის ძმისა თჳსისა“ ეწება „სუმონ“-ს; ის შემოკლებული  
წინადადების სახით არის წარმოდგენილი და მისი სრული სახე იქნებოდა:  
„რომელი მსგავს იყო დედის ძმისა თჳსისა“. თჳსისა—აქ სწორედ სუმონის  
დედის ძმას ჰგულისხმობს და არ შეიძლება დავითის დედის ძმას ჰგულისხმობ-  
დეს, რადგანაც მაშინ ეს წინადადება შემდეგნაირად უნდა გაგვეგო: დავითმა  
აჩინა... სუმონ „მომსგავსებული (მის მიერ) დედის ძმისა თჳსისა“; ე. ი. „რო-  
მელი იგი მსგავს ყო დედის ძმისა თჳსისა“, რაც გამოთქმის უჩვეულობასთან  
ერთად ნივთიერად უაზრობაა.

ამის შემდეგ ჩვენ აღარ გამოუდგებით სხვა საბუთების მოყვანას განს.  
გველევარის აზრის უარსაყოფად. ორიოდ სიტყვა მხოლოდ გიორგის ვითომც-  
და გელათში დამარხულობის შესახებ. „მონასტერსა ახალსა“-ში მაინცდამაინც  
გელათის დანახვა არც ასე გადაქრით შეიძლება. საყურადღებოა, რომ გიორგი  
ჭყონდიდელის საუკუნო მწიგნულს ჩვენ შიომღვიმეში ეხედებით XIII—XIV საუ-  
კუნეებში. ესეც რომ არ იყოს, თუ მეფეთა საძვალე იყო გელათი და აქ მხო-  
ლოდ საქართველოს სამეფო ოჯახის წევრნი უნდა დამარხულიყვნენ, გიორგი  
მწ.—უხუცესის იქ დამარხვა მაშინაც კი, თუ ის დავითის დედის ძმა იყო, ასე-  
თი წესის დარღვევა იქნებოდა. ამიტომ „გიორგის მეფური დამარხვა გელათს,  
მეფეთა სამარხავში“ საეჭვოა და ვერ „ჰბადავს აზრს, რომ გიორგი უნდა ყო-  
ფილიყო ნათესავი მეფისა“.

გიორგი მწიგნობართუხუცესის დიდი გავლენა საქართველოს სახელმწიფო  
ცხოვრებაზე საძიებელია არა მის გვარტომობაში, არამედ: მწიგნობართუხუ-  
ცესის ხელის ბუნებაში, გიორგის პირად დიდბუნებოვნობაში და დავით აღმაშე-  
ნებლის საშინაო პოლიტიკაში.

ჩვენ აღენიშნეთ, რომ მწიგნობართუხუცესობა, როგორც სახელმწიფო მნიშე-  
ნელობის ხელი, ფუნქციონალურ დამოკიდებულებაში იყო ცენტრალურ ხელისუფ-  
ლებასთან და რომ ეს დამოკიდებულება პირდაპირ პროპორციული იყო. ამიტომ  
არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, თითქო განსაზღვრული დროიდან მწიგნობართუხუ-  
ცესის მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, სანამ ის ბოლოს „ვაზირთა  
ყოველთა უპირველესი“ არ შეიქნა. საერთოდ კი შეიძლება ითქვას: განსაკუთ-  
რებული მნიშვნელობა ამ ხელისა ცხადი უნდა გამხდარიყო იმ დროიდანვე,  
როგორც კი გადამქრელი ბრძოლა გაჩაღდა დიდგვარიან აზნაურებსა და ცენტ-  
რალურ ხელისუფლებას შორის. თუ როგორ იყო საქმე საქართველოს ცალ-  
კეულ სამეფო-სამთავროებში ამ მხრით, ეს ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ბაგრატ  
III-დან მოყოლებული საქმაო მასალები მოგვეპოვება. აქ ბრძოლა ცვალებადი  
იყო. შეტევას საერთოდ ცენტრალური ხელისუფლება აწარმოებდა, მაგრამ  
პასიური თავდაცვით არც მოწინააღმდეგე მხარე კმაყოფილდებოდა და ხში-  
რად იერიშებზე გადადიოდა. ხან რომელიმე ბაგრატ III მტკიცე ხელით ალაგ-  
მავდა ხოლმე ურჩ აზნაურებს, ხან კიდევ აღვირავებული ფეოდალების ზემო  
იყო, მაგალითად, გიორგი II დროს.



ამ ცვალებადი და ხანგრძლივი ბრძოლის დროს მწიგნობართუხუცესის მნიშვნელობაც სახელმწიფოს ცხოვრებაში ასეთივე ცვალებადი უნდა ყოფილიყო. საერთოდ კი მისი მნიშვნელობა უნდა გაზრდილიყო.

რათქმაუნდა, მის პირველობაზე ლაპარაკი სხვა მოხელეთა შორის ამ დროს შეუძლებელია. პირველი ხელისუფალი ამ დროს სპასალარი უნდა ყოფილიყო<sup>1</sup>. ცენტრალიზმისათვის მებრძოლი ხელისუფლება კარგად ხედავდა ასეთი სისტემის მიერ უხერხულობას: მისი პირველი ხელისუფალი-სპასალარი მეფის ხელისუფლების გაძლიერების მოწინააღმდეგე დიდგვარიანი ფეოდალი იყო. მაგრამ ფეოდალურ პრინციპზე აგებულ ჯარს მხოლოდ ასეთი სპასალარი შეეფერებოდა და არც ერთ მეფეს არ ძალეღვა აქ საბოლოოდ გადამწყვეტი გამოსავალი ეპოვა. მეფეს შეეძლო ესა თუ ის დიდგვარიანი ხელისუფალი დაემცრო, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი და პალიატიური ზომა იყო. დამცრობილის ადგილს მეორე დიდგვარიანი აზნაური დაიკურდა, რომელიც ისეთივე კვალუქულმართობას იწყებდა, როგორც მისი წინამორბედი იყო. პირველობა ხელისუფალთ შორის ისევ დიდგვარიანთა ხელში რჩებოდა. (და არც შეიძლებოდა სხვა რიგად ყოფილიყო, სანამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური წინსვლა ამ დიდგვარიან აზნაურთა აღზეება-გაძლიერების ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა). იმისთვის რომ მწ.-უხუცესი „ვაზირთა ყოველთა უპირველესი“ გამხდარიყო, საჭირო იყო ცენტრალური ხელისუფლების დიდი გამარჯვება, რასაც მეფე ვერ მოიპოვებდა, სანამ მისი სოციალური და პოლიტიკური დასაყრდენი იგივე დიდგვარიანობა რჩებოდა. საჭირო იყო სულ სხვა დასაყრდენი, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას თავი შედარებით დამოუკიდებლად ეგრძნო დიდგვარიანთაგან. ამა თუ იმ დიდგვარიან აზნაურზე გამარჯვება არა ერთხელ მოუპოვებიათ დავითის წინაპრებსაც, მაგრამ გამარჯვების ნაყოფი დიდის ხნით მხოლოდ დავითმა შეინარჩუნა, და ეს იმიტომ, რომ მხოლოდ მან სცადა დიდგვარიან აზნაურებისაგან დამოუკიდებელი სოციალურ-პოლიტიკური დასაყრდენი გაეჩინა ცენტრალური ხელისუფლებისათვის.

მხოლოდ ცენტრალისტური ხელისუფლების დიდი გამარჯვების ნიადაგზე, მეფის ხელისუფლების ისეთი იდეოლოგიის ნიადაგზე, როგორც დავითისეულ შიომღვიმის ანდერძში ან ამავე მეფის ისტორიკოსის თხზულებაშია წარმოდგენილი, შესაძლებელი იყო მწიგნობართუხუცესის გაუპირველესება სხვა ხელისუფალთ შორის.

ჯერ კიდევ ყრობიდანვე უნდა ხსომებოდა მომავალ აღმაშენებელს დიდგვარიანთა თვითნებობის სიმწვავე. ნიანია ქვაბულისძე, ივანე ლიპარიტისძე (სპასალარი) და ვარდან სვანთა ერისთავი ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ გიორგი მეფის წინააღმდეგ განდგომა-აჯანყებაში (მ<sup>წ</sup>მ დ<sup>წ</sup>ლისი ქ<sup>წ</sup>ცა, 278—279). ამ შენაურ განდგომა-არეულობას „დიდი თურქობა“ მოჰყვა და არა თუ სახელმწიფო მმართველობის ფორმის, თვით ქართველი ხალხის ფიზიკური არსებობა საფრთხის ქვეშ მოექცა. დიდგვარიან აზნაურთათვის ცენტრალისტურად გაერთიანებული ძლიერი საქართველოს იდეა მიუღებელი იყო. ამიტომ ქართველი ხალხის თავს დატეხილი უბედურობის დროს ამ ხალ-

<sup>1</sup> ამ მხრით სტეფანოს ორბელიანის კნობა მართალი უნდა იყოს. იხ. მისი *ჟამთა-მჩანაწერი* ანუ *სახარისი*, ტფილისის გამოცემა, გვ. 378.



ხის მხსნელად დიდგვარიანი აზნაურები ვერ გამოვიდოდნენ. ისინი საამისოდ მოწოდებული არ იყვნენ. პირიქით, მეფის ხელისუფლების დასუსტებით ისინი გარეშე მტერს უწყობდნენ ხელს. აუცილებელი იყო ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლას დაიწყებდა მოზღვა-ვებული თურქების წინააღმდეგ. დიდგვარიანების საქართველომ გამოცდა ვერ დაიჭირა. გარეშე მტრის წინააღმდეგ ის უძლური აღმოჩნდა და ქართველი ხალხის მომავალი საფრთხეში ჩააგდო. აი ეს მომენტები განსაზღვრავდნენ ბრძოლის იმ სიმწვავეს, როგორც ამ დროს ცენტრალურმა ხელისუფ-ლებამ გაუმართა გალადებულ თავნება დიდგვარიან აზნაურებს. მეფეს არ შეეძლო ლმობიერი ყოფილიყო ორგულთა და გამდგართ მიმართ: თუ ჩვე-ულებრივს პირობებში ასეთი განდგომა მხოლოდ ხელისუფლების ფორმის წი-ნააღმდეგ აჯანყება იყო, ეხლა ასეთი რამ ქვეყნის ლალატს უდრიდა. ამიტომ ზედმეტი იყო „მაბრალბელთა“ საყვედურები: „შეიყვარნის ვინმეო (და) განადი-დნის, მოიძულნის ვინმე და დაამკირნის; ესე აღამადლის და ესე დაამდაბლის, ერია უსამართლობასა“<sup>1</sup>. შესაძლებელია „მაბრალბელნი“ გულწრფელადაც ჩიოდნენ და ფეოდალური სამართლის მიხედვით დიდგვარიანი აზნაურები მართლაც „უსა-მართლობაში“ გრძნობდნენ თავს, მაგრამ ასეთი იყო ნამდვილი „ერის“, ე. ი. ქართველი ხალხის გარდაუვალი განაჩენი და დავითი კი ამ განაჩენის სისრუ-ლეში მომყვანი გენიალური მოხელე იყო.

როგორც ცნობილია, აღმაშენებელმა შესძლო უძენლეს დაბრკოლებათა გადალახვა და ორმხრივი ბრძოლა ბრწყინვალე გამარჯვებით დაავიჯვრინა.

ამ გადაამქრელი და ხანგრძლივი ორმხრივი ბრძოლის დროს მეფეს ყმა-წვილობიდანვე მხარში უდგა მისი აღმზრდელი „და თანავაკაფილი ყოველთა გზათა და საქმეთა და ლუაწლთა მისთა“<sup>2</sup> გიორგი მწიგნობართუხუცესი. ეხება საქმე საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას, საერო თუ საეკლესიო საკითხებს, ომსა თუ მშვიდობიან აღმშენებლობას, გიორგი მწიგნობართუხუცესი ყოველ-თვის მეფეს უდგას გვერდში, მისი მარჯვენა ხელია. ის ქეშმარიტი alter ego-ა დიდი მეფისა. დავითის შემდეგ მხოლოდ მას ემორჩილებიან და მისგანვე იღე-ბენ მოქმედების დასტურს სახელმწიფოს პირველი ხელისუფალნი (სპასალარი, ერისთავნი...).

გიორგი ქეშმარიტად „მამა არს მეფისა“ და ეს არა მარტო იმიტომ, რომ დავითი მისი აღზრდილია, არამედ იმიტომ რომ „ყველა საურავი ურმისოდ არ იქნე-ბის“<sup>3</sup>, ის „თანა განკაფილია ყოველთა გზათა და საქმეთა და ლუაწლთა“ მეფისათა. ამიტომ, და არა მისი ვითომდა მეფური ჩამომავლობისათვის, იგლოვა გარ-დაცვალებული გიორგი „ყოველმან სამეფომან და თუთ მეფემან ვითარცა მამა და უმეტესცა მამისა“ შემოსითა შავისითა ორმოც დღე ვიდრემდის იშვა

<sup>1</sup> მშ დფლსი ქცა, 330.

<sup>2</sup> იქვე, 301.

<sup>3</sup> ხელმწიფის კარის ვარიგება, პროფ. ე. თაყაიშვილის გამოცემა, 9<sup>61-62</sup>.

<sup>4</sup> მშ დფლსი ქცა, 302, ტექსტი შესწორებულია ჩვენ მიერ ვარიანტებთან შედარე-ბის გზით.

ეხატანგ, რომლისა ხარებითა დაქსნა გლოვა<sup>1</sup>. დავით აღმაშენებელმა ფეოდალური საქართველო სახელმწიფო განვითარების ახალ გზაზე გამოიყვანა. უიქველია, სახელმწიფო წყობილების ძლიერი გარდატეხისას სათანადო ცვლილება უნდა განეცადა ხელისუფალთა უფლება-მოვალეობასაც. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამ მხრით კვლევა არავის უწარმოებია, რომ ეს ჩვენი a priori მსჯელობა საქირო საბუთებით შეგვემაგრებინა. ამხელად ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ სპასალარობისა და მწიგნობართუხუცესობის მავალითები მოვიშველოთ. დიდგვარიანთა პოლიტიკური ბატონობის ხანის სპასალარის პირველობა ხელისუფალთ შორის ახალი სახელმწიფო წყობილებისათვის მიუღებელი იყო. ამიერიდან სპასალარს პირველობა უნდა დაეთმო გამარჯვებული ცენტრალური ხელისუფლების ერთგული წარმომადგენლისათვის. ასეთი კი იყო მწიგნობართუხუცესი და ამიერიდან სწორედ ის იქნა „ვაზირი მეფისა“.

დავით აღმაშენებლის დროს და მისივე წყალობით მწიგნობართუხუცესობამ საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე მიიღო. ამიერიდან ვიდრე XIII საუკუნემდის მას რაიმე არსებითი ცვლილება არ განუცდია.

სამწუხაროდ, ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას კონკრეტულად აღვნიშნოთ ყველა ის ახალი ფუნქცია, მწ.-უხუცესს დავით აღმაშენებლის დროს რომ შეემატა (მის გაჭყონდილლებაზე ქვემოთ გვექნება საუბარი): ჩვენ არ ვიცით რა და რა ფუნქციები ეკუთვნოდა მას აქამდის. ზოგადად შეგვიძლია აღვნიშნოთ მხოლოდ: მეფის მწიგნობართუხუცესისაგან ის „ვაზირი მეფისა“ იქმნა. გამოთქმა „მწიგნობართუხუცესი მეფისა“ (ბაგრატი IV დროს)<sup>2</sup> გვაფიქრებინებს, რომ ეს ხელი ამ დროს მეფის „საკუთართა“ წრეში შედიოდა. თუ ეს ჩვენი მოსაზრება სწორია, მაშინ მეტად საინტერესო და ანალოგიებით მდიდარ მოვლენასთან გვექნება საქმე: საკუთართაგანის გაუპირველესება სახელმწიფოში, მაგრამ არა მისი პირადი აღჭებების გზით, არამედ მისი ხელქვეითი უწყების მნიშვნელობის გაზრდა-გაფართოების საშუალებით.

კერძოდ, „ობოლთა და ქვრივთა და მიმძღაერებულთა მოჩივართა“ განკითხვის შესახებ მწიგნობართუხუცესის მიერ. ვფიქრობთ, ეს ერთი მთავარ ფუნქციათაგანი მწიგნობართუხუცესს დავით აღმაშენებლის მიერ მიენიჭა. „კარის გარიგება“-ში ვკითხულობთ: „ჭყონდიდელი (ე. ი. მწიგნობართუხუცესი) ორშაბათს დღეს სააჯო კარსა შიგან დაჯდების, ობოლთა და ქვრივთა და მიმძღაერებულთა მოჩივართა განიკითხავს. და ყოველი საწოლის მწიგნობარი გვერდს უზის. და ზარდახანის მწიგნობარს გაგზავნის და მისის პირით მოახსენებს, რაც ვის რა სჭირს. და რასაც მისის პირით ვერ დაიურვებს, ადგების და რაჟამსცა ეამი იყოს, თვთ მივა და მაშინ იურვის, რაც ვის უსამართლო მჭირს. არ მოეშვების, რომ არ დაიურვოს“<sup>3</sup>. აქედან ჩანს: „სააჯო კა-

<sup>1</sup> დაბეჭდილ მშ დფლს ქდაში „მამისა“-ს მაგივრად „ძაძისა“ არის, რასაც ხელნაწერი არ ამართლებს: იქ პირველად წერებულა „მამისა“ და, „მანების“ „ძილბად დადაკეთების კვალი ეხლაც ნათლად აჩნია.

<sup>2</sup> „საქ. სამოთხე“, გამოც. მ. საბინინისა.

<sup>3</sup> კელმწიფის კარის გარიგება, მ 30-35.



რი“ ეწოდება სასამართლოს, რომელშიაც მიმძღავრებულ მოჩივართა საქმეები ირჩევა. ამ მიმძღავრებულებს „უსამართლო სჭირთ“. თუ ვისგან „სჭირთ“ „უსამართლო“, ეს კარგად ირკვევა იმ დროის საბუთებიდან. მაგალითად: ფავენელმა შიომღვიმეს სოფელი გავაზელნი მიჰყიდა, მაგრამ-ისე, რომ წინასწარ ეს სოფელი ყოველგვარი სახელმწიფო თუ კერძო „შესავლისაგან“ გაათავისუფლა.— „მითავისუფლებიან მეფეთა და დედოფალთაგან და დიდოფალთა და დიდებულთაგან, აზნაურთა და მათთა ცოლთაგან, მითავისუფლებიან ყოველთავე ჯელოსანთაგან, მოლარეთაგან, მეულუფეთა, მეჯინიბეთა, მესაბანჯრეთა, მეგოდრეთა, მეჯამეთა, ყოველთავე დარბაზით გამოსულთა ჯელოსანთაგან. თუ ვინმე გაწყენდეს და არაეინ რას გაგიგონებდეს, სააჯოს კარსა მიიხვენით“-ო<sup>1</sup>, ეუბნება ფავენელი მემღვიმეს. აქედან ირკვევა, რომ სააჯო კარს მისულ მოჩივარს ორმაგი „უსამართლო სჭირს“: ერთი მისგან, ვინც „აწყენია“—ასეთი შეიძლება ყოფილიყო, როგორც სახელმწიფო მოხელე, ისე კერძო პირიც—და მეორე მისგან, ვისაც მართებდა „გაგონება“ და „არაეინ რა გაუგონა“—ასეთი შეიძლება ყოფილიყო სახელმწიფო დაწესებულება-სასამართლო ან სასამართლოს მოხელე. მაშ, „სააჯო კარი“ ყოფილა უმადლესი სააბელაციო სასამართლო. აქ უნდა აღინიშნოს: „კარის გარიგების“ ტექსტიდან არა ჩანს, რომ ობოლნი და ქვრივნი „სააჯო კარში“ მხოლოდ მას შემდეგ მოდიოდნენ, რაც მათ არ „გაუგონეს“, ვისგანაც ვაგონება ჯერ იყო. როგორც ჩანს, ისინი აქ აბელაციით კი არ მოდიან, არამედ პირველადი საჩივრით. და ეს იმიტომ, რომ ობოლნი და ქვრივნი თვით განგებისაგან უკვე „მიმძღავრებულად“ ითვლებოდნენ. ამიტომაც ისინი უმადლესი ხელისუფლების განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდნენ<sup>2</sup>.

„კარის გარიგების“ მიხედვით „სააჯო კარში“ სამი მოსამართლე იჯდა: მწიგნობართუხუცესი და ორი მწიგნობარი,—საწოლისა და ზარდახანის. მაგრამ ეს ასე იყო დავით აღმაშენებლის შემდეგ,—მის დრომდის სააჯო კარში სამართალი თვით მეფის უშუალო მონაწილეობით წარმოებდა. ამას გვაუწყებს დავითის ისტორიკოსი: რადგან გამუდმებული მიმოსვლის გამო დავითს „ვერ ადვილად მიემთხუოდიან მოჩივარნი და დაჭირებულნი და მიმძღავრებულნი, განაღა ვიეთნივე, რომელთა სჭიროდა, უჯმდის განკითხუა და შეწყენა მეფობრივი...“, ამისთვის დაედგინეს კაცნი მართლად მცნობელნი და გამომკითხველნი მოჩივართანი, რომელთა მიერ მიიღებდეს კურნებასა“<sup>3</sup>. ვფიქრობთ, დავითის მიერ დადგენილნი „კაცნი მართლად მცნობელნი და გამომკითხველნი მოჩივართანი“ იყვნენ სწორედ „კარის გარიგებით“ ცნობილნი tres (მწიგნობართუხუცესი, საწოლის მწიგნობარი და ზარდახანის მწიგნობარი), რომელთა მიერ მოჩივარნი „მიიღებდეს კურნებასა“.

როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებელმა ჰყონდიდელ-მთ.-ეპისკოპოსობა მწიგნობართუხუცესობას შეუერთა. იყო ეს უბრალო შეთავსება ორი ხე-

<sup>1</sup> ისტ. საბ. შიომღ. მონ. თ. ჟორდანიას გამოც., 2—3.

<sup>2</sup> იხ. გიორგი მთაწმინდელის სიტყვა ბაგრატ IV-სადმი ობოლთა და ქვრივთა განკითხვის შესახებ, ათ. კრებული, 321.

<sup>3</sup> მ-შ დღწლისი ქცა, 323.

19. ენიშვილ-ის მთაბე, ტ. X.

ლისა, თუ აქ სხვა რაიმე ღრმა საფუძველზე დამყარებულ მოვლენას ჰქონდა ადგილი? უკვე ის, რომ ამიერიდან ეს ორი ხელი განუყრელი რჩება, საკმაოდ მოწმობს თვით მოვლენის საფუძვლიანობას. იბადება საკითხი: რა საფუძველი იყო ისეთი, რომელმაც ეს მოვლენა გამოიწვია?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ნიშნავს ჭყონდილობის ბუნების გარკვევას და მასში იმ სპეციფიკური თავისებურების აღმოჩენას, რომლის გამოც სწორედ ის და არა სხვა მთავარებისკობისობა იქმნა შეთავსებული მწიგნობართუხუცესობასთან.

ჭყონდილობის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული დასავ. საქ. ეკლესიის თავგადასავალთან. უკანასკნელი მეტად ბუნდოვანი, მასალებით ღარიბი და, რაც მთავარია, ჯერ შეუსწავლელი საკითხია (უძველესი დროიდან XIII საუკუნემდის მაინც). ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ზოგადი ხასიათის მოსაზრებანი მ. ბროსესი<sup>1</sup>, თ. ჟორდანიასი<sup>2</sup>, პროფ. ე. თაყაიშვილისა<sup>3</sup>, აკად. ნიკ. მარისა<sup>4</sup>, ს. კაჯაბაძისა<sup>5</sup> და აკად. ივ. ჯავახიშვილისა<sup>6</sup> საკითხს მხოლოდ ვაკერით და ნაწილობრივ ეხებიან. სპეციალურად ჯერჯერობით არავის მოუცლია, რომ საჭირო მასალების დაგროვება-შესწავლით საკმაოდ დასაფუძვლებული აზრი გამოეთქვა მის შესახებ. მით უფრო ამხელად, ჩვენც არ ძალგვიძს ამ მნიშვნელოვანი საკითხის არსებითი განხილვა და დიდის ხალისით გვერდს აუვლიდით, რომ აუცილებლობა არ გვაიძულებდეს რამდენადმე მაინც შევეხოთ მას.

დას. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შეწყნარებულია აკად. ნიკ. მარის აზრი. მნიშვნელოვანი და არსებითი შესწორებანი აკად. ივ. ჯავახიშვილისა აესებენ და ისტორიული სინამდვილის ხორცს ასხამენ ნიკ. მარის სამართლიანს, თუმცა რამდენადმე ცალმხრივ მოსაზრებას.

იმ შესწორებათა შემდგომ საქმე შემდგენიარად წარმოგვიდგება: ქრისტიანობა ლიხთიმერეთში ყველგან ერთ დროს და ერთი წყაროდან არ გავრცელებულა. მისი გავრცელების დროისა და გზების სხვადასხვაობა დამოკიდებული იყო: ლიხთიმერეთის ამა თუ იმ ტომის სოციალურსა და პოლიტიკურს ვითარებაზე, მის გეოგრაფიულ მდებარეობაზე და სხვა მრავალ დანართ ფაქტორებზე. მაგალითად, ცნობილია, რომ ლიხთიმერეთის ქალაქებში—და უმთავრესად ზღვის პირად მდებარე ქალაქებში—ქრისტიანობა დიდის ხნით უფრო ადრე გავრცელდა, ვიდრე სოფლებში, ქვეყნის შუაგულში. ამის მიზეზი იყო: 1. ქალაქთა ბერძნული მოსახლეობა—მოახალშენეები, 2. ქრისტიანობის ბერძნულად ქდაგება ბერძნული მღვდელთმსახურებით, 3. სოფლის სუსტი ეკონომიურ-კულტურული და-

<sup>1</sup> M. Brosset, Essai chronologique sur la serie des catholicos d'Aphkhezeth, 1—5.

<sup>2</sup> Ф. Жордания, Абхазские Католикосы, 1—10.

<sup>3</sup> პროფ. ე. თაყაიშვილი, „ველშ. კარის გარიგება“, წინასიტყვაობა.

<sup>4</sup> «Ист. очерк груз. церкви...», Церковные ведомости, 1907, г. № 3, гл. 115—121, акад. Н. Марр, Крещение армян, грузин, абхазов и аланов святым Григорием (арабская версия), СПб. 1905 г.

<sup>5</sup> საისტორიო მოამბე, 1925 წ. წიგ. II. 125—130.

<sup>6</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, წიგნი I, მესამე გამოცემა.



მოკიდებულება ქალაქისაგან. ან კიდევ: ლაზთა შორის ქრისტიანობა უფრო ადრე გავრცელდა, ვიდრე მათ მეზობელ აფხაზთ შორის. დასაშვებია, რომ აქ პოლიტიკურ მომენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ქრისტიანობა ლიხთიმერეთში, რათქმუნდა, მხოლოდ უშუალოდ ბერძნული გზით არ გავრცელებულა. ახალი მოძღვრება გზას იკაფავდა როგორც დასავლეთიდან, ისე აღმოსავლეთიდანაც და როცა, ერთის მხრით, კონსტანტინეპოლის პატრიარქისაგან დამოკიდებული სამიტროპოლიტო და სამთავარეპისკოპოსო ჩნდება, მეორეს მხრით ქართლის კათალიკოზი „მეგრელთა კათალიკოზადაც იწოდება“<sup>1</sup>. ხსენებული ორი ნაკადიდან პირველ ხანებში ბიზანტიური (—ბერძნული) სქარბობდა. ეს ბუნებრივი იყო: ბერძნული საქრისტიანო ქადაგება აქ წინუსწრებდა ქართულს; სამისიონერო ძალებითაც ბიზანტიის ეკლესია შეუდარებლად ძლიერი იყო ახალმოზარდ ქართულ ეკლესიაზე; პოლიტიკური პირობებიც ბიზანტიის ეკლესიის სასარგებლო იყო: ლიხთიმერეთი პოლიტიკურად ბიზანტიარომის ნაწილი იყო.

ამ ბერძნული სამისიონერო მოღვაწეობის შედეგი იყო ლიხთიმერეთში ლაზიკის, აფხაზეთის (—აბაზგიის) და ჯიქთა (ზიკხთა) ეკლესიები. ყველა ისინი, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელნი, კონსტანტინეპოლის საპატრიარქო სამწყსოს ეკუთვნოდნენ<sup>2</sup>. როდის ჩამოყალიბდა თავისი საბოლოო სახით ლიხთიმერეთის ასეთი საეკლესიო ორგანიზაცია, ჩვენ არ ვიცით. ბერძნული ტაქტიკონები, რომელნიც ამ ცნობებს შეიცავენ, ჯერ კიდევ არ არიან ზედმიწევნით დათარიღებული<sup>3</sup>. დაახლოებით კი ეს უნდა მომხდარიყო VI—VII საუკუნეებში.

მცხეთის საკათალიკოზოს, როგორც აღვნიშნეთ, ძველიდანვე შეუღლამს ფეხი ეგრისში და იქ თანდათანობით განმტკიცებულა. ქართულს ეკლესიასაც ჰქონდა ეგრისში თავისი ხელშემწყობი პირობები, რომელთა მეოხებით ის სულ უფრო და უფრო ძლიერ მეტოქეობას უწყევდა ბიზანტიის ეკლესიას ამ ქვეყანაში.

ეს პირობები შემდეგი იყო: იბერია ძველი ღრვიდანვე ღრმად იყო შექრილი ლიხთიმერეთში. ლაზიკა-იბერიის პოლიტიკური საზღვარი სკანდა-შორა-

<sup>1</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქ. გ. ისტორია წ. I, გამოც. 3, გვ. 279.

<sup>2</sup> ლაზიკის ეკლესიის მეთაური ფოთის მიტროპოლიტი იყო. მას ოთხი საეპისკოპოსო ექვემდებარებოდა [ქ. 'Επαρχία Λαζიკης-ὁ Φάσιδος. α. ὁ Ροδοπίνης. β. ὁ τῆς Ἀβισთην. (ἀβισθιῶν—B. ἀβισθιῶν—გ.) γ. ὁ Περσῶν. δ. ὁ τῆς Ζιγανέων (Ζηγανέων—c. ὁ τῆς Ζιγανέων—E. ὁ τῆς Ζιγανέων). იხ. Georgius Cyprius edidit H. Gelzer. Bibliotheca scribtorum... Teubneriana. გვ. 24. იხ. აგრეთვე De cerimoniis aulae Byzantinae, Bonnae MDCCCXXXIX. Constantini Porphirogeniti imperatoris, გვ. 797]. აფხაზეთის (აბაზგიის) ეკლესია წყაროებში წარმოდგენილია სებასტოპოლის (ცხუმის) მთავარეპისკოპოსის სახით ('επαρχία Ἀβαστίας ὁ Σεβαστοπίνης). ჯიქთა ეკლესია სამი ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი მთავარეპისკოპოსითაა წარმოდგენილი ('επαρχία Ζιχίας ὁ Χερσονήσος. 'επαρχία τῆς ἀντῆς ὁ Βοσπόρων. 'επαρχία τῆς ἀντῆς ὁ Νιξίψης). ამთავან ლიხთიმერეთის საზღვრებში მხოლოდ უკანასკნელი შემოდის.

<sup>3</sup> სამწუხაროდ, არც ეს წყაროები, ორიოდეს ვარდა, და არც მათ შესახები ლიტერატურა ჩვენთვის ამხელად ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდა, რომ ამ დარგში მეცნიერების აწინდელი მდგომარეობა სისრულით წარმოგვედგინა.

ბანზე გადიოდა. ასე რომ არგვეთი იბერიაში იყო. ამრიგად, იბერიის ეკლესიას (—მცხეთის ტახტს) იმთავითვე ჰქონდა ლიხთიმერეთში ფეხი მოკიდებული<sup>1</sup>, საიდანაც მას მოძმე მეგრულ მოსახლეობაში უშუალოდ შეჰქონდა ქრისტიანული მოძღვრება და აქ თანდათან მტკიცე პოზიციებს იპყრობდა. ამასვე ხელს უწყობდა იბერიისა და ლაზიკის პოლიტიკური სიძნელენი VI—VIII საუკუნეებში. ბიზანტია-სპარსეთთან ამ ქვეყნების ურთიერთობას, სპარსეთ-ბიზანტიას შორის გამუდმებულ მეტოქეობასა და ომებს ლაზიკა-იბერიის გამო V—VI საუკუნეებში და, ბოლოს, არაბთა მძლავრობას VIII საუკუნეში ის შედეგი მოჰყვა ლაზიკა-იბერიისათვის, რომ ლიხთიმერეთში ძველი მოსახლეობა (მეგრული) შემცირდა. ამ ქვეყნის გარკვეული მხარეები თავის ქვეყანაში (აღმოს. საქართველოში) ასევე შევიწროებულ და იქიდან ლტოლვილ იბერთა იმიგრაციის ობიექტად იქცა. ხიზან-მოახალშენეებს თან მოჰქონდათ ქართული ეკლესიაც და ადგილობრივი (მეგრული) მოსახლეობის ასიმილაციასთან ერთად აქამდისაც უცხო ბერძნულ ეკლესიას ნიადაგი კიდევ უფრო ეცლებოდა.

ამრიგად, ბუნებრივი გავრცელების გზით თუ სხვა მოვლენათა მეოხებით ქართული ეკლესია ლიხთიმერეთში შეტევას აწარმოებდა. ბერძნულ ეკლესიას ამიერიდან თავდაცვაზე უნდა ეზრუნა და ესეც კი, რაც დრო გადიოდა, მისთვის სულ უფროდაუფრო ძნელი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ტრადიცია და ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა (ლაზიკა VIII საუკუნის მიწურულამდე ბიზანტიაში შედიოდა) ანიჭებდნენ გამძლეობას ბერძნულ საეკლესიო ორგანიზაციას და ბუნებრივად მოზარდ ქართულ ეკლესიას ამ ქვეყანაში ძლიერ ხელოვნურ დაბრკოლებებს უქმნიდნენ.

რა დრომდის გავრძელდა ასეთი მდგომარეობა, დანამდვილებით თქმა ძნელია. ერთს მეცხრე საუკუნის პირველ ნახევარში შედგენილ ტაქტიკონში ლაზიკის, აბაზგიისა და ჯიქეთის ეკლესიები ძველებურად კონსტანტინეპოლის საპატრიარქო სამწყსოში შედიან<sup>2</sup>. ეს ტაქტიკონი შედგენილია ვინმე ბასილი სომხის მიერ სოფენიდან. შემდგენელი ძველი ტაქტიკონით სარგებლობს<sup>3</sup>. ამიტომ ექვი ბუნებრივია: მექანიკურად ხომ არ გადმოიწერა ბასილიმ ძველი წყარო და უკვე გადასული მოვლენები თავისი დროისად ხომ არ გაასალა? სამწუხაროდ, ძველის გამომკვემელი ასეთ საკითხს არ სვამს. საერთოდ, მისი მსჯელობიდან კი ისე ჩანს, რომ ამ ტაქტიკონით წარმოდგენილი მდგომარეობა მას შემდგენელის (—ბასილის) დროის შესაფერად მიაჩნია<sup>4</sup>. თუ ეს ასეა, გაზრდის, რომ IX საუკუნის პირველ ნახევარში ლიხთიმერეთი ეკლესიურად ჯერ კიდევ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში შედიოდა.

<sup>1</sup> ამდენად IX საუკუნის პირველ ნახევარში გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა მიერ უბტ-ს მონასტრის დაარსება—თუ აქ აწ ცნობილი უბისი იფულისხმება—ქართული ეკლესიის მისიონერულ აქტს კი არ წარმოადგენს, არამედ ისეთივე ჩვეულებრივ სამონასტრო საქმიანობას მცხეთის საკათალიკოზო სამწყსოს ფარგლებში, როგორც იყო, მაგალითად, ხარზმის აგება სერაპიონ ხარზმელის მიერ.

<sup>2</sup> Georgius Cyprus... Bibliotheca. Teubneriana, praefatio, p. XIV—XV და იქვე Basilis notitia pp. 3, 4, 5, 24.

<sup>3</sup> იქვე, praefatio p. XIV—XV.

<sup>4</sup> იქვე.



არსებობს ერთი ტაქტიკონიცი, რომელიც *τὰ νέα τακτικά*-ს სახელით არის ცნობილი. ჰ. ჰელცერი მას ლეონ ბრძენის მიერ პირველ შედგენილად სთვლის<sup>1</sup>. ამ ტაქტიკონში ლაზიკისა და აფხაზეთის ეკლესიები არ არის შეტანილი. ჯიქთა საარქივისკოპოსოებიდან ნიკოფისის სამთავარეპისკოპოსო აკლია. ცხადია, ეს ტაქტიკონი იმ დროს არის შედგენილი, როცა ლიხთიმერეთი ეკლესიურად კონსტანტინეპოლის პატრიარქისაგან განთავისუფლებულია. გამოდის, რომ ლეონ ბრძენის დროს, ე. ი. 886—912 წლებში ლიხთიმერეთი ეკლესიურადაც ჩამოცილებული ყოფილა ბიზანტიიდან<sup>2</sup>. მაშ, ამ მოვლენის ქრონოლოგიურ საზღვრებად ჩვენ მივიღეთ IX საუკუნის მეორე ნახევარი, ან უფრო დაახლოებით, 820—886 წლები. საყურადღებოა, რომ ეს დრო კარგად უდგება ბაგრატ I აფხაზთა მეფის ხანას—861—873 (906?). ამ მეფეს უნდა ჰქონდეს სხვადასხვა ცნობა აფხაზეთში კათალიკოზობის დაარსების შესახებ, რომელიც გაუგებრობით ბაგრატ I არტანუჯელ კურაპალატს (826—876 წ.) მიეწერება. თავის თავად ეს საყურადღებო ცნობა, უეჭველია, ზემოთ მოვლილი არ არის და რაღაც ძველი წყაროდან მომდინარეობს. ქც-ის ერთერთ ხელნაწერში ის XVIII საუკუნეშია შეტანილი აშიაზე მინაწერის სახით. ცნობის შემომტანმა ის შეცდომით მიაწერა ბაგრატ I არტანუჯელ კურაპალატის შემცველ ტექსტის აშიაზე (იხ. უნ. სიძე. მუხ. ხელნაწ. № 25). ასეთი დედნიდან წარმომდინარე ხელნაწერებში კი ეს ცნობა აშიიდან შეგ ტექსტში გადავიდა კავშირი „ხოლო“-ს დართვით: „ხოლო ამან ბაგრატ გააჩინა და განაწესა კათალიკოზი აფხაზეთს ქეს აქეთ ყლ. (ბროსეთი—პლ?)“ (იხ. უნ. სიძე. მუხ. ხელნაწ. 3665 და ბროსეს გამოცემა, გვ. 190). როგორც მშ დეჟლის ქცა-ში, აგრეთვე არა ერთს XVIII ს-ში გადაწერილი ქც-ის ხელნაწერში ასეთი ცნობა არ მოიპოვება (იხ. უნ. სიძე. მუხ. №№ 30, 354, 3666, 4730).

<sup>1</sup> იქვე, praefatio pp. LXII—LXIII.

<sup>2</sup> აქ უნდა აღინიშნოს: ამ ტაქტიკონში ავტოკეფალურ საარქივისკოპოსოთა შორის მე-26-ედ მოხსენებულია *ἡ Σατωρειανσις* კონსტანტინე პორფიროგენეტათ (იხ. Corpus scriptorum Historiae Byzantinae. Constantinus Porphyrogenitus, volumen III. Bonnae impensis ed. Weberi MDCCCXL. De Administrando imperio cap. MB. p. 182) სოტერიოპოლისი ციხე-ქალაქია აბაზგის საზღვარზე. გამოდის, რომ აფხაზეთის ერთი სამთავარეპისკოპოსო ისევ კონსტანტინეპოლის პატრიარქის ხელში დარჩენილა. ესევე საარქივისკოპოსო 1084 წელს რედაქციაქმნილ ტაქტიკონშიაც მოხსენება. იხ. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI в., გვ. 419. თუ აქ რაიმე გაუგებრობას არ აქვს ადგილი (პირადად ჩვენ უფრო იმ აზრის ვართ, რომ აქ ტექსტის დამახინჯებაა, როგორც ამას ერთი ვარიანტი ადასტურებს, სადაც სოტერიოპოლის-ის ნაცვლად *Σατωρειανσις*-ია მოხსენებული, იხ. Codinus—გვ. 325—343 ordo dispositus per imperatorem Leonem Sapientem..., ანარადა, არსებობდა სხვა სოტერიოპოლისი) და აქ სწორედ აფხაზეთის ეს ციხე-ქალაქი იგულისხმება, მაშინ დავგვრჩენია ის დაუკავშიროთ ბიზანტიის სახელმწ. პოლიტიკას აფხაზეთში უკანასკნელის განთავისუფლების შემდგომ: ბიზანტია ინარჩუნებს (თუ შემდეგ ჩაიკედებს ხელთ) აფხაზეთის ერთ კუთხეს, ციხე-ქალაქს. კონსტანტინე. საპატრიარქო იქვე აარსებს საარქივისკოპოსოს. [რომ ძველად ის არ იყო და აფხაზეთი მხოლოდ სებასტოპოლისის (—სოხუმი) საარქივისკოპოსოთი იყო წარმოდგენილი, ამას ძველი ტაქტიკონები ამტკიცებენ] და ძველს ან უკვე მისი უფლებიდან განთავისუფლებულ სამთავარეპისკოპოსოს უპირდაპირებს... ხომ არ შეიძლება ასეთ კუთხედ ჩვენ ვიცნოთ ანაკოფია?

ამ ქართული ცნობის საფუძვლიანობის აღიარებით ჩვენ მეორე, არა ნაკლებ სადაო, საკითხი თითქმის წინასწარ გადაწყვეტილად მივიღეთ. ეს გახლავთ საკითხი აფხაზეთის კათალიკოზის შესახებ XIII საუკუნემდის.

ამ საკითხებს არა ერთი მკვლევარი შეხებია ჩვენს საისტორიო მეცნიერებაში, მაგრამ საბოლოოდ დადგენილი აზრი მის შესახებ დღემდის არ არსებობს. მ. ბროსე აფხ. კ-ზის არსებობის საკითხს XIII საუკუნემდის საბოლოოდ ვერა სწყვეტდა, უფრო კი მისი არსებობა შესაძლებლად მიაჩნდა<sup>1</sup>; თ. ჟორდანიას აფხ. საკ-ზის 820 წელს დაარსებულად სთვლის ბაგრატ I მიერ<sup>2</sup>; პროფ. ე. თაყაიშვილი აფხ. კ-ზის არსებობას XIII საუკუნემდის სიეჭვოდ აღიარებს<sup>3</sup>; არც სარგის კაკაბაძე ამბობს რასმე ვადაქრილს და გარკვეულს<sup>4</sup>; აკად. ნიკო მარს აფხ. კ-ზის არსებობაში აღნიშნულ ხანაში ეჭვი არ შესდის<sup>5</sup>. სამწუხაროდ, სამისო დასაბუთება მას არ გააჩნია, თუ ასეთად არ ჩაითვლება ის გარემოება, რომ მეღქისედეკ ქ.-კათალიკოზის სიგლის დამამტიკებელი ოქროპირ კათალიკოზი მას აფხაზეთის კათალიკოზად მიაჩნია<sup>6</sup>, რაც სამწუხარო შეცდომაა<sup>7</sup>.

ხსენებული საკითხის არსებითი და ყოველმხრივი განხილვა შეუძლებელია წინამდებარე მონოგრაფიაში იქმნეს წარმოდგენილი. ამიტომ ჩვენი მსჯელობა აქ მოკლე და უფრო დასკვნითი ხასიათის იქნება.

ჩვენი მსჯელობის გამოსავალ წერტილად და აქ წარმოდგენილი კონკრეტულის ღერძად ჩვენა გვაქვს სამი დადებითი ხასიათის ცნობა. ესენი არიან: 1. ბერძნულ ტაქტიკონებზე დაკვირვების გზით მიღებული დასკვნა ლიხთიმერეთის ეკლესიის კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსიგან განთავისუფლების შესახებ IX ს-ის მეორე ნახევარში; 2. გიორგი მთაწმინდელის პასუხი ანტი-

<sup>1</sup> Histoire de la Géorgie, გვ. 239, შენ. 6 და გვ. 265 შენ. 6, მასვე აქვს ამ საკითხის შესახებ ცალკე ბროშურა: Essai chronologique sur la serie des catholico d'Aphkhezeth—მაგრამ აქ გამოთქმული მოსაზრებანი, როგორც ზემოდასახელებული შრომიდან ჩანს, ავტორმა შეცვალა.

<sup>2</sup> თ. ჟორდანიას, „Абхазские каталикосы“ 9, ქრონიკები II, 88—90.

<sup>3</sup> ველწიფის კარის გარიგება, წინასიტყვაობა, V.

<sup>4</sup> საისტორიო მთაბე, II, 1925 წ., 125—130.

<sup>5</sup> Н. Я. Марр, Ист. очерк Груз. церкви с древн. времен. Церк. ведомости, № 3, 1907 г., გვ. 121, 137.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> კ-ლი მეცნიერი შეცდომაში შეუყვანია ძველის გამომცემელს, განსვ. თ. ჟორდანიას ხელნაწერებში—იხ. № № 631 (ყოფ. 379) და 7645 (ყოფ. 378) საქ. ცენტრარქივისა—ორივეში ოქროპირი ქართლის კათალიკოზს უწოდებს თავის თავს: „მეცა გლახაკსა ქეს შრ. ქ: ცხსა ოქროპირს ჩემითა ქელითა დამიწერია“... ეს ოქროპირი ქ-ჩი ბაგრატ კურაპალატთან ერთად მოიხსენიება ფოკანის (ჯავახეთში) ეკლესიის წარწერაში. კარიბჭის ორივე მხარეს ასომთავრული ამბთურცილი. მარჯვნივ: ქე ძო || დასტყო დ || სთო ადე მ || ოვნე ოქრ || ოპირ ქრთლ || საკთალკზ || ი ორთავ || ეშნა ცხრ || ებთა ან. მარცხნივ: ქე ადღებგ || რა კორპლტი. ცხადია, ეს იოანე ოქროპირი მეღქიხედის შემკვიდრე ქართლის კათალიკოზია და ამიტომაც ამტკიცებს მეღქიხედის სიგელს უკანასკნელის გარდაცვალების შემდგომ. მეღქიხედე ქართლის კათალიკოზის მცხეთისადმი „დაწერილში“ აფხაზეთის კათალიკოზი მართლაც მოიხსენება, მაგრამ ის ოქროპირი არაა. ამის შესახებ ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქ. მუხ. მთაბე, ტ. VI, 260.



ოქის პატრიარქისადმი ქართული ეკლესიის თვითმწყობის უფლებიანობის შესახებ, რომლიდანაც ყოველ ექვს გარეშე ჩანს, რომ ამ დროის (ე. ი. XI ს-ში) ლიხთ-ამერ-იმერეთის ეკლესიები უკვე დიდხანია გაერთიანებულია ერთ მთლიან ქართულ ეკლესიად ერთი უზენაესი მეთაურის ხელქვეშ; 3. ს-ნ აფხაზეთის კათალიკოზის მოხსენიება ერთს XII ს-ში გადაწერილ ხელნაწერში<sup>1</sup> (აფხაზეთის კ-ის XIII საუკუნემდის არსებობას აღსატურებს თვით მისი წოდება: „აფხაზეთის კათალიკოზი“. XIII ს-ში ახლად დაარსებული მეთაური დას. საქართ. ეკლესიისა ასეთ სახელს ვერ მიიღებდა. მას „იმერთა კ-ი“ დაერქმეოდა და მისი ტახტი აფხაზეთში—ბიჭვინტაში კი არა, არამედ ქუთაისში იქნებოდა). ზემოხსენებული სამი ძირითადი ცნობის სინამდვილის აღიარების შემდგომ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ, რის შემდეგ დ. ს. ეკლესიის თავგადასავალის მთავარი ხაზის ლოგიკური სქემა ისტორიული სინამდვილის იერს მოკლებული არ იქნება. ეს „ერთი რამ“ გახლავთ საკითხი: ვინ იყო გაერთიანებული საქართველოს ეკლესიის უზენაესი მეთაური? აქ სრულიად მართალია აკად. ნიკო მარი, რომლის აზრით აფხაზეთა კ-ი იყო ადგილობრივი კ-ი და ემორჩილებოდა ქართლის კათალიკოზს<sup>2</sup>. უკანასკნელს „ყოველისა საქართველომსა მამამთავარი“ ეწოდებოდა<sup>3</sup>. ამრიგად, IX ს-ის მეორე ნახევარში კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსაგან განთავისუფლებული ლიხთიმერეთის ეკლესიები XI ს-ში უკვე მცხეთის საკათალიკოზო სამწყსოში შედიან. რა მიზეზით და როგორ მოხდა ეს მოვლენა?

როგორც ტექტიკონებიდან ჩანს, ლიხთიმერეთი ეკლესიურად კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ხელ-ქვეშ ერთს ორგანიზაციას არ წარმოადგენდა. ფოთის სამიტროპოლიტო, სებასტოპოლის საარქიეპისკოპოზო და ნიკოფსის საარქიეპისკოპოზო ერთიმეორისაგან სრულიად დამოუკიდებელი ერთეულები იყო. პატივით ამათ შორის ფოთის (ლაზიკის) მიტროპოლიტი უფრო მაღლა იდგა; მას ოთხი საე-

<sup>1</sup> „ახალციხური ტყავის სახარება XII საუკ.“—იხ. თ. ქორდანიანი, ქრთნ. II, 88—90; კოლგა ს. ჯანაშიას თავაზიანი დახმარებით ჩვენ საშუალება მოგვეცა გვეჩანა ეს ძვირფასი ხელნაწერი და გულდასმით გავვესინჯა მისი შინაწერები. სამწუხაროდ, დროს განსახლდრულობისა და ჩვენი იმ დროს მოუტყულოების გამო ხელნაწერის ტექსტის შინაგანი შესწავლა, მისი დათარიღების მიზნით, ვერ მოვასწარიტ (ტექსტის სანიმუშო ადგილისა და ყველა შინაწერთა ფოტოსურათები გადავავლებინეთ და აწინახება საქ. საისტ. საეთნ. საზ-ში. თვით ხელნაწერი კუთვნილებისამებრ დაუბრუნდა მეს-გვარამაძეს ახალციხეში). ხსენებულ შინაწერებზე და ტექსტზე დაკვირვებიდან ჩვენი დასკვნაა: წიგნის გადამწერი საბა, წიგნის მომგები გიორგი ხუციყ-მონაზონი და უკანასკნელის გამზრდელი აფხაზეთის კათალიკოზი სუმენი ურთიერთის თანამედროვენი არიან, წიგნი გადაწერილია საბაჰს მიერ არა უგვიანეს XII ს-ის პირველი ნახევარისა. დამწერლობის ხასიათის მიხედვით სხვა დასკვნის მიღება, ვფიქრობთ, შეუძლებელია. ამასვე ადასტურებს მომგებლის გამოთქმა: „... ლირს მყავ მე... გ“... მოგებად... ამის სახარებისა ახლისა“... „ახალი“ ეწოდებოდა გ“ მთაწმიდელის მიერ ბერძნული სახარებისადმი შეწამებულს და გასწორებულს სახარების რედაქციას. ვეკვობთ, XIII ს-ში და შემდგომ ეს ტერმინი ამ რედაქციის მიმართ ცოცხალი დარჩენილიყო.

<sup>2</sup> Н. М а р р, История. очерк Груз. церквн... Церковные ведомости, 1907, № 3, 137.

<sup>3</sup> ქრთნ. 62, 70. ქართლის კ-ის ასეთი წოდებულობა ისეთ ოფიციალურ დოკუმენტში, როგორც არის რუის-ურბნისის საეკლ. კრების ძეგლის წერა, თავის მხრით ადასტურებს, რომ ქართლის კ-ს „სრულიად საქართველოზე“ მიუწვდებოდა ხელი.



პისკოპოსო ემორჩილებოდა. არც სებასტოპოლის (აფხაზეთის) და არც ნიკოფსის (ჯიქთა) არქიეპისკოპოსებს ხელქვეითი ეპისკოპოსები არა ჰყოლიათ<sup>1</sup>. ყველა ესენი, სხვადასხვა დროს და პირობებში წარმოშობილნი, შეფარდებული იყვნენ იმ პოლიტიკურ პირობებთან, როგორც მათი წარმოშობა-ჩამოყალიბების ეპოს ამ ქვეყანაში არსებობდა. ბიზანტიის პოლიტიკური, ხოლო კონსტანტ. საპატრიარქოს საეკლესიო ბატონობის დროს არ არსებობდა ნიადაგი ლიხთიმერეთის ეკლესიათა გაერთიანებისათვის. არც სახელმწიფო და არც საპატრიარქო ამაში დაინტერესებული არ შეიძლება ყოფილიყვნენ. მხოლოდ ლიხთიმერეთის პოლიტიკური განთავისუფლებისა და მისი ერთ სახელმწიფო ერთეულად გარდაქმნის შემდეგ ამ ქვეყნის ეკლესიათა გაერთიანება-განთავისუფლება მორიგ საკითხად უნდა ქცეულიყო. მთლიანი სახელმწიფო ასეთივე ერთიანი საეკლესიო ორგანიზაციის საკმაო საფუძველი იყო.

რომ საკითხი ასე მარტივად მდგარიყო, უეჭველია, საბოლოოდ ჩვენ მივიღებდით ლიხთიმერეთის („აფხაზეთის“) ბერძნულ ეკლესიას თავისი სრულიად დამოუკიდებელი ან კიდევ ფორმალურად კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსაგან რამდენადმე დამოკიდებული მეთაურით. მაგრამ მდგომარეობას მცხეთის საკ-ხო ართულებდა. მას, როგორც აღვნიშნეთ, ძველიდანვე მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული ამ ქვეყანაში. უკვე ბიზანტიის ბატონობის ეპოსაც კი შეუძლებელია ქართული მღვდელთმსახურება აქ, ნაწილობრივ მაინც, არ ყოფილიყოს გავრცელებული, უმთავრესად, ლაზიკის სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხარეებში. გარდა ამისა, აფხაზთა მეფეებმა იბერიისა და, მაშ, მცხეთის სამწყსოს მოზრდილი ნაწილი სკანდა-შორაპნის ხაზსა და ლიხს შუა იმთავითვე თავის პოლიტიკურ საბრძანებელში მოაქციეს. ყველა ამის გამო აფხაზთა მეფეები იძულებული იყვნენ სათანადო ანგარიში გაეწიათ ქართული ეკლესიის ინტერესებისათვის ამ ქვეყანაში.

პირველ ხანებში, საფიქრებელია, პოლიტიკურად ჯერ წყლმომუხამარებელი აფხაზეთის მეფეები მოერიდებოდნენ საეკლესიო საკითხის გამწვავებას და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მხოლოდ საეკლესიო გაერთიანების დასტურს მოსთხოვდნენ. არც საპატრიარქო უნდა წასულიყო ამის წინააღმდეგ: ბიზანტიის პოლიტიკური მარცხი ამ ქვეყანაში და მცხეთის საკათალიკოსოს საშიში შეტოქეობა საკმაოდ დამაჯერებელი საბუთები უნდა ყოფილიყო საამისოდ. ლიხთიმერეთის ეკლესიათა ასეთი გაერთიანება აფხაზეთის ავტოკეფალური არქიეპისკოპოსის მეთაურობით უნდა მომხდარიყო. ამას გვაფიქრებინებს: 1. აფხაზეთის პოლიტიკური ძლიერება და მისი მოთავეობა ლიხთიმერეთის გაერთიანების საქმეში, 2. სამეფო დინასტიის აფხაზეთიდან გამოსულობა და 3. ლაზიკის პოლიტიკური სისუსტე. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროიდანვე ეწოდა აფხაზეთის არქიეპისკოპოსს „კათალიკოზი“: მისდამი მიტროპოლიტისა (ფოთის) და არქიეპისკოპოსის (ნიკოფსის) დაქვემდებარების შემდგომ შეუძლებელია მას მხოლოდ ძველი პატივი და წოდება შერჩენოდა. რასაკვირველია, აფხაზეთის ეს ახალი საკათალიკოზო პირველ ხანებში, საპატრიარქოსაგან ასე თუ ისე

<sup>1</sup> Codinus, ვენეტიკის გამოცემა გვ. 291; Скабаланович, op. cit. გვ. 418.



დამოკიდებული, ოფიციალურად ბერძნული ეკლესია იყო. მაგრამ ასეთი მდგომარეობა მყარი და საბოლოო ვერ იქნებოდა. არც ლაზთა ეკლესიის მეთაური (ფოთის მიტროპოლიტი) და არც მცხეთის ტახტი ამით კმაყოფილი არ უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ თუ პირველის უკმაყოფილება მხოლოდ უფროს-უმცროსობის ნიადაგზე აღმოცენებული შეიძლებოდა ყოფილიყო, მცხეთის ტახტის უკმაყოფილება უფრო ღრმა და პრინციპული ხასიათის იყო: მცხეთას ქართული ეკლესია შეჭჭონდა მოძმე ქვეყანაში და ბერძნული ეკლესიის ყოველგვარ სახეს აქ უარჰყოფდა. კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს კანონიკური საფუძვლები, ბერძნული ეკლესიის ტრადიცია და აფხაზთა კ-ზევის ინტერესების თანხმობა ლიხთიმერეთის დამპყრობელ აფხაზთა მთავრების პოლიტიკურ ინტერესებთან საკმაო საფუძველს ჰქმნიდნენ ლიხთიმერეთის ეკლესიის ასეთი ორგანიზაციისათვის პირველ ხანებში.

მაგრამ ლიხთიმერეთის დაპყრობით აფხაზთა მეფეები დიდი ხნით არ დამკაყოფილებულან. ჩქარა ისინი აქტიურად ჩაებნენ დიდსა და ხანგრძლივ პოლიტიკურ ბრძოლაში, რომელიც მთელი საქართველოს ერთ ფეოდალურ მონარქიად გარდაქმნას ჰგულისხმობდა.

ამ საქმეში მეგრძოლი მხარეებისათვის მცხეთის ტახტის პოზიცია დიდმნიშვნელოვანი იყო. ამიტომ აფხაზთ მეფეებიც, უმჯველია, ეცდებოდნენ ამ ძვირფას მოკავშირის მიმზრობას. ამიერიდან მცხეთის საკათალიკოსოსა და აფხაზთა მეფეებს შორის სრული შეთანხმება უნდა მომხდარიყო. მცხეთა ლიხთიმერეთის კულტურულ-რელიგიური გაერთიანება-შემოერთებისათვის მიიწვედა, აფხაზთ მეფეები კი იმერ-ამერეთის პოლიტიკურ მთლიანობას უყრიდნენ საფუძველს. აფხაზთ მეფეები პოლიტიკურ მთლიანობას ქმნიდნენ, მცხეთა კი ამ პოლიტიკურ მთლიანობას ერთს და მთლიან კულტურულ შინაარსს აძლევდა: „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების. ხოლო კვრიელესონი ბერძულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: უფალო წყალობა ყავ, გინა თუ: უფალო შეგვიწყალებ“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> გრიგოლ ხანძთელის ცხროებაჲ, ნ. მარის გამოცემა, **ტ. I** 5—8. მოყვანილ ამონაწერში აკად. ნ. მარი ჰხედავს „намет на то, что грузинский язык в Кларджи был лишь церковным, а не разговорною речью всего населения, даже в половине X-го века, когда писал Георгий Мерчуа“. *ibid.*, введение, § 14. შეიძლება კლარჯეთში მართლაც იყო ამ დროს (X ს-ში) მოსახლეობის არა ქართულ ენაზე მოსაუბრე მცირე ნაწილი, მაგრამ ამის მაჩვენებლად მერჩულიესული „ქართლის“ განმარტება, ვფიქრობთ, მოსატანი არაა. უკანასკნელი არც კულტურულ-პოლიტიკური განმარტებაა, არამედ მხოლოდ კულტურული. საქმე ისაა, რომ მერჩული მოგვითხრობს მირონის კორონების „ქართლში“ განწყობების შესახებ იერუსალიმის პატრიარქის მიერ IX ს-ის პირველ ნახევარში და აქვე განმარტავს: „არამედ ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების“... და სხვ. ამ განმარტებით მერჩულს სურს აღნიშნოს, თუ სად უნდა იხმარებოდეს „ქართლში“ (მცხეთაში) ნაკურთხი მირონი. ამ მხრით კლარჯეთი მისთვის სადაო არ არის. ეს ქვეყანა უკვე დიდი ხანია მცხეთის სამწყსოში შედის. ამის უმჯველი საბუთია ჯავახეთის საეკლესიო კრება (IX ს-ის შუა წლებში). აქ კარგა ხანია კულტურული „ქართლია“ და მცხეთას ნაკურთხი მირონიც აქ სავალდებულოა. სადათა სულ სხვა მხარე და სწორედ ისა აქვს მხედველობაში მერჩულს თავისი საინტერესო განმარტების დროს. ასეთი მხარე



ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ქართულსა და ბერძულ ეკლესიებს შორის ბრძოლა ლიხთიმერეთში თავის გადამწყვეტ ფაზაში უნდა შესულიყო. აფხაზეთის კათალიკოზი, როგორც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ხელისუფალი, უეჭველია, ბერძნული ეკლესიის მომხრედ გამოდიოდა. ამიერიდან თანხმობა ლიხთიმერეთის საერო და სასულიერო უმაღლეს ხელისუფალთ შორის უნდა დარღვეულიყო.

აფხაზთა მეფეები მცხეთის თანხმობით და მასზე დაყრდნობით ქმნიან ახალ (ქართულ) საეპისკოპოსოებს ძველების გვერდით და მათ ნაცვლად და, ამგვარად, კანონიკური საფუძვლების დაურღვეველად საბოლოოდ აქრობენ მოსახლეობისათვის უცხო ბერძნულ ეკლესიას. „მატიანე ქართლისაჲ“-ს მცირე ცნობები აფხაზთ მეფეების საეკლესიო პოლიტიკის შესახებ, ამ მხრით გაგებულნი, მეტად საინტერესოა. გიორგი აფხაზთ მეფე (912—957)... „იყო მამუნებელი ეკლესიათა... აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეპისკოპოსოდ და განაშუენა იგი (ქ'ცა უმატებს: ნაწილთა) სიმრავლითა წმიდათა მარტვილთა“<sup>1</sup>. გიორგის ძემ ლეონ აფხაზთ მეფემ (957—967) „აღაშენა ეკლესია მოქვისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებითა“<sup>2</sup>. ბაგრატ III (978—1014) აფხაზთა მეფემ და ქართველთა კურაპალატმა: — „აღაშენა საყდარი ბედიისა, შექმნა საეფისკოპოსოდ მოცვალა: გუდასი საეფისკოპოსო... აკურთხა და დასუა ეპისკოპოსი... ამანვე ბაგრატ აკურთხა ეკლესია ქუთათისა განგებითა დიდითა და მიუწოდემელითა, რამეთუ ამან შემოკრიბნა მახლობელი ყოველი ჯელმწიფენი, კათალიკოზნი, მიუდღელთ მოძღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი და სხუათა ყოველთა საჯელმწიფოთანი“<sup>3</sup>.

„აფხაზეთია“. აქ იყო სადაო იერუსალიმით მოტიანილი ან მცხეთაში ნაკურთხი მირონის ხმარება: აქამდის აქ, რათქმაუნდა, მირონი კონსტანტინეპოლით მოჭქონდათ. გიორგის დებულება ფრიად საინტერესოა. ის მცხეთის თვალსაზრისს მკაფიოდ გადმოგვცემს. მცხეთა ჯერ ენობრივად (ეთნიკურ ელემენტზე დაყრდნობით) შეიჭრა ლიხთიმერეთში, ხოლო შემდეგ, როგორც ჩანს, ეს საინტერესო ფორმულა წამოაყენა თავისი ორგანიზაციული გაბატონების დასასაფუძვლებლად: „ქართლია“ იქ, სადაც მღვდელთმსახურება ქართულ ენაზე (მხოლოდ კვირიელღვსონი შეიძლება ბერძნულად). მირონის კურთხევა „ქართლს“ განეწესა. მაშ ქართლს ნაკურთხი მირონი სავალდებულოა ყველა იმ ეკლესიისათვის, სადაც მღვდელთმსახურება ქართულ ენაზეა. ცხადია, მცხეთის საკათალიკოზოს მხრით ეს არის კანონიკური საფუძვლების დაცვით კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ლიხთიმერეთის ეკლესიაზე ორგანიზაციულად გაბატონების მიზნით.

ყველა დანარჩენი ძვირფასი შენიშვნა აკად. ნიკო მარისა ენობრივი სხვაობისა თუ კვირიელღვსონისა და ბერძნული მღვდელთმსახურების ნაშთების შესახებ საგსებით ეთანხმება სწორედ ლიხთიმერეთის სინამდვილეს, როგორც ამას არა ერთგზის აღნიშნავს პ-ლი მეცნიერი სხვადასხვა ადგილას.

<sup>1</sup> მ-შ დფ-ლსი ქ'ცა, 229.

<sup>2</sup> იქვე, 223.

<sup>3</sup> მ-შ დფ-ლსი ქ'ცა, 245.



და ყველა ეს ერთი საუკუნის სიგრძეზე, სახელდობრ მე-10-ე საუკუნეში. რათქმუნდა, ჩვენი ეს ცნობები მეფეთა მიერ ეკლესიათა მშენებლობის შესახებ სრული არ არის. ამას მოწმობს თუნდაც ბიჭვინტის ტაძრის გადაკეთება (თუ აგება) X საუკუნეში ქართული ხუროთმოძღვრული სტილით<sup>1</sup>. ჩვენს სიტყვაძვირ მემკვიდრის მხოლოდ ერთხელ წამოსცდა მეტად საინტერესო და დამახასიათებელი ცნობა: ბაგრატიმ ააგო ბედისის ტაძარი და იქ გადმოიტანა („მოცვალა“) „გადი-სი (ქცა: გუდაყვისა) საეფესკობოსო“. გუდაყვა (გუდავა?) კი ერთი XI—XII ს-ში გადაწერილი სუნაქსარის ცნობით, არის ბერძნული ზილანოს<sup>2</sup>. ბერძნული ტაქტიკონებიდან ჩვენ ვიცით, რომ სწორედ ეს ქალაქი იყო საჯდომი ლაზიკის მიტროპოლიტის ერთ-ერთი ხელქვეშე ეპისკოპოსისა, რომელსაც *რწჷს ზუჯაჯასა [ჯუჯაჯასა, რ წჯაჯასა, რ წჯჯუჯასა]* ეწოდებოდა. აქ დაცული უნდა გვექნოდეს ცნობა იმისა, თუ როგორ აუქმებდნენ აფხაზთა მეფეები ბერძნულ საეპისკოპოსოებს და მათ მაგივრად ქმნიდნენ ქართულს.

მეათე საუკუნის დასასრულს ლიხთიმურეთის საეკლესიო რეფორმა დასრულებული ჩანს. გაქრა ბერძნული ეკლესია და მისი იერარქია. შეიქმნა ქართული იერარქია, რომლის უმაღლესი მეთაური აფხ. კათალიკოზი ქართლის კათალიკოზს დაემორჩილა. უკანასკნელი „ყოვლისა საქართველოჲსა მამათმთავარი“ (პატრიარქი) შეიქმნა, როგორც ის საგანგებოდ წოდებულია რუის-ურბნისის ძეგლის წერაში<sup>3</sup>.

საფიქრებელია, რომ აფხ. კ-ზის მნიშვნელობა ერთობ დამცირდა დავით აღმაშენებლის დროს და ამ მეფის საეკლესიო პოლიტიკის წყალობით. დამახასიათებელია, რომ რუის-ურბნისის ძეგლის წერაში აფხ. კ-ზი მოხსენებული არ არის, მაშინ როცა დავითის ისტორიკოსის სიტყვებიდან ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ აღნიშნულ კრებაზე აფხ. კ-ზი მონაწილეობდა. დავითმაო... „შემოკრიბა კრება ერი მრავალი, რამეთუ სამეფოსა თჳსისა კათალიკოზნი, მღუდელთმთავარნი, მეუღანბოენი, მოძღუარნი და მეციერნი შემოკრიბნა წინაშე მათსა ეამსა და ადგილსა ჯეროვანსა“<sup>4</sup>. ამის შემდეგ XIII საუკუნემდის აფხაზეთის კ-ზი აღარ იხსენიება ისეთ ძეგლებშიც კი, სადაც მისი მოხსენება მოსალოდნელი იყო<sup>5</sup>. მაგრამ ამავდროულად ამავედროს ჩვენს ამოცანას სცილდება.

შემთხვევითი არაა, რომ სწორედ იმ დროს, როცა აფხ. კ-ზის მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო ეცემოდა, ჭყონდიდელის პატივი და მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

თავიანთი საეკლესიო პოლიტიკის გატარების დროს აფხაზთა მეფეები, ბუნებრივია, უბრძვლეს ყოვლისა მათ მიერვე შექმნილ საეპისკოპოსოების მმართველთა დაეყრდნობოდნენ. ასეთ საეპისკოპოსოთაგან უძველესი ჭყონდიდლისა იყო. გიორგი აფხაზთა მეფემ ჭყონდიდის საეპისკოპოსო შექმნა X საუკუნის

<sup>1</sup> Христ. Древности Крыма, Кавказа и Киева, გვ. 61.

<sup>2</sup> უწ. სიძ. მუხ. ხელნ. № 97, გვ. 436.

<sup>3</sup> ქრონიკები II, გვ. 62, 70.

<sup>4</sup> მშ დ ფ ლ ს ი ქ ც ა, 291.

<sup>5</sup> ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, წინასიტყვაობა არსენი ჭყონდიდლის სიგლის გამოც., საისტ. მოამბე, II, 1925, გვ. 125—130.

პირველ ნახევარში<sup>1</sup>. მისი იმთავითვე ქართულობა ყოველ ექვს გარეშეა. ცნობილია ჭყონდიდის ერთი პირველთაგანი ეპისკოპოზი ქართველი საეკლესიო მოღვაწე და მწერალი<sup>2</sup>.

ჩვენ არ ვიცით, იმთავითვე სამთავარეპისკოპოსოდ იქნა ჭყონდიდი თუ არა (სტეფანე სანანოას-ძის მარტივად ეპისკოპოზად წოდება კიდევ არ არის ამის გადამწყვეტი მოწმობა). ცხადია მხოლოდ, რომ უკვე ბაგრატ IV დროს ის სამთავარეპისკოპოზოა და პირველი სამღვდელთმთავრო (აფხ. კ-ზის შემდეგ) ლიხთიმერეთში. ამ დროს უკვე ფოთის სამიტროპოლიტო გამქრალია და მისი პატივი ჭყონდიდელზეა გადმოსული. შემდეგდროინდელი წოდება პროტო-ზპერტიმოსისა ჭყონდიდელს, შესაძლებელია, სხვა გარემოებასთან დაკავშირებით ჭყონდეს მინიჭებული. როგორც ფოთის მიტროპოლიტის მემკვიდრე, ის მხოლოდ ზპერტიმოსის პატივის მატარებელი შეიძლებოდა ყოფილიყო<sup>3</sup>.

აფხაზთ მეფეთა საეკლესიო პოლიტიკის წყალობით შექმნილი და აღზევებული ჭყონდიდელი საეკლესიო დამოკიდებული იყო სწორედ ამ პოლიტიკის გამარჯვებისაგან: ფოთის მიტროპოლიტი (პირველ ხანებში) და აფხ. კათალიკოზი საკმაოდ საშიშარნი იყვნენ ახალი იერარქისათვის. აქ შეიძლება ვეძიოთ მიზეზი ჭყონდიდელის განსაკუთრებული სანდოობისა. ის არც შეიძლებოდა მეფის პოლიტიკის მომხრე არ ყოფილიყო და ეს არა მარტო საეკლესიო საკითხში, არამედ საეროდ: ჭყონდიდლის ბედი, როგორც საეკლესიო იერარქისა, განუყოფლად დაკავშირებული იყო თვით მეფის ხელისუფლების არსებასთან, მის სიძლიერე-სისუსტესთან. ამით ჭყონდიდელი არსებითად განსხვავდებოდა ჩვეულებრივ ეპისკოპოსთაგან.

ბაგრატ IV მწარედ იგემა საეკლესიო იერარქთაგანაც თავისი დროის პოლიტიკური წყობის ნაყოფი. არა ერთი ეპისკოპოსი გადაუდგა მას და გადამწყვეტი ბრძოლის დროს შინაურს (დიდგვარიანს) თუ უცხო მტერს მიემხრო<sup>4</sup>. არც დავით აღმაშენებელს აკლდა ასეთი გაკვეთილები<sup>5</sup>. დიდგვარიანთა პოლიტიკური შეხედულებანი ამ დროს არა მარტო საერო ფეოდალების უმადლეს ფენას ახასიათებდა, აქ დიდგვარიანებს გვერდში უდგა ეკლესიის უმადლესი იერარქიაც. საინტერესოა, რომ ეკლესიის რეფორმებისათვის მებრძოლმა გიორგი მთაწმინდელმა „აღლესა მახული“ არა იმ მხრით, რომ ეკლესია საერო ხელისუფლების ჩარევა-გავლენისაგან საეკლესიო განთავისუფლებულიყო (სწორედ ასეთი მოძრაობა იყო ამ დროს დასავლ. ევროპაში), არამედ თვით

<sup>1</sup> შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ გიორგი II დაიწყო ბერძნული იერარქიის საწინააღმდეგო აქტიური საეკლესიო პოლიტიკა ლიხთ-იმერეთში. ამ ნიადაგზე, გასაგები ხდება ამ მეფის ის ქება-დიდება, რომლისთვისაც სიტყვებს არ ჰზოგავს ჩვენი ჩვეულებრივ სიტყვადერი მემბრებიანე. შ. მ. დფ. ლსი ქ. ცა, 229.

<sup>2</sup> პროფ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია I, 176—180.

<sup>3</sup> Codinus... 349, De ordine thronorum metropolitanorum.... M. Brosset, Voyage archeol. I, rapp. 45

<sup>4</sup> შ. მ. დფ. ლსი ქ. ცა, გვ. 254, 262.

<sup>5</sup> თ. უორდანიი, ისტ. საბ. შიომღვიმის მონასტრისა, 15.



მეფისაგან მოითხოვდა ზომების მიღებას ეკლესიაში გაბატონებულ უკუღმართობათა აღსაკვეთად. ჩანს, IX—X ს. გაბატონებული შეხედულება საერო ხელისუფლებისაგან ეკლესიის სრული დამოუკიდებლობის შესახებ ეხლა მხოლოდ სანატრელი მოგონების საგანი იყო საეკლესიო მოღვაწეთათვის. ის ეხლა არც გამოდგებოდა: დიდგვარიანულ ტენდენციებს ისე ღრმად და ძლიერად ჰქონდა საეკლესიო იერარქიაში ფესვი მოკიდებული, რომ ეკლესიის რეფორმების მომხრეებს ამ ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა ისევ მეფის ძლიერი დახმარებით თუ შეეძლოთ. ამიტომაც იყო, რომ მეფეს მიჰმართავდა „მზილებათა მახვლის აღლესით“ ამ დროს ქართული ეკლესიის უდიდესი წარმომადგენელი.

დიდგვარიან აზნაურთა პოლიტიკური ზრახვების წინააღმდეგ მებრძოლი ცენტრალური ხელისუფლება იძულებული იყო ეს ბრძოლა საერო ცხოვრების ასპარეზიდან საეკლესიო სფეროშიც გადაეტანა, რის შედეგად აუცილებლად უნდა გაფართოებულიყო ეკლესიაზე ცენტრალური ხელისუფლების გავლენა. სხვა გვარად არც შეიძლება: სახელმწიფო ცენტრალიზმისთვის მებრძოლი მეფის ხელისუფლება თავის უშუალო მეთვალყურეობის გარეშე ვერ დასტოვებდა ისეთ ძლიერსა და მნიშვნელოვან ორგანიზაციას, როგორც ეკლესია იყო და რომელიც დიდგვარიან აზნაურთა ერთგულ მოკავშირედ გადაქცეულიყო<sup>1</sup>.

დავით აღმაშენებელმა ეს საქმეც თავისი პოლიტიკური მიზნების შესაბამისად გადაჭრა: ეკლესია „აევაზათაგან“ გაათავისუფლა, მისი მართვა-გამგეობა საეკლესიო ხელისუფლებას დაუტოვა, ხოლო უკანასკნელზე უშუალო ზეგავლენის მიზნით ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ინსტიტუტი დააკანონა.

მწიგნობართუხუცესი, როგორც მეფის ხელისუფლების წარმომადგენელი მონაზონი, უქვევლია, დავით აღმაშენებელამდისაც არ იყო უტყობი საეკლესიო საკითხებში მონაწილეობისაგან (ღრტილას კრება შეიძლება საამისო საბუთად გამოდგეს), მაგრამ მისი გავლენა საეკლესიო საქმეებზე იმდენადვე მცირე და უმნიშვნელო იყო, რამდენადაც თვით ის ხელისუფლება, ვისი წარმომადგენელიც იმ დროს ის იყო.

სულ სხვა იყო დავითის დროს. ეხლა „ყოვლისა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან კანონსა უტეთომელსა და ყოვლად შუენიერსა“. შექმნილ პირობებში მწიგნობართუხუცესად უბრალო მონაზონი უნერხული იყო<sup>2</sup>. საჭირო იყო მაღალი იერარქი, მეფის ხელისუფლების ერთგული და მისი ინტერესების გამტარებელი. ასეთი იყო სწორედ ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი. ის იყო უწარჩინებულესი დას. საქართველოს ეპისკოპოსთ შორის. მას

<sup>1</sup> აქ მოხსენებულის გათვალისწინებით დავითის ისტორიკოსის შეიძლება რამდენადმე მართლაც გადაჭარბებული ცნობა საერო ხელისუფლების საეკლესიოზე გავლენის შესახებ თავის არსებით ნაწილში მართალი გვეჩვენება. იხ. ქ/ა, 320—321 და 325.

<sup>2</sup> მართალია, ცნობილია გიორგი მწიგნობართუხუცესის, ჯერ კიდევ უბრალო მონაზონის, დიდი როლი რუსი-ურბნისის საეკლესიო კრებაზე (რომლის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი საეკლესიო ორგანიზაციაში ფესვგადგმული დიდგვარიანული ტენდენციების აღმოკვეთა იყო), მაგრამ აქ შეიძლება ინდივიდუალურ მომენტს (გიორგის პირად ღირსებას და სხვა) მიეწერებოდეს ბევრი რამ და მეორეც: ის გარემოება, რომ საჭირო შეიქმნა სწორედ ამის შემდეგ გიორგის გატყონდიდლება, ლაპარაკობს მოყვანილი მოსახრების სასარგებლოდ.

ახასიათებდა მეფის ხელისუფლებისადმი ერთგულობის ორსაუკუნოვანი ტრადიცია და სწორედ მასზე შერჩერდა დავეითის არჩევანი. ამგვარად მოხდა გაერთიანება მწიგნობართუხუცესის ხელში უმაღლესი საერო და საეკლესიო ხელისუფლებისა<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> აკად. ნიკო მარიერთს თავის უახლეს წერილში: Происхождение терминов „книга“ и „письмо“ в освещении яфетической теории — ამბობს: „Мы в линии развития наших мыслей не отрицаем и не можем отрицать идеологической связи письменного или книжного дела с архаичным представлением о дереве и, следовательно, также его частях. Достаточно вспомнить, что в Грузии канцлер, ведавший письменностью, назывался Tkondid-el „Чкондилским“, т. е. происходящим из пункта с дубом-деревом отнюдь не без связи с названным деревом как культовым. см. „Книга о книге“ გვ. 57—58. პ—ლი აკად-სი შეიძლება მართალიც იყოს მოყვანილი ამონაწერის პირველ ნაწილში, მხოლოდ ამ ნაწილის დასამტკიცებლად მოყვანილი მაგალითი, ვფიქრობთ, უმართებულა. მწიგნობრობა და მწ.-უხუცესობა როგორც სახელმწიფო თუ საკარისკაცო ხელი, საუკუნეებით წინუსწრობდა ჭყონდილობას. ჭყონდილობის დაარსებისა და საქართველოს გაერთიანების შემდგომაც კი მწ.-უხუცესობას ჭყონდილობასთან მთელი საუკუნის განმავლობაში არავითარი კავშირი არა ჰქონია. ჭყონდილობის მწ.-უხუცესობასთან შეერთება, როგორც დაინახეთ, სულ სხვა ისტორიული მოვლენებისა და მიზეზების წყალობა იყო.



### 3. ჩიბაია

## სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში

### I

ქართველების ძველ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობების საკითხებზე მუშაობამ, რასაც ჩვენ კარგა ხანია ვაწარმოებთ, მოითხოვა ყურადღების გაზახვილება ხალხურ ხის ორნამენტზე. ამ მუშაობის შედეგად აღმოჩნდა, რომ ორნამენტებს ხეზე საცხოვრებელ ნაგებობის კონსტრუქციაში საბატიო ადგილი ჰქონია განკუთვნილი და გარკვეული ფუნქცია უტარებია.

პირველ რიგში ეს ითქმის იმ ხის ორნამენტების შესახებ, რომლებიც კერასთან (ცეცხლთან) არის დაკავშირებული, ხალხის უძველეს სოფლმხედველობას ამჟღავნებს და რიტუალურ დანიშნულებას ასრულებს. მუშაობის პროცესში გაირკვა, რომ ამგვარი ელემენტები მრავლად შემოუნახავს ლაზურ ორნამენტს. ერთ მათგანს აქ განხილული სიცოცხლის ხის მოტივი წარმოადგენს.

კიდევ მეტის იტყვი შეიძლება. დეტალურმა შესწავლამ გააჩვენა ლაზური ორნამენტის ელემენტების დიდი უმრავლესობის მავიურ-აპოთროპეული წარმოშობილობა<sup>1</sup>.

მაგრამ ამ ტიპის ორნამენტის თავისებურება ამითაც არ ამოიწურება. მის დამზადებას განსაკუთრებული ტექნიკა ახასიათებს: იგი უმთავრესად პლასტიკური რელიეფითაა შესრულებული. ამ ტექნიკით შესრულებულ ორნამენტი-საგან განსხვავებულია ევრეთწოდებული ხევისურული ორნამენტი. საერთოდ ხეზე ორნამენტის ამოჭრას ხევისურულად „დაჭრელება“ ეწოდება. ჩვენს მთაში დაჭრელების სამგვარი სახე არსებობს: „ამოლარვა“, „ნუფუკვი“ და „ცერი“. დაჭრელების ეს სამი სახე არსებითად ორნამენტის ამოჭრის ტექნიკის ერთი და იმავე წესის მხოლოდ სხვადასხვა ვარიანტია, სახელდობრ ორნამენტის გამოყვანა ჩაქრით. ამ ტიპის ორნამენტი უმთავრესად გეომეტრიული სახეებითაა წარმოდგენილი.

გარდა ზემოთქმულისა ამ ორნამენტისათვის დამახასიათებელია აგრეთვე დასაჭრელებელი არეს გამოყენებისადმი არათავისუფალი მიდგომა.

<sup>1</sup> შდრ. ბარდაველიძე და ჩიბაია, ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევისურული, ტფილისი 1939, გვ. 17.

რამდენადაც ხალხური ორნამენტის ეს ტიპი შედარებით უკეთ ხევესურულ მასალაზეა შესწავლილი, ამდენად მას, რასაკვირველია პირობითად, „ხევესურულს“ ვუწოდებთ; არსებითად ის მთური ორნამენტის ტიპია, რადგანაც იგი ფართოდ შემონახულია მთიელების ეთნოგრაფიულ სინამდვილეში და უპირატესად მათთვისაა დამახასიათებელი<sup>1</sup>.

ქართული ხალხური ხის ორნამენტის მეორე ტიპი უმთავრესად მცენარეებისა და ცხოველების სახეებითაა წარმოდგენილი. იგი მეტწილად საქართველოს ბარშია დაცული. მას ჩვენ ვხვდებით ლაზეთიდან მოყოლებული დასავლეთ საქართველოსა და ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოს ბარში.

ამ ტიპის ორნამენტებში უმთავრესად შემდეგი სახეებია მოცემული: ვაზი, ხე, ყვავილი, ლომი, ფრინველი და სხვ. ორნამენტის ეს ტიპიც თავისი მოტივების წარმოშობით უძველეს კულტურას ეკუთვნის და ძველი ტრადიციიდან მო-



სურ. 1. ლაზური ორნამენტი (ს. წინწყარო).

დინარეობს. ამასთანავე, ორნამენტის ეს ტიპი, ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული, მაღალი ტექნიკით არის შესრულებული (სურ. 1).

ზოგიერთ შემთხვევაში ორნამენტი ორმაგ და სამმაგ სიბრტყის ფენებშია ამოკვეთილი. ყოველივე ამას ერთვის არც გამოყენებისადმი თავისუფალი მიდგომა. ამ შემთხვევაში ოსტატი დიდსა და პატარა არც ადვილად უმორჩილებს თავის ზრახვებს და დაუბრკოლებლად იყენებს მას.

რამდენადაც ხალხური ორნამენტის ეს ტიპი შედარებით უკეთ ლაზურ მასალაზეა შესწავლილი და ხალხშიც ლაზური („თათრული“) ეწოდება, ამდენად ამ ტიპის ორნამენტს, რასაკვირველია, აქაც პირობითად, „ლაზურს“ ვუწოდებთ. არსებითად ის ბარული ორნამენტის ტიპია, რადგანაც იგი ფართოდ შემონახულია ბარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში და უპირატესად ბარისათვისაა დამახასიათებელი. მაგრამ ამ ტიპის ორნამენტს ლაზური ეწოდება სხვა მოტივების გამოც.

ლაზების შესახებ ვახუშტის საქართველოს გეოგრაფიულ აღწერილობაში ნათქვამია:

<sup>1</sup> ბარდაველიძე და ჩიტაია, *op. cit.*, გვ. 27.



„კაცნი არიან კელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთათა, დიდთა და მცირეთა“<sup>1</sup>. ეს ცნობა, რომელიც სავსებით გარკვეულ ხანას და სანდო ავტორის კალამს ეკუთვნის, შეიცავს ისეთ ფაქტს, რომელიც, ერთი მხრით, გული-სხმობს ლაზებისათვის ხის მუშაკობის ტრადიციების არსებობას აქ მოტანილი ცნობის თარიღზე გაცილებით ადრინდელ ხანაში, ხოლო, მეორე მხრით, იგივე ცნობა სრულ გამართლებას პოულობს ვახუშტის მომდევნო პერიოდში.

მართლაც, მთელ დასავლეთ საქართველოში, ისე როგორც სამხრეთ საქართველოში და ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოშიც, მე-19 საუკუნის მანძილზე და მე-20 საუკუნის დასაწყისში ლაზები საუკეთესო ხის ოსტატებად, ხუროებად და ხის ნაგებობის საუკეთესო უსტებად იყვნენ მიჩნეულნი. მათ მიერ ნაგები სახლები, ჯამბეები და ეკლესიები დღემდე მოღწეული. ამ ნაგებობებიდან ზოგიერთს წარწერაც კი აქვს შემონახული მათი ამგების სახელის, გვარისა და სადაურობის აღნიშვნით. მაგ., მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ხანში ერთ-ერთს, აგებისა და ორნამენტების მხრივ შესანიშნავს, სახლს აქვს წარწერა ქართულ და თურქულ ენებზე. ქართული წარწერა იკითხება ასე:

„ბათომის გუბერნიის არჰავე ვეზდის ფილარგეთის მცხოვრები უსტა ომერ ეფენდი“<sup>2</sup>.

საყურადღებოა, რომ მაიაკოვსკის რაიონში სამი ძმა ლაზი ყოფილა: ომერი, ახნედი და მუსტაფა, რომელთაც მთელს ხანის-წყლის ხეობაში ლაზური სახლები უშენებიათ, მათგან ადგილობრივებსაც უსწავლიათ ხურობა და იმათ ყაიდაზე უკეთებიათ ხის ნაგებობები და ორნამენტები ხეზე.

მაგრამ ლაზების ნაკეთები ორნამენტი ხეზე დამოწმებულია არა მარტო ხანის-წყლის ხეობაში, იგი ფიქსირებულია ქობულეთში, გურია-სამეგრელოში, ქვაბლთანის ხეობაში და თრიალეთში.

თრიალეთში შემონახული ლაზური ორნამენტი მრავალმხრივ არის საყურადღებო. პირველყოფისა ის საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ადგილობრივი ლაზის მიერ არის ვაკეთებული, სხვათა შორის, დადასტურდა, რომ თრიალეთში მცხოვრები ეგრეთწოდებული „ურუმების“ ეთნიკური შემადგენლობა ნარევი ყოფილა. ადგილობრივ შეკრებილი მასალის მიხედვით ირკვევა, რომ თრიალეთელ ურუმებს შეადგენენ „გუმისხანელები“, „ოველები“, „ფასენები“ და „კროები“. ამ ჯგუფებიდან ფასენები ძველი ქართული პროვინციიდან ბასიანიდან არიან მოსულნი. საყურადღებოა აგრეთვე, რომ ფასენებში კარგად არის დაცული ქართული ტრადიციები და ქართული, კერძოდ ლაზური მატერიალური კულტურის ელემენტები (თავსაბურავის ელემენტის ერთი სახე „დაბლა“, აგრეთვე ქართული ხელნაწერები<sup>3</sup> და სხვ.).

<sup>1</sup> ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გამოც. შ. ჯანაშვილისა, გვ. 248.

<sup>2</sup> ენიმკი-ს მოამბე, ტ. II, გვ. 68.

<sup>3</sup> ახალი აღთქმის ხელნაწერები ს. წინწყაროდან და მათთან დაკავშირებული გადმოცემები, შტრ. Е. Такайшвили, Археол. экск. и разыск., кн. I; მოსივე, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი 1938, გვ. 54, აღნიშნულია, რომ სოფ. ორთისში ჯამე ხისაა, „რომლის ხის აივანი შიგნით, პატრონიკეს წინ, შემკობილია ლაზური ჩუქურთმებით ქართული რიგისა“; Н. Марр, Из поездки в Турецкий Лавистан, Изв. Р. А. Н., 1910, 7—8, გვ. 630—31.

ზემოთქმულის საფუძველზე ცხადია, რომ ურუმების (კონფესიონალური წარმოშობის სახელწოდება) ქვეშ გაერთიანებულია სხვადასხვა წარმოშობის ეთნიკური ჯგუფები: ქართველები, ბერძნები და სომხები.

მაგრამ თრიალეთის ურუმების ეთნიკური ვითარება მარტოდ-მარტო ზემოთქმულით არ ამოიწურება. საქმე იმაშია, რომ ამ ნაკრებ ეთნიკურ ერთეულში სხვათა შორის ლაზებიც ყოფილან წარმოდგენილნი. დადასტურებულია, რომ სოფელ გუნია-ყალაში მცხოვრებნი „ტურშოვ“-ები წარმოშობით ლაზები არიან. ამ სოფელში მათ საკუთარა „მაილა“ (უბანი) ჰქონიათ („ტურში გილენ მაილა“). ამთ გვარში ყოფილან საუკეთესო ხუროები, რომელთაც თრიალეთის ბევრ სოფელში შესანიშნავად მოჩუქურთმებული სახლები უკეთებიათ. მათ მიერ აგებული სახლები ჩვენ დავამოწმეთ სოფ. წინწყაროსა და გუნია-ყალაში. ჩუქურთმების ერთი ნაწილი შეძენილ იქნა წალკის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობის დროს და შემდეგ ეს კოლექცია გადაეცა საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებას, სადაც ის ამჟამად ინახება<sup>1</sup>.

თრიალეთში შემონახული ლაზური ორნამენტი მეტად მდიდარია თავისი შინაარსით და სანიმუშოა თავისი ტექნიკით და კომპოზიციით. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ორნამენტი ამოფანჯვრის (à jour) ხერხითაა შესრულებული. ასეთ ორნამენტს აქ ქვემოთ ფერადი ქსოვილი ჰქონია („ფოლგა“) დაგებული, რაც ამ ორნამენტის ტექნიკის წინა აღმოსავლეთის უძველეს კულტურის ტრადიციებს ამკლავებს და საყურადღებო ფაქტს წარმოადგენს.

ამგვარდ, როგორც ძველი ცნობა ლაზებში ხის დამუშავების მაღალი ხელოვნებას არსებობის შესახებ, ასევე ფაქტი მე-19 საუკუნის მანძილზე და მე-20 საუკუნის დასაწყისში ლაზების, როგორც საუკეთესო ოსტატების, ხუროების, არსებობის შესახებ—მიუთითებენ ლაზების მიერ ხის დამუშავების საერთოდ მაღალ ხარისხზე.

ზემოთქმული კიდევ ერთი ზედმეტი საბუთია იმისა, რომ ამ ტიპის ორნამენტს ლაზური ეწოდოს.

## II

როგორც ზემოთ ითქვა, ლაზური ორნამენტი ხეზე შეიცავს ისეთ მოტივებს, რომლებიც ძველ ტრადიციებს და ძველ სიუჟეტებს ამკლავებს. ცხადია, ეს მოტივები ზოგჯერ მოცემულია მათზე შემდეგი დროის დანალექებთან ერთად, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ისინი ძველებური სახით გამოიყურებიან და, ახალი ტექნიკით შესრულებულნი, თითქმის მთლიანად იცავენ უძველესი სიუჟეტის დეტალებს. ამგვარი, ძველი ტრადიციებიდან მომდინარე, სახეებისა და ობიექტების შემონახულობა ჩვენმა ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ არა ერთი და ორი იცის. ბევრი მათგანი უძველესი მითოლოგიიდან მომდინარეობს და ხალხის უძველეს სოფლმხედველობასთანაა დაკავშირებული.


<sup>1</sup> ექსპონირებული იყო ენიმკის ეთნოგრაფიის განყოფილების მიერ მოწყობილ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის პირველ სამეცნიერო სესიისადმი მიძღვნილ გამოფენაზე.



ლაზურ ორნამენტში ამგვარ მოტივს ეგრეთწოდებული „სიცოცხლის ხის“ მოტივი წარმოადგენს.

ეს მოტივი თრიალეთის სინამდვილეში ჩვენ გვხვდება, როგორც ხეზე, ისე ქვაზე. იგი დამოწმებულია როგორც ბუხრის შემკულობის ხის ნაწილებში, ისევე ბუხრის კამარებზე (მაგ. ასლანოვის სახლი სოფ. წინწყაროში და ტურ-შოვის სახლი სოფ. გუნია-ყალაში).

ხეზე ამოკვეთილი „სიცოცხლის ხის“ სიუჟეტი ჩვენ რამდენიმე შეგვხვდება. არისტინოვის სახლის „ოდაში“ ის ორი სახითაა მოცემული. პირველ მათგანზე წარმოდგენილია ხე—მცენარე, რომლის გვერდებზე კედლახვეული „ლომები“, ანტიპოდები გამოკვეთილი. აქვეა სიმეტრიულად გამოყვანილი ორი ექვსქიმიანი ვარსკვლავი. მეორეზე წარმოდგენილია აგრეთვე ხე და გვერდებზე „ლომები“, ანტიპოდები, კუთხეებში-კი სიმეტრიულად განლაგებული მთვარე, მზე და ორი ვარსკვლავია გამოკვეთილი (ტაბ. I).




როგორც ითქვა, სიცოცხლის ხის მოტივი თრიალეთში წარმოდგენილია სახლის იმ ნაწილში, რომელსაც აქ „ოდა“ ეწოდება. საერთოდ ურუმებში შემონახული სახლი ტიპურად შემდეგ ნაწილებს შეიცავს: „ჩარდახ“-ს, „ავლ“-ს, „ქომ“-ს, „ოდა“-ს, „ავ“-ს, „ყოუნ-ქომ“-ს და „ფურუნ“-ს. კონსტრუქციულად აქაური სახლები შემდეგი სახისანი არიან: „ყარნაუშ-ავ“, „თალარა ოდასი“, „ყარს ოდასი“, „ნახეშ ოდასი“, „მარაგ“, „იაზლუხ“, „კონახ“, „ბინა“ და „ქორ-იაფი“.

სურ. 2. ბუხრის კამარა (ს. გუნია-ყალა).

ყველაზე უფრო მეტი შემკულობა-ორნამენტები სახლის იმ ნაწილშია ჩვეულებრივ მოცემული, რომელსაც „ოდა“ ეწოდება (სურ. 3).

ოდა განკუთვნილია ოჯახისათვის საზეიმო დღეობების ჩასატარებლად, ან სტუმრის მისაღებად. ოდის აუცილებელ ატრიბუტს ბუხარი შეადგენს. უნდა ითქვას ისიც, რომ ბუხარი ლაზური სახლის ტიპში საოჯახო კულტის ცენტრს წარმოადგენს. თავისთავად ცხადია, რომ ცეცხლის კულტის ბუხართან

დაკავშირება ეკუთვნის იმ დროს, როდესაც ცეცხლის ადგილი კერიდან ბუხარში იქნა გადატანილი. ამიტომ როგორც ბუხარი, ისევე ის კედელი, რომელთანაც ბუხარია გამართული, ჩვეულებრივად კარგადაა ხოლმე შემკული. ასეთი კედელი მდიდრულად არის მორთული იმ სახლშიც, სოფ. წინწყაროში, რომელიც ნიკიფორე არისტინოვს ეკუთვნის და რომელიც აგებულია გუნიაყალელი ლაზის კონსტანტინე ტურშოვის მიერ, 1883 წელს, როგორც ამას ადასტურებს აქვე ამოკვეთილი თარიღი.



სურ. 3. ლაზური ოდის კედელი (ს. წინწყარო).

ოდის ეს კედელი პირველ რიგში შემკულია ბუხრის გვერდებზე და ბუხრის თავს ზემოთ, ჭერამდე. ბუხრის გვერდებზე, კედელში, მოწყობილია თახჩები, რომელთა პირი აგრეთვე შემკულია ჩუქურთმებით. აღსანიშნავია, რომ ამ თახჩებიდან ერთი განკუთვნილია ოჯახის უფროსი მამაკაცისათვის, ხოლო მეორე—ოჯახის უფროსი დედაკაცისათვის. თახჩებში ისინი ოჯახის „ქისებს“ ინახავენ.

ოდას შემკულობა აქვს არა მარტო ბუხრის კედელზე, არამედ გვერდებისა და ბუხრის მოპირდაპირე კედლებზედაც. ხოლო განსაკუთრებით მდიდრადაა შემკული ამ ოთახის ჭერი. ჭერში მოცემულ ორნამენტს „გულბაქ“ ი ეწოდება (ტაბ. II).

ამრიგად შემკული „ოდა“ სოფ. წინწყაროში ორია. ერთი მათგანი ზემოთდასახელებულ ნიკიფორე არისტინოვს ეკუთვნის. ამჟამად ამ ოდის ჩუქურთმების



ტაბულა I



სიკოცხლის ხე (ს. წინწყარო).



სიკოცხლის ხე (ს. წინწყარო).

დიდი ნაწილი ჩამოტანილია საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში. მეორე ოდა იაკობ ასლანოვისაა. ორივე ოდა ლაზების მიერ არის გაკეთებული. ამავე ხელობისა და სტილისაა მესამე ოდა სოფ. გუნია-ყალაში კოტრანოვისა, ისიც აგებულია ლაზის მიერ.

სოფ. გუნია-ყალაში არის სხვა სტილზე შემკული „ოდები“ სომხების მიერ აგებული. განსხვავება „ლაზურ“ და „სომხურ“ ოდებს შორის შემკულობა-ორნამენტების მხრით დიდია. იმ დროს, როდესაც პირველი—ლაზური ოდა, შემკულია მცენარეებისა და ცხოველების ორნამენტებით, მეორე—„სომხური“ ოდის შემკულობაში განსაკუთრებით გეომეტრიული სახეებია წარმოდგენილი.

ზემოთ მოტანილი მასალა ცხადყოფს, რომ ლაზურ ორნამენტში მოცემული სიციცხლის ხის მოტივი დაკავშირებულია ბუხართან და ამდენად ცეცხლთან, კერასთან.

როგორც ცნობილია, კერის კულტი თავისი შინაარსით გვარის, ოჯახის გამაერთიანებელი ცენტრი იყო, ხოლო კერა მარადიული სიციცხლის სიმბოლო. ქართველ და კავკასიელ ტომებში ცეცხლის კულტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. კერძოდ, ის დიდ როლს თამაშობდა საქორწინო ცერემონიებში, როდესაც გვარში ან ოჯახში გარეშე ახალი პირის ინკორპორაცია ხდებოდა. ამიტომ იყო, რომ დიდი ყურადღება სახლის იმ ადგილს ექცეოდა, სადაც კერა, ცეცხლი იყო მოთავსებული. მას ამკობდნენ აპოთროპეული დანიშნულების ორნამენტებით, ღვთაებების გამოსახულებებით და სიმბოლური ნიშნებით. იქ, სადაც კერა სახლის შუაგულიდან ბუხარში იყო გადატანილი, ზემოხსენებული სახის ატრიბუტები ბუხარის „ქამარზე“, კამარაზე, მის ზემოთ და გვერდებზე იყო გამოყვანილი. ამიტომ სიციცხლის ხის სიუჟეტის ფიქსირება კერის კულტის ანსაბლში, როგორც ამას ადგილი აქვს თრიალეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, კარგად ეთანხმება წარმართი ადამიანის სოფლმხედველობას.


კერასთან დაკავშირებული საკულტო დანიშნულების ორნამენტი ჩვენ მოგვეპოება ოდების გარდა, ეგრეთწოდებულ გლეხურ დარბაზებსა და საერთოდ ბანიან სახლებში—ცეცხლის, კერის მახლობლად—დედა-ბოძებზე და დედაბოძის ბულაურებზე. ამ სახის შემკულობით მდიდარი დედა-ბოძების ზოგიერთი იშვიათი ექვემდებარე საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაშია დაცული. აქ შეიძლება აღნიშნული იქნას ერთი გარემოება, სახელდობრ ის, რომ ქართლურ და მესხურ დედა-ბოძებზე მოცემული ორნამენტების უმრავლესობა ასტრალური ხასიათისანი არიან<sup>1</sup>.

უნდა ისიც ითქვას, რომ ცეცხლთან, კერასთან იყო დაკავშირებული მიცვალებულის (წინაპრის) კულტი. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, რომ ლაზური სიციცხლის ხეც ამავე კულტთანაა დაკავშირებული. რამდენადაც ლაზურ ორნამენტში შემონახული სიციცხლის ხის მოტივი ცეცხლის, კერის და მიცვალებულის (წინაპრის) კულტებთან ყოფილა დაკავშირებული, ხოლო ეს კულტები უძველესი ხანის წარმოშობისაა, ამდენად ეს მოტივიც, ცხადია, თავისი წარმოშობით უძველეს ხანას უნდა ეკუთვნოდეს.

<sup>1</sup> შდრ. აქვე სიციცხლის ხის მოტივიში მოცემული—ზე, მთვარე, ვარსკვლავები.



ტაბულა II



«გულბაქი» (ს. წინწყარო).

თრიალეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული სიცოცხლის ხის სიუჟეტი მართოდ-მართო თრიალეთით არ შემოიფარგლება. მას მრავალი პარალელი მოეპოვება ქართულ და კავკასიურ ეთნოგრაფიულ და ისტორიულ სინამდვილეში. ჩვენ მას ვხვდებით, როგორც ხეზე, ისე ქვაზე და ქსოვილზე. მაგალითად, ეს მოტივი მოიპოვება ხეზე: მესხეთი—ს. მლაშეს ჯამეში; აჰარა—ს. ღორ-



სურ. 4. სიცოცხლის ხე (თხაბა-იერდი).

ჯომის ჯამეში; ქვაზე: იმერეთი—მაიაკოვსკის რაიონი—საფლავის ქვებზე<sup>1</sup>; ქართლში—სოფ. შერეთი. გლენხის სასაფლაო, საფლავის ქვებზე; ქსოვილზე: ქობულეთი—ს. ბობოყვათი—ხალიჩაზე; სვანეთი—მიცვალებულისათვის განკუთვნილ სურათებში—და სხვა.

საქართველოს გარეთ იგი მოიპოვება ინგუშეთსა და დაღესტანში. ინგუშეთში ეს სიუჟეტი არის გამოხატული თიხის ფილზე, რომელიც ნაპოვნია თხაბა-იერდის საყდართან, მას აქვს წარწერა ქართული ასომთავრულით. ფილი ზომით 10 X 12 სმ, ნაპოვნია ტულჩინსკის მიერ 1901 წელს<sup>2</sup>. ფილზე ამოკვეთილია ტოტემგაშლილი ხე ნაყოფითურთ და მის გვერდებზე წვრილფეხა ცხოველები, ერთი ერთ მხარეს და მეორე მეორე მხარეს. ამათ ფეხებს შორის ასომთავრული ასო-

<sup>1</sup> ენიშკი-ს ეთნოგრაფიის განყოფილების არქივი.

<sup>2</sup> პირველი ცნობა ამ ფილის შესახებ იხ. *Терская Ведомости* (1901 წ., № 18), საიდანაც ის გადაიბეჭდა ორგანოში „*Ист. Археол. Комиссии*“, 1902, დამატება, ნაკ. 2.



ებია—**7P** თუ **7Q** და **Qა7N**. ამ ასოებით ქართული სიტყვებია გადმოცემული, თუ ისინი ინგუშური ან რომელიმე სხვა ადგილობრივი ენის სიტყვებს გადმოგვცემენ—ჯერ-ჯერობით არ არის გარკვეული.

ეს ძეგლი<sup>1</sup> საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ მის კომპოზიციაში წარმოდგენილია არა მარტო სიციოცხლის ხე და ცხოველები, არამედ ხის ქვემოთ გავლებულია ორი ჰორიზონტალური ხაზი მიწის ზედაპირის აღსანიშნავად, ხოლო მათ ქვემოთ ციკიკავაა ამოკვეთილი, რაც წყალს უნდა აღნიშნავდეს, თარიღდება ეს ძეგლი პირობითად მე-13 საუკუნით (სურ. 4).



სურ. 5. სიციოცხლის ხე (ს. ყუბაჩი).

ჩვენი სიუჟეტის მნიშვნელოვანი პარალელები მოიპოვება დაღისტნის ძეგლებზე, ეგროფოდებულ დაღისტნურ-ალბანურ ობიექტებზე. ერთ-ერთ ასეთ ძეგლის სიუჟეტში ხის ნაცვლად თევზია გამოხატული, რაც გვიადილებს სიუჟეტის დედა-აზრის მიკვლევას. ეს ძეგლი, რომელიც ყუბაჩშია აღმოჩენილი, ჩვენთვის საინტერესო სიუჟეტის მეტად ორიგინალურ სახეს შეიცავს (სურ. 5)<sup>2</sup>.

### III

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, სიციოცხლის ხის მოტივი გარეშე სხვა ძეგლებისა მოცემულია აგრეთვე სვანების მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ სურათებზე. სვანების მიცვალებულის კულტის ერთ-ერთ დღეობას „ლიფალანი“ ეწოდება. წარმართი სვანის შეხედულებით ზამთრის არდადეგებზე, ლიფანალში, მიცვალებულის სულები თავიანთ სახლში ბრუნდებოდნენ. სულების მოსვლას ოჯახის წევრები დიდი ზეიმით უნდა შეხვედროდნენ, გაეშალათ მათთვის სუფრა, მათ სასიამოვნოდ უნდა ემღერათ, ეცეკვათ და დაეკრათ ქია-

<sup>1</sup> Л. Семенов, Арх. и этногр. разыск. в Ингуш. в 1928—1929 гг., Изв. Ингушск. Н.-Иссл. Инст. Краев., II—III, гл. 383.

<sup>2</sup> А. Башкиров, Дагестанское искусство, Москва 1931, таб. 37.

ნური; იმათ გასართობად უნდა ეთქვათ ზღაპრები და ლექსები. ასეთი შეხვედრა ჩვეულებრივად რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. ზემოთ ხდებოდა აგრეთვე სულეების გასტუმრება საიქიოს; ოჯახის უფროსი წინ მიუძღვოდა წარმოდგენაში არსებულ სულეებს, მათს სავალ გზაზე რძეს აპკურებდა და სულეებს შესთხოვდა ოჯახისა და საქონლის გამრავლებაზე ზრუნვას, ოჯახისა და საქონლისათვის მარცხისა და საფრთხის აცილებას და სხვა.

ლიფანალის შინაარსი აქ მოკლედ მოყვანილ აღწერილობით არ ამოიწურება. ამავე ლიფანალის დღეებში ნაცრისაგან („წულისა“ და „გვიზისა“) სალებავს



სურ. 6 „ლჳკრელე“ (ს. ნაკიფარი).

ამზადდნენ და ამ საღებავით ლეკუნდ-ებზე ანუ ისგენტაფ-ებზე გამოჰყავდათ სხვადასხვა სახეები მიცვალებულთა სულეების პატისაცემად. ლეკუნდი სვანურ ქორში (სახლში) არის ის ტიხარი, რომელიც კერის მახლობლადაა გავლებული და გამოყოფს ქორის საცხოვრებელ ნაწილს საქონლის სადგომისაგან.

ლიფანალის დღეებში ლეკუნდებზე გამოხატულ სურათებს «ლჳკრელე» ეწოდება. დოც. ვ. ბარდაველიძის მიერ პირველად ასეთი ლჳკრელეები აღმოჩენილი და დადგენილი იქნა სვანეთში 1931 წელს. აღმოჩნდნენ ისეთი პირები, მოხუცი ქალები, რომელთაც ასეთი სურათები უხატავთ. დღეისათვის დოც. ვ. ბარდაველიძეს ამ სურათების დიდი რაოდენობა აქვს შეგროვებული და გამოსაცემად დამზადებული.

რადგანაც ამ სურათებში მოცემულ სიცოცხლის ხის მოტივს ჩვენი თემისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, დოც. ვ. ბარდაველიძის თანხმობით მოგვყავს ერთ-ერთი ლჳკრელეს აღწერილობა (სურ. 6).

ზემო სვანეთში იფარის თემის სოფ. ნაკიფარის მცხოვრებ გულბას შემდეგი ლჳკრელე გაუკეთებია: 1—2. კიბდონარ (კილობნები), 3. მემზრი (მლოცველი ტაბლით—შესაწირავებით), 4. დავლ (თხა), 5. ლჳჰე მარე (მხედარი), 6. ვან (ხარი), 7. ქათალ (ქათამი), 8. მუსტბი მარე (მოცეკვავე კაცი), 9. გგობს იზბის დავარ (ფიქვს სკამენ თხები), 10. დოშდულ (მთვარე), 11. ჯჳშარ (ჯვარი), 12. მიჳ (მზე), 13. ფჳრ (ძროხა), 14. ლჳშემარე (ვაჟი), 15. ზურალ (ქალი) და კტიცრა (შუნი, დედალი ჯიხვი).



აქ მოტანილი სურათის რიტუალური დანიშნულება იმდენად აშკარაა, რომ საგანგებო განხილვას არ საჭიროებს. მთლიანად სურათი მეტად მნიშვნელოვან სიუჟეტს შეიცავს, რომლის ცალკეული ელემენტი თავისთავადაც მრავალმეტყველია. კერძოდ, 1—2 ნახატზე წარმოდგენილი კილობნები მარცვლით სავსე—გულისხმობს მიცვალებულისათვის მასპინძლის მიერ გულუხვად გაღებულ ხორბალს, მესამე სურათზე მოცემული ადორანტი შესაწირავებით—ასევე მიცვალებულისათვის საიქიოს საჭმელად განკუთვნილ ულუფას ასახელებს, აგრეთვე ცხენი და მხედარი—მიცვალებულისათვის განკუთვნილი „სულის ცხენია“ და ასე სხვა.



სურ. 7. სიკოცხლის ხე ზენჯირილიდან, Moortgat-ის მიხედვით.

მაგრამ ამ სურათზე ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია მეორე მწკრივში მოცემული ნახატები. აქ არის დახატული მზე, მთვარე, ჯვარი, ხე ცხოველებით, შემდეგ ძროხა და სხვა.

ის გარემოება, რომ ამ მწკრივის ნახატებში მზე, მთვარე და ჯვარი წარმოდგენილი, იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ აქ დახატული ხე და ცხოველები უბრალო ხე და ცხოველები კი არ არის, არამედ ამ ხის სახით სიკოცხლის ხეა მოცემული თავისი ატრიბუტებით. არსებითად ეს ნახატი (გვიხსნის იზბიხ დავარ) ლაზური სიკოცხლის ხის სიუჟეტს იმეორებს (იხ. ზემოთ, გვ. 307). მასში უმთავრესად შეცვლილია ხის ჯიში და ცხოველების სახეობა.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ისიც, რომ ცხოვრების ხის ეს სიუჟეტი მრავლად მოიპოვება საფლავის ქვებზე იმერეთსა და ქართლში,—რაც აგრეთვე იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ სვანური ლექსნდ-ებზე მოცემული ხისა და ცხოველების სურათების მოტივი რიტუალური დანიშნულებისაა. ის უშუალოდ მიცვალებულის კულტთანაა დაკავშირებული. მიცვალებულის კულტში მისი არსებობა გამართლებულია იმ ძველი შეხედულებით, რომელიც საიქიოს სააქაოს გაგრძელებად წარმოიდგენდა, სააქაოს მოთხოვნილებებითა და საჭიროებებით. ის გარემოება, რომ „გვგებს იზბის დაწვარ“-ის სიუჟეტი მიცვალებულის კულტთან არის დაკავშირებული, რომ მას ქალები ხატავენ და ნახატი პრიმიტიული ტექნიკით სრულდება—ცხადია, ამ სიუჟეტის უძველეს წარმოშობაზე მიუთითებს.

ზემოთქმულს დავსძენთ, რომ თვით სვანური ლიფანალი არქაული წარმოშობილობისა: ასე ცხოვლად მიცვალებულების წარმოდგენა, ასე „რეალურად“ მათი მიღება-გამასპინძლება და მათდამი შეწირული სიმბოლური ხასიათის სურათები—უთუოდ უძველეს ტრადიციას შეიცავს და ძველებურ სოფლმხედველობას ამჟღავნებს. ამ წესჩვეულებაში მეტად საგულისხმო თავისებურებებია შემონახული. ერთი ასეთი თავისებურება ის ლეკრელებია, რომელთა შესახებ ზემოთ გავკრით გეჟონდა ლაპარაკი.

მაგრამ ქართველი ხალხის მიცვალებულის კულტის თავისებურება მართლ-მართო ლეკრელებით არ ამოიწურება. ასეთ თავისებურებებს ეკუთვნიან: მოხეური—„დიდო“, სვანური—„გიგი“, შრომის პროცესებში მიცვალებულის მოგონება საგანგებოდ ქალების მიერ შეთხზული ლექსებით—„ხმით ნატირალებით“<sup>1</sup> და სხვა.

ასეთი თავისებურებებით მდიდარი ქართველი ტომების მიცვალებულის კულტში სიცოცხლის ხის სიუჟეტი ამ კულტის ორგანულ ელემენტს უნდა შეადგენდეს.

რაც შეეხება თვით სიცოცხლის ხეს, მის ანალოგებს წარმოადგენს ჩვენში დიდად გავრცელებული ხის კულტი საზოგადოდ, ხოლო კერძოდ ხევსურული მეგრულურის მირონიანი მუხა, ფშაური ლაშარის ოქროს შიბიანი ბერ-მუხა და აგრეთვე—მცხეთის სვეტი-ცხოველი, მარტილის კუონდიდი და მეგრული „კელებტარი“ (მიცვალებულის ხე). ამავე კულტს ეკუთვნის ბავშვის სახელზე ხის დარგვის გერული წესჩვეულება.


ლაზური სიცოცხლის ხის მოტივის ანალოგები დანატურდება არა მხოლოდ ქართველ-კავკასიელ ტომებში, არამედ ის მოცემულია წინა აზიის უძველესი კულტურის ძეგლებზე. განსაკუთრებით დამოწმებულია ხურების მეტად თავისებურ ხელოვნებაში. იგი მოიპოვება ტელ ჰალაფსა, კარხემიშსა, ბოლაჩქიისა, იფლატუნ-ფუნარსა და ზენჯირლში აღმოჩენილ ძეგლებზე (იხ. სურ. 7, 8 და 9).

<sup>1</sup> მიცვალებულის კულტი ხევსურეთში, მასალა და სპ. ვთნოგრაფიისათვის, ტ. III, გვ. 1—64, იქვე წინასიტყვაობა, გვ. VIII, აგრეთვე გ. ჩიტაია, ქვის კლბო ქვემო-ალმუდან, ენიმკაის მოამბე, ტ. VIII, გვ. 4—5.



ზენჯირლში აღმოჩენილი ძველი თარიღდება 1000 წლით ჩვენ ერამდე. ამ ძველზე მოცემული სიკოცხლის ხის მოტივი სავსებით ემსავლება სვანური გვიბ დაჯარი-ს სურათს<sup>1</sup>.

სპეციალისტების აზრით ხურების ხელოვნებაში დაცული სიკოცხლის ხის მოტივი წარმოადგენს ძველი სუმერული სიკოცხლის ხის მოტივის თავისებურ ვარიანტს. იგი გენეტიკურად უკავშირდება ურში ეხლახან აღმოჩენილ მსგავს მოტივს<sup>2</sup>.



სურ. 8. სიკოცხლის ხე კარხემიშიდან, Contenau-ს მიხედვით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ-კავკასიური მასალების შეხვედრა ხურულთან შემთხვევითი არ უნდა იყოს.

იმ შემთხვევის გარდა (ხურულ-სვანური სიკოცხლის ხის მოტივი), რომელიც ჩვენ ზემოთ დავასახელებთ, საყურადღებოა აგრეთვე სხვა შეხვედრებიც მატერიალური კულტურის დარგში. მაგალითად, სვანური ფაყვი, ხევსურული ჩოხა და ხურული ტანსაცმელი. ქართული ხულა და ხურული ჰილანი, ხევსურული აჩაჩი, ქართულ-ხურული ილარი და სხვა.

ეს უკანასკნელი კულტურის ელემენტი დღემდე ჩვენს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დაცული<sup>3</sup> (ხისა, ძვლისა და ლითონის) იმავე ფორმისა და ფუნქციისაა, როგორც, ერთი მხრით, მუსიერში ნაპოვნი (12—10 საუკუნის ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ბრინჯაოს ილარი და, მეორე მხრით, ოქროს ილარი ტელ ჰალაფიდან, რომელიც თარიღდება 3000 წლით ჩვენ ერამდე.

მაგრამ ეთნოგრაფიული სინამდვილის მონაცემების მნიშვნელობა მარტო ზემოთქმულით არ განისაზღვრება.

<sup>1</sup> A. Moortgat, Bildwerk und Volkstum Vorderasiens zur Hethiterzeit, Leipzig 1934.

83-29. <sup>2</sup> C. L. Woolley, Ur-Excavations, v. II: The royal cemetery, New-York 1934, ტაბ. 87—89.

<sup>3</sup> შდრ. ი. ს. ო. ნ. დ. უ. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი, ილარი, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. VIII; აგრეთვე Er. M a c h a y, Excavations at Chahu-Daro, Smithsonian Institution, 3473.

როგორც აღვნიშნეთ, ყუბაჩურ ძეგლზე, რომელიც ალბანურ-დაღისტნური წარმოშობისადაა მიჩნეული, სიცოცხლის ხის მოტივში ნაცვლად ხისა თევზია გამოხატული, თევზს კი ქართველ-კავკასიელების სარწმუნოებაში დიდი ადგილი ეკია, როგორც ნაყოფიერების მომნიჭებელ ძალას. ამის დამადასტურებელი ფაქტები უხვად არის შემონახული ეთნოგრაფიულ სინამდვილეში.



სურ. 9. სიცოცხლის ხე ბოლანჯიოიდან, Götz-e-ს მიხედვით.

საილუსტრაციოდ შეიძლება რამდენიმე მაგალითის დასახელება: ლოცვა-ვედრება თევზებისადმი, რომელთაც შვილიერებას შესთხოვდნენ (თრიალეთი, ს. პოლიანქი), ცოცხალი თევზის („ალაბალუხი“) გამოყენება ქალების მიერ—განაყოფიერების მიზნით (იქვე). გურიაში კალმახის დაკვლა საკალანდო ქვევრის თავზე მოსაველიანი წელიწადის დადგომის მიზნით. თევზის ღეთაების ლარსას არსებობა იმერეთში, რომელიც სვანური ნადირთ პატრონის აფხზათისა და დაღის თანატოლი ჩანს, კალმახი, როგორც საკურთხის აუცილებელი ატრიბუტი სამეგრელოში, საქორწინო თარფი თევზით, თევზის ორნამენტი შეიღიშება და სვანურ ლეკვერთხებზე, თევზების გამოსახელებები საფლავის ქვებზე ჯავახეთში და უკანასკნელად თევზ-ვეშაპის ქანდაკებები საქართველოსა და სომხეთში.

ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ Bleichsteiner-ის მტკიცების თანახმად, თვით ტერმინი ვეშაპი-ვიშაპი არ უნდა მომდინარეობდეს ავესტურ Višāpa-დან. არამედ როგორც ვეშაპი ისე Višāpa ქართულ-კავკასიური წარმოშობისაა<sup>1</sup>.

დიდი ადგილი უჭირავს თევზს აგრეთვე ქართულ მითებსა და ზღაპრებში (შდრ. მეღორის ცოლი—ძველი საქართვე., ტ. II. გვ. 4, გვ. 30—34, S. Finger, Märchen aus Lasistan, Mitt. d. Anthr. Gesel. in Wien, LXIX, H. 3, გვ. 208), «ბატონების» რიტუალში და სხვა.

<sup>1</sup> Bleichsteiner, Die Subaräer des alten Orients im Lichte der Japhetitenforschung, W. Schmidt's Festschrift, Wien 1928, გვ. 46.



ერთი სიტყვით, ყველა მონაცემი ადასტურებს, რომ თევზი ნაყოფიერების მომნიჭებელ ძალად იყო მიჩნეული.

ამის მიხედვით იზადება საკითხი: სივოცხლის ხის შეცვლა ნაყოფიერების მომნიჭებელი ძალით, თევზით, ხომ არ გვაძლევს უფლებას სივოცხლის ხეში ნაყოფიერების ძალა ვივარაუდოთ.



სურ. 10. სუმერული სივოცხლის ხე Nielsen-ის მიხედვით.

ის გარემოება, რომ სივოცხლის ხის სუმერულ ვარიანტში (სურ. 10)<sup>1</sup> ხის გვერდით წარმოდგენილია ანტიპოდური ფიგურები მამრისა და მდედრის სახით ამ შესაძლებლობას ადასტურებს. ამ სახითაა ეს სიუჟეტი მოცემული ხურულ ძეგლებზე, ამავე სახითაა იგი ასურულ ძეგლებზე, როდესაც ისინი არ იმეორებენ ბაბილონურ-სემიტურ ვარიანტებს. ასევეა ლაზურ ორნამენტში, თხაბა-იერდის ფილზე, დაღისტნურ ნიმუშებზე და სხვა.

როგორც ცნობილია, სივოცხლის ხის მოტივში წარმოდგენილმა მამრ და მდედრ არსებათა სახეებმა შემდეგში გაგრძელება ჰპოვა ეგრეთწოდებულ Anti-thetische Gruppe-ს სიუჟეტებში (ზღრ. Jahrb. d. Deutsch. Arch. Ints., B. XIX, 2 H. 1904, Jolles, Antithetische Gruppe).

რამდენადაც ეს ასეა, გასაგები ხდება სივოცხლის ხის მოტივის დედა-აზრი ლაზურ და სვანურ ორნამენტში. აქ ის მოცემული იყო ერთი მხრით ცეცხლთან, კერასთან ერთად, ხოლო მეორე მხრით მიცვალებულის კულტში. ის წარმოდგენდა ამლორძინებელ, გამანაყოფიერებელ და მაცოცხლებელ ძალას. ამის გამო გასაგებია ისიც, თუ რად ახლავს ლაზური სივოცხლის ხის მოტივს ასტრალური ანტურაჟი.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება შემდეგი დავასკვნათ:

1. ქართულ ხალხურ ორნამენტში ხეზე მოცემულია ორი ძირითადი მიმართულება:

<sup>1</sup> Д. Нильсен, Библиейская религия в свете новейших археологических раскопок, Вестник Древней истории, I, 83, 111.

ა) მთური (ხევესურული—პირობითად)—უპირატესად გეომეტრიული სახე-  
 გებით და

ბ) ბარული (ლაზური)—უპირატესად მცენარისა და ცხოველის სახეებით.  
 ამ მიმართულებებს, გარდა სიუჟეტური სხვადასხვაობისა, ორნამენტის ტექნი-  
 კის სხვაობაც ახასიათებს („ამოღარული“ დაქრელება და პლასტიკური რელიეფი).

2. სიუჟეტის მხრივ ლაზურ ორნამენტში უძველესი მოტივებია მოცემული.  
 ეს ორნამენტი კონსტრუქციულ-დეკორაციულ დანიშნულებასთან ერთად რიტუ-  
 ალურ ფუნქციას ასრულებს და მითოლოგიურ შინაარსს შეიცავს.

3. ლაზურ ორნამენტში მოცემული სიცოცხლის ხის მოტივს შეადგენს: სი-  
 ცოცხლის ხე (ის სხვადასხვა ჯიშის ხეებითაა წარმოდგენილი), ცხოველები—  
 წყვილი („ანტიპოდები“) და მნათობები (ორი ან მეტი).

4. სიცოცხლის ხის მოტივი ქართულ ხალხურ ორნამენტში უძველესი  
 სიუჟეტია და ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ფართოდაა გავრცელებული. დამო-  
 წმებულაია: ხეზე, ქვაზე და ქსოვილზე. იგი მოიაზრება ქართულ ისტორიულ ძეგ-  
 ლებზე, ინგუშურ ფილზე (თხაბა-იერდიდან) და ალბანურ-დაღისტნურ ძეგლებზე.

5. განსაკუთრებით საყურადღებოა ეს მოტივი სვანების მიცვალებულის  
 კულტში, „ლიფანალ-ში“, სადაც ის „გგვიბ-დაჯარ“-ის სახით არის მოცემული.  
 რამდენადაც „ლიფანალ“-ი მიცვალებულის კულტის უძველესი წესჩვეულებაა,  
 იმდენად მასში დადასტურებული „გგვიბ-დაჯარ“-ის მოტივი (იგივე სიცოცხლის  
 ხის მოტივი) უძველესი წარმოშობის საკულტო სიუჟეტია.

6. ლაზურ სიცოცხლის ხის მოტივს, განსაკუთრებით მის სვანურ ვარიანტს,  
 ანალოგები მოეპოება ხურულ ძეგლებზე (ტელ ჰალაფი, ზენჯირლი, იფლატუნ-  
 ფუნარი და სხვ.). ამ ანალოგებს ამაგრებს ქართულ-ხურული კულტურის ელემ-  
 მენტების სხვა შეხვედრებიც.

7. სიცოცხლის ხის მოტივში ხის შეცვლა თევზით (ალბანურ-დაღისტ-  
 ნური ძეგლი) ამტკიცებს, რომ ამ მოტივში ძირითადად ნაყოფიერების სიმ-  
 ბოლოა მოცემული. ქართველ ტომებში თევზი, როგორც ნაყოფიერების მომნი-  
 ქებელი ძალა, მრავალ წესჩვეულებით დასტურდება: გურული საახალწლო კალ-  
 მახი, თევზის ღეთაება ლარსა იმერეთში და სხვა.

8. სიცოცხლის ხის ნაყოფიერების ფუნქცია, მკვეთრად გამოსახული მის  
 სუმერულ ვარიანტში („ადამ და ევა“), გამართლებას პოულობს ხურულ და  
 ქართულ-კავკასიურ ანალოგიურ სიუჟეტებში.



Г. ЧИТАЯ

## МОТИВ «ДРЕВО ЖИЗНИ» В ЛАЗСКОМ ОРНАМЕНТЕ

### РЕЗЮМЕ

1. В грузинском народном искусстве даны два основных вида орнамента на дереве: а) горный (хевсурский—условно) преимущественно с геометрическим сюжетом и б) долинный (лазский)—преимущественно с растительным и животным сюжетом. Помимо сюжетов эти виды орнамента отличаются техникой выполнения (глубокая резьба и пластический рельеф).

2. В лазском орнаменте даны древнейшие мотивы. Этот орнамент, выполняя конструктивно-декоративную функцию, служит ритуальным целям и имеет мифологическое содержание.

3. Мотив «дерево жизни» в лазском орнаменте состоит из следующих компонентов: дерево жизни, пара животных («антиподы»), светила (два и больше).

4. Мотив «дерево жизни» является древнейшим сюжетом грузинского народного орнамента и в этнографической действительности имеет широкое распространение. Мы его встречаем на дереве, камне и ткани. Он также имеется на грузинских исторических памятниках, на глиняной плите с надписью грузинскими буквами из Тхаба-Иерди (Ингушетия) и на албано-дагестанских памятниках.

5. Весьма важное значение имеет присутствие этого мотива в сванском культе мертвых, «Ipanal», где мы имеем «дерево жизни» с парой коз («gogib-daqar»). Поскольку «Ipanal» является древнейшим культом мертвых, представленный в нем мотив культового значения («gogib-daqar») по своему происхождению принадлежит древнейшим ритуальным сюжетам.

6. Лазский мотив «дерево жизни», в особенности его сванский вариант, имеют аналогии в хурритских памятниках (Телл Халаф, Зенджирли, Ифлатун-Фунар и др.). Эти аналогии подкрепляются другими параллелями хурритско-грузинских элементов культуры.

7. В мотиве «дерево жизни» замена дерева рыбой, как это имеет место на албанско-дагестанском памятнике, доказывает, что в этом мотиве в основном мы имеем символ плодородия. Использование рыбы в качестве оплодотворяющего начала засвидетельствовано многими грузинскими обрядами, каковы: гурийская новогодняя форель, имеретинское божество рыбы Ларса и др.

8. Ясно выраженное значение плодородия в сумерском варианте мотива «дерево жизни» («Адам и Ева»), находит свое оправдание на хурритских и грузино-кавказских аналогичных сюжетах.

## G. TSCHITALA

## DAS MOTIV «DER BAUM DES LEBENS» IM LASISCHEN ORNAMENTE

## ZUSAMMENFASSUNG

1. In georgischer volkstümlicher Kunst sind zwei Hauptarten des Ornamentes auf Holz gegeben: a) Gebirgsornament (bedingungsweise «chewsurisch») — vorzüglich mit geometrischen Sujets, und b) Talornament (lasisch) — überwiegend mit den Sujets aus dem Tier- und Pflanzenreich. Ausser den Sujets unterscheiden sich diese Arten durch die Kunstfertigkeit ihrer Ausführung (tiefe Bildschnitzerei und plastisches Relief).

2. Im lasischen Ornamente sind die ältesten Motive gegeben. Dieses Ornament, indem es konstruktiv-dekorativ fungiert, dient den rituellen Zwecken und hat mythologischen Inhalt.

3. Das Motiv «Der Baum des Lebens» des lasischen Ornamentes besteht aus folgenden Komponenten: der Baum des Lebens, ein paar Tiere («Antipoden»), die Lichter des Himmels (zwei und mehr).

4. Das Motiv «Der Baum des Lebens» ist das älteste Sujet des georgischen Volksornamentes und ist in ethnographischer Wirklichkeit viel verbreitet. Wir finden es auf Holz, Stein und Stoff. Es befindet sich auch auf georgischen historischen Denkmälern, auf der Tonplatte mit der Inschrift durch georgische Buchstaben aus Thchaba-Ierdi (Inguschetien) und auf albanodaghestanischen Denkmälern.

5. Sehr wichtig ist das Vorhandensein dieses Motives im swanischen Totenkultus «Lipanal», wo man «den Baum des Lebens» mit einem Ziegenpaar hat (gəgib-daqār). Insoweit «Lipanal» der älteste Totenkultus ist, gehört das darin vorgeführte Motiv mit Kultusbedeutung (gəgib-daqār) seiner Entstehung nach zu den ältesten rituellen Sujets.

6. Das lasische Motiv «der Baum des Lebens», vor allem seine swanische Variante, hat Analogien in churritischen Denkmälern (Tell Halaf, Sendisirli, Iflatun-Funar u. and). Diese Analogien werden durch andere Parallelen anderer churrito-georgischer Kulturelemente unterstützt.

7. Der Ersatz von Baum durch Fisch im Motiv «der Baum des Lebens», wie dies auf dem albanodaghestanischen Denkmal stattfindet, beweist, dass wir im Grunde dieses Motivs das Symbol der Fruchtbarkeit haben. Die Benutzung des Fisches als befruchtenden Prinzips wurde durch viele georgische Riten und Gebräuche bestätigt: gurische Neujahrsforelle, imeretische Gottheit von Fisch Larsa und andere.

8. Die klar ausgedrückte Bedeutung der Fruchtbarkeit in der sumerischen Variante des Motives «der Baum des Lebens» («Adam und Eva») wird durch churritische und georgisch-kaukasische analoge Sujets gerechtfertigt.



### 3. ნოტაჰმ

## პრეჰოლოგიური გათხრები კოლხიდაში

(1940 წ. გათხრების ანგარიში)

გასული წლის ზაფხულზე დიდი არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა კოლხიდის დაბლობში საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტმა.

გათხრები წარმოებდა ცხაკაიას რაიონში, სოფელ რეკაში, ადგილ ნოხვამუში. სიტყვა „ნოხვამუ“ მეგრულად აღნიშნავს იმ ადგილს, სადაც წინათ სამლოცველო იყო.

ადგილი ნოხვამუ დაცილებულია კურორტ მენჯს სამი კილომეტრით და მდებარეობს კოლხიდის დაბლობში მენჯიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. თვითონ მენჯი ეკის მთის ძირზე მდებარეობს, მდინარე ცივას ორივე ნაპირზე.

ადგილ ნოხვამუდან დასავლეთის მიმართულებით მდის მდინარე ჯაბენჯი, რომელიც დაცილებულია ნოხვამუს ნახევარი კილომეტრით. შავი ზღვის რკინიგზა ორი კილომეტრითაა დაცილებული ნოხვამუს და ჩრდილოეთის მიმართულებით უვლის მას, ხოლო ზუგდიდისკენ მიმავალი გზატკეცილი სამხრეთის მხარეზე აქვს მოქცეული.

ნოხვამუ წარმოადგენს ერთი მეტრის სიმაღლეზე მრგვლად ამოზურცულს ადგილს, რომლის დიამეტრი 80 მეტრს უდრის. მას შეცდომით უძახიან კურგანს (ყურღანს), რაც არ არის სწორი, ვინაიდან ნოხვამუზე მიცვალეულის ან მიცვალეულებების დამარხვასთან და შემდეგ ზემოდან დაყრილ მიწასთან კი არ გვაქვს საქმე, როგორც ეს ეგონათ და დღესაც კიდევ ზოგიერთს ჰგონია, არამედ ადამიანის ნამოსახლარ ადგილთან, რასაც ადასტურებს სხვადასხვა დროის კულტურული ფენების ერთიმეორეზე თანდათანობითი განლაგება<sup>1</sup>.

ნოხვამუს გარშემო შემოვლებული ყოფილა წყლის დასაყენებლად ფართო თხრილი, რომლიდანაც ამოუღიათ მიწა და გაუმალღებიათ როგორც თვითონ ადგილი ნოხვამუ, აგრეთვე — თხრილის გარეშე ნაპირები. თხრილის განი 20 მეტრს აღწევს. დღეს ეს თხრილი მთლიანად ამოვსილია მიწით და თანაც დაჭაობებულია, ამიტომ თავის პირველი სახე მას ძალზე აქვს შეცვლილი. მაგრამ, თუ ჩვენ

<sup>1</sup> სიტყვა კურგანი ანუ ყურღანი უნდა იყოს თურქული და რუსებმა შემოიღეს ყივჩაყებისაგან, როგორც ამას ფიქრობდა პროფ. K r e k - ი. დღემანდღლა გაგებით ყურღანი წარმოადგენს საფლავის ერთ-ერთ სახეს.



ნაოხვამუს მაგვარ ადგილებს, სადაც შორეულ წარსულში ძველი კოლხები ყოფილან დასახლებულნი, თვალს გადავაგვლებთ, მაგალითად, „ნანდევუს“, „გორსიო-ლაფირს“, „სონჯას“ და ბევრს კიდევ სხვა ამათავარს, დაეინახავთ, რომ ამ ხელოვნურად ამობურცულ ადგილებს ყველას უფლის გარშემო 15—20 მეტრის სიგანის თხრილი, რომლის გარეთა ნაპირი დღესაც აზურგულეულია, ხოლო თხრილში წყალი ჩამდგარი და თანაც დაჭაობებული.

კოლხიდის დაბლობში ნაოხვამუს მაგვარად ამობურცული ადგილები, რომლებსაც დღესაც აქვთ შერჩენილი გარშემო შემოვლებული ფართო თხრილი წყლის დასადგომად, რამდენიმე ასეული მოიპოვება. ეს თხრილით შემოვლებული ცოტად თუ ბევრად ამაღლებული ადგილები დღეს ისეთ მივარდნილ კუთხეებშია ცვეხდება, სადაც ადამიანის ფეხი ვერც კი მიუდგება ისინი თავის წიაღში კი ინახავენ უძველესი დროის მატერიალური კულტურის ნაშთებს, რომლებსაც შეუძლია ნათელი შუქი მოჰფინოს კოლხიდის დაბლობში მცხოვრებ ძველ ხალხთა ისტორიას. ეს ადგილები და მათს გულში ღრმად ჩამარხული არქეოლოგიური ნაშთები ნათლად გვეუბნებიან, რომ კანადა წარსულში კოლხიდის დაბლობზე დიდი კულტურის მატარებელი და თანაც მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ყოფილა. ფიზიკურ-გეოგრაფიული და გეოლოგიური პირობების შეცვლის გამო, შემდეგში მათ შეუწყვეტიათ იქ ცხოვრება. ერთ-ერთი ამ პირობათაგანი ყოფილა კოლხიდის დაბლობის დაწვევა ან შავი ზღვის დონის ამაღლება, რასაც გამოუწვევია კოლხიდის დაბლობის ისეთ-ნაირად დაჭაობება, რომ ადამიანი იძულებული ყოფილა დიდი ხნის განმავლობაში ეს ადგილები საცხოვრებლად მიეტოვებინა.

მართლაც, თუ კოლხიდის დაბლობს ჩვენ მივედგებით გეოლოგიური და ფიზიკურ-გეოგრაფიული პროცესების თვალსაზრისით, დაეინახავთ, რომ კოლხიდის დაბლობზე ბევრი ცვლილება მომხდარა. ბევრი ცვლილება განუცდია თვით მის რელიეფსაც. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ კოლხიდის დაბლობზე, მხედველობაში გვაქვს ის ტერიტორია, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროებიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, სადაც ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში მეტად დიდი სამუშაოები იქნა ჩატარებული ამ არაჩვეულებრივი, საუცხოო, საზღაპრო კუთხის გასაშრობად, დასასახლებლად და მრავალფეროვანი სუბტროპიკული მცენარეების გასაშენებლად. ამ ტერიტორიის განიქობულეთიდან ოჩამჩირემდის ას კილომეტრს უდრის, ხოლო სივრცე დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით 80 კილომეტრს აღწევს.

კოლხიდის დაბლობის წარმოშობას გეოლოგიები უკავშირებენ ტექტონიკურ პროცესებს, რამაც მესამეულის მიწურულში და მეოთხეულის დასაწყისში გამოიწვია კოლხიდის დაბლობის ტერიტორიის ძალზე დაწვევა და მასზე ზღვის უბის გაჩენა, რომელმაც მოიცვა მაშინდელი კოლხიდის დაბლობის ტერიტორიის ზედაპირი ნეოგენის მერგელური თიხებისგან იმ დროს შემდგარი. ამ ზღვის უბის სიღრმე, პირველადი სახის აღნაგობა და ან მისი სივრცე დროთა ვითარების გამო დიდ ცვალებადობას განიცდიდა სხვადასხვა მიზეზების გამო. ამ მიზეზთა შორის უნდა ჩაითვალოს მეოთხეულის პერიოდში ბოსფორის სრუტიდან რამდენიმეჯერ წყლის ინტენსიურად შემოჭრა შავ ზღვაში და ან ამავე სრუტის



„გაბინდვა“; მიზეზებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე შავ ზღვაში შემაველი მდინარეების არაჩვეულებრივად წყლებით გამდიდრება, ატმოსფერული დანალექების ცვალებადობა, ზემოაღნიშნულ უბეში შემაველი მდინარეების ეროზიული მოქმედება და სხვა.

შავი ზღვის დონეს რომ ბევრჯერ განუცდია დიდი ცვალებადობა თვით მეოთხეულ პერიოდშიაც, სხვა დამამტკიცებელ მასალებთან ერთად, ამას გვიჩვენებს შავი ზღვის ტერასები ზღვის დონიდან 80—110 მეტრის (სოხუმი—ოჩამჩირის რაიონი)<sup>1</sup> და 160 მეტრის (სუფსის რაიონი) სიმაღლეზე მდებარე ადგილებში შემორჩენილი. ნეოგენის თიხები<sup>2</sup>, რომლებიც შავი ზღვის „კოლხიდის“ უბეს ქვეშ მოექცა და რომლებსაც დღეს უწოდებენ ძირითად ქანებს, სხვადასხვა სიღრმეზე მდებარეობენ დღევანდელი კოლხიდის დაბლობის მიწის ზემო პირიდან. მაგალითად, ქ. ცხაკაისთან ისინი დაცილებული არიან მიწის ზედაპირს 4—6 მეტრით, სადგურ ქვალონთან—18—20 მეტრით, ხოლო შავი ზღვის სანაპიროების მახლობლად 60 მეტრის სიღრმის ჰა-ბურღილებიც მათ ვერ სწვდება. მაშასადამე, ამ ნეოგენის თიხებზე განვითარებული პალეოცენისა და მეოთხეულის დანალექები, რომლების ზედაპირის რელიეფი დღეს ცოტად თუ ბევრად უსწორმასწორო, ატალღებულ „ვაკედამ“ გადაქცეული, სხვადასხვა სიღრმისანი არიან და თანაც ერთისა და იმავე შემადგენლობით არ ხასიათდებიან. მაგალითად, ძირითად ქანებზე დადებული ზღვის სილა განსაზღვრულ სივრცეზე გვხვდება, განსაზღვრულ სივრცეზეა ტორფის ორი სხვადასხვა დროის ფენა და სხვა.

მეოთხეულის განსაზღვრულ დროისათვის მდინარეების ეროზიული მოქმედება კოლხიდის დაბლობის გარეშე მდებარე ნაპირებზე თვალსაჩინოდაა გამოძლევენებული, ხოლო ამავე დროს დაბლობის ცენტრალურ ნაწილში მდინარეების ეს ეროზიული მოქმედება თითქმის შეუმჩნეველი რჩება. ამით ის გვინდა ვთქვათ, რომ პალეოცენისა და მეოთხეულის პერიოდში სხვადასხვა შემადგენლობის ფენები წარმოიშობოდა ხოლმე კოლხიდის დაბლობის სხვადასხვა ადგილებში. მეოთხე გამყინვარების შემდეგ, როდესაც შავი ზღვის დონე დიდ მერყეობას აღარ განიცდიდა, „კოლხიდის“ უბეში თანდათანობით თავი მოიყარა ამავე უბეში შემაველი მთის მდინარეების მიერ მოტანილმა დიდძალმა მასალამ. (გამოანგარიშებულია, რომ მთების მდინარეებს დღესაც მოაქვთ კოლხიდის დაბლობში ოცი მილიონი კუბო-მეტრი ალლიუვიონი წელიწადში). ამავე დროს ზღვის კონტინენტალურმა ტერასამაც იწყო გაკეთება და მოსწყვიტა „კოლხიდის“ უბე ზღვას, მოხდა დაქაობება, ცალკეული გუბე-ტბების გაჩენა, წარმოიშვა მცენარეულობა განსაზღვრული ეკოლოგიური თვისებებით და მოხდა მთელი რიგი ფიზიკურ-გეოგრაფიული ცვლილება, რაც დიდ გავლენას ახდენდა კოლხიდის დაბლობის რელიეფზე. ყოფილა დრო, როდესაც კოლხიდის დაბლობის ზედაპირი იმდენად გამშრალა და გამაგრებულა, რომ შესაძლო გამხდარა ადა-

<sup>1</sup> სოხუმი-ოჩამჩირის რაიონში ვ. ი. გ რ ო ვ ი აღნიშნავს მეტად ძველი დროის (შესაძლოა პლიოცენის) ტერასის ნიშნებს 450—500 მეტრის სიმაღლეზე. В. И. Грозов, Некоторые итоги полевых исследований по палеолиту СССР в 1935 г.: Советская археология, № 2, стр. 191, Москва-Ленинград 1937.

<sup>2</sup> ნეოგენის დანალექების თიხებს ადამიანი შეხვედბა კოლხიდის დაბლობის სამხრეთით და ჩრდილოეთით მდებარე მთების კალთებზე.



მიანი დასახლებულიყო აქ, რაზედაც მიგვიითიებეს ძველი დროის ნამოსახლარი ადგილები, ხელოვნურად წარმოშობილი ბორცვების სახით და დიდი რაოდენობით დღემდის შემონახული. კოლხიდის ძველ მოსახლეობაზე მიგვიითიებეს ბოძებზე გაკეთებული სახლების ნაშთები, მიგვიითიებეს ძველი დროის კულტურული ფენები, კოლხიდმშენის მიერ ბევრს ადგილას აღმოჩენილი, მიგვიითიებეს შითები და ლეგენდები, დაბოლოს მიგვიითიებეს ძველი მწერლების წერილობითი ცნობები. მაგრამ, სანამ ადამიანი ახლად წარმოშობილ კოლხიდის დაბლობზე დასახლებოდა, ის წინასწარ იღებდა სათანადო ზომებს. დასასახლებელ ადგილს, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, ბუნებრივადაც უფრო მაღალი იქნებოდა მის გარშემო მდებარე ადგილებზე, კიდევ უფრო გაამაღლებდა ხოლმე ადამიანი მიწის დაყრით, რომ დიდი წვიმების დროს მოსულ წყალს არ შეეწუხებინა და ან წყალდიდობის დროს მდინარეების ნაპირებიდან გადმოსულ წყალს არ დაეზარალებინა. თანაც საცხოვრებლად არჩეულ ადგილს ფართო და ღრმა თხრილს შემოავლებდა, რათა უფრო გამშრალიყო სამოსახლო ადგილი ნიადაგისა და ქვენიადგის წყლების დაგროვებით თხრილში. კოლხიდის დაბლობის მოსახლეობა დღესაც თავიანთ სახლების გასაკეთებლად ამაღლებულ ადგილებს უფრო ეტანება. მომთაბარე მწყემსებიც კოლხიდის დაბლობზე დროებით საცხოვრებელ ბინებისათვის დღესაც ამაღლებულ ადგილებს ირჩევენ.

სამოსახლოს გარშემო შემოვლებულ თხრილს უქვევლად სხვა დანიშნულებაც ჰქონდა, მაგალითად, მტრისგან და ან მტაცებელი მხეცებისგან თავის დაცვა, უცბად მოსული წვიმის წყლის მიზიდვა, თევზით მომარაგება და სხვა. საფიქრებელია, რომ სამოსახლო ადგილის გარშემო გაკეთებული არხი დაკავშირებული იყო რომელიმე მდინარის სისტემასთან, რომ შესაძლო ყოფილიყო ნაევების საშუალებით მიმოსვლა და საერთოდ ამ თხრილის სატრანსპორტოდ გამოყენება. ცხადია, რომ მიმოსვლისა და ტრანსპორტის ამგვარი საშუალებანი მეტად ხელსაყრელი იყო წყლებით მდიდარსა და ჰაობიან კოლხიდაში, ვინაიდან ყამირგზების გაყვანა და აუცილებლად საჭირო ბევრი ხიდების გაკეთება მდინარეებით მდიდარ მხარეში არც ისე ადვილი საქმე იქნებოდა, თანაც ამ გზებზე გოგრებიანი და ან სხვა სახის გადასაზიდავი საშუალებანი მეტად მოუხერხებელი იქნებოდა. წყლის საშუალებით მიმოსვლისა და ტვირთის გადაზიდვის ცოცხალ მაგალითებს ნაოსნობის სახით დღესაც ვხედავთ კოლხიდის დაბლობზე და, ეტყობა, იგი უძველეს დროშიდაც ყოფილა. მაგალითად, სოფელ ხორგას მცხოვრებლები ხობის წყლით, ნაევების საშუალებით მიდიან შავ ზღვამდის და მიაქვთ შეშა და სხვა საქონელი. აგრეთვე სოფელ ყულევის მცხოვრებლები მდინარე ციასა და ხობისწყლით უკავშირდებიან ზღვას. ქალაქის ზოგიერთ მცხოვრებს დღესაც ემარჯვება მდინარე რიონით დაუკავშირდეს შავ ზღვას და ნაევების საშუალებით გადაიტანოს ხოლმე სიმინდი, შეშა და ან სხვა სახის ტვირთი. ამიტომ ადვილად დასაშვებია ის გარემოება, რომ ნაოხვამუსა და მისმაგვარ ადგილებში მობინადრე ძველი კოლხებისთვის მიმოსვლის და ტვირთის გადასაზიდავად უკეთესი საშუალება იქნებოდა ნაოსნობა, ვიდრე ჰაობიან ადგილებში ყამირგზების გაყვანა და მრავალრიცხოვანი ხიდების გაკეთება მდინარეებითა და ტბებით მდიდარ ქვეყანაში.



მაგრამ, დროთა ვითარების გამო, კოლხიდის დაბლობისათვის ისევ შეცვლილა ფეზიკურ-გეოგრაფიული და გეოლოგიური პირობები: დაბლობი კიდევ უფრო დაწეულა, უფრო მეტად დაქაობებულა და შეუძლებელი გამხდარა ადამიანისათვის იქ ცხოვრება. მოსახლეობასაც მიუტოვებია თავისი სახლკარი. ამის დამამტკიცებელ ფაქტებს ჩვენ ვხვდებით მატერიალური კულტურის უამრავი ნაშთების სახით, რომლებიც დედამიწის სიღრმეშია დღეს ჩამარხული და რომლებიც უძველეს დროს ეკუთვნის. კოლხიდის დაბლობზე რომ ერთ დროს ფართოდ ყოფილა გაშლილი მოსახლეობა და რომ ამ დაბლობზე ყოფილა კულტურული ცენტრები, ამის შესახებ ჩვენ მოგვეპოვება წერილობითი ცნობებიც. მაგალითად, ჰიპოკრატე, რომელიც ცხოვრობდა 470—376 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ამბობს, რომ ფაზისთან (რიონთან) მცხოვრები ხალხების ქვეყანა არის ქაობიანი, ცხელი, ნოტიო და ტყით დაფარული. „მთელი წლის განმავლობაში იქ მოდის ძლიერ ბევრი წვიმა. მათი სახლები ვაკეთებულაა წყალზე და მასალად გამოყენებულია ხეები ან ლერწამი. ისინი ცოტას დადიან ფეხით და ისიც მხოლოდ ქალაქში ან ბაზარში. ჩვეულებრივად ისინი მოგზაურობენ ნაგების საშუალებით, რომლებითაც ზემოთ და ქვემოთ მიუყვებიან არხებს; არხები კი იქ ბევრია“ (В. В. Латышев, Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, т. I, вып. 1-ый, Петербург 1893, გვ. 58). ვითომც მილეტლების მიერ დაარსებული ქალაქი ფაზისი, რომელიც მდებარეობდა ძველი მწერლების გადმოცემით იქ, სადაც რიონი (ფაზისი) ზღვას ერთგოდა და რომელიც დაარსებული იყო არა უგვიანეს 494 წლისა ჩვენს ერამდე, ერთ-ერთ მთავარ მიზნად ისახავდა მდიდარ კოლხიდიდან გაეტანა ნედლეული და ეშოვნა მონები.

პეროპოტეს ცნობით, კოლხიდის მცხოვრებლებმა იცოდნენ კარგი სელი და სელის საუცხოო ქსოვილები, რომლებსაც შორს ჰქონდათ სახელი მოხევიქილი და რომლებიც წარმოადგენდა ერთ-ერთ საექსპორტო საქონელს.

ძველი დროის ხალხებს კოლხიდა წარმოადგენილი ჰქონდათ არაჩვეულებრივ მდიდარ და თანაც მომაჯადოებელ მხარედ, სადაც იყო ქალაქი ეა და სადაც მეფობდა აიეტი, მფლობელი ოქროს ვერძისა, რომლის გასატაცებლად გემით მოვიდნენ არგონავტები.

არგონავტები მოვიდნენ ქვეყანაში, „სადაც (გადმოცემების თანახმად) მარმარილოს სასახლეში დადგმული იყო ვერცხლის მაგიდები, რომლებზედაც დაწყობილი იყო ოქროს კალათები, ძვირფასი ქურქული. სავარძლები გალაშხებული იყო სელის ქსოვილებით, ...ნოხებით“.

სტრაბონის ცნობით, ჰომეროსმაც კი იცოდა ძველი კოლხების შესახებ, იცოდა გადმოცემები არგონავტებზე, გავონილი ჰქონდა ცირცეასა და მედეაზე და მათ ტბიერებაზე, იცოდა კოლხიდის სიმდიდრე... დაბოლოს იცოდა კოლხიდის ტკბილი ღვინოც, რომელსაც ჰომეროსი უწოდებდა არომატისს, წითლად მოელვარეს (К. Ган, Экскурсия в Накалакеви, Изв. Кавказск. Отд. Московск. Археол. Общества, вып. II-ой, Тифлис 1907, გვ. 1—2). კოლხიდის შესახებ შექმნილი მითები და ლეგენდები, ძველბერძენი გადმოცემანი გვეუბნებიან, რომ კოლხიდაში ყოფილა განვითარებული დიდი კულტურა, სკოდ-

ნათ ოქროს მოპოვება ცხერის ტყაყების საშუალებით. ოქროს ვერძე შექმნილა ლეგენდა, უნდა ვიფიქროთ, მიგვეთითებეს კოლხიდის ოქროზე და კოლხიდის სიმდიდრეზე ბრინჯაოთი, როგორც ამას ფიქრობდა ზოგიერთი მეცნიერი<sup>1</sup>.

ძველი დროის ბრინჯაოს ზოდები დიდი რაოდენობითაა კოლხიდაში აღმოჩენილი. ერთ-ერთი ამ აღმოჩენათაგანი მე პირადად ვინახულე მიწის სამუშაოების დროს წალენჯიხის ჩაის მეურნეობაში (სურ. 1), სადაც დიდი რაოდენობით იქნა აღმოჩენილი ბრინჯაოს ზოდები.



სურ. 1. წალენჯიხაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ზოდები.


ადგილ ნაოხვამუს არქეოლოგიური გათხრებიც კოლხიდის ძველ კულტურაზე მიგვეთითებს.

რას წარმოადგენს ნაოხვამუ და რა მოგვცა იქ ჩატარებულმა 1940 წლის არქეოლოგიურმა გათხრებმა?

<sup>1</sup> ჰერნესის აზრით, ოქროს ვერძი იყო სიმბოლო ოქროსფერი ბრინჯაოსი, რომლისთვისაც მოვიდნენ არგონავტები შავი ზღვის სანაპიროებზე, დღევანდელს სამეგრელოში, საიდანაც ბრინჯაოს წარმოება ვრცელდებოდა დასავლეთისკენ (ევროპაში) ორი გზით: სამხრეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებით. ბრინჯაოს გავრცელების სამხრეთის გზა მიდიოდა სამეგრელოდან ჰელესპონტზე, ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვით შედიოდა საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთში და აგრეთვე ფინიკიაში და ეგვიპტეში. ჩრდილოეთის გზა მიუყვებოდა შავი ზღვის სანაპიროებს დუნაისკენ და თვით დუნაის საშუალებით გადადიოდა შუა და ჩრდილო ევროპაში (Нидерле, Человечество в доисторические времена, გვ. 215. Петербург 1898).



არქეოლოგიური გათხრები ნაოხვამუში მიმდინარებდა 1933, 1934, 1936 და 1938 წლებში. 1939 წელს გათხრები შეჩერებული იყო. 1940 წელში, როგორც ეს უკვე აღნიშნული გვექონდა, „ენიმიკი“-მ განაახლა მუშაობა. გათხრებისათვის საჭირო თანხები გაღებულ იქნა კოლხიდმშენის მიერ. გათხრებში მონაწილეობა მიიღეს კოლხიდის მუზეუმის დირექტორმა ბ. გოგოლიშვილმა, ინჟინერ-გეოლოგმა ი. გძელიშვილმა, უმცროს მეცმუშაეებმა ე. ნიშნიანიძემ და დ. ბრევაძემ, ფოტოგრაფმა ი. პახომოვმა, ტოპოგრაფმა ნ. ლამბაშიძემ და ამ სტრიქონების ავტორმა.



სურ. 2.

გათხრები, რომლებიც დაეწყო 13 ივნისს და გრძელდებოდა 23 ივლისამდის, წარმოადგენდა წინა წლების გათხრების გაგრძელებას. ვაგთხარეთ ოთხკუთხედი ფორმის დარჩენილი ფართობი ნაოხვამუს აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 2 F). სულ ვაგთხარეთ 235 კვად. მეტრის ფართობი, 4 მეტრის სიღრმეზე. ასეთი დიდი სამუშაოს ჩატარება შესაძლებელი იყო მხოლოდ ადგილობრივი პარტიული და ხელისუფლების უშუალო მხრუნველობითა და დახმარებით. დიდ დახმარებას გვიწვედა აგრეთვე კოლხიდმშენი.

გასათხრელი ადგილი წინდაწინ დაგეგვით კვადრატებად, მიწას ვიღებდით კულტურული და სხვა ფენების მიხედვით და ზუსტად ვიცავდით კვადრატების მიმართულებას.

სანამ გათხრებს დაეწყოვდით, საჭირო შეიქნა წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება. აუცილებელი გახდა წყლის ამოქაჩვა წინა წლების გათ-

ხრილი ადგილებიდან (სურ. 2 A, B, D, C; სურ. 3, 4 და 5), რომლებიც ორი მეტრის სიღრმის პატარა „ტბებად“ იყვნენ გადაქცეულნი, სადაც დიდი ზომის (40—60 cm) კობრებსა და ქარიყლაპია თევზებს მოენახათ მყუდრო ბინა. წინა წლების გათხრების დროს ჩაღრმავებული ადგილების „ტბებად“ გადაქცევა ჩვენ უნდა მივაწეროთ მათში ნიადაგისა და ქვენიადაგის წყლების დაგროვებასა და ახლო მდებარე მდინარიდან წყლის შემოსვლას. მდინარიდან კი წყალი შემოსულა იმ არხის საშუალებით (სურ. 6 a), რომელიც გაყვანილი იყო თავის დროზე გათხრების ადგილიდან მეორე დიდ არხამდე და რომელიც თავისთა-



სურ. 3. ნაოხვამუს „ტბა“; სამხრეთის მხარე.

ვად უკავშირდებოდა მდინარეს. ნაოხვამუს „ტბებში“ დაბინავებული თევზები სწორედ მდინარის ადიდების დროს არის პატარა არხის საშუალებით შემოსული და შემორჩენილი.

როდესაც „ტბები“ წყლისგან გავათავისუფლეთ, ჩვენ შევუდექით უკვე ადრინდელი გათხრის ადგილების „კედლების“ შესწავლას, რომ შესაძლებლობა გვქონოდა შეგვედგინა იგრძივი და იგნივი ქრილები, სადაც ზუსტად იქნებოდა მოცემული კულტურული და სხვა ფენების ერთი-მეორის მიმართ განლაგება. ასეთი სამუშაოების დროს გამოირკვა, რომ ნაოხვამუზე ჩვენ შეგვიძლია ჯერ-ჯერობით აღვნიშნოთ იგრძივ ქრილში (დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით) სხვადასხვა სისქისა და სიგრძის 25 ფენა, რომლებიდანაც შესაძლოა სამი ფენა მიეკუთვნოს ძირითად კულტურულ ფენებს.

იგრძივი ქრილის (სურ. 7 a) ზემო პირი წარმოადგენს ნიადაგს, რომელიც მოშავო-ყავისფერი თიხნარია; წმინდა ფოროვანობა, პლასტიკურობა და სი-



ნესტე მას კარგად ეტყობა; იგი თვალსაჩინოდ შეიცავს სხვადასხვა მცენარეულობის ნაშთებს.

ამ ნიადაგის ქვეშ (სურ. 7b) მიჰყვება მოყვითალო ფერის წმინდა ფოროვანი თიხნარი, რომელშიაც შესამჩნევი ხდება ცალკეული მაკრო-ფორები, წარმოშობილი მცენარეების ნაწილების დაღობის შედეგად. ეს თიხნარიც პლასტიკურია და ნესტიანი. სინესტე თანდათან მატულობს, რამდენადაც უფრო და უფრო ღრმად მივდივართ. კრილის ზედა პირზე მოქანვისფრო ზოლები თითქმის ჰორიზონტალურად არის განლაგებული.



სურ. 4. ნაოხვამუს ტბა; ჩრდილოეთის მხარე.

მეორე ფენის ქვეშ მოქცეულია კულტურული ფენა (სურ. 7c), რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ პირველ კულტურულ ფენას ანუ ზემო კულტურულ ფენას. ძირითადი შემადგენლობა ამ ფენისა შავი ფერის თიხნარია და შეიცავს გამოშვარ წითელი ფერის უფორმო თიხის ნაწილებს, ცხოველების კბილებსა, დამტვრეულ და დამწვარ ძვლებს, კერამიკის ფრაგმენტებს, ბრინჯაოსა და რკინის ნაშთებს და სხვას.

პირველი კულტურული ფენის ქვეშ მიჰყვება პლასტიკური, ნესტიანი, მოყვითალო ფერის თიხნარი, რომელსაც ოდნავ ეტყობა წმინდა ფოროვანობა. ამ ფენაში (სურ. 7d) კარგადაა გასარჩევი მოქანვისფრო ზოლები, რომლებიც ისეთნაირად არის დაქანებული, რომ სავსებით ეფარდება თვით ზემო კულტურული ფენის დაქანებას. ეს ფენა ზემოდან ადევს მეორე ანუ საშუალო კულტურულ ფენას.

მეორე ანუ საშუალო კულტურული ფენა (სურ. 7e) ბევრად უფრო ღარიბია პირველ კულტურულ ფენაზე. წმინდა ფოროვანობა მას ოდნავ ეტყობა, ხოლო მაკრო-ფორები კარგად გასარჩევი ხდება. ამ ფენაშიაც საკმაოდ გვხვდება გამომწვარი, უფორმო, წითელი ფერის თიხის ნატეხები, ცხოველების კბილები და დამტვრეული ძვლები, თიხის ტურქლის ნამტვრევები და სხვა, მაგრამ ყველაფერი ეს ნაკლები რაოდენობითაა წარმოდგენილი, ვიდრე პირველ კულტურულ ფენაში.



სურ. 5. მოსჩანს ფართო თხრილი დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიმართული.

მეორე კულტურულ ფენას ქვეშ მისდევს მოქანგისფრო თიხნარის ფენა (სურ. 7f), ხოლო ამის ქვეშ მიჰყვება წმინდა ფოროვანი, ძალზე ნესტიანი და პლასტიკური მოყვითალო-რუხი ფერის თიხა (სურ. 7g).

ნაოხვამუს ცენტრალურ ნაწილში აღნიშნული ფენები უკვე აღარ არის შესამჩნევი, ვინაიდან ისინი ზოგი წვიმების მიერ არიან გადარეცხილი და ზოგიც წინა წლების არქეოლოგიური გათხრების დროს არიან აღებული. შესაძლოა, რომ ეს ფენები არც თავიდანვე იყო ყველა ერთად და მთლიანად წარმოდგენილი სხვადასხვა მიზეზების გამო. ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების დროს ეს ფენები გასარჩევი იყო მარტოოდენ ნაოხვამუს აღმოსავლეთ ნაწილში მხოლოდ 9—10 მეტრის მანძილზე. ნაოხვამუს ცენტრალურ ნაწილში იგრძივმა კრილმა ჩვენ გვიჩვენა სხვადასხვა სახისა და შემადგენლობის ფენები, რომლებიც სპორადიულად იყო წარმოდგენილი; მაგალითად, გასარჩევი იყო თხელი ფენა (სურ. 7h), რომელშიაც სკარბობდა ნაცარი და ხის ნახშირი, ანუ უსწორმასწოროდ მიმდევარი ფენა, გამომწვარი თიხის ნატეხებით (სურ. 7i),



რომელიც უნდა იყოს თიხის გამოსაწვავი ქურის ნაშთები ანდა ცალკეული ორმოები (სურ. 7კ) ნაცრით, ნახშირითა და „შლაკებით“ ამოვსილი და სხვა.

რომ უფრო კარგად წარმოგვედგინა სურათი ადგილ ნაოხვამუს ფენების განლაგებისა, ამ მიზნით ჩვენ გავთხარეთ ოთხი ჭა, ხუთ-ხუთი მეტრის სიღრმისა. პირველი ჭა გავაკეთეთ მთავარი თხრილის (სურ. 2 C) სამხრეთის მიმართულებით. ამ ჭამ გვიჩვენა, რომ ნიდაგის სინესტე თანდათან მატულობს სიღრმის მიხედვით. მორუხო ფერის თიხნარში სინესტე უფრო თვალსაჩინო იყო. 1,4 მეტრის სიღრმეზე გამოჩნდა ხმელეთის ნიჟარები და ჟანგმიწის ნიშნები თიხაში; 2,5 მეტრის სიღრმეზე მივადექით 20 სანტიმეტრის სისქის ქვიშნარს, ხოლო 2,7 მეტრიდან სიღრმისკენ მიჰყვებოდა რუხი ფერის თიხნარი.




სურ. 6. ნაოხვამუს აღმოსავლეთის ნაწილი. მოჩანს არხი (ა) აღმოსავლეთის მიმართულებით.

მეორე ჭა გავაკეთეთ უკვე აღნიშნული დიდი თხრილის (სურ. 2 C) დასავლეთ ნაწილის მიმართულებით. ამ ჭაში აღსანიშნავია მინერალიზირებული ყავისფერი, ნახევარი მეტრის სისქის ტორფი, რომელიც გამოჩნდა 3,2 მეტრის სიღრმეზე. ეს ტორფი ზემოდან ჰქონდა მოქცეული რუხი ფერის თიხნარს, რომელშიაც შეამჩნევდით ორგანულ ნივთიერებათა ნიშნებს. ვფიქრობთ, რომ ამ ჭაში აღმოჩენილი ტორფი წარმოშობილია სწორედ იმ თხრილში, რომელიც თავის დროზე გარშემო ჰქონდა შემოვლებული ნაოხვამუს.

მესამე კა გავთხარეთ დაახლოებით ადგილ ნაოხვამუს შუა გულთან (სურ. 8 ა), ხოლო, როდესაც ამ კის გათხრა დაეწყო, მის ზედა პირიდან უკვე იყო აღებული სამი მეტრის სისქის მიწა. ამ კაში ჩვენ შეგვხვდა რუხი ფერის თიხები 0,25 მეტრის სიღრმეზე, სადაც შესამჩნევი იყო ნაცრისა და ნახშირის ნიშნები. 1,3 მეტრის სიღრმეზე გამოჩნდა ქვიშნარი რუხი ფერისა; 1,6 მეტრის სიღრმიდან იწყებოდა რუხი ფერის თიხნარი ორგანულ ნივთიერებათა ნიშნებით; 4,1 მეტრის სიღრმიდან კარგად იყო გასარჩევი ყავისფერი თიხები, ხოლო 4,5 მეტრიდან თიხები „კრელფეროვანი“ გამოჩნდა.

მეოთხე კა მთავარი თხრილის (სურ. 2 C) აღმოსავლეთით გავაკეთეთ. ამ კაში აღსანიშნავია რუხი ფერის თიხნარი 1,7 მეტრის სიღრმეზე და ყავისფერი თიხები 2,6 მეტრზე, რომლის ქვემოთ 4 მეტრის სიღრმიდან იწყებოდა ყავისფერი ტორფი ხის ნაწილებით. ვფიქრობთ, რომ ეს ტორფიც ნაოხვამუს გარშემო გაკეთებულ თხრილში უნდა იყოს წარმოშობილი<sup>1</sup>.



სურ. 7.

ამ ოთხ კაში და მათ მახლობლად მდებარე კოლმეურნეობათა ქეების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნიადაგის წყალი მოქცეული უნდა იყოს მოყვითალო-რუხი ფერის თიხნარებში 0,7—2,1 მეტრის სიღრმეზე მიწის ზემო პირიდან. კარგ ამინდში ჩვენ მიერ გაკეთებულ ქებში წყალი შემოდინდა თანდათანობით და წყლის დონე ქებში ერთი მეტრით მატულობდა სამი დღის განმავლობაში. ღრმად მდებარე ფენების ფილტრაციას ხელს უწყობდა თიხნარებისა და ქვიშნარების მაკრო-ფოროვანობა. ამავე ღრმად მდებარე ფენების სინესტე და პლასტიკურობა უნდა მივაწეროთ ქვენიადგის წყლების გავლენას, ხოლო ზედა ფენების სინესტე და პლასტიკურობა—ატმოსფერულსა და ნიადაგის ზედა პირის წყლებს.

არქეოლოგიური, პალეოზოოლოგიური და პალეობოტანიკური მასალა, რომელიც მოვიპოვეთ ჩვენი ექსპედიციის დროს გასულ წელს, უმთავრესად ამოღებულია კულტურული ფენებიდან. ამ მასალაში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი კერამიკული ნაწარმის ნამტერეგები სხვადასხვა სახის ორნამენტებით, მოგრძო ფორმის ბრტყელ გვერდიანი ქეები მარცვლეულობისა და მცე-

<sup>1</sup> ტოპოგრაფიულმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ მეორე და მეოთხე ქები მოხვედრილია ნაოხვამუს გარშემო ფართო ზოლად მიმდევნო დაჭაობებულ ადგილზე, რომელიც უნდა ყოფილიყო ნაოხვამუს გარშემო ძველ დროში შემოვლებული თხრილი.



ნარეების გამხმარი ფესვების დასაფშენელად და დასაფქევად. ბლომად მოიპოვება ძვლის, რქის, სპილენძის, ბრინჯაოსა და რკინის იარაღები. გვხვდება კაჟის ანამტერევებიც და ზოგიერთი ქვის იარაღიც. მეტად დიდი რაოდენობითაა მოპოვებული შინაური ცხოველების კბილები, დამტვრეული და დამწვარი ძვლები (ცხენი, ხარი, ლორი, ცხვარი და სხვა). გვხვდება გარეული ცხოველების (ირემი, ლორი და სხვა) ძვლებიცა და მცენარეების ნაშთებიც, საიდანაც აღსანიშნავია მუხა, თხმელა, კობიტა, წაბლი და წიფელა. გვხვდება კულტურული მცენარეების ნაშთებიც.

სამწუხაროდ, ექსპედიციამ ვერ შესძლო საჭირო სამუშაოების მთლიანად ჩატარება, ამიტომ ჯერ-ჯერობით შეუძლებელია ნაოხვამუს შესახებ შემაჯამებელი მთლიანი საერთო დასკვნების გაკეთება. ნაოხვამუს მთლიანი სურათის




სურ. 8. ნაოხვამუს აღმოსვლეთის ნაწილი, სადაც გათხრილ იქნა ჭა.

აღსადგენად საჭიროა მოთავდეს მისი არქეოლოგიური გათხრები და გეოლოგიურად შესწავლა. პრეპარირებული უნდა იქნეს მთლიანად ხის ნაგებობა, რომელიც გარშემო მიჰყვება ნაოხვამუს (სურ. 9) და რომელიც ჯერ-ჯერობით სრულიად გაურკვეველია. შესწავლილ უნდა იქნეს აგრეთვე წინა წლების არქეოლოგიური გათხრების მასალაც. ამ სამუშაოების ჩატარების შემდეგ შესაძლო იქნება მთელი რიგი ისტორიული და სხვა საკითხების გაშუქება, რომლებიც დაკავშირებულია ძველ კოლხიდასთან. ჯერ-ჯერობით მხოლოდ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ნაოხვამუს კულტურის მატარებელი ხალხი, რომელმაც ქვედა კულტურული ფენა დაგვიტოვა, ცხოვრობდა მეორე ათასეულის დასაწყისში

ჩვენს ერამდე, ეს ხალხი კარგად იცნობდა მეჯოგეობასა და პრიმიტიულ მიწათმოქმედებას და იღვა ბარბაროსობის საშუალო საფეხურზე.

ნაოხვამუს კულტურის შესწავლის შემდეგ შესაძლო იქნება აგრეთვე დაისვას მთელი რიგი მეტად დიდმნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები, რომლებსაც უეჭველად მიენიჭება დიდი როლი კოლხიდის დაბლობზე მშენებლობის საქმეში. ამ პრაქტიკული მნიშვნელობის ზოგიერთ საკითხებს გასული 1940 წლის ექსპედიციამ რამდენადმე მიაქცია ყუ-



სურ. 9. ზის ნაგებობის ნაშთები.

რადლება. ასე, მაგალითად, ნაოხვამუს იგრძივ კრილზე (სურ. 7 და სურ. 10) ნათლად არის გასარჩევი, თუ როგორ არის დაქანებული პირველი კულტურული ფენა, რომელიც უშუალოდ ეყრდნობა მოლურჯო ფენის თიხებს. ამ კულტურული ფენის ზემოთ კარგადაა შესამჩნევი ორი მეტრის სისქის მოყვითალო ფერის თიხნარი. ცხადია, რომ ეს მოყვითალო ფერის თიხნარი წარმოიშვა მას შემდეგ, რაც უკვე პირველი კულტურული ფენა იყოს დადებული. აქედან კი ადვილი მისახვედრია, რომ, თუ ჩვენ შევსძლებთ დავათარილოთ პირველი კულტურული ფენა, მაშინ სიძნელეს აღარ წარმოადგენს იმის გამოანგარიშება, თუ რამდენი დრო დასჭირდება ორი მეტრის სისქის ფენის გაკეთებას. აქედან კი სულ ადვილი იქნება იმის გამოანგარიშება, თუ რა სისქის ფენა შეიძლება დაიდოს მთელი წლის განმავლობაში კოლხიდის დაბლობზე, ყოველ შემთხვევაში მის აღმოსავლეთ ნაწილში. ამგვარ ცოდნას კი უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.



ჩვენი შეხედულებით, არა ნაკლები ღირებულების პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს პირველი კულტურული (სურ. 7 c და სურ. 10 c) და ყვეთელი ფენების (სურ. 7 b და სურ. 10 b) დაქანების კუთხეს, რომელიც მკაფიოდაა მოცემული ჩვენს ჭრილზე და სურათზე. ამ ფენების დაქანების კუთხის ზომას შეუძლია ჩვენ მოგვცეს პრაქტიკული მითითება, თუ როგორი ზომის დაქანება უნდა მიეცეს არხების კედლებს, რომლებიც გაყავთ კოლხიდის დაბლობზე. არხების კედლების ამათუიშ ზომის დაქანებაზე კი არის დამოკიდებული თვით ამ არხების კედლების გამძლეობა და ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფა დანგრევისაგან. არხების კედლების



სურ. 10. ნაოხვამუს დასავლეთის მხარე. მოჩანს იგრძივი ჭრილის ნაწილი.

დაქანების საკითხის უფრო კარგად გასარკვევად შექველად დიდ მასალას მოგვცემს ძველი კოლხიდის მცხოვრებლების მიერ გაყვანილი არხები, რომლებიც დღეს არა ერთი და ორი მოიპოვება კოლხიდის დაბლობზე, თუმც ძალზე შეცვლილი პირველი სახით. ამ ძველი არხების შესწავლა მოგვცემს მასალას ვიქონიით მსჯელობა არა მარტო არხების კედლების დაქანების ზომაზე, არამედ თვით არხების სიგანის ზომაზედაც. როგორც წინასწარი დაკვირვებიდან ჩანს, ძველი კოლხიდის მცხოვრებლები არხებს საკმაოდ ვანიერს აკეთებდნენ და მათ კედლებსაც განსაზღვრული ზომის დაქანებას აძლევდნენ, რომ უზრუნველყოთ არხების კედლების ჩანგრევისაგან. ყოველ შემთხვევაში ამ საკითხის სწორად გადაჭრას შეუძლია თავიდან აგვაცილოს, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც— ყველა ის დამატებითი სამუშაო და სხვადასხვა სახის ღონისძიება, რომლებიც თან ახლავს დღეს არხების გაყვანის საქმეს კოლხიდის დაბლობზე.

22. ენიშკის მოამბე, ტ. X.



საინტერესოა აგრეთვე შესწავლა სხვადასხვა ჯიშის ხეების ნაშთებისა, რომლებიც მოხვედრილა ამათუიმ ფენაში და რომლებიც ჩვენ მიერ არის მოპოვებული არქეოლოგიური გათხრების დროს. ხეების ნაშთების გარკვევა და ფენების დათარიღება საშუალებას მოგვცემს ვიქონიოთ წარმოდგენა, თუ რომელ ჯიშის ხეს რამდენ ხანს შეუძლია გასძლოს კოლხიდის დაბლობის მიწაში. ამგვარად საქმის დაყენება კი მოგვცემს საშუალებას რკინის ბოძების მაგიერ ზოგიერთ შემთხვევაში მაინც გამოვიყენოთ ხოლმე ამათუიმ ჯიშის ხის ბოძები, რომელთა გამძლეობის შესახებაც ჩვენ გვექნება ნათელი წარმოდგენა.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ კოლხიდის დაბლობზე ფართოდ წარმოებული არქეოლოგიური გათხრები მოგვცემს საშუალებას გავარკვიოთ არა მარტო ადამიანის ისტორიის საკითხები, არამედ ბევრი, ჯერ კიდევ ბუნდოვანი საკითხი სხვა რიგისა, როგორცაა საკითხები კოლხიდის დაბლობის დაქაობებისა, ძველი კოლხიდის ფლორისა და ფაუნისა, კოლხიდის დაბლობის აწვევის თუ დაწვევისა, მდინარეების სანაპიროების ისეთნაირად გამაღლებისა და გამაგრებისა, რომ შეზღუდული იყოს წყლის გადმოსვლა წყალდიდობის დროს და სხვა.

ყველა ამგვარი საკითხის შესწავლა ყოველ ექვს გარეშეა მოგვცემს შესაძლებლობას გავარკვიოთ მთელი რიგი პრაქტიკული საკითხი, დაკავშირებული იმ დიდ მშენებლობასთან, რომელიც წარმოებს კოლხიდის დაბლობზე.

#### შენიშვნა:

სურათები №№ 1, 8 და 10 გადაღებულია ავტორის მიერ. სურათები №№ 3, 4, 5 და 6 გადაიღო ფოტოგრაფმა ი. პახომოვმა. სურათი № 9 გადაღებულია ფოტოგრაფ ლ. არანდარენკოს მიერ. ნაოხვამუს ჭრილის გეგმა შეადგინა ინჟინერ-გეოლოგმა ი. გძელიშვილმა, ხოლო ნაოხვამუს გეგმა—მეცნიერმა მუშაკმა ე. ნიშნიანიძემ.

Г. НИОРАДЗЕ

## АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ РАСКОПКИ В КОЛХИДСКОЙ НИЗМЕННОСТИ

(Краткий отчет о раскопках за 1940 г.)

### РЕЗЮМЕ

Раскопки на территории Колхидской низменности, в местности Наохвamu (село Река, район Цхакая), велись в 1933, 1934, 1936 и 1938 гг. и были приостановлены до 1940 г., когда Колхидстроем были отпущены средства для возобновления работ.



Наохваму представляет искусственно возвышенное место высотой в 1 метр и около 80 м в диаметре. Оно служило поселением человека древней Колхиды и состоит из нескольких культурных слоев, простирающихся до глубины не менее 4 метров.

Вокруг Наохваму с самого начала была проведена широкая канава, которая теперь совершенно изменила свой прежний вид и заполнилась землей. По всей вероятности эта канава служила чем-то вроде коллектора для стягивания грунтовых и дождевых вод. Она могла служить и для водного сообщения и, нужно думать, была связана с системой рек, так как древние колхи предпочитали водное сообщение в болотистой Колхидской низменности. На это имеются указания и древних писателей. Например, Иппократ, упоминая о колхах, говорит: „Они мало ходят пешком, только в городе или на рынке, а обыкновенно разъезжают на однопорках вверх и вниз по каналам, которых там множество“. Искусственно возвышенные места, обнесенные канавами и напоминающие Наохваму по своим культурным остаткам, и теперь встречаются в достаточном числе в Колхидской низменности. И все они говорят, что в глубокой древности население Колхидской низменности было довольно многочисленно и имело высокую культуру. Но затем вследствие физико-географических и геологических изменений в Колхидской низменности создались условия, не подходящие для жизни человека, и древние колхи вынуждены были покинуть низменные места. Одним из таких изменений было опускание Колхидской низменности или поднятие уровня Черного моря и образование сильной заболоченности. Геологические и физико-географические процессы значительно меняли облик Колхидской низменности. Образование самой Колхидской низменности нужно отнести к этим процессам. К концу третичного периода на территории Колхидской низменности геологи отмечают тектонический прогиб и образование неглубокого морского залива. Глубина моря в этом заливе подвергалась значительным изменениям. Одной из причин этих изменений в плиоценовое и четвертичное время нужно отметить повторные прорывы и закупорки Босфора, которые изменяли дно мульды. С наступлением же относительной стабилизации уровня Черного моря произошло заполнение залива выносами рек, образование террасы, отделение залива, интенсивное поднятие суши, появление флоры и фауны и, наконец, появление человека. Естественно, что человек для своего поселения выбирал более пригодные места и вокруг них делал широкие каналы. Следы такого рода деятельности мы видим в памятниках, подобных Наохваму.

На древность появления человека в Колхидской низменности указывают разного рода предания и письменные свидетельства древних писателей. Предания говорят, что в Колхиде был город Эя, куда прибыли



аргонавты за золотым руном и „где в мраморном дворце стояли серебряные столы, на которых были установлены золотые корзины и драгоценные кувшины, между тем как на креслах красовались льняные покрывала и пурпуровые ковры“. Гомеру тоже была известна Колхида, где было много богатства и изобилие сладкого вина. Все эти предания, письменные указания, наконец, все эти древние памятники материальной культуры указывают на высокую древнюю культуру колхов. Предания же об аргонавтах указывают на богатство этой страны золотом и бронзой. По мнению Гёрнеса, „золотое руно—цель похода—повидимому, не что иное, как символ золотистой бронзы, из-за которой... ездили аргонавты... в нынешнее Самегрело“.

Энгельс говорит о наличии у рабочих своего диалекта. Это диалект классовый, диалект, но не язык, и это несмотря на то, что носители его, рабочие, настолько различны от буржуазии, „насколько могут быть различны две расы—два народа...“

Все ли классово в языке классового общества? Классовым могут быть лишь те явления, в которых находит выражение классовая точка зрения говорящего. Два главных средства используются при этом в языке:

1. Употребление одного и того же языкового знака с различной эмоциональной окраской применительно к точке зрения говорящего; монархист Шульгин, повествуя о революции 1905 года, пишет: „Резкая борьба «Киевлянина» с революцией

удержала значительное число киевлян в контрреволюционных чувствах" (см. „Дни“, стр. 13). Ясно, что в устах Шульгина слово „контрреволюционный“ носит на себе печать положительной оценки—точка зрения непримиримого врага революции проглядывает в этой оценке.

Очевидно, что в данном случае налицо частный случай общего явления эмоциональной окраски слова (сравни в этом отношении такие слова, как: „экскурсия“, „экзамен“, „философ“, „гадюка“...).

2. Употребление разных языковых средств для обозначения одного и того же объекта, применительно к точке зрения говорящего: ср. такие слова, как „Украина“ и „Малороссия“, „рядовой“ и „нижний чин“, „национальность“ и „инородец“...

Общеизвестно, что в таких терминах, как „Малороссия“, „инородец“ проглядывала целая программа национального угнетения самодержавной России, а „нижний чин“ звучал, как олицетворенное бесправие солдата царской армии.

Семантико-стилистические и лексико-стилистические средства языка дают естественный выход классовой точке зрения говорящего.

А фонетика, морфологический инвентарь, синтаксическая связь слов? В принципе это нейтральные в классовом отношении языковые средства. Случаи своеобразного использования их (напр. формы третьего лица глагола в немецком языке, как особой вежливой формы обращения) отнюдь не меняют сути дела.

Нейтральные в классовом отношении морфологические и синтаксические факты, будучи созданы еще задолго до классовой дифференциации общества, будучи явлениями надстроечного порядка отражают в себе мировоззрение соответствующего языкового коллектива (см. напр., грамматические классы, структуру предложения...).

Нейтральность данных категорий языка дело не случая, а закономерное проявление специфики языка, как надстроечной категории: язык форма выражения других идеологических явлений, каковы: литература, наука, право, религиозные воззрения..

Один и тот же звуковой состав, один и тот же морфологический инвентарь, одни и те же синтаксические правила сочетания слов обнаружатся в языке прессы резко расходящихся политических направлений; картина будет совсем иной, если проанализировать лексический состав, стилистические особенности тех же органов прессы: недаром проблемы семантико-стилистические связывают лингвистику с определенными отделами поэтики...



Другое обстоятельство, тоже специфичное для языка, как надстроечной категории, может быть тут равным образом лишь мельком отмечено: развитие звуковой стороны языковых средств—материала языковых знаков, имеет исключительное значение для развития языкового факта в целом: один и тот же языковой факт в процессе изменения звуковой стороны может дифференцироваться до неузнаваемости, нередко при сохранении прежнего значения и, наоборот, совершенно разные по происхождению факты могут совпасть, порой порождая сложные самасиологические проблемы.

Ни одна из надстроечных категорий идеологического порядка в такой мере не зависит в процессе развития от материала, в котором она воплощается, как язык. Изучение закономерностей изменения материала только в лингвистике могло создать исключительной ценности лингвистическую дисциплину—фонетику.

<sup>1</sup> Ограничиваемся здесь лишь этими замечаниями по вопросу о специфике языка, как надстроечной категории, считая нужным специально вернуться в дальнейшем к этому вопросу.

## ТЕЗИСЫ ДОКЛАДА:

1. Проблема сущности языка может ставиться:

- а) в аспекте философии языка или психологии языка,
- б) в аспекте чисто лингвистическом.

В первом случае мы имеем продолжение принципиальной линии философской грамматики, зародившейся в XVII веке; во втором случае базой служит научно-исследовательская практика изучения языков за время существования науки о языке.

Анализируя язык, как предмет лингвистики, мы, естественно, имеем в виду вторую возможность; в этой связи в первую очередь должны быть рассмотрены воззрения Пауля, де-Соссюра, Фосслера, с одной стороны, и акад. Н. Марра, с другой стороны.

2. Эстетизм и ультраиндивидуализм Фосслера, игнорируя коммуникативную функцию речи и сводя сущность языка лишь к экспрессивной функции („язык—духовное выражение“, язык—„свободное индивидуальное творчество на основе индивидуальной интуиции говорящих“) являет собою концепцию воинствующего идеализма („идеалист ищет принцип причинности в духе, позитивист же—в вещах, в явлениях“...; „задача лингвистики выявить дух, как единственно действующую причину совокупных языков форм“...).

3. И умеренный индивидуализм Пауля, и социологизм де-Соссюра глубоко психологистичны; психологизм и Пауля, и де-Соссюра („язык—организм речевых представлений“—Пауль; „языковый знак объединяет акустический образ с понятием“—де-Соссюр), утверждая по отношению к человеческой речи примат внутреннего, психического, субъективного над внешним, непсихическим, объективным, в понимании сущности языка стоит на принципиальных позициях идеализма со всеми вытекающими отсюда последствиями.

4. Плодотворное развитие исторической грамматики не находит научно правильного освещения в теоретических построениях Пауля и де-Соссюра (равно и Мейе), не говоря уж о Фосслере.



Сведение сущности языка к психическому субстрату речевой деятельности отнюдь не является логическим выводом и закономерным обобщением результатов исторической грамматики.

Резкий разрыв между лингвистической теорией и практикой сравнительно-исторического изучения языков—общая черта всех идеалистических концепций в современной западно-европейской лингвистической мысли.

5. В противоположность идеалистическим построениям индоевропейцев—акад. Н. Марр выставляет положение о надстроечном характере языка, иллюстрируя это положение материалами из разных языков, и выдвигает тезис о классовом характере этой надстроечной категории.

Несмотря на это, яфетическая теория акад. Н. Марра не дала марксистско-ленинского решения основных вопросов языка (взаимоотношение базиса и надстройки, классовость речи, происхождение языка, классификация языков), равно как обоснованной марксистско-ленинской критики идеалистической лингвистики.

Это обусловлено отсутствием внутренней связи между вышеозначенными общими марксистскими положениями в теории и яфетидологической практикой лингвистических исследований на основе палеонтологического *элементного* анализа.

6. Палеонтологический *элементный* анализ яфетический теории, выдвигаемый в качестве антитезы сравнительно-исторического анализа языков, является стовым хребтом нового учения о языке, определяя собой основные установки яфетической теории.

В частности, отрицание генеалогической классификации и противопоставление ей стадияльной классификации непосредственно вытекают из противопоставления палеонтологического метода—сравнительно-историческому.

7. Сравнительно-исторический метод сделал возможным науку о языке, при его помощи добыто все фактически положительное в изучении языков индоевропейских, семитических, урало-алтайских, кавказских...: его оправдала научно-исследовательская практика.

Этот метод заслужил лестный отзыв Энгельса. Он подлежит не устранению, а усовершенствованию.

Палеонтологический анализ, опирающийся на недоказанное и недоказуемое *учение о четырех лингвистических элементах*, антиисторичен; он ведет к обезличению языков; он беспомощен

в изучении живых языков и в обслуживании неотложных нужд культурного строительства Страны Социализма.

8. Яфетическая теория с *четырёхэлементным* палеонтологическим анализом не только не является марксистско-ленинским учением о языке, но и не может им стать, пока она орудует палеонтологическим методом: от *четырёхэлементного* анализа нет путей марксистско-ленинской теории.

Вместе с тем сводить научные и, в частности, лингвистические заслуги ак. Н. Марра к созданию *элементного* палеонтологического метода, значило бы совершать историческую несправедливость.

Советское языковедение не может быть создано без учета строго позитивных данных сравнительно-исторического анализа языков, критически проверенных на основе теории марксизма-ленинизма.

9. В отношении сущности языка из вышесказанного следует:

а) Сущность языка определяется природой языкового факта; языковой факт—физическое явление-знак, как средство общения: обозначаемое же—факт действительности (физической или психической).

Психические эквиваленты и знака-слова, и обозначаемого факта реальности,—лишь посредствующие элементы в процессе речи-мышления.

б) Язык надстроечная категория, поскольку языковой знак немыслим без отношения к обозначаемому.

в) Языковые знаки достояние языкового коллектива, как средство общения: коммуникативная функция—основа социальной природы языка.

Язык всегда социален; все в языке социально.

г) Классовость же характерна для языка только в классовом обществе; классовым может быть лишь то явление, в котором находит выражение классовая точка зрения говорящего.

д) Для уяснения специфики языка, как надстроечной категории, особенно важны два обстоятельства:

α) Язык—форма общественного выражения других идеологических явлений, каковы—литература, наука, право, религиозные воззрения...

β) Ни в одной из надстроечных категорий идеологического порядка изменение материала не имеет такого существенного значения для развития факта в целом, как в языке; отсюда—та исключительная роль, которая выпадает в лингвистике на долю фонетики.



PS. В прениях по подлежащему докладу (27.V.1940) оценка элементного анализа, данная в докладе, нашла единодушную поддержку со стороны ведущих специалистов Отделения Языка и Литературы.

В вышедшей спустя несколько месяцев (XII.1940) в третьем номере „Известий Акад. Наук ССР. Отд. Яз. и Литер.“ акад. И. И. Мещанинов посвятил специальную статью „Очередным задачам советского языкознания“.

В этой статье, знаменующей безусловный поворот в развитии яфетической теории, автор, отклоняя учение об элементном анализе, отстаивает положения об едином глоттогоническом процессе и о стадийном развитии языков, справедливо видя в них наиболее ценные общелингвистические утверждения акад. Н. Я. Марра.

В аналогичном же аспекте трактуется чл. корресп. А. Н. проф. В. М. Жирмунским один из основных вопросов, вопрос о сравнительной грамматике (см. там же: № 3 „Известий А. Н.“, стр. 19—61).

Нельзя не приветствовать появления этих статей (несмотря на спорность выставленных в них положений). Основная помеха в развитии советской лингвистики—учение об элементах—снята; отныне, надо полагать, актуальные проблемы общего языковедения займут у нас подающее им место.

На некоторых из этих проблем, тесно связанных с проблемой единого глоттогонического процесса и стадийной классификации языков, мы позволим себе впоследствии подробно остановиться.

А. Ч.

22.II.1941

პავლე ინგოროძე

ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა

მცხეთა-არმაზში 1940 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა, რომლებიც, როგორც ირკვევა, შესრულებულია ქართულად, ქართულის ალფაბეტით.

საკითხს ამ ძეგლთა შესახებ დაწერილებით ვეხებით ცალკე ნარკვევში, ხოლო ამგზის ვიძლევიტ მოკლე ცნობას ორი ძეგლის ვამო, დებულებათა სახით.

I

ბერცუმ (ბარაცმან) პიტიახშის ინიციალები, ქართული დამწერლობით  
შესრულებული (70—96 წლებისა)

არმაზის საპიტიახშო ნეკროპოლში (სამარხი № 3) აღმოჩენილ იქმნა, 1940 წ. 23 ნოემბერს, ვერცხლის ლანგარი.

ლანგარი დიდი ზომისაა (დიამეტრი—48 სანტიმეტრი). ლანგარი ნამუშევარია კარგი ოსტატ-მქანდაკეების მიერ, შესრულებულია იშვიათის ხელოვნებით. ლანგარის გული და კიდე-წრე ორნამენტირებულია.

ლანგარზე მოიპოვება სამი წარწერა: ორი ბერძნულად, ხოლო ერთი, როგორც ქვემოთ გამოირკვევა, შესრულებულია ქართულად.

აქ ჩვენ განვიხილავთ პირველ ბერძნულ წარწერას და ქართულ წარწერას. (რაც შეეხება მეორე ბერძნულ წარწერას, რომელიც არ წარმოადგენს ინტერესს აქ აღძრული საკითხებისათვის, ამგზის აღარ ვეხებით).

ქრონოლოგიურის თანრიგით ჯერ შესრულებულია პირველი ბერძნული წარწერა, შემდეგ ქართული. ორივე წარწერა მოთავსებულია ლანგარის ფსკერზე (ქუსლზე) ქვემო მხარიდან<sup>1</sup>.

ბერძნული წარწერა, რომელიც გარშემო მისდევს ფსკერის გარე-წრეს, იკითხვის ამრიგად<sup>2</sup>:

Ἐγὼ βασιλεὺς Φιλᾶ Δάμης ἐχαρισάμην Βερτσύμα πινάτζη  
= „მე მეფემან ფლავიოს-დადემან გიწყალობე [ეს ლანგარი] ბერცუმ<sup>3</sup> პიტიახშა“.


<sup>1</sup> წარწერების ტექნიკა სხვადასხვაა (ბერძნული გამოყვანილია—პუნქტირით, ქართული—მთლიანი ხაზით).

<sup>2</sup> ბერძნული წარწერა დემიფირებულია პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მიერ.

<sup>3</sup> საკუთარი სახელი Βερτσύμα-უნდა წაკითხულ იქნას როგორც ბერცუმი (ძველ-ქართულში დამოწმებულია შემდეგი სახეობანი ამავე სახელისა: ბარცომი და ბარაცმანი).



მეორე წარწერა, რომელიც ჩვენ ქართულად მიგვაჩნია, მოთავსებულია ფსკერის შუაგულ ადგილას, წრით შემოვლებულ არეში. იგი შეიცავს ორ ასოს, რომლებიც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, აღნიშნავს ლანგარის პატრონის ინიციალებს. ამ ასოებს შემდეგი მოხაზულობა აქვს:



(წრე და წრეში მოთავსებული ასოები მოყვანილი გვაქვს იმავე ზომით, როგორც ორიგინალში)<sup>1</sup>.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ასოები ლანგარზე ამოკვეთილია დახელოვნებული ოსტატის მიერ; ხაზები ზუსტად და ფაქიზად არის გავლებული ლითონზე მკვეთრი იარაღით და ასოებს პალეოგრაფიულად მკაფიოდ ჩამონაკეთილი სახე აქვთ.

\*

საკითხავია, რა შრიფტს ეკუთვნის ეს ასოები,—არის იგი ქართული? ჩანს არის.

თუ გავითვალისწინებთ იმ ეპოქას, რომელსაც ეკუთვნის ეს ძეგლი (ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისი საუკუნეები), ქართულ ძეგლებზე მოსალოდნელია წარწერები შემდეგი შრიფტებით: ბერძნული, არამეული, ან ამავე არამეულის განშტოება—ფალაური, და ქართული.

მაგრამ ეს ასოები არ არის არც ბერძნული, არც არამეული, ან არამეულ-ფალაური.

ამავე დროს აქ ჩვენ გვაქვს ტიპიური მოხაზულობა ძველ-ქართული დამწერლობისა.

ეს ასოები შესაძლოა გაშიფრულ იქმნას მხოლოდ როგორც ქართული ასოები; პირველი ასოა—ბ, მეორე ასო—ქ:

ბ = ბ;      ქ = ქ.

<sup>1</sup> ყველა ნახაზები, მოთავსებული ამ წერილში, შესრულებულია ორიგინალების მიხედვით მხატვრის რენე შმერლინგის მიერ.

ასოების კონფიგურაციის შესახებ აქ საჭიროა ზოგიერთი განმარტება.

მეორე ასო „ქ“ ჩვეულებრივი ტიპისაა, იგი უდგება იმ მოხაზულობას, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ სხვა ჩვენ დრომდე მოღწეული ძეგლებიდან.

რაც შეეხება ასოს „ბ“, აქ არის სხვაობა ერთ დეტალში: ჩვენს ძეგლზე ამ ასოს აქვს ორი კუდი (ერთი ქვემოთკენ, მეორე მარჯვნივკენ), ხოლო ჩვენ დრომდე მოღწეულ უფრო გვიანი ხანის წარწერებში (V საუკუნისა და შემდგომი დროისა) ამ ასოს აქვს მხოლოდ ერთი კუდი (ქვემოთკენ). შეადარეთ:

ჩვენი ძეგლის ასო:

გვიანდელი ხანის პარალელები (კუთხოვანი ტიპისა):



(ნახევრად თავშეკრული).

(თავშეკრული).

(თავგახსნილი).

რით უნდა აიხსნას ჩვენი წარწერის „ბ“-ში ზედმეტი მარჯვენა კუდის არსებობა? აქ ორი შესაძლებლობაა დასაშვები:

1. აქ შეიძლება გვქონდეს ერთ-ერთი ძველი ვარიანტული სახეობა ასო „ბ“-ს დაწერილობისა. საუკუნეთა განმავლობაში ასოებს, როგორც ცნობილია, თანდათან ეცვლებათ სახე, ზოგჯერ ემატება ესა თუ ის ზედმეტი ხაზი, ზოგჯერ აკლდება. ასე, მაგალითად, თვით ერთი საუკუნის მანძილზე, მე-V—VI საუკუნეთა ფარგლებში, ასო „მ“ ქართულ ძეგლებში ზოგჯერ წარმოდგენილია როგორც ოვალი, ზედმეტი ნიშანის გარეშე, ზოგჯერ კი ერთვის ან კული, ან პატარა წრე:



(=საპაკდუნტის ძეგლი).

(=ბოლნისი).

(=ურბნისი).

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან ისიც, რომ იმ არქაულ პროტოტიპში, საიდანაც მომდინარეობს ქართული ალფაბეტი, სახელსობრ არქაულ ბერძნულში, ასო „ბ“ ჩვენ გვხვდება ქვემო კუდით, ხოლო პარალელურად განის კუდით.

ეს ერთი შესაძლებლობა.

2. მაგრამ ამის გვერდით დასაშვებია მეორე შესაძლებლობაც, სახელდობრ ის, რომ აქ გვაქვს ლიგატურა, ე. ი. ასოსთან „ბ“ შერწყმულია მეორე ასო. ლიგატურიან დაწერილობას ქართულში, როგორც ირკვევა, ადრინდელი ტრადიცია აქვს. იგი წარმოდგენილია ერთ-ერთ უძველეს ჩვენ დრომდე მოღწეულ წარწერაში—ანავ-კახახს ძეგლში ვახტანგ გორგასარის დროისა (V ს.), აგრეთვე სასანური ხანის ფულზე (VI საუკ.)<sup>1</sup>.

თუ ჩვენ დავუშვებდით, რომ ჩვენს წარწერაში ასოსთან „ბ“ შერწყმულია მეორე ასო, მაშინ, ასოების ბუნებრივი მიჯრის მიხედვით, ლიგატურის გახსნა არ წარმოადგენს სიძნელეს.

მოვიგონოთ მაგალითისათვის, თუ როგორ იხსნება სასანიანთ ხანის ფულზე ლიგატურა ბ+ნ:

<sup>1</sup> ამას გარდა, ლიგატურიანი დაწერილობა წარმოდგენილია ანტიკური ხანის ძეგლზე მიზრღატ მეფის დროისა, რომელიც I—II საუკუნეებს ეკუთვნის (იხ. ქვემოთ).



წერია შერწყმულად **ნ**, ხოლო იხსნება: **ნნ**.

ასევე ჩვენი ლიგატურა, ასოების ბუნებრივი მიჯრის თანახმად, ასეთნაირად გაიხსნება:

წერია შერწყმულად **ქ**: ხოლო იხსნება: **ქქ**.

ხოლო თუ ჩვენ ვივარაუდებთ, რომ ჩვენი ძველის წარწერაში წარმოდგენილია თავგახსნილი ცარიანტი ასოსი „ბ“ (= **ქ**), მაშინ ლიგატურის არსებობა აქ კიდევ უფრო ნათელი ხდება:

წერია შერწყმულად: **ქ**, ხოლო იხსნება: **ქქ**.

რას აღნიშნავს ცალკეული ასოები ლიგატურისა?

პირველი ასო ეს არის „ბ“—უმეტნაკლებოდ, სუფთა მოხაზულობით, ზედმეტი ხაზის გარეშე.

ხოლო მეორე ასოში უნდა ამოცნობილ იქნას არქაული სახე ასოსი „პ“.

აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილს თავის კაპიტალურ გამოკვლევაში „ქართული დამწერლობათ-მცოდნეობა“ (გვ. 208—209)—ჩვეულებრივის საბუთიანობით დადგენილ აქვს, რომ ქართულ ალფაბეტში არქაული სახე ასოსი „პ“ იმ ტიპისა იყო, როგორსაც ვხედავთ ლიგატურის მეორე ასოში.

მაშასადამე ჩვენი ლანგარის წარწერა ასე უნდა გაიხსნას:

1. იმ შემთხვევაში, თუ აქ არა გვაქვს ლიგატურა, ასოები წაიკითხება ამრიგად: ბ. ქ.

2. იმ შემთხვევაში, თუ აქ წარმოდგენილია ლიგატურა, წაიკითხება ამრიგად: ბ. პ. ქ.

\*

შემდეგი საკითხი,—რას აღნიშნავს ეს ასოები?

ამის მიხედვით, რომ ეს ასოები არ არის შემთხვევითი მინაწერი, არამედ მოთავსებულია ნიშნულ ადგილას, ამოკვეთილია ლანგარის ფსკერის შუაგულში, წრით შემოვლებულ არეში,—ჩვენ სადუძველი გვიძლევა დავასკვნათ, რომ აქ გვაქვს ამ ლანგარის პატრონის ინიციალები.

თავდაპირველად აქ საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ როგორ აღინიშნებოდა ვინაობა უძველესი ხანის ქართულ ძეგლებში. აქ ჩვენ გვაქვს სამი ვარიაცია ვინაობის აღნიშვნისა:

1) სახელი+2) მამის სახელი;

1) სახელი+2) თანამდებობა (ტიტული);

1) სახელი+2) თანამდებობა (ტიტული)+3) მამის სახელი.

ამრიგად, ჩვენი ლანგარის ინიციალებიდან პირველი ასო „ბ“ უნდა აღნიშნავდეს ლანგარის პატრონის სახელს.

და რომ ეს ასეა, ამას ადასტურებს ქართული წარწერის შეხვედრა ბერძნულთან.

როგორც ვნახეთ, ბერძნული წარწერის ცნობის თანახმად, ეს ლანგარი ნაწყალობევი ყოფილა მეფის ფლავიოს-დადეს მიერ ბერცუმ პიტიახშისათვის. ლანგარის პატრონი ყოფილა ბერცუმ პიტიახში. ხოლო ქართულ წარწერაში პირველი ასო, რომელიც უნდა აღნიშნავდეს პატრონის სახელის ინიციალს, მართლაც არის ასო „ბ“.

ამრიგად, ასოში „ბ“ ჩვენ გვაქვს ინიციალი სახელისა: „ბერცუმი“.

მაშასადამე ამ წარწერის ვითარება ასე წარმოგვიდგება. როდესაც ეს ლანგარი, ნაწყალობევი მეფის მიერ, შემოსულა ბერცუმის ოჯახში, მას შემდეგ ფსკერის შუა წრეში ამოუქდევიათ თვით პატრონის ინიციალები.

\*

რაკი ინიციალების პირველი ასოს მნიშვნელობა ამოცნობილია, ამით ძირითადი საკითხი,—წარწერის ქართულობა—დადგენილად უნდა ჩაითვალოს.

განვავრძობთ ამის შემდეგ ძიება და გავარკვეით ინიციალების მეორე ნაწილის მნიშვნელობა.

როდესაც ჩვენ ამოვხსენით პირველი ასო ინიციალებისა („ბ“ = „ბერცუმი“), პირველი აზრი, რომელიც დაგვებადა, ის იყო, რომ მეორე ნაწილი ინიციალებისა აღნიშნავს ტიტულს: „ქართლისა პიტიახში“ resp. „პიტიახში ქართლისაჲ“.

შევამოწმოთ, თუ რამდენად საბუთიანი იქნებოდა ასეთი დაშვება?

თავდაპირველად იმის შესახებ, თუ როგორი სინტაქსური წყობა არის მოსალოდნელი იმ ხანაში, რომელიც აქ ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს: „პიტიახში ქართლისაჲ“, თუ „ქართლისა პიტიახში“.

თუმცა უფრო არქაულია პირველი წყობა „პიტიახში ქართლისაჲ“, მაგრამ მასალების გათვალისწინება გვიჩვენებს, რომ უკვე ანტიკურ ხანაში ორივე წყობა არის მოსალოდნელი, როგორც „პიტიახში ქართლისაჲ“, ისე „ქართლისა პიტიახში“.

კერძოდ მეორე ტიპის წყობა: „ქართლისა პიტიახში“, „ქართლისა კათოლიკოზი“ და მისთანანი დამოწმებულია ადრეულ საშუალ-საუკუნეთა ქართულ ძეგლებში.

ხოლო, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამნაირივე მეორე ტიპის წყობა დამოწმებულია აგრეთვე უძველესი ხანის გეოგრაფიულ სახელგამაიც: უფლის-ციხე (=ციხს უფლისაჲ), ველის-ციხე, რუას-თავი, წყაროას-თავი, ტასის-კარი, დოლის-ყანა და სხვანი.

ჩვენს წარწერაში, როგორც მკითხველი შეამჩნევდა, ინიციალების მეორე ნაწილი თავისუფლად იხსნება როგორც ტიტული: პიტიახში ქართლისაჲ resp. ქართლისა პიტიახში.

მართლაც ლიგატურაიანი დაწერილობის შემთხვევაში ჩვენ აქ გვაქვს ინიციალები:

ბ. ქ. = პ[იტიახში] ქართლისაჲ.

ხოლო თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ აქ გვაქვს არა ლიგატურა „ბ. ქ.“, არამედ ერთი ინიციალი „პ“, ასეთ შემთხვევაშიაც იგი შესაძლოა გახსნილ იქნას როგორც იმავე ტიტულის მეორე სახეობა: ქართლისა პიტიახში. საქმე ის არის, რომ ძველ-ქართულში მიღებული იყო ეგრეთწოდებული ერთ-ასოიანი



დაქარაგმებაც, როდესაც ცნობილი ტიტულები აღინიშნებოდა მხოლოდ ერთი ასოთი, თუნდაც ტიტული ორი და მეტი სიტყვისაგან ყოფილიყოს შემდგარი. მაგალითად, ინიციალები:

ფ—აღნიშნავდა: „წილკნელი ეპისკოპოსი“.

ვ—აღნიშნავდა: „ქყონდიდელი მთავარ-ეპისკოპოსი“.

ასევე „ქ“ შესაძლოა ამოშიფრულ იქნას როგორც ქ[ართლისა პიტიახში]. პიტიახშიზა იმდენად მნიშვნელოვანი ტიტული იყო, რომ იგი შესაძლოა თავისუფლად აღნიშნული ყოფილიყო ერთ-ასოიანი დაქარაგმების წესითაც.

ამრიგად, თითქოს არ არსებობს არავითარი დაბრკოლება, რომ მეორე ნაწილი ჩვენი ინიციალებისა გავსხნათ ასეთნაირად:

1. ლიგატურის შემთხვევაში: ბ. ბ. ქ.=ბ[ერცუმ] პ[იტიახში] ქ[ართლისა];
2. ულიგატუროდ: ბ. ქ.=ბ[ერცუმ] ქ[ართლისა პიტიახში].

მაგრამ ამგვარი გახსნა ინიციალებისა მაინც სათუოდ უნდა ჩაითვალოს, და აი რატომ. საქმე ის არის, რომ იმ ეპოქაში, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, ყველა ჯერჯერობით აღმოჩენილ ძეგლებზე, გამოუკლებლივ, ტიტული არმაზელი პიტიახშებისა აღნიშნულია მხოლოდ როგორც „პიტიახში“, დაურთველად სიტყვისა „ქართლი“. მართალია, ყველა ეს პირნი იყვნენ პიტიახშნი ქართლის ქვეყნისა, და მათი რეზიდენცია იყო ქალაქი „ქართლი“<sup>1</sup>, მაგრამ გავრცელებული სახეობა ტიტულისა დასახელებულ ეპოქაში ჩანს ყოფილა მარტივად „პიტიახში“, და ჯერჯერობით არ გვაქვს არც ერთი მაგალითი ამ ეპოქიდან, რომ ამ ოფიციალურ ტიტულს „პიტიახში“ ერთვოდეს თვით სიტყვა „ქართლი“. ამრიგად, ეს გარემოება ექვს ქვეშ აყენებს ზემოთ-წარმოდგენილს ინტერპრეტაციას.

ამას გარდა მხედველობაში მისაღება აგრეთვე თვით ხასიათი ასოების განლაგებისა ლიგატურაში. საქმე ის არის, რომ მეორე ასო „პ“ შეერთებულია არა მესამე ასოსთან „ქ“, არამედ პირველ ასოსთან „ბ“. ხოლო თუკი მესამე ასო „ქ“ აღნიშნავდეს ცნებას „ქართლისა“, მაშინ მეორე ასო „პ“ საფიქრებელია შეერთებული იქნებოდა სწორედ მესამე ასოსთან, რომელთანაც იგი ერთ ცნებას გამოხატავს: ბ+ქ [=პიტიახში ქართლისა]. ხოლო ლიგატურაში ეხლა სულ სხვა წყობაა: ბ+პ ქ (=ბერცუმ+პიტიახში ქ...).

ამრიგად, საფიქრებელი ხდება, რომ ინიციალი „ქ“ არ უნდა ნიშნავდეს სიტყვას „ქართლი“.

მაშ რას აღნიშნავს იგი?

გამორიცხვის საშუალებით ჩვენ გვჩვენება ერთად-ერთი შესაძლო ვარიანტი, რომ უკანასკნელი ასო „ქ“ აღნიშნავს მამის სახელს.

მაშასადამე ინიციალები ამრიგად უნდა გაიხსნას:

1. ლიგატურის შემთხვევაში: ბ. ბ. ქ.=ბ[ერცუმ] პ[იტიახში] ქ[...ს=ძქ].
2. ულიგატუროდ: ბ. ქ.=ბ[ერცუმ] ქ[...ს=ძქ].

\*

ამის შემდეგ გამოსარკვევი რჩება, თუ ვისი ძე უნდა ყოფილიყო ბერცუმ პიტიახში.

ამ საკითხის გამო ჩვენ ამგზის დაგკმაყოფილებით რამდენიმე მოკლე შენიშვნით (უფრო დაწვრილებით—სპეციალურ ნარკვევში).

<sup>1</sup> „ქართლი“ ერქვა როგორც ქვეყანას, ისე ქალაქსაც (ქალაქ არმაზს).

ბერცუმ პიტიახში, როგორც ეს ირკვევა ბერძნული წარწერიდან, იყო ხელისუფალი იბერიის მეფისა, რომლის საპატიო სახელწოდება ყოფილა ფლავიოს დაღე.

ეს საპატიო სახელწოდება იბერიის მეფეს ცხადია მიუღია ფლავიოსის სახლის რომის იმპერატორთა პატივსაცემად. ამის მიხედვით ეს მეფე იბერიის ცხოვრობდა 70—96 წ. წ.

ქართული ნაციონალური მატრიანების ტრადიციის თანახმად, ქართული სახელი იბერიის იმ მეფისა, რომელიც თანამედროვე იყო ფლავიოსთა სახლისა (ე. ი. მეფისა, რომელსაც მიუღია საპატიო სახელწოდებად „ფლავიოს-დაღე“) — არის ქარძამი. ხოლო ქარძამის თანამართველად მოიხსენება ბარცომი.

ქართულ ნაციონალურ მატრიანებში I საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან ვიდრე II საუკუნის მეორე ნახევრამდე, როგორც ცნობილია, ჩამოთვლილია „იმიერ“ მეფენი და „ამიერი“ თანა-მეფენი. მატრიანების კრიტიკული შესწავლიდან ირკვევა, რომ „იმიერ“ მეფეთა სახელით მატრიანებში იგულისხმება სრულიად იბერიის მეფენი, ხოლო „ამიერ“ თანა-მეფეთა სახელით — არმაზელი პიტიახშები, რომლებიც იყვნენ მეფის მოადგილენი, ვიცე-მეფე. (არმაზელი პიტიახში — ეს არის იგივე სტრაბონის მიერ მოხსენებული „შემდგომი“ მეფისა, მეორე პირი მეფის შემდეგ).

ამრიგად, ქართულ მატრიანებში დასახელებული ქარძამი, რომელიც „იმიერ მეფედ“ არის მოხსენებული, არის სრულიად იბერიის მეფე, ხოლო მისი „ამიერი“ თანამართველი ბარცომი (იგივე ბარცამანი) — არის არმაზელი პიტიახში.

ეს ბარცომი, ქართული მატრიანებისა — როგორც ირკვევა — იდენტურია ჩვენ წარწერაში მოხსენებულ ბერცუმ პიტიახშთან; აქ ჩვენ ვვაქვს სამმაგი შეხვედრა: 1. შეხვედრა სახელისა; 2. შეხვედრა თანამდებობისა; 3. შეხვედრა თარიღისა (I საუკუნის ბოლო მესამედი ქართული მატრიანებისა = 70—96 წლები ჩვენ წარწერისა).

დასასრულ, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: საისტორიო წყაროების ჩვენებიდან დასტურდება, რომ პიტიახშები იყვნენ „სიფე-წულნი“, ისინი სამეფო გვარეულობას ეკუთვნოდნენ. ხოლო კერძოდ არმაზელი პიტიახში, რომელიც იყო უზენაესი ხელისუფალი მეფის შემდეგ, ცხადია ინიშნებოდა თვით მეფის უახლოეს მკვიდრთაგან, ისინი ჩანს იყვნენ პირველ რიგში თვით უფლისწულები, მეფის ძენი.

ამის გამო საფუძველი გვეძლევა ვიფიქროთ, რომ პიტიახში ბერცუმი, რომელიც დადგენილი ყოფილა პიტიახშად მეფე ქარძამის დროს, ჩანს, იყო მეფე ქარძამის ახლო მკვიდრი, საფიქრებელია თვით უფლისწული, მეფის ძე.

და რომ ეს ასე ყოფილა, ამას ადასტურებს ჩვენი ლანგარის ინიციალები, რომელიც უნდა გაიშიფროს ამრიგად:

ბ[ერცუმ] პ[იტიახში] ქ[არძამის-ძე].



## II

იბერიის მეფის მიჰრდატ ფარსმანის-ძის დროინდელ სტელაზე წარმოდგენილი გენზელი, შესრულებული ქართული დამწერლობით


არმაზის იმავე საპიტიახშო ნეკროპოლში 1940 წელს 25 ნოემბერს აღმოჩენილ იქნა სტელა ერთ-ერთი პიტიახშის საფლავისა.

სტელაზე მოიპოვება წარწერა, შესრულებული არამეულის დამწერლობით.

ამას გარდა სტელაზე მოიპოვება რამდენიმე ცალკეული სპეციფიკური ნიშანი, რომელიც, როგორც ქვემოთ გამოიჩვენება, ქართულ დამწერლობას წარმოადგენს.

ვიდრე ამ ნიშნების ამოშიფრვას შევეუდგებოდეთ, საჭიროა ჯერ გავითვალისწინოთ, თუ რა სახე ჰქონდა თავდაპირველად სტელას, და თუ როგორ არის განლაგებული ეს სპეციფიკური ნიშნები სტელაზე.

სტელა ამჟამად დაზიანებულია (ჩამოტვრეული აქვს ზემო ნაწილი და მარჯვენა მხარე)<sup>1</sup>. სტელის შენახული ნაწილის კონფიგურაციის მიხედვით, სტელას თავდაპირველად შემდეგი სახე ჰქონია: ზევით მორგვალეული ყოფილა, ხოლო გვერდებში, მარჯვნივ და მარცხნივ, ორი ყურე ჰქონია დატანებული:




სურათზე შტრიხებით არის დაფარული სტელის ჩამოტვნილი ნაწილები.


სტელის ზომა (შენახული ნაწილისა): სიმაღლე 161 სანტიმეტრი; ვანი 69 სანტიმეტრი.

<sup>1</sup> სტელის დაზიანება შემდეგით არის გამოწვეული. სტელა, რომელიც თავდაპირველად ამართული ყოფილა პიტიახშის საფლავზე, უფრო გვიან ხანაში (—როდესაც პიტიახშთა სასაფლაო მოშლილა), გამოუყენებიათ სხვა დანიშნულებისათვის, — როგორც ერთ-ერთი კედელი ქვის კუბოსი; იმისათვის, რომ სტელა შეთანაბრებული ყოფილიყო ზომის მიხედვით ქვის კუბოს სხვა კედლებთან, სტელისათვის ჩამოუტვნიათ ზემო-ნაწილი და მარცხენა გვერდის მხარე.

დასახელებული სპეციფიკური ნიშნები, რომელიც ჩვენ ქართულ დამწერლობად მიგვაჩნია, მოთავსებულია სტელის ზემო ნაწილში (ვიდრე დაიწყებოდეს არამეული დამწერლობის გაბმული ტექსტი) და განლაგებულია ამრიგად:




(ფოტო სტელის ზემო ნაწილისა).



(ნახაზი სტელის ზემო ნაწილისა. — შტრიხებით დაფარულია ჩამოტეხილი ზევითა მხარე და მარცხენა მხარე).

ძეგლის არსებული სახის გაცნობის შემდეგ, ვიძლევიტ რესტავრაციას ძეგლისას იმ სახით, როგორიც მას, ჩვენი აზრით, თავდაპირველად ჰქონდა:



რას წარმოადგენს ეს სპეციფიკური ნიშნები, რომელიც მოთავსებულია, ასე ვთქვათ, საპატიო ადგილას, სტელის თავში.


ცხადია, ეს არ შეიძლება იყოს და არც არის შემთხვევითი რაიმე ნიშნები, ანდა ორნამენტი. (ნუ დაგვაფიქვდება ამასთან, რომ ეს ნიშნები წარმოდგენილია არა შემთხვევითს საფლავის ქვაზე, არამედ სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფალის — პიტიახშის სტელაზე).




ერთადერთი შესაძლო ახსნა არის ის, რომ აქ გვაქვს სახელობითი ვენ-ზელი, გამოსახული ასო-ნიშნებით.

\*

შევედგეთ ამის შემდეგ ამ ვენზელის მნიშვნელობის ამოშიფრვას. ცენტრალური რთული ნიშანი, როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, წარმოადგენს ეგრეთწოდებულ ლიგატურას, რამდენიმე ნიშნის შეერთებას. ეს ლიგატურა შესდგება სამი ნაწილისაგან, სამი ნიშნისაგან:



თუ რას წარმოადგენს პირველი ნიშანი  (რომელიც დაზიანებულად არის დაცული), ამ საკითხს ჩვენ აქ ამგზის ლიად ვტოვებთ და ვეხებით ცალკე სპეციალურ ნარკვევში. (ეს ნიშანი, როგორც ირკვევა, არის სიმბოლო მფლობელობისა).

რაც შეეხება მეორე და მესამე ნიშანს, აქ ჩვენ გარკვევით გვაქვს ასოები, რომლებიც, ცხადია, აღნიშნავენ სახელს.

რომ ამ ორი უკანასკნელი ნიშნის სახით ჩვენ გვაქვს სწორედ ორი ნიშანი, არც მეტი, არც ნაკლები, და რომ ეს ორი ნიშანი წარმოადგენს ასოებს, ეს სრულიად უდავოდ დასტურდება შემდეგის მიხედვით: ეს ორი ნიშანი წარმოდგენილია არა მხოლოდ ლიგატურაში, არამედ ამავე დროს ცალ-ცალკეც ყოფილა გამოსახული ძველის ყურებზე.

სახელდობრ პირველი ნიშანი მოიპოვება ძველის მარჯვენა ყურებზე:

S

ხოლო მეორე ნიშანი, სტელის კონფიგურაციის და წარწერის კომპოზიციის მიხედვით, ცხადია, მოთავსებული უნდა ყოფილიყო მარცხენა ყურებზე:

ს

მაშასადამე ლიგატურის სახით წარმოდგენილი ასო-ნიშნები თვით ძველზედვე ყოფილა გაშიფრული, როგორც ორი ასო: SL

რომ ეს ასოები ასეთი თანრიგით მისდევნენ: SL, ეს დასტურდება იმის მიხედვით, რომ ლიგატურაში ჯერ წარმოდგენილია პირველი ასო, ხოლო შემდეგ მეორე.

შემდეგი საკითხი: ასოების შრიფტის სადაურობა.

თუ რომელ შრიფტს ეკუთვნის ამ ვენზელის ასოები, ეს არ იწვევს არავითარ ეჭვს.

თუ გავითვალისწინებთ ებოქას, რომელსაც ეკუთვნის სტელა (I—II საუკუნეები ჩვენი წელთაღრიცხვისა), აქ, როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, შესაძლოა წარმოდგენილი იყოს შემდეგი შრიფტები, რომელთა ხმარება დამოწმებულია ანტიკური ხანის იბერიაში: ბერძნული, არამეული, არამეულის განსტოება—ფალაური, ანდა ქართული.

ხოლო ჩვენი ძეგლის ვენზელის ასოები არ არის არც ბერძნული, არც არამეული ან ფალაური; არც ერთის ხაზით იგი არ მიაგავს არც ერთ ამათგანს, აქ ჩვენ სრულებით განსხვავებული დამწერლობა გვაქვს.

მაშასადამე აქ ჩვენ უნდა გვქონდეს ქართული დამწერლობა, და ეს ასეც არის. საკმაოა დაეხედოთ ამ ასოებს, რათა ჩვენ ამოვიცნოთ ქართული შრიფტი.

აქ ჩვენ გვაქვს უმეტესად ტიპიური ქართული ასოები (ასომთავრული), როგორადაც იგი ცნობილია უძველესი ძეგლებით:

S = ზ.                      L = ს.

საკითხავია ამის შემდეგ, რა სახელი იმალება ამ დაქარაგმებული ასოებით „ზ—ს“.

ქართული დამწერლობის უძველეს ძეგლებში საკუთარი სახელების ორასოიანი დაქარაგმების დროს ყოველთვის აღინიშნება ხოლმე სახელის პირველი ასო და უკანასკნელი ასო, მაგალითად:

დ(ი)=დავით (ბოლნისის წარწერა 478—503 წლებისა); ზ(ნ)=გურგენ (სასანიანთ ხანის ქართული ფული VI ს.).

ეს უკანასკნელი მაგალითი სასანიანთ ხანის ფულისა მით უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი საკითხისათვის, რომ აქ შემოკლება ზ(ნ) (=გურგენ) წარმოდგენილია სწორედ ლიგატურის სახითვე, როგორც ჩვენს ძეგლში,—ლიგატურაში მოცემულია პირველი და უკანასკნელი ასო.

ამრიგად, ჩვენი ძეგლის ლიგატურაში აღნიშნულია სახელი, რომლის პირველი ასოა „ზ“, ხოლო უკანასკნელი ასო „ს“.

თუ სახელდობრ რომელ სახელს აღნიშნავს ეს დაქარაგმებულად წარმოდგენილი „ზ—ს“, ამისი ახსნა ცხადია უნდა მოგვცეს მეორე წარწერამ (არამეული დამწერლობით შესრულებულმა), რომელიც მოთავსებულია ამავე ძეგლზე.

როდესაც ჩვენ ამოვხსენით ამ ლიგატურის ქართულობა, არამეული დამწერლობით შესრულებული ტექსტის ამოშიდრვა ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული. საქმე ის არის, რომ არამეული დამწერლობის ტექსტი იმდენად დაფარული იყო მტკვრითა და ღორღით, რომელიც ჩაქდებული იყო წარწერის ტექსტში, რომ ტექსტის მთლიანი გარჩევა არ ხერხდებოდა. ამავე დროს წარწერის გარეცხა-ვასუფთავებაც სახიფათო იყო, რომ წარწერა არ დაზიანებულიყო.

ასეთ ვითარებაში, ვიდრე წარწერა გასუფთავდებოდა, ჩვენ შეეძვლით ამოგვეშიდრა არამეული დამწერლობით შესრულებული წარწერის მხოლოდ ნაწილი; კერძოდ პირველ სტრიქონში—დასაწყისი ტექსტისა, რომელიც ასე ითარგმნება:

„მეფე მიჰრდატ, მეფე დიდი, ძე ფარსმან მეფისა დიდისა...“



მეორე სტრიქონში:

„მე ჯიwh-ისა...“

რაკი ამრიგად არამეული დამწერლობის ტექსტი მთლიანად ამოკითხული არ იყო, ჩვენი დასკვნების გამოქვეყნება ამ ძეგლის ქართული ასო-ნიშნების შესახებ ნაადრევად მივიჩნით; ჩვენ დავკმაყოფილდით წინასწარი მოხსენებით ამ საგანზე, სადაც წარმოვადგინეთ ის ძირითადი დებულებანი, რაც ზევით გვქონდა აღნიშნული, ე. ი.:

1. ძეგლზე წარმოდგენილი სპეციფიკური ნიშნები ეს არის სახელობითი ვენზელი.
2. პირველი ოთული ნიშანი წარმოადგენს ლივატურას, შემდგარს ქართულ ასოებისაგან „ჰ—ს“.
3. ძეგლის ყურებზე მოცემულია იგივე ქართული ასო-ნიშნები განცალკევებით.
4. ეს ასოები აღნიშნავს სახელს, რომლის პირველი ასოა „ჰ“, ხოლო უკანასკნელი ასო „ს“.

ამასთან გამოვსთქვამდით მოსახრებას, რომ არ იმალება ამ დაჭარაგმების სახით „ჰ—ს“ სახელი „ჰევახოს“, ადრინდელი სახეობა სახელისა „ჯევახოს“ resp. „ჯავახოს“ (||ჯავახ). ასეთ ექვს ბადედა ის გარემოება, რომ თვით ტექსტში გვხვდება ეს სახელი ჯიwh; ამავე დროს არმაზის სხვა წარწერებშიაც სწორედ ამავე ეპოქაში მოიხსენება იგივე სახელი ||ჯავახ||ჯავახი. საფიქრებელი ხდებოდა, რომ არ არის ეს სახელი საგვარეულო სახელი პიტიახშთა რომელიმე შტოსი, ან სახელი დინასტიის დამწყობისა, რომლის ვენზელიც მეორედებოდა მის შემკვიდრეთა ძეგლებზე. ამ ექვს აძლიერებდა ის გარემოება, რომ სასანიანთ დროის ქართულ ფულზედაც გვხვდება ანალოგიური სახელი X<sup>1</sup>Q<sup>1</sup>S = ჯევახოს, resp. ჯავახოს, რაც მისაჩვენებია გვიანდელ ფორმად სახელისა „ჰევახოს“.

მას შემდეგ, რაც წინასწარი მოხსენება წავიკითხეთ, მცხეთა-არმაზის ექსპედიციის ხელმძღვანელობის განკარგულებით მოხდა წარწერის ტექსტის გასუფთავება, რაც ჩატარებულ იქნა სათანადო წინასწარი ზომების დაცვით და რამაც დიდი ეფექტი მოგვცა, წარწერა ბევრად უფრო ნათლად გამოჩნდა.

ამჟამად, წარწერის შესწავლის შემდეგ, უკვე საბოლოოდ დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ არამეული დამწერლობით შესრულებულ ტექსტში, რომელიც იწყება სიტყვებით: «Mljk mhrdt mlk rb brh ჯი prsun mlk rb» (= „მეფე მიპრდატ, მეფე დიდი, ძე ფარსმან მეფისა დიდისა“),— მოხსენებულია მიპრდატ მეფის პიტიახში «ჯევახ», «ჯიwh»-ის ძე.

ძეგლი, როგორც ირკვევა, არის სტელა ამ არმაზელი პიტიახშისა, რომლის სახელი მაშასადამე ყოფილა ჯევახ, და რომელიც ყოფილა შვილი ჯიwh-ისა (იგივე ჯეახიჯი, resp. ჯეახიჯი).

არამეული ტექსტის მონაცემების დაზუსტების შემდეგ, დავუბრუნდეთ საკითხს, თუ რა სახელს აღნიშნავს ჩვენი ძეგლის ვენზელი „ჰ—ს“.

თავდაპირველად იმის შესახებ, თუ როგორ გამოითქმოდა სახელი ამ პიტიახშისა, რომელიც არამეულის დამწერლობით აღნიშნულია როგორც ჯევახ. ძეგლ-ქართული ონომასტიკონის მონაცემების მიხედვით ეს არის სახელი, რომელიც საშუალ-საუკუნეთა ქართულ ძეგლებში დამოწმებულია ამ სახით: „ჩარ-

გას“. (ეს სახელი ამ ფორმით დამოწმებულია კერძოდ სვანეთის დოკუმენტებში 13—15 საუკ.)<sup>1</sup>.

თუ ჩვენ დავეუშვებთ, რომ ჩვენი ძეგლის ვენზელი „ჰ—ს“ აღნიშნავს ამ პიტიახშის პირად სახელს, მაშინ საფიქრებელი ხდება, რომ ამ სახელის აღრინდელი ფორმა ყოფილა ქარგას, რომლისაგან შემდეგ წარმოიშვა ფორმა ჩარგას.

ეს ერთი შესაძლებლობა.

მაგრამ ამავე დროს დისაშვებია მეორე შესაძლებლობაც: ჩვენი ვენზელი შესაძლოა აღნიშნავს არა თვით ჩარგას—ქარგასის პირადს სახელს, არამედ სახელს პიტიაშხთა ახალი შტოსი მამათმთავრისა: ჭევახოს.

აღრინდელი ფორმა სახელისა ჯავახ—ჯავახოს—ჯევახოს ჩანს არის „ჭევახოს“. ეს სახელი—დაბოლოვებით „ოს“ დამოწმებულია სასაზღვრო ხანის ფულით. ხოლო ბგერა „ჯ“ რომ თავდაპირველად გამოითქმოდა როგორც „ქ“, ამას გვიჩვენებს ისტორია სატომო სახელწოდებისა: ტაიხი—ჯავახი, რომლის მოსაშუაღე ფორმაა \*ჭავახი.

აღსანიშნავია, რომ ჭევახოს, მამა ჩარგასისა, ჩვენ ძეგლზე არ მოიხსენება „პიტიახში“-ს ტიტულით. როგორც ირკვევა, თვით ჭევახოს არ ყოფილა პიტიახში: მაგრამ მას შემდეგ ეს ხელისუფლება ჭევახოსის სახლზე გადასულა და ჭევახოსის შვილი ჩარგას „პიტიახში“-ს ტიტულს ატარებს.

ამრიგად, ჭევახოს არის მამათმთავარი პიტიაშხთა ამ ახალი შტოსი, მამა პირველი პიტიახშისა ამ სახლიდან. ამის გამო სახელი ჭევახოსისა შესაძლოა ქვეულიყო საგვარეულო ტიპის სახელად, და მისი ვენზელი, როგორც პიტიახშთა ახალი შტოსი მამათმთავრისა, გამოსახული ყოფილიყო მის მემკვიდრეთა ძეგლებზე.

ეს მით უფრო ბუნებრივია და მოსალოდნელი, რადგან ჭევახოს, როგორც ირკვევა, არ იყო უბრალო პერსონა, არამედ სამეფო გვარეულობის წევრი, რადგან პიტიახში, როგორც წესი, სამეფო გვარეულობიდან ინიშნებოდნენ.

ხოლო სახელი ჭევახოს || ჯევახოს რომ მართლაც საგვარეულო ტიპის სახელად ქცეულა, ამას ბევრი რამ ეთანხმება და ადასტურებს. ჭევახოს და მისი მემკვიდრე ჩარგას (ქარგას) პიტიახში, როგორც ირკვევა, I და II საუკუნეთა მოღვაწეებია. მათ შემდეგ ეს სახლი, ჩანს, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ძველი იბერიის ისტორიაში. თვით უფრო გვიან ხანაში, VI საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვისა, როდესაც იბერიაში მოისპო მეფობა, ხოლო შემდეგ ერისმთავრობის ინსტიტუტი შეიქმნა, ჯევახიანთა სახლი, ჩანს, აცხადებდა პირველობას ქართლის მთავართა შორის. ერთი. მთავარი ამ სახლიდან კიდევ აღწევს ერის-მთავრობის ხარისხს და უშვებს საკუთარ ფულსაც, რომელზედაც წარწერილია იგივე ძველი საგვარეულო სახელი: X<sup>o</sup>Q (=ჯევახოს resp. ჯავახოს).

აქ, როგორცა ჩანს, გვაქვს ერთი და იმავე ისტორიული ტრადიციის გა-  
ნუწყვეტელი რგოლი.

მაგრამ ამ საგვარეულო სახლის გვიანდელი ისტორიის საკითხებს აქ ამგზის აღარ ვეხებით დაწვრილებით. (ამ საგანზე დაწვრილებითი საუბარი გვაქვს

<sup>1</sup> იხ. პ. ინგორაძე, სვანეთის საისტორიო ძეგლები (იბეჭდება ენიშვი-ს გამოცემთა სერიაში),—სახელი ჩარგას: გვ. 124, 143, 147, 80, 83, 90, 96, 89 და სხვ. გვარი ჩარგასანი გვ. 105.



სპეციალურ ნარკვევში). აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ არსებობს მთელი რიგი ჩვენებათა, რაც საფუძველს გვაძლევს დედასკვნათ, რომ იმავე ჯავახიანთა ძველი იბერიული სახლის შტოს წარმოადგენს საშუალ-საუკუნეთა ისტორიაში კარგად ცნობილი მფლობელი გვარეულობა თორელეებისა (რომლებიც ჰელობდნენ ძველი არმაზის საპიტიახშოს ტერიტორიის ნაწილს). საგვა-უეულო სახელი თორელთა სახლისა, სტეფანოს ორბელიანის მოწმობით, იყო „ჯავახ-ური“. აღსანიშნავია ამასთან, რომ ამ გვარში გავრცელებული იყო საკუთარი სახელის სახითაც იგივე სახელი „ჯავახ“, და აგრეთვე იმავე ტიპის, ეთნიკური წარმოშობის, მეორე სახელი „კახაჲ“. (ასევე სახელიც „ჩარგას“ იმავე წყების, ეთნიკური ტიპის სახელია, საკუთარი სახელის სახით გამოყენებული).

\*

დასასრულ, ჩვენი ძეგლის დროის შესახებ. ძეგლი ეკუთვნის ჩვენი წელთ-აღრიცხვის I—II საუკუნეებს. ჩარგას (ჭარგას) პიტიახში ყოფილა ხელისუფალი იბერიის მეფის მიჰრდატ ფარსმანის-ძისა. წყაროებში მოხსენებულია ორი მეფე ამ სახელით: 1) მიჰრდატ ფარსმანის-ძე, დასახელებული მცხეთა-არმაზის ცნობილ წარწერაში 75 წლისა; 2) მიჰრდატ, ძე (resp. მემკვიდრე) ფარსმანისა, „ამიერი მეფე“—მოხსენებული „ქართლის მოქცევის“ მატიანეში II საუკუნეში. თუ რომელი მიჰრდატ იგულისხმება ჩვენს წარწერაში, ამ საკითხს ამგზის ღიად ვტოვებთ, მით უფრო, რომ ამას არა აქვს იმდენად უშუალო კავშირი ამ წერილში აღძრულ საკითხებთან. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს ძეგლი, ყველა მონაცემების მიხედვით, არ სცილდება აქ აღნიშნულ სათარიღო მიჯნებს, ჩვენი წელთ-აღრიცხვის I და II საუკუნეებს.

P. S. აქ საჭიროა დამატებით აღვნიშნოთ შემდეგი, რომ სახელი ჭევახოს, ჩანს, საგვარეულო ტიპის სახელად ქცეულა ანტიკურ ხანაში, ამას ეთანხმება არმაზის არქეოლოგიური გათხრების ახალი მასალები, როდესაც ჩვენ წავიკითხეთ მოხსენება ამ წერილში აღძრული საკითხების გამო (მცხეთა-არმაზის არქ. ექსპედიციის ექსპერტთა კომისიის სხდომაზე 16.XII.1940 წ.)—ცნობილი იყო მხოლოდ ორი ძეგლი ჭევახოსის სახელით. ხოლო ამჟამად სახელი ჭევახოსისა აღმოჩენილია უკვე ხუთ ძეგლზე: 1. ჩვენს სტელაზე; 2. სერაფიტის სტელაზე; 3. გემზაზე, რომელიც აღმოჩენილია ასპაერუკ პიტიახშის სამარხში; 4. ბეჭედზე, რომელიც აღმოჩენილია საპიტიახშო ნეკროპოლის სამარხში № 2; 5. ბეჭედზე, რომელიც აღმოჩენილია საპიტიახშო ნეკროპოლის სამარხში № 6.

П. ИНГОРКВА

## ПАМЯТНИКИ ГРУЗИНСКОГО ПИСЬМА АНТИЧНОЙ ЭПОХИ

### РЕЗЮМЕ

Автор устанавливает наличие древнегрузинского письма на двух памятниках античной эпохи (I—II вв. нашей эры), открытых в древней столице Грузии Мхета-Армази, во время археологических раскопок в ноябре 1940 г.

#### I. Инициалы Берцума Питиахша (70—96 гг.)

На серебряном блюде, обнаруженном в Армази, в некрополе питиахшов древней Иберии (Грузии), в погребении № 3, имеются инициалы владельца блюда—типичным древнегрузинским письмом:

ბ+ჰ\* მ (= в латинской транскрипции: B+P\* K).

На основании данных параллельной греческой надписи, учитывая одновременно показания древнегрузинских исторических источников, автор устанавливает полное чтение инициалов:

ბ[ერცუმ] პ[იტიახში] კ[არძამის-ძე]  
 B[ercum] P[itiaxši] K[arzamīs-ḡē]

или в русском переводе:

Б[ерцум] П[итиахш] К[ардзамов-сын].

Одновременно удастся определить эпоху надписи. Как выясняется из анализа реалий параллельной греческой надписи и данных исторических источников, Берцум, занимавший должность питиахша при царе Иберии (Грузии) Кардзаме (носившем почетное прозвище Флавиос-дад), был современник и римских императоров из дома Флавиев (70—96 гг.).

#### II. Вензель на стеле Чаргаса Чевахида (сына Чевахоса), питиахша царя Иберии (Грузии) Мирдата, сына Парсмана (I—II вв. нашей эры).

В том же некрополе питиахшов обнаружена стела, надгробный памятник питиахша, с надписью арамейским письмом, и с именным вензелем—древнегрузинским письмом.

Именной вензель, изображенный в верхней части стелы, составлен в виде лигатуры (сплетения) из двух букв древнегрузинского алфавита (в типичном начертании древнегрузинского письма):

\* Как выясняется из палеографического анализа начертания букв, первая буква ბ (=B) сочетается в виде лигатуры вторую букву მ (=P).



ჳ—ლ (= в латинской транскрипции: Ć—S).

Лигатура именного вензеля расшифрована на самой же стеле и составные грузинские буквы лигатуры ჳ (=Ć) и ლ (=S) были начертаны раздельно по краям стелы (на боковых закругленных крыльях с правой и с левой стороны).

В древнегрузинском, при двухбуквенном обозначении имени под титлом, выставлялись первая и последняя буквы имени (напр. ГН=ГургеН). Вензель ჳ—ლ (Ć—S) обозначает имя, первой буквой которого является ჳ (Ć) и последней буквой ლ (S).

Какое имя кроется под этим сокращенным обозначением ჳ—ლ (Ć—S)?

Из надписи арамейским письмом выясняется, что стела является надгробным памятником птиахша Чаргаса Чевахида (сына Чевахоса).

Таким образом, именной вензель древнегрузинским письмом, изображенный во главе стелы, должен обозначать одно из этих имен, или «Чаргас» или «Чевахос».

Дешифровка вензеля как «Чаргас» находится под сомнением, так как это имя в древнегрузинском ономастиконе засвидетельствовано, правда, в поздних памятниках средневековья, как ზარგახლ = Ćargas, а не как ჳარგახლ = Ćargas, т. е. здесь имеется совпадение последней буквы, но расхождение в первой букве: ზ = Ć, а не ჳ = Ć. (Впрочем не исключено, что это имя в более раннюю эпоху могло произноситься и как ჳარგახლ = Ćargas).

Второе из возможных толкований вензеля ჳ—ლ как ჳჳახლ = Ćevaxos имеет больше оснований. Во-первых здесь мы имеем совпадение обеих букв, и начальной и последней. Одновременно выясняется, что Чевахос был членом царской фамилии, являлся родоначальником новой ветви птиахшов, и вполне естественно, если имя Чевахоса превратилось в прозвище фамильного типа и выставлялось на памятниках птиахшов из этого дома. А что имя Чевахоса превратилось в прозвище фамильного типа, на это имеется ряд указаний. Чевахос и его преемник Чаргас—деятели I—II вв. н. э., и с этих пор, как выясняется, род Чевахидов играл значительную роль в истории Иберии; так в VI веке, когда в Иберии была уничтожена царская власть (после оккупации Иберии персами), и вслед за этим, после восстания Гургена в 571 году, во главе государства становятся «эрис-мтавари» («диди эристави» (великие князья), род Чевахидов претендует на первенство в Иберии. Один из членов этого рода в конце VI века становится «эрис-мтавар»-ом и чеканит монету с надписью X<sup>Q</sup>ლ (Джевахос, гесп. Джавахос), т. е. здесь повторено то же фамильное имя, что и на нашей стеле. (ჯჯახლ, ჳჯახლ—Джевахос гесп. Джавахос—параллельная более поздняя форма имени ჳჳახლ = Чевахос).

Тот же род Чевахидов и в последующую эпоху, в средние века, играл немаловажную роль. Отпрыском рода Чевахидов, как выясняется, являлся княжеский род средневековой Грузии Торели (владевшие частью

территории бывшего Армазского птиахшества). По свидетельству историка Степаноса Орбеляна, фамильное прозвище рода Торели было Джавахури, т. е. Джавахиды. (В этом же роде распространением пользовалось собственное имя «Джавахи»).

Таким образом, вышеизложенное вполне согласуется с толкованием вензеля нашей стелы, как имени фамильного типа Чевахос.

В заключение, о дате памятника. В надписи арамейским письмом Чевахид Чаргас назван птиахшом царя Мифрдата, сына Парсмана. В источниках упоминаются два царя с этим именем: 1) Мифрдат, сын Парсмана — во второй половине I века н. э. (— упоминается в Михетской надписи 75 г.). 2) Мифрдат, сын (resp. преемник) Парсмана (Парсман-аваза) — в середине II в. н. э. (— упоминается в древнегрузинской хронике «Мокцевай Картлисай»). Оставляя пока открытым вопрос об уточнении даты, мы имеем основание относить стелу Чаргаса Чевахида к I—II вв. нашей эры.

---



ბელმოწერილია დასაბეჭდად 12.5.41  
ბეჭდურ ფორმათა რაოდენობა 27 $\frac{1}{2}$  ფორ-  
ბეჭდურ ფორმაში 53 ათასი სასტ. ნიშ.  
შეკვ. № 974; უე 20026; ტირაჟი 1000

---

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა  
ა. წერეთლის ქ. № 7

